114
1975/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

9

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა


# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 51-ე. № 9. სექტემბერი, 1975 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი


რევაზ მარგიანი — ლექსები . . . 3
შალვა ფორჩხიძე — ლექსები . . . 6
თემურ აბულაშვილი — ყადიმი მალე გამოჩნდება. მოთხრობა . . . 12
იონა ვაკელი — ლექსები . . . 22
კარლო კოზერიძე — კალია. მოთხრობა . . . 24
ნანული გოცვაძე — სიმაღლე. მოთხრობა . . . 38
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. მეორე წიგნის დასასრული . . . 43
ლია ასათიანი — დიდი სიმშვიდე. პოემა . . . 103
ოთარ ჩიჯავაძე — როცა ფარშავანგი ყივის. რომანი . . . 109
პეტრუს ბროვკა — ლექსები. ბელორუსულიდან თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა . . . 129
იანის რიცოსი — ლექსები. ახალბერძნულიდან თარგმნა იზა ორჯონიკიძემ 132

### ცხოვრებისეულ პრობლემებზე

ნოდარ წულეისკირი — დავიცვათ სოფლის სილამაზე . . . 136
გიორგი სანადირაძე — ცხრა ძიძის ხელში . . . 140

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

პროკოფი რატიანი — ვ. ი. ლენინი რუსეთის პირველი რევოლუციის თავისებურებათა შესახებ . . . 150
ვლადიმერ ჯიბუტი — მწერალი და დრო . . . 159
დიანა ქლენტი — ლექსიკოლოგიური შენიშვნები . . . 162

### ფაქტები, მოგონებანი

ნ. ჯავახიშვილი — ივ. ჯავახიშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან. დასასრული . . . 165
ნინო ტაბიძე — ტიციანი და მისი მეგობრები . . . 178

### წიგნების მიმოხილვა

ვალერიან ითონიშვილი — წიგნი ქართულ ვაზსა და ვენახზე . . . 189


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), ხ. ბერულავა, თ. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, გ. ქლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. ჩანჩიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, თ. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. პ/მგ. მდივნის — 98-55-18, განყოფილებების — 98-55-15, 93-53-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 25/VII-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/IX-75 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 00054. ტირაჟი 14.500. შეკვ. № 2953.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მარგიანი

# თქვენს ხსოვნას ვუძღვნი...

რამდენი რამის მსურს მოგონება,
რამდენი რამის მსურს გახსენება.
თოვლი გადნება, გადითქორება
და თეთრი — მწვანით გადითქერება.

და რომ დაწერო ფიქრი გაგწვდება?
სუნთქვა გეყოფა?
ძალთა მოკრება?
კალმის ნისკარტი დაიქანცება
და სამდურავით ქაღალდს მოსწყდება!

სიხარულს? —
    ვერა, ვერ შეველევი.
ტკივილს რა ვუყო? —
    ვერ გავეცლები.
ისევ სიმართლე არის მშველელი,
ყოვლის დამძლევი, ყოვლის შემძლები.

ხანდახან ცრემლსაც მოვიშველიებ,
ვინ თქვა, წუხილი თითქოს განელდა!
მოვიშველიებ თქვენს თბილ წერილებს
და ოხვრა-ვარამს გულმდუღარეთა.

და რომ დავწერო რაც მაქვს ნახული,
ალბათ დამიწვავს ქაღალდს ალმური,
ოთხი ზამთარი და გაზაფხული
როგორ სუნთქავდით თქვენ და მამული.

ერთი სიცოცხლე მას არ ეყოფა,
ერთი სიცოცხლე მას ვერ დაიტევს,
სიხარულს,
რწმენას
და უბედობას —
მიმოფანტულებს ვით მარგალიტებს.

ღიმილს რა ვუყო? — ღიმილს თქვენეულს,
რაც სიზმარივით არ ფერმკრთალდება,
მარადისობის კვამლში შერეულს
სახეთა თქვენთა გამოცხადებას?!

ჩემს ცრემლს რა ვუყო შეუმშრალებელს,
მისი სიმძიმე იგრძნეს წამწამთა.
იმ მიმოფანტულ თქვენს ტკბილ ზმანებებს
ერთად შევკრიბავ, თუკი დამცალდა.

მითხარ, რა ვუყო მწველი ნაღმებით
გამწყდარ სტრიქონებს,
დაჭრილ ოცნებებს?
როდის გაქრება ჩემი ნაღველი,
იარებს როდის შეიხორცებენ?

იქნებ სჭიროდათ თბილი მალამო,
რად არ დაადეს ჩემმა ხელებმა?
იქნებ სჭიროდა გამტყდარ სალამურს
სულის შთაბერვა და გამთელება?

დღემდე დაკარგულ თქვენს ხმებს დავეძებ,
მომწყდარა თქვენი ჟივილ-ხივილი —
და მისვენია გაშლილ მკლავებზე
ჩაუქრობელი თქვენი ღიმილი.

... იმ წლებს რა ვუყო, ღიმილს თქვენეულს,
რაც სიზმარივით არ ფერმკრთალდება,
მარადისობის კვამლში შერეულს
სახეთა თქვენთა გამოცხადებას?!





ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ფორჩხიძე

## ოღონდ სულში სიყვარულიც ასე თოვდეს...

ახლა ციდან თოვლი ცვივა
და ეს სივრცე
ვაშლის ხეთა,
ატმის ხეთა
თეთრ ბაღნარად მეჩვენება.
თოვს
თუ შენი თეთრი კაბის შრიალს ვისმენ,
მსურს ამ თოვლში წამით კორდზე შეჩერება.

ხენი თრთიან, —
ფერხთ გვეგება თბილი თოვლი,
თეთრი ფიფქი ფარავს ირგვლივ მინდვრის ხაოს...
მენატრება ლურჯი ფერი
და გთხოვ
თრთოლვით —
შენს თვალებში ჩამახედე
ახლოს,
ახლოს...

და რომ აღარ დაგვეფანტოს ქარში ფიქრი,
რომ ამ თოვლში ჩვენც სინათლის სხივით ვთრთოდეთ,
ვაშლის ხისებრ შევიფოთლოთ თეთრი ფიფქით,
ოღონდ სულში სიყვარულიც ასე თოვდეს.
. . . . . .
თოვდეს, თოვდეს...
ამ ცისა და მიწის იქით
სად წაიღებს ჩვენს გულისთქმას თოვლის ფიფქი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბალახზე დარჩა მზის ყვითელი ნაფეხურები...

მოჩანს ვენახი, ვით ლურჯი ტბა ტანდაყურსული,
ბალახზე დარჩა მზის ყვითელი ნაფეხურები.
მიჭრიალებენ დატვირთული გზაზე ურმები
და ჭალებისკენ წერო მიფრენს ფრთებდაწურული...

დაგორავს ქარში მხიარული ხმები ურმულის,
მთიდან მწყემსები ჩამოდიან სალამურებით...
მერე უსტვენენ შებოლილი საკვამურები
და ცაზე ჩნდება ვარსკვლავების თეთრი ლურსმული.

კაკლის ტოტებში გახირულა ჩალის ფურცელი,
მთვარე მარანზე დამხობილა ვით ვერცხლის ჯამი.
და ოროობეებს ავსებს ახალ მაჭრის სურნელი.

სადღაც ბინდ-ბუნდში სათონიდან გამოკრთის ალი,
სადღაც მუხისქვეშ იგვიანებს ახლა ვახშამი
და გზაზე მიდის კოკით ხელში მეზობლის ქალი.

## გამოწვევა

მიწა აფუვდა და დაიძრა როგორც ღრუბელი, —
იისფერ წყალში მისცურავენ თითქოს სერები...
მივყვები მინდვრებს ანთებული თეთრ საბურველით,
ნეტა ქალაქში ჩემს პოეტებს თუ ვახსენდები?!

ვარ თეთრ აპრილში ხორბლისფერად მზით გარუჯული
და ნახნავებში ახალ კილოს დავეძებ ბედად, —
რომ ერთი ჰანგი დამრჩეს მწველი, როგორც ურმული,
როგორც მიმღერა მე აკვანში პირველად დედამ.

მეხმარებიან მინდვრის პოეტს ჩიტები ხვნაში...
თქვენ რად გამწირეთ,
მიმატოვეთ,
ძმებო,
მეგობრებო!
დადექით ჩემთან პურის მკაში,
ცხელ თაკარაში,
განა ცოტაა ამ მხარეში დღეს საოცნებო!..

მიწამ გადიხსნა თბილი მკერდი
და თვითონ ვნახე...
განძი ოდითგან საიმედოდ გადანახული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვის რა გულიც აქვს,
რა მკლავიც აქვს,
შრომა თვით ამხელს.
ვის უნდა ლექსი,
თუ არა დუღს მზით გაზაფხულის?!

დადექით ჩემთან მღვრიე ქარში,
მწარე წვიმაში,
გავინაწილოთ გლეხის შრომა მინდვრებში ერთად.
ამ ცხელ მიწაზე ჩვენს ნაფეხურს ჟამი ვით წაშლის,
ფეთქავს აპრილი და ედება მიდამოს თეთრად.

თითქოს დამდნარა უცხო განძად მთა მადნეულის
და ხრამის წყალში ელვას აჩენს ჭრელი კალმახი,
მინდვრებს ფუტკარი შესევია გახარებული, —
მე რომ ყანა ვხნა,
პოეტებო,
რაა საძრახი?

ვარ თეთრ აპრილში ხორბლისფერად მზით გარუჯული,
ჩიტების ხმაშიც ახალ კილოს დავეძებ ბედად,
რომ ერთი ჰანგი დამრჩეს მწველი, როგორც ურმული,
როგორც მიმღერა მე აკვანში პირველად დედამ!..

*   *   *

ახლა გლეხები კვამლით ამწვარ ახოებს ტეხენ,
მხრებზე ადნებათ მანანებად ღრუბლის ხვეული...
შოთი პურივით აფუებულ ყამირებს ხევენ
და ჭალა-ჭალა მიირხევა ხმა გუთნეულის...

ახლა შრიალით ტყეში მიწას სჭრის მუხის ფესვი,
ჩიტებმა ხავსი შემოკორტნეს ნისკარტით ხეხილს.
პოეტმაც უნდა გულს შოთივით მოხიოს ლექსი,
რომ ცეცხლს კვესავდეს, —
          როგორც კვესავს კლდეებზე მეხი...

## მონატრება

მომენატრება მყუდროება, ტყის იდილია, —
იქ თეთრი მთვარე კაკაბივით ზის ხშირად სერზე...
მოვყვები ჩუმად თავდახრილი ჭალებს ჩრდილიანს
და ვფიქრობ შენზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევდგები ხიდზე და გადვისვრი წყალში ანკესებს,
სულს დამიამებს იდუმალი მდინარის ნანა...
ვიღაც შეარხევს გიტარის სიმს და ააკვნესებს...
და ფოთლებს მთვარის წვეთები ნამავს...

მიცვლის ხასიათს ღამეული ურმის ჭრიალი,
დობილოებში ნაჩალარზე დაცემა თრთვილის,
მაგრამ სულ სხვაა, როს ვიხსენებ გულის ფრიალით
ჩვენს ჩუმ ეზოში —
თბილისს...

* * *

მუხებს იქით საყდარი დუმს თეთრი,
შორს ყვავილებს დაუთრთვილავს კბოდე...
თითქოს სული ლურჯ სივრცეებს ერთვის,
მინდა ახლა მხოლოდ შენთვის მოვკვდე.

წუხელ ქარში დაღუნულა დაფნა,
შორით ელავს მწვანე მთების ზოლი.
ბროწეულის ცეცხლმოდებულ აფრას
დაუფარავს დაცვარული მოლი.

ნანგრევს თავზე მოვლებია ულო,
რაც დავკარგეთ სინანულად არ ღირს, —
კუბოს ფიცარს ფესვით შეკრავს სურო.

მთავარია სიხარული ვიგრძნოთ,
გზაზე ბიჭი რომ მიდენის ნახირს —
ჩვენზე უკეთ დაიქუხოს ვინძლო...

## ჩემი თეთრი სიმღერა, ჩემი თავდავიწყება...

ჩვენი ეზოს ჭიშკარი, — კარი მუდამ ჭრიალა,
ცაზე კენტი ვარსკვლავი გარჩენილი ტიალად.

გული დაფეთებული სულის თეთრი ჭიხვინით,
გზებზე მიმოფანტული შემოდგომის ჭირხლივით.

მზერა, როგორც ხანჯალი გულში რომ გამიტარა,
მხიარული თვალები, ნაღვლიანი გიტარა.

იმერეთის სერები... თეთრი ეკლესიები...
ჩიტისგულა ბავშვობა, აწ რომ ვერ ვეღირსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათიბული მინდვრები ხვატით გადაბუგული,
ტყეებს შეფარებული ჩემი თეთრი გუგული.

საკვირაო ხალათი თეთრად გახამებული,
კრუხ-წიწილას წიაქით ღიდა გახარებული.

მამა მუდამ მშფოთვარე, მუდამ ამბოხებული,
მე ყოყოჩა ყვინჩილა, — ხმალი ამოღებული.

სიყვარულის შაირი, თან რომ გადამიტანა,
ნაღვლიანი თვალები, მხიარული გიტარა.

უნებური წუხილი... ქრქოლა ცხელი დაირის,
მოჩითული მინდვრები, ფერი ნაირ-ნაირი.

ტანზე მაყრის ეკლებად, თითქოს ახლა იწყება
ჩემი თეთრი სიმღერა, ჩემი თავდავიწყება...

## არ მენაღვლება, თავი გავწირე...

გულზე დამეცა სხივი შრიალით —
ირმის ნახტომი გარჩა ცის ტატნობს...
არაგვმა იცის ქარიშხლიანი
ლექსი — როგორიც უყვარდა ტატოს!

არაგვმა იცის, როგორც კალმახი
ფრთამოქნეული სტრიქონის ელვა,
ეს ვარსკვლავების თეთრი ჩარდახი
სულში ჩამოწვა დამთუთქველ ღველფად.

არ მენაღვლება, — თავი გავწირე,
ვდგავარ და პეშვით ვხვრიპავ სიმწვანეს.
მოდი, დამფერფლე როგორც საკირე,
ოღონდაც ჩემი თრთოლვა იწამე.

გულზე დამეცა ქარიშხლიანი
ლექსი — როგორიც უყვარდა ტატოს,
მთებში ჩავიდა მთვარე შრიალით
და თეთრი სხივი გარჩა ცის ტატნობს...

* * *

ბინდი, ორღობე, ომბალოს სუნი,
საღამო, — სხივი ციალს რომ იწყებს,
ცა ბროწეულისფრად გასისხლული —
ვერ იქნა, დღემდე ვერ დავივიწყე!

ვერ იქნა, დღემდე ვერ დავივიწყე,
უნდა წავიდე ამ გაზაფხულზე!
ის ნახაყდრალი... ის ძველი ციხე...
მე ისევ მახსოვს და ისევ ვუმზერ...

აპრილის ქარი იქ თვალს ამიხელს,
ჩავალ ვენახში ფიქრით მთვლილი...

იქ ხომ ღიმილით ბებერ ატმის ხეს
ჰგავს დედაჩემი წელში მოხრილი...

იქ ხომ მამაა... და ვენახებიც
ალბათ უჩემოდ რამდენჯერ გასხლეს...
წავალ, ჩემს ტოლებს გავეძრახები
და ფილთა თოფის ჩახმახებს დავსხლეტ...

გავილუმპები აპრილის წვიმით
და შემოვირბენ ჩვენს ძველ დობილოს,
იის წყალით და აყალო მიწით
რომ ისევ ნედლი ლექსი მოვზილო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხილვა პირველი თოვლისა

ბილიკზე თეთრი ხეები სდუმან,
ციდან ფიფქები ჩამოდის თრთოლვით.
მე ხეივანში მივდივარ ჩუმად,
ფოთლებში ელავს პირველი თოვლი.

და მენანება ველები მწვანე,
წყლისფერი ცა და ხმა კრუალების,
ტყეში ჩრდილების ჩუმი სავანე, —
საუფლო ლურჯი იდუმალების.

იქ ახლა ფოთლებს აწუხებს სუსხი,
მინდვრებში იის ფერები გაქრა,
მაგრამ ცას მაინც მადლობას ვუხდი, —
ირგვლივ ყველაფერს სინათლე ფარავს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თემურ აბულაშვილი

# ყადიმი მალე გამოჩნდება

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ასწია ბერიკამ წერაქვი, სახეზე ჭვითქი გადასდიოდა, თვალისმომჭრელი ცის სითეთრე დაინახა და გაშეშდა. მერე ღრმად ამოისუნთქა, წერაქვი მთელი ძალით დაჰკრა მიწას — აბრეშუმივით ნაზი და რბილი მიწა დახვდა და მამას გაგულისებულმა შეხედა:

— გადავიწიოთ, მამავ, სხვაგან გაგვეთხარა ეს ტიალი, არ გვერჩივნა?!

— სხვაგან სადღა, ბიჭო? ციხიაანთ ყურეში ხო არ ჩავალ საძირკვლის გასაჭრელად! — ლექსო და ფირანა საძირკველს შიგნით ისხდნენ აკოკოლავებულ მიწაზე. როცა უფროსები ისვენებდნენ, ბერიკა მაშინ გაჯიქდებოდა. ესეც ეშმაკობა იყო — იმათ მხარდამხარ უძნელდებოდა, ტოლს ვერ უდებდა მუშაობაში.

— ქვევრები ამოვყაროთ, ემანდ ბროწეულები გავკაფოთ და...

— ქვევრები! აჰაი, დედა ვუტირე პატრონისა! საცაა ჩვიდმეტისა გახდები და ცაში ფეტვი გითესია. რისთვის ჩაყარეს ეგ ქვევრები? შენითანა მუტრუკებმა რომ ჰაი-ჰარად ამოყარონ, არა?! თვრამეტჩაფიანებს დაერიე, წვრილ-წვრილებს ხელი არ ახლო. — ლექსო ჩაფიქრდა. — იქაც რო ნაშალი მიწა წამოვიღეს, მერმე სადღა ვაფხლაკუნოთ ფეხები?!

— მე კი ვატყობ, არაფერი გამოდის!.. ურტყი, ბერიკავ, წერაქვი, რა გენაღვლება?!

— ნუ წუწუნებ, შე კომლობადავსილო. — ლექსოს საფეთქელთან სისხლმა მოფხანა. — აბა, დაიძარ წყალზე! ღმერთი არ გაგიწყრეს და ბინდისშეკვრამდე არ გადაიკარგო.

— გულზე არ დაგადგეს! — წაიბურტყუნა ბერიკამ და თვალებში შიში ჩაუდგა. მაგრამ მისი სიტყვები ლექსოს ყურსგარეთ დარჩა.

— კაცო, ლექსო! — მარნიდან გამოტუსტუსდა ბაბალე, გამხდარი, კნაჭა ფეხებით კაბას მოაფრიალებდა. — კაცო, რა დაგემართა, ემწუთას არ ჩამოვიტანე ცივი წყალი?!

— სახრითაა წელმოსაწყვეტი, ეს უჯიშო! — ბაბალეს კოკურა ჩამოართვა და სანამ ტუჩზე მიიყუდებდა, ბერიკას თვალმოწკურულმა გახედა. — შენ რა ხარ, შენი თოხუმი რაღა იქნება! — წყალი რაკრაკით ჩაუშვა ყელში, გულმკერდი დაუსველდა და სიგრილემ შეულიტინა. — ცივი კი არა, დუბელაა, დაბდურო! — ბაბალეს ამრეზილმა შე-

ხედა, წყალს პირი გადაუქცია და კოკურა ფირანას გაუწოდა. ფირანა მუხლებზე ხელებშემოწყობილი იჯდა. უნდილად წამოიწია, წყალი დალია და ისევ გადაფიცხებულ მინდვრებისაკენ, ქვევით გაიხედა.

— კაცო, ხომ ხედავს რა ჭრაკაფაობაა, — ლექსომ ხმას აუწია, გაბრაზდა, ფირანამ კრინტი რომ არ დაძრა, — დანა და ყელი ერთადა მაქვს, საცაა პური გაიჭრება და დაგვიძახებენ. ეს ბედოვლათი კი გადავიწიოთო, მეუბნება.

ბაბალემ კოკურა დღეს ამოყრილ, გრილ მიწაში ჩადგა და მარნისკენ გასწია.

ბერიკა საძირკველშივე იდგა, ფეხებგაჩაჩხული. წერაქვი გადაეგდო, მკერდი წინ წამოეწია და ნიჩაბივით გრძელი და ფართო ხელები მუხლებამდე დასთრევდა. „ამ კაცს ვერაფერს გააგებინებ. — გამკვრივებული ლოყა აუთრთოლდა. — წავალ ქალაქში და ჩემთვის ვიცხოვრებ“. — ქალაქის გახსენებაზე, გულში სითბო ჩაეღვარა. „სულ ერთია გავიქცევი, მე აქ გამჩერებელი არა ვარ“, — დაფიქრდა და დამარცხებულის ხმასავით მისწვდა საკუთარი ფიქრი. — „კი არ გავიქცევი, ჩემი ნებით წავალ“. ქვეშეცნეულად გრძნობდა, დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდებოდა. როგორც ბერიკას თანატოლ ხელფეხშეკრულ ბიჭებს სჯეროდათ, ამასაც ამჟამად ერთი ფიქრი უტრიალებდა — ეგონა, რომ სძულდა მშობელი.

— კაცო, დიბირა სადღა დაიკარგა, ეხლა მოცდენის დროა? — წამოდგა ლექსო და, დიდი უშავთეთრო კაციაო, დააყოლა.

— დაეგდებოდა, ალბათ, ფერდებს ასვენებს. — ჩაიხითხითა ფირანამ და იმანაც წამოიწია, შარვალზე ხელი გაიკრა, გაიბერტყა.

— სამხრობის ძილი არ დაიკლოს, მამა უცხონდება. — ჯავრგარეული სიტყვა თავისთავად წამოვიდა. ნიჩაბს ფირი ჩაუფხიკა, ზედშემხმარი მიწა ჩამოაშორა და საძირკველში ჩადგა ლექსო. — თვითონ ხო წამოჭიმა სახლი. — ეს უკვე ჩუმად, ხმადადაბლებით თქვა, ფირანას არ გაუგონია.

— უმცროსი ძმები თამამნი არიან, ლექსო. ხელის გულზე კვერცხები უნდა უგორო. განგებას დაუწესებია აგრე და რას იზამ?

— ჰაი და ჰა, — ლექსომ მიწა ამოყარა. დიდხანს თავაუღებლივ მუშაობდა. დაიღალა. ზურგზე გამოსული ოფლი ქაცვის ხესავით მწარედ იკბინებოდა. „ეს უპატრონოც რო გაჯიქდა?! მოდის და მოდის ნაშალი მიწა. ჩემი ბედის დამაწყევარს რა ვუთხრა, აჰა!.. რო არ მრცხვენოდეს, ბროწეულებს ამოვძირკვავდი. მარანსაც, მარანსაც მოვანგრევდი და იქ გავჭრიდი საძირკველს. მიწა ოხერია, ადვილად არ დაგმორჩილდება. ქვა-აგურს კი არა, თესლს არ ჩაიკარებს, თუ გაჯიუტდა. ჩემზე ჯიუტი ლა იქნება ეს ნაცრადსაქცევი! — მხარმარცხნივ ნიჩაბი გაიქნია, ყრუ, დაგუდული ხმა ამოუშვა პირიდან და მიწა შორს გადაყარა. — აჰაი, ლექსო, ძალა ხარ-კამეჩისა გქონდა... ჯანი გაგიტყდა, ჯანი. ცხრა სიცოცხლე კატებს დაუმადლა ღმერთმა, ცხოვრების წადილი — მყეფარ ძაღლებს და სიტყვაპასუხი — უგერგილოებს“.

— რას გაშტერებულხარ, ბერიკავ! — უცბად წამოიყვირა ლექსომ და მხარი აუცახცახდა, ხელები მოექავა.

— დაანებე თავი, ლექსო! დაიღალა ბიჭი და დაასვენე, რას აუმხედრდი დღევანდელი დღე?!

— დაიღალა, არა? დაიღალა! ერთ მეტრზე მეტი ამოვთხარეთ, ჩვენც ხო დავიღალეთ. მოდით და ბარემ ჩავასხათ საძირკველი! თქვე, აფრაკებო, ყადიმი* თუ არ გამოჩნდა, როგორ იქნება?!

— რატო არ შემეძრახეთ, — თვალებდასიებული დიბირა ჩუმად მოახ-

---

* ყადიმი — მაგარი ნიადაგი, რომელსაც სახლის საძირკველი უნდა დაეყრდნოს.

ლოებულიყო. ძილის შემდეგ როყიო ხმა დაობილებოდა. უხერხულად გრძნობდა თავს და ცდილობდა საყვედური აეცდინა.

— შემოველ, ბუზები დაგიფრთხე და გამოვბრუნდი. — გამასხრებას შეეცადა ლექსო, მაგრამ გატანჯული, გულგატეხილი კაცის იერი რომ ედო, ეტყობოდა.

— შენ ნუ ხარ მწარე! — სიტყვა დაუგდო დიბირამ და გასიებული, ცხიმწასმულივით ალაპლაპებული თითებით ლიპი მოიფხანა. — ყისმათი არ გინდა? — ჩაიდუდუნა და საძირკველში ჩაიხედა. ეს ყასიდად ნათქვამი სიტყვა უფრო იყო, ვიდრე თანაგრძნობის გამომხატველი. დიბირა ძლივსძლიობით ჩადგა საძირკველში. ფეხების მოხრა გაუჭირდა, ჯერ დაჯდა და მერე ჩაბობღდა. გულით რომ არ ემუშავნა, იცოდა, ლექსოსაგან გათათხვას ვერ გადაურჩებოდა. მალე, აქოშინებულმა შუბლზე მომსკდარი ოფლი გადაიწმინდა.

ბერიკაც შესდგომოდა საქმეს. წერაქვი ლონივრად მოიქნია, ქვას დაჰკრა და ქვამ ცეცხლი გაკვესა, წკრიალა ხმა გამოსცა. სიმაგრეს დავადექიო, გაუხარდა. მაგრამ ქვა ამოაგდო თუ არა, ის პაწაწკინტელა იმედი, უცბად რომ გაახალისა, მაშინვე გაუქარწყლდა.

ეზოში დამძიმებული, ჩიჩახვდაბერილი ქათმები ზანტად, წელმოწყვეტით დადიოდნენ.

— დავანებოთ თავი, ამის რჯულიც არ იყოს. — თქვა ლექსომ და ძალაყინი, ბარ-ნიჩაბი, წერაქვები და ვედროები თხრილში ჩააწყეს. — ბერიკავ, ტოლი გადააფარე, ცხენს წყალი დაალევინე და ნება შენია, თუ გინდა აღმა ქენი თავი, თუ გინდა დაღმა.

— მოწმენდილი ცაა, ნამს არ გაგვაკარებს. — ბერიკამ მაინც ამოთქვა სათქმელი. იარაღებს ტოლი გადააფარა და როცა ვენახიდან აღვირამოდებული ცხენი გამოიყვანა: — სარდოსაც შეეძრახე, გამომიდი, ღვინით დავლიოთ-თქო. — დაადევნა ლექსომ. ბერიკა ცხენს წინ გაუძღვა და ქუჩაში გავიდა.

კაცებმა სიბნელეში დაიბანეს ხელები; შინ შეჰყვნენ ლექსოს. ოროთახიანი ქვითკირის სახლი იყო, ძველებური და კედლებდახეთქილი, ქარი რომ დაუბერავდა, ჭერი ხმას აძლევდა, ჭაპანს ვენახისაკენ მიაფრიალებდა. ეზო საამშენებლო მასალებით იყო მოხორხლილი. ბროწეულებს გადაღმა, სალორიდან თქაფა-თქუფი ისმოდა.

ბაბალეს უკვე გაეშალა სუფრა. მორიახლოდ მოკრძალებით იდგა და ახლა მაინც დაწყნარდესო ლექსო, ფიქრობდა.

ლექსომ ღვინო გულმხიარული კაცის ქინით ჩამოასხა, ამ ჩვენს გავერანებულ საქმეს გაუმარჯოსო, თქვა.

ფირანამ და დიბირამ ერთდროულად თქვეს სადღეგრძელო, ჭიქები გამოცალეს და დიბირამ მერმე იკითხა, ბაბალე, შენ რატომ არ დაჯდებიო.

— ეხლავე, ეხლავე, — გაიღიმა ბაბალემ და ლექსო თვალგაშტერებით დაათვალიერა — ის თავაულებლივ ალუქებოდა.

დიბირამ ცივადმოხარშულ ქათამს ხარბად დახედა, ჯერ ფრთას წაეპოტინა, გადაიფიქრა. არც ბარკლის ამონაჭერი მოეწონა. კურტუმს ეძებდა, ხელში საწიწკარი მოხვდა — საწიწკარი რა გადასაღებიაო, აღარც ბარკალი უნდოდა, ბეჭი გადაიღო, ნიორწყალს მისწვდა და გამოთაყვანებული სახე გაუშუქდა.

— დედაკაცო, რაღას უდგეხარ? — უთხრა ლექსომ და ჭიქები შეავსო.

— ი ბიჭიც მოსულიყო და, — ძალზე ხმადადაბლებით თქვა ბაბალემ. თეთრადდაწინწკლული თავსაფარი მოიხსნა და ლექსოს გვერდით დაჯდა.

— ეს ჩვენს წინაპრებს გაუმარჯოს! იმათი სული აცხონა მამაზეციერმა. ნაშიერი უცოცხლოთ, მიწის შვილები და გულმართალი კაცები. — დიბირას სასაზე ძვალმა უჩხვლიტა და დაიღრიჯა. ლექსომ ჭიქა ასწია და ღვინო ხელ-ნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა შესვა. ღვინომ ყელი ჩაუფხაჭნა. უკან აღარ დაუხევია, ბოლომდე გამოცალა. სასმისი გაღიზიანებულმა დადგა და ღვინო ვის გამოართვიო, ბაბალეს გადახედა.

— სარდის სახლობას ჰქონდა. უკანასკნელი რვაჩაფიანი ახლა დავხარჯეო, იფიცებოდა.

— ფიცი დედაკაცების მოგონილია. ამ ღვინის ცუდი სუნი აქვს, სოკო მოსდებია. — მერმე, სად დაიკარგა ი ბიჭიო, ვინმეს გასაგონად კი არა თქვა, თავის თავს ჩაეკითხა.

— ბუღის წყლისაკენ გააჭენებდა. იქა ხვდებიან ეგა და თაკო. მალე რძალს მოგგვრის, ლექსო, დაიცადე! — რბილად ჩაილიმა ფირანამ და მკვდარცოცხალს გაუმარჯოსო, მამა-პაპანი ადღეგრძელა.

— ე ცხენი გადარეულია, ბიჭმა თავს არაფერი აუტეხოს. — ვითომ სხვათაშორის თქვა ლექსომ. — რა დროს მისი ცოლია? ბუწკნარში რო გაიხლართოს, ვერ გამოძვრება იქიდან.

— კარგი, კაცო! ბალღი კი აღარ არი, მოჯოხებული ბიჭია. — დიბირა აქამდე ჩუმად იყო, ლოყებგაბერილი ქშინავდა. ხან ფეხებგაშოტილი იჯდა, ხან მოხრილა, ლიპს მაგიდის ძგიდეზე ჩამოასვენებდა.

— მეზობლის მამალივით წამოყინჩულა ეგ ცერცეტი, მაგრამ... ჭკუა არა აქვს. ვისთვის მინდა ე სახლი, ისევ მაგისთვის. ჯარიდან ჩამოვა თანდილა და თვითონ ჩადგამს, ამასავით უნდილი ხო არ არი!

— გეყოფა, კაცო, რა შაშვივით აჭახჭახდი! — ხმა ამოიღო ბაბალემ. ი ბიჭი ადღეგრძელე, იმ ყინვა-ყიამათში რო მსახურობს, ისიცა და ესეცა. ამათ რო გაუჭირდეთ რამე... — მაშინ ძუძუებიც დამწვიაო. გულში დაამთავრა სათქმელი.

— ოქროს კუბოს დაგიდგამენ, დაბდური... მაგის იმედი ყოველთვის გქონდეს, სწავლაში ღმერთს არ უქნია. ეგ ნამჯილეჯია და ქალაქისაკენ უჭირავს თვალი.

— წავიდეს და გაიხაროს, რა გენაღვლება?! ჩემი გოგო-ბიჭები თუ იქით არიან, გულსა მწყვეტავენ, აი! ქვეყანა მაგათია. ამ შარაგზაზე როდემდე უნდა იარონ დახეთქილი ფეხებით!

— დამმარხველი არავინ გეყოლება, დიბირ! ნარითა და კაჭაჭა ბალახით აივსება ეზო-კარი, და რათა? მე შენ გეკითხები, რათა?!

— შენ უკვე გადაუხვიე, ლექსო. — ფირანამ სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა. — ახალგაზრდაა, დაიღალა. შენდენი ხო არ შეუძლია. ჯერ იყო და ქვალორლი ამოვიდა. ახლა მოდის და მოდის ნაშალი მიწა. შენი გამწარება მერმე ნახე ნიაღვქვეშა წყლები თუ გამოჩნდა. ეგრე არ არი?!

— გადააჯიშებენ, შვილოსა, სოფელს და აქ თუ საქონლის ნაჩლიქარი გაქრა, ქალაქს რაღა ეშველება... მე ბალღობაშივე ვიცოდი, რომელ ბალახს როგორი სუნი ჰქონდა. ეგ თავკვერსა და რქაწითელს ვერ გაარჩევს ერთიმეორისაგან. შეშის გულისთვის მთელ ტყეს გააჩანაგებს. მე კი არავის ვუხირდები, მამა-შვილთა შორის ეს რა სათქმელია. როცა ჭკუაში ჩავარდება, მერმე თვითონ იცის თავისი დაბლანდული საქმისა.

— აღარ დავლიოთ? — იკითხა დიბირამ და სამივეს სათითაოდ გადახედა. ბაბალე დანაღვლიანებული იჯდა; ლექსოს სახეზე ძარღვი არ უტოკავდა — სხვა დროს ასეთ ღვინოს პირს არ დააკარებდა: ფირანამ ბოლქვად გამოუშვა კვამლი და ხელადას მისწვდა.

გვიანობამდე ღვინოს სვამდნენ კაცები. ფირანა და დიბირა ბანცალ-ბანცალით გავიდნენ ქუჩაში. ბაბალე ჯამჭურჭელს აჩხრიალებდა. ლექსო შინ უნდა შებრუნებულიყო, მარანთან მორზე გადამჯდარი ლანდი დაინახა და შეეხმიანა:

— რომელი ხარ, ემანდ?

— მე ვარ, სხვა ვინ იქნება?!

— ცხენს თივა დაუყარე?

— დავუყარე, მაშ არ დავუყარე?

ლექსო ბერიკას მიუახლოვდა. გრილი ღამე იყო, მაცოცხლებელი. შავად ჩანაოჭებულ ცივგომბორის მთებს მთვარე წაფერდებით აშუქებდა. იძინებდა სოფელი.

— სარდოსთან არ მიხვედი? — ლექსო გვერდით დაუჯდა ბერიკას. მახლობელი ადამიანის სუნი იგრძნო, საყვარლად ტკბილი და მშობლიური.

— ადრე დაწოლილიყო, უთენია ჰიაურში მივდივართ.

— თავისი ღვინის გემო კარგად ეცოდინება.

— რაზე ამბობ, მაგას?

— არაფერზე... მოსაწევი არ გექნება, შენა?

— არ ვეწევი.

— ვის ეურჩები, ბერიკავ, ან რაზე მიწყრები? — ეს თქვა ლექსომ და გაუჩერებული ასევე დარჩა, კისერგაწვდილი.

— გასაწყრომი რა მაქვს!

კარგა ხანს დადუმებულები ისხდნენ მამა-შვილი. შორს, სოფლის ბოლოზე ყურსმიჩვეულ ფეხის ხმას მაინც უყეფდნენ ძაღლები. ღავღავითა და წკმუტუნით გააცილებდნენ და ისევ გაიტრუნებოდა გარემო. ბერიკა ჩაბინდებულ მთებს უყურებდა. მაღალ, უმოძრაო ცასაც შეხედავდა და შორს, აქედან ძალიან შორს მიფრინავდა იმისი ფიქრი. „ნეტავ რა ხდება იმ მთებს იქით?" ამოტივტივდა ცნობიერებაში, მერე დაიძრა, წამოვიდა და წამოიზარდა მრავალსართულიანი სახლები, გაჩირაღდნებული პროსპექტები და კაფე-რესტორნები. გუგუნებდა ქალაქი. მუსიკის ხმა. ხალხსავსე ქუჩა. მანქანები და ტროლეიბუსები, შორიდან აგრერიგად ლამაზი რომ ჩანდა. ბედნიერი წყვილების სიცილ-კისკისი. ტრიალებდა და ტრიალებდა, ბაწრის გორგალივით ეხვეოდა ფიქრი.

ვენახის ბოლოზე, აშმორებულ წყალში ბაყაყები ყიყინებდნენ, თავის ზვინთან გარინდებული ცხენი ფრუტუნებდა. შრიალებდა ვერხვი.

— ჩაგეძინა, მამავ?

— არა. ამ გავერანებულ მიწაზე ვფიქრობ, შვილო. არა და არ ვენებდება, ეს ტიალი... წამო, დავიძინოთ, გვიანაა.

სიცხე-პაპანაქებამ ჯალღა-თუთებს, ლეღვებს, ხომარდულებს, ვაშლს, მსხალს და ატამს — რაც კი ლექსოს ბაღვენახში ხეხილი ედგა — ფოთოლი დაუჭკნო და ერთიანად მოუფშრუკა: გვალვისაგან იღუპებოდა ვენახი.

სამხრობა რომ გადავიდა, ჩრდილი ოდნავ წამოიზარდა. კაცები ისვენებდნენ. ბერიკა ხართუთას კენწეროში მოქცეოდა, დაუმწიფებელი თუთა იყო, სისხლისფერი. გამაგრებულ ყუნწებს ფრჩხილებით წყვეტდა და თან გაღმაგამოღმით იყურებოდა. შორს, ალაზანი ქალის ტყეს კვეთდა შუაზე და ალაპლაპებული მიიმდორებოდა.

ხართუთიდან ჩამოხტა ბერიკა და ლეღვებისკენ გასწია. კავით ტოტი მოიწოდა, დაზნიქა, ორიოდე გუდა ლეღვი მოწყვიტა და ჰამ-ჰამით გამოიქცა. ზაფხულის ხვატით აღგზნებული და ძალადაუხარჯველი აქეთ-იქით აწყდებოდა, მოუსვენრად დაშლიგინებდა. გოგროხას, მერმე ხელნებს გადმოახტა, მარანთან მიყრილ ფიცრებზე გამოირბინა, — უუხო! — უცბად მწარედ ამოიგმინა, გადმოხტა აქეთ, მარცხენა ფეხზე ხელი იტაცა და მარჯვენაზე ხტუნვა-ხტუნვით დატრიალდა.

— რა იყო, ბიჭო? — გამოსძახა ლექსომ.

ბერიკა მიწაზე დამჯდარიყო, მუხლში მოხრილი ფეხი ჰაერში გაეშეშებინა.

— რა მოგივიდა-მეთქი, ბერიკავ?!

— ლურსმანი მეტაკა.

— მიდი, არაყი წაისვი, არაყი! რა ნადირივით დაძრწიხარ დღე-ღამ-ბო-ყო-

რეს აწყდები. ვერ გაჩერდები ერთ ადგილზე?! ადექი, არყით გაიწმინდე!

— არ მინდა! — ტკივილისაგან სახე დაელმანჭა, წამოდგომა ეზარებოდა და ლურსმანს გადახედა, დაჟანგულია თუ არაო. კედი ძლივსძლივობით გაიხადა, წინდა წაიძრო და ფეხის გულზე გამოჟონილ სისხლს თითი გაუსვა.

— ოღონდ კი თავი გაარიდოს და თუ გინდა ქვა აკოდინე, — ჩაიბუხბუხა ლექსომ. — არაყი წაისვი-მეთქი, არ გეყურება?!

ბერიკა მძიმედ, წელაეთრევით წამოდგა. — შე კაიადამიანიშვილო, დაგეძრო ეს ლურსმნები. რა იქნებოდა! — ჩაიბურტყუნა და ფეხათრეულმა შინისაკენ გასწია.

— თვალები რისთვის მოუცია ღმერთსა?! — ლექსომ ფირანას სიგარეტი გამოართვა და მოუკიდა. — ი დედაკაცი სადღა დაიკარგა?

ბერიკამ ფეხზე ცივი წყალი გადაივლო და ტახტზე გულაღმა გადაწვა. სიგრილეში ყოფნა სიამოვნებდა. მზის სინათლით გაჩახჩახებულ ფანჯრისკენ გახედვა არ უნდოდა. გაბრუებული და მოთენთილი, კისერს აქეთ-იქით ატრიალებდა. მალე ტკივილმა გაუარა. ფეხებგაშხლართული იწვა და იზმორებოდა. მერმე ხელები გაჭიმა, ჰაერში ნახევარწრე შემოხაზა და კეფის უკან გადააჯვარედინა. ვერ მოისვენა. პირქვე გადაბრუნდა, გამაგრებული ძუძუსთავები ეტკინა, მუთაქა ჩაბღუჯა, მკერდქვეშ ამოიდო და გაიზმორა. „ნეტავ მალე დაღამდეს“. ჯერ მზე არ დაქანებულიყო. საძირკვლის თხრას არა და არ დაადგა საშველი — ამაზე ნაკლებად დარდობდა. დაბინდებისას თაკოს უნდა შეხვედროდა ვენახის ბოლოზე.

— სად დაიკარგე, რა დაგემართა ბერიკავ?!

— გააჭირა საქმე. — ტახტიდან ძლივს წამოდგა, კამოდთან მივიდა და უჯრები ამოქექა. თეთრწინწკლებიანი ნაჭერი ამოიღო, ფეხზე გადაიხვია.

ეზო-ეზო კოჭლობით წამოვიდა ბერიკა.

სამთავენი ჩადგნენ საძირკველში. ღილაუთენია რძალმა ლექსოს შემოსძახა — დიბირა საქმეზე წავიდაო ლაგოდეხში. მესამე დღე ღამდებოდა. გაგიჟებას იყო ლექსო. დათმკლავებდნენ, ბარ-ნიჩაბს, ძალაყინსა და წერაქვს მიწას აცვეთინებდნენ, ოფლად იღვრებოდნენ, უჰაერობისაგან სახე უხურდათ, დააჭერდა კისერში მზე და მაშინ გამწარდებოდა სული. — ამან თავისი და მე ჩემი! — თავშეკავებული ლანძღვა-გინებით გულს ვერ იოხებდა ლექსო. ეს რა ბედუკუღმართად წამივიდაო საქმე.

— მე თუ გინდა ხარივით მამუშავე! — ამბობდა ფირანა, უნდოდა ლექსოსთვის ნუგეში ეცა, მაგრამ მარტო ნუგეში რაში სჭირდებოდა ლექსოს, მოდიოდა და მოდიოდა ფხვიერი მიწა.

— ბერიკავ, შენ მიწის ამომყრელი არა ხარ. ლომი აილე ან წერაქვი დაიჭი.

„აღარ დამეხსნება! სიტყვას არ იტყვის, არ გამკენწლოს. მამები სხვებსაცა ჰყავთ, მაგრამ შვილისთვის თვალი არავის დაუდგამს“.

ლექსომ ბერიკას შეხედა — ბიჭი პირისპირ იდგა, სახეალეწილი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, წერაქვს ურტყამდა. ყოველ დაქნევაზე ხვნეშოდა, თითქოს დევის გულმკერდიდან ამოდიოდა რიტმული ამოძახილი და მამას ყველაზე ძალიან ამ ხმის გაგონება უხაროდა — სიყრმიდანვე შეჩვეულ საკუთარ ხმას ისმენდა. „ჯიუტი სისხლი აქვს. ჩემი ნაშიერი აბა ვის ემგვანება. მაგრამ თვალი სოფელგარეთ რათ მიურბის... ჩემი ქვეყანა ჩემი სახლ-კარით იწყება, ბერიკავ! სახლი მაგარ საძირკველზე უნდა იდგეს, ეს არი ქვეყნის ფუფუნება. არ დავთმობ, არა! თავისას არ გავაყვანინებ. აი, ბოლოს, დავადგებით სიმაგრეს, მაშ რა იქნება!.. ბაღვენახი დაქანცული ჯანით ჩამჩყრია... ჰეი, სოფელო! ჭიშკარი თუ სარეცხო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით აგიფრიალა ქარმა, მორჩა, გათავებულია შენი საქმე! ვინ გამოგიჩნდება პატრონი! მაშ, ქალაქში მიდიან? გათავხედდნენ ეს ძაღლიშვილები, აყრილან და ერთიანად ქალაქში მიეხვეტებიან. მაშ, ქალაქი, არა?!“ მოულოდნელად ლექსომ ამოიხრიალა, შუბლზე ხელი იტაცა და უკან უნდა გადაქცეულიყო, ფირანა ამოუდგა ზურგში. ბერიკა რეტდასხმულივით იდგა, საფეთქელში სისხლი ურტყამდა და ხელში შერჩენილ წერაქვის ტარს დაბეჩავებული დაჰყურებდა.

ლექსოს თვალთ დაუბნელდა. შუბლზე თქრიალით წამოუვიდა სისხლი. თავს ძალა დაატანა, ფირანას ხელი აუკრა და განრისხებული ნიჩაბს დასწვდა.

— მოგკლავ, შე სისხლძაღლო, მოგკლავ!

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე. ღმერთო, მიხსენი ცოდვა-უბედურებისაგან. — ვენახიდან ვიშ-ვიშით გამორბოდა ბაბალე და კაბის კალთაზე ხელს იტყაპუნებდა.

ბერიკა ჯერ გაქვავებული იდგა. მერმე დარწმუნდა, ლექსოს ვერ გადაურჩებოდა და საძირკვლიდან სწრაფად ამოხტა.

— ლექსო, შენი ჭირიმე, ლექსო! ღმერთო, შენ მიშველე! — მუხლებზე დამხობილმა ბაბალემ პირჯვარი გადაისახა, თავსაფარი წაიძრო და ფირანას ჩააწოდა.

— დამეკარგეთ აქედან, დამეკარგეთ! — ხელისგული შუბლზე აიფარა, გაბარბაცდა და ნელ-ნელა ჩაჯდა.

— შემთხვევით მოუხდა, ლექსო. ნუ გაჯავრდები, კაცო!

ლელვის ბუჩქებთან ჩამალულმა ბერიკამ ფირანას ხმა გაიგონა. ახლა გაიგო პირველად, წერაქვი თურმე შემთხვევით წაუძვრა ტარიდან. „რაღაზე უბედურება დატრიალდებოდა“, — ჩაიბუტბუტა და უფრო შეშინდა, გული ბაგა-ბუგით ეხმიანებოდა.

ლექსო შინ შეიყვანეს, ტახტზე ჩამოსვეს. ბაბალემ ცივი წყლით შუბლი მობანა, თუთუნი დააყარა და რბილად შეუხვია. დაწექიო, ემუდარებოდა, ლექსო სმენადახშული იჯდა.

ქათმები კრიახ-კრიახით შესხდნენ ხარიხებზე და დაიბუდეს. ფირანა წავიდა.

ღამდება, დანანებით თქვა ლექსომ, თვალები დახუჭა და დიდი ხნის ნანატრი სურათი დაინახა: კალატოზებს კედლები აჰყავდათ. „კუთხე დაიჭი, კუთხე“, ამბობდა გულში. აქანქარებულ თარაზოს თვალსა და გულს გააყოლ-გამოაყოლებდა ხოლმე. კანაფი ერთხელაც შეირხა და ლარივით დაიჭიმა. „თორმეტი მარტო ფანჯარა ექნებაო“, გახარებულმა შესძახა... „ბუხარი არ დაგავიწყდეთ, ბუხარი! კარ-ფანჯრებზე ძველებური თაღები დაამშენეთ... სახლი მაგარ საძირკველზე უნდა იდგეს!“.

ლექსომ თვალები გაახილა. ბაბალე გაშტერებული მისჩერებოდა.

— რა გემართება, ლექსო?

— არაფერი, წადი, ბერიკა მოძებნე. ხმას არ გაგცემს-თქო, უთხარი.

— შეშინებულია ბიჭი. დაწყნარდება და მოვა, სად უნდა წავიდეს?

— წადი, ჭაბურღილის წყალთან იქნება. საძროხე ფერმაში არ შეიტყუოს ი გოგო და არ დაღუპოს. წადი, შორიდან დაუძახე.

— წამოწექიო, ერთხელაც უთხრა ბაბალემ. თავსაფრის ბოლოები ლოყებთან ჩაიკეცა და გარეთ გავიდა.

— წამო, ვენახში გადავიდეთ, — უკვე მესამეჯერ ეუბნებოდა ბერიკა. ჯიბეში ხელებჩაწყობილი, თაკოს პირისპირ იდგა. მაგრამ თავჩაქინდრული თაკო, თითქოს ზეზეურად ჩაეძინაო, ხმას არ იღებდა. „გადმოდი, გოგო, ნუ გეშინია“. „ვაიმე, ბერიკა, სირცხვილია! თავზე წამოგვადგება ვინმე, წავიდეთ აქედან“. „მამაჩემი თავგატეხილი წევს. სხვა ვინ შემოეხეტება ვენახში“.

დიდხანს გაჩუმებულები იდგნენ. ბერიკამ თვალებში ჩახედა და ხმაშეცვლილმა ჰკითხა:

— არ გადმოხვალ?

— გადმოვალ, ოღონდ დიდხანს ვერ გავჩერდები.

ბერიკამ ბოლოდან შესასვლელი კარი გაალო და თაკოს ვენახში შეუძღვა. თაკო ზურგსუკან შეშინებული მიჰყვებოდა. უცბად შეჩერდებოდა, გადამხმარ ბალახებზე ფეხს ნელა ადგამდა და გრძნობდა, მისი აქ მოსვლა მარტო სიხარულს კი არა, ბუნდოვან შიშსაც იწვევდა.

— აი, აქ დავსხდეთ. — თქვა ბერიკამ. თაკო არ გასძალიანებია — ვაშლის ხის ქვეშ ჩამოსხდნენ, კაბას ორივე ხელი ჩაავლო და დასწია, მუხლებზე დაიფარა. გულში წყენაჩამდგარი ბერიკა შეიშმუშნა.

— ნეტავ, არ მოვსულიყავი, მამახემმა რომ გამიგოს, მომკლავს.

— ვერ გაიგებს, — ბიჭს დაუფიქრებლადვე მზად ჰქონდა პასუხი. — მეც მეხხუბება. დღე და ღამე მოსვენებას არ მაძლევს.

— ვინა?

— ვინ და მამაჩემი. სახლს გიშენებო, აუჩემებია. მაგისი არც სახლი მინდა და არც ეზო-ჰიშკარი. მე მაინც აქ დამსახლებელი არა ვარ! თბილისში გავიქცევი. წავალ და ადამიანურად ვიცხოვრებ... შენც წაგიყვან.

— მეც? — თაკო დიდად გაკვირვებული ჩაეკითხა. ვაჟისკენ გადაიწია, მხარზე თავი დაადო და გაიტრუნა.

ბერიკას მოუთმენლობისაგან სუნთქვა ეკვროდა. უნდოდა ბალახებზე გადაეწვინა გოგო, მაგრამ ვერ ბედავდა. მერმე ეძგერა და გაშმაგებით დაუწყო კოცნა. კოცნიდა ყელზე, სახეზე, თვალებში. ის იყო, გაბრუებულები და თრობამორეულნი გადაწვნენ კიდეც. „ბერიკა მეშინია, ბერიკა", — დაიჩურჩულა თაკომ. ბერიკამ მხრებზე ხელები მაგრად მოხვია და ყურისძირში დიდხანს, დიდხანს კოცნიდა. თაკომ ხელები სახეზე აიფარა დაჩურჩულით ამოთქვა: „ბერიკა, გამანებე [illegible] თვითონ არ ესმოდა, რას ამბობდა, ცხენის ფრუტუნი უფრო კარგად გაიგონა. როცა ეს ხმაც მიწყდა, ბერიკას სიტყვა ჩაესმა: „ნუ გეშინია". ნეტარების მომგვრელმა მომთენთავმა სითბომ დაუარა. „მართლა წამიყვან, ქალაქში?" კითხვა ამ დროისთვის მოულოდნელი იყო, და ბერიკას ბაგეს — წაგიყვან, წაგიყვანო, ინსტინქტურად ამოსცდა.

— ჰაიტ, შე ძაღლის ლეკვო! — ბერიკას ბეჭებზე სახრემ გაიშხუილა. გამწარებული ბალახებში სწრაფად გადაგორდა. ხელებზეწამოწეული გაბობლდა და ანაზდეული სიმარდით გაიქცა, ღობეს თავდაუზოგავად გადაევლო.

— სად გამექცევი? — უკან მიჰყვებოდა ლექსო. მერმე გოგოს ტირილი შემოესმა, შეჩერდა და სწრაფად გამოტრიალდა. თაკო სახეზე ხელებაფარებული, სუსტი და აცახცახებული მხრით ვაშლის ხეს მიყრდნობოდა. გარინდებული იდგა ლექსო. ეს ამბავი თითქოს ოდესღაც ენახა და საკვირველი არაფერი იყო. დრო უკან-უკან დატრიალდა. ფეხშიშველმა ბიჭმა თუთუბოიანი ფერდა ჩაირბინა, ცამეტმილას წყალთან მივიდა და ნავში ჩახტა. მერმე დიდხანს, ძალიან დიდხანს ბანაობდა. ყინულივით წყალი იყო, სიცივეს კი სრულებით ვერ გრძნობდა.

თითქოს დიდი ხნის წინანდელი წამი განმეორდა. ლექსო ცოცხალი და მოელვარე თვალებით — ცოცხალი კი არა, განსახიერებული სიანცე — ერთსუნთქვადქცეული მისჩერებოდა ბაბალეს... განმეორდა და გაქრა, თავის ადგილას გადაინაცვლა.

ლექსო შეძრწუნდა. თაკო შეშინებული ტიროდა, და კაცს ამ პატარა გოგოსი თვითონ ერიდებოდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

— სუ! ნუ ტირი, შვილო, ნუ ტირი! — გულში კი ფიქრობდა: ჩემი რომ იყო, მაგ ვაშლის ხეზე შენივე თმებით ჩამოგახრჩობდიო. და მხრებდამძიმებუ-

ლი წამოვიდა. ათიოდე ნაბიჯი გადადგა, ჩუმ-ჩუმად უკან მიიხედა და ტოტებდაზნექილი ვაშლის ხე დაინახა.

„ეს რა გამახსენდა ამ ჭირსა და ვაივაგლახში“, — ლექსომ შინისაკენ გასწია... საძირკველში დაფიქრებული იყურებოდა. მერმე გაიხედ-გამოიხედა, საძირკველს გულმოწყურულმა გადაალაჯა და შინ შევიდა.

— რა შეგიჩნდა, რო ვერ მოგისვენია? — აბუზღუნდა ბაბალე.

ლექსომ მხრებზემოხურული ლაბადა სიბნელეში მოიხსნა და საბანქვეშ შეწვა:

— ეს ოხერი კუჭი ამეშალა. — ამოიხვნეშა და გვერდი იცვალა. დიდხანს ხმას არ იღებდა. არ უნდოდა მისი აწრიალება ბაბალეს გაეგო. დაჩუმება არჩია, მაგრამ წვალობდა, ტრიალებდა.

— კიდევ გტკივა მუცელი? — ჰკითხა ბაბალემ და ლექსო უფრო აფორიაქდა. დედაკაცმა თითქოს ყველაფერი იცოდა და უმალავდა.

— ცოტა დამიამდა... ბაბალე, დილით ჩემ ქვისლთან გადადი, ტიბაანში. იქნება ამოვიდა მინდვრიდან, პატარა ხელს წამოგვაშველებდა.

— ნეტა, რას ამბობ! მოხაშებული მაქვს, დილაზე პური უნდა ჩავაკრა. როდემდე ვჭამოთ გაკორაწებული პური? საცხობს ხო ვერ ვუღალატებ?!

— შენ და შენი საცხობი!.. ბაბალე, ბიჭი არ დაბრუნებულა?

— ჯერ არ მოსულა, — სიტყვას კვნესა ამოაყოლა ბაბალემ. — კაცო, არ უნდა დაიშალო შენი სიგიჟე?

— ჩაიწყვიტე ხმა! — გაუბრაზდა ლექსო. — მიდი, ნახე, იქნება მოვიდა.

— რა თავგუნება კაცი ხარ, ადამიანო?! ეხლა არ ავდექი ორჯერ?

— კიდე ადექი. მე ვიცი, რო მოვიდოდა, ნამდვილად მოვიდოდა... მაშინაც ეგრე არ იყო? შიშით არ შემშინებია. კაცი ვიყავი, რაზე უნდა შემშინებოდა. მივედი და სახლში დავიძინე.

— როდის ლექსო, რას ლაპარაკობ?

— კვირაძალი იყო, აი, ცამეტმილას ნავში რო ჩავჯექი, შენ არ გეხსომება. მეორე დღეს ალაზანზე მამაჩემი მოკლეს ყაჩაღებმა.

— რომელი კვირაძალი, რაღა დროს მამაშენი და ყაჩაღებია? ნეტავ რამ გამოგაჩერჩეტა, ჰა?!

— მე რომ არ წავწყდომოდი, ი გოგოს დაღუპავდა, მართლა დაღუპავდა.

— ვინ ვის დაღუპავდა. ვის გოგოზე მელაპარაკები, კაცო?

— ჰა?... ვინაა ჩერჩეტი? რას არ მოიგონებ ხოლმე, ქალო. რა აბდაუბდა ლაპარაკი იცი!

ჩუმად იყო ლექსო. გათარსებული საძირკველი აღარ ახსოვდა. ხერხემალი გაუთბა. მოგონებები ჭინკებივით დასხდნენ ზურგზე — როგორც დაამშვიდეს, ისე აафორიაქეს. „იქნება მართლა არაფერი ყოფილა? — დაეჭვდა და გულშეკუმშული დაიძაგრა. — იყო, ნამდვილად იყო... ვიცი, რო არ შემშინებია. კაცი ვიყავი და რაზე უნდა შემშინებოდა?“ — საწოლიდან ფეხები გადმოყო და მეორე ოთახში ფეხაკრეფით გავიდა.

— არ მოგასვენა მამაზეციერმა! — წყევლა დაადევნა ბაბალემ. — შენი ფხუკიანობის გულისთვის, ვინ იცის, ი ბიჭმა სად დაიძინა.

ბერიკას საწოლთან გაშეშებული იდგა ლექსო. ფანჯრიდან შემოღწეული შუქი ბერიკას თმაჩამოშლილ შუბლსა და სახეს უნათებდა. ჯიუტი, გამკაცრებული სახით იწვა, გულში ბოღმა თუ ჩაჰყოლოდა.

სიამაყითა და სიხარულით გულავსებულმა ლექსომ მახლობელი ადამიანის საყვარლად ტკბილი და მშობლიური სუნი იგრძნო. დაიხარა, ბერიკას შუბლზე, თმასძირში ნელა აკოცა და ქურდულადვე გაბრუნდა უკან, კარი სიფრთხილით გაიხურა.

ბერიკას გული გამალებით უცემდა. მამა რომ შემოიპარა — თავი მოიმძინარა, სუნთქვაშეკრული იწვა. ახლა, მარტოდარჩენილს, ძარღვები გაუთბა,

ყმაწვილობის შემდეგ მამის კოცნა არ ახსოვდა. ლოგინში ველარ გაჩერდა, საბანი გადაიძრო, კედებში ჩაყო ფეხები და ეზოში გავიდა. საძირკველთან მიმდგარი ლექსო აქედანვე დაინახა, შეჩერდა, მერმე შეეხმიანა: — სიღრმე რამდენია მამავ? — და მიუახლოვდა.

— მეტრი და ოთხმოცდახუთი... შენ რატო არ გეძინება, ბერიკავ?

— რა ვიცი. ეგეთი გრილი ღამეა, ძილი დამიფრთხა. — ზევით ყვითლად ავერცხლილ ცივგომბორის მთებისაკენ გაიხედა. აი, იქ მინდა წავიდე და დილამდე ვიხეტიალოო, გულში უთხრა მამას.

ბიბლიოთეკა

— დილაზე ადრე უნდა ადგე. სარდომ მითხრა, გადმოვალ და წაგეშველებითო.

— დილით ადრიანად დავკრავ წერაქვს, ნუ გედარდება!.. მამავ, მალე გამოჩნდება ყადიმი?

— გამოჩნდება ბერიკავ, გამოჩნდება. სახლი მაგარ საძირკველზე უნდა იდგეს... წამო, დავიძინოთ!

დიდი ხანია სოფელს ღრმა ძილით ეძინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იონა ვაკელი

## ჩვენი ცხოვრება

ზოგს ეჯავრება წუთისოფელი,
და მაინც უყვარს ლაღად ფოფინი,
მაგრამ ყველაფრის უარმყოფელი —
ქვეყნად თვით არის უარყოფილი.
და ვიბრძვით მაინც ნათელი დღისთვის,
შრომაში ცოცხლობს ხალხის დიდება,
რა სჯობს იმ ერთ წუთს — სიყვარულისთვის
თვალზე რომ ცრემლი დაგვეკიდება!
და ეს ნამდვილი არის ცხოვრება,
მისგან ვითვისებთ ბრძნულს და ჭკვიანურს,
ჩვენ არაფერი გვეუცხოება,
თუ ის გვაგონებს ადამიანურს.
და მუდამ ასე, ცხოვრების გზაზე —
ჩვენი დღეები ბრძოლაში მიდის,
რა ცოტას ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე
და სიყვარული მაინც გვაქვს დიდი!

## ელეგია

სულ ასე რად ჩანს სოფელი —
მინდვრად გადაშლილ ჭილოფად,
ხან თავზე ვარდებს დაგაყრის,
ხან გაგირთულებს ჭრილობას...
და მაინც დიდი მადლია
მისი მცირედი წყალობა,
ხან ყვავის ჩხავილს მოისმენ,
ხან კიდევ შაშვის გალობას.

ნუ ეშინია სიკვდილის,
რომ სტოვებ მხარეს მზიანსა,
სიყრმიდან განუშორებელ
მეგობრებს თავაზიანსა,
აყვავებულსა ბაღნარებს,
მინდვრად გადაშლილ იასა,
ერთხელ ხომ უნდა მივადგეთ —
სამარის კარსა ღიასა,
იქ, სადაც მამა-პაპათა
არის მუდმივი ალაგი,
იმათი მყუდრო სავანე
და ჩვენი ძვალშესალაგი!

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## მიპატიებია

ვხედავ შენს წალკოტში ლურჯად რომ აშუქებს —
ო, რა მიმზიდველი ნაზი იებია,
მაგრამ შენ იმათგან ერთიც არ მაჩუქე,
მაინც არ გემდური, მიპატიებია!

ეგ შენი სინათლე, ვაი თუ ჩამიქრა,
თვალები, თვალები გიშრის მძივებია,
ახლოს არ მოდიხარ, გულში რომ ჩაგიკრა,
მაინც ვერ გიმეტებ, მიპატიებია!

დგას გულში ნაღველი, როგორც შავი მღვიმე
და სულიც ლოდინში შემომცვიებია,
ხომ ვიცი, ო, ვიცი აღარ გამიღიმებ,
ეს უღვთო თამაშიც მიპატიებია!

## ვარდი

რა ლამაზად გადაშლილხარ,
გულიც კოხტად გაგიღია,
ირგვლივ აფრქვევ უცხო ფერებს,
სურნელებით ათრობ ნიავს...
ვინც შეგხედავს — ტყვეა შენი
და თვალები რჩება ღია,
შენი ეშხით გულდამწვარი
ბულბულებიც ცრემლსა ღვრიან!
— ეჰ, რად მინდა რომ დროებით
თუნდ ხამოთხეც იყოს ღია,
წუთით ლხენა-გართობაში
არაფერიც არა ყრია.
ვინც მოსულა, ისევ მიდის,
ზოგს ფრთებიც ვერ გაუშლია,
ამ ქვეყნიდან ჯერ არავის
არაფერი წაუღია!

— მაშინ იამ რა უნდა თქვას,
იმ პატარა, ნაზმა იამ,
კოკრები რომ უჩანს მხოლოდ
და გაშლაც ვერ მოუსწრია,
დგას ჩუმად და დამორცხვებულ!
თვალიც კი ვერ გაუღია,
არც ჩიტები უგალობენ,
არც ფუტკრები ეხვევიან?
— ეჰ, სანამდე კოკრად ჩანხარ,
ეს დრო შენი სიცოცხლეა,
მიწაც თბილად გიალერსებს,
ირგვლივ ტყე და გარეთ მზეა...
ასე არის, ეს ცხოვრება,
ხან მწარე და ხან ტკბილია,
არ გაშლილხარ, გაშლა გინდა,
გაიშლები — სიკვდილია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კობერიძე

# კალია

მოთხრობა

ნარბილის შალაფასავით აყლარწულა მემარნიანთ გოგია, შეხედავ და კინაღამ საქორწინოდ მიტანებული გეგონება, არა და ცამეტისაა ჯერ! რაც მართალია მართალია, არავინ ემდურის სწავლაზე, მაგრამ ერთი ეს არის, ქვეყანას თავი მოაბეზრა სიცილით. ბევრიც ეცადოს, თვითონაც ვერ გაიხსენებს, ამ სიცილმა რამდენჯერ გამოაგდო გაკვეთილიდან... რაღა შორიდან მოვუაროთ, გუშინდელი გავიხსენოთ. აგერ, დღესაც დაიწყვიტა ფერდები — კედლის საათს ახედავს და ხითხითებს. თქმით არაფერს ამბობს და, კარგი ბიჭი ხარ, იქნებ გაარკვიო, რა აცინებს. აი, ასე, სიცილ-ხითხითით მოდის და მოიყლარწება.

კიდევ ერთხელ ახედა კედლის საათს, გაიფიქრა, ჯერ ექვსამდეც შორიაო, მერე ახალთახალი ფარდაგი აიღო აივნის მოძველებული ტახტიდან, მუთაქაც ჩაიყოლა, ეზოში, ხართუთის ქვეშ, სკინტლით სავსე გრილოში გაფინა, წამოწვა და, ვიდრე გუშინწინდელ გაზეთს გაშლიდა, მარნიდან მამამ გამოსძახა:

— ვერან! დედაშენი მწვანილის მოსატანად გადავიდა შინა ვენახში და წუთი წუთს დაბრუნდება!

— მეც აკი იმას ველოდები, ძუძუ მომინდა!

— ემაგ ფარდაგს თავზე რომ ჩამოგაბღერტავს, შენ ისიც იკითხე!

— რა ვქნა, შენ რათა გტკივა ჩემი გვერდები?!

— მე გაგაფრთხილე და მოვრჩი!

— მეც გავიგე და მადლობთ!

გოგია გაზეთს კითხულობს: მესამე გვერდიდან დაიწყო და ყველაფერს საგულდაგულოდ უკირკიტებს. მზე რომ შუბის ტარზე დავა, უბნის ბიჭები სანაძლეოზე მაშინ დაედევნებიან ბურთს, მანამდე კი ქალაქის ტოლა დღეა ჩამოსასვლელი და ისევ ამ გაზეთით უნდა მიასუსტოს; ამასობაში ფოსტალიონიც გამოჩნდება, გუშინდელ გაზეთს მოიტანს და ისიც მოეშველება...

აგვისტოს სიცხით გასავათებული ქათმები თხილის ჩრდილს შეფარებიან, გაფოფრილები დამხობილან მიწაზე და თვალმილულულნი ქასქასებენ. იმ თხილს იქით, ღორების ნაგორავებ, კიდეებგახეხილ გამდინარე გუბეში იხვები ჰყუმპალაობენ. ზედ გუბესთან, ტალახშემხმარი, სიმსუქნით გაზარმაცებული ნეზვი აბია და ფშვინავს. ხელზე გარყვნილი, უჯიშობით გალაღებული ბურვაკი ისე ჩახუტებია

ნეზვს, თითქოს ულრუბლო ზამთარია და დანაქრაო... ნეზვი ჯაჭვის ჩხრიალით მხოლოდ მაშინ წამოსწევს თავს, როცა ჭიანი კაკალი მოსწყდება ტოტსა და ტყაპანით ვარდება გუბეში. დაფეთებული იხვები ყვიტყვიტით ებლოტებიან გვერდებგახეხილ გუბის კიდეებს. ბურვაკი კი მშვიდი ღრუტუნით ინაცვლებს გვერდს.

კიბის ქვეშიდან გამოძვრა და გუბისაკენ ცერ-ცერ მილაყუნობს ენაგადმოგდებული ლეკვი; ეტყობა, დედით სეტერია, მამით — კავკასიური ნაგაზი. დაფიქრებული მიდის ლეკვი და, ხართუთის ქვეშ, ფარდაგზე რომ შედგამს ფეხს, ბიჭი გაზეთს თვალს მოარიდებს:

— მამა გიცხონდა, გზა რომ გაიმრუდო, ფიქრი გაგეფანტება და უჯორო ფანდურს ველარ გამოიგონებ!

ლეკვმა ქასქასი შეიჩერა და ბიჭს ენის წკლაპუნით მისჩერებია — კუდს ნება-ნება აქიცინებს.

— არ გეყურება, შობელძაღლო?

ლეკვმა ყურები დაიბერტყა, აფრენილ ბუზს წაეტანა — კაპუნით მოუქნია ყბა, მერე დააკვირდა, მიაყურადა, აბა, კიდევ თუ გამოიფრენსო.

— დაიჭერ და ნახევარი ჩემია! — ხითხითებს ბიჭი, — ბარვას არავინა გთხოვს და თოხნას, დაიყეფე ხოლმე, თორემ ამ ეზო-ყურედან გაგასახლებს დედაჩემი და მე აღარ დამაბრალო!

ლეკვმა ყურები გადაიყარა, თვალები მიწკურა და ელაქუცება.

— მერე ეგ ველარ გიშველის, ოსტატო, დედაჩემის მუქარა შენ დიმპიტაური ნუ გგონია!

ლეკვმა ბიჭს დინჯად გადააბოტა ფეხებზე და ქასქასით წავიდა გუბისაკენ. იხვების ჰყუმპალაობით ამღვრეულ გუბეს რომ მიაღწია, თქლაფა-თქლუფით დალია ჩაშავებული წყალი. ორიოდე ნაბიჯით ზემოთ რომ მიმდგარიყო, კამკამა, გამჭვირვალე წყალს დალევდა, მაგრამ იმ ორიოდე ნაბიჯის გადასადგმელი დრო სადღაა — ბუზებს უნდა გაექცეს და კიბის ქვეშ, ცოცხებში შეყოს თავი.

ლეკვის თქლაფა-თქლუფზე ნეზვი არც გაჩუჩუნებულა, ბურვაკმა წამოიღრუტუნა და გვერდი მოინაცვლა. იხვები კი გუბის ერთ მხარეს მიქუჩდნენ და ყვიტყვიტით დააფეთეს ღობის მარგილებზე წამოსკუპებული ჩიტები...

მარნიდან გოგიას მამა გამოვიდა, ერთ ხელში სველი დოქი უჭირავს, მეორეში — თლილი ჭიქა. მზეში ჩერდება, ჭიქას ღვინით მოაპიპინებს და დააყოლებს:

— ხო, ხო, ხო, მზე იმტვრევა შიგა! — სავსე ჭიქას თვალებთან მიიტანს, გახედავს, ჯერ ცოტას მოწრუპავს — დაიგემოვნებს, მერე სვენებ-სვენებით დალევს, დოქსა და ჭიქას ჩრდილმომდგარ დირეზე შემოდგამს, ტუჩებზე შიშველ მაჯას გაისვამს და გზის მხარეს, ნამშრალში შედის. სახლის კედელი და გალავანი შიფერით გადაუხურავთ და შიგ მოძველებული, გალეული თვითმცლელი შეუფარებიათ. მანქანის აქეთ-იქით გაცვეთილი საბურავები, ნაირნაირი ჭანჭიკები, ჯართად ქცეული ღერძები, დაღვლარჭნილი ბრტყელი რკინები, მანქანის უქართულსახელო ნაწილები და ათასი ხარახურა ყრია. იქაურობა მაზუთითა და ბენზინის სუნითა ყარს. საწყალი მიწა!

ეზოში ქალი შემოდის და ქმარს რომ დაინახავს, მაშინვე აქოთქოთდება:

— ემაგ მანქანამ წამართვა ეს მშვენიერი ადგილი, თორემ ამ მწვანილის მოსატანად შინა ვენახში რა ჯანდაბა და დოზანა მინდოდა!

— ქონდარი არ გამოაყოლე? — მშვიდად ეკითხება ქმარი.

— მაშ უმაგისოდ დაგტოვებდი? — ელიმება ქალს: მოზრდილი სინი ორივე ხელით უჭირავს. სინი წყლის მადლით ნაპატივები მწვანილით არის სავსე. ცოცხალ სიმწვანეში წითლად ირეკლება ხორციანი პამიდორი, — წაიღე, კაცო, და მიაგდე იმ ოხერ გარაჟში!

— ამას, როგორა გგონია, გაძარცვალა-აკლია?

— ის იპარავს, ისა, ათჯერ ნავირის-აბანოვარი ყარაული! აქაოდა, ვიღაცა იმისი ნათესავიაო, მიაბეს სახედარი სულადით თავმობმულ ბაგაზე!

— არა, დაღესტნიდან ლეკები ჩამოდიან!

მამას ამ დროს შვილის სიცილი ესმის და ცოლს ეკითხება:

— შენ გეცოდინება, რაზე მოზვავდა ყორე?

— აღარა ვკითხულობ!.. ნავთს მივასხამ მანქანასა და ცეცხლს მივცემ! აეგრე ვიზამ!

— ცოტა ფრთხილად, კაბა არ აგილოკოს!

— ველარაფერი ვერ გაგაგებინე და, აეგრე ვიზამ! არ გამილანძღა ეს მშვენიერი მიწა?!

— ეგ მიწა დაგაყარე გულზე! — განგებ ილუშება ქმარი.

— **დამასწარი, ღვინის ბურნავ? — ეღიმება ცოლს,** — არ იქნება, მართლა რომ ავაბოლო აქაურობა?

— იქნება, როგორ არ იქნება, მაგრამ მერე მიირთვი ბაბა და ჩიჩია, არ გინდა?

ბიჭი კი ისევ გულიანად იცინის.

კაცი სახლის ჩრდილიდან გამოდის და, ვიდრე მისი ცოლი ახლახან ნაყიდ ფარდაგზე აყვირდებოდეს, შვილს წაადგება თავზე:

— მოიტა, მეც გამაცინე, ვერან!

— წაიკითხე, — ბიჭი გაზეთს აწვდის სიცილით.

მამა გაზეთს შრიალით ართმევს:

— რომელი?

— ეგა.

— რომელი ეგა, ვერან, აქ ოცი მეტი რაღაცაა!

— შენც ადექი და ამოარჩიე.

— ამოვარჩიო, თორემ აღარ შემეშლება?

— თათბირი აქვთ გაღმა! — იცინის გოგია, — ინგლისის თავდაცვის მინისტრიო, იტალიისაო, საფრანგეთისაო, იქითა გერმანიისაო... კიდევ ორიოდე სხვა თავდაცვის მინისტრიო...თავდასხმისა რაღა იქნა?

— ვითომ, რაო?

— თავს ისაწყლებენ! — [illegible] სიცილით.

— ვაი, მე მაგათი დიპლიპიტო რა ვთქვა?!

— აგრემც მოვკვდები! — ისე უცებ შეიცხადა ქალმა, მამა-შვილი შეკრთა, — რაღა ეს ახალი ფარდაგი ჩამოიტანე, შე პირქვე დასამარხო, ძველი ვერა ნახე?!

— ძველი ბუამ წაიღო.

ჯერ არ მოგვიტანია და უკვე გაახრა და გაატიალა!.. ეს რა გაუგებელი ბალღია, ხალხნო?! — **სინს ქმარს აჩეჩებს ხელში.** ქმარი იდაყვს აუკრავს:

— შენ მიიტა და დროით შეუშვირე წყალსა!.. ადე, გოგიავ, იმასთან გადადი, რამანა ძიასთან, მამაჩემმა — რესორი გამიტყდა და წამომეშველე-თქო.

ბიჭი სიცილით წამოდგა:

— როტორს ვეტყვი, ან კიდევ ბარბაცა ლილვსა.

— რათაო?!

— გუშინწინ არ ვუთხარი რესორი?

— ეგ კი აღარ გამხსენებია?

— ამ ფარდაგს თუ არ გადაგაყოლოთ ორივენი!.. — ერთი მხრიდან მიჰყვება და ფარდაგს ახვევს ქალი.

— მოდი, **წყალს შეუდგი მწვანილი**, ეგ ფარდაგი **სად გაგექცევა!**

ქალი წელში გასწორდა:

— რას აპირებ, ლოთბაიავ?

— რესორი გაუტყდა, — იცინის გოგია, — წავალ, მაგრამ არ აჯობებდა, წინ-წინ ქვა მომეძებნა და გამერეცხა?

— შენ იქნება ყურის ძირში გაგცხო!

— გადაიღე მაინც კაცო! — ახლა ამაზე ჯავრობს ცოლი, — ქვებით რომ ამოავსე ქვევრი, ერთხელაც იქნება, ჩასწვდები დოქითა და იმ დოქის ყურიღა შეგრჩება ხელში!

— ეხლა კი ნამდვილად გადავიღებ!.. შენ ისევ აქა ხარ, ბიჭო?! — გოგია რაღაცას ეძებს კიბესთან.

— მართალს ამბობ? — დაეჭვებით ეკითხება ცოლი.

ქმარი ყურადღებას არ აქცევს.

— შენ არ გეკითხებიან?! — არ ეშვება ცოლი.

— გითხარი, გადავიღებ-მეთქი.

გოგია საქათმისაკენ მიდის. მივა საქათმესთან, ღია კარში შეყოფს თავსა და ასე ჩერდება ერთხანს.

— მანდ რას ეძებ, შვილო?! — უყვირს მამას.

— აეს არ დაკლათ, კვერცხის დასადებად რომ ზის საბუდარში, — ამბობს ბიჭი და ისევ კიბესთან ბრუნდება, — მეგრულა ქოჩორაზე გეუბნებით, — კიბის ქვეშ იხედება, — დაიხრჩო, ეს უპატრონო, სიცხით! გამოდი ძაღლო, გარეთ!

ლეკვი ქასქასით გამოიძურწება, თხილისაკენ მიდის და ქათმებს აწიოკებს.

— რათა გგონია, რომ მეგრულა ქოჩორას დავკლავთ? — ეკითხება მამა.

— გაქცევა არ ეხერხება და, შენი ამბავი რომ ვიცი, რომელიც ხელში მოგხვდება, კუნძზე იმას დაადებინებ თავს.

— რა მეშველება? — წუხს ქალი, — ერთიც ვნახოთ, მართლა სტუმარი გვეწვია და იმან მოიწადინა ქვევრიდან ღვინის ამოღება, ხომ ქვეყნის სალაპარაკო გავხდით, კაცო?

— გადავიღებ და მორჩა!

— არ გადაიღებ!

— ვაჰ, კაცო, გა-და-ვი-ღებ!

— კარგი, ამ ერთხელაც გენდობი, ოღონდ ვიდრე ღვინო არ გადაგიღიათ, სუფრის გაშლას ვერ ეღირსებით!

— შენ სულ ეგეთი დამუქრება იცი! — ვითომ უწყრება ქმარი.

— აი, ხომ ვთქვი! ისევ ეშმაკის ცხენზე ხარ გადამჯდარი!

— ცოლად რომ მომყვებოდი, აბა გაიხსენე, როდის დაგპირდი, დალაგებული ვარ-მეთქი? — თან შვილს მისჩერებია, — აღარ მიხვალ, ბიჭო?

— ვიპოვნი და წავალ.

— რას ეძებ?

— ფეხსაცმელებს.

— ეგე, ჩემები ჩაიცვი. არ სჯობია, სულ ფეხშიშველა არ დაზიანდები, რაღა ამ დანა-ყელზე მოგინდა გამოპრანჭვა? გავარდი, სადმე არ გაგასწროს რამანამ, განა ჩემსავით მოცლით არის!

გოგია მამის საეზოვე, ხალვათ ფეხსაცმელებს იცვამს და მიდის. ჭიშკარს რომ გამოაღებს, შემობრუნდება.

— როტორზე ხომ არ ვუთხრა?

— შენ წამოიყვა და, თუ გინდა მოტორი გადამიწვი.

— შვილო, — ეუბნება დედა, — თუ თამარამ გითხრას, ხომ არ მატყუებო, ადექი და მამაშენი დაიფიცე.

— არ დაუჯერო, გოგიავ, — ეღიმება მამას, — დედაშენი გაიხსენე... მე როდის იყო, გიმეტებდი, სულ ეს არა გწყევლის ხოლმე?

— კარგი, ჰო, ორივეს დაგიფიცებთ.

ცოლ-ქმარი ერთმანეთს შესცინებს. მერე ცოლი წყლის ონკანს მოუშვებს და მწვანილით სავსე სინს შეუდგამს.

— მიდი, ვახტანგ, ქათმის დაჭერაზე იზრუნე.

— რა გეჩქარება, მობრუნდება ბიჭი და ის ვერ დაიჭერს? — მარნის დორედან დოქსა და ჭიქას იღებს.

— რაც შენ ხელის გატოკება გემძველელება?! — მწვანილს წყალში ალივლივებს.

— მე რომ ხელის გატოკება მემკვლელებოდეს, ვერც ამოდენა სახლკარს წამოვჭიმავდი და გუშინ არც შენი ძმა მომადგებოდა კარზე, ცოტაოდენი ფული მჭირდება, ხელი გამიმართეო.

— გული ნუ გსკდება, როდის რა შეირჩინა შენი?

— ოღონდ იმან ლოთობა მოიშალოს და კიდევაც ენაცვალოს ჩემი თავი... გოგიავ!

— რა იყო, მამი! — უკვე კარგა მანძილზე გასულა ბიჭი.

— სტუმრები თუ გყავს, არ მოგერიდოს, ისინიც წამოიყვა-თქო!

— მეზობლებიც წამოიყვა-მეთქი?

— მომიჯნეებიცა-თქო!

— მოქალაქე მგზავრებიც ხომ არ გამოვილალო!

— ეგრე როგორ დაემსგავსა თავის ბიძასა?! ერთი იმან იცის ხოლმე გადაკრულ-გადმოკრული ლაპარაკი, — უხარია მამას.

— ნეტაი შენ გამოგყოლოდა შენი ძმის ენა-ნიჭი!

— ამით უფრო არ დამაფასა დალოცვილმა ღმერთმა?..

გოგია მამის ფეხსაცმელების ფლარსა-ფლურსით მიუყვება მატიტელიან ბილიკს. ბილიკს, ეტყობა, კაცის ფეხი აკლია, თორემ ასე არ აედევნებოდა ინდაურების სანუკვარი მატიტელა. ბილიკის აქეთ-იქით ღობეშემოვლებული ბაღჩა-ბაღებია და მოკლე-მოკლე მწკრივიანი ვენახები. ეს ღობეები უფრო დაწნული მავთულებისაა, აქა-იქ — დაგვალული იელისა.

რამანა ღელის გაღმა ცხოვრობს. როგორი ჩამონთებული გვალვაც არ უნდა იყოს, ამ ღელეში იმდენი წყალი მაინც მოირყევა, საბოსტნე და საშაბიამნე რუებში რომ გადაუშვან და, კიდევ იმდენიც დარჩეს, იხვებიც ჩაიტყუოს სალივლივოდ...

ბაღჩა-ბაღებს რომ გასცდება გოგია, ისევ უბანში შედის. მაღალი გალავნები და უშნოდ მიხატულ-მოხატული რკინის ჭიშკრები საგულდაგულოდ ფარავენ ეზოებს.

სიცხეს ყველა და ყველაფერი მიუჩუმებია, მარტო გოგო-ბიჭების ხმაური ისმის და ეს აცოცხლებს მზით მოთენთილ სოფელს.

სულაკაძიანთ ნიკას ღია დარჩენია, თუ დაუტოვებია ჭიშკარი. ნიკა თალარქვეშა დგას, თეთრი, ქათქათა პერანგი აცვია და ნებიერად გატრუნულ ძუკნას ეფერება. ძუკნა, ეტყობა, დედით პოინტერია, მამით — კავკასიური ნაგაზი. ნიკა დაინახავს ბიჭსა და, ხმის გამცემი გამომიჩნდაო, გახარებული ეკითხება:

— საით გაგიწევია, გოგიავ?

— იქითა! — ხითხითით აიქნევს თავს გოგია. „რა კაცია ნიკა ძია, შვილრძალი გამოყარა სახლიდან, შვილიშვილებიცა, და ძაღლს კი ეფერება?!".

— მემრე, იქით წასვლაზე გეცინება, არსაითო?..

ბიჭმა გზიდან ბილიკზე გადაუხვია, ორღობე გაიარა და მინდორში გავიდა. ამ მინდორს გარდი-გარდმო გადასჭრის, ჩაეშვება ღელის ჩაფერდებაზე, ჩავა ღელეში, აივლის იქითა ფერდობს და ზედ ფერდობის თავში ხეხილით დაბურდული ეზო-ყურე რომ ჩანს, იქა ცხოვრობს რამანა. რამანაც შოფერია — გოგიას მამა და ის ალაზნის არხის მშენებლობაზე ერთად ეზიდებიან სამშენებლო მასალას. რამანასაც სულ ეზოში უყენია თავისი თვითმცლელი; მართალია, რესორი, როტორი, რადიატორი, ბარბაცა ლილვი და კიდევ რომელიღაც ლილვი ხშირად არ უფუჭდება ხოლმე, სამაგიეროდ სიბერით დაჩამიჩებული სიმამრი ჰყავს, მოხუცი კვირაში ბარე ორჯერ აპირებს ამ მშვენიერი ქვეყნის დატოვებას.

კვირაში ორჯერ რამანას პატარა ბიჭი — ანზორა აქლოშინებული მიაწყდება გოგიაანთ ჭიშკარს:

„ჰაი, ვახტანგა ძიავ!"

„რომელი ხარ, ბიჭო?"

„რამანას ანზორა ვარ!"

„რა ამბავია, შვილო? ცუდი ხო არაფერია, შვილო?"

„მამაჩემმა სიმამრი მღალატობს და მომხედეო!"

„ვაიმე, ვაიმე, ეს რა გავიგონე, შვილო?!"

ვახტანგი, მაზუთითაც რომ იყოს მითხვრილ-მოთხვრილი, ტანსაცმლის გამოცვლაზე არც იფიქრებს, მარტო ხელებს გადაიბანს ოხვრა-ბუხუნით და იმ პატარა ბიჭზე მთელი საქენით წინ გარბის. ცოლი ამ დროს ქოქოლას აყრის, აგრემც მაგ სიმართლით დაეწევი რამანას სიმამრსაო. ვახტანგი, რა თქმა უნდა, იმ ღამეს გამობრუჟული ბრუნდება შინ...

ბილიკი სიმინდში მიიკლაკნება. თუმცა, აღარც სიმინდია და აღარც შალაფა — ეს ამხელა მოხნულ-დაფარ-

ცხული მიწა გაუთოხნაობით წაუხდენიათ. ისეა აშამბებული, იმისი საცოდაობა დაგტანჯავს. მეველე კი მაინც ჰყავს — სოფელს აკრავს და კერძო საქონელმა არ მოაკალოვოსო — სასილოსედ უფრთხილდებიან: მეოცე საუკუნეა და საქონელიც განათლდა, უმწნილოდ გაძლება უჭირს...

მოსახვევში ავალიშვილის ბიჭი — ნუგზარა გამოჩნდა, ბილიკის პირზე წახრილი დაფაჩუნობს.

— რას ეძებ, ნუგზარ? — თავზე დაადგა გოგია და ისიც რაღაცის საძებნელად დაიხარა.

ნუგზარა შემკრთალი წამოდგა. გოგია რომ დაინახა, გაუხარდა:

— კურდღელსა!

გოგია გაოცებული უყურებს:

— რასაო?!

— კურდღელსა.

— ბარნაბას მწევარი ხარ, შე ოხერო?

— მამიდამ მაჩუქა, შინ მომყავდა და, აი აქ, ხელიდან გამისხლტა. რა ვქნა, ჰა?

— ჰოო... მიბრუნდი და უთხარი, არ წამიყვანია-თქო.

— ეს რა კარგი რამე მითხარი! — უხარია ნუგზარას, — იმდენი ჰყავს, თვლა არა აქვს!.. წავშრიალდი! — გატრიალდა, სიმინდისა და შალაფის ტევრს მიარღვევს.

— ბილიკ-ბილიკ ვერ წახვალ, შე ოხერო?

— აგე, მამიდა კალოს ვენახში ჩავიდა! იქ მივალ და იქ ვეტყვი!.. მოკლეზე ჩაჭრა არა სჯობია? — ხმაურზე ეტყობა, მირბის.

— მარჯვე ხარ, მარჯვე, ხელუკუღმა გადაგდებულ ქვასავით! — თან მიღიღინებს:

დედა გიტირე, ავალო,
შენი ყმა აღარა ვარო:
მინდა — გრილოში დავწვები,
მინდა — ვენახში ჩავალო...

ბილიკზე კალია ახტა და ორი მეტრის იქით ისევ ბილიკზე დაჯდა. გოგია რომ მიუახლოვდა, ახტა და ისევ შორს გადაფრინდა.

მიდის გოგია და წინ-წინ ასე მიუხტის კალია. ბიჭი იცინის:

— ამასა ჰგონია, გზა არ იცისო და, ვნახავ თუ რამანა ძიას საქათმემდე არ მიმაცილოს!

ბიჭს თავდაპირველად ართობდა კალია, მერე და მერე გაბრაზდა — ნაბიჯი ააჩქარა. ბოლოს სირბილზე გადავიდა, უნდოდა ახტომამდე მიესწრო და ფეხით გაესრისა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. რამდენჯერაც ეგონა, კალია ფეხქვეშ მოვაქციეო, იმდენჯერ წამოუხტა და სიფრიფანა ფრთების ცახცახით ჩაეშვა ბილიკზე.

— შეუმჩნევლად გაილია გზა, კალიაც შეუმჩნევლად შეუძლვა ვეება კაკლის ჩრდილში.

კაკალქვეშ მეველისა და გამვლელგამომვლელთა გორაობით კლანძა ბალახი ისე მოთელილიყო, მიწის პირს არ ასცილებოდა, გაბმულად, რბილად იყო დაგებული. აქა-იქ ქაღალდის ნაგლეჯები და სიგარეტის ნამწვები ეყარა — ამ ჩრდილს საპურმარილოდ ხშირად მოაკითხავენ ხოლმე. თანაც კაკალი ღელის პირზე დგას და ნიავიც ყოველთვის უბერავს — ამიტომაც უწინ მიწას აქ ვეება წრეხაზებად აჩნდა ირგვლივ მიმოფანტული კალოები: გამოყვანილი კალო არასოდეს არ დარჩენიათ გაუნიავებელი.

ბიჭს კაკლის ჩრდილში შეუხტა კალია. თვალი გააყოლა და გარკვევით დაინახა: მრავალძარღვას ფოთოლზე დაჯდა, უკანა ერთ ფეხს აკანკალებდა. ბიჭი ფეხაკრეფით მიეპარა, კალია წამოხტა თუ არა, მარჯვენა ფეხი ისე გაუქანა, თითქოს ბურთს არტყამსო. ამ დროს კაკლის ტოტებში ქედნების ღუღუნი გაისმა, ბიჭმა მაღლა აიხედა და ვერ გაიგო ფეხსაცმელი რომ წასძვრა ფეხიდან.

ფეხსაცმელი იმ ბილიკზე დაეცა, საითაც ბიჭს ედო გზა. მეორე ბილიკი

გვერდიდან ჩამოდიოდა, გადასჭრიდა კაკლის ჩრდილსა და ცერად ჩადიოდა ღელეში.

ბიჭი ადგილზევე გაშეშდა, მარტო თავს ატრიალებდა და აღუღუნებულ ქედნებს ეძებდა ჩამოხურულ ტოტებში...

მალე დაინახა ქედნები — ხმელ ტოტზე გვერდი-გვერდ ისხდნენ და თავებს უსვამდნენ ერთმანეთს. დაცქვეტილი უყურებდა ბიჭი და უხაროდა, ძალიან უხაროდა, პირველად რომ ხედავდა სიყვარულის სადღეღელაშლილ ქედნებს.

ერთმა ქედანმა ჩამოიხედა დაბლა, დალანდა ბიჭი და ფრთების ფართქუნით ასხლტა ტოტიდან. იმ ერთს მეორეც მიჰყვა. გულდაწყვეტილი ბიჭი ჩრდილიდან გამოვარდა, თვალი გააყოლა წყვილად გაფრენილ ქედნებს — ერთხანს ლამაზად ჩანდნენ ულრუბლო ცის ფონზე, მერე დაბლა ჩამოიწიეს — ქედნებს იქით კავკასიონის მთები ჩანდა ასე მკვეთრადაც აღარ იგრძნობოდა მათი ფრთების ქნევა. ბოლოს ხელაქნეულებივით ერთბაშად დაეშვნენ ქვემოთ და რკინიგზასთან, აკაციების ჩალურჯებულ კორომში ჩაიმალნენ.

დაფიქრებული გამობრუნდა ბიჭი — გზა განაგრძო. ისევ ბილიკს რომ დაადგა და პატარა გზა გაიარა, თავისი ფეხსაცმელი დაინახა და გაოცებული გაჩერდა. ხან ფეხებზე იხედება, ხან — ფეხსაცმელს უყურებს, აქეთ არ გამომივლია და ამ ფეხსაცმელს აქ რა უნდაო.

ერთხანს დაბნეული იდგა. მერე თვალებზე ხელი მოისვა, შუბლიც მოისრისა, ჰე ჰეიო — დაიხმაურა კიდევაც, რა ვიცი, სიზმარში არ ვიყოო. მაგრამ სიზმარში ყოფნისა არაფერი ეტყობოდა და ამან კიდევ უფრო ჩააგდო საგონებელში. „დედასაც დავიფიცავ, მამასა — აქეთ არ გამომივლია, — ფიქრობს ბიჭი, — თუმცა ეს ფეხსაცმელი კი მეუბნება, ტყუილს ამბობო. რა ტყუილი, კაცო, რისი ტყუილი?! შარშანდელი ამბავი ხომ არ არის, მეხსიერება მღალატობდეს — კაკლის ჩრდილს არ გამოვცილებივართ და, მორჩა!.. ჩემი მეზობელი მკითხავისა არ იყოს, ერთიც ვნახოთ, ღმერთი მართლაც არსებობს, თანაც ყველაფერსა ხედავს და იმისი ხელი ურევია, მაშინ?! რას ავიჩემე ეს „ღმერთძაღლო“, ახი არ იქნება უარესი დამმართოს?“

მშიშარა არასოდეს არ ყოფილა გოგია, ახლა კი შეფიქრიანდა: ბინდ-ბუნდიც რომ იყოს, შემეშინდებოდაო. ღმერთმა უშველოს, კიდევ კარგი ზემოთა ბილიკიდან დიდებაანთ ბერიკაცმა თომამ ჩამოიარა — ათახთახებული ცხენისთვის აღვირში ჩაევლო ხელი და მოჰყავდა. თომამ დაინახა ბიჭი და გაჩერდა:

— მზეში რას დგეხარ, შვილო, გრილოში ვერ შეიწევ?

ბიჭმა ხმა არ გასცა — ისევ ფეხსაცმელს დასჩერებია.

— რას უყურებ, ეგრე, შელოცვილივითა?

— აი, ფეხსაცმელს.

ბერიკაცმა ცხენი ჩრდილში შეიყვანა, აღვირი კაკლის ჩამოწეულ ტოტზე მოაბა, მერე მივიდა და ისიც ფეხსაცმელს დააჩერდა:

— ფეხსაცმელია და ეგ არის!

— ვხედავ.

— თუ ხედავ, დასაფიქრებელი რაღაა?!

— აქეთ არ გამომივლია და ჩემს ფეხსაცმელს აქ რა უნდა-მეთქი.

— ფეხიდან წაგძვრებოდა.

— ვა?! ქართულად არ გეუბნები, აქეთ არ გამომივლია-მეთქი?!

— ბარემ რუსულადაც მითხარი... მა, ციდან ჩამოვარდა? — ბერიკაცმა ბიჭს ფეხებზე დახედა, — ერთი ფეხსამოსილი გაცვია. ამას ხატზე დაფიცება არ უნდა, ნამდვილად მაგისი ცალია! ჰო.

ბიჭმა თავი გააქნია და ცხენს გახედა:

— რა ათახთახებს შენს ცხენსა?

— დავაკოდინე... ძალიანა ცელქობდა და დავაკოდინე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბუნებას მიუცია და ეს კიდევ ართმევს!.. დანა არა აქვს, არც — თოფი; ძროხის დაკვლა არ ეხერხება და შვლის მოკვლა; თვითმფრინავი არ გამოუგონებია და ატომური ბომბი... აქაოდა, წერა-კითხვა არ იცისო, დავიბრიყვეთ... თავისით ამოდის ბალახი და იმასა სჭამს, რაღას ემართლები; მამაცხონებულო?!“ — ჩაიხითხითა გოგიამ.

მერიკალმა ეჭვით შეხედა:

— შენა, შვილოსა, მაღლიდან ხომ არ ჩამოგიბრძანეს?

— არა, — თქვა ბიჭმა.

ზევიდან რაღაც ფრუტუნი მოისმა. ორივემ მიიხედა — ნარეკლიანთ იოსება დაინახეს, მოშვებული იჯდა თავის მერცხალაზე — ფეხებს მოაქანავებდა. სახედარმა თავჩაქინდრულ ცხენს თვალი ჰკიდა თუ არა, მაშინვე გაჩერდა, დააკვირდა და დაიყროყინა.

— აცე! — ქუსლები ამოარტყა იოსებამ, — აცე,. ჰე!

სახედარი ისევ დაცქვეტილი მისჩერებია ცხენს.

— აცე, შე მგლის სადილ-ვახშამო!

— რაო, იოსებ? — ეცინება თომას, — აღარ გემორჩილება?

— აცე, შე ჩემსავით გადაყრუებულო!.. რას უყურებთ, ხალხნო!.. ი?! აბა თუ გატოკდეს? დაბლა არ ჩამომიყვანო, თორემ მე ვიცი შენი!

მერცხალამ დაიფრუტუნა და ნელა განაგრძო გზა.

— მალე, ჰე, შემიტანე გრილოში!.. მაინც, რამ წაგართვათ თვალები?

— რამა და ფეხსამოსმა, — უპასუხა თომამ.

— პირველად ხედავთ?

— მეორედ.

იოსებამ სახედარი გრილოში დატოვა და ისიც ფეხსაცმლის სანახავად მივიდა, დახედა და თქვა:

— ახალია, მაგრამ ცუდად კია ნახმარი, ჯერ აფსუსია გადასაგდებად.

— ვახტანგოსია ეს ყმაწვილი, — ეუბნება თომა.

— ვიცნობ. მარმან ამან არ გამითავა თხილი?

— მარტო მე იმდენს რას მოვერეოდი? — ეწყინა გოგიას.

— შენ რაღა გულს შემოიყარე, განა სულ ერთ დღეს ჩამოიღე-მეთქი დაბლა?

— ორჯერ მოვუთაროვე და ეგ იყო! მაგაზე აკი მომხვდა კიდევაც!

— ვიცი. ახლა რა გავარკვიოთ?

— ყმაწვილი ამბობს, ეს ფეხსამოსი ნამდვილად ჩემია, მაგრამ ღმერთი, რჯული, აქეთ არ გამომივლია და აქ საიდან გაჩნდაო. გეყურება, იოსებ?

— მაგას აემ მადლიანი კაკლის გრილოში წაეძინებოდა, ფეხიდან წააძრობდა ვინმე და გადმოუგდებდა.

— არ მეძინა! ეხლა მოვდივარ შინიდან — წუხს ბიჭი.

— ეხლანდელი გამოსაზრდელებისა აღარაფერი მჯერა!

— რაღა ვქნა, კაცო?! მაშინ, მითხარი, რა დავიფიცო!

— ხომ არ გვატყუებ?

— რათ უნდა მოგატყუოთ, რა დამიშავეთ?!

— ეგე, აჰა, მოდი და ნუ დაუჯერებ! — იოსებას მიშტერებია თომა.

იოსებამ გულხელი დაიკრიფა:

— მეც საგონებელში ჩავვარდი, ღმერთმანი!.. ეს გვალვა, თომავ, ერთ კვირას კიდევ თუ არ მოგვეშვა, მე და შენ ქუდები უნდა მოვიხადოთ და ჩამოვიაროთ კარდაკარ.

— ნუ თუ მთელ ქვეყნიერებაზე აგეთი მზე ანთია?

— მაშ ის რაღაა, ტელევიზორში რო წვიმს ხოლმე?

— ბარემ ერთი თვეა, კატამ დაგვილეწა ტელევიზორი... ეს რა სიცხეა, კაცო?!

ცხენი და სახედარი კი კაკლის ჩრდილში დგანან და ერთმანეთსა სუნავენ.

— ვინ დაგვილეწა ტელევიზორიო! — ხითხითებს გოგია.

— კატამ.

— კარგათ ვერ ჩართო?

— ელაპარაკე?! — იოსებამ თომას შესჩივლა, — მე მართალს ვეუბნები

და ეს კიდევ ბეჭებზე არ მიტყაპუნებს ხელსა?!. ამწინებზე რო უბედური წვიმა იყო, დამთხვეულო, მაშინ ტელევიზორში ჩემს ჭირად თაგვებს უჩვენებდნენ... ჩემი ჯალაბობით შინა ვარ, თან ვპურმარილობთ, თან თეთრი თაგვების ტანჯვას ვუყურებთ — ხან ნემსს უკეთებენ, ხან ოპერაციასა, ხან საწამლავს აჭმევენ... ამ დროს კატამ დაიკნავლა — კარი გამიღეთო. ჩემმა შვილიშვილმა გაუღო კარი. შემოვიდა გაგიჟებული კატა, დაინახა ტელევიზორში თაგვები, გაქანებული მიაწყდა და ეგრევე ჩამილეწა. თანაც ორი დღის ნაყიდი გვქონდა, მეტისა კი არა? ლომბიოში აღებული ფული ჩავაყარეთ. კარგი სახილხითოა, ღმერთმანი!..

— ვისია ცხენი! — ვიღაცა იძახის ქვემოდან.

— წადი შენი! — შეუკურთხა თომამ, — მეველეა და ერთი დარაჯი კიდევ მაგას უნდა...

— ვისია ცხენი და სახედარი! — უკვე მოახლოვდა მეველე.

— მაგას რაც ხმა აქვს, ჭკუაც რო იმოდენა ჰქონდეს...

მეველე კაკლის ჩრდილში შევიდა და ცხენსა და სახედარს აკვირდება. მერე ხალხიც დაინახა და ბუტბუტებს:

— მეც არა ვთქვი, უპატრონოდ გაუშვიათ-მეთქი?

— სალამი კარტში წააგე? — ეკითხება იოსება.

— ვერ დაგინახეთ და!..

— ეხლა ხო გვხედავ?

— ნამდვილად.

— მაშინ გაიმეტე თავი და თქვი სალამი!

მეველეს ისეთი გამართული ორლულიანი თოფი ჰკიდია მხარზე, თითქოს უამისოდ — ვაი ხესა და ქვას — სულ გაიტანდნენ აქაურობას.

მეველემაც ფეხსაცმელს დახედა:

— ვისია?

— ჩემი, — შიშველი ფეხი ასწია და ქუსლი მოიფხანა ბიჭმა.

— შენი თუა აიღე და ჩაიცვი.

ბიჭი დაფიქრებული დაჩერებია ფეხსაცმელს.

— ისე, საინტერესო კია, — თოფი მეორე მხარზე გადააქვს მეველეს, — ძირი რეზინისა აქვს, პირი — ტილოსი, მოდი და გაარკვიე, საზაფხულოა თუ საზამთრო. ნაღდად მაგარი ფიქრი უნდა!

— ეგ კი არა, აი, რა გვაფიქრებს, — დინჯად დაიწყო იოსებამ, — ყმაწვილი ამბობს, აქეთ არ გამომივლია და ეს ფეხსამოსი წინ როგორღა დამხვდაო.

— შენ არ გადმოგიგდია, ბიჭო? — ეღიმება მეველეს.

— არა.

— ვერ დავიჯერებ! — თავი გააქნია მეველემ.

— ვინ გეუბნება დაიჯერეო! — გაჯავრდა იოსება.

— მა რაღაზე მითხარი?

— გვკითხე და იმიტომ!

— გაგიმარჯოს! შენც ამდგარიყავი და შენი სახედარივით გაქირი გაგეწია!.. გიჟია?

— გიჟი მამაშენი იყო, შენისთანა ნაგავს ოქრო რო დაარქვა!

— კარგი ეხლა, იოსება ნათლი, ორივე ფეხით ნუკი შემდექი! — მეველემ თავი მოატრიალა გვერდზე და სახტად დარჩა — ქევხიაანთ ალექსა მოსულიყო, კისერი წაეგრძელებინა და ფეხსაცმელს უყურებდა, გატენილი ზურგჩანთა ეკიდა.

—მიწიდან ამოძვერ, შე კატაკვდარძაღლო?!

ყველა ალექსას მიაჩერდა. ალექსა კი გემრიელად ახრამუნებდა ხმელი შოთის წვერს.

— შენ არ გეუბნებიან? — გაუწყრა მეველე.

— რა გნებავს?

— რომ მოხველ, ვერ ჩაახველე მაინც?

— რაც პაპიროსს გადავეჩვიე, აღარ მეხველება.

— გადაეჩვიე და ძალიანაც თავში ქვა გიხლია!

— შემოგაკლდა მუქთა კუბო, ქურ-

დობის ნებაყოფლობითი ხელის შემწყობი საზოგადოების თავმჯდომარევ?

— შენ ხომ, აი მარგალიტის გორას ფეხი რომ წამოჰკრა, თვალს მოარიდებ.

ბიჭმა ფეხსაცმელი წაიძრო, ბილიკზე რომ ეგდო, იმას მიაზომა და ისევ ჩაიცვა.

— რა იყო, დამკვრელებო, რამ დაგაფიქრათ? — ახლაღა იკითხა ალექსამ.

— აი ეს ფეხსაცმელი ამისია, მემარნიანთ ვახტანგას ბიჭისა, — დაიწყო მეველემ, — ეგრე ამბობს, აქეთ არ გამომივლია, არც გადმომიგდია და, აქ საიდანაო.

— ამვლელისაა, — მოჭრითა თქვა ალექსამ.

— რას არაკუნებ, გამგე? — მხრიდან თოფი მოიხსნა მეველემ და ჯოხივით დაიყრდნო, — ჩამომვლელს რომ წასძრომოდა ფეხიდან, ვითომ კანონით აკრძალულია?.. საით გაგიწევია?

— ალაზნისკენ, სათევზაოდ.

— დინამიტითა თუ ქლორითა?

— ბადითა და ანკესით.

— როდის აქეთ ჩაუტკბი ცხოვრებას?

— ხო იცი, ჩემი ძმა სად წამოსვეს?.. ეხლა, შენ როგორა ფიქრობ, ისეთ რამეს ჩავიდენ, ის გამოაგდონ იქიდან?

ბიჭს გაეცინა. გოგიას სიცილ-ხითხითს სოფელი ისეა მიჩვეული, ზოგჯერ მიზეზს აღარ ეკითხებიან.

— ვაჰ, კაცო?! — თავიდან გაიოცა თომამ, ტაშიც შემოჰკრა, — ორ ჩხუბში ვარ ნამყოფი, ტყვეც წამომიყვანია და ტყვეთაცა ვყოფილვარ, მაგრამ ეგეთ უთავბოლო საკვირველებას ჯერ არ მოვსწრებივარ!

ერთხანს ყველანი ჩაფიქრდებიან, თვალს არ აცილებენ ფეხსაცმელს.

— ეგრე როგორ იქნება? — დუმილს არღვევს ალექსა. — თუ აქეთ არ გაუვლია, არც თვითონ გადაუგდია და არც სხვას. მაშინ, კაცო, რა ვიცი, რაღა გამოდის?

სიმინდიდან წელჩავარდნილი, გალეული ძაღლი გამოძვრა — ეტყობა დედით ტაქსაა, მამით — კავკასიური ნაგაზი.

ალექსა დაინახავს ძაღლსა და კბილებს აკრაჭუნებს:

— რა წყალში ჩავვარდე, აღარ ვიცი! მე რაც ამას ვცემ, როგორა ვთქვა, მეცოდება და იქით ვერიდები, ეს კი თოვლში ადევნებული ნაფეხურებივით კვალში მიდგას! ბალახის ქანაობისაც კი ეშინია, ამაღამ ჩამეხუტება და რწყილით ამავსებს.

ძაღლმა ფეხსაცმელი დასუნა, მერე ერთხელ შემოუარა, გაჩერდა — უკანა ფეხი ასწია და ზედ რომ უნდა მიეშარდა, ბიჭი გადაირია:

— მე შენი პატრონის დედა ვატირე! — ქვას დაუწყო ძებნა, მაგრამ იმ ყველივით მიწაში რას იპოვიდა ქვას — ფეხსაცმელი გაიძრო, მოუქნია, გაუსხლტა ხელიდან და კარგა დიდ მანძილზე გადავარდა შალაფამოდებულ სიმინდში.

ძაღლმა კუდი ამოიჩარა ლაჯებში და, თითქოს სხვაგან არც გზაა და ვერც გაეტევაო, ბილიკის პირპირ ჩამოიწკავწკავა და საიდანაც გამოძვრა, ისევ იქ შეიძურწა. შეყო თავი და მოტრიალდა. ისე ჩანს, გეგონება სოროში ზისო.

— მოიტა თოფი! — ბიჭი მეველეს ეცა.

მეველემ დინჯად მიაწოდა თოფი.

ბიჭმა ორივე ჩახმახი შეაყენა.

— რას შვრები, ბიჭო! — თომა ძაღლს ჩამოეფარა, — არ ესროლო, შე მამაძაღლო!

— მომერიდე! — ბიჭი თომას ურბენს გარშემო, თომა — ძაღლს. ძაღლი კი გაქცევას არც აპირებს — მშვიდად დაყუნცულა და თომას ზურგს ასჩერებია ქასქასით.

ალექსა ერთბაშად წამოენთო:

— რათ მიეცი თოფი!

— ეგ იგეთი მამის შვილია, უარს ვერ ვეტყოდი.

— მამაჩემი, რა ჰიტლერის ადიუტანტი იყო? რათ მიეცი-მეთქი!

— მინდა ამაღამ ფხანვას გადავარჩინო.

— შინ გეყოლებიან ქეციანები!

— ცოტა დაუწიე ლამფას, თორემა!

— ვის ეუბნები მაგას! — ზურგჩანთის სამხრეულებიდან ხელები გამოაძრო ალექსამ. ზურგჩანთა ფეხებთან ჩაეცა და ჩაიფუყა. მეველემ დახედა და, ვიდრე თავს ასწევდა, ალექსამ შემოჰკრა ყბაში.

მეველე ამ მოულოდნელობამ წუთით შეაკრთო. მერე გაუქანდა და თავური დაარტყა გულმკერდში. ალექსა ზურგით ჩაეცა სიმინდში.

გოგიას ჩახმახშემართული თოფი ხელში გაუშეშდა. თომა და იოსება გასაშველებლად მივარდნენ:

— რას გადაირიეთ, ხალხნო, არა გრცხვენიათ?!

— რამ გამოგილიათ ჭკუა-გონება, კაცო?!

თომა მეველეს დაეჯაჯგურა გასაკავებლად, იოსება — ალექსას. ამ გაწევ-გამოწევაში კაკლის ჩრდილში შევიდნენ.

— გამიშვით, მე მაგისი! — ძალაზეა ალექსა, — ვინა ვგონივარ მაგასა!

მეველე დასარტყმელად არ იქაჩება, ოღონდ მუქარით კი ამბობს:

— გამოუშვით და ერთს კიდევ მიიღებს.

თომამ დაატყო, იოსება ვერ გაუმკლავდებოდა გავეშებულ ალექსას, მეველეს ხელი გაუშვა და ალექსას ეცა, მაგრამ მან გასხლტომა მაინც მოახერხა და მეორეც მოსცხო ყბაში.

— მოგკლავ!.. დაგახრჩობ!..

— ეხლა კი დავღვარე შენი სისხლი! — მეველე გოგიასაკენ გაიქცა. გოგია მიხვდა, თოფის წასართმევად გამორბისო, შებრუნდა და ბილიკზე გაენთო — არ წამომეწიოსო და მაღლა აწეულ თოფს ორივე სასხლეტი რიგრიგობით გამოუშალა. სროლის ნაცვლად ჩხაკუნი მოისმა.

გაბრაზებულმა მეველემ კაკლის ჩრდილში გარინდულ სახედარს გვერდი რომ აუარა, დაფეთებულმა სახედარმა ტყუპი წიხლი შეყარა და ის ტყუპი წიხლი მეველეს ნაცვლად ცხენს მიაყარა: მოულოდნელი უსამართლობით გაუშმიშმებული ცხენი შეტოკდა, გამოერკვა და იმანაც გაიხსენა ტლინკი. სახედარმა უფრო იმარჯვა: რამდენიც დაუმიზნა, იმდენი მოარტყა. დარეტიანებული ცხენი ერთ ადგილზე ბრუნავდა და ჭიხვინით ისროდა ტლინკებს:

მეველემ ივარაუდა, თავქვეზე დაქანებულ ბიჭს ველარ დავეწევიო, გაჩერდა და უყვირის:

— სად მიგაქ თოფი, მე შენი კეთილები!..

გოგია დგას და თოფის ლულას შიშველ მაჯას უსვამს:

— შენი კეთილებიცა და შენი შინა ვენახისაც!..

სახედარი და ცხენი კი ისევ იტლინკებიან.

— გამიშვი, კაცო, რა ბუზანკალებივით შემალონეთ, მარტო ორი წუთით გამიშვით! — იხვეწება ალექსა.

თომა და იოსებაც ისევ ევედრებიან — გონი დაიბრუნეო და ისევ ორივე ხელით ეჯაჯგურებიან.

სახედრის ტლინკებით შელონებულმა ცხენმა აიწყვიტა, ყალყზე შედგა, გაილურსა და ტლინკის მისაყრელად რომ შეაბრუნა გავა, თომას თავი მიარტყა. ისეთი ძლიერი იყო ეს დარტყმა, თომა წაიქცა და ალექსა და იოსება გადაიყოლა.

ბუზღუნითა და გინებით წამოდგნენ

იოსებამ ნაბდის ქუდი მოძებნა, ხელზე დაიფერთხა ჯაჯღანით და თავზე რომ იხურავდა, მაშინ დაინახა: თომას ცხენმა მის მაკე მერცხალას კინაღამ მუცელში მიარტყა წიხლი.

— ეხლა გიჩვენებ მე შენა! — იოსება სიმინდში შევარდა, თამამ სიმინდს დაეჭიდა და ამოაძრო, ნაგოლვ სიმინდს ფესვებით ბელტად ამოჰყვა მიწა, — რო გამიბერწო!.. რო გამიბერწო!..

— მაიტა თოფი, შინ მივდივარ, — ბიჭო! — თხოვნაზე გადადის მეველე და ნელ-ნელა იწევს ბიჭისაკენ.

— ამაღამ მოგიტან შინ, ამაღამ! — ბიჭიც ნელ-ნელა იწევს უკან.

ალექსა შარვალს იფერთხავს — აღარ იგინება, აღარც იქადნება. თომა ბირკას აცლის ხალათიდან, ამშვიდებს:

— კარგად დაიმახსოვრე, შვილო, რასაც ეხლა გეტყვი — გულსა და ქალს არ უნდა აჰყვე! — ზაპა-ზუპზე მიიხედა: იოსება მის ცხენს დატაროებული სიმინდის ჩეჩქს ურტყამს თავში:

— აგრე უნდა ცემა, აი, შე პატრონმიცვალებულო! — ხვნეშითა სცემს იოსება, — დიდი ხარ და ერევი?

— რათა სცემ შე კომლობაამოსაწყვეტო! — თომაც სიმინდში შევარდა და იმანაც დატაროებული სიმინდი მოგლიჯა. იმ სიმინდსაც ფესვებით ბელტად ამოჰყვა მიწა, — მე ვიცი ცემა როგორც უნდა, — და იოსებას სახედარს წაუშინა სიმინდის ფუჩეჩი. მოიქნია და დაარტყა თუ არა, სიმინდს მაშინვე შემოეფშვნა ნაგოლვი მიწა.

თომას ცხენი დაფრთხა და სიმინდში შევარდა. იოსებას სახედარი კი კაკლის ჩრდილში ტრიალებს და ყოველ დარტყმაზე უმისამართოდ ისვრის ტლინკს.

— შე ოჯახდასაქცევო, მაკე სახედრის ცემა შეიძლება! — უყვირის იოსება.

— არც დილანდელი დაკოდილი ცხენის ცემა იქნება, მაგრამა სცემდი!..

— მაგის ოთხზე იარე! — ხელი ჰკრა იოსებამ.

— გაიწი იქით! — თომაც ხელს იკვრეინება.

— მოეშვი!

— გაიწი!

გაბრაზებულმა იოსებამ სიმინდის ფუჩეჩი გადაუშხუილა თომას, თომამაც გადმოუშხუილა.

— დაბერებულხართ და დაბალღებულხართ! — მოჩხუბრების შუაში ჩავარდა ალექსა.

მაგრამ ბერიკაცების გაშველებას ვერ ახერხებს: ერთმანეთს მაინც ურტყამენ სიმინდის ფუჩეჩს, თუმცა უფრო მეტი გამშველებელსა ხვდება.

ბედად მეველეც მოვიდა:

— რამ გადაგრიათ, კაცო, არავინ დაგინახოთ! — ისიც შუაში ჩავარდა, — ჭადარისა მაინც არ გერიდებათ?

— მიცვალებულო!..

— დავარდნილო!..

როგორც იქნა გააშველეს ბერიკაცები...

ცხენი და სახედარი კი გვერდიგვერდ დგანან სიმინდში. ცხენი მშვიდად ახრამუნებს რძეჩამდგარ ტაროს, რაც პირიდან სცვივა, იმას კიდევ სახედარი სჭამს.

— როგორ არ უნდა თქვას კაცმა! — დარბილებულ ფუჩეჩს ნერვიულად აგდებს — თომა, — ამ სახლკარამოსაბუგმა ავადმყოფ ცხენს მიცემა!.. დილასა ვეება ნემსი გაუკეთა ექვთიმიანთ მალუცას ბიჭმა!

— მაგაზე ნაკლები ავადმყოფი რათა გგონია მაკე სახედარი! — ყვირის იოსება, — შე ცოლშვილამოსაწყვეტო, ჩემი ბედაური კიდევ ეს არის! რა უჯიშოც შენა ხარ, ის ცხენი გყავს!

— ვინ არის უჯიშო, ქვეყანამ იცის, მურტალ იოსებავ! შენა მალავ, სამსახურმა აღარ მოახედა აქეთაო, თორემა ქვეყანა იმაზე არა ლაპლაპებს, შენი შვილი ციხეს რო ლესავს!

— შენი შვილი კიდევ, ვინ აღარ იცის, მექრთამეა!

— შენა ომის დროს ხორბალი რო მოიპარე?! სოფელი არაფერს არ ივიწყებს!

— იმის მეტი არაფერი შევიდეს შენს ჭერქვეშ!.. შენსავით მტკაველ-მტკაველ არ მიმითოხნია მომიჯნეების მიწა!

— აღარ გაჩუმდებით! — გაბრაზდა ალექსა, — ეს წამოძახება რაღაა?!

ბერიკაცები გაისუსნენ.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

— გაილალეთ თქვენი საქონელი! — ბრძანა მეველემ.

თომამ თავის ცხენს აღვირში ჩაავლო ხელი. ცხენი მორჩილად გაჰყვა, მაგრამ საბუზღუნო მაინც იპოვნა:

— ჩქარა, შე მამცემძაღლო! — ცერად დაშვებულ ბილიკს ფრთხილად ჩაუყვა.

იოსებამ სახედარს ზურგზე ხელი გადაუსვა, მერე შეჯდა და ისიც თავქვე ჩაუყვა დაუმშვიდობებლად. ცოტა გზა რომ გაიარა, უკან მოიხედა:

— თქვენი ბრალია, თქვე დასაწყევლებო!.. ჩვენა საშვილიშვილოდ გადაგვამტერეთ ერთმანეთსა, თქვენ კიდევ ამაღამ რომელიმეს მარანში ისევ უნდა დაბუქბუქდეთ ღვინითა!.. აცე, ვირო, შე მგლის სადილ-სამხარო!..

ალექსა მიწას დასცქერის, მეველე კი გოგიას უყურებს — ღიმილით მიაქვს თოფი.

მოვიდა გოგია და თოფი ლულით მიაწოდა. მეველემ გამოართვა, ხელში შეატრიალ-შემოატრიალა.

ალექსამ თავი ასწია, ზურგჩანთის ასაღებად წავიდა:

— არ მიგეცა თოფი, დალოცვილო, ეგრე ხო აღარ გაგიმეტებდი! — თან ზურგჩანთას დასწვდა.

— წადი ერთი, შენც კაცი ხარ ვითომ!

— მაშინ თქვი, რათ მიეცი თოფი?

— შენც იგეთი რეგვენი მნახე, ბალღს ჩავუგდო ხელში იარაღი! — სიმინდში შეერია მეველე.

— ცარიელი იყო, — თქვა გოგიამ და ძაღლს რომ ესროლა, ვიდრე იმ ფეხსაცმელს მოძებნიდა, ჯერ ბილიკზე დაგდებული ფეხსაცმელი აიღო და ამან გაახსენა, ძაღლი რა იქნაო. მიიხედა: ძაღლი ისევ იქ იწვა, კუდს უქიცინებდა. გოგიამ ისე მოაჩვენა თავი, თითქოს არც დაენახოს. როცა გაუპირისპირდა, უცებ შეტრიალდა და ძაღლს მთელი ძალით ჩააზილა წიხლი. ძაღლი წკავწკავით წამოხტა და პატრონისაკენ გაიქცა.

ალექსამ ზიზღით დახედა შიშით დაპატარავებულ ძაღლს. ერთი კი გაიფიქრა, რაც ბიჭმა დააკლო, მე გადავუთავებო, მაგრამ შეეცოდა — ცემის ნაცვლად დაიხარა და თავზე ხელი გადაუსვა. გაახსენდა: მასაც ხშირად შეშინებია, შეშინებია და უგვრძნია, რა საცოდავი, უსუსური იყო მაშინ. შიში ცოდვად არ უნდა ითვლებოდესო, არც დანაშაულადაო, ჩაიბუტბუტა, ზურგჩანთის სამხრეულები გაისწორა და დაღონებული ჩაუყვა ბილიკს.

ამასობაში ბიჭმაც იპოვნა სიმინდში გადაგდებული ფეხსაცმელი, ჩაიცვა და რამანა ძიას დასაძახებლად წავიდა. მიდიოდა და იმ ფეხსაცმელს ატრიალებდა ხელში, ბილიკზე რომ დაუხვდა და საფიქრალ-საყაყანოდ ექცა...

ღელის ფერდობი ისე ჩაიარა, ისე გადაიარა ბილიკად გადებულ ფიცარზე და აიარა ფერდობიც, წყალში არც ჩაუხედავს. უწინ ისე არ გამოივლიდა აქეთ, ცოტა ხანს მაინც არ გაჩერებულიყო და კენჭების სროლით არ დაეფეთებინა იხვები და ჭუჭულები. ახლა კი ფიქრი არ ახედებდა იქით.

ფერდობი აათავა, რამანა ძიას ღობის მარგილს ჩაავლო ხელი და მშველელის მძებნელი კაცის ხმით დაიძახა:

— რამანა ძიავ!.. ოჯახიშვილებო!

— რომელი ხარ, შვილო? — საჩეხიდან გააგონა რამანამ.

— მემარნიანთ ვახტანგასი ვარ!

— რა იყო, შვილო? ცუდი ხო არაფერია, შვილო?

— მამაჩემს რადიატორის ორივე ნათურა ჩაეშალა; ამაღამ სარფიანი საქმე ამიჩნდა, არიქა, მომეშველე და ამაწყობინეო!

— ეგ რა ცუდი ამბავი დაგმართიათ, შვილო?! ვაიმე, ვაიმე, ჩემი თავი მოუკვდეს, როგორ გაბოროტებულა კაცი!

რამანამ ძუნძულით გადასჭრა ეზო, ჭრიალით გამოაღო ჭიშკარი და ბიჭზე ჩქარა ის დაეშვა ფერდობზე.

— ასეო, ორივე ნათურაო! — ხითხითებს ბიჭი.

— უბედური კაცის ავი ანგელოზი მითხარი, თორემ ორი რაღა იყო, ერთი ვერ ჩაეშალა? — თვალს უკრავს ბიჭსა და ამოჩაჩულ ხალათს შარვალში იჩურთავს.

— თანაც რადიატორისაო?

— მაგისი ნათურაა, ჯიბის ბარაქას რომ გამოგვილევს ხოლმე!.. როტორისა თუნდაც ჩამტვრეოდა, იმდენი ყრია მაღაზიებში, ჩამოაფასეს და წყვილი თუმანი ღირს ორ მანეთ ნაკლებ!

— სად მიხვალ, კაცო, რამანავ! — ახლა აყვირდა რამანას ცოლი.

— რადიატორის ნათურები ჩაშლია რამანას მანქანას!.. მალე მოვალ, მალე!

— იგრემც დაგმარხე და დაგაყარე მიწა!

— ამინ! — გასძახა რამანამ.

— ჯერ ნასვამი მოეთრიე შინა!.. შიოს მარანია, ვეღარ გამოლიეთ ეგ ერთი ქოცო ღვინო?..

— ცოტაც გავუტიოთ, გოგიავ, ცოტაც... ჩემი ცოლი გვხედავს და ვიდრე თვალიდან არ დავეკარგებით, ენას არ ამოსდებს ლაგამს და ჩემს რეგვენ მეზობლებს მეტიც არ უნდათ, მართლა ჩხუბი ეგონებათ.

ცოტაც გაუტიეს და სიარულზე გადავიდნენ.

უკან დარჩა შალაფამოდებული სიმინდი — ორღობეში შევიდნენ.

— მომკლა, კაცო, წაიღო სიცოცხლე! — ფეხი აიკანჭურა რამანამ, — გადავუყირე, ვიფიქრებ, მეშველა-მეთქი, გავიხედავ, მოძებნის და ისევ კიბესთან დააწყობს!

ბიჭმა ფეხებზე დახედა რამანას და გაიცინა: ერთ ფეხზე დახურული კალოში ეცვა, მეორეზე — ცოლის ქუსლიანი ფეხსაცმელი.

რამანა მიუხვდა სიცილის მიზეზს:

— ვითომ მისწრებაზე იყო და შემეშალა, — გაიხადა ქუსლიანი ფეხსაცმელი და ვიღაცის ბოსტანში გადააგდო, — ეხლა მოძებნოს და მომიტანოს კიბესთან! — კალოში გაიძრო და იღლიაში ამოიდო, — ცალი ფეხსაცმელით სიარულმა სიღარიბე იცისო... შენ რაღაც გიჭირავს ხელში?

— ისე.

— ისე, კაცმა რომ თქვას, მეორე რაღა უყავ?

ბიჭმა ფეხზე დაიხედა და უკან გადააგდო თავი — ჩაისდა სიცილით.

— რა იყო კრეჭელ?

— ეტყობა, სირბილის დროს დამეკარგა. არაფერია, წინ დამხვდება, — და ისევ გაიცინა.

— დაგეკარგა, თორემ, შენც ეხლა, ეკალს რომ დაჰკრა ფეხი, ძალიან გაიგებ რამეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანული გოცვაძე

# სიმაღლე

მოთხრობა

ვეცადე და ვერ შევხსენი,
შენი გულის ფიცარი.
საფლავზე თუ დამეცემა,
ციცავ, შენი კურცხალი...

ღიღინით ამოუყვა ოდა-სახლის კიბეს ოთხმოცი წლის ნიკადო.

— არ გაიღვიძა თუ იცი ჩვენმა მწერალმა? — ჰკითხა რძალს.

— რა ვიცი, ბატონო, მაგის ხელში კალამი არ დამინახავს და მწერალიაო, იძახით თქვენ.

აგრაფინა კეთილი და მზრუნველი ქალია, მხოლოდ ესაა ცოტა მწარე ენა აქვს.

— ეჰ, შენ რა გესმის ამ ქვეყნის, ჩემო რძალო, მწერალს მარტო კალამი კი არ ჭირდება, თვალი უნდა, თვალი და კიდევ გული.

— არც თავი აწყენს ჩემო ბატონო!

— თავი... თავი... თავისთავად ცხადია, მარა ჯერ უნდა შეისწავლოს, დააკვირდეს, გაიცნოს, მოკლედ, იცი რას გეტყვი, ჩემო აგრაფინა? გამოცდილება უნდა მაგას. ახლა მე რომ რამეს დაწერა შემეძლოს, იმისანას დავწერდი რომ... პა... პა...

— კაი ერთი, თუ ღმერთი გწამს, მაგი გვაკლია ახლა.

— არ დამიჯერო შენ, ჭკვიანი კაცი ჩანს ჩვენი სტუმარი, ყველაფერს აკვირდება, ვერ დაინახე უბის წიგნაკში რაღაცეებს რომ ინიშნავს?

— მაგი არ ვიცი და, ნადირობას სეირნობას და ლაპარაკს რომ არ აკლებს ხელს, ეს ცხადია...

— იმ ხალხს რას ეუბნები მაშინ, სამი თვით შემოქმედებით მივლინებაში რომ გამოუშვეს კაცი... ამაზე რას იტყვი?

— ...მაგი მე არ მესაქმება, ისე ჩემი აზრით მწერალი რომაა, რაღაც უნდა დაწეროს.

— ერთი ესმოდეს შენი სიტყვები და მეტი არაფერი მინდა..

— ოჰ, შემეშინდება თუ რა? ცუდი კაცია-მეთქი მე არ მითქვამს, პირიქით, კაი კაცია, ხანდისხან საქმეშიც კი წამოგვაშველებს ხელს. ახლა წავედი მე და აბა შენ იცი: საჭმელი გამზადებულია, ბაღნებს აჭამე, საქონელი შორს გარეკონ, უთხარი, კოლექტივის მინდვ-

რებში არ ჩამევიდეს, თვარა დავხოცავ მაგ უბედურებს.

— კაი, კაი... პირველად ვრჩები სახლში, თუ რაშია შენი საქმე...

> ...გაგიმხილე ჩემი დარდი,
> ჩემს საფიცრად გიცანი..,
> საფლავზე თუ დამეცემა,
> ციცავ, შენი კურცხალი...

კვლავ აღიღინდა ნიკადო...

აგრაფინას სიტყვებმა ჩემს იარას თითქოს მარილი დააყარესო. ორი დღეც და ჩემი შემოქმედებითი მივლინება მთავრდება. თითი თითზე არ დამიკარებია. კაპიკის საღირალი არაფერი შემიქნია. ჩემს სოფელში არ წავედი, ვიფიქრე გამაცდენენ-მეთქი, უცხო ხალხი და უცხო სოფელი ვარჩიე... მაინც არაფერი გამოვიდა... დღეს აუცილებლად დავიწყებ წერას.

> ...საფლავზე თუ დამეცემა
> ციცავ შენი კურცხალი...

— იღიღინე ნიკადო, იღიღინე. კაციც შენა ხარ და ქუდიც შენა გხურავს — გავიფიქრე და მიდამოს გავხედე. ივნისის ქათქათა დილა მობრძანებულიყო, მაღალი ბლის კენწეროზე სისხლისფრად კეკლუცობდა შემორჩენილი კუნწულები.

— ჯერ არ დაუკრეფია ბალი ბერიკაცს, უცდის ალბათ როდის მოეფარება აგრაფინა თვალს, მერე შეუდგება თავისი განზრახვის ასრულებას — მხარი ვიცვალე, ნიკადოს წუხანდელი საუბარი გავიხსენე და კვლავ შემშურდა მისი.

ყოველ დილით ისე ირთვებოდა ნიკადო, გეგონებოდა ცოლის მოსაყვანად მიდისო. წვერს გაიპარსავდა, ოდეკოლონს მოისვამდა სახეზე, ახალ გაუთოებულ ხალათს ჩაიცვამდა, თმას (რომელიც ჯენჯივით ადგას თავზე), გულდაგულ დაივარცხნიდა და მერე ჭიშკართან დადგებოდა.

ჩაის საკრეფად მიმავალი ქალები ესალმებოდნენ, ზოგი რას ეტყოდა და ზოგი რას, ზოგს გაესაუბრებოდა, ზოგს ავადმყოფს მოუკითხავდა...

ყველას, ყველას სალმით აცილებდა სამუშაოზე. მათ შორის რომ მაშიკოს გამოარჩევდა და სხვისგან განსხვავებულად ექცეოდა, ამას წუხელის მივხვდი.

— გამარჯობა ნიკადოო, — ეტყოდა მაშიკო...

— ღმერთმა გადღეგრძელოს ციცავო,—მიუგებდა ნიკადო, მერე დიდხანს გაჰყურებდა მაშიკოს განიერ ზურგს. მობრუნდებოდა, ხალათს გამოიცვლიდა, წაიღიღინებდა და ოჯახს ჩაუყურყუმალავდებოდა...

მიკვირდა მისი ყოველდილანდელი სამზადისი, საგარეოდ გამოწყობილი ჭიშკარს იქით ფეხს რომ არ გადადგამდა, მაგრამ მის საქციელს სიბერის უცნაურობას მივაწერდი.

ვიცოდი, რომ ნიკადო ადრე დაქვრივდა, ისიც, რომ ოჯახს შეალია თავისი კაცობა, კარგი შვილები დაზარდა, დაასახლა, ყველას ასწავლა. უმცროსმა არ ისწავლა მხოლოდ, საჭეს ვერ მოსცილდა და ახლა კოლექტივის მანქანაზე ზის, მისი ცოლია აგრაფინა და მისი შვილები არიან — გოგი, ნანა და ლამარა. კარგი, ტკბილი ოჯახი აქვთ.

წუხელ საღამოს გვიანამდე შემოვრჩით სუფრას მე და ნიკადო. კარგმა ღვინომ შეგვიყოლია. ნიკადოს ვაჟი რაიონში იყო წასული, აგრაფინამ ადრე დააწვინა ბავშვები და თვითონაც წავიდა დასაძინებლად.

ერთხანს ჩუმად ვისხედით...

— ახლა ერთ კითხვას მოგცემ ბიძიკო და არ დამცინო, — მეუბნება ნიკადო უცებ და თვალს თვალში მიყრის.

სკამის საზურგეს ვეყრდნობი.

— იმ კაი დედმამის სულს გაფიცებ, არავისთან თქვა.

— რას ბრძანებთ ბიძია ნიკადო?!

— კი ვიცი, განათლებული, განსწავლული კაცი ხარ და ცხოვრებაში ბევრი რამ გინახავს, მარა მე რომ მჭირს, ამისთანა რამე თუ არსებობს და თუ გაგიგონია? ოთხმოცი წლის ვარ უკვე,

ბიძია. ჩემი ტოლები და ჩემზე უმცროსებიც კარგა ხანია მიწაში წვანან. მე ქე მხედავ რავარც ვარ. იცი რისი ბრალია?

— ჯანმრთელი კაცი ბრძანდებით, ბიძია ნიკადო, ჯანმრთელი...

— მარტო ჯანმრთელობა არაფერი არაა, იცოდე შენს! კაცს ხალისი გინდა ცხოვრებაში და მიზანი. თუ მიზანი გაქვს, დიდხანს შეიძლება სიცოცხლე, ავადმყოფობა ვერ დაგჯაბნის. მიზანი არაა მთლად შესაფერი სიტყვა, მარა სხვა ვერაფერი მევიგონე. მოკლედ, ადამიანს გარდა ყოველდღიური საზრუნავისა, სხვა რამეც ჰირდება, ბიძიკო.

— ჰირდება, რა თქმა უნდა... — დავუდასტურე მე.

— კი გითხრეს შენ, ჩემო ბიძიკო, ცოლი ადრე რომ მომიკვდა, მერე არავინ მომიყვანია, რატომ, იცი?

მე მხრები ავიჩეჩე.

— უქალობა უჭირდა ჩვენს ოჯახს, ოთხი კაცი ვიყავით სახლში. არ მომიყვანია არავინ, კაი ქალები მეძლეოდნენ, მარა არ ვქენი, თუ იცი რატომ?

ნიკადომ ღვინო ჩამოასხა, გათლილ ჰიქას ხელი აუსვ-ჩამოუსვა.

— ახლა, ბიძიკო, სიყვარულს გაუმარჯოს. — თქვა უცებ და ჰიქა ასწია, არ გაგიკვირდეს შენ, ეს გადახრჩუებული ბებერი ამ სადღეგრძელოს რატომ სვამსო. ეს სადღეგრძელო მე ყოველთვის დამილევია, ზოგჯერ უსიტყვოდ, მარა ყოველთვის დამილევია.

ჰიქა მივუჯახუნე.

— გაგიგონია შენ, ბიძიკო, ოთხმოცი წლის კაცს ქალი ისე უყვარდეს, მასზე ფიქრით ღამეს ათენებდეს?...

გოეთე გამახსენდა, მაგრამ არაფერი ვუთხარი, ვიცოდი ეწყინებოდა, ასეთი რამე მეც რომ გამეგონა, ისე კი საკმაოდ გაკვირვებული სახე მქონდა ალბათ. ნიკადომ გაიღიმა.

— დღეს ბედნიერი დღე გამითენდა, — თქვა და უბიდან ოთხად მოკეცილი რაიონული გაზეთი ამოიღო. — ნახე როგორ ვარდივითაა მაშიკო ამ სურათში, „ახალგაზრდებს ტოლს არ უდებსო"... სამოცდა ხუთი წლისაა ახლა.

— მართლა გამოსარჩევი ქალია მაშიკო, ალბათ ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი იქნებოდა, — გაზეთი გამოვართვი.

ნიკადო ერთხანს თავის ფიქრებს გაჰყვა. სახე უცნაური შუქით გაუნათდა და უცებ, მე შემეცოდა საკუთარი თავი, რომ ვიჯექი ამ დაუბერებელი ოთხმოცი წლის კაცის წინ, ასე უდროოდ გულდაბერებული და გახუნებული.

— ვარსკვლავი რომ მიწაზე ჩამოიტანო, ისე ლამაზი ვერ იქნება, როგორც მაშიკო იყო. ორმოცზე მეტი წლის წინ მეიტაცა იგი ირაკლიამ. რომ ენახე, იმ დღიდან ხანძარი დამენთო გულში. იმ დღიდან ყოველ დღე ერთი იმედით ვდგები, შევხვდები მაშიკოს, გამოველაპარაკები და გავიხარებ-მეთქი... ეგი სიყვარული კიდეც მაწვალებდა და კიდეც ცხოვრების ხალისს მაძლევდა. მერე შვილები გააჩინა. უფრო გალამაზდა, ბადრ მთვარესავით გაივსო. ირაკლი ჯარიდან უფეხო დაბრუნდა, კანტუზია ჰქონდა მიღებული მალე მოკვდა.

— მერე... მერე ვერ სთხოვეთ ხელი? — ერთი სული მქონდა სანამ ყველაფერს იტყოდა.

— რას ამბობ, ბიძიკო, რას... კაცი მარტო საკუთარ თავს ხომ არ ეკუთვნის. რას ემგვანებოდა, მე რომ ირაკლის ცოლისთვის ოჯახის ღალატი შემეთავაზებინა, ჩემს ხელში იყო ბიჭი გაზრდილი, ისედაც ახლობელი ოჯახები ვართ. კაცი ღორი არ უნდა იყოს. ყველას უნდა დასდო თავისი წილი პატივი, ოჯახს, ხალხს, მტერს, მოყვარეს... ისე, სულო ცოდვილო, კი ვიფიქრე ეგ ამბავი. წერილიც დავწერე მარა, ხომ გითხარი არ ივარგებდა, არაფრად არ ივარგებდა ჩემი საქციელი, არც მაშიკოსი... ა... აგერ მაქვს ის წერილი...

ნიკადომ ახლა გულისჯიბიდან ფერგადასული ოთხკუთხედი ქაღალდი ამოიღო...

— ყველაფერს ვწერდი, რა ცეცხლი

დაანთო ჩემს გულში მისმა ქალობამ და სილამაზემ, იმას ვეუბნებოდი, შევაერთოთ ჩვენი ოჯახები და ისე ვიცხოვროთ-მეთქი. მარა, ვერ გავბედე მიცემა.

—ნუთუ ვერაფერს ხვდება მაშიკო ამდენს ხანს?

— ხვდება ბიძიკო, რავა არ ხვდება, მარა... ახალგაზრდები სანამ ვიყავით, მე არაფერი ვუთხარი და ახლა რაღა დროს, თუმცა ის იმისთანა ქალია, ოჯახს არ უღალატებდა.

— განა სიყვარულის დაგვირგვინება ღალატია?

— ზოგჯერ კი და ზოგჯერ არა... შენ არ გეგონოს, ბიძიკო, მე უბედური ვიყო და რამეს ვნანობდე. არამც და არამც, პირიქით, წეღან რომ გითხარი, სიყვარული აძლებინებს ადამიანს დიდხანს-მეთქი, ტყუილი კი არ მითქვამს, მართალი ვთქვი.

ნიკადო ისევ გაჩუმდა სათუთად გაახვია გაზეთში თავისი წერილი და გულის ჯიბეში ჩაიდო ისევ.

— ახლა, ბიძია ნიკადო, იმ ქალს გაუმარჯოს, რომლის სიყვარულს წლები ვერაფერს აკლებს, რომლის მიერ დანთებულ ხანძარს ჩაქრობა არ უწერია — ვთქვი მე, ნიკადოზე ნაკლებ როდი ვიყავი აღტაცებული.

— მადლობა, ბიძიკო, გაუმარჯოს, ღმერთმა მასეთი ქალები ამრავლოს ამ ქვეყანაზე. მაშინ უფრო სახალისოა სიცოცხლე.

ნიკადომ გულისპირზე ხელი მოისვა, უცნაურად ჩაიქირქილა.

— ხანდახან ვფიქრობ, ბიძიკო... ბებერი ვარ ახლა მე... რამე რომ მომივიდეს უცებ და ეს წერილი ვინმემ მინახოს, ხომ მომეჭრება თავი ამ ხნის კაცს..., მარა... ვერ ველევი. აგი წერილი რაცხა უსიტყვო კავშირივით მაქვს მასთან... ჰოდა, ეს ლაპარაკი იმიტომ წამოვიწყე, რომ ერთი რამე მინდა გკითხო... შენ ახლა ჩემი საიდუმლო იცი, აგერ მაშიკო გაზეთში გამოწერეს, ცნობილი ქალი გახადეს, მე არაფერი არ უნდა მივულოცო ამ სასიხარულო დღეს? ამაზე შუადღის მერე ვფიქრობდი, ხან რა ვიფიქრე, და ხან რა... იცი კიდევ რას გეტყვი? ახლა მე [illegible] [illegible], ან თავსაფარი რომ ვუყიდო, ნამეტანი უხერხული იქნება. ქვეყნის სასაცილოდ ვერ გავიხდი თავს. იცი რა მოვიფიქრე? აგერ, ოდის წინ რომ ბალი დგას, მთელ სოფელში მასეთი ტკბილი ნაყოფი არცერთმა ბალმა არ იცის, ნამყენი ბალია, ნამეტანი უყვარს მაშიკოს ეგ ბალი, ჰოდა... ახლა სოფელში ბალი მეილია, ამას ქე ასხია კენწეროზე, ავალ ხვალ დილით, დავკრეფავ და რომ ჩამოივლის, გავუტან ახლადაკრეფილს, თან ორ ღერ სიტყვას ვეტყვი. ჰა, რავა იტყვი შენ?

— დიდებული აზრია, ბიძია ნიკადო, დიდებული! — უცნაურად აღტაცებულ ნიკადოს თვალს ვერ ვაშორებდი, ბერიკაცი ოცი წლით მაინც გაახალგაზრდავებულიყო და თითქოს უხდებოდა კიდეც ეს ჭაბუკური აღმაფრენა. ენის წვერზე მომდგარი კითხვა — შესძლებთ კი იმ სიმაღლეზე ასვლას-მეთქი — ვეღარ შევკადრე.

მერე მთელი ღამე არ დამეძინა. მახსენდებოდა ჩემი უკვალოდ გამქრალი სამიჯნურო თავგადასავლები, ორ-სამ თვეში თოვლივით რომ შემომადნებოდა ხოლმე ხელში და გულზე ვსკდებოდი:

— დავხევ ყველაფერს, რაც სიყვარულზე დამიწერია, — გადაწყვიტე და ბლის კენწეროზე ჯადოქარივით მოქცეულ ნიკადოს გავხედე. სასოებით წყვეტდა მარცვალს და ფრთხილად ათავსებდა გიდელში. ერთხანს თვალმოუშორებლად ვუცქირე.

..ვეცადე და ვერ შევხსენი
შენი გულის ფიცარი.
საფლავზე თუ დამეცემა,
ციცავ, შენი კურცხალი...

ღიღინებდა ბერიკაცი.

მალე შარაზე ქალების ჟრიამულიც მოისმა. წამოვდექი და ჩაცმა დავიწყე.

— საცაა მაშიკოც ჩამოივლის, უნდა ვნახო როგორ მიართმევს ბალს ნიკა-

დო თავის გულის რჩეულს — გავიფიქრე და ისევ ღიმილით გავხედე ბლის კენწეროს. თვალებს არ დავუჯერე. გძნეულივით ხელებგაშლილი მიფრინავდა ნიკადო...

უცებ მივხვდი, რას მოასწავებდა მსხვრევის ხმა, ახლახან რომ ჩამესმა და ფიქრში გართულმა ყურადღება არ მივაქციე. ადგილს მოვწყდი და კიბეები სასწრაფოდ ჩავირბინე.

უსულოდ ეგდო მიწაზე. ფართოდ გახელილი თვალებით სივრცეს შეშტერებოდა. ზევით კი, ნელა ირხეოდა ბლის ნაყოფით სავსე გიდელი, რომელიც მყარად დაემაგრებინა იმ სიმაღლეზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

რომანი

## თავი ოცდამეცამეტე

გურიის სამთავროში სოლომონმა თითქმის მთელი კვირა დაჰყო. საზღვრები შემოიარა და სადაც კი საჭიროდ დაინახა, სანაპირო ციხეებში, მით უფრო სავაჭრო გზებზე, საბაჟოებში, ყველგან თავისი სანდო ხალხი ჩააყენა. მოგზაურობაში და აქაური საქმეების გარიგების დროს მეფეს თან ახლდა გურიის ახალი მთავარი გიორგი, მამიას უმრწემესი ძმა, ჯერ კიდევ გუშინ გურიელისშვილად წოდებული. მეფის ბრძანებისამებრ, მთავრობიდან გადაყენებული და უზენაესი სამსჯავროს მიერ ექსორიამისჯილი მამიას სახლეულმა ოზურგეთის საგვარეულო სასახლე დასტოვა და საცხოვრებლად ერთ-ერთ თავის მამულში, დაბა შემოქმედში დასახლდა. მამიდამ და მამიდაშვილებმა, ბუნებრივია, სოლომონის ნახვა მოინდომეს. მეფის მაგიერ ისინი ახალგამომცხვარმა მთავარმა მიიღო და დახმარებაც აღუთქვა, თქვენს თავს მეფეს შევავედრებო, მაგრამ ისიც დასძინა, ბატონი ძალზე განრისხებული ბრძანდება და არ ვიცი, როდის რა მოხერხდებაო.

გიორგი მეფის თავმომწონე ასულს, გურიელყოფილ მამიას თანამეცხედრე ვასასის, ჩინებულად ესმოდა, რომ საძულველი მაზლი გიორგი; რომელსაც ძმის თავზე დატეხილმა უბედურებამ ხელი მოათბობინა, რძლისა და ძმისწულების საკეთილდღეოდ დიდად არ გაინძრეოდა. არ დასთმო, ღვიძლი მამიდის სახლ-კარის ამომგდებ ძმისშვილს, მეფე სოლომონს, ახლა შემოქმედელი ეპისკოპოსი ნიკოლაოზი მიუგზავნა. ეპისკოპოსს მამიას ოჯახი ძველ კეთილისმყოფელად თვლიდა და ვასასი იმედოვნებდა, რომ მისი შემწეობით საწადელს მიაღწევდა. ყველა ძველი მოყვარისაგან პირშავად ზურგშექცეულ, დამამცირებელ მდგომარეობაში ჩავარდნილ მანდილოსანს ამჯერადაც იმედის გაცრუება ელოდა. ეპისკოპოსმა ნიკოლაოზმა სალი გონებით აწონ-დასწონა, რა მარგებს და რა მაზარალებსო, ფეხი აითრია, რჩევის საკითხავად, უფრო კი თავის დასაზღვევად, წინ წახტომით სამთავროს ღლევანდელი განმგებელი არ მოვიმდუროო, გიორგისთან მივიდა და მისი შუამდგომლობაც ამით დასრულდა.

---

დასასრული. იხ. „მნათობი", № 8.

განაწყენებული მამიდისა და მამიდაშვილების დაყინებული ცდა, როგორმე მეფემდე მიეღწიათ, სოლომონმა კარგად იცოდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს მის ყურამდე ერთი საყვედურიც არ მისულიყოს და დამშვიდებული სინდისით თავის საქმეს განაგრძობდა. ხალხი ყველგან სიხარულითა და ზეიმით შეხვდა. ყმა-გლეხი, თავადი თუ აზნაური, აგრეთვე ოზურგეთის წვრილი ხელოსნობა, ვაჭრები და სამღვდელოება გზებზე ტაბლით ეგებებოდა და ნამდვილ ხელმწიფურ დახვედრას უმართავდა. ეკლესიებში პარაკლისებს იხდიდნენ. მუხლებზე დამხობილი ერი იესო მაცხოვარსა და ღვთისმშობელ დედას მეფის, დედოფალ მარიამის, ბატონიშვილების, მათი ძირისა და გასაგისის დღეგრძელობას, ჯანის სიმრთელეს და საქრისტიანოს მტერთა ძლევას ევედრებოდა. მხოლოდ ბედნიერები ახერხებდნენ ახალგაზრდა მეფესთან ისე მიახლოებას, რომ მისი ხმა გაეგონათ, მის ცხენს, ტანსაცმელს შეჰხებოდნენ, მისი ზიარი ჰაერით ესუნთქათ. შუბოსან მცველებს დიდად უჭირდათ მოზღვავებული ბრბოს შეკავება. ბევრი მთხოვნელი და მომჩივანი, თუკი იქამდე მიაღწევდა, მეფის ცხენს ფეხებში უვარდებოდა და ბატონს საგანგებოდ დამზადებულ საჩივარს აწვდიდა.

სოლომონი გრძნობდა და დღითიდღე რწმუნდებოდა, რომ ბუნებით ხარბი, ცალი თვალით მუდამ აგარიანებისაკენ მაცქერალი, უწყალოდ ტყვისმსყიდველი და მეფის ორგული მამიას თვითნებობისაგან ხალხი შეღონებული იყო და რაკი მას დამხობილსა და დამდაბლებულს ხედავდა, ძლევამოსილი მეფის შემყურე ცის გახსნას, ყველა სანუკვარი სურვილისა და ნაოცნებარის ახდენას ელოდა. ეს შეუძლებელი იყო. ყველა დიდსა და მცირე საქმეს მეფე პირადად ვერ გასწვდებოდა, ძალიანაც რომ მოეწადინებინა, ყველა დაჩაგრულისა და გაუბედურებულის ფეხზე წამოყენებას ის ვერ მოახერხებდა. ავად თუ კარგად, ჯერ ქვეყნის სადავე უნდა მოეხელთა და გურიელთა სამთავრო სახლის საბოლოო დაქვემდებარებით ზურგი მოემაგრებინა.

სოლომონმა სხვებზე უკეთ იცოდა: ტახტის მოღალატე მთავრის, თავისი ახლო ნათესავი მამიას სამაგალითო დასჯა ახალ დაუძინებელ მტრებს შესძენდა, ახალ თავსატეხს გაუჩენდა. მტრებს შორის, უწინარეს ყოვლისა, აღმოჩნდებოდნენ მისივე ღვიძლი მამიდაშვილები, შვილები შერისხული მამია გურიელისა. მამიას ხელყოფას, მთავრობიდან მის გადაყენებას აშკარა გამოწვევად მიიღებდა ახალციხის ფაშა ჰაჯი-აჰმადი, შესაძლოა, დიდი ვეზირი და თვით სულთანიც, რომელთა გულის მოსაგებად და ერთგულების დასამტკიცებლად, წელიწადში ორჯერ, ხანდახან სამჯერაც, კონსტანტინოპოლის ტოპკაპას სასახლეში გურიელი დიდძალ ოქრო-ვერცხლს და რჩეულ გოგო-ბიჭებს აგზავნიდა და აგარიანებთან ფარული კავშირით როგორც იმერეთის ტახტის, ისე საკუთარი სამთავროს ძლიერებას ძირს უთხრიდა.

ყველა ეს სოლომონმა სხვებზე უკეთ იცოდა, მაგრამ მაინც ღრმად სწამდა: თუ გურულებს მფარველ კალთას გადააფარებდა და მათივე გაუმაძღარი ბატონის კირთებისაგან დაიცავდა, ისინიც თავის მხრივ მხარში ამოუდგებოდნენ და, როგორც არ უნდა გასჭირვებოდათ, ქვეყნის კეთილდღეობისათვის მაშვრალი მეფის ტახტის ასამაღლებლად სულს არ დაიშურებდნენ.

ოზურგეთიდან აყრის წინადღეს, ყველასდა გასაკვირლად, სოლომონმა მამიდისა და მამიდაშვილების მონახულება გადაწყვიტა. ბევრი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ ის დარწმუნდა, რომ ამის გაკეთება, თუნდაც უბირი ხალხის დასანახად, აუცილებელი იყო. გვირგვინოსანი ნათესავის თავდაბლურ სტუმრობას არ შეიძლებოდა, ოდნავ მაინც არ მოეგო შეურაცხყოფილი მამიდის გული. ამით სოლომონს საშუალება მიეცემოდა, მუდამ დედის გავ-

ლენში მყოფი მამიდაშვილებიც გად-მოებირებინა და, ამგვარად, სამშობ-ლოდან გაძევებული მოღალატე მთავ-რისა და მის უპატრონოდ დაყრილ ცოლ-შვილის შორის ჩამდგარიყო.

სოლომონს ალღომ აქაც გაუმართ-ლა. გვირგვინოსანი ძმისწული რომ სა-კუთარი ფეხით თავის ღარიბულ ეზო-ყურეში მობრძანებული დაინახა, პა-ტივმოყვარე მამიდას ერთბაშად გაუ-ქარწყლდა მთელი მწუხარება, მამიას დატყვევებისა და მეფის სამართალში მიცემის შემდეგ უკანასკნელი კვირეე-ბის განმავლობაში რომ გადაიტანა. ქი-ძაფში გახსნილი ფერუმარილითა და ძვირად ღირებული ნელსაცხებლებით გაზინთული დედაბერი სოლომონს ისე გულღიად და სიხარულით აფოფინებუ-ლი მოეგება, თითქოს მონატრებული ძმისწული მართლაც სამოყვროდ და შებრალული ნათესაური კავშირის აღ-სადგენად სწვეოდეს.

თოვლით დაფარული გლეხური სახ-ლის ეზო და მოსასვლელი ორღობეები მეფის ამალითა და ჯარით აივსო.

მსგავს ამბებში ჭიანჭამი სოლომო-ნი სიფრთხილეს ერთი წუთითაც არ ივიწყებდა. ჩასაფრებულ მტერს ყო-ველ წამს შეეძლო თავს დასხმოდა და თვით მაშინაც კი, როცა ღომის ჩალა-სავით გამომშრალ, ფუმფულასავით მსუბუქ, სახედამჭკნარ მამიდას მარცხე-ნა ხელით გულზე იხუტებდა და, რო-გორც უმცროსის წესია, სათუთად მოი-კითხავდა, მარჯვენა სატევარზე ედო.

მამია გურიელის ორი დაცოლშვი-ლებული ვაჟი და სამი ასული, ერთი გათხოვილი და ორიც გაუთხოვარი, სა-ხის ნაკვთების მოხაზულობით, სიგამ-ხდრითა და ელფერით საოცრად რომ მიაგავდნენ თავიანთ მეფური წარმო-შობის დედას, რძლები, სიძე და შვი-ლიშვილები გურულ დიდებულებში იდგნენ და თითქოსდა ციდან ჩამოვარ-დნილ სოლომონს ძრწოლვაგარეული განცვიფრებით უყურებდნენ. მამიას ირგვლივ სიტყვა არ დაძრულა. ის თი-თქოს არც არსებულიყოს...

იმავე დღეს, შემოქმედელმა ეპის-კოპოსმა ნიკოლაოზმა მეფისა და დედო-ბაზის ერის ნებით გურიელად აღზევე-ბული გურიელისშვილი გიორგი და სა-მშობლოდან განდევნილი მისი ძმის, მა-მიას, სახლეული სადღესასწაულოდ გაჩირაღდნებულ საკათედრო ტაძარში, ღვთისმშობლის დიდებული ხატის წინ, სოლომონ მეფის ერთგულებაზე დაა-ფიცა. სოლომონი თვით ესწრებოდა წი-რვას, სხვებთან ერთად ლოცულობდა და მაღალ ღმერთს შეწევნასა და ჭირ-ში ხელის გამართვას ევედრებოდა.

იმერთა ბატონ სოლომონის უყოყ-მანო ერთგულებაზე მხურვალე დაფი-ცებამ ხელი ვერ შეუშალა გიორგი მე-ფის ასულ ვასასის დამდაბლებული და უგზოუკვლოდ გადახვეწილი ქმრის სა-შველად და დაკარგული პატივის აღსა-დგენად დაუყოვნებლივ ეზრუნა. თავი-სი გაჭირვება და გულისწყრომა მან სა-ნდო კაცის პირით შეუთვალა თეიმუ-რაზ ქართლის მეფეს, ხოლო სხვა სან-დო კაცი ახალციხეს გაგზავნა „ბედნი-ერი სულთნის ორგული აჩიკ-ბაშთა მე-ფის", სოლომონის, სამხილებლად და მის წინააღმდეგ აგარიანთა ასამხედრებ-ლად.

ამასობაში არც სოლომონის ხალხს ეძინა. ქართლს მიმავალი მოციქული, თავადი მაჭუტაძე, მამიას სახლთუხუ-ცესი, მანამ შეიპყრეს, ვიდრე ის ვაკე იმერეთის საზღვრებს გასცდებოდა, სა-მცხეში გაგზავნილი შიკრიკი კი ზურაბ მიქელაძის მენაპირეებმა დააკავეს სო-ფელ დაფნარში, სადაც ის ცხენის გამო-საცვლელად და საგზლის მოსამარაგებ-ლად შეჩერებულიყო. სოლომონი ამ დროს უკვე ვარციხეში იმყოფებოდა და რუსთხელმწიფის საქმეთა რწმუნებულ კაპიტან ლვოვთან და დარბაზის ერ-თან ერთად ქართლის მეფე თეიმურაზ-თან შეხვედრისა და მოლაპარაკების გზებს სახავდა. აღების სამშაბათს კი-დეც მოვიდა გორიდან მალემსრბოლი, ოთხშაბათს ვენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსებიც გაჩნდა. ...ქა-დან ტფილისს მიმავალ იოსებს გზაში

რაღაც სენი შეპყროდა და სატახტო ქალაქში ჩასვლისთანავე ქსენონში მოეთავსებინათ. მეფე თეიმურაზის ნახვა და გვირგვინოსანი ძმის დანაბრების გადაცემა მხოლოდ მეორე კვირაში მოხერხდა. მადლობა ღმერთს, გადაუდებლად საჩქარო არაფერი იყო და ამ შეყოვნებას საქმე არ გაუფუჭებია. თეიმურაზ მეფე კიდევ მეტი დამაჯერებლობითა და საგრძნობი შეშფოთებით იმეორებდა სიტყვიერ შემონათვალს, რომელიც იმერთა ბატონს კაპიტანმა ლვოვმა მოუტანა. ქართველ მეფეთა შეხვედრა და თავ-თავიანთი საბატონო ქვეყნების ხვალინდელი დღის გამო ერთობლივი მოლაპარაკება დღესდღეობით გადაუდებელ საქმედ რჩებოდა. გვირგვინოსან მამა-შვილთან სამეგობრო შეხვედრისა და მოთათბირების აუცილებლობას სოლომონი თავადაც კარგად გრძნობდა, მაგრამ ამ სურვილის აღსრულებას, რაზედაც ბევრი ფრიად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება იქნებოდა დამოკიდებული, სულ ახალი და ახალი სიძნელეები აბრკოლებდა.

მამედ-ალი კიკიანმა-ფაშამ ორჯერ გამოგზავნა იანიჩარ მხედართა რაზმი და ბედნიერი სულთნის სახელით მეფეს რუსთხელმწიფის საქმეთა რწმუნებულისა და მისი მხლებლების გაცემა მოსთხოვა.

ეს სწორედ ის იყო, რისაც სოლომონს ასე ძალიან ეშინოდა.

ქლესა და ქვემძრომი კიკიანი-ფაშა, ქუთაისის ციხისთავი, შენთან რომ შენი იყო და სხვასთან სხვისი, უკეთუ უზენაესი რაყამი არ მოუვიდოდა, ამ როყიო მოთხოვნის წამოყენებას და შეიარაღებული რაზმის გამოგზავნას ვერ გაბედავდა. რაკი გაბედა და გამოგზავნა, მაშასადამე, ბაშიაჩუკების ქვეყანაში კაპიტანი ლვოვის მოსვლა უკვე გახმაურებული იყო, ეს ამბავი სადაც ჯერ არს უკვე იცოდნენ და კიკიან-ფაშას ხმაც მოაწვდინეს, უცხო ხელმწიფის მსტოვარი ხელიდან არ გაუშვა, სასწრაფოდ შეიპყარ და აქ გამოგვიგზავნეო.

სოლომონმა ჯერ ციხისთავ ქაიხოსრო აგიაშვილს ათქმევინა იანიჩრებისათვის, რომ ლვოვი კერძო პირი იყო, გეოგრაფი და ბუნებისმეტყველი, რუსეთის საბუნებისმეტყველო საზოგადოების წევრი, კავკასიაში აქაური წიაღისეულის შესასწავლად ჩამოვიდა, ბოლოს იძულებული გახდა, იანიჩართა მინბაში თავადაც მიეღო და იგივე გაემეორებინა, მაგრამ ამ ცდისაგან არაფერი გამოვიდა, იანიჩრები მტკიცედ ადგნენ თავიანთ სიტყვას.

ასე იყო თუ ისე, პირველადაც და მეორეჯერაც აგარიანები ხელცარიელი გაბრუნდნენ უკან, რაზმის სიმცირის გამო აჩიკ-ბაშებთან შებმას და თავიანთი ბატონის ნების ძალით აღსრულებას წინდახედულად მოერიდნენ.

დარბაზის საგანგებო სხდომაზე, რომელიც ვარციხის სასახლეში გაიმართა, აზრი ორად გაიყო. ერთნი, მათ შორის სახელმწიფო ბეჭდის მცველი გიორგი წულუკიძე, ქვემო მხრის სარდალი ბერი ლორთქიფანიძე და მესტუმრეთუხუცესი თამაზა მესხი, ქუთაისის ციხეში შუამავლის შეგზავნას და კიკიან-ფაშასთან მოლაპარაკებას მოითხოვდნენ. ამ შემრიგებლურ აზრს მხარი თვით დედოფალმა მარიამმაც დაუჭირა. მან თავის ქალურ კდემამოსილებას სძლია და მამაკაცების თავყრილობაში საკმაოდ გაბედულად განაცხადა, რომ მზად იყო კიკიან-ფაშასთან შუამავლობა თვით ეკისრა. მეფე სხვებს მოუბრუნდა. ქაიხოსრო აგიაშვილი, ბერი წულუკიძე და ქაიხოსრო წერეთელი გადაგვარებულ ფაშასთან მოლაპარაკებას ზედმეტ თავის დამცირებად თვლიდნენ. უფრო კი იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა, მოლაპარაკებას რაიმე სასიკეთო შედეგი გამოეღო.

წერეთელმა და წულუკიძემ უფრო შორსაც შესტოპეს: მეფისა და დარბაზისაგან მოწყალე ნებას ითხოვდნენ, ქუთაისის ციხე ალყაში მოექციათ და, ვიდრე დიდთოვლობის გამო ზეკარზე

გზა შეკრული იყო და ავარიანთა მაშველ ჯარს მოსვლა არ შეეძლო, მეციხოვნე ასკერები და იანიჩრები ამოეჟუჟათ.

ეს აზრი მაცთუნებლად გამოიყურებოდა. იგი დარბაზის სხვა წევრებსაც და თვით სოლომონსაც კარგა ხანია აწვალებდა, მაგრამ ოსმალებთან აშკარა წაკიდება ჯერ ნაადრევი ჩანდა და ნება-უნებლიეთ უკეთესი წუთის დადგომას უნდა დალოდებოდნენ.

როდის დადგებოდა ნეტავ ეს წუთი? მხოლოდ მაშინ, თუ ბალკანეთსა და უნგრო-ვლახეთში ომი იფეთქებდა, ევროპის ძლიერი ხელმწიფენი, ჯვარცმული ქრისტეს მოსახელენი, ურჯულო სულთანს კრიჭაში ჩაუდგებოდნენ და სისხლისმსმელ ოსმალეთს ორივე ხელი გაკავებული ექნებოდა. კაპიტან ლვოვის მიერ მოწოდებული ცნობების თანახმად, ეს სანატრელი დღე შორს აღარ იყო. რუსეთი უკვე საგრძნობლად იხრებოდა ბრწყინვალე პორტის კბილებდაღრჭენილი მტრების მხარეზე, თუმცა ოსმალეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას არ წყვეტდა, პირზე ღიმილს არ იშორებდა და სულთნის კარს თავს კვლავ კეთილმოსურნე მეზობლად აჩვენებდა.

სწორედ ამ ყოყმანისა და ორჭოფობის დროს მოჰგვარეს მეფეს მამიდამის ვასასის მიერ ცალკერძ ქართლსა და ცალკერძ სამცხეში გაგზავნილი მოციქულები. მოციქულების დაკითხვა და გამოტეხა სოლომონმა ბოქაულთუხუცეს ბერი წულუკიძეს მიანდო, თვითონ კი შეწყვეტილ სიტყვას მიუბრუნდა.

მეფის ეს სიტყვა ქვეყნის შიგნით გაჩაღებულ ძარცვა-გლეჯასა და მეკობრეთა დაუსჯელ პარპაშს შეეხებოდა. ჯერ კიდევ თოვლის დადებამდე, უბისაში ღგომისას, სოლომონმა მოასწრო და გზირების მიერ სამეფოს ოთხივე კუთხივ მოზიდული აბრეშუმით, მატყლით, საჩოხე მაუდით, სპილენძისა და რკინის ნაკეთობით, ტყვიის ზოდებით, გვარჯილით, თაფლით, სანთლით, ენდროთა ზეითუნის ზეთით, კანაფით, ტილოთი და ტყავეულით დატვირთული ურმების ქარავანი ახალციხეს გაისტუმრა, ფაშა ჰაჯი-აჰმადს მდაბალი ქვეშევრდომული წიგნიც აახლა და ერთი ამდენი ხარკის გაგზავნა საგაისოდ, 1755 წლის ნაალდგომევისათვის აღუთქვა.

წიგნში კილოკავადაც არ იყო ნახსენები ტყვე გოგო-ბიჭები, რომელთა ნაკლებობა უკვე საგრძნობლად დაეტყო თვით ახალციხისა და სხვა მახლობელ ბაზრებს. ერთადერთი, ვინც ამ ბაზრებს დღესდღეობით ამარაგებდა, ადგილობრივი ან ცხრა მთას იქიდან მოსული მეკობრეები იყვნენ. მეკობრეთა პატარ-პატარა გუნდები დროგამოშვებით ესხმოდნენ თავს სოფლებს და „მეფისა და ბატონის სახელით" ღლისით მზისით ხალხსა და ნახირს იტაცებდნენ. მათს შავბნელ საქმეს შინაურ გამცემთა ანგარებაც ხელს უწყობდა. გაჩნდნენ ქურდ-ბაცაცები და მათი ხელის დამცლელნი, რომლებიც უპირველეს ყოვლისა ადამიანებზე ნადირობდნენ...

სოლომონს რამდენჯერმე აუწყეს, საქმე ასე და ასეაო. მან მდევარიც კი გაგზავნა ხოლმე, ორჯერ თვით უწინამძღვრა მდევარს. გვარიანი ჯილდოც დააწესა იმათთვის, ვინც აბრაგებს ცოცხლივ მოჰგვრიდა, მაგრამ ბოროტმოქმედთა დაჟინებულ დევნას არავითარი წარმატება არ მოჰყოლია. მეკობრეები ყოველთვის ახერხებდნენ ხოლმე მიმალვას და მდევარს პირში ჩალაგამოვლებულს სტოვებდნენ. ჩანდა, მათ ადგილობრივი ქომაგები და ადგილმდებარეობის ჩინებულად მცოდნე მეგზურები ჰყავდათ.

მძარცველთა უგზოუკვლო თარეში იქნებ ისე საზარალო და შემაშფოთებელი არც ყოფილიყო, ქრისტეს ჯვრის შემგინებლებს თავი ყველგან რომ მეფის ნება-სურვილის აღმსრულებლებად არ გამოეცხადებინათ და ქვეყნის უფალსა და ქვეშევრდომ ერს შორის ამით წყალი არ აემღვრიათ. ეს უბრალო მძარცველობა არ გახლდათ, საქმეში

ვერაგი მტრის ხელი ერია და კვალი ისევ და ისევ სოლომონის უახლოესი ნათესავებისაკენ მიდიოდა...

აქა-იქ უკვე ისმოდა უკმაყოფილო ხმები. ბევრ ვინმეს, ვისაც ჯერ გაჭირვება საკუთარ ზურგზე არ ეწვნია, არა სჯეროდა, მაგრამ ზოგმა იოლად მრწმენმა მართლა დაიჯერა, რომ ტყვისმსყიდველი ავაზაკები სწორედ მეფის ნება-სურვილით და საიდუმლო მითითებით მოქმედებდნენ და გული ბოღმით აევსო. უკმაყოფილება და ჩუმი დრტვინვა ჯერ მენაპირე, სამცხე-საათაბაგოს მოსაზღვრე სოფლებს მოედო, სადაც მეკობრეთა თავდასხმები უფრო ხშირი იყო, მითქმა-მოთქმამ კი თვით ყველაზე უფრო მიყრუებულ, საზღვრიდან დაშორებულ ადგილებამდე მიაღწია. მტერი მარჯვედ აკეთებდა თავის საქმეს. სარფით მუცლის ქონსაც ისქელებდა და სოლომონის მიმართ სამეფოში შიშსა და უნდობლობასაც სთესდა. თუ დაალიდნენ და საქურდალშივე არ შეიპყრობდნენ, ერი და ბერი ერთად იხუვლებდა და შეუკავებელ რისხვას უდანაშაულო სოლომონსა და სამეფო კართან დაახლოებულ პირებს დაატეხდა.

კიდევ უფრო საქმეს ის ართულებდა, რომ იმერეთიდან და ძველი საქართველოს სხვა კუთხეებიდან, ლიხს იქით და ლიხს აქეთ, ტყვე გოგო-ბიჭები უცხოელ ვაჭრებსა და აქ ჩამოსახლებულ აგარიანებსაც გაჰყავდათ. ზოგ ტყვეს ალაგობრივ ყიდულობდნენ, ზოგი ვახშმის სანაცვლო გირაოში რჩებოდათ, ზოგიც თავისი ნებით იჭერდა ყელში გადამთიელი ბატონის ყულფს, ან მოსწრებულ შვილსაც კი იმეტებდა, ოღონდ ცოტაოდენი თეთრი ეშოვნა და სივაგლახეში ჩავარდნილი ოჯახისათვის ცხოვრების სახსარი გაეჩინა.

ყველა ეს ტყვე, მეტადრე უცხოელი ვაჭრებისა და მევახშე ოსმალების მიერ „კანონიერი გზით" შეძენილი, დაუბრკოლებლივ გაჰყავდათ სამშობლოს ფარგლებს გარეთ. სოლომონი ხელ-ფეხშეკრული იყო. „თავისუფალი აღებმიცემობის" ოდითგანვე დაკანონებული წესების მოშლა და ახლის დამკვიდრება გაცილებით მეტ ძალასა და შემართებას ძოითხოვდა, ვიდრე მას დღეს გააჩნდა. სანუგეშო მხოლოდ ის იყო, რომ ე. წ. თავისუფალი აღებმიცემობის შეუზღუდაობით მეფეს შეეძლო თავი გამოედო ოსმალების წინაშე, მტრისათვის თვალებში ნაცარი შეეყარა, ემტკიცებინა, რომ ტყვეების გაყიდვის წინააღმდეგი სულაც არ იყო, თუ ეს ყიდვა-გაყიდვა მყიდველისა და გამყიდველის სრულ ნებაყოფლობაზე იქნებოდა დაფუძნებული...

ამ დახლართული, შინაგანად ერთობ მარტივი, თითქმის გულუბრყვილო მსჯელობით ოსმალებს, რასაკვირველია, ვერას მოატყუებდი, მაგრამ ის საქმის გაჭიანურების და დროის მოგების საშუალებას მაინც იძლეოდა.

სოლომონი გამოუვალ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. „აღებმიცემობის თავისუფლების შეუზღუდაობა" ვერასოდეს ვერ გასწევდა სულთნისაგან შემოწერილი და შემდეგ მისივე გაუმაძღარი კარისკაცების მიერ უზომოდ გაბერილი „ცოცხალი გადასახადის" — ასობითა და ათასობით ტყვე გოგო-ბიჭის გადახდის მაგივრობას. ეს ორი სხვადასხვა რამე იყო და ერთი მეორეს არ ენაცვლებოდა. კონსტანტინოპოლის აშლილ მადას ეგზომ მცირე ულუფით ვერ დააცხრობდი და ოტომანთა იმპერიის კბილთა ღრჭენა სისხლისაგან დაცლილ, სამშობლოს სხვა კუთხეებისაგან დროის სიმუხთლით მოწყვეტილ პაწაწინა იმერეთს არც დღე მოასვენებდა და არც ღამე.

მეორე მხრივ, იგივე „აღებმიცემობის თავისუფლება" ქვეშევრდომ ერს ეჭვებს უღვიძებდა, მეფის ძალებისა და კეთილსინდისიერებისადმი ნდობას ბზარს უჩენდა, ეს დალოცვილი ერთს ამბობს, მეორეს აკეთებსო და მტრისაგან დაყრილი ბოროტი ხმების გავრცელებას ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა.

ამ დღეში დარჩენა უკვე უგუნურო-

ბა იყო. სოლომონს რაღაც სხვა ღონე უნდა ეხმარა და ტანჯვითა და ვაებით მოპოებული მდაბიო ხალხის მხარდაჭერა როგორმე ბოლომდე შეენარჩუნებინა.

მაგრამ მეფესა და მის დაახლოებულ დიდებულებს, ვისაც კი ყოველმხრივ შევიწროებული და მიწის პირისაგან აღგვის გზაზე დამდგარი სამშობლოს დარდი გულზე ლოდივით აწვა, ისიც ჩინებულად მოეხსენებოდათ, რომ ოსმალებს ისე არაფერი აღაშფოთებდა და აღძრავდა, როგორ აჩიკ ბაშთა მეფისაგან ტყვეების გაყიდვაზე უარის თქმა. თუ გარემოება აიძულებდათ, მათ შეეძლოთ, სხვა ყველაფერზე ეთქვათ უარი, ყველა სავალდებულო გამოსაღები თუნდ გაენახევრებინათ, ოღონდ ტყვეები კვლავ მიეღოთ და ბრწყინვალე ჰარამხანები და იანიჩართა სამხედრო ბანაკები სამშობლოს მოწყვეტილი მწყაზარი გოგონებითა და მალხაზი ბიჭუნებით შეევსოთ. არა, არ შეიძლებოდა რაიმე ორჭოფულ გადაწყვეტილებაზე შეჩერება. მეფეს, ვიდრე გვიან არ იყო, უკიდურესი გაბედულება უნდა გამოეჩინა და ან ამ გზას დასდგომოდა, ან იმ გზას...

## თავი ოცდამეთოთხმეტე

რაბათის მესვეურებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ, რაც ბოლო დროს ბაშიაჩუკების ქვეყანაში ხდებოდა. მოვლენათა მსვლელობას თვალს გაფაციცებით ადევნებდნენ. გამოძიებამ, რომელსაც სათავეში ქუთაისის ციხისთავი კიკიანი-ფაშა ჩაუყენეს, საბოლოოდ დაადგინა, რომ გასულ ზაფხულს ხანისწყლის ხეობაში მომხდარი ხოცვა-ჟლეტა მეფე სოლომონის სახელს არაფრით უკავშირდებოდა. დანამდვილებით გამოირკვა: თვით სოლომონი ძლივს გადაურჩა სიკვდილს და ადგილობრივი გზებისა და ბილიკების კარგად მცოდნე, ერთგული და მარჯვე მხლებლები რომ არ ჰყოლოდა, უადგილო ადგილას ჩასაფრებულ მტერს იქნებ ხელშიაც კი ჩავარდნოდა.

მარბიელი ლეკების თუ სხვა მთიელთა ლაშქრის ამ ვიწროებში ჩასაფრება, ცხადია, იმერი დიდკაცობის დახმარებისა და ხელისშეწყობის გარეშე არ მოხდებოდა, მაგრამ გამოძიების მსვლელობის დროს იმდენი ურთიერთსაწინააღმდეგო ვარაუდი წამოიჭრა, იმდენმა ურთიერთგამომრიცხავმა ცნობამ იჩინა თავი, სინამდვილის დადგენა თითქმის შეუძლებელი გახდა. სიმართლე რომ ითქვას, გამომძიებლები სხვა დამნაშავეს, გარდა სოლომონისა, არც ეძებდნენ. რაკი ის ამ საქმეში უბრალო, თავადაც სხვათა მსხვერპლი აღმოჩნდა, მათ ხელი დაიბანეს და მოვლენებში უფრო ღრმად ჩაწვდომა აღარ მოუწადინებიათ. ასე იქნებოდა თუ ისე, იმერეთს უნდა ეზღო მის მიწაზე დაღვრილი მართლმორწმუნეთა სისხლი. განა სულ ერთ არ იყო, ვინ წინ მოხვდებოდა და ვინ უკან?

ჰაჯი-ახმადს რისხვა გაუნელდა, თუმცა მძევლად დატოვებული ეპისკოპოსის საიდუმლო გაქცევისა და საჭურის ბიჭთან ერთად უნიშნოდ გაქრობის გამო ძველი ეჭვი, ჩემგნით ხელდასხმულმა სოლომონმა ნამდვილად მიღალატაო, ხელახლა აღეძრა და გულში ურჯულო გურჯებისადმი შურისძიების ჟინი ჩაუსახლდა. ამ ჟინმაც მალე გაუარა. ფაშას გამყოლი გული არ ჰქონდა. სიამოვნებით დამალავდა და არავის გაუმხელდა ხანისწყლის ხეობაში მომხდარ ამბავს, ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო. პირველსავე დღეს და შემდეგ, მომდევნო დღეებსა და კვირეებში ამბავი ისე გახმაურდა, ისე გაზვიადდა და გაიბერა, მისი სადაც ჯერ არს შეუ-

ტყობინებლობა ახალ სიბეცედ და დანაშაულად ჩაეთვლებოდა. წინაალმდეგ თავისი სურვილისა, ჰაჯი-აჰმადი იძულებული გახდა იმპერიის დიდი ვეზირისათვის ყოველივე წვრილად მიეწერა და საქმის გამოძიებასაც, მიფუჩეჩების თუ მართლა ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, დაუყოვნებლივ შესდგომოდა.

ჩილდირისა და ახალციხის ვალის მოხსენებას ტოპ-კაპას სასახლეში გულგრილად შეხვდნენ. საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, სწორედ ამ დღეს სამხედრო ხომალდების აღლუმი იყო დანიშნული ბოსფორში და არც დიდ ვეზირს და არც თვით ბედნიერ სულთანს მოხსენების წასაკითხავად არ ეცალათ.

ბევრი უცხოელი სტუმრისა და, რაც მთავარია, კონსტანტინოპოლში აკრედიტებული ყველა დიპლომატიური წარმომადგენლობის თვალწინ ბედნიერი სულთნის კარი აღლუმს თავისი სამხედრო ძლიერების საჩვენებლად და მომავალ მოწინააღმდეგეთა დასაშინებლად მართავდა. ბალკანეთსა და მთელს ევროპაში უკვე თოფისწამლის სუნი იდგა. ერთი პაწია ნაპერწკალი კმაროდა, რომ ან აქ, ან იქ ხანძარს ეფეთქა და მთელს ქვეყნიერებას ომის ხანძარი მოსდებოდა. სულთნის კარზე და თვით კონსტანტინოპოლში უცხო სახელმწიფოთა წვრილ-წვრილი ჯაშუშები და რეზიდენტები ფუთფუთებდნენ. ბევრი მათგანი თურქებს უკვე გამომჟღავნებული ჰყავდათ, მხედველობის არიდან ერთი წუთითაც არ უშვებდნენ, ყალბი ცნობებით თვითონვე ამარაგებდნენ და თვალის ასახვევად,ვითომდა ყველაფერი რიგზეაო, იმ არასწორი ცნობების გადაცემის საშუალებასაც აძლევდნენ, რადგან აშკარა თამაშის გამართვა ჯერ ნაადრევად მიაჩნდათ.

სამხედრო ხომალდების დიდებული აღლუმი სწორედ რომ დროული იყო. დაე, მტერსაც და მოყვარესაც, უწინარეს ყოვლისა, ოტომანთა იმპერიის უახლოეს მეზობლებს, რუსეთი იქნებოდა, საბერძნეთი, ავსტრია, სპარსეთი თუ ევროპისა და აზიის რომელიმე სხვა ქვეყანა, საკუთარი თვალით დაენახათ თურქეთის ფლოტის ძლევამოსილება და აქედან დამაფიქრებელი დასკვნები გამოეტანათ.

ფლოტის აღლუმმა განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება ფრანგებსა, ინგლისელებსა, ესპანელებსა და ჰოლანდიელებზე მოახდინა. ზღვაოსანი ქვეყნები უკვე გრძნობდნენ, რა უზომო მსხვერპლსა და ზარალს მოითხოვდა ოსმალთა კუთვნილ წყლებში შემოჭრა მესინის სრუტიდან ვიდრე ბოსფორამდე და რა ძვირი დაუჯდებოდათ საზღვაო გზებით კონსტანტინოპოლის კედლებამდე მოღწევა!

საადმირალოს წინ, ოქროს რქის ყურეში, ერთიმეორის მიყოლებით ჩაიარეს საომრად აღჭურვილმა კატარღებმა და ფრეგატებმა. ყოველი ხომალდის გროტანძაზე ქარი თურქული ნახევარმთვარით აღბეჭდილ სამკუთხა ალამს ატკაცუნებდა და ყველა ავის მდომს შიშის ჟრუანტელს ჰგვრიდავაი იმას, ვისაც ეს შეჯავშნული გოლიათები ზღვაში გზას გადაუღობავდნენ და თავიანთი ზარბაზნების ცეცხლში გაჰხვევდნენ!

ოქროს რქასთან მოახლოებამდე, რომლის ყელშიაც, საზეიმოდ მორთული დრომონის ერდოზე, ბრწყინვალე ამალით გარსშემორტყმული სულთანი იჯდა და სამზერი მილით სრუტეს გაჰყურებდა, ახალი ხომალდი ზარბაზნის სამი გასროლით მიესალმებოდა ნახევარმთვარის სატახტო ქალაქს, ბედნიერ სულთანს, საადმირალოს, ნაპირზე მომდგარ და ათას ენაზე მოჟრიამულე ჭრელ-ჭრულა ლიანგს. მას სამი გასროლითვე უპასუხებდნენ სანაპირო ფორტები და ბოსფორის კამკამა წყალს, შიგ რომ სხვადასხვა სიმაღლის ფლატეებზე გადმომდგარ ციხე-კოშკთა დაკბილული კედლები, ისარივით ცაში აჭრილი წვრთილი მინარეთები, მწვანეში ჩაფლული გუმბათიანი მეჩეთები და ევროპულ ყაიდაზე ნაგები თურქული სა-

სახლეები ირეკლებოდნენ, დღნთის მქრქალი კვამლი დაეფინებოდა.

**ის ამბავი**, რომ გურჯისტანის ვილაიეთიდან ფაშა ჰაჯი-აჰმადი სამწუხარო ცნობებს იტყობინებოდა, დიდ ვეზირს მხოლოდ მესამე დღეს, ისიც მწუხრის ლოცვის შემდეგ აუწყეს. ჰაჯი-აჰმადის უმდაბლესი წიგნი მეტნაკლები მნიშვნელობის მქონე ქაღალდების დასტაში იყო მოქცეული და სანამ ვეზირის კანცელარიის უფროსი დეფთერდარი რიგით იქამდე მიაღწევდა, გვარიანმა დრომ გასტანა და ვეზირს თვლემაც მოერია. ჰაჯი-აჰმადის მოხსენება მან ჩუმად მოისმინა, შემდეგ, როცა დეფთერდარს ეგონა, მგონი ჩაეძინა და ახლა კი დროა, ფეხაკრეფით გავიპაროო, ჭორფლიანი ხელი გამოიწოდა, ფურცელი ჩამოართვა, მოოქროვილ ბატისფრთას მისწვდა, ყურზე ირიბულად, გაკრული არაბული ასოებით მოაწერა „ამაღამვე — მის უმაღლესობას“ და უკანვე დაუბრუნა. ერთ წუთსაც არ გაევლო, სანამ დეფთერდარი ახალ საბუთს გადაშლიდა, წარწერიან ფურცელს კვლავ მისწვდა, ბატისფრთა სპილოს ძვლის სამელნეში ჩააწო, მინაწერი მონდომებით ისე წაშალა, რომ მისი ამოკითხვა აღარავის შესძლებოდა, მიტრიალდა და იგი ინკრუსტრირებული საწერი მაგიდის სულ ქვედა უჯრაში მოათავსა.

რას მოასწავებდა ეს?

დიდი ვეზირი, ჩანდა, თავად აპირებდა პირად გაჩენილი გურჯისტანის აწეწილ საქმეებში ჩარევას და რადგან მომხდარ ინციდენტში თავისი დანაშაულის წილსაც ხედავდა — გარყვნილი და ჭეშმარიტი ღმერთის მგმობელი ჰაჯი-აჰმადი დღემდე ახალციხეს ვერ მოაშორა! — მომხდარი ამბის გახმაურება და სულთნის ყურამდე მიტანა არ სურდა.

დაპყრობილი ქვეყნების განმგებლობის თაობაზე დიდ ვეზირს საკუთარი მოსაზრებები ჰქონდა და მისივე ჩაგონებით ბედნიერი სულთანიც სწორედ ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა.

დიდი ვეზირის **აზრით**, დამპყრობელ ქვეყანას დაპყრობილ ქვეყნებში არ შეეძლო გამოენახა უკეთესი განმგებელნი და თავისი ნება-სურვილის განუხრელად გამტარებელნი, ვიდრე ამავე ქვეყნის შვილნი, ოღონდ დამპყრობელის კარზე აღზრდილნი და სრულიად ახალ პიროვნებად ჩამოყალიბებულნი. მსგავს განმგებელს მუდამ ორმაგი სარგებელი მოაქვს. ერთი მხრივ, ის დაპყრობილი ხალხის შვილია და ახალი დამორჩილებული ქვეყანა ნაკლებად დრტვინავს, რაკი სახელმწიფო განმგებლობის სათავეში კვლავ თავისი სისხლი და ხორცი ეგულება. ის რჩეული განმგებელი, მეორეს მხრივ, თავისი მოწყალე ბატონის ყურმოჭრილი მონაა. ყოველდღე და ყოველღამ ეჩვენება, როგორც დამორჩილებული ტომის შთამომავალს, უნდობლობას მიცხადებენო და თავგამოდებული ლამობს, დამპყრობელ ტომში გაითქვიფოს, მისი ღმერთი იწამოს, მისი ენა, სარწმუნოება, ზნეჩვეულებები და მისწრაფებები შეითვისოს, მისი ზრახვები საკუთარ ზრახვებად გაიხადოს და სხვებიც აიძულოს ასევე მოიქცნენ. უბედური იმას კი ვერ მიმხვდარა, რომ როცა თავისას მიაღწევს, ბატონის თვალში გახვრეტილ ფარადაც აღარ ეღირება — ასეთები და კიდევ უკეთესები ბატონს ხომ უამისოდაც ბევრი ჰყავს! დაპყრობილი ტომის განმგებელი, რომელსაც ზურგს დამპყრობელის შეიარაღებული ძალა უმაგრებს, წონასწორობას ჰკარგავს და, უნდო და მიუკარებელი, თვით გაუგონარი სისასტიკისგანაც კი უკან არ იხევს. იქ, სადაც მის ადგილზე სხვები საქმეს მშვიდობიანი მორიგებით მოათავებდნენ, აფორიაქებული განმგებელი, მტრის გულის მოსაგებად და თავისი წარბშეუხრელი ერთგულების დასამტკიცებლად, სახრჩობელას სახრჩობელაზე მართავს და ყველა უკმაყოფილოს განურჩევლად აქეთ მოერეკება.

ფაშა ჰაჯი-აჰმადი ვეზირს სწორედ ერთ ამგვარ განმგებლად მიაჩნდა. რაკი

მისი შემცვლელის გამოძებნა არცთუ იოლი საქმე იყო, გურჯისტანის ვილაიეთიდან მოსულ მამხილებელ საჩივრებზე ყურს არ იბერტყავდა და ფაშაც, რასაკვირველია, თავის ადგილზე იჯდა.

ახალციხეში არავინ უწყოდა, რით უპასუხებდა კონსტანტინოპოლი ათაბაგის უმორჩილეს მოხსენებას. ბევრს მთლად უსაფუძვლოდ როდი ეგონა, რომ ჰაჯი-აჰმადის დღეები უკვე დათვლილი იყო. სულმოსწრაფებულებმა ხმებიც დაჰყარეს, რაბათში რა ხანია მოსულია ჰაჯი-აჰმადის გადაყენების რაყამი, მაგრამ დივანი ყოყმანობს, განზრახ არ იკრიბება, მოსალოდნელი უწესოების თავიდან ასაცილებლად არზრუმიდან ახალი ათაბაგის ჩამობრძანებას ელისო.

ყველა ამის სანაცვლოდ, ჩილდირისა და ახალციხის უმაღლეს სახელმწიფო მოხელეს, ფაშა ჰაჯი-აჰმადს, კონსტანტინოპოლიდან დიდი ვეზირის მეგობრული წიგნი მოუვიდა. განუსაზღვრელი უფლებამოსილებით აღჭურვილი ვეზირი გურჯისტანის ვილაიეთის განმგებელს სიყვარულით მოიკითხავდა და მოიარებით ურჩევდა, მთავარი ყურადღება ერთმორწმუნე რუსეთთან აჩიკ ბაშთა ურთიერთობისათვის მიეპყრო, ხოლო რაც შეეხებოდა დიდი ალაჰის მონა სამი ათასი რჩეული მოლაშქრის მოწამებრივ დაღუპვას ურჯულო ქვეყნის რომელიღაც ხეობაში, ამას ღვთის განგებას მიაწერდა და დასძენდა, რას იზამ, ძვირფასო ძმაო საყვარელო, ომია და ომში კაცი ხან გაიმარჯვებ, ხან დამარცხდებიო.

რა იყო ეს, შეწყალება და ნუგეში, თუ ფარული მუქარა? იმპერიის სხვადასხვა კუთხეში ათას ადგილას ნამსახური, ერთ დროს თვით სულთნის ტახტთან ახლო მდგომი ჰაჯი-აჰმადი იმდენად გულუბრყვილო და მიუხვედრელი ადამიანი როდი იყო, დიდი ვეზირის ლამაქრული მონაწერი მართლაც ნუგეშად და კეთილი განწყობილების მომასწავებლად მიეღო. შეგობრული, ტკბილი სიტყვების უკან, ოდნავ ფუქსავატური ელფერი რომ დაჰკრავდა, ფაშა ნათლად ხედავდა გაიძვერა კარისკაცის მოხერხებულ ფანდს, რომლითაც ის თავის მსხვერპლს კატასავით უხმაუროდ ეპარებოდა.

ვეზირის წიგნი ჰაჯი-აჰმადმა მესამედ და მეოთხედ დაკვირვებით გადაიკითხა და ფიქრს მიეცა. რა უნდა ელონა, სულთნის მანდატურები თუნდ დღესვე რომ დასცემოდნენ და უზენაესი ნების თანახმად შეეპყროთ? ფაშას ხომ ორი უპატიებელი დანაშაული — მაჰმადის რჯულის ფარული ღალატი და ბაშიაჩუკების, თავისი გიაური თანამემამულეების, ასევე ფარული თანაგრძნობა ბრალდებოდა! მაღალი ღმერთის — ალაჰისა და მისი მოციქულის, მაჰმადის წინაშე ჰაჯი-აჰმადი ცამდე მართალი და უცოდველი იყო. ყველა სავალდებულო წეს-ჩვეულებას ჭეშმარიტი მორწმუნის კეთილსინდისიერებითა და რუდუნებით, მართალია, არ იცავდა, რაც მისი დაუდევრობის გამოხატულება უფრო იყო, ვიდრე არცთუ ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობისა, მაგრამ რაკი ადამიანი ერქვა, ღმერთის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო, ხოლო სხვა ღმერთი, გარდა ალაჰისა, არც სწამდა და ვერც წარმოედგინა. ქვეყნად იყო ალაჰი და სიცარიელე. ჰაჯი-აჰმადს ასე სწამდა და ეს რწმენა, რომ ალაჰს ეკუთვნოდა და არა სიცარიელეს, შვებასაც ჰგვრიდა.

დიდი ვეზირის წიგნის წაკითხვამ დივანის საგანგებო სხდომაზე, რომელიც ჰაჯი-აჰმადმა რაბათში, რუსუდანისეულ სასახლეში მოიწვია, ათაბაგის შერყეული მდგომარეობა ერთბაშად გაამაგრა. ვილაიეთის უზენაეს ყადს, სელიმს, ჯაყელების უმცროსი შტოს წარმომადგენელს, და მის მხრის ამბმელებს, სანამ ჰაჯი-აჰმადი კვლავ ფეხზე იდგა და ვნების მოყენება შეეძლო, სააშკარაოზე გამოსვლას რომ ვერ ბედავდნენ, თავზარი დაეცათ. ახლა მათ, გუშინდელ ნაწილიც მიამბოხეთ, ერთმანე-

თისა უფრო ეშინოდათ, ვიდრე თავიანთი საერთო მტრისა. რომელიმე სულმოკლეს, სხვამ არ დამასწროს და არ დავიღუპოო, ყველას გაცემა და გველეშაპის ხახაში ჩაყრა შეეძლო.

შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავება და გაშიშვლება ჰაჯი-აჰმადს ხელს არ აძლევდა. მშვენიერი სქესისა და ძველი იშვიათი წიგნების მოყვარული ფაშა ყოველთვის ცდილობდა, ღმობიერი და მოწყალე მმართველის სახელი მოეპოვებინა. თვით მაშინაც კი, როცა მისი ბრძანებისამებრ ადამიანისშვილის სისხლს აქცევდნენ, თავზე გარემოებათა მსხვერპლის ეკლის გვირგვინს იდგამდა და ყველას აჩვენებდა, ჩადენილ სისასტიკეს მთელი ჩემი ადამიანური არსებით ვეწინააღმდეგებიო.

ჰაჯი-აჰმადმა ნაცად ხერხს მიმართა და ამჯერადაც ასე მოიქცა. თუ ორგულთ ვერ შემოიმტკიცებდა და თავის მხარეზე ვერ გადმოიყვანდა, მერყევთ მაინც დაანამუსებდა და ერთხანს გაურკვევლობის ბურუსში ამყოფებდა.

დივანის სხდომაზე ჰაჯი-აჰმადმა თავისი ასაკისათვის შეუფერებელი მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა და მრისხანების მთელი ცეცხლი ურჯულო აჩიკბაშთა წინააღმდეგ მიმართა. დიდი ხანი იყო, აღარავის ენახა ის ასე კუშტი და პირგამეხებული. საფაშოს საქმეებში ღრმად ჩახედულთაგან თვით ყველაზე უფრო ალღოიანი და შორსმჭვრეტელი თუ მიხვდებოდა, რომ ფაშა იმდენად განრისხებული არ იყო, რამდენაც ლამობდა, ეს მრისხანება დივანის ასამხედრებლად გამოეჩინა და ამით თავისი შინაური მტრების ყურადღება სრულიად სხვა მხარეს მიემართა. დამსწრეთაგან ვალის ამ განაზრახს თითოოროლა ბეგი, მათ შორის უზენაესი ყადი სელიმი, მიხვდა, მიხვდა, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, როგორც სხვა დროსაც არა ერთჯერ დამართნია, პირი წყლით ჰქონდა სავსე და საძულველი სახლიკაცის წინააღმდეგ ენა ვერც ახლა მოაბრუნა.

მოიხმეს იმერეთის ტახტის მოცილე თეიმურაზ ბატონიშვილი, ფეხთ გაახდევინეს, ნაკურთხ წყალში გააბანინეს და ბედნიერი სულთნის ერთგულებაზე დააფიცეს. უზენაეს ყადს, სელიმს, საქმე გამოუჩნდა. ის საკვირველი გულმოდგინებით ასრულებდა ფიცის დადებინების სავალდებულო წესებს და ტახტის დაპატრონების ავადმყოფური სურვილით გონებადაბნელებულ ახალგაზრდა ბატონიშვილს საკუთარი ქვეყნისა და ერის ასაკლებად მოძღვრავდა.

თეიმურაზი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ კი საქმეს წინ წაეწია, ფაშასაგან ჯარი მიეღო და იმერეთისაკენ გაძღოლოდა. როდიღა ფიქრობდა, თუ ასე ადრე დაუდგებოდა სანატრელი ჟამი. მას შემდეგ, რაც რაჭის ერისთავ როსტომის ასული, ბუჭუტა იაშვილის ცოლქოფილი თამთა თანამეცხედრედ დაისვა, თეიმურაზი ერთხანს დაწყნარდა და ცოლისძმებისაგან ერთობ გამხნევებული მოთმინებით აღიჭურვა. ოტია დადიანთან სოლომონის დამოყვრებამ მის სანუკვარ ოცნებას ფრთები შეაკვეცა, მაგრამ იმედი ასულდგმულებდა, ჩემი სულთამხუთავი ბიძაშვილი დაკარგული ტახტის დაბრუნებას არ დასჯერდება და ოსმალებთან ურთიერთობას ერთხელ და სამუდამოდ გაიფუჭებსო.

იმერეთში ნამყოფი და მერე სხვადასხვა გზით სამცხეში მოხვედრილი ვაჭრები, კარიდან კარზე მოხეტიალე მისიონერი ბერები თუ მეკობრეები ერთიმეორეზე უარეს ხმებს ავრცელებდნენ. დაუჯერებელი არაფერი იყო. სოლომონს ბედი ყოველთვის სწყალობდა და თავისმა პირშავმა ღმერთმა ხელი ახლაც მოუმართა. თეიმურაზი გულზე სივდებოდა. ბოლო ხანს სრული უძილობა და აუხსნელი შიში დასჩემდა. ღამღამობით ოთახში მარტო ვერ რჩებოდა .ელანდებოდა, რომ როგორც კი თვალს მილულავდა, ჩაგმანულ სარკმელს გარედან ვიღაც გაღებას უპირებდა. ბატონიშვილის საძინებელი ოთახის სარკმელი ფოცხოვის-

წყალს გადაჰყურებდა. ფრიალო კლდის ძირიდან, რომელსაც მთის გიჟმაჟი მდინარე ლოკავდა, აქ ამოსვლა, თუ ზემოდან საგანგებოდ თოკის კიბეს არ ჩააწვდიდი კაცს სულიერს არ შეეძლო, მაგრამ სისხლსა და ხორცში გამჯდარი აუხსნელი შიში ისე ძლიერი იყო, რომ ძილგატეხილმა თეიმურაზმა ეს ერთადერთი სალი აზრი თავს ვერ შთააგონა და ვერ დამშვიდდა.

მერე და მერე ახალციხეს შურისმაძიებელი მეფის კლანჭებიდან სასწაულებრივად თავდახსნილი ლტოლვილები მოვიდნენ. ლტოლვილებს შორის იყო თვით მეფის ბიძა, არგვეთის დიდი ბატონი ლევან აბაშიძე. ლევან აბაშიძის აქ მოსვლის ამბავმა მთელი ახალციხე ფეხზე დააყენა. ფაშამ ის დაუყოვნებლივ მიიღო და ღირსებააყრილ თავადთან ერთად წიგნსაცავში ჩაიკეტა.

ხმა გამოვიდა, სოლომონის მიერ უწყალოდ დამდაბლებული და სამკვდრო-სასიცოცხლოდ დევნილი ლევან აბაშიძე ფაშა ჰაჯი-აჰმადს ქართლიდან ეახლა, სადაც იმერეთიდან გადმოხვეწილი ვახანელ ნათესავებში იმალებოდაო. თეიმურაზ ქართლის მეფემ უთუოდ იცოდა ლევანის აქ ყოფნა. თუკი საჭიროდ ჩათვლიდა, შეეძლო, რასაკვირველია, ჯარი მიესია, ცოცხლივ ხელთ ეგდო და სოლომონის მოსამადლიერებლად იმერეთში დაებრუნებინა, სადაც თავადს წესს აუგებდნენ; მაგრამ მოხუცებულმა მეფემ ეს არ ჰქნა, ქართლელ აბაშიძეთა არასასურველ სტუმარს თვალი წინდახედულად აარიდა და, ამგვარად, სამეფოს ფარგლებიდან მშვიდობიანად გასვლის საშუალება მისცა.

ლევანს არც კი დაუპირებია, ქართლის მეფეს პირდაპირ შეჰყროდა. ის ისედაც გრძნობდა, რომ ეს შეხვედრა სოლომონსა და თეიმურაზ მეფეს შორის უკმაყოფილებას ჩამოაგდებდა, რის გამოც, შესაძლოა, ისნის სასახლიდან ზრდილობიანი უარი მიეღო და ლტოლვილი კაცი საქვეყნოდ გაწბილებულიყო. ფაშასთან დარბაზობის შემდეგ ლევანი ქალაქში დასახლდა და ძველი ხამთარი განდეგილივით ცხოვრობდა. კართან ყოველთვის ფხიზლობდა იარაღში ჩამჯდარი იმერი მოლაშქრე, ერთი სამთაგანი, რომლებიც ბატონს თან მოჰყვნენ და ლევანთან შესვლის უფლებას არავის აძლევდნენ.

თეიმურაზი ორწყალშუა იყო. ამ ძლიერ პიროვნებას, ლევან აბაშიძეს, ვისი გავლენაც იმერეთში ჯერ კიდევ გუშინ თვით მეფის გავლენასაც კი აჭარბებდა, დაუფასებელი სამსახურის გაწევა შეეძლო. მაგრამ რა აზრს ადგა თვით ლევანი? მოასწავებდა თუ არა მის მიერ სოლომონის ათვალწუნება და ტახტისაგან განდგომა თეიმურაზის მხარდაჭერას? რა გზით აპირებდა შეურაცხყოფილი თავადი უმადური შვილიშვილის დასჯას და შელახული ღირსების აღდგენას?

თეიმურაზმა რამდენჯერმე გადაწყვიტა, თავადი პირადად მოენახულებინა და მომავალი საქმის დაწყებამდე მოლაპარაკება გაემართა. ყველა ცდა მარცხით დასრულდა. შვილიშვილის ტახტის მოცილესთან ლევან აბაშიძემ შეხვედრა არ ინდომა. ავადმყოფობას იმიზეზებდა. როგორც კი გამოვკეთდები, კაცის პირით შეგატყობინებ და თავად გეახლებიო. ეს უკვე უარს უდრიდა და ამიერიდან თეიმურაზს დანამდვილებით შეეძლო ეფიქრა, რომ იმერეთში მის გამეფებას აბაშიძე დიდი სიხარულით არ შეხვდებოდა, პირიქით, თუ როგორმე მოახერხებდა, იქნებ ხელიც კი შეეშალა.

მაშ, რა სურდა? აქ, საფაშოში, რა განზრახვით მოვიდა?

იმერთა ტახტს, გარდა ბატონიშვილ თეიმურაზისა, თუ უფროს ბატონიშვილებს — გიორგისა და მამუკას, თვით თეიმურაზის მშობელ მამას, არ ჩავთვლით, სხვა კანონიერი მემკვიდრე არავინ ჰყავდა. ბატონიშვილი არჩილი, სოლომონის უმრწემესი ძმა, ჯერ პატარა იყო და უასაკობის გამო ქვეყნის გაძღოლას ვერ შესძლებდა, ხოლო ით-

სებმა, ერისკაცობაში იესემ, საუკუნოდ დაუკავშირა თავი ეკლესიას და მეფის მანტიას სამღვდელმთავრო კვერთხი არჩია. თუ სოლომონს ხელახლა დაამხობდნენ, დღეს ეს საეჭვოდ უკვე აღარავის მიაჩნდა, მისი ტახტი ვინმეს უნდა დაეკავებინა და ეს ვინმე სამეფო შტოსთან ახლო მდგომი, ბაგრატიონის გვარისა უნდა ყოფილიყო! ყველა გზა თეიმურაზისაკენ მიდიოდა.

თეიმურაზი ხუთჯერ თუ ექვსჯერ კიდევ მიიხმეს დივანში. საჭირო იყო ძველი, მამაპაპური პირობების განახლება, იმ პირობებისა, რომელთა დარღვევისა და დიდი ალაჰის განრისხების ნება სოლომონმა თავს მისცა, და ამჯერად უკვე მისი, თეიმურაზის, მართლმორწმუნე მაჰმადიანის, ხელრთვის დართვა. გამბედაობა და სულის მხნეობა თეიმურაზს თანდათან ემატებოდა, თანდათან გამოდიოდა მივიწყების მყრალი ნაჭუჭიდან და ბუდიდან გადმოსაფრენად მომზადებული მართვივით ბუმბულით იმოსებოდა. თვალდათვალ შეიცვალა ვალის ამპარტავან კარისკაცთა დამოკიდებულება იმერთა უსახლკარო ბატონიშვილის მიმართ. ვინც გუშინ არაფრად აგდებდა და ზურგსუკან კიდევაც დასცინოდა, დღეს მეგობრად და ყურმოჭრილ ყმად გაუხდა. გაჩნდა მოწიწებითი მიმართვა „თქვენო უმაღლესობავ“ უბრალო „თავადის“ მაგიერ. თეიმურაზს უკვე ისე ეპყრობოდნენ, როგორც მეფეს, მაგრამ მეფეს დამორჩილებული ქვეყნისა, რომლის ბედიღბალი იმაზე ჰკიდია, თუ ხვალ რა გუნებაზე გაიღვიძებს ის, ვინც ასე გულუხვი წყალობა გაიმეტა და უბრალო მოკვდავი თავის მსგავსთა ზედა აღამაღლა...

## თავი ოცდამეთხუთმეტე

29 მარტს, დაუჯდომელის შაბათს, ახალციხელი ბერძნის ღარიბულ ქოხში ბერივით განმარტოებულ ლევან აბაშიძეს მეტად საპატივცემო სტუმარი მოუვიდა. კარის მცველმა მარგველმა მოლაშქრეებმა სტუმარი უმალვე იცნეს და დაუყოვნებლივ ბატონთან გაატარეს. ლევანი ლოცულობდა. წინადღეს მან ხანგრძლივ ყოყმანს სძლია, თავისი ცოდვილი სული პატრებს მიანდო და სანთლებით გაჩირაღდნებულ იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში კათოლიკობა აღიარა. მისიონერი პატრები ცას ეწივნენ სიხარულისაგან, ღმერთს მადლობა შესწირეს. გასჭრა მათმა დაუღალავმა ქადაგებამ და წმიდა პეტრეს სამოციქულო ეკლესიის წიაღმა ლევან აბაშიძის სახით კიდევ ერთი ღვთის განგებას მინდობილი სული შეიძინა. ლევანს სინდისი დამშვიდებული ჰქონდა. გათათრებას, რაც ძლევამოსილმა ფაშამ პირობად დაუდო, კათოლიკურ წესზე მონათვლა ამჯობინა. ჰაჯი-აჰმადი, რაკი ბატონკაცური შეგონებით ვერას გახდა და მის კარზე ნებაყოფლობით მოსულ აბაშიძეს ქრისტეს რჯულზე უარი ვერ ათქმევინა, ლევანის ამ ნაბიჯით მაინც კმაყოფილი დარჩა. არგვეთის ყოფილმა ბატონმა ერთი მოქნევით ჩაანგრია უკან დასახევი ხიდები და მართლმადიდებლურ რუსეთთან დაკავშირების გზები სამარადჟამოდ მოიკვეთა.

სტუმარი, გურიელყოფილი მამია, და მასპინძელი, თავისი სისხლისა და ხორცის მიერ არარად ქცეული ლევანი, ერთმანეთს გადაეხვივნენ და თუმცა შინ ყოფნისას, როცა ქვეყნის საჭენი ხელთ ეპყრათ, ურთიერთსიყვარულით დიდად არ გამოირჩეოდნენ, გულაჩუყებულებმა წრფელი ცრემლები დაღვარეს. ორივე საგრძნობლად მოტეხილი და შეფერთხილი იყო. წუთისოფლის მიმწუხრში გადატანილ ელდასა და

ჭირვარამს მსახვრალი კვალი მათი სახის გამომეტყველებაზედაც კი დაემჩნია. ზვიად აბაშიძეს ხელების უცნაური კანკალი დასჩემებოდა. მუდამ ბედის წინააღმდეგ მორკინალი, ჯერაც შეუდრეკელი ბერიკაცი ყოველნაირად ცდილობდა, ეს სხვებისათვის არ შეემჩნევინებინა, მაგრამ სენს თავისი გაჰქონდა და ლევანის დაღვრემილ მზერაში კაცი უსაზღვრო ნაღველს და ჭირთან გარდაუვალი შეგუების იძულებით წადილს ამოიკითხავდა. ბატონ მამიას ძალზე საეჭვოდ ახველებდა. ხანდახან ისე ჩაბჟირდებოდა, სულის მობრუნება უჭირდა. გურიის გუშინდელი მთავარი ჯანმრთელობას არც წინათ ემადლიერებოდა, ახლა კი, ვარციხის სასახლის ნესტიან სარდაფში ხანგრძლივი გდების შემდეგ, ვიდრე დარბაზი მსჯავრს გამოიტანდა, ფერი მთლად წასვლოდა და შუახანს გადაცილებული სნეული კაცი საფლავიდან ამოღებულ ცხედარს დამსგავსებოდა.

ლევან აბაშიძეს ჩვეულმა სიდარბაისლემ უღალატა. მისსავე დღეში ჩავარდნილ მამიას რომ ხედავდა, სიხარული იპყრობდა და ამავე დროს სულის შემგუებელი ჯავრი და სიმძიმილი ეუფლებოდა. გარდა ყოველ საქმეში მერყევი და ნაკლებად მისანდო როსტომ რაჭის ერისთავისა, ლიხთიმერეთში დღეს აღარავინ იყო ისეთი, ვისი მხარდაჭერის იმედიც ლევანს შეიძლებოდა ჰქონოდა და ვისი უანგარო თანადგომაც არგვეთის ყოფილ ბატონს რასმე შესძენდა. აი, მეფის ახლო მოკეთე მამიამაც მისი ხვედრი გაიზიარა და შეწევნის სათხოვნად საკუთარი ფეხით ახალციხეს მოვიდა!

ძველი მტერ-მოყვარე ბუხარს მიუსხდა. ლევანმა ყველა დაითხოვა, ფარდალალა კარი შიგნიდან ჩარაზა და მამიას მიერ მოტანილი ძვირფასი ცნობების მოსასმენად მოემზადა. უპირველეს ყოვლისა, ვიდრე სხვა, უფრო მნიშვნელოვან სახელმწიფო ამბებს შეიტყობდა, ლევან აბაშიძემ ბედის ანაბარა დატოვებული თავისი ასული, დიდი დედოფალი თამარი მოიკითხა.

— ცოცხალია, სული შერჩა, — თქვა მამიამ და შეცივებული ხელები ბუხარში გაღვივებულ წივის ცეცხლს მიუფიცხა. — აფერუმ მის ქალობას!

ლევანს ასულის მისამართით ნათქვამი ქათინაური ესიამოვნა. მის ხმასა და კილოს მოუთმენლობა დაეტყო.

— უკანასკნელად როდის ნახე?

მამია დაფიქრდა.

— სანამდი გელათს გადაიყვანდნენ. ორჯერ ვინახულე. აგიაშვილის კაცებმა გამიხერხეს...

— მაგათ თეთრი დაანახე და... ჩემთან დაგაბარა რამე?

— წუხდა ძალიან, ამბავი რომ ვერ შეიტყო. რაღა დაგიმალო, თავადო, მტრისა და ავისას, ჩვენ ცოცხალი აღარც კი გვეგონე.

— მეტი არაფერი? — ლევანი თავისი კითხვის პასუხს მოელოდა და სხვა რამის გაგონება არ სურდა.

— რისამე თქმა შეუძლებელი იყო, ლევან ბატონო, აგიაშვილის კაცები პირში შემოგვჩერებოდნენ...

— ჰმ, ძაღლები!.. გელათში რაზე წაიყვანეს, საზიარებლად?

— ქსენონში მოათავსეს მეფის ბრძანებით. ვერ იყო კარგად. თავს იტკივებდა და უძილობას უჩიოდა. პატრი ლეონე და პაპუჩა აბულაძე ახლდნენ. მე ასე მგონია, იქაც თან გაატანეს.

ლევანი შეცბუნდა, ჭაღარა წარბების ქვეშ ღრმად წასულმა მინავლულმა თვალებმა ციმციმს მოუმატეს.

— სად იქ?

— ოდიშში, ოტია დადიანის კარზე...

— ვაი, შენ ჩემო თავო! — შეიცხადა ლევან აბაშიძემ და შუბლში ხელი შემოიკრა. — იმერეთის დედოფალს ცხენიპარია დადიანის კარზე რა დარჩენია! ასე წახდა ჩვენი საქმე?

მამია აილეწა, მის უფერულ, წვრილი და მსხვილი ნაოჭებით დაღარულ, ჯამხდარ ღაწვებს ალმა აუარა: გულწრფელად შეწუხდა, რომ ამგვარი რამ

დაუფიქრებლივ წამოსცდა. აბა, როგორ წარმოიდგენდა, რომ ყოვლის მცოდნე და ყოვლის განმჭვრეტ ლევან აბაშიძეს თავისი ასულის გზა და კვალი არ ეცოდინებოდა!

— ბოდიშს მოვითხოვ, ბატონო, — თქვა მან, გულზე ხელი მიიდო და თავი დაღუნა. — არ მეგონა, თუ... აგერ ექვს კვირაზე მეტი იქნება, რაც თქვენი ასული, დიდი დედოფალი თამარი, დადიანის კაცებმა ზუგდიდს წაიყვანეს...

— მოსისხლე მტერს ჩაუგდეს ხელში? ღმერთო დიდებულო, იესო ქრისტეუ! — ახალი ამბის შეტყობით თავზარდაცემულმა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა მამამ ჭერს აჰხედა და პირჯვარი სანახევროდ გადაისახა. — ბარემ მშიერი ლომისთვის შეეგდოთ გალიაში!

— როგორც მე მითხრეს, ოტიამ თავად შემოთვალა, ასე და ასეო, კათალიკოსმაც ურჩია დედოფალს...

— კათალიკოსი მოღალატეა! — დასჭექა ლევანმა და მუშტი მუხლზე დაიკრა. — ის მუდამ იმის მხარეზეა, ვისკენაც ძალას დაინახავს!.. მაშ, ჩემი ასული მძევლად დაიტოვეს? დიდი რამე მახარობელი ხარ, მთავარო! გონიათ, ამით ხელ-ფეხს შემიკრავენ და პირში წყალს ჩამიგუბებენ? ნურას უკაცრავად! მტრის ჯავრს, თუ ღმერთმა გამიმარჯვა, საფლავში არ ჩავიტან. იმის ღონე და ქადილი კიდევ შემწევს, ხმალი მოვიქნიო და ჩემს დამმდაბლებელს სიცოცხლე ვანანო. სხვა მხრივ რა ამბავია იმერეთში, როგორ შეეგუა ერი თავისი მამა-პაპისა და მშობელი დედის მგმობელი მეფის ბატონობას?

— დიდი შიშიანობა ჩამოვარდა, ლევან ბატონო, — მიუგო მამიამ და ხველა აუვარდა. კარგა ხანს ახველა, თვალებიდან კურცხლები წამოსცვივდა. ლევანი მოთმინებით უცდიდა. — კაცი კაცს აღარ ზოგავს, — თქვა, როდესაც სული მოითქვა და თვალები შეიმშრალა. — ქრისტეს ტირილია...

— რასა იქს ვაჟბატონი გიორგი, ხვენი ალექსანდრე მაკედონელი, ან მამუკა როგორ ბრძანდება, ისევ რაჭაშია, მძახალთან, თუ ღვთის შეწევნით გაბედა ბარში ფეხის ჩამოდგმა?

— გიორგი, მაღლაკთან დამარცხების შემდეგ, კაცია დადიანის ძემ დაატყვევა და სოლომონს მოჰგვარა. მამუკა ერთხანს ბარაკონზე იყო, მერე, სოლომონმა რომ ვარციხე დაიკავა და არგვეთის ციხეებში თავისი ჯარი ჩააყენა, შეშინდა და ცოლისძმასთან გაიქცა ოდიშში.

— მერე? — ლევან აბაშიძემ მწარედ გაიღიმა და მოქუფრული სახე სულ ერთი წამით გაუნათდა. — დაავიწყდა, მისი ცოლისძმა რომ მეფის სიმამრი იყო?

— ყველიერის პირველ კვირაში თავისი კაცების თანხლებით გამოაგზავნა კიდევაც ოტიამ და სოლომონს შეავედრა.

— აბა, რას იზამდა! ოტია დადიანს შენ მოატყუებ ჰკუაში? მიწაში რა არის, ის იცის!

— მე მგონია, ხელი დაიბანა, ბატონო ლევან. ვითომ სიძემ გლახა არაფერი ჩაიდოს გულში ჩემზეო. სოლომონს გადაწყვეტილი აქვს, თუ დასცალდა, ბატონიშვილები საუფლისწულო მამულებში გადაასახლოს და სანამ თავად არ მოიხმობს, იქიდან ფეხის მოცვლის უფლება არ მისცეს. ჯერჯერობით მეფის ორივე ბიძა გელათშია. მონასტრის სამრეკლოზე არიან გამომწყვდეული და ძირს შეიარაღებული ბადრაგი უყენია. ახლო მიკარებას და სასმელ-საჭმელის მიწოდებასაც ვერავინ ბედავს...

ლევან აბაშიძეს ისევ ჩაუსახლდნენ ეშმაკები მინავლულ თვალებში, დაღვრემილ სახეზე კიდევ ერთხელ მიადგა შუქი.

— როდემდე ნეტა? — უკვე ნაკლები ჩაძიებით იკითხა მან და ტაში შემოჰკრა. მერე გაახსენდა, კარი რომ ჩარაზული იყო და გასაღებად წამოდგა.

— ჯერ არავინ იცის, — მიუგო მამიამ და ახლა თავისი მხრივ იკითხა:

— აქეთ როგორ არის საქმე, მოწყალე ფაშა ხომ ჯანმრთელად ბრძანდება?

— ეჰ, ჩემო ბატონო, — ამოიხვნეშა ლევანმა და დაჯდა, თვალისმომჭრელად გაღვივებულ წივის ცეცხლს ჩააცქერდა. — ფაშას რა უჭირს, ჩვენ ჩვენი საქმე ვიკითხოთ უბედურებმა. თოვლი დიდია ზეკარზე? თქვენ ჭერათხევით მობრძანდებოდით?

— სწორედ, ბატონო ლევან. ალში შევჩერდი ციხის მოურავ ხაჩიძისას და თეიმურაზ მეფეს კაცი მივუგზავნე გორში, დარბაზობა ვთხოვე. თქვენთან რაღა დავმალო...

ლევანმა თავი მიანება ცეცხლს, გაიმართა, გურიის ყოფილ მთავარს თვალი თვალში გაუყარა.

— მერე? რა მოგახსენა ბატონმა თეიმურაზმა? მასპინძელსა მხიარულსა მარნის კარი უჭრიალებს?

— ჩემს კაცს ფეხად მიესწრო. ცხენზე ჯდებოდა თურმე, შამშადილში, ერეკლეს მისაშველებლად მიდიოდა. ლეკები ისევ დასცემიან, სულ აუკლიათ იქაურობა.

— აგრეც ვიცოდი. საქმე მაგათ, ბატონო მამია, ყოველთვის გამოუჩნდებათ, მე და თქვენ რომ როგორმე თავიდან მოგვიშორონ და სოლომონთან პირნათელი გამოვიდნენ. სარწმუნო ცნობები მაქვს, რომ სოლომონთან შეხვედრას და საჭირბოროტო საქმეებზე მოლაპარაკებას აპირებენ. მამა-შვილი შორს უმიზნებს, საშიშ ქსელს ხლართავს...

— საკითხავია, ვისთვის იქნება საშიში, — სიტყვა ჩამოართვა მამიამ. — ისე, ეგ ამბავი მეც შევიტყვე, ბატონო ლევან, ოღონდ, ასე მგონია, ჯერ შეხვედრის დრო და ადგილი არ უნდა იყოს დათქმული. თქვენი ბადიში გენათელი მიტროპოლიტი იოსები გაგზავნა ქართლს სოლომონმა. თეიმურაზს რუსის ელჩის პირით შემოეთვალა, შეხვედრის გადადება აღარ ეგებისო. სოლომონმა, ეტყობა, ხელი ვერ მოიწყო და თავისი პასუხი ყოვლად სამღვდელო ძმას დააბარა.

— სად ბრძანდება ახლა ეგ ვიღაცა რუსის ელჩი?

— სოლომონი გვერდიდან არ იშორებს, სადაც წავა, ყველგან თან დაყავს. ქვეყანას აჩვენებს, რჩევას ეკითხება. ვითომ, კახბატონ ერეკლეს წახედვით, მორიგე ჯარის დაწესებას აპირებს. რუსი ჯარის გაწყობის საქმეშიაც გაგებული კაციაო, ასე ამბობენ. ხელმწიფე-იმპერატორის კარზე აღზრდილი ყოფილა. არც თოფ-იარაღის ხმარება და სიტყვა-პასუხი ეშლება. ქალები გადარია...

— ქალები უშველიან, როცა ხელებზე ბორკილს დაადებენ და ეშაფოტზე ააბრძანებენ? — ლევანი მოიღუშა, მის თვალებში ყველასათვის ნაცნობმა და საზარელმა რისხვის ცეცხლმა გაიელვა. — ფაშა წვერს იგლეჯს. სოლომონზე მეტად მაგ ელჩს ემტერება. ნაბრძანებია, შევიპყრობთ თუ არა, მისი სახელით პირველსავე ხეზე დავკიდოთ. კეთილი ინებონ და მერე გამოიხსნან აქ სოლომონმა და იქ ყიზლარის კომენდანტმა თუ აშტრახანის გუბერნატორმა! თქვენ რას აპირებთ ახლა, ბატონო მამია, ჩერდებით აქ, თუ...

მამიამ თვალი მოარიდა თანამოსაუბრეს, რადგან არ სურდა, ყველაფერი პირწმიდად დაეფქვა, მაგრამ ლევან აბაშიძე სულში უძვრებოდა და რისამე დამალვა უკვე შეუძლებელი იყო.

— ვნახავ მოწყალე ფაშას, ძღვენს მივართმევ, თავს შევავედრებ, ქორფა გოგო-ბიჭებს დავპირდები...

— ჩემი სახლის კარი, სადაც არ უნდა ვიყო, თქვენთვის ყოველთვის ღია გახლავს, მთავარო, — თქვა უცებ ლევანმა და თავისი ჯორკო უკან გააჩოჩა, რათა დაძახებისამებრ ოთახში შემოსული მსახური ბიჭისათვის ცეცხლის პირას გლეხური სუფრის დადგმის საშუალება მიეცა. — იმედია, ჩემს ერთგულებას არც თქვენ ჩაიყრით წყალში და მტერს ერთსულ და ერთხორც ვეკვეთებით.

— მაღალმა ღმერთმა გისმინოთ, ბა-

ტონო ლევან, სადაც თქვენ, მეც იქ მიგულეთ ჭირსა და ლხინში!

ლევანი ბიჭის გასვლას დაელოდა და, გავიდა ის თუ არა, დრო რომ არ დაეკარგა, თავისი გეგმის გადმოლაგება უმალვე დაიწყო. სიტყვებს არჩევდა. ვიდრე რასმე იტყოდა, სათქმელს დაკვირვებით სწონიდა გონების სასწორზე. მამია გრძნობდა, აბაშიძე გულწრფელი არ იყო. ბევრ რამეს მალავდა და სათქმელი ბოლომდე არ მიჰყავდა. ბატონიშვილ თეიმურაზისადმი ლევანის დამოკიდებულება, ისევე როგორც თვით თეიმურაზს, რომელსაც იმერეთის ტახტზე ასაყვანად ამზადებდნენ, მამიასაც ბუნდოვანი და გაურკვეველი მოეჩვენა. ნათელი და გარკვეული მხოლოდ იმერეთში აგარიანთა ურიცხვი ლაშქრით შესევის გადაწყვეტილება იყო. ამ გადაწყვეტილებას ლევანი მტკიცედ ადგა და თუკი ფაშა ნებას მისცემდა და ჯარს გააყოლებდა, მზად იყო საქმეს დაუყოვნებლივ შესდგომოდა.

საუბრის დროს არგვეთის ყოფილ ბატონს ერთი სიტყვითაც არ უხსენებია, რომ სოლომონისა და ქართლ-კახეთის მეფეთა შესაძლო შეხვედრის თაობაზე უკვე ამცნო ფაშა ჰაჯი-აჰმადს და შესაფერი ზომების მიღებაც გამოსთხოვა, რაც ფაშას არ დაუყოვნებია. დღეს თუ ხვალ ტფილისის ისნის სასახლეში ჰაჯი-აჰმადის კეთილმეზობლურ წიგნს მიიღებდნენ. აღმოსავლური სიტყვამჭევრობით მოქარგულ წიგნში ფაშა გურჯი მეფეების მომავალ შეხვედრას ბაშიაჩუკების ვერაგ მბრძანებელთან ბოროტი ენების მიერ დაყრილ ჭორებად თვლიდა და არასგზით არა სჯეროდა, თუ ოსმალთა მეგობარი გურჯი მეფეები, თეიმურაზი და ერეკლე, ბედნიერი სულთნის ურჩ და მაჰმადის განმარისხებელ სოლომონთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას მოიწადინებდნენ.

ლევან აბაშიძის სიფრთხილესა და თავშეკავებას უფრო ის გარემოება ჰბადებდა, რომ მას ბევრი ორჭოფული ცნობა მოეპოვებოდა გურ[illegible] მამიას ბოლოდროინდელი საქციელის ირგვლივ. ამბობდნენ, რომ ღირსების აყრისა და სამშობლოდან განდევნის წინ მთავარი მეფეს ფეხებში ჩაუვარდა, პატიება სთხოვა და ტახტის ყველა მტრის წინააღმდეგ ომში შემწეობა აღუთქვა. ამ „მტრებში", უპირველეს ყოვლისა, უგზოუკვლოდ დაკარგული ლევან აბაშიძე იგულისხმებოდა.

მამიასაგან ყოველგვარი მზაკვრობა და ორპირობა მოსალოდნელი იყო. მთელი სიცოცხლე ვაჟბატონი ორ სკამზე იჯდა. აქეთ თავის მეფეს რომ თეთრ კბილს აჩვენებდა, იქით კუდი კონსტანტინოპოლამდე ჰქონდა გადებული. გურიელი ორივე ბატონის წინაშე თვალთმაქცობდა. ეს თვალთმაქცობა არავისათვის საიდუმლო არ იყო, მაგრამ ბატონები, საქმე უფრო არ გავაფუჭოთო, მას განზრახ არ ამჩნევდნენ, თუმცა ორპირ ქვეშევრდომს, ჯუბას ხან წაღმა რომ იცვამდა და ხან უკუღმა, კარებამდე არ ენდობოდნენ.

ვინ იყო თავდები, რომ შუაგულ ომში მამია ლევანის ბანაკს არ მიატოვებდა, სხვებსაც არ აიყოლიებდა და სოლომონთან შერიგების იმედით მეფის მხარეზე არ გადავიდოდა.

ეს ეჭვი და მის კვალდაკვალ აღძრული გულისწყრომა ლევან აბაშიძეს ისე თანდათან და ძალუმად ჰკიდებდა ხელს, დროდადრო თვალში სინათლე აკლდებოდა, როგორც იმ ავად მოსაგონარ დღეს აჯამეთის ტყეში მოუვიდა, ღონეგამოლეული მარჯვენა ხელი კანკალს უწყებდა და ნამდვილად მომხდარსა და აზრისეულს შორის ზღვარი ეკარგებოდა.

მამიამ ეს ცვლილება შეამჩნია და დაიძაბა. აბაშიძის სახე ერთობ დაუნდობელი და მიუკარებელი გახდა. ამ დროს მას არაფრად ულირდა, კარის ზღურბლზე მდგომი შეიარაღებული მარგველები მოეხმო და ღირსებააყრილი მთავარი, თავისი არასაიმედო თანამდგომი, ხმლით აეკუწვინებინა. მე შენ

გეტყვი, ვინმე პასუხს მოსთხოვდა და სისხლს აზღვევინებდა!

მათდა საბედნიეროდ, ეს არ მოხდა. ლევანს მალე დაუბრუნდა ჩვეულებრივი სახე და საღი განსჯის უნარი. ბატონიშვილ თეიმურაზისადმი მისი დამოკიდებულება კვლავ გაურკვეველი ჩანდა. ლევან აბაშიძე განზრახ გაურბოდა ამ სახელის ხსენებას, თითქოს თეიმურაზის სახელი მოჯადოებული ყოფილიყოს. მამიამ რამდენჯერმე სცადა, ზოგი რამ დაეზუსტებინა, მაგრამ თეიმურაზ ბატონიშვილს გვერდი ამანაც აუარა. არ უნდოდა, ლევან აბაშიძის წინაშე თეიმურაზის პიროვნებისადმი ყურადღება გამოეჩინა. დაე, თვით ლევანს გაეტეხა ნავსი და ის, რაც სათქმელი იყო, თავადვე ეთქვა!

დაწვრილებითა და სარწმუნოდ მამიამ აქ, ახალციხელი ბერძნის ქოხში შეიტყო, რომ არზრუმიდან ხუთი ათასი რჩეული იანიჩრისაგან შემდგარ ცხენოსან ჯარს ელოდნენ, რომელსაც საველე ზარბაზნების ორი დივიზიონი მოჰყვებოდა. სოლომონის წამოსაჩოქებლად ეს დივიზიონებიც იკმარებდნენ, მაგრამ მთაგორიანი ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულს ზარბაზნებით ვერ მისწვდებოდი და ამიტომ ცხენოსან იანიჩრებსაც გამოუჩნდებოდათ მათი შესაფერი სამსახური.

ამას გარდა, თანახმად დივანის გადაწყვეტილებისა, რაიც ფაშა ჰაჯი-აჰმადმა თავისი ბეჭდითა და საკუთარი ხელრთვით დაამოწმა, საფაშოს უკლებლივ ყველა სანჯაყი მოვალე იყო, იანიჩართა ლაშქრის გასაძლიერებლად ხუთასი-ექვსასი კაცი გამოეყვანა, კარგად შეიარაღებული ჯარი შეედგინა და, დათქმული ნიშნისამებრ, აჩიკ ბაშთა ქვეყანაში მიმავალ დამსჯელ რაზმს ოცხეში დახვედროდა. მარბიელთა მეორე რაზმი ზღვით გადმოვიდოდა აჭარის სანაპიროზე, გონიოსა ან ბათუმში, გურიაში შეიჭრებოდა და გეზს შუაგულ იმერეთისაკენ აიღებდა. ლაშქრობის დაწყება ნავარაუდევი იყო აპრილის დამლევს, გაზაფხულის გაგანია ალოსთავზე, როცა მარჩენალი მიწის გულის მოსაფხანად გლეხკაცი მინდორშია გამოსული, როცა ყველა ქრისტიანის ოჯახში სააღდგომო კვერცხებს ღებავენ და ღვთისმმოსავი ერი და ბერი ცად ამაღლებული ჯვარცმული მაცხოვრის სადიდებლად ემზადება.

— ასე გახლავს საქმე, მთავარო, — ლევანმა უკანასკნელი სიტყვა ხაზგასმით წარმოთქვა და სტუმრის შეშფოთებული მზერა დაიჭირა. — სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს. ან მტერი უნდა გავტეხოთ, ან ომში დავიხოცებით.

მამია ერთხანს დუმდა, ფიქრობდა არა იმდენად იმაზე, თუ საერთო საქმის გასამარჯვებლად, ანუ სოლომონის დასამხობად, რა უკეთესი ხერხი გამოენახა, არამედ იმაზე, თუ ლევანისათვის რა პასუხი გაეცა და ამ ჯურღმულიდან ცოცხალი და საღსალამათი როგორ გასულიყო. ბოლოს, მეტი დუმილი და ყოყმანი რომ შეუძლებელი გახდა, იკითხა:

— რაჭის ერისთავთან თუ დაგამყარეთ რაიმე კავშირი?

— არა, მაგრამ დავამყარებთ! — თავდაჯერებულად მიუგო ლევანმა და წელწვრილ ჭიქაში სტუმარს ღვინო დაუსხა. მამია უნებლიეთ თუ ფარული განზრახვით მის მტკივნეულ ადგილს შეეხო. მომავალ ლაშქრობაში რაჭის ერისთავის მონაწილეობა და სოლომონის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლა ერთობ სათუო იყო. ლევან აბაშიძეს საკმაო ცნობები მოეპოვებოდა იმის დასადასტურებლად, რომ ცხოველური შიშით შეპყრობილი როსტომი სოლომონთან ზავის ჩამოგდებას და შერიგებას დაჟინებით ესწრაფვოდა. ახალგაზრდა მეფემ, რომელსაც გვერდში ძველი, გამოცდილი კარისკაცები უდგნენ, მოვლენებს ალღო აუღო, არავის წყენინებას არ მოერიდა და როსტომი, მიუხედავად აწ უკვე მონანიებული ცოდვებისა, კვლავ რაჭის ერისთავად, დარბაზის უპირველეს წევრად და ლიხთიმერეთის სარდლად დაადგინა. ამის მომოქმედება, ალბათ, ისევე არ უნდოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც სიკვდილი, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავდა და სოლომონიც უდრტვინველად მისდევდა ძველი ქართული ანდაზის სიბრძნეს.

სანაქებო წვეულებამ, კარის ეკლესიის კურთხევასთან დაკავშირებით ბარაკონზე რომ გაიმართა, ერისთავის სოლომონისაკენ შემობრუნება თითქმის მთლიანად დაასრულა და მეფის მოწინააღმდეგეთ უკვე შეეძლოთ, როსტომი თავისთვის დაკარგულად ჩაეთვალათ.

ლევან აბაშიძეს არასდიდებით არ სურდა ამ სამწუხარო აზრს შერიგებოდა. ერისთავი დიდი ძალა იყო. გადამწყვეტ წუთებში ამ ძალის გამოუყენებლობა ნამდვილი უგუნურება იქნებოდა. მაგრამ როგორ, რა გზით, რა საშუალებებით დაებრუნებინა ის, რაც უკვე დაიკარგა? როგორ მოეხერხებინა ერისთავის ხელახლა გადმობირება და სოლომონის კრიჭაში ჩაყენება?

ეს იყო ამოცანა, რომელზე ფიქრშიაც ლევან აბაშიძე დღესა და ღამეს ასწორებდა. ერთადერთი უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ბატონიშვილ თეიმურაზ მამუკას ძესთან, როსტომ რაჭის ერისთავის ასულის თანამეცხედრესთან და იმერეთის მომავალ მეფესთან, შეხვედრა ასე გაუჭიანურდა, სწორედ ამ საჭირბოროტო საქმის დაუბოლოვებლობა იყო. რაც დრო გადიოდა, ლევანს თანდათან უმტკიცდებოდა აზრი, რომ როსტომ რაჭის ერისთავი მხოლოდ მაშინ გაბედავდა ყმამამულჩამორთმეული არგვეთის ბატონის სასარგებლოდ ხელის განძრევას, თუ მას თავისი სიძის, ბატონიშვილ თეიმურაზის, ძლევამოსილი დროშების ქვეშ დაინახავდა. ლევანის მხრივ უბრალო ორჭოფობაც კი საქმეს დაღუპავს უქადდა. ყველა სხვა შემთხვევაში როსტომი სოლომონის გვერდით აღმოჩნდებოდა და იმერეთის ფარგლებში შემოჭრილ მარბიელ ლაშქარს მომაკვდინებელ საშიშროებას შეუქმნიდა.

ამგვარად, ასე იყო თუ ისე, თეიმურაზთან თავისი ბედის დაკავშირება ლევანს უკვე გარდაუვალად და თითქმის გადაწყვეტილად მიაჩნდა, რჩებოდა მხოლოდ შეხვედრა და საბოლოო მოლაპარაკება...

მიწაში ნაადრევად ჩადებული სიძის, მეფე ალექსანდრეს, პატივმოყვარე ძმისწული, სოლომონის კბილა თეიმურაზი, ლევანს ბალღობიდანვე ათვალწუნებული ჰყავდა, ვინაიდან იმთავითვე თავისი ღვიძლი შვილიშვილების, სამეფო შტოს კანონიერი გამგრძელებლების, საშიშ მეტოქედ თვლიდა. ლევანის ნება რომ ყოფილიყო, დარბაზის გადაწყვეტილებით თეიმურაზს თვალებსაც დათხრიდა ან სამუდამოდ საპყრობილეში იყოლიებდა და ტახტის შესაძლო ცილობას ჩანასახშივე აღკვეთდა. ტახტის მოცილეობაზე დღეს ლევანი სრულიად სხვა აზრისა ბრძანდებოდა. ცხოვრებამ ის ახალი, დაუძლეველი სიძნელეების წინაშე დააყენა, მაგრამ სამეფო ხელისუფლებას დახარბებული ყმაწვილი კაცის, სოლომონის გათათრებული ბიძაშვილის, შეურიგებელი მტრობა კვლავაც შერჩა და ძალიანაც რომ ცდილიყო, არ შეეძლო მას გამკლავებოდა.

სოლომონის მიერ ღირსებააყრილმა არგვეთის ბატონმა დანამდვილებით, სარწმუნო წყაროებით იცოდა, რომ მისი სიძულვილი თეიმურაზ ბატონიშვილისადმი ცალმხრივი არ იყო. თეიმურაზს ასეთივე ფარული გაბოროტებით სძულდა ეს ძლიერი და საშიში კაცი, რომელსაც ყოველთვის შეეძლო მას გზაზე გადაღობებოდა და გულში მახვილი ჩაეცა. სწორედ ამიტომ, სანამ აგარიანთა ლაშქარს სათავეში ჩაუდგებოდა და ცეცხლითა და მახვილით ზეკარს გადაივლიდა, ერთ უპირველეს საქმედ ლევან აბაშიძის გადმობირება, მისი დაახლოება და ნდობის მოპოვება განიზრახა. დღემდე ამ მიზნის მიღწევა, მართალია, შეუძლებელი გახდა, მაგრამ თეიმურაზი იმედს არ ჰკარგავდა, რომ ძალის წინაშე ლევან აბაშიძე ადრე თუ გვიან ქედს მოიდრეკდა და ქვე-

შევრდომული მორჩილების გამოსახატავად თვით ეახლებოდა.

ახალგაზრდა კაცს აინუნშიაც არ მოსდიოდა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, რაც ბოლო დროს თავს გადახდა, მიუხედავად ყურანზე დაფიცებისა და პირობის წიგნებზე ხელის მოწერისა, რომელთა განუხრელ შესრულებას მისი ხანგრძლივი მეფობა უნდა უზრუნველეყო, იმერეთის ტახტის ბედი ჯერ ისევ ჰაერში ეკიდა, ფაშა ჰაჯი-აჰმადს ფარული მოლაპარაკება ჰქონდა გამართული არგვეთის ნაბატონარ ლევან აბაშიძესთან, რომელიც ოსმალთ მეტად მაცთუნებელ წინადადებას სთავაზობდა. თუ მოწყალე ფაშა ამ წინადადებას გონივრულად ჩათვლიდა და ალაჰის ნებით მიიღებდა, მოვლენების ზედაპირზე წამოტივტივებული თეიმურაზი თვალის დახამხამებაში გაქრებოდა და მის ადგილს ტახტის სხვა, სულთნის კარისათვის უფრო მისაღები მოცილე დაიჭერდა.

მაგრამ ვინ იქნებოდა ეს მოცილე, თვით ლევანი?

აბაშიძისა და ჰაჯი-აჰმადის მოლაპარაკებას, რომელიც ოთხკედელშუა მიმდინარეობდა, ჯერჯერობით საიდუმლოების ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული და მისი შედეგი კაციშვილმა არ იცოდა. ხანგამოშვებით მოლაპარაკებას ვილაიეთის უზენაესი ყადი სელიმი ესწრებოდა და თუმცა ნათქვამია, რაც ორმა იცის, ღორმაც იცისო, მასაც ბოქლომი ედო პირზე.

ლევან აბაშიძისა და ფაშა ჰაჯი-აჰმადის საიდუმლო შეხვედრების ამბავი მამიას ახალციხეში მოსვლისთანავე დაახვედრეს. მას დიდი იმედი არცა ჰქონია, რომ ლევანი არაფერს დაუმალავდა და გულს გადაუშლიდა, მაგრამ როდესაც ეს მართლა არ მოხდა, მწარედ დაფიქრდა და მტანჯველმა ეჭვმა შეიპყრო, შეიძლებოდა ლევან აბაშიძის ნდობა თუ არა...

## თავი ოცდამეთექვსმეტე

დიდმარხვა გაშუალებული არც კი იყო, ერთბაშად რომ ასიცხდა. ჩრდილო ფერდობებზე, ნაყანევ ახოებში და უფრო ზემოთ ჯერ კიდევ გვიან შემოდგომაზე დადებული ნამბული თოვლი დნებოდა. დარჭექეს ზვავებმა. ალაგ-ალაგ მეწყერმა შესძრა დედამიწა. კანაფის თოკივით დაგრეხილი მღვრიე ნაკადულები, სადღაც თოვლის საფარქვეშ რომ იღებდნენ სათავეს, რუკრუკითა და ხრიალით მორბოდნენ თავქვე, წინაუკუმო ერთმანეთს უერთდებოდნენ და უსაშველოდ გაზრდილგაღონიერებულნი თავპირის მტვრევით ეშვებოდნენ ღრანტეებში. დიდი მდინარეების ნახევრად დამშრალი კალაპოტები, მეტადრე რიონისა, სქელი, ქაფმორეული, მაჭარივით მოჩუხჩუხე წყლით აივსო. წყალი კალაპოტში ვეღარ ეტეოდა. ნაპირებზე გადმოვიდა და ახლომახლო ჭალები, ტირიფის, თხმელისა და მანეულის ბუჩქნარები, ტყეები, ბაღ-ბოსტნები და გზები დატბორა. ბარის სოფლებს შორის დაუბრკოლებელი მიმოსვლა კარგა ხნით მოიშალა. ძველმა მებადურებმა, იქნება ბედმა გაგვიღიმოს და ორი გროში ვიშოვნოთო, ამასღა რომ ელოდნენ, მთელ ზამთარს ჩალით გადახურულ ფარდულებში ნასვენები ბრტყელძირიანი ნავები გამოათრიეს და წყალში ჩაუშვეს. ხალხმა ნავებით დაიწყო ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადასვლ-გადმოსვლა.

სხვებზე უმეტეს ვაჭართა ქარავნებს გაუჭირდა. სურდათ თუ არა, მათ თავიანთი მცველი რაზმებითურთ ციხქვეშ ან დაბა-ქალაქების შორიახლო დაიბა-

ნაკეს და მოთმინებით უცდიდნენ, როდის იჭიატებდა და წყალი როდის დაცარდებოდა. ლუკმა საძებარი განდა. ხელისდადება ღომის მჭადისა და ჯამი მუხუდოს ფასმა საარაკოდ აიწია...

თითქოს ღმერთმა ცოდვილ ქვეყანას ეს არ აკმარაო, ერთ ღამეს კოკისპირული წვიმა, გაზაფხულის პირველი წვიმა წამოვიდა და ცამაც პირველად დაიქუხა. მოსკდა ნიაღვრები. ას წელიწადს მიტანებული მოხუცებულები მიწამდე ჩამოწოლილ ცას შეჰყურებდნენ, პირჯვარს სასოებით იწერდნენ და ბედს შერიგებულნი მონაგარს არწმუნებდნენ, ამისთანა მეორეთმოსვლა არც ჩვენ მოგვსწრებია, არც ჩვენს მამა-პაპასო, ნამდვილად მოაწია ქვეყნის აღსასრულმა, ასეთია ღვთის ნება-სურვილი, დაილოცა იმისი სახელიო.

მართლაც საშინელი ღვთისრისხვა და ცოდვისკითხვა დატრიალდა. ვაკე და დაბლობ ადგილებში მცხოვრებთ მოვარდნილი წყალი შინ შეუვარდათ, ბევრს სახლი და ნამშრალები დაუნგრია და ფიცარ-ფიცარ დალმა წაიღო, ზოგს ნახირი და წვრილფეხი წაართვა, ზოგს ნაზამთრალი თივისა და ჩალის ზვინები. დაფეთებულმა წვრილმა ერმა გორაკებსა და ფერდობებზე გადმომდგარ ციხე-კოშკებსა და ეკლესია-მონასტრებს მიაშურა.

წყალმა, ასე გასინჯეთ, ვარციხის სასახლესაც კი მიაღწია, ქვითკირის დაკბილულ გალავანს მტრის ლაშქარივით შემოადგა და კარიბჭეში ხრიალით შეიჭრა. სასახლის ფარეშები წივილ-კივილით მისცვივდნენ ფანჯრებს. გალავნის გოდოლებში მოდარაჯე მეციხოვნეებმა თოფ-იარაღი მიატოვეს და წყლით დატბორილ ეზოში მოფუსფუსე შინაყმების მისახმარებლად ძირს ჩამოვიდნენ. ბარები და თოხები საკმაო არ აღმოჩნდა. ბევრი მოლაშქრე უთავბოლოდ დაალაჯებდა ყინულივით ცივ მღვრიე წყალში და თავისიანებს პირჯვრის წერითღა ეხმარებოდა.

დედოფალმა მარიამმა რამდენჯერმე იკითხა, ეს რა ხმაურია, ბატონი მეფე ხომ არ მობრძანებულაო. სასურველი პასუხი ვერცერთჯერ ვერ მიიღო, ამიტომ მეორე კვირა მიიწურა, რაც გვირგვინოსან თანამეცხედრისათვის დედოფალს თვალი არ მოეკრა. მეფის ასე ხანგრძლივად გადაკარგვას ადრე გადამეტებულ მნიშვნელობას აძლევდა. ეჩვენებოდა, რომ სოლომონი განზრახ იკარგებოდა და უნდოდა უსათუოდ იქ ყოფილიყო, სადაც ქმარი ეგულებოდა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ქალის ხვედრს თანდათან შეეჩვია და თავიც დაირწმუნა, სხვაგვარად, ალბათ, შეუძლებელიაო.

ქვეყნის აწეწილი საქმეების გარიგებით გართული სოლომონი, რომელსაც თან უახლოესი კარისკაცები, მათ შორის ახალი შემორიგებული ერისთავის ვაჟები გიორგი და ნაბერალი მეთოდე, მოურავები, იასაულები და მცველი რაზმი ახლდნენ, ადგილსამყოფელს ელვის უსწრაფესად იცვლიდნენ და თითქოს ფრთები გამოუსხამთო, ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში გადადიოდნენ. სად ციხე იყო შესაკეთებელი ან ხელახლა ასაშენებელი, სად გზა გასაყვანი ან ხიდი გასადები, სად უშვილძიროდ გადაგებული მებატონის მემკვიდრეობის საქმე იყო მოსაგვარებელი. დასტურლამალი და ვახტანგის კანონთა კრებული დიდსა და მცირეს ერთი ჯოხით ერეკებოდა. სოლომონი ბევრჯერ დარწმუნდა, რომ წერილობითი კანონები გადასახედი იყო და სანამ ეს არ გაეკეთებინა, საქმეს ყველგან პირადად სჯიდა და განაჩენის აღმსრულებლად აქ თავის მოხელეს სტოვებდა.

როგორც მარიამ დედოფალს აუწყეს და თვით სოლომონმაც ორიოდე სიტყვით მოიწერა, მეფე დღეს ისევ ხანისწყლის ხეობაში იმყოფებოდა, სადაც რამდენიმე დღის წინ საწერეთლოდან მოვიდა და მეფე თეიმურაზთან და კახბატონ ერეკლესთან შესახვედრად ქართლს გამგზავრებამდე სოფელ კორიშში ახალი ეკლესიის საძირკვლის ჩაყრას უნდა დასწრებოდა.

მეფეს აქ გამოჩენის ორი დღით

ადრე მთელი იმერეთისა და გურია-ოდიშის სამღვდელოებამ კორიშისაკენ ჰქნა პირი. ეკლესიის საძირკვლის საკურთხებლად და პარაკლისის გადასახდელად კორიშს წაბრძანდა თვით კათალიკოსი ბესარიონი. კათალიკოსს გაჰყვნენ ხონის, ჯუმათის, ბედიის და ცაგერის ეპისკოპოსები, მრავალი მღვდელი და ბერ-მონაზონი. მარიამმა თავადაც გულით მოიწადინა წასვლა, რათა სამახსოვრო ამბავს დასწრებოდა, მაგრამ მის ბედში მყოფი ქალისათვის — დღე-დღეზე მოლოგინებას ელოდა — შორი გზა სახიფათოდ მიიჩნიეს და ისიც იძულებული გახდა ქმარს სასახლეში დალოდებოდა.

მივარდნილ სოფელ კორიშში ახალ საყდარს იქაური მღვდლის, აწ უკვე ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანად შერაცხულ საბას სახელზე აშენებდნენ. მშენებლობისათვის საჭირო ყველა ხარჯს სამეფო ხაზინა სწირავდა ეკლესიას. საბას ღვაწლი და ქრისტეს მმოსავის სულგრძელობა, რომელიც სიბერისაგან დაუძლურებულმა სნეულმა მღვდელმა ურჯულოების შემოსევის დროს გამოიჩინა და მრევლს სიმტკიცის, სარწმუნოებისა და მრავალტანჯული სამშობლოს ერთგულების მაგალითი უჩვენა, სწორედ რომ ღირსი იყო ერის მუხლის მოდრეკისა და ყველაზე წრფელი მადლიერებისა. მეფე სოლომონმა თვით გამოსცადა საბა მღვდლის სიყვარული მოყვასისადმი და არ შეეძლო, თავისი ცხოვრების ეს ყველაზე უფრო მწარე წუთები განსაკუთრებული მღელვარების გარეშე მოეგონებინა. ღვთის მცნების ჭეშმარიტად აღმსარებელი ნეტარი საბა. ვინ უწყის, დღესაც ცოცხალი იქნებოდა და თავის წილ წუთისოფელს ოდესმე მშვიდობიანად, შეუმჩნევლად, როგორც ასი და ათასი მისებრ უბრალო სოფლის მღვდელი, დაასრულებდა, ერთ მშვენიერ დღეს მტრისაგან მხარამოგდებული მეფე სოლომონი და მისი მხლებელნი კარზე რომ არ მისდგომოდნენ და ღვთისნიერი ადამიანისაგან შემწეობა არ ეთხოვათ.

კოკისპირულმა წვიმამ და წყალდიდობამ სოლომონს კორიშში მოუსწრო. სოფელში ყურთასმენა აღარ იყო. ადიდდა ყველა ღელე და ნაკადული. ელვა-ჭექას მთებიდან დაგორებული ლოდების განუწყვეტელი გრუხუნი უერთდებოდა და ცასა და დედამიწას ჯოჯოხეთური ხმებით ავსებდა. ამინდმა ეკლესიის საძირკვლის კურთხევა კი აცალა და შემდეგ აირია. ჯერ თითოოროლა მსხვილი წვეთი დაეცა ყავრით გადახურულ სახურავებს, მერე ცამ ერთბაშად შეიკრა შუბლი და წვიმა დაუშვა. კორიშელი გლეხები ირწმუნებოდნენ, ცამ რომ მოიღრუბლა, ერთგან ყომრალ ღრუბლებს შორის განათებული ადგილი დარჩა, საიდანაც მზის სხივებით მოვარაყებული ლაჟვარდის ლურჯი ნაჭერი მოჩანდაო და ამას კეთილის მომასწავებელ ნიშნად თვლიდნენ. ცის უცნაურად განათებული ადგილი მეფის ამალის წევრებსაც დაენახათ და გლეხებს გახარებულნი კვერს უკრავდნენ. თუ ეს მართლა მოხდა და არავის მოსჩვენებია, ნამდვილი სასწაული იყო. ისე ჰგავდა, რომ ზენაარმა ყურად იღო მტერმორეული ერის ვედრება და ნეტარი საბას ხსენების დღეს ქვეყანას წყალობის თვალით გადმოხედა.

სასწაულებისა ყველაზე ნაკლებ სოლომონს სჯეროდა. მოვლენათა შემთხვევითი ურთიერთდამთხვევა, რასაც ცრუმორწმუნე ადამიანები სასწაულად მიიჩნევენ, ცხოვრებაში ერთჯერ-ორჯერ ხდება, ყველა სხვა დროს ადამისტომი თვით არის შემოქმედი და სასწაულიც მისი სურვილითა და მეცადინეობით მოევლინება სოფელქვეყანას. სოლომონმა გამოცდილებით იცოდა, რომ ამ გაზაფხულზე მტრის ურდოების დიდი შემოსევა გარდაუვალი იყო, ისევე გარდაუვალი და უცილო, როგორც ზამთარს გაზაფხული მოსდევს, ხოლო გაზაფხულს ზაფხული. თუ მტერი მოუმზადებელს მოუსწრებდა და იქ დაპ-

კრავდა, სადაც არ ელოდნენ, იმერეთს ვერა სასწაული ვერ იხსნიდა და ამიტომაც ფხიზელი გონების კარნახს უფრო უგდებდა ყურს, ვიდრე ღვთის განგებას და გაუთავებელ პარაკლისებს.

ლტოლვილი ლევან აბაშიძე სამცხეში იყო. უვნებლად გაიარა ყველა განსაცდელი და სამშვიდობოს გავიდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ თავდასხმის მოლოდინი ყოველ წამს უნდა ჰქონოდათ და მტრის მოსაგერიებლად დედაბუდიანად მომზადებულიყვნენ.

მენაპირე თავადებს, უპირველეს ყოვლისა, მიქელაძეს, ჩიჯავაძეს და ქვემო მხრის სარდალ ბერი ლორთქიფანიძეს, აგრეთვე გურიის მთავრად აღზევებულ გიორგის, რომლის სამფლობელოები ოსმალთაგან მიტაცებულ აჭარას და სამცხე-საათაბაგოს ესაზღვრებოდა, უაღრესად სასწრაფო და ძვირად ღირებული სამუშაო გამოუჩნდა. გარდა იმისა, რომ ყველა ამათ მზად უნდა ჰყოლოდა სათანადოდ შეიარაღებული, შეძლების კვალობაზე გაწვრთნილი, მეფის პირველ დაძახებისთანავე საომარი დროშების ქვეშ დასარაზმი ქვეითი და ცხენოსანი ჯარი, დროთა განმავლობაში დაშლილი და ველ-ღრიანკლის საბუდრად ქცეული ციხეების აღდგენა უნდა ედოთ თავს.

„სამშობლო მსხვერპლსა გვთხოვს, — მიმართა სოლომონმა დარბაზის ერს. — უკანასკნელი პერანგი უნდა გავიხადოთ და მის საფასურად ნაყიდი ტყვია პირშავ მტერს შევაგებოთ!“

მეფის ბრძანებას პირველი დედოფალი მარიამი გამოეხმაურა. მზითვად მოყოლილი და ვარციხის სასახლეში მემკვიდრეობით მიღებული მთელი ოქრო-ვერცხლი და სამკაულები მან უყოყმანოდ, სოლომონთან წინასწარი მოლაპარაკების გარეშე, სამეფო ხაზინას გადასცა, მარტო გვირგვინოსანი თანამეცხედრის მოძღვნილი ნიშნობის მრგვალი ბეჭედი დაიტოვა. სოლომონმა პირველად იგრძნო ენით აუწერელი მადლიერება მეუღლის მიმართ. დააპირა კიდევაც ის როგორმე გამოეხატა, მაგრამ უკანასკნელ წამს რაღაც ძალამ უკან დასწია და ეს წრფელი მადლიერება, რაც მარიამს ასე გაახარებდა და ფრთებს შეასხამდა, გაუმჟღავნებელი დარჩა.

დიდებულთა თანამეცხედრეებსა და ასულებს, ბრწყინვალე ჩაცმა-დახურვისა და მორთვა-მოკაზმვის გულისათვის სულს რომ ლევდნენ, დედოფლის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ თავზარი დასცა. ასისინდნენ ბოროტი ენები. ზოგმა ისიც კი თქვა, ეს ბოგანოთა მეფის, სოლომონის ფანდია, ბატონი უამისოდაც ხელმოკლე თავადაზნაურობის გაღარიბებას და ქვეყნის მთელი სიმდიდრის საკუთარ ჯიბეში მოგროვებას აპირებსო. უკმაყოფილების საჯაროდ გამჟღავნება დღეს მეტად საშიში იყო და ვერც ვერავინ გაბედა, გარეშე მაყურებლის თვალში კი ისე ჩანდა, თითქოს დიდებულთა თანამეცხედრენი და ასულები: წერეთლები, წულუკიძეები, ლორთქიფანიძენი, მიქელაძეები, აგიაშვილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ მეტსა და ღირებულ წვლილს შესძენდა აგარიანთაგან ქვეყნის განთავისუფლებას, ვინ მეტად განიძარცვებოდა და სხვებზე უფრო უანგარო და გულუხვი გამოჩნდებოდა...

ციხეების აღდგენას, ახლის აშენებას და გამაგრებას მეფის საგანგებო განზრახულობათა გამტარებელი ციხისთავი ქაიხოსრო აგიაშვილი ედგა სათავეში, ისე რომ ადგილობრივ მფლობელთ მარტოოდენ მუშახელის გამოყვანა და ხარჯის გაღება ევალებოდათ, ციხეს მოთავებისთანავე ქვეყნის სხვა კუთხიდან აქეთ გადმოსროლილი მეციხოვნეები იკავებდნენ.

სოლომონი სიფრთხილის თადარიგს იჭერდა. ცდილობდა, ღვევანდელ ერთგულთათვის გაორგულების ნოყიერი ნიადაგი არ შეექმნა და, ერთი ჭკუათხელისა არ იყოს, ის ტოტი არ მოეჭრა, რომელზედაც იჯდა.

მეფის მთელი ძალა, ამგვარად, ორ ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი რომ გა-

მხეცებული მტრის დასახვედრად ამზადებდა ქვეყანას, მეორე შინაურ და გარე მეკობრეებს უდგა კვალში და ხან აქ, ხან იქ ფიცხელ ომს უმართავდა. სავალალო ის გახდა, რომ მეფის ხარჯთამკრეფები, ვისაც უპირატესად სახასო სოფლებში ნუზლის მოგროვება და სახვალიო მარაგის თავმოყრა დაეკისრა, მეკობრეებისაგან მაინცდამაინც არაფრით გამოირჩეოდნენ. ისინიც, როგორც მეკობრეები, სოფლებში მარბიელი ჯარის სისასტიკით თარეშობდნენ და დიდსა და პატარას მეფის სახელით ძარცვავდნენ. ხალხი ერთთაც და მეორეთაც წყევლა-კრულვით ხვდებოდა, გაავფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა და კბილით გასაკვნეტს არაფერს ატანდა. შარშანდელი მოუსავლიანი წლისა და შინაური არეულობის წყალობით მთა და ბარი ულვთოდ დამშეული იყო, გლეხი რას მოგცემდა, რაც არ ჰქონდა და ხარჯთამკრეფებიც, ვინც მეტ შეგნებულობას და გაჭირვებულის შემბრალეობას იჩენდა, სოფლიდან ხშირად ცარიელ-ტარიელი გადიოდა და უფროსების საყვედურსა და რისხვას იმსახურებდა. სხვანი ამ რისხვას სოთლის აწიოკებას ამჯობინებდნენ, დამშეულ გლეხკაცს, ხვალ იარაღით ხელში ურჯულო მტერს რომ უნდა დახვედროდა და მეფისა და სამშობლოსათვის თავი დაედო, პირიდან ლუკმას აცლიდნენ, ბეღლის თვალში მიძვრებოდნენ, მინდვრად გარეკილ პირუტყვს ტყე-ტყე დაეძებდნენ, გამოსადეგ ჩასაცმელ-დასახურავს ურმებზე ყრიდნენ და იქაურობას ასე ნაძარცვით დატვირთულნი სტოვებდნენ.

სოლომონი ხედავდა და დღითიდღე რწმუნდებოდა, რომ მტყუანისა და მართალის გარჩევა ამჟამად თითქმის შეუძლებელი იყო. გამუდმებული შიშიანობა, რასაც გამცემების მიერ შეგულიანებული მტრის მოსალოდნელი შემოსევა ჰბადებდა, ქვეყნის საშინაო საქმეების ერთხელ და სამუდამოდ გარიგების საშუალებას არ იძლეოდა და ეს გარიგება საბოლოოდ მანამ არ მოხდებოდა, სანამ ქვეყანა [illegible]ანთა ხელთ იყო, ოსმალეში [illegible] უხდიდა და დამამცირებელ ვალებში იხრჩობოდა...

თქეში სამ დღეს გაგრძელდა. ამ სამი დღის განმავლობაში ცა ფეხად ჩამოდიოდა. მთებში, კერძოდ, ხანისწყლის ხეობაში, ბევრი გზა და ბილიკი ჩაიხრამა და წაილეკა. სოფელი სოფელს მოწყდა. უფსკრულების პირზე გავლას ქვეითად თუ მოახერხებდი, ცხენი სადავით უნდა გაგეყვანა. ეს მტრის მძიმედ აღჭურვილი მხედრობის წინსვლას, მით უფრო ზარბაზნების გადმოტანას, დიდად შეუშლიდა ხელს, მაგრამ უგზოობა სახარბიელო არც დამხვდურისათვის იყო: საიდანმე ხომ უნდა შემოგეღწია და მარჯვე ალაგას მტერს ჩასაფრებოდი!

მეოთხე დღეს ერთბაშად გამოიდარა, ცა მოიწმინდა, გაზაფხულის პირდაბანილმა მზემ დაასხუნა და წვიმით გაჟღენთილ მადლიან მიწას მხურვალე ოხშივარი აუვიდა.

სოლომონი კორიშიდან წასვლას არ ჩქარობდა. ბანაკად აქ იდგა, ღარიბთ და უქონელთ განიკითხავდა, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოსულ მალემსრბოლებს იღებდა, ხეობაში ხან ცხენით და ხან ქვეითად მოგზაურობდა, ყველა გასასვლელ-გამოსასვლელს ზვერავდა, ღამით კი ჩირაღდნებით განათებულ კარავში ვახუშტისეულ რუკებს უჯდა და მთის ყოველ ნაკეცს, ყოველ ხევს და ხევების განშტოებას დიდხანს ჩაჰკირკიტებდა. ახალი შემორიგებული როსტომ რაჭის ერისთავის ვაჟები, გიორგი და ნაზერალი მეთოდე, რომელთაც მეფის განუყრელი ძიძიშვილები თვალს მალულად ადევნებდნენ, თითქოს აღთქმა მიუციათო, სოლომონს გვერდიდან არ შორდებოდნენ და ყველა საქმიან სჯა-ბაასში მონაწილეობას იღებდნენ. სხვებზე მეტად ერისთვიშვილი გიორგი გულმოდგინეობდა. უკმაყოფილებას, შარშან გაზაფხულზე სოლომონთან რომ მოუვიდა, ბოროტ ენებს აბრალებდა და მე-

ფეს არწმუნებდა, ეს ულვაში შემორცხვეს, თუ მას აქეთ სინდისი არ მქენჯნიდეს და მოსვენება არ მქონდეს დაკარგულიო.

— ბიჭო, დათუნა, — უთხრა ერთხელ შეწუხებულმა ნიკოლოზა ნაფიჩვაძემ ტყუპისცალ ძმას. — რას ამბობს ბატონი, წითელ პარასკევამდე ხომ არ უნდა ნეტა აქ დარჩენა? იქნება, ორისამი დღით შინ გვეეშვით. ვენახს დაბარავდა კაცი. პატივიც იყო გასატანი...

— მიდი და კითხე, მე რომელი მისი მესაიდუმლე მნახე! — დაიღრინა დათუნამ, რომელიც ძმაზე არანაკლებ შეწუხებული იყო.

— არ იზამს ხეირს, ისე ვატყობ, ხვალ კაკასხიდზე აპირობს წასვლას...

— ისე ამბობ, აპირობსო, თითქოს მე და შენ აქანა გვტოვებდეს!

— არ დაგვტოვებს და ნუ დაგვტოვებს. გინდა აქ ვმჯდარვარ და გინდა იქ მივლია. შენ რა გუნებაზე ხარ, გული ხომ არავინ მოგაყვანინა?

— ერისთავის ლეკვების შემხედვარე აბა დაწყნარებული იქნები? რა დროს მოგისევენ ხალხს და გაგბაწრავენ, კაცმა არ იცის!

— მაგას მე კი ნუ მეუბნები, — ნიკოლოზამ ფრთხილად მიიხედ-მოიხედა და ხმას დაუწია. — მიდი და ბატონს მოახსენე.

— იმე! მოახსენე შენ! მიგიკარა? მე კი არა, წულუკიძეს და წერეთელს არ იკარებს. არ იცი თუ? ჩემი ერთგული რაჭის ერისთავის ძვირი არავინ გამაგონოს, თუ არა, მამაჩემსა აქვს ცხონება, ყველას ძელზე გავსვამო. გადეირია, მე და ჩემმა ღმერთმა, და ეგ არის!

— სუ, ბიჭო, შე მიწაგასახეთქო, ყურს არავინ გვიგდებდეს, სიცოცხლე მოგყირჭდა? მეფე ღვთისა და განგების ძალით ეგ ბრძანდება და რავარც ჭკუა-გონება გოუჭრის, ისე იზამს, მე და შენ შეგვეკითხება?

— ნუ შემეკითხება, ბატონო და იყოს ისე. ერთ დღეს ერისთავის კაცები რომ ამოგვჟუჟავენ და თავად მაგას ფაშას მიგგვრიან, მერე დეინახავს და დაგვაფასებს, მარა რაღა დროს!

— შენ ნამდვილად წერამ აგიტანა, დათუნა, რო აგიშვია საღერღელი, რას ღერღავ, აღარ იცი? ამდენი ხალხი ბუზების საყლაპავად კი არ ვახლავართ ბატონს. რას ქვია, ბოშო, ამოგვჟუჟავენ, ხელის განძრევა გაბედოს ერთი ვინმემ!..

სოლომონთან სიყრმიდანვე შეზრდილი და ბატონისათვის თავდადებული დათუნა ნაფიჩვაძის ეჭვი მთლად საფუძველს მოკლებული როდი იყო. ამას ნიკოლოზაც კარგად გრძნობდა და გულში საქციელს არ უწონებდა სათაყვანებელ მეფეს. თუ წინათ რაჭის ერისთავისა და მისი ნაშიერისადმი სოლომონი მეტისმეტ გულგრილობას იჩენდა, დღეს სიყვარულშიაც გადააჭარბა, გუშინდელ მტერს ახლა გულში იხუტებდა და, თითქოსდა სხვების გამოსაჯავრებლად, ყველაზე წინ აყენებდა. წულუკიძეები, წერეთლები და აგიაშვილი თავიანთ გულისწყრომას ვერ მალავდნენ, თუმცა არც სიფრთხილე ავიწყდებოდათ და მიკიბულ-მოკიბული ნართაული სიტყვებით მეფისა და ერისთავის შემდგომ დაახლოებას თვლებში მარგილებს უყრიდნენ. სოლომონმა საჭიროდ არ სცნო, ზედმეტი გულახდილობა გამოეჩინა და თავისი ზრახვები დარბაზის ყველა წევრისათვის გაენდო. ადრე იქნებოდა თუ გვიან, საიდუმლოებას ფარდა თავისთავად აეხდებოდა, დღეს კი, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდობლობის ბურუსი მთლიანად უნდა გაეფანტა და რაჭის ერისთავი ტახტის მონა-მორჩილად ექცია.

ამ მხრივ ბოლო დროს ცოტა რამ როდი გაკეთდა, მაგრამ დასახული მიზანი მეფეს ჯერ მიღწეულად არ მიაჩნდა. სადროშოს ჯარით გარსშემორტყმული როსტომი კვლავ მიუდგომელ ბარაკონზე იჯდა. რაჭის საგანგებოდ გამაგრებულ ციხეებში მეციხოვნეთა გუნდები მორიგეობდნენ. ბარში როსტომმა მხოლოდ შვილები გამოგზავნა

და მეფის თვითეულ ნაბიჯს თვალს მორიდან ადევნებდა.

სოლომონი რომ წერეთლებს ეწვია და დაუჯდომელის შაბათი ჯრუჭის მონასტერში გაითენა, ერისთავი ბრავალზალს იყო, საწერეთლოში მისი უდიდებულესობის მობრძანება რომ აუწყეს, ერთი დაპირება დააპირა, მოდი, რაც იქნება, იქნება, ათას ხუთას რჩეულ მხედარს ვიახლებ, ხიხათას გადავივლი და ბატონ მეფეს მონასტერში ვესტუმრებიო, კიდევაც გასცა საამისო განკარგულება, სამზადისსაც შეუდგნენ, მაგრამ უკანასკნელ წუთს ნაჩქარევ გადაწყვეტილებაზე ხელი უცებ აიღო.

საქმე ის იყო, რომ მეფემ თვით მიიწვია ჯრუჭში. სადავო მიწების ირგვლივ მოლაპარაკებას და წერეთლებთან საუკუნო ზავის ჩამოგდებას სთავაზობდა.

როსტომი ძნელი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. წასულიყო თუ არა? რა სურდა მეფეს, მართლა წერეთლებთან შესარიგებლად იბარებდა, თუ ხაფანგს უგებდა და ორივე ხელითა და ფეხით შიგ გაბმას უპირებდა?

მოფიქრებისათვის ბევრი დრო იყო საჭირო, დრო კი არ ითმენდა, მეფის წარმოგზავნილი მალემსრბოლნი რაჭის ბატონის გადაჭრილ პასუხს ელოდებოდნენ. ბოლოს მაინც ავადმყოფობის მომიზეზება დასჭირდა და თავის მაგიერ, სოლომონს რომ რაიმე ეჭვი არ აეღო და წყალობა რისხვით არ შეეცვალა, ჯრუჭს გიორგი და მეთოდე გაგზავნა.

სოლომონმა იწყინა ნადირივით ფრთხილი ერისთავის ურჩობა, მიხვდა, რომ ავადმყოფობას ის განზრახ იმიზეზებდა, მაგრამ არ შეიმჩნია, ერისთვიშვილები, როგორც ძველი საყვარელი კეთილისმსურველნი, ალერსით მიიღო, მხოლოდ ერისთავისა და წერეთლების დავაზე კრინტი არ დაუძრავს, ამ საძნელო საქმის გადაწყვეტა სხვა დროისათვის გადასდო. „სხვა დროში“ უსათუოდ მეფისა და ერისთავის პირისპირ შეყრა და მამაშვილური მოლაპარაკება იგულისხმებოდა.

ჯრუჭის მონასტერში სოლომონის მოსვლამ და აქ ერისთვიშვილების შემოკრებამ ერთი კეთილი საქმე მაინც გააკეთა: რაჭველმა მარბიელებმა აღიკვეთეს საწერეთლოს სოფლებზე თავდასხმა და მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება, ხოლო რაც შეეხება თვით ჯრუჭულის ხეობას, აქ კვლავ ფეხმოუცვლელად იდგნენ და მიუხედავად წერეთლების არაერთგზისი მოთხოვნისა, გოჯი მიწის დათმობასაც არ აპირებდნენ.

## თავი ოცდამეჩვიდმეტე

ალის ციხის მოურავ პეპია ხაჩიძეს მოულოდნელი საზრუნავი გამოუჩნდა და მთელი სოფელი მსწრაფლ ფეხზე დააყენა. ციხის უბანში რამდენიმე ქოხი დაცალეს და ქოხის პატრონები გაურკვეველი ვადით ახლო და შორეულ მეზობლებს შეუსახლეს. რაც ალში, გომში და სხვა მომიჯნავე სოფლებში ხალიჩები, ფარდაგები და სტუმართან გამოსაჩენი ქვეშაგებელი მოიძევებოდა, ყველას აქ მოუყარეს თავი. ტფილისიდან წინადღეს მოსულმა მესტუმრეებმა, რომლებიც მსახურთუხუცეს თავად ზედგინიძეს მოჰყვნენ, ალში ურთიერთსაწინააღმდეგო ხმები დაყარეს. ხეირიანად და სარწმუნოდ ვერავინ ვერაფერი შეიტყო. ზოგი ამბობდა, აწყურიდან, ტაშისკრის გზით, თვით არზრუმის ფაშა ჰაჯი-ალიბეგი მობრძანდება, რათა განმდგარ იმერთა მეფეს, სოლომონს, ოსმალებს ტყვე გოგო-ბიჭების მიცემაზე რომ უარს ეუბნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, ბაშიბუზუკები მიუსიოს და ვიდრე ჭერათხევის ალმართებს შეუდგებოდეს, ლაშქრითურთ ღამეს აქ გაათევსო. სხვებმა სხვა თქვეს და ტყუილმართალი ერთმანეთში აირია. მდაბიო ხალხი ბატონების ბრძანებას უხალისოდ ასრულებდა. ხალხის ნებაზე რომ ყოფილიყო, იქნებ ხელიც არ გაენძრია. იმერთა ახალგაზრდა მეფის სახელი ქართლში ყველას პირზე ეკერა. სოლომონი სამშობლოს მხსნელ მზეჭაბუკად ჰყავდათ წარმოდგენილი და შინაურ გამცემთა და გარეშე მტრების მძლეველ მეფეს მარჯვენას ულოცავდნენ. აქა-იქ უკვე ისმოდა ბუზღუნი და საყვედურები: ნეტა საამისო რა გასჭირვებია ჩვენს კურთხეულ ბატონს, თეიმურაზს, ურჯულოს რომ ფიანდაზად ფეხქვეშ ეგება და თვისტომ ქრისტიანს, ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავდადებულ სოლომონს, სულის წასაწყმედად იმეტებსო.

თავადი ზედგინიძე, მსახურთუხუცესი, რომელიც აქ, ალში, თავისი მეფის — თეიმურაზის საგანგებო დავალებას ასრულებდა, სიტყვაძვირი კაცი გამოდგა. სალაპარაკოდ თვით ციხის მოურავმა პეპია ხაჩიძემაც ვერ დაიმარტოხელა და ამბები დაწვრილებით ვერ გამოჰკითხა, თუმცა სხვებისაგან განსხვავებით პეპიამ ყველაფერი იცოდა და ენას კბილს აჭერდა, შინ ცოლსაც არ უტყდებოდა, რათა ის, რაც მეფის კაცებმა საიდუმლოდ ამცნეს, ნაადრევად არ გახმაურებულიყო.

შუაღამე რომ შეიქნა, გომის მხრიდან სოფელს მხედართა კარგა მოზრდილი გუნდი მოადგა და გეზი პირდაპირ ციხისაკენ აიღო, სადაც დაუპატიჟებელი სტუმრების მისაღებად ყველაფერი უკვე მოემზადებინათ. არც ჩაცმულობით, არც იარაღით და არც ცხენების ალკაზმულობით ახალმოსულნი ოსმალთ არაფრით ჰგავდნენ. მხედრებს მოკლე ჩოხები ეცვათ, კახური ნაბდის ქუდები ეხურათ და მომცრო ტანის თუშურ ცხენებს ისე თამამად მოაგელვებდნენ, როგორც მხოლოდ საკუთარ ეზო-ყურეში მყოფ კაცს შეუძლია. მალე იმავე მხრიდან სოფელში მხედართა მეორე გუნდი შემოვიდა და ისიც ციხის უბნისაკენ გაემართა. ეს მეორე გუნდი პირველზე გაცილებით მეტი ჩანდა. ყველას, ალბათ, ციხის გალავანი ვერც დაიტევდა. ამიტომ, ერთი ნაწილი რომ ყურთამდე გაღებულ კარიბჭეში შევიდა, მეორე მდინარის პირას, ჭალაში ჩამოხდა, ჭენებით გახვითქული ცხენები საძოვარზე მიუშვა და სალაშქრო კარვების გაშლა დაიწყო. ჩაბნელებული ქოხებიდან და მიწურებიდან, აქამდე სიცოცხლის ნიშანწყალს რომ არ ამჟღავნებდნენ, ჯერ ძილგამფრთხალი ბალღები გამოვიდნენ და ბანაკის მოწყობით გართულ მოლაშქრეთ შორიდან დაუწყეს თვალთვალი, შემდეგ ამათ უფროსებმაც მიბაძეს და სულ მალე დიდი და პატარა გარეთ გამოეფინა.

მთვარე ახალი ამოსული იყო. მოწმენდილ ლურჯ ცაზე უამრავი წვრილი ვარსკვლავი ციმციმებდა და ირგვლივ შემოჯარულ გოლიათ სერებს, ღამის ბინდბუნდში ნებივრად წამოწოლილ კამეჩებს რომ ჰგავდნენ, იდუმალი, თითქოსდა დედამიწის წიაღიდან ამომავალი შუქით ანათებდნენ. ამას ზედ სახელდახელოდ აბრიალებული ათობით კოცონიც მიემატა და მთის პატარა მდინარის ორივე ნაპირზე გაშენებული პაწია სოფელი, მწვანეში ჩაფლული შემოგარენითურთ, ისერიგად გაჩახჩახდა, ხეებსა და ისლით გადახურულ ნამშრალებს ჩრდილები დაეკარგა.

ახლა უკვე ეჭვიც ღარავის ეპარებოდა, რომ ურჯულო აგარიანის მაგიერ ალს მოყვარე თვისტომი ეწვია. ჯარის წვევა, შენი იქნებოდა თუ სხვისა, სოფელს საკეთილოს არას უქადდა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მტრის შემოსევას ისევ შენი სისხლის და ხორცის დახვედრა ჯობდა და ალელებიც გულს ამით იმშვიდებდნენ. ბევრმა აქაურმა ალიხ.ყაცმა მოსულთა შორის ძველი თანამებრძოლი, ფიცვერცხლნაჭამი ძმო-

ბილი, ნათესავი ან ნათელმირონი იცნო, გახარებული გადაეხვია და მეზობლები შეჰყარა. პირშებუდნულმა დედაკაცებმა ჯერ აქ გამოშალეს შუაცეცხლის ღადარში გახვეული ნაკვერჩხლები, მერე იქ. სარკმელებში შუქი ალიცლიცდა, ქოხები კი მწარე კვამლში გაეხვია. დღესავით განათებულ შუკებში ერთი მხრიდან მეორე მხარეზე გადარბოდნენ ადამიანები და ჯგუფებად გროვდებოდნენ. სოფლის წყაროსთან, კარტნებში, საყველპურო სუფრა გაიშალა და ამ სუფრას სხვა სუფრებიც წაება. ქალსა და კაცს, ღარიბს თუ შეძლებულს თავისი ნებით მოჰქონდა, ვის რა ებადა და საზოგადო სუფრას უმატებდა.

ჯარს ქორებივით ჩამოუქროლეს ათისთავებმა, თავ-თავის ხალხს დასჭყივლეს, ზედმეტი ღვინო არავინ დალიოსო. ათისთავებისათვის ყური არავის უთხოვებია, მხოლოდ სუფრასთან კი მიიპატიჟეს და თითოს ხელში წითელი ღვინით პირამდე გაპიპინებული თითო ჯამი მისცეს.

ნაშუაღამევს გავარდა ხმა, ციხეში გვირგვინოსანი მამა-შვილი, ქართლის მეფე თეიმურაზი და კახბატონი ერეკლე, ბრძანდებიანო. ხალხმა ჯერ მოჭორილად მიიღო ეს სასიხარულო ამბავი და არ დაიჯერა, თუმცა დაუჯერებელი სრულებით არაფერი იყო, მერე ერთიანად პირი იბრუნა და, თითქოს წინასწარ შეთანხმებულაო, ციხისაკენ დაიძრა. ხელშუბიანმა ქეშიკებმა, რომლებიც აქამდე კაციშვილს არ შეუმჩნევია, ხიდზე არავინ გადაუშვეს. მდინარის გაღმა მხარე უკვე შეეკრათ და ციხის კარიბჭისაკენ მიმავალი გზები გადაეკეტათ. ეგ აგრე არ უნდაო, აყაყანდნენ ალელები. თავიანთ უკმაყოფილებას ისინი დაუფარავად, ყვირილით გამოთქვამდნენ და ციხეში შეშვებას მოითხოვდნენ, რათა მოწყალე მეფეებისათვის თავიანთი გასაჭირი, აღვილობრივ მებატონეთა ავკაცობა და ხარჯთამკრეფიების ს[illegible] [illegible]იანობებინათ.

სავონებელში ჩავარდნილი, — შეშინებული ქეშიკები, ალბათ, დიდხანს ვერ გაუძლებდნენ ხალხის მოწოლას. მათდა ბედად, ყველას ყურადღება ასობით ცხენის გამალებულ თქარათქურს რომ არ მიექცია. სოფლის ჩრდილოეთით ადრევე გაგზავნილი შეიარაღებულ მხედართა გუნდი მობრუნებულიყო და თან იმერ მხედართა კარგა მოზრდილი რაზმი მოეყვანა. მხედრები გრიგალივით შემოიჭრნენ სოფელში და წამსვე იქაურობა მტვრის კორიანტელში გაჰხვიეს.

— უტიეთ, კაცო, — იყვირა ვიღაცამ ხალხში. — თქვე ოჯახქორებო ცხენებს ფეხებში უვარდებით?

აღგზნებული ბრბო გონს მოეგო და უკან მიაწყდა. სოფლის მთავარი შუკა, მდინარეს რომ გასდევდა და წყაროსთან ხიდზე გადადიოდა, ორივე რაზმმა ჭენებით გაიარა და შეუჩერებლივ ციხის აღმართს აუდგა. მათი შეყოვნება არავის უფიქრია. ეტყობოდა, ალში საიდუმლოდ მობრძანებული მეფეები სწორედ ამათ ელოდნენ. იმერთა რაზმს მაღალ ტარზე მიმაგრებული ალამი მიუძღვოდა. აქ მყოფთაგან, რასაკვირველია, არავის შეეძლო სცოდნოდა, რომ ალმის ზედა კუთხეში, უცხო თვალისათვის შეუმჩნეველ ადგილზე, მრგვალი, ვაზის კლერტოსებური მხედრული ასოებით ამოქარგული იყო სიტყვები: „შევკერე ესე დედოფალთ-დედოფალმან თინათი"...

ორმოციოდე მხედარი კარიბჭესთან ჩამოქვეითდა და ცხენები ციხიდან გამოგებებულ ნაბდისქუდიან მესტუმრეებს ჩააბარა. ერთბაშად აქ ზღვა ხალხმა მოიყარა თავი. მისალმების შეძახილებმა, თოფ-დამბაჩის კანტიკუნტმა სროლამ და ცხენების ჭიხვინმა მთელი ხეობა შესძრა. ციხის მისასვლელი და განტოტვილი გრძელი ტალანი კუპრის მაშხალებით გაეჩირაღდნებინათ. გარედან შემოსულთ ბრდღვიალა სინათლემ უცებ თვალი მოსჭრა და, სანამ შეეჩვეოდნენ, ერთხანს ვერც ვერაფერს ხედავდნენ.

ზღურბლზე სტუმრებს უკვე ელოდა საშუალოზე ოდნავ მაღალი, დარბაისლური გარეგნობის, ჭაღარაშერეული ეღალი თმითა და წვერით მოსილი, თითქოსდა მონასტრის ფრესკიდან მოვლენილი სნეული ბერიკაცი, რომელსაც ტანთ ოქრომკედით მოქარგული ზურმუხტისფერი ჯუბა და ასეთივე ფერის მაღალყელიანი წაღები ეცვა, ხოლო მარცხენა მხარზე წითელსარჩულიანი აბრეშუმის მოსასხამის ბოლო ჰქონდა გადადებული.

ეს იყო ქართლის მეფე თეიმურაზი. იგი ქართლ-კახელი დიდებულების და საეკლესიო პირთა გუნდში იდგა, ირგვლივ მშვიდი ღიმილის ნათელს აფრქვევდა და ცდილობდა, სხვების დაუხმარებლად გამოეცნო, კიბეზე ამომავალ ჩოხოსანთა შორის რომელი უნდა ბრძანებულიყო შორეული რუსეთის მიწას უდროოდ მიბარებული ვახტანგ მეექვსის სახლიშვილი, ძე ალექსანდრე იმერთა მეფისა, სოლომონი.

უბრალო იმერელი აზნაურის ჩოხაახალუხში გამოწყობილმა სოლომონმა, თითქოსდა ქართლის უზენაეს ბატონს გასაჭირს მიუხვდაო, როგორც კი მრავალსაფეხურიან ქვის კიბეზე ამოვიდა, ნაბიჯს მოუმატა, თანმხლები თავისიანები უკან ჩამოიტოვა და წელთა სიმრავლითა და ცხოვრების სიდუხჭირით გატეხილ, მაგრამ მაინც მხნე და იმედიან თეიმურაზს უცნაურად გულაჩვილებული მიეახლა.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა, შვილო და ძმაო სოლომონ! — არაჩვეულებრივად მშვიდი, მწიფე ხმით მიმართა იმერთა ახალგაზრდა ბატონს ქართლის მეფემ, გადაეხვია და კარგა ხანს ასე ჰყავდა გულში ჩაკრული.

სოლომონი მთელი არსებით მიენდო თეიმურაზს. ნელსაცხებლის თუ რომელიღაც წამლის მკვეთრი სუნი ეცა, იგრძნო სიბერით დაძაბუნებული მეფის სხეულის სიმძიმე, თავისი სიმამრი, ოდიშის ბატონი ოტია დადიანი გაახსენდა, სულ ერთი წამით თავი გორდში წარმოიდგინა და მოხუცებული თეიმურაზისადმი აუხსნელ სიბრალულთან შეზავებული თაყვანისცემითა და მოწიწებით განიმსჭვალა.

მეფეთა წინ რიგი დადგა. სათითაოდ მოდიოდნენ ქართლ-კახელი დიდებულები, სარდლები, მღვდელმთავრები, კარისკაცები, იმერთა ბატონს შესაფერ თაყვანს სცემდნენ და მერე ისევ თავის ადგილს იკავებდნენ თეიმურაზის ბრწყინვალე ამალაში.

ქართლის მეფესა და დიდებულებს სოლომონმა თავისი თანმხლები იმერელი დიდებულები წარუდგინა.

გარდა რუსთხელმწიფის საქმეთა რწმუნებულ კაპიტან ლვოვისა, აქ იყვნენ ბატონიშვილი არჩილი, ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე, ზემომხრის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, რაჭის ერისთავ როსტომის ძე მეთოდე, მესტუმრეთუხუცესი თამაზა მესხი და სახელმწიფო ბეჭდის მცველი გიორგი წულუკიძე.

იმერმა დიდებულებმა აგრეთვე თაყვანი სცეს ქართლის მეფესა და დიდებულებს და უკუდგნენ, კვლავაც უმცროს-უფროსობის მიხედვით ამოუდგნენ ზურგში თავიანთ მეფეს.

— იმედია, კეთილად იმგზავრეთ, — დაარღვია წუთიერი სიჩუმე თეიმურაზმა და ოდნავ გვერდზე გადადგა, სტუმარს გზა დაუთმო.

— გმადლობთ, კარგად, — მიუგო სოლომონმა და გაჩუმდა. მის გონებამდე ახლაღა მიაღწია, რომ თეიმურაზის სიყრმის შვილი, კახბატონი ერეკლე, არსად იყო. აკი, წინასწარი შეთანხმებისამებრ, აღში ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ?

— აქეთ გზა გაგვიფუჭდა, — მშვიდობიანად განაგრძო თეიმურაზმა, თითქოს ბოდიშს იხდიდა. — ორ-სამ ადგილას მეწყერმა დააქცია. ხელი ვერ შევავლეთ, მუშახელი ძალზე გვიჭირს.

იმერეთის მეფემ სიტყვა ჩამოართვა:

— გადაღმა უარესია, თქვენო უმაღლესობავ. საბაჟოს გამოყოლებაზე ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიან დაგვაზარალა მეწყერმა. გზა ძირულის პირზეა ჩატანილი. ხალხი დავაყენეთ, მარა ვინ იცის, როდის რას იზამენ.

— წვიმიანი გაზაფხული დაიჭირა, შვილო და ძმაო სოლომონ. ეს ერთი კვირა გახლავს, რაც გამოიდარა და უმალ დაცხა, სულს ველარ ვიბრუნებთ. ბევრი საქმე გამოგვიჩნდა. ისე, დაილოცა ღმერთის სამართალი, ზოგი ჭირი მარგებელი ჩანს.

— რაზე ბრძანებთ, მეფევ?

— ხანისწყლის ხეობაში გზები წყალს წაუღიაო ,სარწმუნოდ მითხრეს. ყირიმელი ვაჭრები უკან, ახალციხეში დაბრუნებულან. თქვენ უკეთ გეცოდინებათ. ღვთის მადლმა, არც მარბიელებს დაადგება უკეთესი დღე, მაგრამ ოსმალო გზას ასე არ დასტოვებს, უსათუოდ შეკეთებას ეცდებიან, როგორმე ხელი თუ არ შევუშალეთ.

— თავად გახლდით, თქვენო უმაღლესობავ. ხიდს გაღაღმა ველარ ვიარეთ. რა დასამალია და საფრთხილოც იყო: ვაითუ ჩასაფრებულ მტერს წავაწყდომოდით...

— ასე მობრძანდი, მეფევ ბატონო, — თეიმურაზი შეჩერდა და მარჯვენა მხარეზე მომავალ სოლომონს ხელმარცხნივ კიდევ უფრო ვიწრო და დაბალ ტალანზე ანიშნა. — თუ წინააღმდეგი არ იქნებით, მცირედ ვივახშმოთ და კიდევაც მოისვენებთ. დიდი გზა გამოიარეთ, დაღლილი იქნებით. მხედრობის ჯავრი ნუ გექნებათ. ციხის მოურავი ხაჩიძე უყურადღებოდ არავის დასტოვებს. გათენდება და ვახსენოთ ღმერთი, საქმე ხვალაც მოესწრება. იქნება ბედმა გაგვიღიმოს და ამასობაში ერეკლემაც მოატანოს...

სოლომონი გამოცოცხლდა, რაკი შეკითხვის საშუალება მიეცა:

— სად ბრძანდება ბატონი მეფე ერეკლე?

— გზას ვადექით აქეთ წამოსასვლელად, რომ მუხრანში კაცი დაგვეწია. ნურსალ-ბეგის მეკობრეები დასცემიან თიანეთს. ნაწილს ნადავლი გაუტაცნია და მიმალულა, ნაწილი საარაგვოში აპირებს გადმოსვლასო. ჩემი აქ წამოუსვლელობა არ ივარგებდა. ერეკლე დაბრუნდა. ლაშქრის წვევის წიგნები მუხრანიდანვე დავგზავნეთ. ორ დღეს სურამში ვუცადე. არც გამოჩნდა, არც ამბავი შემატყობინა. თუ ჩვენს თავს მშვიდობა არის და გამჩენმა ღმერთმა არ გაგვწირა, ახლა ან გზაშია და ან ახალგორს იქნება. სხვებიც იქ მოგროვდებოდნენ .ასე დავთქვით...

სოლომონი შეწუხდა. ახლაღა მიხვდა, თუ რა ცეცხლი ტრიალებდა ომებში გაჭაღარავებული, უწყალოდ ნაჩეხ-ნაგვემი მოხუცებული მეფის გულში და კინაღამ მუხლებზე დაეცა მის წინაშე, აბა რა დროს ჩვენი აქ მოსვლა და ლიჭინია, დანა და ყელი ერთად გაქვთო. თეიმურაზს არ გამოჰპარვია: მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა სტუმრებს გუნება გაუფუჭა. თვითვე შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას:

— ნუ მოიწყენთ, შვილო და ძმაო სოლომონ, ნურც თქვენ, ბატონებო. მუხთალი მტრის შემოსევით ჩვენ ერთმანეთს ვერ გავაკვირვებთ. ბევრი დაგვცემია, ბევრიც დაგვეცემა, მაგრამ, მადლობა უფალს, ხმალი ჯერ არ დაგვჩლუნგებია, გული გვერჩის და თავიც, ღვთის შეწევნით, არ გვეზოგება.

## თავი ოცდამეთვრამეტე

გამარჯვების პირველმა ცნობამ დილაადრიან, გამთენიის ჟამს მოაწია. სოლომონსა და მის ნამგზავრ ხალხს გულის ძილით ეძინა და არავის არაფერი გაუგია. სასიხარულო ამბავი მათ დილის წირვის დროს აუწყეს. წირვა პარაკლისად გადაიქცა...

ლეკებს საარაგვომდე ვერ ჩამოე-

ღწიათ. ვიღაც ღვთისნიერს ადრევე გაეგდო ხმა, კახბატონი ერეკლე აქეთ დიდძალი ჯარით მოემართებაო და თავისიანებთან შესაერთებლად კვლავ თიანეთისაკენ აბრუნებულიყვნენ. ლეკ მარბიელთა შორის თვით ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი ამჯერად არ იყო, თუმცა სამარცხვინო დამარცხების შემდეგ, რომელიც ერეკლესაგან გასულ ზაფხულს მჭადიჯვართან იწვნია და შინ სირცხვილნაჭამი დაბრუნდა, სულ იმუქრებოდა, ურჯულო კახთ მართლმორწმუნე ლეკის სისხლს არ შევარჩენ, თუ ვაჟკაცი ვყოფილვარ და ულვაში მსხმია, ერთი ასად ვაზღვევინებო.

ქართლ-კახეთში არავის, მით უფრო გვირგვინოსან მამა-შვილს, არ შეეძლო თავი დაერწმუნებინა, ძუ ვეფხვივით მძვინვარე და ტურასავით სისხლისმსმელი ნურსალ-ბეგი მუქარას არ შეასრულებს და საქართველოს ამოსაძირკვავად მუსულმან მთიელთა ყველა ტომს არ დასძრავსო. ამ შავ დღეზე ფიქრი თავიდან არ გამოსდიოდა არც თეიმურაზს და არც ერეკლეს. მტრის ზრახვების გამოსაცნობად ყოველ ღონეს ხმარობდნენ და ფალიაც შეძლების კვალობაზე მუდამ მშრალი ჰქონდათ.

მარტო ნურსალ-ბეგი კი არა, შაქი-შარვანის ხანი აჯი-ჩალაბი და დალისტნელი ნურხაი-ხანიც, არა ერთგზის ძლეულნი თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ, კბილებს ილესავდნენ და იარაღზე იყურებოდნენ. ყველა ამათ თვალი ქართლ-კახეთის მოხარკე განჯისა და ერევნის ხანებზე ეჭირა. განჯისა და ერევნის ხანები, თავის მხრივ, უბეში ალესილ ხანჯალს მალავდნენ, მაგრამ გარეგნულად ქართლისა და კახეთის ქრისტიან მეფეებთან კეთილ, პატრონ-ყმურ ურთიერთობას ინარჩუნებდნენ.

ეჭვი არ იყო, როგორც კი თვალს მოაცილებდი, ერთიცა და მეორეც ნურსალ-ბეგს, აჯი-ჩალაბს, კაკი-ენისელისა და ნუხის ხანებს გაუწვდიდნენ დახმარების ხელს და ხმალს ჯერ კახეთის, ხოლო შემდეგ ქართლის წამოსაჩოქებლად აღმართავდნენ.

ეს ამბავი უთუოდ ადრევე მოხდებოდა, ხანებს რომ ერთმანეთს შორის თანხმობის ჩამოგდება მოეხერხებინათ.

მჭადიჯვრის ომში გაწბილებულ ნურსალ-ბეგს ჯერჯერობით სხვა გზა არ ჰქონდა: დიდი ლაშქრობის წამოწყებაზე ნება-უნებლიეთ უარი უნდა ეთქვა და ქართლ-კახეთის მიწა-წყალზე პატარ-პატარა მარბიელი რაზმების შემოგზავნით, პირუტყვისა და ტყვეების მოტაცებით დაკმაყოფილებულიყო.

ის ამჯერადაც ასე მოიქცა.

ერეკლემ აუცილებელი სიფრთხილე გამოიჩინა. მტრის ჯარის რაოდენობის და მოძრაობის ზუსტი მიმართულების დასადგენად მზვერავები აფრინა, თვით კი ახალგორს დადგა, რათა აქ ქართლელთა ლაშქრის შეყრას დალოდებოდა. ამასთან ერთად, დრო რომ არ დაეკარგა და ნაძარცვით დატვირთული მტერი ხელიდან არ წასვლოდა, ქიზიყის მოურავს ეშიკაღაბაში კონსტანტინე ჩოლოყაშვილი გაუგზავნა და წერილობით უბრძანა, უჯარმის გზით სასწრაფოდ სიონში გაჩენილიყო და უკანდახეულ მეკობრეებისათვის გზა გადაეჭრა.

მეფის ეს ორივე ფიცხელი განკარგულება ზედმიწევნითი სიზუსტით დათქმულ ვადაში შესრულდა. ერეკლემ ისიც შეიტყო, რომ მომხვდურ ლეკებს ჯარი უმნიშვნელო ჰყავდათ და ისიც, რომ კახბატონის მოახლოებით დამფრთხალი მეკობრენი საარაგვოდან ხელცარიელი გაბრუნდნენ და თავის გადარჩენას ესწრაფვოდნენ.

ორმა დღემ გასტანა. სანამ ქიზიყის მოურავი მდევარს შეჰყრიდა და უჯარმის იწროებით წუნკალ მტერს გზას მოუჭრიდა. გულხელდაკრეფილი არც ლეკები მსხდარან. უტყუარი წყაროებით გაიგეს, საფრთხე მოგველისო და თავს გაქცევით უშველეს. ცხვრის ფარები, მინდორში მობალახე ცხენების რემა და ოცი თუ ოცდაათი გატაცებული ქალ-ვაჟი, რომელთაც ტყვეთა ბაზარზე გაყიდვა ელოდა, მდევარს დარჩა.

ერეკლეს წუთიც აღარ დაუხანებია. დაიგულა თუ არა მტერი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, უმალვე აიყარა და უმოკლესი გზებით ალს მოაშურა, სადაც სამი დღეა უკვე ელოდნენ ბჭობის გასამართავად შეყრილი ქართლისა და იმერეთის მეფეები.

ციხის მოურავი პეპია ხაჩიძე და მესტუმრეთუხუცესი თავადი ზედგინიძე ხელახლა დაფაცურდნენ. დიდსა და პატარას სიხარული და ხალისი დაეტყო. კახეთის ახალგაზრდა ბატონს, პატარა კახად წოდებულ ერეკლეს, ჩანდა, ქვეშევრდომებში, ქართლელ დიდებულთა შორისაც კი, საგანგებო ნდობა და პატივისცემა ჰქონდა მოხვეჭილი, რასაც ერთიორად აცხოველებდა მამის, ქართლის მეფე თეიმურაზის, მოწიწებული დამოკიდებულება გვირგვინოსანი შვილისადმი. ეს მოწიწება ყველაფერში გამოსჭვიოდა. შვილის ხსენებისას თეიმურაზს პირზე ნათელი მოეფინებოდა ხოლმე და თვალები სულის სიღრმეში ჩასახლებული სიამაყით უწყებდნენ ბრწყინვას.

ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ შეკვრა და ერთი სკიპტრის ქვეშ შემოკრება, ეტყობოდა, გადაწყვეტილი საქმე იყო. ხმალამოწვდილი ერეკლე ორივე სამეფოს უშიშროებისათვის ერთნაირად ზრუნავდა და თეიმურაზის ქვეშევრდომი ერი კახბატონს ისეთივე ხალისითა და რწმენით მისდევდა, როგორც მისი საკუთარი კახნი. მრავალ ცეცხლსა და ვაებაში გამოვლილი მამა, ოდესღაც ერეკლესავით შემართებული და უშიშარი სარდალი, თვით დიდი ნადირ-შაჰის აღფრთოვანებას რომ იმსახურებდა და მიუხედავად ქრისტეს რჯულზე მტკიცედ დგომისა, სპარსეთის ტახტის ურყევ ბურჯად ითვლებოდა, შვილს გონივრული რჩევებით უდგა მხარში და ქვეყნის საშინაო საქმეებსაც უძღვებოდა. მამის სიტყვა ერეკლეს კანონად მიაჩნდა. მამის დაუკითხავად ნაბიჯსაც არ გადასდგამდა. ქართლის ბატონიც, თავის მხრივ, ასე იქცეოდა და ეს ქვეყნის შინაგანი სიმტკიცის ერთი უმთავრესი საწინდარი იყო.

შვილისადმი წრფელი მოწიწება იმითაც გამოხატა, რომ ალში ერეკლეს მოსვლამდე თეიმურაზი იმერეთის მეფისა და მისი თანმხლები დიდებულების გულთბილი მასპინძლობით შემოიფარგლა და საქმიანი მოლაპარაკების დაწყებას თავი აარიდა. სოლომონს სული კბილით ეჭირა. როდი ეგონა, თუ ქართლ-კახეთის მეფეებთან სახელდახელო შეხვედრა ძვირად ღირებულ რამდენიმე დღეს წაართმევდა, მაგრამ იმასაც ხედავდა, რომ ეს მამაშვილის უნებლიეთ მოხდა და ცდილობდა, საქმის დაჩქარების სურვილი არაფრით გამოემჟღავნებინა.

კახბატონის მოახლოება სამხრობის ჟამს გამოცხადდა. ციხეში ჩოჩქოლი შეუდგათ. ერი და ბერი, შინაური და გარეული გარეთ გამოეფინა და ერეკლეს შესახვედრად გზის ორივე მხარეს ჩამწკრივდა. ყმაწვილმა გოგო-ბიჭებმა სახლების, ნალიების, გომურების სახურავებზე, ღობეებზე მოიკალათეს, ბელურებივით ხეების ტოტებზე შეიხუნძლნენ და ჟრიამულებულებმა თვალი დაცემულ მწვანე ჭალას მიაპყრეს, საიდანაც საქარავნო გზა გომიდან აქეთ მოემართებოდა.

მეფე თეიმურაზი, მასპინძელი, სტუმრებს, სოლომონსა და მის ამალას, არ მოშორებია. ბრძენი და წინდახედული ხელმწიფე საჭირო სიფრთხილეს იჩენდა და ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ იმერთა ახალგაზრდა ბატონს თავი რითიმე დამცირებულად არ ეგრძნო და ერეკლეს მიმართ გულში შური და გაბოროტება არ აღძვროდა.

— იქნებ გავსულიყავით, თქვენო უმაღლესობავ, ჩვენც შევგებებოდით?

— ჩურჩულით ურჩია სოლომონს გიორგი წულუკიძემ, რომელიც თავის მეფესთან და აღზრდილთან ყველაზე ახლოს იდგა. სოლომონმა მოიხედა, პასუხი ისე გასცა, რომ იგი სხვებმაც გაიგონეს:

— როგორც ჯობს, თავადო, ვკითხოთ ბატონ თეიმურაზს...

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ორივე მეფესა და მათ თანმხლებ დიდებულებს ძვირფასი უნაგირებითა და მოსართავებით შეკაზმული ნაპატივები ცხენები თავდაღმა, მდინარის პირისაკენ მიაქროლებდნენ. ერეკლეც სწორედ ამ დროს მოადგა სოფელს. შორიდანვე ჰკიდა თვალი და იცნო, ვინც ხვდებოდა და ცხენი ნაბიჯით წამოიყვანა. უკან მრავალრიცხოვანი მხედრობა, მორიგე ჯარის ასეულები, მხარზე გადებული გრძელი თოფების მთელი ტყე მოსდევდა. სოლომონს გული აუფრიალდა, თვალებზე სიხარულის კურცხალი მოადგა. თავი ერეკლეს ადგილას წარმოიდგინა. საგანგებოდ გაწვრთნილ-შეიარაღებული მორიგე ჯარის გაჩენა ხომ მისი ჯერაც აუხდენელი ძველისძველი ოცნება იყო! ასობით თოფის სალტეებში მზე ბრწყინავდა, ცვარში არეკლილი სხივივით ციმციმებდა და მტვრიან ჰაერში ცისარტყელას შვიდივე ფერად იპნეოდა.

ტანმორჩილი ერეკლე უნიშნო თეთრ ცხენზე იჯდა. ისიც უბრალო მოლაშქრესავით შეიარაღებული იყო, მხოლოდ სხვებისაგან თავისი ტანსაცმლის ფერითა და მოყვანილობით გამოირჩეოდა. ეცვა ოქრომკედით ამოქარგული და ქობაშემოვლებული პირისფერი ხავერდის ჯუბა. ჯუბას სანახევროდ მხრებზე წამოსხმული ხამეფო მანტია უფარავდა. შავი წვერი და ულვაში, სახეს რომ დარბაისლურ ლმობიერებასთან შერწყმულ სიმკაცრეს ჰმატებდნენ, მოკლედ დაეყენებინა. თავზე ჯუბისავე ფერის ფუმფულა ჩალმა ეხურა, ხოლო ჩალმის სულ დაბლა ნაკეცში, შუბლთან, აღმოსავლურ ყაიდაზე, მზის ნატეხივით მოვარვარე ძვირფასი თვალი უბრიალებდა.

სოლომონს ეუცხოვა კახბატონის უჩვეულო ჩაცმულობა, თუმცა ძმებისაგან გადმოცემით იცოდა, ყიზილბაშთა მრავალი ძლევამოსილი ლაშქრობის სულისჩამდგმელი მეფე ერეკლე ქართველთათვის აგრერიგად საძულველ ყიზილბაშურ ჩაცმულობას არ იშორებს და ამით თითქოს ყოველ შემხვედრს პირში ახლის, ტანისამოსს რა ჰქუა მოეთხოვება, თუკი საგულეში გული მამულისათვის გიძგერსო.

ერთმანეთს ოცი-ოცდაათი ნაბიჯით რომ მიუახლოვდნენ, მეფეები ჩამოქვეითდნენ და დანარჩენი გზა ფეხით განვლეს. ჩამოქვეითდნენ სხვებიც, ოღონდ ადგილიდან აღარავინ დაძრულა, გახურებულ ცხენებს თავს ძლივს უკავებდნენ და თვალს შორიდან ადევნებდნენ ამა ქვეყნის ძლიერთა შეხვედრას. ერეკლე მოხუცებულ მამას ეახლა, გადაეხვია, გულში ჩაიკრა, ჯანმრთელობის ამბავი გამოჰკითხა და მხოლოდ პასუხის მიღების შემდეგ მიუბრუნდა სოლომონს, რომელიც ოდნავ განზე იდგა და ცდილობდა, თავისი აქ ყოფნით მამა-შვილის შეხვედრისა და ურთიერთმოკითხვისათვის ხელი არ შეეშალა.

— იცნობდე, შვილო, ერეკლე, — სალსალამათი პირმშოს ხილვით გულაჩვილებული და თვალებმონისლული თეიმურაზი მეფეებს შორის ჩადგა და კახბატონს საპატიო სტუმარი წარუდგინა. — ჩვენი სისხლი და ხორცი, ლიხთიმერეთის მეფე ბატონი სოლომონი. საშვილიშვილო პატივი დაგვდო, ჩვენი თხოვნის თანახმად გვეწვია...

ახალგაზრდა მეფეები პირისპირ იდგნენ და ვიდრე მოყვრულ სალამს გაიმეტებდნენ, საჭიდაოდ მომზადებული ფერძებივით თვალებით ზომავდნენ ერთმანეთს. არც ერთი არ შემკრთალა, თვალი არც ერთს არ დაუხრია. ბოლოს, პირველმა ერეკლემ გადასდგა ბიჯი და ასაკით უმცროს იმერთა მეფეს, მასთან შედარებით მთლად ყმაწვილ კაცს, ხელი გაუწოდა.

— გამარჯობა, ძმაო სოლომონ, მაღალმა ღმერთმა აკურთხოს და კეთილი ქნას ეს ჩვენი პირველი შეყრა და გაცნობა!

— ამინ!.. — გაუბედავად უპასუხა

სოლომონმა, გაიღიმა, კახეთის მეფეს ხელი ჩამოართვა და გადაეხვია.

აქამდე სულგანაბულმა ლაშქარმა ენა ამოიდგა, ერთხმად იგრიალა, თოფები ჰაერში შეისროლა, მჴექარე ვაშას ძახილით სიხარული და კმაყოფილება გამოხატა.

— ბატონი მამაჩემი მოგახსენებდათ, მტრის მოულოდნელმა შემოსევამ ხელი შეგვიშალა და ვერ დაგიხვდით, როგორც წესია, — თქვა ისევ ერეკლემ, როცა სიჩუმე ჩამოვარდა და, რათა ლიხთიმერეთის ახალგაზრდა ბატონი, ვის მხედრულ გაბედულებასა, მტკიცე ნებისყოფასა, განსწავლულობასა და ქრისტეს ჯვრის წარბშეუხრელ ერთგულებაზე ბევრი რამ გაეგონა, უკეთ დაენახა, ერთი მოკლე ნაბიჯით უკან დაიხია. — იმედია, გული არ დაგწყდებათ და შეგვინდობთ.

სოლომონს ლაწვებზე სიწითლე მოერია, კვლავ თავშეკავებულად უპასუხა:

— რა ბრძანებაა, ბატონო მეფევ, ღმერთს მადლობა შევწირეთ, რომ მტერი უკუაქციეთ და მშვიდობით მობრძანდით.

აშკარად ემჩნეოდა, აზრს წონიდა და ზედმეტი სიტყვის თქმას ერიდებოდა. ერეკლემ ეს შენიშნა და სათანადოდ შეაფასა.

— ღვთის შეწევნით, თქვენო უმაღლესობავ, — თავმდაბლად თქვა. — შებრძანდით ცხენზე, ციხემდე კარგა ძალა გზა გვაქვს...

სოლომონმა უნებლიეთ უკან მიიხედა, უცებ ვერ გადაწყვიტა, საჭირო იყო თუ არა თანმხლები დიდებულები ერეკლესათვის წარედგინა, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ეს საქმე დარბაზობის დროისათვის გადასდო და ძმები ნაფიჩვაძეების მიერ მორთმეულ თავის ცხენს სადავეში სწვდა. სხვები ამასღა ელოდნენ. როგორც კი სტუმარი მეფე უნაგირზე გაიმართა, დანარჩენებიც მსწრაფლ ამხედრდნენ და ყველამ ერთად გზა ციხისაკენ განაგრძო.

## თავი ოცდამეცხრამეტე

ბჭობის დასაწყებად ყველაფერი უკვე მზად იყო. ციხის მოურავ ხაჩიძის ორსართულიანი ქვითკირის სახლი მესტუმრეთუხუცეს ზედგინიძეს თავისი გემოვნებით გვირგვინოსან გვამთა საკადრისად მოეწყო და სამხარიც კვამლით შემურულ გრილ პალატში გაეშალა. სოლომონმა და იმერელმა დიდკაცობამ გასული ორი ღამე თვით ციხეში გაათია. ახლა, რაკი კახბატონი ერეკლე მორიგე ჯარის ასეულებითურთ აქ იყო და მტრის ანაზდეული თავდასხმის შიში აღარავის ჰქონდა, მასპინძლებმა თავს მეტი უფლება მისცეს და საცხოვრებლად სავსებით გამოუსადეგარი ციხის ნესტიანი კაზემატები დასტოვეს.

სამხარს ამერ-იმერ დიდებულთა ვიწრო წრე შემოუსხდა. სოლომონის მხრივ მას არჩილ ბატონიშვილი, ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე, გიორგი წულუკიძე, რაჭის ერისთავის ძე მეთოდე, ზემომხრის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი და მესტუმრეთუხუცესი თამაზა მესხი ესწრებოდნენ. აქვე იმყოფებოდა რუსთხელმწიფის საქმეთა რწმუნებული ქართველ მეფეთა კარზე, კაპიტანი ლვოვი. მისი უწმიდესობა კათალიკოს ანტონის მაგიერ, რომელიც ავადმყოფობის თუ რაღაც სხვა ხელისშემშლელი მიზეზის გამო მცხეთიდან ალს ვერ ჩამოვიდა, სრულიად საქართველოს მღვდელმთავრის თანამოსაყდრე წილკნელი ეპისკოპოსი ნაომი მოიწვიეს. ქართლისა და კახეთის მხრივ, ერისკაცთაგან საძმო ტრაპეზი გაიზიარეს მეფე ერეკლეს ძემ, ბატონიშვილ არჩილის

კბილა იულონმა, იმერეთის საქმეებში ფრიად გარკვეულმა, იქ არაერთხელ ელჩად ნამყოფმა იასე ქსნის ერისთავმა და ეშიკაღაბაშმა კონსტანტინე ჩოლოყაშვილმა, გორისა და ცხინვალის ბატონებმა — ამილახვარმა და მაჩაბელმა, მესტუმრეთუხუცესმა ზედგინიძემ და კიდევ ორიოდე სხვამ.

მომხეული ხალხი ხორაგს მიეძალა. ღვინოს მცირე კათხებით, გამორჩევით სვამდნენ. სულ რამდენიმე სადღეგრძელო დაილია. ტოლუმბაშობა თვით ქართლის მეფე თეიმურაზმა იკისრა და დროდადრო მოკლე სიტყვებს წარმოთქვამდა. თეიმურაზს მოკლე სიტყვებითვე პასუხობდნენ ერეკლე და სოლომონი, ხოლო სუფრის დანარჩენი წევრები, მიუხედავად გვარიშვილობისა და ტახტთან სიახლოვისა, თავიანთ სათქმელს კათხის აწევით და თავის დაკვრით გამოხატავდნენ.

შესვეს სამშობლოს — ერთობილი საქართველოს სადღეგრძელო.

თეიმურაზ მეფეს თვალები მოენისლა, ხმა გაებზარა და ჭაღარა წამწამზე ცრემლის ცვარი დაეკიდა.

მოისმა სკამების ჭრაჭუნი. ჯერ თითო-ოროლა, შემდეგ ყველა წამოდგა. ვიღაცას მაგიდიდან სავსე სურა გადმოუვარდა, დაიმსხვრა და ღვინო იატაკზე დაიღვარა. კედლებთან ატუზულ, მხარზე ხელსახოცგადადებულ ბიჭებს თვალი იქით გაექცათ, დააპირეს, ერთი ნახტომით ღვინის გუბესთან გაჩენილიყვნენ და ნატეხები ბატონების შეუმჩნევლად აეკრიფათ, მაგრამ, თითქოს მოჯადოებული არიანო, განძრევა ვერავინ გაბედა.

— შვილნო და ძმანო ჩემნო, — თეიმურაზმა ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა, სუფრას თვალი მოავლო. — მამულიშვილნო, იმერთა ძლევამოსილო მეფევ, ბატონო სოლომონ, ლიხგადაღმელო დარბაისელნო, დღეს ჩვენ, ქართველთ, იმერთ და ამერთ, დამემოწმებით, იმის უფლებაც არ გვაჩნია, შევიკრიბოთ და ჩვენი საკუთარი ოჯახის ჭირვარამი ერთმანეთს შევჩივლოთ. უმალ ორი გველეშაპი თავს წამოყოფს და, ჯვარი აქაურობას, პირიდან ცეცხლის ფრქვევას დაიწყებს. მამა-პაპის ოფლითა და სისხლით მორწყული სამშობლოს ლიხსიქითა ნახევარს დღეს ურჯულო ოსმალეთი დაპატრონებია, ლიხსაქეთა ნახევარი სპარსეთს თავის კუთვნილ ლუკმად მიაჩნია. ჩვენ, ქართლოსიანნი, ღვიძლი ძმები, ერთი დედ-მამის შვილნი, სხვათა მუქარით დაშინებულნი, ერთმანეთთან დღისულ, ქვეყნის დასანახად ვერ მივსულვართ, მოყვრისათვის ძმური დახმარების ხელი ვერ გაგვიწვდია. განა ცხოვრებაა ეს ცხოვრება, ძმანო, განა ამას ერთხელ სიკვდილი და მიწაში ჩაწოლა არა ჯობს?

— ჯობს! — ბეჭედივით დაჰკრა ერეკლემ და ძილს გადაჩვეული დიდრონი, ჭროღა თვალები მუგუზლებივით აუგიზგიზდა. — ნამდვილად ჯობს!

მას სხვებიც დაემოწმნენ. სიბერისაგან დალეული თეიმურაზი მხრებში გაიმართა, მხნეობა მოემატა, ასე გასინჯეთ, ხმაც კი გაუახალგაზრდავდა და გაუმტკიცდა.

— მაშ, იმ დღეს გაუმარჯოს, როცა ღვთის განგებით კვლავ შევერთდებით, ურჯულოს ვძლევთ, ერთობლივი საქართველოს წმიდა დროშის ქვეშ დავირაზმებით, ანდა, თუ ეს არ გვიწერია და აქამდე მოწყალე ღმერთი ჩვენივე შეცოდებათა სანაცვლოდ დაღუპვას გვიმზადებს, ერთად გავწყდებით ყველა! გაუმარჯოს იმ სანატრელ დღეს, ძმებო!..

— ამინ! — ერთხმად იგრიალა სუფრამ.

— ვაშა!

— ღმერთმა გისმინოს, მეფევ!

— გაუმარჯოს დედა-საქართველოს!

თეიმურაზმა ათრთოლებული ხელებით კათხა მოიყუდა, გამოსცალა და ალავერდი ლიხთიმერეთის მეფესთან გადავიდა.

სოლომონი გამოერკვა. ყველა მას უყურებდა. საპასუხო სიტყვას ელოდნენ. ამ წუთამდე დაძაბულად უსმენდა თეიმურაზს. ისე დანდობილად იბეჭდავ-

და გულზე ყოველ აზრს, ყოველ სიტყვას, აღარც კი ახსოვდა, თუ აქ მარტო არ იყო. ძნელბედობის ჟამს დარღვეულ-დანაწევრებული ერთიანი საქართველოს სადღეგრძელოს წარმოთქმით და დღევანდელი სავალალო ვითარების უტყუარი აღნუსხვით თეიმურაზი, როგორც ჩანდა, სათავეს უდებდა მოლაპარაკებას და სოლომონს მოლაპარაკების უმთავრეს პირობას სთავაზობდა. ერთობლივი საქართველო, აღმაშენებლის, ლაშა გიორგისა და გიორგი ბრწყინვალის ძლიერი სამეფო! ყველა მიზანს თავი ბოლოს აქ უნდა მოეყარა. სოლომონი აალევა და განაცვიფრა თეიმურაზის სრულმა გულწრფელობამ და პირდაპირობამ. მის სიტყვაში ათეული წლების მანძილზე შეთვისებული აღმოსავლური დიპლომატიის ნატამალიც არ იგრძნობოდა. ვინ იყო თავდები, რომ აქ ვინმე მოღალატე არ ერია, ვინც მეფის ნათქვამს ოთხკედელგარეთ გაიტანდა და ქვეყანას მოჰფენდა?

— თქვენო უმაღლესობავ, ბატონო მეფე თეიმურაზ, თქვენო უმაღლესობავ, ბატონო მეფე ერეკლე, ბატონო ქართლ-კახელო დიდებულებო, — ნავსი გატეხა და სამარისებურ სიჩუმეში დაიწყო სოლომონმა. — ის სანატრელი დღე, ახლა რომ ახსენეს, ჯერ, მართალია, არ დამდგარა, მაგრამ მე მაინც ბედნიერ კაცად ვთვლი თავს. თქვენს შორის ვიმყოფები და იმედით ვივსები. ნება მიბოძეთ, მადლობა გიძღვნათ ამისათვის, თქვენო უმაღლესობავ, ბატონო თეიმურაზ, თქვენო უმაღლესობავ, ბატონო ერეკლე, ბატონებო...

ლიხთიმერეთის მეფის ეს უკანასკნელი სიტყვები ტაშმა დაჰფარა. სოლომონი ოფლში ცურავდა. შეიცადა, სული მოიბრუნა, აზრი მოიკრიბა და უფრო მეტი რწმენითა და თავდაჯერებით განაგრძო:

— იმერეთი თქვენ შემოგყურებთ, მამა-შვილს შემოგყურებთ ჩვენ ყველა, — სოლომონმა ხელი თავისიანებისაკენ გაიშვირა. — მთელი საქართველო... მე მზად ვარ, თუნდაც უბრალო მეომრად ვიომო ქრისტეს მადიდებელ თქვენს ლაშქარში...

— ვაშა მეფე სოლომონს! — ბოხი ხმით დაიძახა ეშიკაღაბაშმა კონსტანტინე ჩოლოყაშვილმა სუფრის ბოლოში, სადაც წელან ღვინო დაიქცა, და უმალ სხვებიც აიყოლია.

— დიდება სოლომონს!

— ვაშა და გამარჯვება სამშობლოსა და ქრისტეს — ჯვრის ერთგულ იმერთა მეფეს! — ზედიზედ გაისმოდა დარბაზში.

სოლომონი დაჯდა. არა, არ უნდა დამჯდარიყო. ეს ზედმეტი აღელვების გამო მოუვიდა. ისევ წამოდგა, პირამდე სავსე კათხა სულმოუთქმელად გამოსცალა და ალავერდს კახბატონ ერეკლესთან გადავიდა. გაბრუებული იყო. დილას უმადოდ წაციცქნა ორიოდე ლუკმა და უჭმელს სიმთვრალე ოდნავ მოერია. გრძნობდა, რომ ის ვერ თქვა, რის თქმასაც აპირებდა, კიდევ უნდოდა რაღაც დაემატებინა, სათქმელს ჯეროვნად თავი ვერ მოუყარა.

ეს აზრი მაშინ უფრო განუმტკიცდა, როცა თვალი სუფრის ცალ მხარეზე ჩამწკრივებულ თავის დიდებულებს გადაჰკრა.

გიორგი წულუკიძე და ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე გარეგნულ სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ, მაგრამ დანა კბილს არ უხსნიდათ. სიხარული და აღტაცება მაინცდამაინც ვერც ქაიხოსრო წერეთელს შეამჩნია. ნაბერალ მეთოდეს სახეს გარკვევით ვერ ხედავდა. მეთოდე გვერდით მჯდომ არჩილ ბატონიშვილს უყვებოდა რაღაცას, აცინებდა და სახეს, ვგონებ, განზრახ მალავდა. ცალკე საუბარში იყვნენ გართული თამაზა მესხი და რუსთხელმწიფის საქმეთა რწმუნებული კაპიტანი ლვოვიც...

აშკარა იყო, სუფრაზე რაღაც უხერხულობა ჩამოვარდა, რამაც ერთნი გაახარა, ხოლო მეორენი დაამწუხრა და საგონებელში ჩააგდო. მაგრამ რა უნდა მომხდარიყო? რად შეიცვალნენ ასე ტახტის ერთგული კარისკაცები?

როგორც კი სუფრა აიშალა და სტუმარ-მასპინძლები დასასვენებლად წავიდ-წამოვიდნენ, რათა მწუხრის წირვის შემდეგ ერთმანეთს ისევ შეხვედროდნენ და საქმიანი სჯა-ბაასი დაეწყოთ, სოლომონი ხაჩიძის სახლის მეორე სართულზე, მდიდრულად მორთულ-მოფარდაგებულ ერთადერთ ოთახში განმარტოვდა და დიდებულების მოსახმობად ნიკოლოზა ნაფიჩვაძე გაგზავნა.

თითქოს კარს უკან მოყურადებული მდგარიყვნენ, გიორგი წულუკიძე და მისი მეუფება მაქსიმე აბაშიძე, აგრეთვე ზემომხრის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი და მესტუმრეთუხუცესი თამაზა მესხი, დაუყოვნებლივ შემოვიდნენ. იმავ წუთს მეფე ერეკლეს ამალის წევრებში არეული რაჭის ერისთავ როსტომის ძე მეთოდეც გამოცხადდა და, თუმცა ამის საჭიროება არ იყო, უნებლიე დაგვიანების გამო ბოდიში მოიხადა.

სოლომონს გულში გაეცინა. მთელი ეს დღეები მეთოდე ფარშევანგივით კუდს იყავებდა. ყველას აგრძნობინებდა, მამაჩემი როსტომი და ქართლ-კახეთის გვირგვინოსანნი განუყრელი მეგობრები არიანო და თითოეულ მცირე, მთლად უმნიშვნელო შემთხვევასაც კი მის დასადასტურებლად იყენებდა.

ლარბაისელთ სოლომონთან ბატონიშვილი არჩილი დაუხვდათ. საუფლისწულო მამულიდან გამოძახებულ უმცროს ძმას მეფე გვერდიდან არ იშორებდა და ახლაც, რასაკვირველია, აქ ჰყავდა. რაჭიდან მობრუნებისა და საუფლისწულო მამულში გამწესების შემდეგ არჩილს ყველა ამჩნევდა თვალსაჩინო ცვლილებას. გამხდარი, ზრდადასრულებული, საულვაშეალინლული ყრმა ერთბაშად დაკაცდა, დადინჯდა, საფიქრალი და საზრუნავი გამოუჩნდა. თუკი სიტყვა ჩამოვარდებოდა, როსტომსა და მის სახლეულს კრძალვით იხსენებდა და ერისთვიშვილებისადმი გულწრფელ, ჭაბუკურ სიყვარულს ნაბერალ მეთოდესთან წუთიერი შეხვედრებით იქარვებდა. ბატონიშვილ არჩილის ამგვარი ახირება მოსვენებას უკარგავდა სოლომონს და ძმას მალულად, შეფარული ათვალწუნებით თვალს ადევნებდა. კიდევაც ნანობდა, როგორ შევცდი, ნეტავი ბიჭი ნავარძეთს არ გამეშვა და მუდამ სასახლეში მყოლოდაო, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგან ადრე თუ გვიან არჩილი ოჯახს უნდა მოჰკიდებოდა და მასაც, როგორც მშობლის მაგიერ უფროს ძმასა და მეფეს, ის უნდა გაეკეთებინა, რაც უკვე გააკეთა.

ძოწისფერ ახალუხგადაცმული სოლომონი სარკმელთან იდგა, საიდანაც მწვანეში ჩაფლული სოფლის ერთი კუთხე და წითელი აგურით ნაშენები ეკლესიის სამრეკლო მოჩანდა და მოთმინებით უცდიდა, ყველა როდის მოგროვდებოდა. დიდებულები კარის მარჯვენა მხარეს, კედლის გასწვრივ ჩამწკრივდნენ და გულხელი დაიჭდეს.

— დაბრძანდით, თავადო, — მიმართა მეფემ ყველაზე წინ მდგომ გიორგი წულუკიძეს და მზერა მაშინვე დანარჩენებზე გადაიტანა. — მცირე რამ საქმის გამო გაგსარჯეთ.

— გმადლობთ, მეფეო, — უპასუხა ხოტევის ციხის პატრონმა, დაჯდომით კი არ დამჯდარა, არ დამჯდარან არც სხვები. — ნება დაგვრთეთ, ვიდრე დაწყებას ინებებდეთ, ერთი სიტყვა შემოგბედოთ.

სოლომონმა თვალები მოწკურა, რაც არც თანხმობას ნიშნავდა, არც უარს და ერთხანს ხმას არ იღებდა.

— ჩემგნით შეიძლება უჯეროც იყოს ამის მოხსენება, — განაგრძო გიორგი წულუკიძემ და მეფეს თვალებში შეხედა. — ნუ გამირისხდები, ჩემს ჭალარას შეუნდე, თუ...

— ბრძანე! — ახლა კი გადაწყვიტა და ნება დართო სოლომონმა.

— იმერთა მეფის ტახტი თვით ღმერთმა დაადგინა და მას კაცი ვერ მოშლის. ყველა ჩვენ დღეს ვართ, ღმერთმა დიდი დღე მოგვცეს, ხვალ აღარ ვიქნებით, მეფევ. ქვეყანა დარჩება.

სოლომონი ახლა კი მიხვდა, საითაც

ბიბლიოთეკა

ღუნავდა ჯოხს წულუკიძე, სახეზე ალმური მოეკიდა, მაგრამ გიორგისათვის არ შეუწყვეტინებია, მოთმინებით ალიჭურვა.

— ვერავის ვერ მივცემთ ნებას, სჯულიერი იქნება თუ ურჯულო, თავს ლაფი დაგვასხას და ჩვენი მეფე შეურაცხჰყოს, ეს ყველამ იცოდეს!

სოლომონმა მხრები აიჩეჩა, თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერაფერს ხვდებოდა.

— მერე ვინ შეურაცხჰყო თქვენი მეფე?

თავადი გიორგი კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წამოდგა. ეს მუდამ აუღელვებელი, მშვიდი კაცი, წონასწორობას ყველაზე დიდ გასაჭირშიაც რომ არ ჰკარგავდა, სოლომონის პირით წარმოთქმულმა „თქვენმა მეფემ“ სულ გააცეცხლა. მოეჩვენა, რომ გაზრდილს უკვე არად მიაჩნდა მისი სიტყვა და მასხარად იგდებდა.

— თქვენო უმაღლესობავ, — ყელს მოწოლილი სიბრაზე ძლივს დაიოკა და რამდენადაც შეეძლო, ხმადაბლა თქვა მან. — მოიღეთ მოწყალება, გაგზავნეთ ვინმე და აკითხვინეთ, გარეთ ხალხი რას ლაპარაკობს.

— სოლომონმა კუშტი მზერა ესროლა.

— ვინ ხალხი, თავადო?

— ვინც ეს სამი დღეა გარს გვახვევია და გვმასპინძლობს!

— გარს ჩვენიანები გვახვევია, როგორც თეიმურაზ მეფემ ბრძანა, ქართლოსიანნი, ჩვენი სისხლი და ხორცი.

— დღეს დიდსა და პატარას პირზე აკერია, რომ თქვენ ტახტზე უარის თქმა განგიზრახავთ და სამეფოს კახბატონ ერეკლეს უთმობთ.

სოლომონს გაეცინა.

— მე მეგონა, რაიმე უარესს ამბობდნენ. კიდევაც რომ დავთმო, კახბატონი ერეკლე რა თავში იხლის იმერეთის ტახტს, სპარსეთი არ ყოფნის, ახლა ოსმალეთიც მტრად არ მოიკიდოს? თუ ვინმე ჩემს სიტყვას ებღაუჭება, წეღან სადღეგრძელოში რომ ვთქვი...

— ნუ მიწყენთ, მეფევ და არ უნდა გეთქვათ! ხომ დაინახეთ, როგორ აღფრთოვანდნენ თვით მეფეები და აქაური დიდებულები!

— მათი აღფრთოვანება მე სულ სხვანაირად გავიგე, თავადო, და უფლებას ვიტოვებ, ჩემს აზრზე დავრჩე. იქნება სხვებს სხვა აზრი გაუჩნდა? თქვენო მეუფებავ, ბატონო მაქსიმე...

ეპისკოპოსმა მაქსიმე აბაშიძემ, უდრტვინველად რომ უგდებდა ყურს მეფისა და მისი აღმზრდელის შეპაექრებას, ქარვის კრიალოსანი ჩამომარცვლა და სოლომონს ყოველგვარი მიკიბმოკიბვის გარეშე ჰკადრა:

— უნდა ვერწმუნოთ ბატონ გიორგის მეტი თავის დაჭერა გვმართებს, მწყალობელო მეფეო. თქვენი კეთილშობილური საქციელი და ღვთისა და კაცის წინაშე უანგარობა, შესაძლოა, სხვამ სხვაგვარად გაგვიგოს და ჩვენივე სიტყვა გზაზე დაგვხვდეს.

სოლომონს ისევ შემოენთო ბრაზი, აილეწა. ზომაზე მეტ თავისუფლებას ხომ არ ანიჭებდა ქვეშევრდომებს? ზომაზე მეტად ხომ არ ათამამებდა? „შესაძლოა, სხვამ სხვაგვარად გაგვიგოს და ჩვენივე სიტყვა გზაზე დაგვხვდეს!“ ნუთუ სიმართლე ამათ მხარეზე იყო და ალლო ღალატობდა? იქნებ მართლა მეტი თავის დაჭერა მართებდა, როგორც ეპისკოპოსმა მაქსიმე აბაშიძემ თქვა? გზად აქეთ მომავალი თავადაც ზუსტად ასევე ფიქრობდა, მაგრამ თეიმურაზ მეფის შინაურულმა, მამაშვილურმა დახვედრამ ყველა წინასწარი გეგმა ჩაუშალა და ის იძულებული გახდა, გული გადაეხსნა. დამხვდურთ სწორედ ისეთად სჩვენებოდა, როგორიც მართლა იყო. ახლა ირკვეოდა, რომ შეცდომა მოუვიდა, რაღაც ზღვარს გადასცდა, მტერსა და მოყვარეს უთავბოლო ჭორების გავრცელების საშუალება მისცა.

„აჩქარება რა ხეირს დაგვაყრის. საქართველოს გაერთიანებაზე ფიქრი ჯერ ადრეა, — გაიფიქრა მან. — სანამ

გაერთიანებას დავაპირებდეთ, ურჯულოს კლანჭებში მოქცეულებმა ჯერ თავი უნდა შევინარჩუნოთ. შემდეგ, თუ ბედმა არ გვიმუხთლა, მომავალი გვიჩვენებს, ვინ დაწინაურდება და ვინ უკან დადგება, ვისი სამეფო სახლი შეიშნობს გაერთიანებული საქართველოს მეფობის პატივს!“

ღირდა ყოველივე ამის საქვეყნოდ განცხადება? იმერელი დიდებულები, მართალია, დამშვიდდებოდნენ, მაგრამ...

სოლომონი ამ ფიქრსა და ყოყმანში იყო, როცა კარი გაიღო და ყოველგვარი ნებართვის უკითხავად ოთახში ნიკოლოზა ნაფიჩვაძემ შემოალაჯა. სოლომონმა მწყრალი მზერა შეაგება.

— თქვენთან არიან, მეფევ!

— ვინ?

— უცხოა, ვერ ვიცანი.

— მოიცადოს. ხომ ხედავ, არ გვცალია.

— მაჩქარებს, ბატონო, თუ არ შემიშვებ. წავალ და პასუხი შენ გეეცი ღმერთსაც და მეფესაცო.

— კითხე, ვინ არის.

— ვკითხე, ბატონო, ვაჭარია, ახალციხიდან მოდის, გზაში გოუგია აქ ბრძანდები და... ბატონ თეიმურაზის კაცებმა მოიყვანეს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეფისა და დარბაისლების წინაშე წარმოსდგა შუახანს გადაცილებული, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგი, სპარსულ ყაიდაზე ჩაცმულ-დახურული მწითური კაცი. დიდი ხნის შეუკრეჭავი ცეცხლივით წითელი წვერი მოსულს ჩავარდნილ მკერდზე ეფინა და ოდნავ ელამი წვრილი თვალები ისერიგად გაურბოდა აქეთ-იქით, ძნელად მიუხვდებოდი, მართო შენ გიყურებდა, თუ შენთან ერთად ყოველივე დანარჩენსაც, რაც შენს გარშემო იყო.

— ვინა ხარ, კაცო? — დაეკითხა სოლომონი, როგორც კი შემოსულმა დამხვდურ დიდებულთ თაყვანი სცა და მეფის წინაშე მუხლები მოიყარა, აღმოსავლური წეს-ჩვეულების თანახმად შუბლით იატაკს შეეხო.

— თქვენი ერთგული კაცი გახლავარ, დიდო ბატონო, კულაშელი ისრაელი, ისხაკ თეთრუაშვილი.

— ადექი, ახლოს მოდი. მერე კულაშელ კაცს აქ რა გინდა, მიქელაძეს გამოექეცი?

სტუმარი წამოდგა, ოღონდ მეფის ბრძანებისამებრ წინ არ წასულა, იმავე ადგილას წელში მოდრეკილი დარჩა.

— ჩემი ამბავი, დაგენაცვლეთ, წიგნებში მოსათხრობია. მესამე გილდიის ვაჭარი ვარ. არზრუმში ვცხოვრობ. ყისმათმა ბოლოს ასე გამიჭრა. საქონელი დაგვაქვს ზღვის გაღმა ფრანგის ქვეყნებში, ხან გემით, ხან აქლემებით, ხან ხარ-ურმით, რავარც მოგვეხერხება. ნელსაცხებლებით, თრიმლით, ტყავეულ-ბეწვეულით და ფარჩა-აბრეშუმით ვვაჭრობ. საქონელი ძვირი გვიჯდება, გზაში ბევრი ფათერაკი გვხვდება. მეკობრეობა და ყაჩაღობა ზღვაზეც და ხმელეთზეც ძალიან გახშირდა. ხანდახან ისე უნამუსოდ გაგფცქვნიან, თითზე გადასახვევს აღარაფერს დაგიტოვებენ. რჯულის მადლმა, სული თუ შეგარჩინეს... რამდენჯერ აღთქმა დავდევი, ფეხს აღარ გადავდგამ მეთქი, რაღა დროს ჩემი კარდაკარ წოწიალია, დაგენაცვლე. ერთი ორი წელიწადი და რას იზამ აბა, ოჯახი, მტერი და მოყვარე თავისას თხოულობს. შენმა დღეგრძელობამ, დიდებულო მეფევ, თუკი სასახლის მანდილოსნები რაიმეს ინებებენ, იმათი ხმალი და ჩემი კისერი, გოუჩენელს გავაჩენ!

სოლომონი მოიქუფრა.

— ჩემთან სავაჭროდ მოხვედი?

ისხაკა თეთრუაშვილმა უმწეოდ მიიხედ-მოიხედა, ვაითუ ხმის ამოღება აღარ მადროვონ და კინწისკვრით გარეთ გამაგდონო. ეტყობოდა, რაღაც ჰქონდა სათქმელი და ამდენი ხალხის თანდასწრებით გამხელა უმძიმდა. დიდებულებმა ერთმანეთს გადახედეს. თავისი გაზრდილით უკმაყოფილო გიორგი წულუკიძემ დაბლა დაშვებულ ჭაღარა ულვაშებზე ხელი ჩამოისვა, მეფეს თავი დაუკრა და კარისაკენ პირვე-

ლი წავიდა. რაკი სოლომონი არაფერს ამბობდა, მას ფეხდაფეხ მიჰყვნენ დანარჩენი დიდებულებიც.

— თქვი, რაღას უცდი! — მიმართა მეფემ ვაჭარს, რომელსაც მარტო დარჩნენ. ისხაკამ ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა, დარწმუნდა, რომ ოთახში მათ მეტი მართლაც არავინ იყო, უბეში კარგა ხნის ძებნის შემდეგ უთვალავჯერ გაკეცილი რაღაც ქაღალდი ამოიღო და მეფეს გაუწოდა.

— რა არის? — ჰკითხა სოლომონმა, სანამ გამოართმევდა.

— ნატრია საჭურისმა მოგართვა, ცათა სწორო ბატონო, ზოგი რამ სიტყვიერადაც დამაბარა...

— რას ამბობ! — სოლომონს მოუთმენლობა დაეუფლა, ამ უცხო კაცის წინაშე, რომელსაც დღეს პირველად ხედავდა და ხეირიანად არც კი იცოდა, საქმე ვისთან ჰქონდა, აღფრთოვანება და სიხარული ველარ დამალა. — ნატრია საჭურისი ცოცხალია? ჩვენ ის რა ხანია გამოვიტირეთ!

— მდაბალ მოკითხვას გითვლის, მოწყალე ბატონო, შენდობას ითხოვს, რომ აქამდე ხმა ვერსაით მოგაწვდინა.

— სად არის, ვისთან არის, როგორ მოეწყო, საფრთხე ხომ არაფერი ემუქრება?

— ორი თუ სამი თვე დილეგში ყავდათ უბედური. მძევლის გაპარებას და ჯაშუშობას აბრალიდნენ. ფარზე დადგა. დიდი სატანჯველი გაარონიეს. ორსამჯერ თრიაქი შეურიეს წყალში და დაათვრეს, იქნება ბოდვა დააწყებინოს და ძილში გამოვტეხოთო.

— მერე?

— ვერ გამოტეხეს, ვადაი, ი დედმამაგანათლებული ძილშიადაც იმას იძახოდა, რასაც ცხადში. რაბათში ვეღარ შეაღწია, ფაშა სათოფეზე არ იკარებს. სომეხი კათოლიკების ეკლესიაში, მარდაში, ნაწირვებს ტერტერა შანდალსასანთლეებს აფერვინებს. ტერტერას სამი გასათხოვარი გოგო უზის შინ. ნატრია დარაჯად ყავს მიჩენილი, გოგებთან აჭმევს და ღამესაც გოგოების ოთახში ათევინებს.

ბიბლიოთეკა

— სხვა რა იცი? გზა ასე რატომ გაიგრძელე, ზეკარის გზა დაგავიწყდა?

— მტერს და შენს დამაწყევარს დავიწყებია, დიდებულო მეფეო. ვინც გაბედა და იმ გზაზე წამოვიდა, ვადაი, მეოთხე დღეს უკან დაბრუნდა. ზოგს ცხენები დეემტვრა, ზოგს ჯორკიდებული ხრამში გადაუვარდა. სადღა არი, დაგენაცვლე, გზა, ი ჩემი ცოდვით სავსე წყალი ადიდებულა და სულ წოუღია. ფაშამ უსტიები მოაგროვა. რაც კი ოცხიდან ართვინამდი სოფლებია, გზას მოაყარეს. კაკასხიდამდი ჩამოვლენ და მერე ისევე ზეკარზე ვივლით...

ეს ცნობა სოლომონმა მშვიდად მოისმინა, თუმცა ყურები კი წამოუხურდა. არ გაჰკვირვებია, აგარიანები რომ ყველა ღონეს ხმარობდნენ წყალდიდობის დროს დაქცეული გზის აღსადგენად. გასაკვირი და უპატიებელი მკრეხელობა არც სარფას დახარბებული ვაჭრის წუხილი და სულსწრაფობა იყო. შენს გასაჭირს ის რას დაგიდევდა, ოღონდ კი მიმოსვლის ხარჯები შეემცირებინა და ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორემდე უხიფათოდ ევლო!

ფერსათის მთების მოსაზღვრე ვაკე იმერეთის ლაშქრის გამძლეობა და მოხერხებულობა სწორედ ახლა გამოჩნდებოდა. ციხისთავ ქაიხოსრო აგიაშვილისა და ქვემომხრის სარდალ ბერი ლორთქიფანიძის წინამძღოლობით ლაშქარს პატარ-პატარა გუნდებად უნდა ემოქმედა და, ვიდრე ძალა შესწევდა, გზის მშენებლობისათვის ხელი შეეშალა. სოლომონმა რომ ბარგი შეკრა და ქართლ-კახეთის მეფეებთან შესახვედრად ალს წამოვიდა, აგიაშვილი და ლორთქიფანიძე ლაშქარს უკვე აღგენდნენ. ჯარი არც ისე დიდი უნდა შეკრებილიყო, რომ შუაგულ ალოსთავზე მიწას ათასობით ოჯახის მარჩენალი მოწყვეტოდა და არც ისე პატარა, რომ გზის მშენებელთა ბაღრაგად გამოყოფილ რაზმებს ადვილად მოეხერხებინათ მათი მოგერიება.

ისხაკა თეთრუაშვილის უბეში ნადებ გაქონილ ქაღალდს დიდი ხნის დაუბანელი ტანის გულისამრევი სუნი ასდიოდა. სოლომონმა ზიზღი დასძლია და, ხელში რომ არ შემოხეოდა, იგი ფრთხილად გახსნა.

ქართული მხედრული ასოების გამოყვანა ნატრია საჭურისს მეფის საგანგებო დავალებით სამცხეში გასტუმრების წინ შეასწავლეს საამისოდ მიჩენილმა ბერებმა. ნიჭიერი, საზრიანი, სწავლა-განათლებას მოწყურებული ყმაწვილი მცირე ხნის განმავლობაში წერაში საკმაოდ გაწაფულიყო, წუნს ვერ დასდებდი. დროს, ეტყობოდა, უქმად არ კარგავდა და დილეგის ნესტიან კედლებსაც კი საყვარლად მომრგვალებული ქართული ასოებით აჭრელებდა.

შესავლის ერთიმეორეზე მიჯრილი ბწკარები, რომლებშიაც ნატრია მაღალ ღმერთს, „ჩვენთვის ჯვარცმულ იესო მაცხოვარს“, სამას სამოცდახუთ წმიდა გიორგის, ანგელოზებსა და მთავარანგელოზებს გლახაკთა და უპოვართა შემწე, ქვრივ-ობლების განმკითხავი, ტყვისმსყიდველთა რისხვა, ურჯულო აგარიანთა წინაღმდეგ გაშიშვლებული მახვილის, იმერთა დიდებული მეფის ჯანის სიმრთელესა და სულიერ მხნეობას შესთხოვდა, სოლომონმა თვალებით გადაირბინა და ქვემოთ აღნუსხულ ძვირფას ცნობებს დააცხრა.

თავისი დღევანდელი მდგომარეობისა და ადგილსამყოფელის შესახებ ნატრია იმასვე იტყობინებოდა, რაც ვაჭარმა ისხაკა თეთრუაშვილმა მეფეს ეს იყო მოახსენა, მხოლოდ დასძენდა, სამი გასათხოვარი ასულის მამას, სომხის ტერტერას, ერისკაცობაში მანდ უცხოვრია, ქართული ზედმიწევნით იცის, მტკიცე ქრისტიანე და შენი ერთგული კაცი გახლავს, რასაც ჩემი შეფარება და სანდო პირთან, იმერეთში მომავალ უცხოელ ვაჭართან, ისხაკა თეთრუაშვილთან დაკავშირებაც ადასტურებსო. რა ამბებსაც ახლა გატყობინებ, უმეტესწილად ტერტერას მოპოვებული ამბებია და მათ სისწორეში ეჭვი ნუ შეგეპარებათო. შემდეგ ნატრია წერდა, რომ მაისის დამდეგს ახალციხეში [illegible]ჩართა ლაშქრის მოსვლას ელოდნენ. ამ ლაშქრის ნაწილი იმერეთში უნდა გაეგზავნათ დამსჯელ რაზმებად, ხოლო ნაწილი ახალი განკარგულების მიღებამდე აქ დაეტოვებინათ, მაგრამ ყოვლის გამრიგე მაღალმა ღმერთმა სხვაგვარად ინდომა, ლაშქრის მაგიერ ფაშა ჰაჯი-აჰმადს პირველი ვეზირის რისხვის წიგნი მოუვიდა, რითაც სულთნის კარი ფაშას წინადადებას აძლევს, საკუთარი ადგილობრივი ძალებით გაღონიერდეს, ვინაიდან დღესდღეობით ბედნიერ სულთანს შარაგზის ყაჩაღ ბაშიაჩუკების ტყე-ტყე სადევრად არა სცალიაო.

შემდგომ წიგნი აქერცლილი და დაზიანებული იყო. ოფლს ასოები დაედღაბნა და დიდრონ ლაქებად ექცია. სამაგიეროდ, ფურცლის უკანა გვერდი შედარებით სუფთა აღმოჩნდა. სოლომონმა სწორედ აქ ამოიკითხა ის, რასაც ასე სულმოუთქმელად ელოდა.

„თეიმურაზ ბატონიშვილი დივანში დაიბარეს, — წვრილად იწერებოდა ნატრია საჭურისი. — სულთნის ერთგულების პირობა დასდო, ყურანზე დაიფიცა და იმერეთის მეფედ გამოაცხადეს. ძალიან გახარებულია. როგორც იქნა, საწადელს მიაღწია. სულ კბილებს აკაწკაწებს, ნეტა გამგზავრების მოწყალე ნებას როდის მიბოძებენო. ყველამ მიულოცა, მარტო ბატონი ლევანი და გურიელი არ ეკარებიან. თეიმურაზი წუხს, მაგრამ რა გაეწყობა. იმედს სიმამრზე ამყარებს, თუ იმანაც არ უმტყუნა. ლევანი შუა ბაზარში ცხოვრობს, გურიელიც იქ ახლოა. ფაშასთან ორჯერ იყო, გურიელიც იყო ფაშასთან. პატივით მიიღეს. ფაშა ორივეს შემწეობას პირდება ტერტერა ამბობს, ლევანი იმიტომ არ სცნობს მეფედ თეიმურაზს, რაკი უფროსმა ბადიშმა ვერ გაუმართლა, ახლა ტახტი უმცროსი ბადიშისათვის, ბატონიშვილ არჩილისათვის უნდაო“.

სოლომონს თვალთ დაუბნელდა.

მსტოვრის მიერ მოწოდებული ეს უკანასკნელი ცნობა თავზარდამცემი იყო. მტერი ამჯერად სხვა მხრიდან უვლიდა, ძმებს შუა აპირებდა ჩადგომას. ბაბუა ლევანმა მიზანში მცირეწლოვანი და ჯერაც გამოუცდელი არჩილი ამოიღო. მუხანათ ბერიკაცს სხვებზე უკეთ მოეხსენებოდა, რა ფაქიზად, რა თავდავიწყებით, რა უანგაროდ უყვარდათ ძმებს ერთმანეთი, რა დიდ, მოუქარვებელ ტკივილს მიაყენებდა სოლომონს საფიცარი უმცროსი ძმის განდგომა და ღალატი.

— ეს წიგნი წაკითხული გაქვს? — ძლივს კრიჭა გაიხსნა და ჰკითხა ვაჭარს სოლომონმა.

— წიგნი? — ისხაკა თეთრუაშვილმა მეფის უმოძრაო თვალები დაინახა და შეშინებულმა ხელები გაასავსავა. — არა, ვადაი, რჯულის მადლმა, არ გავწყდე ცოლ-შვილით!

— თუ კრინტი დაგიძრავს, ენას ამოგაძრობ, იცოდე, გიპოვნი, სადაც არ უნდა იყო!

— ჩემი თავის მტერი ვარ, მეფეო? ღმერთმა მაშოროს შენი რისხვა!

— რას ითხოვ გასამრჯელოდ?

ისხაკას წირპლიანი, წყლისფერი თვალები გაუფართოვდა. პირი დააღო, ერთბაშად ვერც კი მიხვდა, რას ეკითხებოდნენ.

— რამდენს ითხოვ, თუ ჩვენს სასარგებლოდ იმუშავებ და საფაშოდან ნატრია საჭურისის გამოგზავნილ ცნობებს მოგვაწვდი? — დააზუსტა მეფემ. — ოღონდ, გაფრთხილებ, ღალატი გულში არ გაივლო, ხომ გითხარი, მიწაში რომ ჩაძვრე, იქ გიპოვნი!

ისხაკა შესაბრალისად მოიდრიკა:

— შემინდე შენს მონა-მორჩილს, დიდებულო მეფევ, თუ გავკადნიერდები და გკითხავ: ჩემი რჯულის კაცს, ისრაელს, ღვთისაგან დადგინებული თავისი მეფისა და ბატონისათვის უღალატია, როდისმე ქვეყანა გაუცია და მტერს მიხმარებია?

სოლომონი დაფიქრდა. ვაჭარი, მისი დიდი ხნის ხელუხლებელი, ცეცხლივით წითელი წვერი, გაზინთული, მტვრიანი ტანსაცმელი, ახლა ჭუჭყიანი სპარსული ჩალმა, რომელმაც მეფე ერეკლეს თავსაბურავი გაახსენა, დინჯად აათვალიერ-ჩაათვალიერა და ოდნავ უფრო დამშვიდებულმა მიუგო:

— მე ვიცი, განსვენებულ მამაჩემისგანაც გამიგონია, ისრაელები პირიანი ხალხი ხართ, აღებმიცემობაში ქრისტიანის გაბრიყვებისაგან უკან არ იხევთ, მაგრამ ღალატისაგან თავი შორს გიჭირავთ.

— ღმერთმა აღგამაღლოს, მეფევ, შენი პირით თვით ჭეშმარიტება ლაღადებს. მე, უყისმათო ისხაკა თეთრუაშვილი, ნუ გამიწყრები, შენი მიწაწყლის შვილი ვარ. ჩემს მამა-პაპას აქ უხსოვარი დროიდან უცხოვრია, ეს კურთხეული მიწა თავისი ოფლითა და სისხლით დაულბია და მერე ამავე მიწად ქცეულა. თქვენი ღმერთი, იესო ნაზარეველი რომ გოლგოთაზე ჯვარს აცვეს, ამ ამბავს ორი მცხეთელი ისრაელი რაბინიც ესწრებოდა. ძველ წიგნებში ამომიკითხავს... რა ვუყოთ, დაგენაცვლე, ზოგი ვვაჭრობთ, ლობე-ყორეს ვედებით, დღედაღამე გზაზე ვართ გაკრული, ზოგი მიწას ვჩიჩქნით, ზოგი ხმალს ვიქნევთ, მაღალ ღმერთს ასე დოუწესებია. თუ ქრისტიანს ვინმე არბევდა და იტაცებდა, დაგენაცვლე, ისრაელებიც ხომ აქ ვიყავით. უკეთესი დღე არც ჩვენი რჯულის კაცს დასდგომია. მე, ისხაკა თეთრუაშვილს, უცხოდ ნუ ჩამთვლით, მეფეო. ჩემი საფლავის მიწა აქ არის, საფლავის მიწას, რჯულის მადლმა, არ ეღალატება. არც გასამრჯელოს ვითხოვ შენგან, რა სათქმელია, ოღონდ აქ შემოსვლის და საქონლის შემოტანის ნებას ნუ მომიშლი, ნურც ბაჟის ამკრეფებს დააჩაგვრინებ ჩემს თავს. ნამეტანი გაყაჩაღდნენ ეგ დალოცვილები, აღარც საწყალი კაცი ებრალებათ და აღარც თავისი ღმერთის რცხვენიათ.

სოლომონი დაპირდა:

— ფიქრი ნუ გექნება, ისხაკ, დღეის ამას იქით ბუზსაც ვერავინ აგიფრენს!

— შენი მუხლების ჭირიმე, მეფევ! — ვაჭარმა ინით შეღებილი წითელი ხელები აღაპყრო, ისევ დაიჩოქა, წელში მოიდრიკა და შუბლით იატაკს შეეხო.

— ადექი! — ახლა უკვე ლმობიერად უბრძანა სოლომონმა. — უკან როდის გამობრუნდები?

— თუ წალმა ვიარე, ზუგდიდში ხელს დევიცლი და...

— იქ ნურავის გააგებინებ, თუ მე მნახე, საერთოდ, ენას კბილი დააჭირე. ქვეყანა მსტოვრებით არის სავსე. ნატრიას წიგნს ყოველთვის პირადად მე გადმომცემ.

— რავარც მიბრძანებ, მოწყალეო ბატონო, რჯულის მადლმა, შენს სიტყვას არ გადავალ!

— არზრუმიდან რა ამბები ჩამოიტანე?

— ნამეტანი ეირია ქვეყანა, ვადაი, მეცნიერი კაცები მეორეთმოსვლას წინასწარმეტყველობენ.

— ომს ხომ არ აპირებს ბრწყინვალე პორტა?

— ამბობენ, არც უმაგისობა იქნებაო.

— გასაგებად მითხარი!

— ბოსფორში გემების ტევა აღარ არის, ვადაი, ყოველ უქმე დღეს ალლუმები იმართება და ზარბაზნებს ისვრიან.

— შენი შეტყობით, ბედნიერი სულთანი ვის უნდა ემუქრებოდეს?

— მაგის თქმა დღეს ძნელია, მეფევ, ყველა დიდი ხელმწიფე ალესილია, ფრთხილობს, სხვამ არავინ დაასწროს. ჯარიც ამიტომ ვერ მოაშველეს ახალციხის ფაშას. ვინ იცის, სად და როდის დაჭირდებათ. კი არა, ჩემი მოკლე ჭკუით, კეხი შეიძლება სულაც შეაბრუნონ და ფაშა იქით დაიბარონ.

— ვითომ ასეა საქმე?

— ბალკანეთში სერბები აჯანყდნენ და ოსმალო ფაშები ამოხოცეს, ბოლღარელებიც აღრენილი არიან, ბატონო. სერბების დასაწყნარებლად სამოცი ათასი ასკერი და იანიჩარია გაგზავნილი. ხმა დადის, უბედურ სერბებს სხვები აგულიანებენო. სხვები გვერდზე დგანან, სისხლი ამათი იქცევა. ბოლღარელებს რუსები პირდებიან ხელის გამართვას...

— მაშ, რუსებმა უკვე მოახდინეს არჩევანი?

— ეგეც ძნელი სათქმელი გახლავს, მეფევ, ამ ხმებს შეიძლება ბოლღარელები ავრცელებენ, აგარიანები რომ შეაშინონ. რუსეთის ელჩი ორჯერ ეახლა პირველ ვეზირს და თავში ხელები წაიშინა, ეს უკუღმართი ხმები საერთო მტრებმა დაგვიყარესო. ტოპ-კაპაში რუსის ელჩი, როგორც წესია, პატივით მიიღეს, მაგრამ მისი ნათქვამი არ ჯერათ და მაინც ფხიზლობენ. გონიერმა ვეზირმა ელჩის ნათქვამი უკუღმა უნდა გაიგო...

ფიქრში წასული სოლომონი მიხვდა, რომ სიტყვა „ვეზირი“ ისხაკამ „მეფის“ მაგიერ იხმარა და დაეთანხმა:

— მართლაც... ძვირფასი ცნობები მოგვაწოდე, ისრაელო. მადლობა მიბრძანებია. თუ ყოველთვის ასე მარჯვედ გაირჯები, ჩემი წყალობა არ მოგაკლდება. ახლა წადი. უკან გაბრუნებისას კიდევ მინახულე.

— ღმერთმა გადღეგრძელოს, მეფევ, მშვიდობით ბრძანდებოდე, მამაზეციერმა ურჯულო მტრის ძლევა ნუ მოგიშალოს, ნურც კარდაკარ მოხეტიალე საწყალი ვაჭარი ისხაკა თეთრუაშვილი შეგძულებოდეს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი მეორმოცე

სამთა შეხვედრა ღამით შედგა და მამლებმა პირველად იყივლეს, რომ დამთავრდა. თავდაპირველად ასე იყო განსაზღვრული: იულონ და არჩილ ბატონიშვილების გარდა, თითოეული მეფის მხრიდან მას ორი-სამი წარჩინებული პირი უნდა დასწრებოდა. ბოლოს, სოლომონის წინადადებით გადაწყდა, თათბირი სრულიად საიდუმლოდ გამართულიყო და ეს საწყენად რომ არავის დარჩენოდა, შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად თვით ახალგაზრდა ბატონიშვილებიც არ მიეწვიათ. ერეკლესა და თეიმურაზს გაუკვირდათ, როცა თამაზა მესხის პირით სოლომონის ეს წინადადება მოისმინეს, ცოტათი იუხერხულეს კიდეც, მაგრამ დაასკვნეს, ბატონ იმერთა მეფეს უთუოდ თავისი მოსაზრებები ექნებაო და, ამთავითვე შეუთანხმებლობა რომ არ გამოეჩინათ, ნებაუნებლიეთ დაყაბულდნენ.

ახალი გადაწყვეტილება სოლომონს ნატრის საჭურისის უაღრესად საყურადღებო წიგნმა და ისრაელ ვაჭარ ისხაკა თეთრუაშვილის მიერ მოწოდებულმა ცნობებმა მიაღებინა. მეფე იმდენად იმას კი არ შეეშფოთებინა, რომ აგარიანებმა უკვე გადაწყვიტეს ტახტიდან მისი გადაყენება, რათა ტახტი მაჰმადის რჯულზე შემდგარ თეიმურაზისათვის მიეცათ, რამდენადაც ის, რომ ბაბუა ლევანი საქმეში ბატონიშვილ არჩილს რევდა და გამეტებულ შვილიშვილს, სოლომონს, ხელის მოსაჭიდებელ ხავსსაც აღარ უტოვებდა.

აუწყეს ეს ყველაფერი არჩილ ბატონიშვილს, თუ არგვეთის ნაბატონარმა ლევან აბაშიძემ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა კაცების გამოგზავნა ღალატში არჩილის ჩასათრევად?

სოლომონი დარწმუნებული იყო, გულუბრყვილო და ბუნებით მიმნდობ არჩილს აინუნშიაც არ მოსდიოდა, რა ამბები ტრიალებდა მის გარშემო. არჩილს რომ რაიმე სცოდნოდა, არ შეიძლებოდა, საქციელზე არ შესტყობოდა, ან გვირგვინოსანი ძმისათვის თვით არ გაემხილა, ბაბუამ ასე შემომითვალა და რას მირჩევ, რა ვქნაო. მაგრამ ზედმეტი ნდობა და გულუბრყვილობა არც თვით სოლომონს მართებდა. მტერი ვერაგი და დაუნდობელი იყო, არც ერთ ხერხსა და საშუალებას არ თაკილობდა. მას არამცთუ გულუბრყვილო არჩილის, ბევრად უფრო გამოცდილი და ცხოვრებანახი კაცის შეცდენა, გადაბირება და მუხანათური მიზნებისათვის გამოყენება შეეძლო.

ერთი დაპირება სოლომონმა დააპირა, მოდი, ძმასთან ერთად ჩავიკეტებით და არჩილს ნატრიას წიგნს ვაჩვენებო. რა ჭკუაზე დადგებოდა ახალგაზრდა ბატონიშვილი, თუ ამ ამბებს პირველად გვირგვინოსანი ძმისაგან მოისმენდა? ვის შეეძლო სოლომონი დაერწმუნებინა, რომ ჭაბუკურ ოცნებებს აყოლილ არჩილს გონიერება ეყოფოდა, ტვინი არ გადაუბრუნდებოდა და გულში ღალატს არ ჩაიდებდა?

„შევცდი, იესე რომ დავტოვე და თან არ წამოვიყვანე, — ფიქრობდა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი სოლომონი. — როცა სამივე ერთად ვართ, ყოველივე წვრილმანი უკან იხევს და სიტყვასაც მეტი წონა და ძალა ენიჭება!“

დღეს თუ არა, ლევანისაგან მოჩენილი კაცები არჩილ ბატონიშვილს ხვალ ნახავდნენ, სამშობლოდან გადახვეწილი ბაბუის გულისნადებს გადასცემდნენ და ის, რისაც სოლომონს ასე ძალიან ეშინოდა, მაინც მოხდებოდა. ერთადერთი უტყუარი საშუალება, რითაც შეიძლებოდა არჩილი მოღალატეობის წუმპეში ჩავარდნისაგან ეხსნა, მისი დაუყოვნებლივ შეპყრობა და ყველასაგან განცალკევება იყო. მაგრამ რით უნდა აეხსნა თავისი საქციელი? რა პასუხს გასცემდა ან თვით არჩილს და ან იესეს, რომელსაც უმცროსი ძმის გამოსარჩლების წყურვილი და

მოვალეობა აუცილებლად სოლომონთან მიიყვანდა?

მეფემ სიფრთხილის ყველა ზომა იხმარა, ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ ნაფიჩვაძეებს გამზრდელი გიორგი წულუკიძე მოაყვანინა, ზემომხრის სარდალი ქაიხოსრო წერეთელიც მოიხმო და გულის ვარამი გაანდო.

წერეთელი შეაწუხა და შეაშფოთა ახალმა ამბავმა, წულუკიძე თავშეკავებულად სდუმდა და მოთმინებით უცდიდა, თუ მეფე რით დაასრულებდა.

— სანდო კაცები უნდა შევარჩიოთ და ბატონიშვილს მივუჩინოთ, — ბრძანა თავისივე ნათქვამით შეძრულმა და ფერწასულმა სოლომონმა. — ოღონდ ყველაფერი ისე უნდა მოხერხდეს, რომ ჩემმა ძმამ ვერაფერი შენიშნოს.

— ეგ თითქმის შეუძლებელია, დიდებულო მეფევ, — ჰკადრა სარდალმა. — ბატონიშვილი უთუოდ მიგვიხვდება და შეიძლება იმდენად შეშინდეს, ხელიდან გასხლტომაც სცადოს...

სოლომონს ბრაზი წაეკიდა, თავისდა უნებლიეთ ხმას აუწია:

— მაშინ ჩემი სახელით შეიპყარით და აქ მომგვარეთ!

წერეთელმა შეატყო, მეფე ისეა გაალმასებული, მეტი შედავება ზიანის მეტს არაფერს მომიტანსო და უმაღლესი ბრძანების შესასრულებლად გარეთ გასვლას აპირებდა, როდესაც გიორგი წულუკიძემ თავი ასწია და გაზრდილს უშიშრად მიმართა:

— ნუ ავჩქარდებით, მოწყალეო ბატონო. რაც გვიბრძანე, ერთობ საგულისხმო და ჭკუასთან ახლო ჩანს, სათანადოდ მიდგომ-მოდგომაც ახლავე გვმართებს, მაგრამ მე, თუ ჩემს ჭალარას რაიმე დაეჯერება, მწამს, არჩილი უბრალოა და ასე აშკარად უნდობლობის გამოცხადებით ნუ გავუბზარავთ ყმაწვილ გულს. ისედაც ბევრი გადახდა. მე მომანდეთ მისი ყურისგდება. თუ რაიმე ეჭვის აღმძვრელი შევამჩნიე, ხომ გჯერათ. არ დავმალავ, მიუხედავად ბატონიშვილისადმი ჩემი მამაშვილური სიყვარულისა, თუ არა და იქნება გამჩენმა ღმერთმა ეს ერთი საძრახი საქმე მაინც გვაშოროს.

სოლომონი მხოლოდ ერთ წუთს ჰოჰმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, წულუკიძის რჩევა მიეღო, თუ თავისი ნაჩქარევი განკარგულების ფიცხელი აღსრულება მოეთხოვა, ბოლოს მაინც მეორემ დასძალა და აღგზნებული თვალები წერეთელს შეანათა:

— რაღას უდგახართ, შეუდექით საქმეს, სარდალო. ღმერთმა ხომ იცის, ჩვენ ცისა და ქვეყნის წინაშე მართალი ვართ. თუ რაიმე საეჭვო გამოჩნდეს, განგაშს ნუ ასტეხთ, რა დროც არ უნდა იყოს, შემატყობინეთ! — ხოლო როდესაც ნიშნად მორჩილებისა წერეთელმა თავი დახარა და უსიტყვოდ გავიდა, გამზრდელს მიუბრუნდა, ბოდიშის მოხდის კილოზე უთხრა: — ამჯერად ვგონებ ასე ჯობს, ბატონო გიორგი. არჩილი ძმა არის ჩემი. ორივე თქვენს ხელში გავიზარდეთ. ყოვლის მხილველმა მაღალმა ღმერთმა და თქვენ უწყით, ერთმანეთი რაგვარ გვიყვარს. დადგება დრო, თავად გავუტყდები. თუ ამ წყეულმა წუთისოფელმა დაინდო და კაცური კაცობა შეარჩინა, არ შეიძლება არ მიხვდეს, რომ მე მართალი ვიყავი, ამ ნაბიჯის გადადგმას სწორედ ჩვენი გაუბზარავი ძმობის შენარჩუნების წრფელი სურვილი მოკარნახებდა!..

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მეფეო, — უხალისოდ დაეთანხმა ხოტევის ციხის პატრონი. — მეფის ნება ღვთის ნებაა. მე თუ მკითხავ. მაინც მომეტებულ ავკაცობად მიმაჩნია დიდისა და მცირეს დატუსაღება და დილეგში გამომწყვდევა. გარეთ ვინდა დარჩება, ბატონო, ანდა შეპყრობილებს ვინღა უდარაჯებს, გარეთ რომ არ გამოვიდნენ? თუ ურთიერთის ნდობა და თანხმობა არ იქნა, ისე ქვეყანა არ აშენდება. ნუ მიწყენ, თუ ვკადნიერდები და ამდენს გიბედავ. ვაითუ სხვამ ვერავინ გაგიბედოს, მეფევ და პირში ვერ გითხრას. ხომ შეიძლება ისეც ხდებოდეს, რომ შენს ძმას, არ-

ჩილ ბატონიშვილს, მტრები წინასწარ მოფიქრებულად ჩირქს სცხებდნენ და ამით თქვენ ორს შორის ფარული, თუ აშკარა შუღლის ჩამოგდებას აპირებდნენ? დღეს ერთს გამოგაცლიან ხელიდან, ხვალ მეორეს, ზეგ მესამეს... თუ ეს მართლა ასეა, ღვთისაგან წყეულებმა უკვე მიაღწიეს საწადელს: ამიერიდან ბატონიშვილი იძულებული გახდება გვირგვინოსან ძმას განერიდოს და საიმედო თავშესაფარი მისი მტრების ბუნაგში ეძიოს.

სოლომონს ალმური მოედო სახეზე. უეცრად იფეთქა:

— რატომ ბრძანებთ მაგას, ბატონო გიორგი? იქნებ იმაზეც დამდოთ ბრალი, მშობელი დედა რომ გავაძევე, ბიძები რომ შევირისხე, ღვიძლ ბაბუას ღირსება რომ ავყარე და ყმა-მამული ჩამოვართვი? მაშ როგორ მოვქცეულიყავი? ან დღეს როგორ მოვიქცე? ევერ გეპარებათ, რომ ლევან აბაშიძე ყველა ძალის, მათ შორის არჩილ ბატონიშვილის, თუნდაც იასეს, ჩემს წინააღმდეგ გამოყენებას შეეცდება? მე და თქვენ ამას აქამდე უნდა მივმხვდარიყავით და ჭკუას ვიზამდით, თუ შესაფერ თადარიგსაც გავწევდით. მომავალი გაგვსჯის, ვინ მტყუანი ვართ და ვინ მართალი. ნურავის ეგონება, რომ ჩემზე უფრო სტკივა გული, — აქ მეფემ გამზრდელი არ დაინდო და მწარედ უკბინა. — ცრემლების დაღვრა და კაცთმოყვარეობის ქადაგება ადვილია. ნუ შევეცილებით, ეგ ეკლესიის წმიდა მამებს დავუთმოთ. სხვა რამე არის ძნელი. თქვენ იცით, რასაც ვგულისხმობ და თუ შეიძლებოდეს, ყველა ჩამოდექით, მატირეთ ჩემი მკვდარი!

უკანასკნელი სიტყვები სოლომონმა იმნაირი გამწარებით, თითქმის სასოწარკვეთით და გულში ჩაგუბებული ბოღმით წარმოთქვა, გაზრდილზე არანაკლებ აღელვებული ჭკვიანი წულუკიძე მიხვდა, ახლა რისამე თქმა, უკვე ნათქვამზე კიდევ რაიმეს დამატება საქმეს უფრო გააფუჭებსო და ხმა აღარ ამოუღია. გარეთ უკვე იცდიდნენ თეიმურაზ მეფის მესტუმრენი, დროც აღარ ითმენდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლის მეფეს ბინა სოლომონის მეზობლად დაედო ერთ ნახევრად მიწურ გლესურ ქოხში. ქვითკირის სქელკედლებიანი, ბანიანი ქოხი, რომელსაც ქვედა, სოფლის მხარეს, სამი ვიწრო სარკმელი ჰქონდა დატანებული, უფრო სოფელში მოთარეშე მტრის სათვალთვალოდ, ვიდრე წარმტაცი სანახაობით თვალის დასატკბობად, სამთა განცალკევებული საუბრისათვის სწორედ ზედგამოჭრილი იყო. თეიმურაზის მესტუმრეებმა სოლომონი რომ ცულით გამოჩორკნილ ცალფა კარში შეიყვანეს, აქ უკვე ისხდნენ სადარბაზოდ ჩაცმულ-დახურული მამა-შვილი და ოქროს წყალში გავლებული ვერცხლის ფიალებით მაღალყელიანი სურით მორთმეულ ცივ შარბათს შეექცეოდნენ. სოლომონს უმალ გაუნელდა გიორგი წულუკიძესთან საუბრით გამოწვეული უსიამოვნება, ფეხზე წამომდგარ თეიმურაზ მეფეს მკვირცხლად, როგორც წლოვანებით უმცროსს შეჰფერის, მიეახლა, შემდეგ გვირგვინოსანი მამის გვერდში ამომდგარ კახბატონ ერეკლეს მიუბრუნდა და უაღრესი მოწიწებით თაყვანი სცა.

— ხომ კარგად მოისვენეთ, შვილო სოლომონ, კოლომ ხომ არ შეგაწუხათ? — შინაურულად ჰკითხა თეიმურაზმა და საკარცხული შესთავაზა.

— იცის აქ თუ? — სოლომონმა შეიცადა, სანამ მამა და შვილი ისევ დასხდებოდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ დაჯდა.

— საღამოობით გამოდიან. წყლის პირას, ჭალაში, თქვენც შეამჩნევდით, ჭაობია. უხსოვარი დროიდან ვაშრობთ და ვერ დავაშრეთ. ყოველ გაზაფხულზე წვიმის წყლით ივსება. კოღოს დამპალი წყალი უყვარს...

— აქაური კოღო იმერელ კაცს ვერაფერს დააკლებს. ჭაობები და კოღო ჩვენში უნდა ნახოთ, ბატონო თეიმურაზ, მეტადრე რიონის გაყოლებაზე, გურია-სამეგრელოში...

— გამიგონია, თვალით არ მინახავს.

— ციებ-ცხელება ცელავს ადამის მოდგმას.

— მშვიდობიანობა ჩამოვარდეს და ღვთის შეწევნით ყველა სიავეს მოვერევით. ვიდრე ცალ ხელში ხმალი გვიჭირავს და მეორეში კავი, რომელ საქმეს უნდა მიეწიო! — ქართლის მეფე უნებლიეთ ფიქრში წავიდა, მერე უცებვე გამოერკვა. — შარბათს ხომ მიირთმევთ? — და პასუხს აღარ მოუცადა, სტუმარს ფიალა დაუდგა, სურას მისწვდა, დაუსხა.

გმადლობთ, ნუ წუხდებითო, უნდოდა წამოეძახა სოლომონს, მაგრამ თავი შეიკავა, მხოლოდ ფიალას წაატანა ხელი და ერთ წუთს თვალს ადევნებდა, როგორი მხიარული ლიკლიკით გადმოდიოდა სურიდან ქარვასავით ყვითელი, გამჭვირვალე სითხე და ფიალის ფსკერზე ნაშინშხვლებს ისროდა.

— უდროობას საით შემოევლება, თორემ ასე საჩქარო რა გვქონდა, სამიოთხი დღით სანადიროდ გავწევდით, თრიალეთში ქურციკი და ხოხობი მომრავლდა, — თითქოსდა დიდი ხნის დაწყებული საუბარი განაგრძო მეფე თეიმურაზმა და ხავერდგადაფარებულ ტაბაკზე, ყუნწებიანად დაკრეფილი მაისის ბლით, შავი თუთითა და საადრეო ვაშლა-ატმით სავსე სინებს შორის სურას ადგილი მოუძებნა. — მოცალეობის ჟამს, იმედია, ხელახლა გვესტუმრებით და დედოფალთ-დედოფალ მარიამს, ჩვენი ძველი, ერთგული მეგობრის, ოდიშის მთავარ ოტია დადიანის ასულსაც გვასტუმრებთ.

„არც ამათ ავიწყდებათ, მოიარებით მაგრძნობინონ, რომ ლიხს გადაღმა ქვეყნებში ფეხი მყარად უდგათ!“ — გაიფიქრა სოლომონმა, სავსე ფიალა ორივე ხელით აიღო, ტუჩებთან მიიტანა, მაგრამ არ მოუსვამს, ისევ ტაბაკზე დადგა და თეიმურაზს უპასუხა:

— მადლობას მოგახსენებთ, თქვენო უმაღლესობავ. დავბრუნდები თუ არა იმერეთს, თქვენს მამაშვილურ მოპატიჟებას დედოფალ მარიამს გადავცემ. ტფილისისა და თქვენი ბრწყინვალე ეროვნული ბიბლიოთეკა პალატების ხილვა ისანში ჩვენი აქამდე აუხდენელი ოცნება გახლავთ. დედოფალ მარიამის, პირადად ჩვენი და ბატონიშვილების სახელით გთხოვთ, უეჭველად გამონახოთ დრო და ქედს თქვენც გადმოაბიჯოთ. გინდ ასე, საიდანაც ჩვენ გეახელით, ჭერათხევზე, გინდ რაჭაში კეხვის გზით, გინდ ჩხერის ციხეში. მასპინძლობით შეიძლება ვერ გაგაკვირვოთ, სიმდიდრით თვალი ვერ მოგჭრათ, მხოლოდ კეთილი გულით დაგიხვდებით და თავს შემოგევლებით.

— მიიღეთ ჩვენი წრფელი მადლობა, — სოლომონის მხურვალე მიპატიჟებამ თეიმურაზს გული აუჩუყა და თვალებზე ნამი მოჰგვარა. — როგორც კი ხელს მოვიწყობთ... ჯერხნობით, თავად უკეთ მოგეხსენებათ, მეტად საშური საქმე გვიდევს წინ თქვენც და ჩვენც, მისვლა-მოსვლისთვის და ნადიმებისთვის ვერ მოვიცლით. შვილო ერეკლე, — ქართლის მეფემ კახბატონს შეხედა. — ხომ არაფერს იტყოდი?

მრგვალად შეკრეჭილ შავ წვერზე ერეკლემ მზით გარუჯული პატარა ხელი ჩამოისვა და მამას ღიმილიანი მზერა შეაგება.

— არაფერს, ბატონო, კმაყოფილებას გამოვთქვამ ჩვენი შეხვედრის გამო. თქვენ ბრძანეთ, ან იქნებ ბატონი სოლომონი...

— ეს კაცი ჩვენ მოვიწვიეთ და სათქმელიც ჩვენვე უნდა მოვახსენოთ. ბატონ სოლომონს თავისი აზრის გამოთქმის საშუალება ყოველთვის ექნება. აქ სწორედ ამ აზრების მოსასმენად და ურთიერთგასაზიარებლად შევიკრიბეთ, თეიმურაზმა ისევ იმერთა მეფეს შეავლო თვალი და მხოლოდ სახის გამომეტყველებით შეეკითხა, ასეა თუ არაო.

სოლომონმა უხერხულად გაიღიმა, რადგან ერეკლეს აკვირდებოდა და უკანასკნელი სიტყვები გამოეპარა, ზოგადი დასტურის მიცემით დაკმაყოფილდა:

— რასაკვირველია... დიდ პატივად ვთვლი...

თეიმურაზმა საქმიანად დაიწყო:

— ჩვენს შორის უკვე ითქვა, რომ საქართველოს ბედი დღეს მისი მეზობელი დიდი ქვეყნების ხელთ არის.

— ჭეშმარიტად! — კვერი დაუკრა სოლომონმა და თავისივე ხმა ეუცხოვა. ერეკლეს უკვე აღარ უყურებდა, მაგრამ მეხსიერებაში ცოცხლად აღბეჭდილ მის ხატს ზვერავდა, სულის საიდუმლო გასაღებს ეძებდა.

— სიბეცე იქნებოდა, სამშობლოს სვე-ბედზე სჯა-ბაასი გაგვემართა და ეს გარემოება პირობად არ დაგვედო,— განაგრძობდა ხმამაღლა ფიქრს მეფე თეიმურაზი. — დიდი ქვეყნები, ვისი მეზობლობაც გამჩენმა ღმერთმა გვარგუნა, სულ სამია. აქედან ორი რიგრიგობით ან ნაწილ-ნაწილ ფლობდა და ფლობს ქართველთა მიწებს, ხოლო მესამეს — ერთმორწმუნე რუსეთს, ჩვენ თვით ვევედრებოდით მხედრობის შემოყვანას და მფარველობას...

თეიმურაზმა თავისი დიდებული პაპის პაპა კახეთის მეფე ალექსანდრე გაიხსენა და პირჯვარი გადაისახა, ღმერთო მაღალო, შენ გაანათლე იმისი სული. საუკუნენახევრის წინათ ერთმორწმუნე ჩრდილოელ მეზობელს ალექსანდრემ პირველმა გაუგზავნა ელჩები და რუსეთის მფარველობაში შესვლა ითხოვა. რუსთა ელჩებიც სწორედ ალექსანდრეს მეფობის დროს მოვიდნენ კახეთში. მაშინ ვერ მოხერხდა იმის მიღწევა, რაც ურჯულოების მიერ ერთობ შევიწროებულ კახეთის მეფეს გულით სურდა. საქართველოში მხედრობის გამოგზავნა და ქართველთა მეფის თავის ხელდებულად გამოცხადება იმავე მხედრობით სპარსეთის ან ოსმალეთის ფარგლებში შეჭრას უტოლდებოდა. რუსეთს თავად უჭირდა. მიუხედავად გულში ამოჭრილი წადილისა, არც ძალა შესწევდა და ვერც ბედავდა აღმოსავლეთის ორ მძვინვარე ვეშაპთან შებმას...

— ახლა სხვა დროა, — დასძინა თეიმურაზმა. — რუსეთიც სხვა გახლავთ, სპარსეთიც და ოსმალეთიც სხვანი არიან. მე და ჩემს შვილს, ბატონ ერეკლეს, თქვენო უმაღლესობავ, ბატონო სოლომონ, მიგვაჩნია, რომ მოაწია ჟამმა, მის უდიდებულესობა რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორთან მოლაპარაკება განვაახლოთ და ეს მოლაპარაკება, თქვენის ნებართვით, მთელი საქართველოს სახელით წარვმართოთ. მარბიელი ლეკები დია გვაწუხებენ და ზიანსაც დიდს გვაყენებენ, მაგრამ ღვთის შეწევნით სული ჩვენც მოვითქვით, მოხარკეები გვმორჩილებენ, ოსმალო გვეკრძალება, სპარსი ვაგლახად დალაშქვრას ვერ გვიბედავს. თავმომწონეობაში ნუ ჩამოგვართმევთ, თქვენო უმაღლესობავ, სპარსეთშიაც კი ანგარიშს გვიწევენ და ჩვენს სიტყვას ოქროს ფასს ადებენ. ყარხბულახთან დამარცხების შემდეგ თავრიზის ბეგლარ-ბეგი აზატ-ხანი მეგობრობას გვთავაზობს, გვეძალება, ჯარს გვთხოვს, გვაგულიანებს, თეირანზე გავილაშქროთო. აზატ-ხანს ძლიერი მომხრეები არა ჰყავს სპარსეთში. შაჰის ტახტი ჩვენი შემწეობით ხელში კიდევაც რომ იგდოს, დიდხანს მაინც ვერ შეინარჩუნებს. ომში თუ არა, ღალატით მოკლავენ. მერე ყველაფერი ქართველებს დაბრალდება. აგერ მეექვსე თუ მეშვიდე წელიწადია, რაც ჩვენმა მტერ-მოყვარე ნადირ-შაჰმა სული განუტევა, თეირანში მოსვენებით არავის დაუძინია. ტახტის მოცილეებმა სისხლის ტბა დააყენეს. ხან ერთს ულიმის ბედი, ხან მეორეს. ბოლოს მაინც ვერავინ მომაგრდა. უკეთეს დროს ველარ შევესწრებით. რკინა მანამ უნდა გავჭედოთ, სანამ ცხელია!..

— რას აპირებთ? — მორიდებულად ჩაეძია სოლომონი.

— საქმეში რუსეთის დიდი ხელმწიფე უნდა ჩავრიოთ. სპარსეთის ტახტზე ჩვენი და რუსეთის სასურველი კაცი უნდა ავიდეს! — ერთბაშად მოსჭრა თეიმურაზმა და გაჩუმდა.

იმერთა მეფე განცვიფრდა. რისამე სათქმელად, ამ ამბისადმი თავისი დამოკიდებულების გამოსახატავად, პირ-

ში ენა ველარ მოაბრუნა. არ ეგონა, თუ ქართლისა და კახეთის მეფეები ასე შორს უმიზნებდნენ, ასე შორეულ და გაბედულ მიზნებს ისახავდნენ. რას იტყოდა რუსეთის ხელმწიფე, როცა მათ განზრახვას ამცნობდნენ? იმ დროს, როდესაც დასავლეთში დენთის სუნი იდგა და ომის პატარ-პატარა ჭიაკოკონები უკვე ენთო, მოინდომებდა კი სპარსეთის საქმეებში ჩარევას? სპარსეთის საქმეები ბოლო დროს, მართალია, აწეწილი იყო, მართლაც არ ჩანდა ღირსეული პიროვნება, ვინც შინაური შფოთით დასუსტებულ ქვეყანას ფეხზე წამოაყენებდა და მტრისათვის მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ აქცევდა, მაგრამ სპარსეთს მაინც სპარსეთი ერქვა, ძველი გავლენა ჯერ კიდევ არ დაეკარგა და, ვიდრე ძირში მოჭრილ ხესავით დაეცემოდა, ვინ იცის, კუდს როგორ მოიქნევდა!

მამისაგან და აღმზრდელ გიორგი წულუკიძისაგან სოლომონმა დაწვრილებით იცოდა, რაც სპარსეთზე გალაშქრებასთან დაკავშირებით საბედისწერო 1722 წელს მოხდა. რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორმა, პეტრე დიდმა, ქართველების შემწემ და გულშემატკივარმა, ვახტანგ ქართლის მეფის ჩაგონებით, სპარსეთზე გალაშქრების მანიფესტი გამოსცა, უზარმაზარი მხედრობა გემებზე დასხა და ვოლგა-მდინარით სამხრეთისაკენ დაეშვა. მეფე ვახტანგმა ორმოცი ათასი რჩეული მხედარი შეკრიბა და, შეთანხმებისამებრ, განჯაში დადგა. ვახტანგს იქ შირვანის მეფე უნდა ხლებოდა თავისი ლაშქრით, შემდეგ, ორივე ერთად, ადარბადაგანის მხრიდან მოსულ პეტრეს შეუერთდებოდნენ. ქართველებს განჯის მიდამოებიდან სამი თვე ფეხი არ მოუცვლიათ, სანამ იმავე წლის ღვინობისთვის 23-ს ვახტანგს აშტრახანის გუბერნატორისაგან ფელდეგერი არ ეახლა და პეტრეს ლაშქრობის მოშლა არ აუწყა. რუსეთის უკმაყოფილო დიდებულებს სატახტო ქალაქ სანკტ-პეტერბურგში იმპერატორის არყოფნით ესარგებლათ და არეულობა დაეწყოთ. როგორც [illegible] საგანგაშო ცნობა მიიღო, [illegible]ბულ პეტრეს პირი ებრუნებინა და იმავე ვოლგა-მდინარით უკან გაბრუნებულიყო. მომდევნო წელიწადს, გამოზაფხულზე, კახეთის მაჰმადიანმა მბრძანებელმა კონსტანტინემ ქართლს მარბიელი ლეკები შემოუსია, მალე სამცხიდან ოსმალებიც მოვიდნენ, ტფილისი უომრად დაიკავეს და ქვეყანას ხელი მოუთავეს. სვეგამწარებული ვახტანგი დედაწულითურთ აიყარა, ათასზე მეტი ერთგული ქვეშევრდომი იახლა და დაიმედებულმა, უკან გალონიერებული დავბრუნდებიო, რუსეთში გადაიხვეწა.

— დიდი და ფრიად საჭოჭმანო საქმე წამოგიწყიათ, ბატონებო, — თქვა თეიმურაზის თათბირით გულწრფელად აღტაცებულმა და ამდენადვე შეფიქრიანებულმა სოლომონმა.—ოღონდ ვშიშობ, თქვენო უმაღლესობავ, ბატონო თეიმურაზ, პეტრე დიდისა და ნეტარხსენებული თქვენი სიმამრის, ვახტანგ მეფის ამბავი არ განმეორდეს.

იმერთა ახალგაზრდა ბატონის ცოდნამ და გამჭრიახობამ თეიმურაზს სიამოვნების ღიმილი მოჰგვარა და სიტყვა მაშინვე ჩამოართვა:

— თქვენი შიში, ჩვენდა სამწუხაროდ, უსაფუძვლო არ გახლავთ, მეფეო. ყველაფერი იმაზე ჰკიდია, დავარწმუნებთ თუ ვერა რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორს, რაოდენ დიდ სიკეთეს მოუტანს რუსეთს სპარსეთის ტახტზე მისთვის სასურველი მონარქის ასვლა.

ერეკლემ შავი წარბები აზიდა, თავი უკან გადასწია, მამას კრძალვით შეხედა და თქვა:

— ამაში დარწმუნება ვგონებ ისე არ გაგვიჭირდეს, ბატონო. მთავარია, ხელმწიფე ელისაბედს, მანამდე კი საგარეო საქმეთა კოლეგიას შევაგნებინოთ, რომ რუსეთს ეს ძვირი არ დაუჯდება. სპარსეთს უჭირს, უჭირს, როგორც არასოდეს გასჭირვებია, ერთი ხელის კვრა და ხუხულასავით დაინგრევა.

— რაც უპირველესია, პასუხის-

მგებლობას ჩვენ ვკისრულობთ, ლაშქარიც ჩვენი იქნება, არც ხარჯზე შევაწუხებთ ვისმე, — მოუწონა შვილს ნათქვამი ქართლის მეფემ და სოლომონს იმდაგვარი გაფაციცებით და მუდარით შეხედა, თითქოს თვალუწვდენელი რუსეთის უზენაესი მბრძანებელი სწორედ ეს ყოფილიყოს. — რუსეთის წილ მარტო სახელი და ორიოდე ბატალიონი ჯარი გვჭირდება. აღმოსავლეთში ხმა უნდა გავარდეს, რომ ჩვენს ზურგსუკან ერთმორწმუნე რუსეთი დგას.

წუთიერი სიჩუმე ჩამოვარდა. სამივე მეფე თავ-თავის ფიქრს მიეცა. ბოლოს მყუდროება სოლომონმა დაარღვია:

— ვიმედოვნებ, ჯერ ლვოვმა არაფერი იცის?

— არაფერი, — ორივეს მაგიერ უპასუხა თეიმურაზმა. — ჯერ ელჩთან კრინტიც არ დაგვიძრავს, თქვენი უმაღლესობის თანხმობის მომლოდინე ვიყავით. ლვოვი, პირადადაც შეამჩნევდით, ერთთავად ოსმალეთს უტრიალებს. უთუოდ მოხარული იქნება, თუ პირს იქით გვაქნევინებს და ხონთქართან წაგვკიდებს. ნუ გვიწყენ, შვილო სოლომონ, ეს საქმე ჩვენ, მე და ერეკლეს, ნაადრევად მიგვაჩნია. დარწმუნებული არა ვართ, რომ ვიდრე სპარსეთი ფეხზეა, სხვათა დაუხმარებლად ბრწყინვალე პორტას რაიმეს დავაკლებთ...

— თქვენი არ იყოს, ბატონო თეიმურაზ, მეც მამა-პაპის გზას ვადგავარ, — დაიწყო სოლომონმა, როცა ქართლის მეფე გაჩუმდა და მან იგრძნო, ჩემი ჯერი დადგაო. — ერთადერთ ხსნას და ურჯულოთა ძლევას მეც ერთმორწმუნე რუსეთის მეშვეობით მოველი. რუსეთი, როგორც მე მსმენია, ახალი ქვეყანაა, დღითიდღე იზრდება და ურჯულო მტრის დამთრგუნველ ძალას იძენს. ეს თქვენ უკვე მოგახსენესთ ჩემმა საყვარელმა ძმებმა, ბატონიშვილებმა არჩილმა და იესემ, როცა აქ, ქართლში, უჩემოდ ბრძანდებოდნენ და ახლა ახალს არაფერს გეუბნებით. რაც შეეხება სპარსეთში ლაშქრობას და იქ ტახტზე ჩვენთვის სასურველი მონარქის აყვანას, — სოლომონი შეყოყმანდა, თავი გადააქნია, ჯერ ჩახმახივით შემართულ, სმენად გადაქცეულ ერეკლეს შეხედა, მერე მის მოხუცებულ მამას. — თუკი ეს შესაძლებელია, — ცოტა არ იყოს, გაუბედავად დაუმატა. — რა უნდა ვთქვა, გარდა იმისა, რომ სულითა და გულით თქვენთან ვიქნები. მზად გახლავართ, ეს ჩემი საბოლოო და შეუცვალებელი გადაწყვეტილება რუსეთის ხელმწიფესაც ვამცნო და თავი თქვენგან განკერძოებულად არ დავიჭირო.

თეიმურაზი გაიბადრა, თვალები აუციმციმდა.

— სწორედ ეს ოქროს სიტყვები გვინდოდა გაგვეგონა. ვმადლობ ღმერთს, რომ მოლოდინი არ გაგვიმტყუნა და თქვენი უმაღლესობის სახით ჭეშმარიტი მოყვასი და თავდადებული მამულიშვილი მოგვივლინა.

ქართლის მეფემ აქვე განაცხადა, რომ, მიუხედავად სიძაბუნისა და გზის სიშორისა, თვით აპირებდა რუსეთში გამგზავრებას. არ დაუმალავს, შვილი ერეკლე რომ მამის წასვლის წინააღმდეგი იყო, ბოლო დროს კი დარწმუნდა, თავის შეუწუხებლად და მსხვერპლის გაუღებლად წარმატების მიღწევა სათუო იქნებაო და მამას დასტური მისცა. სხვაგვარად მართლაც არ მოხერხდებოდა. თვით ერეკლეს სამეფოს ფარგლებიდან გასვლა, თანაც ასე ხანგრძლივად, არ შეეძლო. როგორც კი გარეთ დაიგულებდნენ, მის მიერ დაშინებული ურიცხვი მტერი ქვეყანას ტურებივით შემოესეოდა და მოხუცებული თეიმურაზის ანაბარა დაგდებულ ქართლ-კახეთს აუნაზღაურებელ ზიანს მიაყენებდა. თეიმურაზის გამგზავრება და ორივე სამეფოს პატრონად მეფე ერეკლეს დარჩენა გასაჭირიდან ერთადერთი გამოსავალი იყო.

ახალმა ცნობამ სოლომონი გაახარა, მარტო თავაზიანობის გულისათვის

შენიშნა, ვაითუ გზამ ძალიან გაგლახოთ, თქვენო უმაღლესობავ, უცხო ქვეყნის ჰაერი და წყალიც არ მოგიხდესთ, ხოლო რაც შეეხება ბატონი ერეკლეს ჰოჰმანს, იგი ჩემთვის სავსებით გასაგებიაო.

როდის შემდგარიყო ელჩობა? როდის ეცადათ ბედი? ვინ წაჰყოლოდა თეიმურაზს შორეულ მგზავრობაში?

გადაწყდა: ქართლის მეფის რუსეთში გამგზავრების ნამდვილი მიზეზი ამ სხდომის შემდეგაც საიდუმლოდ შეენახათ, რათა ის თვით თეიმურაზის პირით შეეტყო უავგუსტოეს ხელმწიფე ელისაბედს, ხვალ დილას კი მხლებელი ამერ-იმერი დიდებულების თანდასწრებით რუსეთის საქმეთა რწმუნებული კაპიტანი ლვოვი მოეხმოთ და მისი აღმატებულების შუამდგომლობით სანკტ-პეტერბურგის სამეფო კარისათვის ქართველთა დიდი ელჩობის მიღება ეთხოვათ.

## თავი ორმოცდამეერთე

„მაგრამ მე? მე რა მეშველება? ყველაფერი კარგია, ჩინებულია, უკეთესი აღარ შეიძლება, სამშობლოს მომავალზე ზრუნვა ხორცსაც არგებს და სულსაც, მაგრამ კარზე ხვალ რომ ურჯულო მტერი მომადგება, რა პასუხი მივცე, რით შევაჩერო და გავაბრუნო, თავი და ქვეყანა რით დავიცვა?“ — ფიქრობდა სიმამრის ნაჩუქარ ცხენზე ამხედრებული სოლომონი, როცა მწვანე ხეობა უკან მოიტოვეს და ჯარით გარსშემორტყმული მეფიონის წინაშე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დაქანებული საწერეთლოს ხოდაბუნები და ხოდაბუნებს იქით ლურჯ რკალად მოღუნული თოვლიანი მთები გამოჩნდა.

დარბაზის ერი შორიახლო მოსდევდა მჭმუნვარე ბატონს და შესიტყვებას ვერ უბედავდა.

საპატიო სტუმარი და მისი მრავალრიცხოვანი ამალა მასპინძლის ლაშქარმა საბაყომდე მოაცილა და აქედან უკან გაბრუნდა. სოლომონი, თავისიანებს შორის რომ დარჩა, უნებლიე შიშმა შეიპყრო, ახლაღა იგრძნო, მტრის მიერ განაპირებული სრულიად მარტო ვარო და გუნება დაუმძიმდა.

სამთა შეხვედრას საკუთრივ იმერეთის სამეფოსათვის ნუგეშის აღმძვრელი არაფერი მოუტანია, თუმცა მოლაპარაკების დასასრულ შეთანხმებაც დასდეს — „ოდეს მტერმა შეგვაწუხოს, სამივე ერთმანეთს მივუდგეთო“ და ორმხრივი თანხმობით სოლომონის უმრწემესი ძმა, არჩილ ბატონიშვილი, ერეკლეს მცირეწლოვანი ასულის, ელენე ბატონიშვილის მომავალ მეუღლედ გამოაცხადეს.

თეიმურაზისა და ერეკლეს ნალაპარაკევიდან ისე გამოდიოდა, რომ „მტერში“ ძირითადად ლეკები და სხვა წვრილი მეკობრეები უნდა ეგულისხმათ. თუ ვინიცობაა, იმერეთს ოსმალები შემოესეოდნენ, რაც ზღვიდან თუ ხმელეთიდან დღე-დღეზე მოსალოდნელი იყო, გვირგვინოსანი მამა-შვილი ხელს იბანდა და ჯარის მოშველებაზე უარს ამბობდა, ვინაიდან, როგორც თეიმურაზმა პირდაპირ და პირუთვნელად თქვა, ოსმალებთან ურთიერთობის გაფუჭება ჯერ ნაადრევად მიაჩნდათ.

ეს საბედისწერო განაჩენი სოლომონმა მდუმარედ მოისმინა. დავა და ყვედრება საქმეს ვერ უშველიდა. ქართლისა და კახეთის მეფეები ოსმალებთან მოჩვენებით მეგობრობას მტკიცედ ადგნენ, რადგან მათი გეგმები ასე მოითხოვდა და, ბევრიც რომ გეცადა, აქედან თიხს ვერ მოაცვლევინებდი.

ცნობას იმის შესახებ, რომ აგარიანებმა სოლომონს მეფობა ჩამოართვეს

და ახალციხეში უკვე ჰყავდათ მისი შემცვლელი, თეიმურაზი და ერეკლე არ გაუკვირვებია. ეს ცნობა მათ უფრო ადრე მიეღოთ ფაშას კარზე მიჩენილი თავიანთი მსტოვრებისაგან, შესაძლოა, თვით ისხაკა თეთრუაშვილისგანაც, რომელიც სოლომონის სადგომში სწორედ ქართლის მეფის კაცებმა მოიყვანეს. თეიმურაზმა ფიცით წარმოთქვა და მას კახბატონმა ერეკლემაც დააწია სიტყვა, რომ, რაც არ უნდა მომხდარიყო, გარდა სოლომონისა, ლიხთიმერეთის მეფედ არავის სცნობდნენ და, როგორც პორტასთან შუამდგომლობით, ასევე იარაღითა და სხვა საზსრებით მუდამჟამ გვერდში ეყოლებოდნენ თავიანთ თანამდგომ სოლომონს...

— თქვენო უმაღლესობავ, სიტყვამ მოიტანა და ერთი სათხოვარი უნდა შემოგბედოთ, — უთხრა მას თეიმურაზმა და დაინახა თუ არა სტუმრის თვალებში გაღვივებული ცნობისმოყვარეობა, განაგრძო: — გთხოვთ, ჩვენი ხათრი მოიდოთ და შეუნდოთ შეცოდებანი თქვენი მამიდის ქმარს, მამიას, დაუბრუნოთ გურიელობა და იმსახუროთ.

სოლომონი გაშრა. ამას არ მოელოდა.

— გურიელობა მე სხვას, მამიას ძმას, გურიელისშვილ გიორგის მივეცი, — გადაჭრით და იმნაირი ღვარძლით თქვა იმერთა მეფემ, რომ მასპინძლებს აგრძნობინა, ამ საგანზე მსჯელობა ამოწურულად მიმაჩნიაო.

— საცოდავი მამია აქ, ჩვენს კარზე ბრძანდებოდა, — დაუმატა ნათქვამს მეფე თეიმურაზმა. — ჩვენ შემწეობა აღვუთქვით. დიდად ნანობს, შეწუხებულია. მტრის ბანაკში მოხვედრას შემთხვევას მიაწერს. რა მრჯიდა მე უბედურს, იმ დღეს სასახლეში ფეხი რა ჩემმა ცოდვამ მიმადგმევინაო. ჯვარზე იფიცებს, რომ თქვენი უმაღლესობის მტრობა გულში აროდეს გაუვლია. რაღა დაგიმალოთ, ფაშა ჰაჯი-აჰმადმა ორი თვით წინ წიგნი გამოგვიგზავნა და თქვენთან შუამდგომლობა გვთხოვა. თუ სურვილს შევუსრულებთ, იქნება ამანაც ძოულბოს გული და...

სოლომონი მთლად გაფითრდა, სიმწრის ოფლი დაასხა.

— გიორგის რაღა პირით შევხედო, ბატონო, ან ქვეყანა რას იტყვის...

— ერთი სიტყვით, როგორც გენებოს, შვილო და ძმაო სოლომონ, — თეიმურაზის ხმას ნაწყენობა დაეტყო. — ჩვენი აჯა ეს გახლავთ და აწი თქვენ იცით.

სოლომონმა აწონ-დაწონა მდგომარეობა, ყველა ჰო და არა ერთმანეთს შეუდარა, კრიჭა ძლივს გაიხსნა და მამიასათვის გურიელობის დაბრუნებაზე თანხმობა განაცხადა.

აქვე დაიდო შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ერთი მეფის მიერ შერისხული ქვეშევრდომი მეორეს არამც და არამც არ მიეღო და მთავრველობის კალთა არ გადაეფარებინა. უკეთუ მსგავსი რამ მაინც მოხდებოდა, პირობის დამრღვევ მეფეს პასუხი უნდა ეგო სამთა სამსჯავროზე, რომელსაც საჭიროებისდა მიხედვით წელიწადში ერთხელ მოიწვევდნენ...

სოლომონმა სადავე მოზიდა, ცხენი შეაყენა და ისე ხმადაბლა დაიძახა, თავადაც ძლივს გაიგონა:

— ნიკოლოზა!

დადარაჯებულმა ძიძიშვილებმა ცხენები უმალ მოაჭენეს და პატრონის წინ დაერჭვნენ.

— გახლავართ, ბატონო!

— თავადი ქაიხოსრო სად არის, აქ მობრძანდეს!

ნაფიჩვაძეებმა ცხენები გააბრუნეს და რამდენიმე წუთის შემდეგ ზემომხრის სარდალ ქაიხოსრო წერეთელთან ერთად უკან მობრუნდნენ.

— ეს რა თავყრილობა ჩანს სერზე, თავადო, ან ის ცხენები ვისია? — მეფემ სარდალს ქვემოთ გაახედა, ასწლოვან ბზებსა და ცაცხვებს შუა გამომზირალი ეკლესიის გალავანში შეგროვილი უამრავი მლოცველი და გალავანგარეთ დაბმული ასიოდე შეკაზმული ცხენი დაანახა. აქ-იქ ოქროსბუ-

ნიკიანი საეკლესიო ბაირაღები და მაღალ ტარზე მიმაგრებული გაურკვეველი ფერის ალმები ფრიალებდნენ. ეს იმას მოასწავებდა, რომ ხალხს მართლა სალოცავად კი არ მოეყარა თავი, აქ რაღაც მეტად მნიშვნელოვან ამბავთან დაკავშირებით ბანაკად იდგა.

ქაიხოსრომ ორად მოკეცილი მათრახი მოიჩრდილა, დროშები იცნო.

— ჩემი ძმა პაპუნა გახლავს, მეფეო, თქვენი უდიდებულესობის შესახვედრად გამოსულა.

მეფე და სარდალი რომ ამ ლაპარაკში იყვნენ, აღმართში ერთიმეორის მიყოლებით გამოჩნდნენ ქვემოდან მომავალი მხედრები, რომლებიც ცხენებს თავგამეტებით მოაჭენებდნენ, მათრახებს ჰაერში იქნევდნენ და ნაწყვეტ-ნაწყვეტი შეძახილებით თავიანთ ისედაც გაფიცხებულ ცხენებს ამხნევებდნენ. ქართლის ელჩობიდან მომავალმა კრებულმა სოლომონისა და ქაიხოსრო წერეთლის გარეშემო მოიყარა თავი. თუმცა მკათათვის თაკარა მზე საშუადღეოდან გადახრილი იყო და მგზავრებს ზურგში აცხუნებდა, თვალი ყველას მოეჩრდილა და აღმართში ჭენებით მომავალ მხედრებს გადაჰყურებდა. ერთმა მხედარმა ბოლოს მაინც გამოასწრო სხვებს და მიწას გაკრული გაქაფული ცხენი ისარივით გამოფრინდა აღმართში. სხვები კვალდაკვალ მოსდევდნენ, თავ-თავის ცხენს დასჭყიოდნენ და დაწინაურებული მხედრის გასწრების იმედს ჯერ კიდევ არ კარგავდნენ.

სოლომონი გაირინდა, გულმა გამალებით დაუწყო ცემა. ნუთუ ღმერთი გაწყრა, მტერმა მისი შინ არყოფნით ისარგებლა, ქვეყანას შემოესია, მოსრა, გაატიალა ყოველივე და ეს მხედრებიც თავზარდამცემი ამბის შესატყობინებლად მოვიდნენ? „ღმერთო, მშვიდობა ქენი, ღმერთო, სისხლისღვრას აგვარიდე, მოგვასვენე, ამოგვასუნთქე!“ — მხურვალედ წაიჩურჩულა და პირჯვარი გადაისახა.

ამასობაში პირველმა მხედარმა აღმართი ამოათავა, თითქოსდა [illegible] გან მოცელილი, უნაგირიდან — მოწყვეტით გადმოეშვა, სადავე უნაგირს მიაგდო, ათიოდე ნახტომით მეფის წინ გაჩნდა და მუხლი მოიყარა:

— მოგილოცავ, მეფეო, სამახარობლო მერგება და სულკურთხეული ალექსანდრე მეფის ცხონებამ, ნუ დამიკარგავ!

სოლომონი შეცბუნდა. სულ სხვა რამეს მოელოდა და...

— რას მილოცავ, კაცო, აღარ იტყვი? — შეუძახა ცხენის ფეხებთან გართხმულ მახარობელს, რომელსაც უკვე მიუახლოვდნენ შუბოსანი ქეშიკები და გარს შემოერტყნენ.

— ასული შეგეძინა, მეფეო, ბადრ მთვარესავით გავსილია, ვარსკვლავებს ეთამაშება!..

მეფე ახლა კი გამოერკვა, იგრძნო, როგორ ჩაეღვარა გულსა და ძარღვებში რაღაც თბილი და უსასრულო ნეტარების მომგვრელი და მთელ სხეულში განიბნა. უბეში ხელი ჩაიყო და თეთრით სავსე ქისა სასიხარულო ამბის მთხრობელს გადაუგდო. მახარობელმა ქისა ჰაერშივე დაიჭირა, ხარბად ჩაბღუჯა და ისევ მუხლი მოიყარა.

— ვინა ხარ, ბიჭო, სადაური ხარ? — ჰკითხა მეფემ.

— გოდოგნელი გახლავართ, ბატონო, აბესაძე, სახელად ასკიას მიძახიან, ბაბუათქვენ ლევანის ჯარში ათისთავად მიმსახურია.

სოლომონმა წარბი შეიკრა, გულში ლახვრად დაესო ტახტის მოღალატე ლევან აბაშიძის გახსენება.

— ცხენოსნობა კარგი გცოდნია. თოფ-იარაღსაც თუ ასე მარჯვედ ხმარობ...

— ღვთისა და შენი შეწევნით, მეფეო!

სოლომონს ესიამოვნა.

— ებოძოს ასკია აბესაძეს მეფის ჯარის ათისთავობა!

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს და შენი წყალობა ნუ მოგვაკლოს! — შესძახა აბესაძემ, შუბლით სამგზის შეე-

ხო მიწას და საწყალობლად დაიღრიჯა. უნდოდა ცის გახსნით ესარგებლა და დიდებული მეფისათვის სათხოვარი შეებედა. ქაიხოსრო წერეთელმა ნიშანი მისცა. ქეშიკები ისევ შემოერტყნენ, ზეზე წამოაგდეს და მოზღვავებულ ბრბოში უკან დაახევინეს. თავადაც ქეშიკად ნამსახური ახალი ათისთავი გაძალიანდა, ქეშიკებს ხელიდან უსხლტებოდა და კვლავ მეფისაკენ მიიწევდა. სოლომონმა ეს შენიშნა და ბეჭდიანი ხელი ასწია.

— ადროვეთ, თქვას, რა უნდა!

რაკილა აბეზარ ქეშიკებს თავი დააღწია, გახარებული ასკია ისევ წინ წამოდგა და დაიჩოქა.

— ამ ზაფხულს ერთი ორი თვე ლაშქრიდან რო დამითხოვდე... არხი მაქ გასაჭრელი. იქანა რო დამინახავენ, იქნება ღმერთი შემეწიოს და მეზობლებიც შევაგულიანო. ხელისდადება ახალშენი ვენახი უწყლობით მიოხრდება. ზედაშის მადლი გამიწყრეს, თუ...

ქეშიკებმა მუჯლუგუნი ჰკრეს, შუბის ტარიც მოუღირეს. ასკიამ თავზე ხელები წაიფარა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და ჩაწითლებულ თვალებს მალიმალ ახამხამებდა.

მეფე მცირედ დაფიქრდა.

— გადაეცი ჩემი სახელით ციხისთავ აგიაშვილს: მარიამობის მარხვის დადგომამდე გათავისუფლებ!..

ამ სანატრელმა წყალობამ, თითქოს ის მარტო ქუდბედიან ასკია აბესაძეს კი არა, უკლებლივ ყველა მხედარს მიეღოს, თითოეული აქ მყოფი უზომოდ გაახარა და ალაფრთოვანა. ასკიას ამხანაგები შემოესივნენ, ხელში აიტაცეს და ასე ატატებული იქაურობას მოაცილეს.

— რაღას ვუცდით, ბატონებო? — მიმართა მეფემ პაპუნა და ქაიხოსრო წერეთლებს, როცა დიდმა და მცირემ, თანამგზავრმა თუ დამხვდურმა, პირმშო ასულის დაბადება გულით მიულოცა და ყველაფერი ისევ თავის კალაპოტში ჩადგა. — წინ დიდი გზა გვიდევს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერს შენთან ლაპარაკი სწადია, მეფევ, გევედრებიან, ეკლესიის გალავანში შებრძანდეთ და მოუსმინოთ, — ორივე ძმის მაგიერ უპასუხა ქაიხოსრომ და უფროს ძმას მორიდებულად ანიშნა, ცოტა ხანს მოგვეცალეო, რაც პაპუნამ დაუყოვნებლივ და დიდი სიამოვნებით შეასრულა.

მეფემ ვერაფერი გაიგო, არც პაპუნა წერეთლის ნაჩქარევი მოშორება შეუმჩნევია.

— ვინ ერს, რას ამბობ, ქაიხოსრო? — ჰკითხა სარდალს.

— ვაკე იმერეთის, არგვეთის და ჩვენი საბატონოს თითქმის ყველა სოფლიდან შეკრებილან. აქ, ეკლესიის გალავანში, დიდ გზასთან, წუხელ მესამე ღამე გაუთევიათ და თქვენი უდიდებულესობის ქართლიდან მობრუნებას ელიან.

სოლომონს ფერფურმა გადაჰკრა, მარჯვენა თვალის ქუთუთომ თამაში დაუწყო, ხალხის ეს თვითნებური თავმოყრა ავის მომასწავებლად ენიშნა.

— რა უნდათ, თუ იცი?

— ამას თავად მეფეს მოვახსენებთო. უპირატესად დროული ბერიკაცები, სამღვდელონი და ქალები არიან. ზოგს წვრილშვილიც ახლავს. ჩემმა ძმამ, ბატონმა პაპუნამ, პირადად ვერ შემოგბედათ და მე შემომასახელა, ეს ამბავი თქვენი უდიდებულესობისათვის შემეტყობინებინა.

— მერე პაპუნამ არ იცის, რომ ურჩი ყმა მტერზე უარესია? რატომ არ უბრძანა თავის კაცებს და ეს ლიანგი არ გათანტა?!

— წინადღეს ბოქაული გამოუგზავნია ჩაფრებით, გუშინ ამ დროს თავადაც ამოსულა. ერთად თავშეყრილი ამდენი ხეიბარი, გადახჩუებული ბერიკაცი და გამხეცებული დედაბერი ამ ხნის მოვიყარე და ჯერ არსად მინახავსო. ძალა ვერ იხმარა, ბატონო, თქვენი უდიდებულესობის ბრძანებას ელოდა, — გაამართლა ძმა სარდალმა.

— გაგზავნეთ კაცი და აუწყეთ იმ ხალხს, — გადაწყვიტა მცირეოდენი ფიქრის შემდეგ სოლომონმა. — მე მზად ვარ, ყველა საჩივარი მოვისმინო და ყველას თავისი დანაშაულის კვალობაზე მივუზღა, თუმცა ახლა ძალიან მეჩქარება და ყოველი წუთი საუკუნედ მიღირს. ოღონდ იცოდეთ: არავითარ უწესობას არ მოვითმენ. თუ დამჭირდა, ჯარს ვუბრძანებ, ყველას ისე მოექცნენ, როგორც მარბიელ ლეკებს ეკადრება!

ზემომხრის სარდალმა უსიტყვო მორჩილების ნიშნად თავი დახარა და ცხენი გააბრუნა. ბატონი განრისხებული იყო. უგუნებობა ქართლიდანვე გამოჰყვა, იგი ასულის შეძენის სასიხარულო ამბავმაც ვერ გაუქარწყლა და ვაი იმ უბედურს, ვისაც მისი რისხვა თავზე დაატყდებოდა! ქაიხოსრომ საკუთარი ხუთი თითივით ზედმიწევნით იცოდა, რა სათხოვარსა და საყვედრებელს მოეყვანა დღეს აქ ეს ხალხი, მაგრამ თავადაც ძმა პაპუნაზე არანაკლებ შეშინებულმა, ჩვენ არაფერი დაგვბრალდეს და შარში არ გავეხვიოთო, ჭკუა იხმარა და პირში წყალი ჩაიგუბა.

## თავი ორმოცდამეორე

მწვანედ მოხასხასე, დიდრონი ასწლოვანი ცაცხვებითა და ბზებით დაჩრდილულ ეკლესიის გალავანში ხალხი ნაყარი ფუტკარივით ირეოდა. თავებს ზემოთ მაღალ ტარზე მიმაგრებული სხვადასხვა ფერისა და მოყვანილობის დროშები ფრიალებდნენ. ხალხს ეს დროშები თითქოსდა მფარველ ღვთაებებად წარმოესახა და ოქროს სირმით შემოვლებულ გახუნებულ ფარჩას ისე სასოებით შეჰყურებდა, როგორც ყველაზე უწმიდეს და სასწაულმოქმედ რასმე. აქა-იქ, ჩრდილსა და მზისგულზე, ოქროს წყალში გავლებული ბუნიკები ბრწყინავდა და შორიდან მაცქერალს თვალს სჭრიდა. პირით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მოქცეული ეკლესიის კარი გაეღოთ. ყველა დიდი და მცირე ხატი, შემკობილი თუ შეუმკობელი, წმინდანთა ნაწილები და საღვთო წერილი წირვა-ლოცვითა და ლიტანიობით გარეთ გამოესვენებინათ. ჰაერში ცაცხვის ყვავილისა და საკმევლის შეზავებული სუნი იდგა. ბზებს უკან მიმალულ წოწოლა სამრეკლოზე საზეიმოდ რეკდნენ ზარები და გარეშემო მორიალე ფუტკრებს აფრთხობდნენ.

გზაზე, ქვითკირით ამოშენებულ თაღიან კარიბჭესთან, უბრალო ხალხის წინ, სოლომონმა შემოსილი სამღვდელოება დაინახა. საქმე სახუმაროს არა ჰგავდა. რაკი მეფისა და ბატონის მორჩილმა სოფლის მღვდლებმა თავი გამოიდეს და მდაბიოთა მარაქაში გაერივნენ, უთუოდ იყო რაღაც ისეთი, რაც მათ ამ გაუგონარი ნაბიჯისაკენ უბიძგებდა.

მაგრამ რა იყო? რას მოითხოვდნენ ასე ერთპირ?

ცხენდაცხენ მომავალ მეფეს მღვდლები, წელზე ღველრჭშემოჭერილი ფეხშიშველი ბერები და მათხოვრის ფლასებში გახვეული მონოზნები მოუახლოვდნენ, სხვებმა თავები მოიშიშვლეს და პირჯვრის წერითა და გაურკვეველი დუდუნით დაიჩოქეს. სამღვდელოთა შორის ყველაზე უხუცესმა, მღვიმევის მონასტრის წინამძღვარმა იოანემ, სოლომონს ჯვარი გადასახა, თაყვანი სცა, შინ მშვიდობით მობრუნება, ასულის დაბადება და დედოფალთ-დედოფალ მარიამის ბედნიერი მშობიარობა მიულოცა.

მარხულობით, გრძელი გზითა და სიცხით გაწამებული ბერ-მონაზვნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწაზე დაემხნენ და ღმერთს ქრისტეს რჯულის მოსარჩლე და თავად გულმხურვალე ქრისტიანე მეფე სოლომონის კეთილდღეობა შეჰღაღადეს.

ღინღლწამოშლილი ცისფერთვალება მორჩილი ქამნს კითხულობდა, მაგრამ ისე წვრილი ხმით და მოსწრაფებულად, ძნელი იყო, რომელიმე სიტყვა გაგერჩია.

სოლომონი უნებლიეთ კოპებშეყრილი და წელში გამართული იჯდა ცხენზე, თვალებდაუხამხამებლად უსმენდა, რასაც მის გასაგონად ამბობდნენ, სახის გამომეტყველება კი არც ერთხელ არ შესცვლია.

როდესაც წმიდა ეკლესიის მსახურებმა ყველა სავალდებულო წესი და რიგი მოითავეს, მეფის მოწყალე ნებართვით, ამალაში მყოფ მაქსიმე აბაშიძისაგან ლოცვა-კურთხევა მიიღეს, მერე კი ორ გუნდად გაიყვნენ და აქეთ-იქით ჩამწკრივდნენ, რათა ბატონისა და დიდებულთა კრებულისათვის ეკლესიის გალავნისაკენ გზა დაეცალათ, სოლომონმა ხელი აღმართა, ერს მიესალმა და ხმადაბლა იკითხა:

— აქ გაჭირვებამ მოგიყვანათ, ხალხო, თუ დალხინებამ? ოჯახის კაცი ალოსთავზე საქმეს არ მიატოვებს და გზას არ დაადგება!

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, თუმცა ის, რაც მეფემ თქვა, ყველას არ გაუგონია, ისმოდა მხოლოდ, როგორ თამაშობდა ნიავი უზარმაზარი ცაცხვის ტოტებში და მაცოცხლებელი წვენისაგან დამძიმებულ ლორთქო ფოთლებს აშრიალებდა.

— გეკითხებიან: ასე ერთობით აქ რამ მოგიყვანათ, გაჭირვებამ თუ დალხინებამ? — მეფის შეკითხვა ახლა ზემომხრის სარდალმა, ქაიხოსრო წერეთელმა გაიმეორა.

— გაჭირვებამ, დიდებულო მეფეო, გაჭირვებამ! — დაიძახა ვიღაცამ ერთ არსებად შეკრული ხალხის შუაგულში.

ბრბო შეირხა, ყველამ უნებლიეთ იქით გაიხედა, საიდანაც ეს ხმა მოისმა. სოლომონი უნაგირზე წამოიმართა, შეკრებილთ ქორული მზერა მოავლო.

— ეს ვინ იყო? წინ გამოვიდეს და თქვას, რა უნდა!

— ეი, შენ! — დაიძახა ქაიხოსრო წერეთელმა და გაფიცხებული ცხენი ხალხის პირველ რიგებს მიაგდო. — თუ რამე სათქმელი გაქვს, წინ წამოდექი და მოახსენე მეფეს. აქ ღამის გასათევად კი არ შევჩერებულვართ!

ერთხანს კვლავ სიჩუმე სუფევდა. ის, ვინც წამის წინ ორად ორი სიტყვა წამოიძახა, ეტყობოდა, ვერ ბედავდა ვინაობის გამჟღავნებას. ბოლოს, სადღაც მარჯვნივ, საქალებოს კართან, ჩურჩული ატყდა. ხალხმა მიიწ-მოიწია და შუაში კარგა მოზრდილი გასასვლელი დასტოვა. მალე ამ გასასვლელში სამი ღრმად მოხუცებული, თმა-წვერგათეთრებული და წელში მოდრეკილი ბერიკაცი გამოვიდა და აუჩქარებლივ მეფეს მიაშურა. ამათ, ხალხის მიერ წინასწარ არჩეულ კაცებს, მეფისათვის უთუოდ ყველას სათქმელი უნდა გაემჟღავნებინათ და საიდუმლოების ბურუსი გაეფანტათ. სწორედ ამ დროს მოხდა ყველასათვის მოულოდნელი და წარმოუდგენელი რამ. ხელჯოხიან ბერიკაცებს ათიოდე ნაბიჯიც არ ექნებოდათ გავლილი, რომ ხალხის კედელი ჯიქურ გამოარღვია ქალამნებამოწკეპილმა, ახალუხისამარა გლეხის ბიჭმა და ბერიკაცებს გზა გადაუღობა. ბიჭი უწვერული იყო, წელზე მოკლე ხანჯალი ერტყა და, თითქოს დასაჭიდებლად ვინმე თავის ტოლს ეძებსო, გაუხედნელი მოზვრის თვალებს აბრიალებდა.

მეფის მხლებელი დიდებულების ზურგსუკან, მცველ რაზმში, სოლომონის მიერ უხვად დაჯილდოებულ ასკია აბესაძეს განცვიფრებისაგან რაღაც სლოკინის მაგვარი აღმოხდა. თუნდაც ჯვარზე დაიფიცებდა, რომ ეს ბულასავით ქედმაგარი გლეხის ბიჭი ადრე სადღაც ენახა. ორი-სამი მხედარი მისწი-მოსწია, ხვლიკივით სწრაფი და მოქნილი ცხენი ცოტა უფრო წინ გა-

ძვრინა და ბიჭს კარგად დააკვირდა. კი, ის იყო, ნამდვილად! ყვირილას პირი... წისქვილი... მესაფქვავე გლეხების წაკინკლავება...

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მეფისაკენ გულდაგულ მიმავალი ბერიკაცები ერთ ადგილზე გაქვავდნენ. ორ ცოცხალ კედელს შუა დარჩენილ გასასვლელს ჭაბუკის გაბაჯიჯგებული ფეხები და განიერი მხარბეჭი კეტავდა. ქაიხოსრო წერეთელმა ხელი სატევარზე დაიდო და სოლომონს კრძალვით შეხედა, როგორ მოვიქცეო.

— მოგვიახლოვდი, ყმაწვილო, — ჩამოწოლილი საერთო დაძაბულობა სოლომონის დინჯმა ხმამ შეანელა. — რა გინდა, უმცროს-უფროსობის ადათს რად არღვევ?

მეფის ლმობიერმა შეკითხვამ ახალგაზრდა გლეხს გამბედაობა მოუმატა, მონადირის უხმაურო ნაბიჯით წინ წამოვიდა, აქ ცალ მუხლზე დაიჩოქა, თავი მდაბლად დახარა და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა:

— ამათ, დიდებულო მეფევ, მათრახით და კეტით უნდა დეერიოს კაცი! — და ხელი სახტად დარჩენილ ხელჯოხიან ბერიკაცებისაკენ გაიშვირა.

ისედაც გაეინქლილებულ ლაწვებზე ქაიხოსრო წერეთელს სიწითლე მოერია. ეს საჩოთირო ამბავი მის კუთვნილ მიწა-წყალზე ხდებოდა. ჭაბუკის უდიერი სიტყვები პირად შეურაცხყოფად მიიღო, თვით მეფის აქ ყოფნამაც ველარ შეაჩერა, ბიჭს შეუტია:

— რას მიედ-მოედები შენ აქ, სრულ ჭკუაზე ხარ?

ახალგაზრდა წამით შედრკა, აღელვება დაეტყო, სახეს ღვართქაფად მოასკდა ოფლი, აღარ იცოდა, განეგრძო, თუ ნათქვამით დაკმაყოფილებულიყო.

მეფემ ხელი ასწია:

— აცალეთ, თავადო, თქვას!

ჭაბუკმა გული მოიცა. დიდრონ, საცრისოდენა თვალებში შურისძიების ცეცხლი აუგიზგიზდა და ყველა სხვა გრძნობამ უკან დაიწია.

— ყური არ უგდო არავის, მეფეო, არ შეგაცდინოს ამათმა ჭაღარამ! ხანი გავა და ვინც ახლა ახალგაზრდები ვართ, ყველა გავჭაღარავდებით. გელათის ღვთისმშობლის მადლმა, კლდეზე გადაგჩეხავენ, სანანებლად და სოფელქვეყნის სალაპარაკოდ გაგიხდიან საქმეს. ამათ არც ჯვარი წამთ და არც ხატი, პირჯვარს ქვეყნის მოსატყუებლად იწერენ. მე იქნება გამირისხდე, დიდებულო მეფეო, ტლუ ბიჭმა ეს სიტყვები რომ გაკადრე, იქნება თვალებიც დამთხარო. ღმერთმა შეგარგოს, ერთხელაც არ დავიკვნესებ, ოღონდ მაინც ვიტყვი: ვინც შენ აგარიანთან შერიგებას გევედრება და გირჩევს, მტერია შენი, მოღალატეა. ყველა უნდა შეიპყრო და მარგილზე წამოაგო. მერე ჭკუას სხვებიც ისწავლიან!..

ესა თქვა და ჭაბუკი უკან გატრიალდა, ბრბოში მიმალვას აპირებდა.

— არ გაუშვათ, ენა ამოაძვრეთ მაგ ველისწიწილს! — სხვადასხვა ხმაზე იყვირა აქამდე მონუსხულივით დადუმებულმა ზღვა ხალხმა და ერთ ადგილზე შეტორტმანდა. კიდევ წუთიც და გამხეცებული ბრბო ნაფლეთებად აქცევდა ახალგაზრდა გლეხს, რომელმაც გამოუცდელობის თუ ზედმეტი აღელვების წყალობით ხალხის არჩეულ წმიდა კაცებს საშინელი ბრალდება წამოუყენა და უსინდისოდ ცილი დასწამა.

სოლომონს ბევრი ფიქრი და გამოძიება აღარ დასჭირვებია. გონება ახლა კი გაუნათდა და მიხვდა, რა ხდებოდა მის თვალწინ.

რამდენიმე დღის თუ კვირის განმავლობაში, როგორც ჩანდა, მტერს უკვე გაეკეთებინა თავისი შავბნელი საქმე: ხალხში ქვეყნის არა ერთხელ ამაოხრებელი და მომთხრელი ოსმალების გადაულახავი შიში და ძრწოლა დაეთესა. ამ საქმეში, რაღა თქმა უნდა, სამშობლოდან გადახვეწილი ლევან აბაშიძის ხელი ერია. ვინ იცის, იქნებ სამეფოდან უპატიურად გაძევებულმა დიდმა დედოფალმა თამარმაც შერცხვინა თავი და ოტია დადიანის ნა-

მალევად იმერეთს საეჭვო ხალხი შემოგზავნა? მამა-შვილის ერთგული კაცები, ეტყობა, ყველგან დაძვრებოდნენ და დიდსა და პატარას აგარიანების უსიტყვო მორჩილებას უქადაგებდნენ, არწმუნებდნენ, სოლომონი მარტოდმარტოა, თუ გაუჭირდა, სიმამრის მეტი დამხმარე და ხელის გამმართავი არავინა ჰყავს, ერთი მუჭა ჯარით აგარიანთა უზარმაზარ იმპერიასთან ვერაფერს გახდება, თავადაც მეწყერი დაიტანს და ჩვენც თან ჩაგვიყოლიებსო...

ჭაბუკმა გაიბრძოლა, ყველა, ვისაც კი ხელით მისწვდა, ერთი მოქნევით მიპფანტ-მოპფანტა ან მიწას გააკრა. ამათ სხვები შეენაცვლნენ, მიწევ-მოწევაში მცველი რაზმის წევრებიც ჩაერივნენ, გავეშებულ ახალგაზრდას იარაღი რის ვაივაგლახით აჰყარეს და ახალუხშემოგლეჯილი და მხარგაკრული მწვანეზე დააგდეს.

სოლომონს რისხვა მოაწვა. თავს ძლივს იმაგრებდა. გულითა და გონებით ის ამ უშიშარი, ჩახმახივით შემართული ბიჭის მხარეზე იყო. ერთი დაპირება კიდევაც დააპირა, ქაიხოსრო წერეთლისათვის ებრძანებინა, ჭაბუკი ახლავე ფეხზე წამოაყენეთ და ხელფეხი გაუხსენითო, მაგრამ ენას კბილი დაადგა, მეფის ამგვარი გამომწვევი საქციელი ხალხს გაანაწყენებდა და სულ სხვა რამეს აფიქრებინებდა.

— მიწაწყლიშვილებო, ლიხსგადმოღმელო ქართველებო, — მან ხელი ასწია და თავს ძალა დაატანა, მოკლედ, მკაფიოდ და, რაც მთავარია, მშვიდად, ყოველგვარი სიფიცხისა და აპილპილების გარეშე ელაპარაკა. — თუ სწორად მიგიხვდით და ალღომ არ მიღალატა, ამ კურთხეულ ადგილას ჩემს დასამოძღვრავად მოგროვილხართ!

— რას ბრძანებ, მეფეო! — გაისმა სმენად გადაქცეულ ხალხში.

სოლომონმა ისევ აღმართა მარჯვენა ხელი.

— მადროვეთ! მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ.

— ლახვარი დაეცეს გულზე, ვინაც შენი ღალატი გულში გაივლოს, მეფევ!

— არ ეღირსოს ზიარება!

— ნამოსახლი დაერქვას იმის სახლკარს, გოუწყრეს ღმერთი, გადოუშენდეს შვილი და მონაგარი!

— რისხოს გორიჯვრის წმიდა გიორგიმ!

სოლომონს ნერწყვი გაუშრა, თვალები მოენისლა.

— ალაპარაკე ჩვენი კაცები, ჩვენც დაგვიგდე ყური!

სოლომონი აწრიალდა, თითქოს რჩევა უნდა კითხოს ვინმესო, მიიხედ-მოიხედა და მერე ისევ ხალხს გაუშტერა მზერა.

— რატომაც არა... ჩვენ მზად ვართ... ვის სურს ლაპარაკი?

ხალხი ისევ გაიპო შუაზე და ხელჯოხიანი ბერიკაცები, წეღან რომ გლეხის ბიჭმა შეაჩერა და მეფესთან მისვლის საშუალება არ მისცა, წინ წამოვიდნენ, ბატონს შორიდან ჰკადრეს სალამი და ერთმანეთს შეხედეს, რომელმა დავიწყოთო. მცირე ყოყმანის შემდეგ ერთი, დანარჩენ ორზე უფრო მოხუცებული და დარბაისელი შესახედაობის ბერიკაცი წინ წამოდგა, ორივე დაძარღვული ხელით კორძებიან ჯოხს დაეყრდნო, ჩაახველა და სოლომონს მიმართა:

— ჩემმა სვინდისმა და საზოგადოებამ, დიდო მეფეო, რაც მართალია, მართალია, მძიმე მოვალეობა დამაკისრა. ვერ ვთქვი უარი. აგერ ას ოც წელიწადს გადავაბიჯე, ცხოვრებაში რას არ მოვესწარი და ამისთანა გასაჭირი, დღეს რომ დამადგა, ერწმუნეთ ჩემს მოხუცებულობას, ჯერ არ დამდგომია. ბაბუაშენ მეფე გიორგის მამა, ნეტარხსენებული ალექსანდრე რომ ტახტზე ევიდა, მე მოწიფული ვაჟკაცი გახლდით, ბატონო, იმ წელიწადს ჯვარი დევიწერე და ოჯახს მოვეკიდე. მას მერე ომი მე არ დამკლებია, ბატონის ბეგარა და მდევარში წასვლა. ანგარიში აქვს? შიმშილიც ბევრი გვინახავს, სიტიტვლეც და უსახლკარობაც. სამჯერ გადამწვეს და მამა-პაპის ნაფუძარზე

სამჯერ დავსახლდი. სამი ვაჟიშვილი, რძალი და ორი მოჩიტული ბადიში თათარში გამიყიდეს. ბევრი ვეხვეწე, მეც თან გამატანეთ-მეთქი, მჟრა ბერიკაცი ვის რად უნდოდი! დღე და ღამე იმათი სულის საცხონებლად ვლოცულობ. რა ვუყოთ, ჩემი ყისმათი ამისთანა ყოფილა, ბედს არ ვემდური, ღვთის განგებას და ბატონის ნებას ვინ გადოუვა! — ბერიკაცმა მხარზე გადადებული ქალი ჩაბალახის ტოტი აიკანთავა, აკანკალებული მარჯვენა ხელით თვალებთან მიიტანა და ოფლი და ცრემლი მოიწმინდა. — ახლა რას გეხვეწებით მეც და ეს ხალხიც... — მან ჯერ თავის მხლებლებს გადახედა, მერე დანარჩენებს. — გვეკმაროს, რაც აქამდი ვიტანჯეთ, აწი მაინც მოვისვენოთ და მოვითქვათ სული!

— შენი სახელი? — კუშტად ჰკითხა მეფემ და ცხენს სადავე მოზიდა, ორი-სამი ნაბიჯით უკან დაახევინა.

— ბასილი! — მოხუცებულს სხვებმა დაასწრეს და მეფეს მის მაგიერ გასცეს პასუხი.

— ჩემო ბასილ, ვხედავ, რა სატანჯველიც გამოგივლია და აფერუმ შენს ვაჟკაცობას, რომ ისევ ფეხზე დგახარ და სოფლისთვის იღწვი, მაგრამ, როგორც დროულ კაცს, ჩვენზე მეტის მნახველს, ერთი უნდა გკითხო და გამეცი პასუხი: მე, ლიხთიმერეთის მეფე, ქვეყნის დაუძინებელი მტრებისაგან არა ერთჯერ დევნილი, წინააღმდეგი ვარ, რომ ჩემს ხალხს ტანჯვა-წვალება ეკმაროს და აწი მაინც იცხოვროს მოსვენებულად?

— მაგას ვინ იტყვის, მეფევ, — როგორც იქნა, ისევ დასძრა ხმა ბასილმა. — ენა უნდა გოუხმეს იმას, მარჯვენა დოუდუმდეს!

— მაშ მე რას მეხვეწებით, თუკი მეც იმასვე ვესწრაფვი, რასაც თქვენ. მშვიდობიანობა და გალაღებული ცხოვრება ვის არა სწადია. მაგაზე არც ჩვენი მამა-პაპა იტყოდა უარს, მაგრამ, თავად მომსწრე ხარ, ვინ დააყენა, ურჯულო აგარიანი შინ დაუჯდა და ლუკმა შუაზე გაუყო. ეგეც არ აკმარა, ოჯახი გაუბახა და ტყვეებით ვაჭრობას მიჰყო ხელი!

— ღვთის განგებას ვერ გავექცევით, მეფევ ბატონო. ღონიერია წყეული თათარი. აურაცხელი ჯარი ყავს. ბევრი უცხო ქვეყანა მორჩილობს და ხარკს უხდის...

— შენგან მიკვირს, ბასილ, ეგ სიტყვები. შენსას ამბობ, თუ სხვის ნათქვამს იმეორებ? რა გინდა მაგით თქვა?!

— ნუ ვეურჩებით სულთანს, შენი სახელის ჭირიმე, მეფევ, — ბასილმა კორძებიანი ჯოხი გვერდზე დაიჭირა და დაიჩოქა. — მივაშვათ, რაც ღმერთს დოუწესებია!

— მივაშვათ? რა მივაშვათ, ტყვე გოგო-ბიჭები და ქვეყნის სარჩო-საბადებელი? მაშინ ჩვენ რიღასი ტიკი-ტომარა ვიქნებით!

— რასაც ნებით არ მივცემთ, ურჯულო თათარი ძალით წაგვართმევს. ყოველთვის ასე იყო, მეფევ. ჩათრევას ჩაყოლა ჯობია. თუ არა და, სულ გაქრება ჩვენი სახსენებელი. საკურთხის გამკეთებელსაც აღარავის დაგვიტოვებენ...

— არ დაგვიტოვებენ, არა! — გაისმა რამდენიმე სასოწარკვეთილი ხმა ხალხში.

— არ დოუჯერო, მეფევ, — დაიხრიალა უცებ მხარგაკრულმა ჭაბუკმა და ბეჭები ძლივს მოსწყვიტა მიწას. — დაგვიძახე და ქუდზე კაცი გამოვალთ. ქვეყანა კი არ გალაჩრებულა!

— არა, არა, არ დოუჯერო!..

სოლომონმა ძირს დაიხედა. გაბაწრულ გლეხის ბიჭს მასავით პირტიტველი, მხარბეჭიანი ბიჭები შემორტყმოდნენ გარს და ახლოს არავის უშვებდნენ. ყველა სამართებლივით ალესილი იყო. ერთი ნაპერწკალი და თოფისწამლით სავსე კასრივით იფეთქებდნენ. სოლომონი ჩამოქვეითდა, სადავე ნიკოლოზ ნაფიჩაძეს შეატოვა. ახალგაზრდების მჭიდრო რკალი მსწრაფლ გაირღვა ბატონის წინ. მხარგაკრულმა

ჯაბუკმა, მეფე რომ ჩამოქვეითებული და მასთან მისული დაინახა, წამოხტომა სცადა, მაგრამ ვერ შესძლო. სოლომონმა სატევარი ამოიღო, ჩაიჩოქა და თავისი ხელით ჩასჭრა თოკი. აღტაცებულმა ახალგაზრდებმა რაღაც სიხარულის მაუწყებელი დაიღმუვლეს. სოლომონი უსიტყვოდ, დინჯად გატრიალდა უკან, სატევარი ქარქაშში ჩააგო და ძიძიშვილის მორთმეულ ცხენს მკვირცხლად მოახტა.

— მაშ, ასე, ძმებო და დებო, დედებო და მამებო, სამღვდელონო და ერისკაცნო, — დაიძახა მთელი ხალხის გასაგონად. — მომყვეს, ვისაც გული ერჩის, ძარღვებში ვაჟკაცის სისხლი არ განელებია და სამშობლოსათვის თავი არ ეზოგება!

მეფიონი დაიძრა. სამრეკლოზე ისევ შემოჰკრეს ზარს. ატორტმანდნენ დროშები. სადღაც წინ მტვერი ავარდა. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ აქ თითქმის აღარავინ იყო. გალავანში მხოლოდ რამდენიმე ბერიკაცი და თალხებში გახვეული დედაბერი დარჩა. ისინი პირჯვარს იწერდნენ და სასოებით იმ მხარეს გაჰყურებდნენ, სადაც შუადღის მტვერში მეფე და მისი ლაშქარი მიიმალა.

□ მეორე წიგნის დასასრული □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია ასათიანი

# დიდი სიმშვიდე

ანდროგინეს ორი სახე ჰქონდა, სხვადასხვა მხარეს მაცქერალი. გულიც ორი ჰქონდა. ხელები ოთხი და ფეხებიც ოთხი. ორმაგი ორგანიზმის წყალობით მეტად ძლიერი იყო. ერთი ნახევარი როცა ისვენებდა, მეორე ნახევარი ფხიზლობდა და დარაჯობდა. მისი სიძლიერით შეშფოთებულმა ღმერთებმა ზევსთან იჩივლეს: თუ დროზე არ ვუშველეთ თავს, მალე ყველას დაგვიმონებსო. ზევსმა ანდროგინე ორ არათანაბარ ნაწილად გაჭრა და სხვადასხვა მხარეს ისროლა. ასე წარმოიშვა ქალი და კაცი. ისინი გრძნობენ, რომ ერთი მთელის ნაწილი არიან და ამიტომ ერთმანეთს დაეძებენ. „შეიცან თავი შენი", საკუთარი დაკარგული ნაწილის პოვნა-შეცნობასაც უნდა გულისხმობდეს. ძნელია საკუთარი ნაწილის პოვნა, მაგრამ თუ იპოვი, მაშინ ღმერთებიც კი კრთებიან შენს წინაშე.

ბერძნული მითოლოგიიდან

1.

გსურს უკვდავება,
მისაჯაჭვად სალ კლდეს დაეძებ.
მე სხვა ღვთაება მეფარება,
ვიშორებ ღვედებს...
დავწვავ შენს ლოცვანს,
კოცნის კოცონს ვაქცევ ბიბლიად,
რადგან არაფრის დავიწყება
არ შემიძლია.

გაფითრებული წელთაღრიცხვა,
დღე და ნისანი.
გაცვეთილ ჯაჭვის
გამოუცნობ რგოლთა მიზანი.
მითების მთები,
გვალვით დაგვა,
მეუდაბნოვე.
გოშიას კოცნა
და რიყეზე ცრემლის დაბნევა.
ქვის სარბიელი
და სარბევად ქარის წისქვილი,
შემოგახვევენ ტანზე ძაძად
წარღვნის ცის კივილს.

ასახდენ ღამის მღვიმისპირი,
კარშეუბმელი.
ვეღარასოდეს ვერ გახდება
მძიმე უღელი,
ჩვენი უთქმელი დღეისა და
ხვალის წუხილი,
შესდგება ხევის ზღურბლზე ექო
ჭექა-ქუხილით.

ღმერთს კი ეძინა,
ლომივით იწვა
ჯაგებში მთვარე,
ისევ ის მთვარე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე და შენ რომ დღეს გვითვალთვალებს.
ადამი სთვლიდა ევას ტანზე
ხორბლისფერ ხალებს,
შამბში შუოდა გრძელი გველი,
ბრძენი და მხდალი...

ღმერთს კი ეძინა
და არ ეგონა,
ღმერთს არასოდეს
არ გაეგონა...
გამოეღვიძა,
ნახა, რომ შეცდა,
განრისხდა, შეცბა
და ისევ შეცდა...

შერისხეთ! შესცოდეს!
ღალატი!
გუგუნებს ქურუმთა ქორონი.
მშრალ შეშას
სისხლს ასხამს პირქუში ჯალათი
და კოცონს ანთებენ მოგვები.
მზე ითმენს,
ირცხვენს და იცინის ძალათი,
ყვითელი და ცხარე მდოგვივით.
ფერფლი კი,
სალ თესლში ჩასახულ ბარაქით,
შორეულ ხეტიალს მოჰყვება.

მზე ამოვიდა
და გულთბილ მზეზე
ჩემი თვალები შენ გიცინიან.
შენ მათ უარყოფ ვით ალქიმიას
და ითვლი:
— ვარსკვლავს შვიდი ქიმი აქვს —
და იმეორებ ამ რიცხვს ჯიუტად,
თორემ ვარსკვლავი არც დაგინახავს.
დიდი სიმშვიდე შემოგინახავს,
როგორც სინათლე.
ნეტავ ვინა ხარ?!
სიმშვიდე, ვნების ვეება ჩარჩო,
როგორ არ გახრჩობს,
ან როგორ გწვდება,
ალბათ, თუ იცი, რომ ცოტა დარჩა
და ხვალის ცდაში
გულაღმა წვები.

დაფნის ტყეები ეტმასნება
ოლიმპოს კალთებს,
ყოველ ფოთოლში
დრიადების ვედრება ათევს
ხვადი დაეძებს ძუს თვალებში
დაკარგულ გათებს
გაურბის ათენს
გახიზნული სიზმრების ფერი.
სიმღერა ათოვს,
და ეჭვებში გაჭრილი ჰერა
უსმობს სტიქიონს,
ლესავს ელვას,
რომ დასცეს გერი.
ვერ უზღვევს ზევსი დიანირას
მოკლულ ჰერაკლეს,
და ცრემლი წვიმად ედინება
ნარგავს და ნათესს.

წვიმა! საოცრად უხვი წყალობა,
კლდის სისადავე;
ჩამორეცხილი მიუვალობა,
ზღვათა სათავე.
მდინარეთ შერთვა საქორწილო
იალქნის ხევა.
სირინოზების გალობა და
სასჯელის გემა,
ეს მე ვარ, შენ კი
სმენას იხშობ განსარიდებლად,
და ცაში, ჯაჭვით ეკიდება
შენი დიდება.

ჯაჭვი! შუაცეცხლს იჭერს ჯაჭვი,
ტუსაღს დილეგი.
მე აკვალანგით ფსკერზე ვეძებ,
რაც დაილექა.
იქ მკვდარ მარჯნების
ჭირვეული ჩუქურთმა მზარავს
და მაინც ვცდილობ,
რომ არ ჰქონდეს სამკაულს ბზარი...

2.

თვლემს იალბუზის ნათელი ზურგი,
ორკუზიანი აქლემის ზურგი,
და გაზაფხული, ჯერ უგზოუკვლო
ზამთრის უბეში იმაგრებს მუხლებს.

ეს წელიწადიც წყვილ შემოდგომით,
როგორც ფრინველი გაფრინდა ჩუმად.
მზე დახუთული, რაღაც სხვა მოდგმის
ყურთან ჯიუტად რეკავდა ზუმერს.

ჩვენ საფეთქლებთან მოჰქონდა სისხლი,
ათასწლეული ნაწრთობი ღელვით,
ემატებოდა მისხალი მისხალს,
ზღვებს მდინარე და მდინარეს ღელე.

ქარს კი მიჰქონდა მზის მუქი ლექი,
ვით განწირული იალქნის ლაქა,
ეკლესიები დიდ ზარებს რეკდნენ
და ტორტმანობდა სამრეკლო ტლანქად.

თურმე სჩვევია თოვლი და ყინვა
მზეს და ეს ზოლი უთოვლოდ კვდება.
მე კი ვბრუნდები ბედის დაცინვით,
უცვლელ ლოდინით და ყურის გდებით.

ირგვლივ ყოველი ითხოვს გაყოფას,
ჩნდება პოლუსი და ეკვატორი.
მე მსურს ორივე ერთად ვატარო
და მეჩვენება სიგრძე არ ყოფნის

არც მერიდიანს და არც რადიუსს,
ძალა არ ყოფნის სიტყვას და ბგერას,
რომ არ ისროლონ, რაც სხვას სწადია,
როგორც ჩამქრალი ასანთის ღერი.

ახლაც ყურში მაქვს ჩემი მუდარა,
გამრუდებული შენი უარით.
დიდი აღმართის მშვიდი სუდარა
გზა ერთადერთი და უტყუარი.

გვთოშავდა თოვლი. შენ მის სიუხვეს
ექიშპებოდი თავშეკავებით.
მე წაკითხული მსურდა სიმურღი
და მისი ფრთები — შენი მკლავები

მიხმობდა ჩრდილში... ფრთხილ შეხებასაც
ვერ გიბედავდი, მინდოდა მხოლოდ,
ხანდაზმულობა გადაგვეხაზა,
რომ გაგვერჩია თავი და ბოლო.

შენ არ ისმენდი. იქნებ ხვდებოდი
და ამის გამო იყავ ჯიუტი.
მხოლოდ ფრთხილობდი არ შეგხებოდა
ჩემი ტუჩებით კოცნა იუდის.

მე უკვდავების არა მჯეროდა,
არც იუდობას არა ვჩემობდი,
მხოლოდ ილტვოდა ხატვრის ღეროდან
მწვანე ნაყოფი, მწარე გემოთი.

თუმც მაკვირვებდა მისი სიმწარე.
ვუცხოობდი და მაინც ვსინჯავდი.
შენ კი გეჭირე, როგორც სინჯარა,
პირავსებული საცდელ სიზმარით.

თითქოს ვხედავდი, რომ შენს დუმილში
აღთქმაზე მეტი ბგერა სუნთქავდა,
მაინც ვუხმობდი ვნების დამქაშებს,
გაშიშვლებულად და მოურთავად.

და შენ დამითმე, არა სისუსტის,
ან სხვა ამგვარი მიზეზის გამო,
ვინც ეჭვს გაურბის, უარს ის ამბობს,
ან ვინც სიმართლის გატანას ლამობს.

მაგრამ, რადგანაც ერთხელ დამითმე,
უკვე დათმობას ვარ შეჩვეული,
ვეღარ გადასჭრი ძველი დანითვე,
გადახლართულებს, დღეთა შვეულებს.

მე მჯერა შენი. მე მჯერა შენი
უსაზღვროების და მეჩვენება:
აღარ არსებობს სხვა განაჩენი,
სხვა სასახლეთა ნგრევა-შენება.

ისიც კი ვიცი დროებითია,
ჩვენი ტკივილიც და სიხარულიც,
რადგან წუთები წუთში მიდიან
და მიაქვთ სადღაც დღე, მოპარული.

ნუღარ გავატანთ! თუ არ გავატანთ,
დღეის მხილებაც ჩვენი იქნება,
და გადარჩება წიგნი დავათა —
ფარდა იმედის, სევდა ფიქრების.

წიგნი! — შენ ჩემთვის ალბათ წიგნი ხარ.
წიგნში ყველაფერს იპოვის კაცი.
გადაგავიწყებს ტკივილს დიდი ხნით
და სხვისას, როგორც საკუთარს, გაწვდის.

მეც მინდა ვიყო სიტყვად დაღვრილი
და დასეტყვილი შენი ოცნება,
შენი პეგასი, შენი ალვირი,
ჯვარიც, გოლგოთას ლურსმნი ბორცვებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მინდა ვიყო შენი ცხოვრება,
სიცოცხლის ძაფის გადაჭრის მერეც.
შენი ვენახი და საძოვრები
და გამომცხვარი ობლისთვის კვერი.

ჩვენ არ ვიყავით დაბადებული,
როცა გვირგვინი დაგვადგეს თავზე.
ჩვენი ცხოვრება არის კრებული,
გაუღუნავი სტრიქონთა ხაზით.

გადიკითხავენ, დაიჯერებენ.
დასჯერდებიან და მოუნდებათ,
შეილამაზონ ჩვენი ფერებით
თითზე ბეჭედი, ხელზე ხუნდები.

და შეპყრობილი, თბილი ფრინველი
ადამის მოდგმის ათი ეკალით,
დაგვიბრუნდება მუდამ პირველ დღეს,
კერპ კალენდარს რომ არ მოვეკალით.

მათთვის დავრჩებით მდედრი და მამრი,
ჩვეულებრივი ქალი და კაცი,
ვინც უკვდავებას არ ნატრობს ამ დროს,
და შემკრთალ სულებს სამსჯავროს აწვდის.

3.

ეს ედემია და სასოებით,
ხეს მოსდებია ვაშლის ღილები
უღვთო მხილებით:
— იმედს თან დასდევს უიმედობა,
როგორც სამოთხე და ჯოჯოხეთი —
და თუ მოხვედი,
არ დაივიწყო,
რომ სამოთხეში, სადმე, ხელმარცხნივ,
იქნება კარი გასასვლელი.
აქ ტალღას სველი
შეუხსნია ტანზე ქამარი
და უსასრულოდ სრული კამარა
სინათლის სამი ანარეკლის
სარკედ ქცეული,
შეჰყურებს რიდით,
ტახტრევანის მოკაზმულ კიდეს.
საშიშ სიმშვიდის
დაჭიმული, გრძელი თასმები
გაირღვევიან ფრთხილი ხმაურით
და გამჭვირვალე მასპინძელი,
ფერმკრთალ შეკითხვით
მოგვიბრუნდება:
— თქვენი წვალების საზღაური,
მოგწონთ გალობა? —
და წერტილივით დანაწვეთებ,
მოკლე ღიმილში,
დანაწევრებულს მიიღებს
პასუხს:
— სწორედ ესენი, ამ წლის გასულს,
ზღვათა გადაღმა გადამტყდარი
სხივის ღეროთი,
საკუთარ ჩრდილებს შეჩვეულნი,
უკეთ მღეროდნენ —
და მასპინძელი
გასასვლელისკენ მიგვითითებს...
ჩვენ კი გზადაგზა გავიხსენებთ
დანტეს და მითებს:
ხვეული კიბის საფეხურებს
უხეშ ხარებით,
სადაც თავის ხვედრს აღარავინ
არ ერიდება,
უძირო კასრში
წყალს ასხამენ დანაიდები
და ერთადერთ ლოდს ეზიდება
კლდეზე სიზიფი.
ცერბერს, ქიმერებს
და ერინიებს,
რომლებმაც სძიეს მრავალ მოკვდავს,
სანამ ჰადესში მოიმწყვდიეს.
ჩვენც ხომ მოგვწყურდა დაღალულებს,
გვტანჯავდა რული,
და მაინც ლეთას მაცდურ შხეფებს
არ დავეწაფეთ,
რომ ცვილზე, მიწის აღნაბეჭდით
ნაჭდევი სული,
შემოგვენახა.

რადგან არსებობს ვაშლი, სიტყვა
და გაფრთხილება.
მეფე მინოსის წრე იწყება
დღეს გაწბილებით,
და მოფარფატე, ფთილებივით,
ქარში, ჩრდილები
ისევ უჩვენოდ განაგრძობენ
უწყვეტ ხეტიალს.
ვერ დაეტია
სიყვარული ზესკნელს და თითქოს,
თვითონ მოძულე აიდისგან
დათმობას ითხოვს.

როგორ ეგონა
პერსეფონას,
ჰადესს წვეული,
აიდისაგან მიწოდებულ
ტკბილ ბროწეულით,
შეიქნებოდა ერთდროულად
ტყვეც და მეუფეც.

4.

შეუცხოვება დროებით მოსულს
ერთფეროვანი სიცოცხლის მარში
და აღარც მინდა თავი მოებას
შეუსაბამო ბგერათა კავშირს.

და სანამ ვსუნთქავ, კიდევაც ვშფოთავ,
კიდევაც მჯერა და კიდეც ვეჭვობ,
მხოლოდ მაშინებს თარეში დროთა
და თვითმკვლელობა შხამიან ეშვით.

ვისაც რა უჭირს, გრძნობა თუ განცდა,
თუ მომავალზე ფარული ფიქრი,
წუთებს იტაცებს და ცდაში აცდენს,
აერთიანებს, ან საზღვრავს ტიხრით.

მეც, რა თქმა უნდა, შენს მოსახვეჭად,
ბევრი რამ დავგმე და უფრო, დავთმე,
დრო კი აკრავდა ჭირვეულ ბეჭედს,
მთრთოლვარე ხელით შევსებულ დავთრებს.

როცა ღამდება და გათენების,
იქნებ სრულიად არ მწამს და მჯერა,
მაინც მომავლის მოვლენას ველი,
საყოველთაო რიგით და ჯერით...

მე მჯერა შენი და ხვალის მჯერა,
გუშინდელ დღეზე უფრო და მეტად,
გაუქმებული კარის და ჭერის,
რომელსაც ვიღაც აღებს და ჰკეტავს.

და მჯერა, რადგან თუკი არსებობ,
უნდა გჯეროდეს და უნდა გწამდეს,
გზების გათიშვა და დამსგავსება
და მოლოდინის სპირალი ცამდე.

ხვალ! იღვენთება ნისლი სვეტებად,
ხვალ! მეპარება ჩუმი ხმა თითქოს,
ცა ფიფქებისგან განაკეთები,
მკერდზე მაფარებს მთრთოლვარე თითებს.

ყველა ოცნებობს შეძლების გვარად
და იმედია სხვადასხვა მხოლოდ:
ის ან ნერგივით თესლშივე ხარობს,
ან ნედლი მერქნის სულივით ბოლავს.

საკუთარ დღეთა ნაიარევით,
დღეს გარდასული ბევრი ფურცელი,
დაიარება მახსოვრობაში
და უცხოსავით მშვიდად უცქერი.

რადგან არსებობს, რაღაც ტკივილი
შენი ხორცის და სიცოცხლის მიღმა,
და იგი აღწევს არსობის კივილს,
დროდადრო დაგდევს და გაბმით გიხმობს...

მაგრამ ეთერში ისმის მუსიკა,
და ვიოლინოს ფარული ფრთებით,
ერთხმად დუმილში, უცებ, უსიტყვოდ
ისევ ვფხიზლდები და გიბრუნდები.

5.

ახლა თუ გვახლავს გზათა ჯვარი,
მხოლოდ დროებით.
ვიცი, რომ გნახავ და არ მინდა
მივტიროდე განმარტოებას;
რადგან უშენოდ,
ნაცხოვრია აქამდე წელი,
აურაცხელი:
დაბადებიდან — დაბადებამდე.
რადგან არასდროს გავიყოფით,
ამიერიდან.
ან კი, თუ გჯერა ანანკე და
ბედისწერად დათქმული ატა?
ან, თუ არ გჯერა,
რომ ყველას ჭერი,
გვირგვინები, ტახტი, თუ ფატა
იჭედებოდა საკუთარ გრდემლით
და სადღეგრძელოდ აწეული,
თიხა გრძნეული,
გამოძერწილი,
მიწად ქცეულ ჩვენი სხეულით,
ვერ დამაფიქრებს.
არ მაფითრებს წინაპართ ცრემლი.
თუკი მათ ვერ სცნეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა, დანახული
ბუნების თვალით.
თუ დღეს ეს ხორცი
და იმედის თბილი მტევანი,
როგორც თანხმობის არჩევანი,
მაგრდება ძვალით,
აღზევებულნი შობის სურვილით,
დავრჩებით ხვალაც.

და „გუშინდელის“ თანაბარი
„ხვალ“, არასოდეს დაილევა.
არსებობს ძალა,
დამწესები გარდუვალ წყვილთა,
„დღეს“ არის მუდამ ანაბარად
მორჩილი ცვილის,
და თუ სამყაროს
მადლიანი დედა მარადი,
უხვი, ულევი,
ჩვენში ნავარდობს
და გვაფერადებს
ინით და სურმით,

დღეს ებედება დაბადება
მომავლის სურვილს,
მომავლის ხურვილს ებედება
დღეს, დაბადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჩიჯავაძე

# როცა ფარშავანგი ყივის

რომანი

მზე ჩასასვლელად ემზადებოდა, ვეება ჩრდილები თალხი ლეჩაქივით გადასწოლოდნენ ტყით დაფარულ მთების ფერდობებს. მწვერვალები ჯერ კიდევ ნებივრობდნენ აგვისტოს მზის სხივებში და ფირუზისფრად ალაპლაპებდნენ ალპურ მდელოებს.

ბუნების პირველქმნილ სიმშვიდეში, არაგვის შეუწყვეტელ ბუბუნში და ტყის იდუმალ შრიალში, ზოგჯერ უხეშ დისონანსად შეიჭრებოდა ხოლმე ავტომანქანის საყვირი, საბურავების ჭრიალი ასფალტზე, ანდა აღმართზე გაჭირვებით ამავალი ავტობუსის გუგუნი... და შემდეგ ბუნება კვლავ უბრუნდებოდა თავის მარადიულ სიმშვიდეს.

გზაზე, რომელიც ხან მთის ფერდობზე მიიკლაკნებოდა, ხან დაბლა ეშვებოდა და არაგვს გასდევდა, დიდი სიჩქარით მიჰქროდა „ვოლგა“.

მარტოდ მჯდომი მძღოლი, ალბათ სიჩქარით გატაცებული, მარჯვედ ატრიალებდა საჭეს და დაძაბული გაჰყურებდა გზას.

მძღოლმა სპიდომეტრს შეხედა, ისარი 90-თან ქანაობდა, და ელვისებური სისწრაფით საჭე მარჯვნივ მიატრიალა, რომ არ დაჯახებოდა შემხვედრ მანქანას, რომელიც სწორედ შუა გზით მოდიოდა.

„მართლაც და, რა მაჩქარებს“ — გაიფიქრა მან და სიჩქარეს უკლო.

ახლა იგი მიდიოდა ნელა, ძალიან ნელაც კი, თან რაღაცას იხსენებდა და ეღიმებოდა...

გუშინ დათოსა და ლიანას ქორწინების ორი წლისთავი იყო, და იგი დაპირებისამებრ ამოვიდა ფასანაურში, სადაც მათ მთელი ზაფხულით ჰქონდათ დაქირავებული პატარა, ერთოთახიანი სახლი თავისი ბაღით.

— ყური დამიგდე, აფრიკელო, — უთხრა აგარაკზე წასვლის წინ დათომ. — რადგან არც ჩემს ქორწილში და არც ქორწილის წლისთავზე არ იყავი, ახლა უსათუოდ უნდა ამოხვიდე!

— თუნდაც იმიტომ უნდა გვესტუმრო, რომ ჩვენს სიყრმისშვილს, შენს პატივსაცემად გივი დავარქვით! — დაუმატა ლიანამ.

— ჩემი სეხნიის გამო კი, გავბედავ და ამოვალ, — გაიცინა გივიმ.

როცა გივიმ იპოვა სახლი, მანქანა გზის პირად დააყენა და ჭიშკარში შე-

ვიდა, მისკენ უკვე მოცუნცულებდა ხელებგაშლილი პატარა გივი.

გივიმ ყუთები მიწაზე დაყარა, ხელში აიტაცა და ჩაიხუტა პატარა ადამიანი, რომელსაც ასეთი კარგი სუნი სდიოდა.

— ორი კვირაა ფეხი აიდგა!.. — ამაყად ამცნო მოახლოებულმა ლიანამ, — გამარჯობა, ყოჩაღ, რომ ამოხვედი!

— გამარჯობა. სად არის ინდიელი ტომის ბელადი, გრძელკბილა ტურა. რატომ არ ეგებება თავის ფერმკრთალ ძმას?

— ბებერ ჭოტს ვიგვამს უშენებს!.. — ლიანამ დაანახვა დროთა ვითარებისაგან ჩაშავებული ქვის პატარა სახლი, რომლის გვერდით მოჩანდა ქათქათა თეთრი ქვის უკარ-ფანჯრო მინაშენი.

სახურავის ნივნივზე მჯდარი დათო რაღაცას აჭედებდა, შენობაზე მიყუდებულ კიბეზე კი იდგა შუახნის დედაკაცი, რომელსაც ქვევიდან ჩია მოხუცი კაცი ფიცარს აწვდიდა.

— დათო, გივი ჩამოვიდა!.. — მხიარულად შესძახა ლიანამ.

— ვაშა!.. ამ წუთას!..

ვიდრე დათო ფიცრის მიჭედებას დაამთავრებდა, გივიმ იქვე დაიწყო ყუთებიდან სათამაშოების ამოლაგება, რამაც პატარას ძალზე დიდი სიხარული მოჰგვარა.

ლიანასაც არანაკლები სიამოვნება მიანიჭა ნაჩუქარმა ფრანგულმა სუნამომ.

— აბა, რას იტყვი დასტაქარო? აქ უფრო გრილა თუ იქ, თქვენთან, აფრიკაში? — მოვიდა დათო და მათ ერთმანეთი გადაკოცნეს.

— შენ რა, იმის მაგივრად, რომ დაისვენო, ვირივით მუშაობ? — მისალმების ნაცვლად უთხრა გივიმ.

— რაც არ უნდა იყოს, ინჟინერ-მშენებელი ვარ... — გაეხუმრა დათო.

— ვის სჭირდება ეგ ალტრუიზმი?.. შენ დასასვენებლად ჩამოხვედი და არა... — გივის სიტყვა გაუწყდა, იგრძნო, რომ ისევე ელაპარაკებოდა, როგორც ბავშვობისას, როცა რაღაცის გამო სტუქსავდა ხოლმე.

მაგრამ დათოს არ სწყენია. იგი იღიმებოდა და თან ფიჭვის ფისით ჩაშავებულ ხელის გულს მზეზე გარუჯულ შუბლზე ისვამდა, მის შიშველ, კუნთოვან სხეულზე ჩამონადენ ოფლს ბაცი ღარების მსგავსი კვალი დაეტოვებინა.

— როგორ გითხრა... ეს ალტრუიზმი კი არა, ნამდვილი ეგოიზმია. ჰო, ჰო! ჩვენი სახლის პატრონი დურგლებმა დაალალატეს, სახლი გადახურული არ არის და ცოლ-ქმარი იძულებულნი არიან ჩვენს ოთახში დაიძინონ... ეს ძალიან უხერხულია. აი, გადავხურავ სახლს და თავისუფლად ამოვისუნთქავთ.

— რასაკვირველია, ისე თავისუფლად, რომ!.. — მხარი აუბა გივიმ, მერე კი თავი ველარ შეიკავა და გაიცინა.

— ხალხს საკუთარი სახლიდან ხომ ვერ გავყრით... — დაიწყო ლიანამ, მერე შეამჩნია, რომ დათო ეშმაკურად თვალს უკრავდა, გაწითლდა და თავი დაღუნა.

— მე არაგვზე მივდივარ საბანაოდ. თუ გინდა, შენც წამოდი, ამასობაში ლიანა ყველაფერს მოამზადებს.

— წავიდეთ. ჰო, მართლა, აი, შენი საჩუქარიც... — გივიმ დათოს პარკერის ავტოკალმიანი კოლოფი გაუწოდა.

— გმადლობთ. შეიძლება გავხსნა? — დაუწყო თვალიერება კალმისტარს დათომ.

— ახლავე გამოგიტანთ პირსაწმენდს. დათო, იქით არ წახვიდე, სადაც ხალხია, ისეთი ჭუჭყიანი ხარ, რომ უხერხულია.

— ჰო, გენაცვალე!

ლიანამ თვალი გააყოლა, როგორ მიემართებოდნენ ბოსტნით ზედ არაგვის პირზე გასულ კუტიკარისკენ მხარბეჭიანი, გრძელფეხება გივი და დაბალი, ჯმუხი დათო, რომელიც მას მხრებამდე სწვდებოდა.

როცა ისინი დაბრუნდნენ, პატარა გივი თოკით გამობმულ კონსერვის ცარიელ კოლოფს მიათრევდა, მისი ახალი მოსამართი სათამაშოები კი უქმად ელაგა ხის ძირში.

— ეს რომ მცოდნოდა, — წყენა გაითამაშა გივიმ, — კონსერვის იმდენ ცარიელ კოლოფს ჩამოვუტანდი, რომ...

ეს ორი დღე, გივი თავისი მეგობრების დიდი ბედნიერების თანამონაწილე იყო. მასაც, პატარა გივის მშობლებივით უჩუყებდა გულს ყველაფერი ის, რასაც ბავშვი აკეთებდა, ისმენდა ლიანას ლექციებს ბავშვის კვების თაობაზე, დათოს გაბმით ლაპარაკს აღზრდაზე... დაბოლოს, დათრგუნვილმა ამ უზომო, ყველაფრის შთანმთქმელი ბედნიერებით, ველარ გასძლო და გამოიქცა, თუმცა შეეძლო მეორე დღეს, დილით წამოსულიყო.

თურმე, სხვისი ბედნიერება ისევე დამქანცველი ყოფილა, როგორც სხვისი უბედურება, — გაიფიქრა გივიმ და იქვე უსაყვედურა თავის თავს. — რაღა სხვისი, ესენი ხომ ყველაზე ახლობლები არიან ჩემთვისო.

დუშეთის გზაჯვარედინზე, სადაც ჩვეულებრივად ხალხმრავლობაა ხოლმე, მხოლოდ ერთი ხნიერი დედაკაცი და პატარა გოგონა იდგნენ. მათ რაღაც მორცხვად ასწიეს ხელები და დაუშვეს მანამდე, ვიდრე გივი მანქანით მიუახლოვდებოდა.

გივიმ შენიშნა, რომ გოგონას ლოყა ჰქონდა ახვეული. იქნებ ამანაც კი აიძულა შეჩერებულიყო.

— ქალაქისაკენ?

— დიახ, გენაცვალე, ქალაქში!

— ჩასხედით.

გზაში დედაკაცმა დაიწყო მოყოლა იმაზე, რომ მისმა შვილიშვილმა, მამის მიბაძვით, სახის გაპარსვა მოინდომა და ლოყა გაიჭრა.

— მე უკვე შემიხორცდა... და მერე, კაცებიც ხომ იჭრიან ხოლმე, როცა იპარსავენ!.. — შეედავა გოგონა.

— შე ალქაჯო, შენა!.. ის რაღაა, ბიჭებს რომ ეჩხუბები და სხვის ბოსტნებში დაძვრები?.. ასე თუ გააგრძელე, სკოლაში აღარ შეგიყვან! — დააგვირგვინა დედაკაცმა ალბათ დიდი ხნის დაწყებული დავა.

— მაშ, როგორ არა! შენ გინდა, რომ მეც შენსავით უსწავლელი დავრჩე!

ბებიის პასუხის ნაცვლად გივიმ კიწწისკვრის ხმა გაიგონა.

საკმაოდ დიდხანს გაგრძელებული სიჩუმე დედაკაცის ხმამ დაარღვია.

— თქვენა, გენაცვალე, რამდენი შვილი გყავთ? — ჰკითხა მან გივის.

— მე უცოლო ვარ.

— ბოდიში, მაგრამ რა ხნისა ბრძანდებით?

— ოცდარვისა, — გივიმ ინანა, რომ ისინი მანქანაში ჩასხა.

— უი, ქა!.. თან ასეთი ლამაზი, დევივით ზორბა... და ჭკვიანიც! — თანაგრძნობა გამოუცხადა დედაკაცმა.

— აბა, თქვენ რა იცით, მე ჭკვიანი ვარ თუ არა?

— ჭკვიანი, მაშა, — ისეთივე დამრიგებლური კილოთი, როგორც შვილიშვილს, უთხრა დედაკაცმა, — თორემ ასეთი დიდი მანქანა არ გექნებოდათ.

— ავტობუსი რომ მყოლოდა? — ჰკითხა გივიმ.

— ავტობუსი ყველა სახელმწიფოსია! — ცივად უპასუხა დედაკაცმა, რომელიც ვერ მიხვდა ხუმრობას.

საუბარი ალბათ დამთავრებული იყო, რადგან დედაკაცი მანქანის კუთხეში მიიკუჭა.

მანქანა, — გაიფიქრა გივიმ... — მე ხომ იძულებული ვიქნები მანქანას თავი დავანებო, როცა მზადებას დავიწყებ იმ ოპერაციისათვის... წამის რაღაც მონაკვეთში, გულის შეკუმშვისას, მოვასწრო ჭრილობის ორივე მხარეს გავატარო კეტგუტი და გავკვანძო!.. ეს არ არის შეუძლებელი... ხომ აკეთებდნენ ამას სხვები და იხსნიდნენ ადამიანებს გარდუვალი სიკვდილისაგან.

ის ჭაბუკიც ალბათ არ მოკვდებო-

და, რომ მცოდნოდა მაშინ ამ ნაკერის დადება... რა იმედით შემომყურებდა... მე კი?!.. არა, არასოდეს არ დამავიწყდება მისი თვალები... სიკვდილის მერეც რომ ისევ იმედით შემომცქეროდნენ!.. ჰო, ჰო... სხეულში ყველაფერი უკვე მკვდარი იყო, გარდა იმედისა... იმიტომ, რომ იმედი უკვდავია!..

ან, იქნებ მე არ მაქვს ნამდვილი ქირურგისათვის საჭირო თვისებები?.. პაციენტის სიკვდილს პირად ტრაგედიასავით რომ განვიცდი!..

გივიმ სიგარეტს მოუკიდა და ცოტა დაწყნარებულმა გაიხსენა თავისი ოპერაციები, როცა იგი უბრუნებდა ადამიანებს სიცოცხლეს... ან თუნდაც ჯანმრთელობას.

არადა, რა სიცხე იყო, როცა საჰარიდან უბერავდა მცხუნვარე, როგორც თონიდან ამონაბერი, სიროკო*... თერმომეტრი 51 გრადუს სიცხეს რომ უჩვენებდა ჩრდილში... და ის მუდმივი და განუყრელი სევდა სამშობლოზე!

არა, ბევრი რამ კარგიც იყო... ტიზიუზუშიც და ბუარერიჯშიც... განსაკუთრებით ადამიანები... ის პატივისცემა, რომლითაც მექცეოდნენ... საუკუნეზე მეტ ხანს უცხოელ დამპყრობთა უღელქვეშ მყოფი, ყველაფერს ჩამორჩენილი ადამიანები, მსოფლიოს უპირველესი ასტრონომების, მათემატიკოსებისა და ფილოსოფოსთა შთამომავლები როგორ ცდილობდნენ შეესწავლათ ყოველივე ახალი!

და როცა დავბრუნდი სამშობლოში ფარული იმედით, რომ ჩემს ცხოვრებაში უსათუოდ უნდა მომხდარიყო რაღაც კარგი... პირველმა ამბავმა, რაც გავიგე, უდიდესი ტკივილი მომაყენა. ლევანი, ჩემი გულითადი მეგობარი, სამუდამოდ იყო მიჯაჭვული ლოგინზე.

ალჟირში მომწერეს, ლევანი მანქანის ავარიაში მოხვდა, მაგრამ ყველაფერი კეთილად დამთავრდაო... და მეც დავიჯერე.

 აი, მხოლოდ ის, რომ თვითონ ლევანი არაფერს იწერებოდა, ცოტა მაწუხებდა... მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ლევანს არ უყვარდა წერილების წერა...

ახლა ლევანი მოსკოვშია, სახელგანთქმული პროფესორის კლინიკაში წევს.

გივი აპირებდა დაუყოვნებლივ გაფრენილიყო მოსკოვში, საიდანაც ესეს არის ჩამოვიდა, მაგრამ გადააფიქრებინეს — ლევანი დღედღეზე თბილისში უნდა ჩამოეყვანათ... და აი, ორი კვირაა, რაც ელოდება.

მანქანა უკვე სოფელ ნატახტარში შედიოდა. ფეხშიშველა ბიჭები მანქანას ლამის შიგ ბორბლებში უცვივდებოდნენ, ოღონდ მგზავრებისათვის მიეწოდებინათ წნელზე ასხმული თევზები. გზის პირას ჩამწკრივებულ ხილით სავსე ვედროებთან კი გოგონები ისხდნენ.

ამის მერე გზა სწორი იყო და გივიმ სიჩქარეს უმატა.

— ბებო, ბებო, გამოიღვიძე!.. გამოიღვიძე, რა, ბებო!.. — შემოესმა გივის გოგონას ჩურჩული.

— რაო, რა გინდა?

— ფისი... მინდა...

— უი, მომიკვდეს თავი... — აგრეთვე ჩურჩულზე გადავიდა ბებია. — მოითმინე, შვილო, საცაა ჩავალთ.

— არ შემიძლია!

გივიმ გზის პირას, თხრილს იქით, შენიშნა ბუჩქები და მანქანა გააჩერა.

— მოდი, ცოტა სუფთა ჰაერი ჩავყლაპოთ, — თქვა მან, და მერე გაეცინა, როცა დაინახა თხრილზე გადამხტარი გოგონა ჯერ კიდევ ბუჩქებამდე რა აჩქარებით იწევდა დაბლა პატარა ნიფხავს.

* * *

ეკა ცდილობდა გონება მოეკრიბა, მთელი არსით შესულიყო ხელოვნების იმ დიდ სამყაროში, რომელზედაც უნდა ელაპარაკა თავის დღევანდელ გა-

* სიროკო — საჰარიდან მონაბერი ცხელი ქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსვლაში, მაგრამ ვერ დაწყნარებული-ყო.

ეკამ შეჰმუხნა ლამაზად გადაშვილ-დული წარბები და თვალი გააყოლა ნიშნებს, რომლებიც მხატვრების გვა-რებთან იყო დასმული. შენიშვნები ლა-კონური იყო და ზოგჯერ ერთხელ, ან ორჯერ ხაზგასმულიც. ეკას არ უყვარ-და დაწერილი მოხსენებების კითხვა, სთვლიდა, რომ თუ სხვა დარგებში ეს დასაშვები იყო, ხელოვნებაში მომხსე-ნებლის შემოქმედებით უნიათობას ნიშ-ნავდა.

უნდა ილაპარაკო გატაცებით, დუნე ლაპარაკი საინტერესო თემასაც კი ჰკლავს... მაგრამ ასე რატომ მითრთის ხელში ქაღალდის ფურცელი? მე ხომ მშვენივრად ვიცი, როგორც მოხდება ყველაფერი — ჯერ გამოვა კრების თავმჯდომარე, მწერალთა კავშირის ერთ-ერთი მდივანი, რამდენიმე სიტყ-ვით განმარტავს იმპრესიონიზმის მნიშ-ვნელობას მსოფლიო კულტურაში, და დაამთავრებს: „სიტყვა ეძლევა მომხსე-ნებელს, ხელოვნებათმცოდნეობის კან-დიდატს, ეკა მუჯირს". მე აუჩქარებ-ლად წამოვდგები, გავივლი...

გაისმა ტელეფონის ზარის ხმა, ეკა წამოდგა თავისი საწერი მაგიდიდან და სასადილო ოთახში გავიდა.

ტელეფონით დედა რეკავდა. იკითხა მამა მოსულია თუ არაო, უთხრა ეკას, რომ პარიკმახერთან ვარ და შემაგვიან-დება, ამიტომ შოფერს ნუ დაელოდე-ბი და ტაქსით წადიო.

„დაბრუნდება ისევ თავისი უცნაური ვარცხნილობით", — კეთილად გაიღიმა ეკამ. მას ისევ მიაჩნდა დედა ყველა-ზე ლამაზ ქალად, როგორც ბავშვობი-სას... მერე დერეფანში დიდ სარკეს-თან მივიდა და ჩაიხედა. მისი ნახევ-რად ბიჭური ვარცხნილობა, თეთრი ქერსეს ინგლისური ყაიდის კოსტუმის ელეგანტური სისადავე და მოდური ფრანგული ფეხსაცმელი სავსებით იმ-სახურებდნენ იმ კეთილგანწყობილ ღი-მილს, რომლითაც მან დააჯილდოვა თა-ვისი ანარეკლი სარკეში.

კმაყოფილი და ოდნავ დამშვიდე-ბული ეკა თავის მაგიდას დაუბრუნდა.

„რასაკვირველია, თითოეულ იმპრე-სიონისტზე შეიძლება მთელი საღამო ილაპარაკო, მაშასადამე, ყოველ მათ-განზე მხოლოდ ყველაზე დამახასიათე-ბელი რამ უნდა ითქვას. დავიწყებ — მანე, დეგა, მონე, პისარო, სისლეი...

არა, გამოდის რაღაცა მოწაფურად გაზუთხული სია!.. ჰო... მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ჩემი სამუშაო სქემაა... მერე რენუარი... არ უნდა დამავიწყდეს გო-გენის, ვან გოგის და სეზანის მომდევ-ნო პოსტიმპრესიონიზმი. დავამთავრებ სერათი და ტულუზ ლოტრეკით, რო-მელზედაც მინდა უფრო მეტი ვთქვა, მაგრამ ეს არ შეიძლება იმ ორი ქალის გამო, რომლებიც დახატულები არიან სურათში „საწოლი" და რომლებიც ასე ძალიან არ მოსწონთ პრიმიტივებსა და ფარისევლებს... თუმცა ეს სურათი მეც, არც თუ ისე ძალიან..."

სასადილო ოთახში მტვერსასრუტი ამუშავდა და მისმა მძლავრმა გუგუნ-მა ეკას აზრები გაუფანტა.

— მარო... მარო, მტვერსასრუტი გააჩერე! — დაიყვირა ეკამ, მაგრამ მო-ხუც ძიძას არ ესმოდა.

ეკა სასადილო ოთახში გავიდა.

— მარო, მტვერსასრუტის ხმა მი-შლის!

— მოიცა, ნახევარ საათში მოვრჩე-ბი! — მარომ საქმიანად შეათვალიერა დიდი სინთეტიკური ხალიჩა, რომელიც სასადილო ოთახის მთელ იატაკს ფარავ-და, — ნეტავი, ვინ ოხერმა გამოიგონა ეს ხალიჩები?..

— კარგი, რამდენჯერ უნდა გთხო-ვო, მარო!

მარომ მტვერსასრუტი გამორთო, ფანჯარასთან დადგა და დიდხანს უც-ქეროდა ქუჩის გადაღმა მდებარე ზოო-პარკს. ამას აკეთებდა ყოველთვის, რო-ცა ნაწყენი იყო.

ეკა თავის ოთახს და ფიქრებს დაუ-ბრუნდა.

„ამრიგად, მე ვილაპარაკებ იმაზე, თუ როგორ და რის გავლენით ჩამოყა-

ლიბდა მათი მხატვრული პრინციპები. მოვყვები მათ პირად ცხოვრებაზე, რომელიც აღსავსე იყო ტიტანური შრომით, სასტიკ გაჭირვებასთან ბრძოლით, უმეცარ ადამიანთა მტრობით, შინაგანი ბრძოლით საკუთარ თავთან!.. და კიდევ ვილაპარაკებ უზომო ამბიციაზე... ტრაგიკულ მარცხებზე და გაცრუებულ იმედებზე... ჭკუიდან შეშლაზე...

ნეტავი, დედაჩემი რატომ წავიდა პარიკმახერთან, უნდა, რომ ჩემს მოხსენებაზე უფრო კოხტად მოვიდეს, თუ დაპატიჟებულია სადმე?

მოხსენებას დავამთავრებ გერმანელების ექსპრესიონიზმზე საუბრით. მათ ხომ ხელოვნების შინაგან საზღვრებს გადააბიჯეს.

ღმერთო, ნეტავი არ მოვიდეს გურამი... თორემ უსათუოდ მეტყვის, რომ ეს იყო ძალიან კარგი სტატისტიკური ანგარიში, ანდა სხვა რაიმე დამცინავ სიტყვას.

ამას წინათ მითხრა, ნამდვილმა ხელოვნებათმცოდნემ, საგნის დაუფლების გარდა, კიდევ შემოქმედებითი „თანაგანცდა“ უნდა შეიძლოს, ისევე იგრძნოს მხატვრის თითოეული ფუნჯის მოსმა, როგორც საკუთარი ტანჯვით განცდილი. რარიგ შეუძლია მას ერთი სიტყვის თქმით ჩაუკლას ადამიანს მთელი სიხარული!

მერე კი, როცა დავუწყე იმ დროის ატმოსფეროს აღწერა, სიტყვა შემაწყვეტინა და მითხრა, იმპრესიონისტებზე ასობით წიგნია დაწერილი, ათასობით ნარკვევი, რომ არაფერი ვთქვათ მონოგრაფიებზე და წერილებზე... მას ეჭვი ეპარება საერთოდ შევძლებ კი მე რაიმე ახლის თქმას?!“

სასადილო ოთახში დასარეკად მოემზადა და აქღრიალდა კედლის ძველი საათი. ეს საათი „არისტოკრატ“ დედის ნაქონი იყო. მამა მას ვერ იტანდა, რადგან სთვლიდა, რომ ეს „არქაულობა“ არღვევდა თანამედროვე ავეჯით გაწყობილი მათი ბინის ანსამბლს.

როგორც იქნა, საათმა წკარუნით იწყო ყოველი თხუთმეტი წუთის შეტყობინება. პირველი [illegible] მშვიდად მოისმინა, მეორეზე ღელვა დაიწყო, მესამეზე კი გასასვლელი კარი გაიჯახუნა.

— არა უჭირს, თხუთმეტ წუთში მოვასწრებ, ოღონდ კი ტაქსი შემხვდეს! — კიბეზე ჩარბენისას თავი გაიმხნევა ეკამ.

სადარბაზო კარი თითქმის პირდაპირ გადიოდა გადასასვლელთან, რომლის იქით, მარჯვნივ, ტაქსების გაჩერება იყო. პატარა პორტფელის ქნევით ეკამ, მოსალოდნელი ხიფათის ანგარიშგაუწევლად გაბედულად გადაკვეთა ქუჩაში მიმავალი მანქანების მწკრივი.

გაჩერებასთან არც ტაქსი ჩანდა და არც არავინ მომლოდინე იყო. სამაგიეროდ, ეკა შორიდან დაინახა პროფესორმა ბიაძემ და მისკენ გამოემართა.

დისერტაციის დაცვამდე ბიაძემ ეკას ნახევარსაათიანი კონსულტაცია ჩაუტარა, რის გასამრჯელოსაც მერე, ყოველ შეხვედრაზე, ნატურით იღებდა — დიდხანს არ უშვებდა ხელიდან ეკას ხელს.

პროფესორი უკვე სულ ახლოს იყო და სასიამოვნო განცდის მოლოდინში, ავხორცული ჟინით უნებლიეთ ილოკავდა სქელსა და წითელ ტუჩებს.

— ბოდიშს ვიხდი, ძალიან მეჩქარება!.. ტაქსი!.. ტაქსი!..

მანქანამ გაჩერებას ჩაუარა, მოუარა მდგარ ავტობუსს და მის წინ გაჩერდა.

ეკამ ტაქსისთან მირბინა. მანქანის გაღებული კარიდან გადმოხტომას აპირებდა ყბააზვეული ცქვიტი გოგონა, მაგრამ შავებში ჩაცმული ხნიერი დედაკაცი ცალი ხელით ჩაფრენოდა მის კაბის კალთას, მეორეთი კი ფულს აწვდიდა მძღოლს.

ტაქსის მძღოლმა მათ ფული არ გამოართვა. დედაკაცმა მხურვალე მადლობა გადაუხადა. მგზავრები მანქანიდან გადმოვიდნენ და დაბნეულები სიფრთხილით აქეთ-იქით იყურებოდნენ.

„ალბათ, ნათესავები ან ნაცნობები

არიან“, — გაიფიქრა ეკამ, ჩაჯდა მანქანაში და ძლიერად მიიჯახუნა კარი.

— მაჩაბლის ქუჩაზე, — უთხრა მისამართი მძღოლს ეკამ და საქმიანად დაუმატა, — მწერალთა კავშირში, რაც შეიძლება, ჩქარა!

მძღოლმა თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა ეკა, შემდეგ თავი დაუქნია იმის ნიშნად, რომ გაიგო, და მანქანა დაძრა.

„რა თავხედობაა კლიენტების ასეთი თვალიერება“, — აღშფოთდა ეკა. „თავი ლამაზად მიაჩნია და ჰგონია ყველაფრის უფლება აქვს! თუმცა, მართლა, რა კოხტა მოყვანილობის თავი აქვს ამ ყმაწვილს... და პროფილიც კლასიკურად უზადო“...

„ღმერთო ჩემო, მე კი თურმე ქალურ სისუსტეს ავყოლივარ?“ საკუთარი თავი გაკიცხა ეკამ, მაგრამ მაშინვე, თავის გასამართლებლად, მეხსიერებაში აღუდგა რომელიღაც წიგნში წაკითხული წერილი... საფრანგეთის დედოფლისა...

დედოფალი წერდა ერთ თავის უახლოეს მეგობარს: კარეტიდან გადმოსული როგორ მიემართებოდა მხლებლებთან ერთად ტაძრისკენ, გზადაგზა ურიგებდა მოწყალებას ბრმებს, ხეიბრებსა და მოხუცებს... როგორ შეამჩნია ერთი წვერგაბანჯგვლული, ძონძებში ჩაცმული მათხოვრის ჟინიანი მზერა და როგორ იგრძნო მან ამ მათხოვრის წინაშე თავისი ქალური სისუსტე.

„მერე რა, როგორც ქალი, რითი ვარ მე იმ დედოფალზე ნაკლები?“ და აქვე, ჩვეული უშუალობით, თავისთვის წაიღიღინა: „ბევრი ქალია ამქვეყნად...“

მანქანა მწერალთა კავშირის ლამაზ შენობასთან გაჩერდა. მძღოლი მიუბრუნდა ეკას და დასაჯდომის ზურგზე ხელდადებული კვლავ დაჟინებით უცქეროდა მას, რაც უკვე ნამდვილი თავხედობა იყო.

— ინებეთ! — ეკამ გაუწოდა მანეთიანი, — ხურდა არ მინდა.

— ეს ცოტაა, — გაეღიმა თავხედ მძღოლს.

— როგორ თუ ცოტა?.. — აღშფოთდა ეკა და თან ააფ[illegible] [illegible] მრიცხველს, — რატომ არ გიყენიათ მრიცხველი?

— ბოდიშს ვიხდი ქალბატონო, მაგრამ მე იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი, ვინც მრიცხველით ცხოვრობს.

— რატომ? — უნებურად აღმოხდა ეკას, თუმც უკვე მიხვდა, რომ ეს ტაქსი არ იყო. რაღაც უნდოდა ეთქვა თავის გასამართლებლად, მაგრამ სიტყვა ვერ ეპოვა.

— მე თავისუფალი ვარ? — დაარღვია სიჩუმე კაცმა.

— მომიტევეთ... მე თქვენ... ესე იგი, თქვენი მანქანა ტაქსი მეგონა. ბოდიშს ვიხდი... დიდად გმადლობთ! — და ისე გადმოხტა, თითქოს მანქანას ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული.

— არაფერს, — მოესმა კვალდაკვალ.

გივი კიდევ დიდხანს უცქერდა მარმარილოს კიბეს, რომელზედაც ეს-ეს არის აირბინა სხვებისგან რაღაცით განსხვავებულმა ქალიშვილმა, და მერე დაძრა მანქანა.

როცა მხცოვანი მწერლის თანხლებით ეკა დარბაზში შევიდა და ამდენი ხალხი დაინახა, ცოტა არ იყოს, შეკრთა კიდეც.

ყველაფერი დაიწყო ისე, როგორც ეკა ფიქრობდა. თავმჯდომარის შესავალი სიტყვის შემდეგ (იგი სახვითი ხელოვნების აშკარად სუსტად მცოდნე აღმოჩნდა), ეკა ტრიბუნაზე ავიდა.

ყველა გამოუცდელი მომხსენებლივით, ეკა დასაწყისში მიმართავდა მხოლოდ ერთ მსმენელს, პირველ რიგში მჯდარ თვალებდაჭყეტილ მსუქან კაცს. შემდეგ გამხნევებული იმით, რომ დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, სხვებისკენაც იყურებოდა, და თან მოხსენების საგანგებოდ მნიშვნელოვან ადგილებში მეტყველ ჟესტებსაც იშველიებდა.

მერე, როცა პირველ რიგში მჯდარმა თვალებდაჭყეტილმა მსუქანმა კაცმა რამდენჯერმე დაამთქნარა და ფეხაკრე-

ფით გავიდა დარბაზიდან, ეკას არც კი მიუქცევია ამისთვის ყურადღება.

ყველაფერი ძალიან კარგად მიდიოდა, როცა უცაბედად ეკას ენა დაება, ორჯერ გაიმეორა ერთი და იგივე ფრაზა, შემდეგ გაჩუმდა და რაღაცის ძებნა დაიწყო თავის ნაწერებში.

ყოველივე ამის მიზეზი იყო, სულ ბოლო რიგში, კართან მჯდარი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც იგი თავისი მანქანით მოიყვანა.

გვერდით მსხდომთა შორის მთელი თავით მაღალი, ეკას არ აცილებდა ნაცრისფერ თვალებს და სრულიად ვერ წარმოედგინა ამ წუთებში რარიგ სძულდა ეკას იგი.

ეკამ მთელი ნებისყოფა დაძაბა, თავს დაეუფლა და ყველაფერმა თავისი ადგილი დაიჭირა. მან დაამთავრა მოხსენება ისე, რომ არც ერთხელ არ გაუხედავს იმ ახალგაზრდა კაცის მხარეს.

— იქნებ გაქვთ რაიმე შეკითხვები? — მიმართა სხდომის თავმჯდომარემ აუდიტორიას მოხსენების დამთავრების შემდეგ.

შეკითხვები არსებითად არ ყოფილა, მარტო ერთმა ახალგაზრდა კაცმა ჰკითხა რაღაც და თავისი ერუდიციის გამოჩენისათვის თვითონვე გასცა პასუხი კითხვას.

თავმჯდომარემ მომხსენებელს მადლობა გადაუხადა დამსწრეთა სახელით, რომლებმაც ეკა ტაშით დააჯილდოვეს და დაქანცული ქალიშვილი, ვალმოხდილის გრძნობით, გასასვლელისკენ გაემართა.

ჰოლში ეკას ფრანგული ხელოვნების ზოგიერთი მოყვარული გამოელაპარაკა. ის კი უყურებდა შორიახლო მდგარ „ტაქსისტს“ და განზრახ არ ჩქარობდა. შემდეგ იგი რატომღაც შეეცოდა.

ვესტიბიულში გივი მიუახლოვდა ეკას.

— ბოდიშს ვიხდი... — დარცხვენით დაიწყო მან. — ნება მიბოძეთ, მეც მოგცეთ ერთი შეკითხვა.

— გისმენთ, ბატონო.

— იმპრესიონისტთა დიდ თაყვანისმცემელს... მომცემთ უფლებას გაგეცნოთ?

ეკა შეცბა, მაგრამ ახალგაზრდა კაცი ისეთი მომხიბვლელი ღიმილით ელოდა მის პასუხს, რომ გაიცინა და ხელი გაუწოდა.

ისინი მისდევდნენ უცებ დაცარიელებულ ქუჩას და ისე ლაღად საუბრობდნენ ათასგვარ წვრილმანებზე, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ.

— მაშ, მე თქვენ გაიძულეთ, არა მარტო ჩემი მოყვანა, არამედ ჩემი ყოვლად მოსაწყენი მოხსენების მოსმენაც?

— ერთმაც და მეორემაც დიდი სიამოვნება მომგვარა.

„დაიწყო იაფფასიანი ქათინაურები“... გაიფიქრა ამ ამბით ოდნავ გულგატეხილმა ეკამ, მაგრამ იქვე ყურადღება დაძაბა მისი ნათქვამის შემდეგ:

— ჩვენები ხვალ დილით მელოდნენ და შინ არ დამხვდნენ. მე კი სახლში მარტო ჯდომა არ მიყვარს.

— გამოდის, რომ მოწყენილობის გამო აღმოჩნდით ჩემს მოხსენებაზე?

— ჰო... და თანაც არა.

ეს უკვე სრულიად არ ჰგავდა ქათინაურს. ავტობუსის გაჩერებასთან ეკამ გამოთხოვება დაიწყო.

— გმადლობთ, მეტს ნუღარ შეწუხდებით, მე ავტობუსით წავალ.

— ცოტა ფეხით რომ გაგვევლო... მე მინდა რამდენიმე ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ...

— ჩემი მოხსენების გამო?

— დიახ.

ეკას ჯერ უარის თქმა უნდოდა, მაგრამ მერე დათანხმდა, რადგან იფიქრა, რომ უკეთ გაიცნობდა ადამიანს, რომელიც მას აშკარად მოსწონდა... და აზრიც შეეცვლებოდა, რაც მისთვის აუცილებლად საჭირო იყო.

ეკამ უნებურად ასწია მარცხენა ხელი და დახედა გურამის ნაჩუქარ ბრილიანტისთვლებიან ძველებური ყაიდის

ბეჭედს. მაგრამ ბეჭდის თვლებში ათამაშებულმა ქუჩის ფარნის ფერადმა ანარეკლებმა, ამჯერად მასზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინეს.

— მერე, „თქვენებს“ არა აქვთ სტუმრად წასვლის უფლება მეუღლის ნებართვის გარეშე? — ეშმაკურად შეეკითხა ეკა თანამოსაუბრეს.

— არა, რას ბრძანებთ?! მე ბიძაჩემსა და ძალუაჩემზე მოგახსენებთ.

— მშობლები, ალბათ, რაიონში ცხოვრობენ, არა?

— მშობლები არა მყავს... — რაღაც ბავშვური უშუალობით უპასუხა მან.

ისინი რუსთაველის პროსპექტს მისდევდნენ. მათ გვერდით წყვილები მიმოდიოდნენ, ვიღაც კაფანდარა მოხუცი კაცი ასეირნებდა თასმაზე გამობმულ ჩასუქებულ, გაჭირვებით მობაჯბაჯე ძაღლს. კვარცხლბეკზე ერთად იდგნენ ახოვანი, მაღალი აკაკი და რატომღაც იმავე სიმაღლის უზარმაზარი ილია.

ეტყობა, მათ უცებ ერთი და იგივე გაიფიქრეს, რადგან უსიტყვოდ შეხედეს ერთმანეთს და ირონიულად გაეღიმათ.

— აბა, რა მოსაზრებები გაქვთ? — ჰკითხა ეკამ.

— ოღონდ, გთხოვთ, სხვანაირად არ გამიგოთ.

— ვეცდები...

— მე მესმის, რომ ხელოვნება არ იბადება ასე უცებ, თავისთავად, ცარიელ ადგილზე, რაღაცა ზეციერის წყალობით. ხელოვნება სოციალურია, იგი გამომსახველია თავისი ეპოქის, ავტორის მსოფლმხედველობის...

— ჰო, თუ ვილაპარაკებთ ნამდვილ ხელოვნებაზე.

— სრულიად მართებულია, როცა მომხსენებელი ლაპარაკობს ეპოქაზე, იმ სოციალურ წყობაზე, რომელიც გავლენას ახდენს მხატვარზე. მაგრამ არ დაფიქრებულხართ იმაზე, რომ ეს უბრალო ამბავი არ არის და მხატვრების კატეგორიებად დანაწილებას, ესე იგი, უნიფორმაში გამოწყობას, დიდი ტაქტი და სიფრთხილე სჭირდება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი მაგრამ, უნიფორმა ხომ ერთნაირი არ არის!

— უნიფორმა ყოველთვის უნიფორმად რჩება!.. იგი ვერასდროს ვერ გამოხატავს გენიალური შემოქმედის ყველა სირთულეს.

— თუ კატეგორიებით არ ვილაპარაკებთ, მაშ ვერაფერს ვერ ვიტყვით, აბა სხვანაირად როგორ გავაგებინოთ ადამიანს შემოქმედის სულიერი მდგომარეობა?

— მე არ უარვყოფ კატეგორიებს. ადამიანი სწორედ ამით განსხვავდება მაიმუნისაგან, რომ კატეგორიებით აზროვნებს. მაგრამ მათ უნდა მიეცეს სივრცე, ისეთივე კოლოსალური სივრცე, როგორც თვითონ ხელოვნებაა. აი, მაგალითად: ყველაზე უკეთესი ნაწარმოები საფრანგეთის რევოლუციაზე იყო დელაკრუას „რესპუბლიკა ბარიკადებზე“.

— დიახ, რა თქმა უნდა.

— მაგრამ დელაკრუა ხომ თავგამოდებული მონარქისტი იყო, ანტირესპუბლიკელი! მაშ, თქვენ ამ ნახატს რითი ხსნით, მარტო უზარმაზარი ნიჭით?

— არა.

— მაშ რით?

— მაგაზე უნდა დავფიქრდე... პატივცემულო გივი!

ისინი უკვე ლენინის ქუჩით ეშვებოდნენ, მდუმარენი, თითქოს დაშორებულები ერთმანეთს.

— მე მგონია, — ბოლოს თქვა ეკამ, — რომ, როცა დელაკრუა ხატავდა რესპუბლიკას... ის ნამდვილი რესპუბლიკელი იყო შინაგანად... სადღაც ქვეცნობიერად... მისი პოლიტიკური მრწამსი კი, გარემოსა და აღზრდის მონატანი გახლდათ.

გივის გაეცინა, მაგრამ როცა დაინახა, რა საყვედურით შეხედა ეკამ, ნახევრადხუმრობით შეეკითხა:

— იცით, რატომ გამეცინა? — პასუხი არ მიიღო და ახლა უკვე სერიო-

ზულად განაგრძო: — თქვენი აზრი უდაოდ სწორია. ოღონდ... ყველაფერს კვლავ თაროებზე ანაწილებთ. რა საჭიროა დელაკრუას გამოწყობა „ნამდვილ რესპუბლიკელად...“ დიახ, დიახ, მეც თქვენსავით ვფიქრობ: ოღონდ ამ კატეგორიებად დაყოფის განსხვავებით. დიდი მხატვარი არ შეიძლება უპატიოსნო იყოს — პატიოსნება ყველა დიდი ადამიანის უპირველესი ღირსებაა!

— ყველასი?

— დიახ, ყველასი. როდესაც დელაკრუამ ბარიკადებზე უბრალო ფრანგი ქალიშვილი დაინახა, გოგონას ალტყინების დიადმა სილამაზემ ისე იმოქმედა მასზე, რომ ვერ შესძლო არ გამოეხატა თავისი გრძნობები... თუმცა, ის გრძნობები უკვე აღარ ემორჩილებოდნენ მის მსოფლმხედველობას.

— დელაკრუას ხომ იგივე დაემართა, რაც ბალზაკს, რომელიც თავის თავს აგრეთვე მონარქისტად თვლიდა, თავის ნაწარმოებში კი ულმობელად ანადგურებდა მონარქიას.

— დამაცადეთ, გავიხსენო, — გივიმ შუბლი მოიფხანა, მერე კი მსახიობური პათოსით წარმოთქვა — „როცა ვხედავ ამ მშვენიერ ცას და ამ ვარსკვლავებს, მებადება სურვილი გავიხსნა შარვალი და თავზე... მთელ სამეფო დიდებულებას“.

— არ დაგავიწყდეთ, რომ უხეშობა მხოლოდ გენიოსებს ეპატიებათ! — მკაცრად უთხრა ეკამ და მერე გაეცინა.

— მე მხოლოდ ბალზაკის სიტყვები გავიმეორე, — მორიდებით თქვა გივიმ.

ისინი უკვე არც ისე შორს იყვნენ გმირთა მოედნიდან. მარცხნივ ფიქრის გორას შემორტყმული ქვის მაღალი კედელი, მარჯვნივ — ჭადრები, ტროტუარზე დაფენილი ჩრდილებით, მყუდროებისა და სიმშვიდის შთაბეჭდილებას ქმნიდნენ.

ქვემოდან მათკენ ორი კაცი მოდიოდა. ეკას არ მოეწონა მათი მოშვებული სიარული და ისიც, რომ რამდენჯერმე უკან მიიხედეს.

— მოდით, მეორე მხარეს გადავიდეთ, — თქვა მან.

— რატომ? — გაიკვირვა გივიმ.

ახლა ისინი სულ ახლოს იყვნენ, პირდაპირ მათკენ მოდიოდნენ და გზის დათმობას არ აპირებდნენ.

— მოსაწევი ხომ არა გაქვთ? — ჰკითხა გივის პირისპირ მდგარმა ცხვირმიჭყლეტილმა ბიჭმა.

მეორე, ავადმყოფურად ფერწასული, ეკას პირდაპირ იდგა და თავხედურად მიშტერებოდა.

— ინებეთ, — გივიმ სიგარეტის კოლოფი ამოიღო და ჯერ ერთს, მერე მეორეს გაუწოდა.

„რა თავაზიანად უმასპინძლდება“, — ის იყო გაიფიქრა ეკამ, რომ ფერწასულმა მას მაჯაში თათი ჩაავლო.

— ძალიან ხოშიანი ბეჭედია... აბა, წაიძრე, ლამაზ... — ამის თქმაღა მოასწრო მან, რომ ყბაში გარტყმულმა მუშტმა ჰაერში ააგდო და მერე მძიმედ დაანარცხა ტროტუარზე.

ეკამ დახედა უგონოდ გაშხლართულ ადამიანს, რომელმაც ეს-ეს არის შეაშინა, მერე კი დაინახა, წელში მოხრილი და მკლავებგაშლილი, როგორ უტრიალებდნენ ერთმანეთს, თითქოს ხორუმს ცეკვავენო, გივი და ცხვირმიჭყლეტილი, რომელსაც ხელში გრძელი დანა უპრიალებდა.

ეკა ერთხანს ვერ გაერკვა რა ხდებოდა, მერე კი ხელში მაღლა ამართული პორტფელით გაათრებული გაქანდა ბანდიტისკენ.

მოქნეულმა პორტფელმა მხოლოდ ჰაერი გააპო და ინერციით წინ წაზიდულმა ეკამ იგრძნო, რომ თავით მტერს მიებჯინა... მერე ეკას სახე ოფლიანმა ხელის მტევანმა ჩაბღუჯა და ღონივრად უბიძგა... წონასწორობის შესანარჩუნებლად ეკამ რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ტროტუარის ასფალტზე ჩაიკეცა.

ეკას უნდოდა მაშინვე წამომხტარიყო, მაგრამ იმან, რაც დაინახა, შიშის ზარი დასცა და ყველა მოძრაობა შეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოჰა, გამაფრთხილებელი კივილი კი, იქვე ყელში ჩაუწყდა.

წელში გამართული, მკლავებდაშვებული გივი უშიშრად მიდიოდა ბანდიტის გამოშვერილ დანაზე.

ცხვირმიჭყლეტილს სახეზე გაოცება აღებეჭდა. გაოგნებული მოწინააღმდეგის ასეთი გაუგებარი საქციელით, იგი თანდათან წელში გაიმართა, მერე კი, საზარელი გმინვით დანიანი ხელი მკერდისკენ გაუქანა.

გივიმ სხეული რაღაც უცნაურად უკან გადახარა და, იმავე დროს, მარცხენა ფეხი მტერს პირდაპირ საზარდულში მძლავრად გაარტყა.

დანარჩენი სულ რამდენიმე წამში მოხდა. ეკამ დაინახა, რომ გივის მუშტი უროსავით დაეშვა ტკივილებისაგან წელში მოხრილი ბანდიტის თავზე, როგორ გაუვარდა მას ხელიდან დანა, როგორ დაენარცხა იგი სახით ტროტუარზე და მერე როგორ აფათურებდა ასფალტზე ღონეგამოცლილ მკლავებს წამოსადგომად.

— გივი, დაჭრილი ხომ არა ხართ? — მივარდა ეკა.

— გაეცალეთ აქაურობას! — მკვახედ, თითქმის უხეშად უბრძანა მან.

ეკა გვერდზე გადგა, გივიმ კი ცალი ხელი საყელოში ჩაავლო ბანდიტს, რომელიც ძალაგამოცლილი ეწინააღმდეგებოდა, წამოაყენა და... ეკამ თვალები დახუჭა. მან გარკვევით გაიგონა გარტყმისა და ჩალეწილი კბილების ხმა. ტროტუარზე მძიმედ დაცემულმა სხეულმა ყრუ ზლართანი მოიღო.

— წავიდეთ!.. — უთხრა ხრინწიანი ხმით ეკას გივიმ და მუხრუჭივით ჩასჭიდა ხელი ნიდაყვზე.

ეკამ თვალები გაახილა და უნდოდა მიბრუნებულიყო, რომ დაენახა, მაგრამ გივიმ ამის საშუალება არ მისცა.

— არ არის საჭირო... ეს საზიზღარი სანახაობაა, — უთხრა მან.

— მაშ ჩქარა, ჩქარა!

— ნუ გეშინიათ, ისინი ჯერ კიდევ დიდხანს ეყრებიან ასე. დაიცადეთ. — გივი წავიდა და შემდეგ დანით ხელში დაბრუნდა. — ჰო, საშიში რამაა, სამართებელივით ბასრია!

— გადააგდეთ, მოაშორეთ! — შეევედრა ეკა.

— კი ბატონო, — გივის უნდოდა კედელს იქით გადაეგდო დანა, მაგრამ გადაიფიქრა, იპოვა წყალსაშვები არხის გისოსი და შიგ ჩაუშვა, — წავიდეთ!

გივის მიჰყავდა ეკა ოდნავ ხელკავით, ისე, როგორც ეხმარებიან ხოლმე უცნობ ქალს გუბეზე გადასვლისას.

— თურმე გამბედავი ყოფილხართ... — გივის ხელმა მუხრუჭივით მოუჭირა ეკას ნიდაყვს, — არასოდეს არ დამავიწყდება, როგორ გამოქანდით ჩემს საშველად.

— ოი, მკლავი მატკინეთ!

გივიმ ნიდაყვს ხელი გაუშვა და ახლა ისინი ცალ-ცალკე მიაბიჯებდნენ.

— რატომ მიდიოდით იმაზე პირდაპირ მკერდით, ხომ შეეძლოთ მოეკალით!

— ჰო, ყველა შესაძლებლობა ჰქონდა, რომ ასე გაეკეთებინა, მაგრამ, როცა დავინახე, როგორ გკრათ ხელი, გავცოფდი... და გავბედე. — მერე კი საქმიანად აუხსნა, — რაც არ უნდა ყოფილიყო, უსათუოდ წელში უნდა გამართულიყო, თორემ უეჭველად წავაგებდი.

— რატომ? — გაიკვირვა ეკამ, რადგან გივი მას უკვე უძლეველად მიაჩნდა.

— დანა ბევრად მატებდა სიგრძეს მის მკლავებს. აი, მე კი ჩემმა გრძელმა ფეხებმა მიშველა, — გაიცინა გივიმ და უკვე სერიოზულად დაუმატა, — სხვა გამოსავალი არ იყო.

ეკამ ქვევიდან ახედა გივის, რომელიც, ახლახან მომხდარი ამბის მიუხედავად, დარბაისელი და მშვიდი იყო... და რაღაც თბილმა ტალღამ გული აუვსო.

— რა საზიზღრობაა ეს ყველაფერი... — ცოტა განზე გაიწია და სადღაც გვერდით გაიხედა გივიმ.

— რატომ? — გაიკვირვა ეკამ, — თქვენ ხომ მხოლოდ თავს იცავდით!..

— ჯერ ერთი, მარტო მე კი არა, ჩვენ ორივე. მაგრამ საქმე ეს არ არის, ჩემი პროფესიაა ადამიანის მკურნალობა და არა დასახიჩრება.

— დანა რომ გაეყარა თქვენთვის?! არა, ახია იმაზე!.. — დარწმუნებით წარმოთქვა ეკამ.

ეჰ, რა ხშირად ხდება ცხოვრებაში, რომ ქალი მამაკაცზე უფრო მტკიცეა და პირდაპირი, მაგრამ, სამწუხაროდ, მამაკაცები ამას თითქმის ვერასოდეს ვერ ამჩნევენ.

თავისი სახლის სადარბაზოსთან ეკამ მოიბოდიშა:

— სახლში შეგიპატიჟებდით, მაგრამ ჩვენებს ალბათ უკვე სძინავთ...

— რასა ბრძანებთ, უკვე შუაღამეა. თუ ნებას მომცემთ, ხვალ დაგირეკავთ!

ეკამ უთხრა თავისი ტელეფონის ნომერი, მაგრამ ასე მალე დაშორება მაინც არ უნდოდა.

— მამაჩემი ალბათ გეცოდინებათ. პროფესორი მუჯირი. ქირურგიული კლინიკის დირექტორი.

— დიახ, მივხვდი, რაკი აქ ცხოვრობთ, — რაღაც გულგრილად უთხრა გივიმ, — ნახვამდის.

— მოიცადეთ, ვიდრე ბანდიტები წავლენ.

— მაშინ დილამდე მომიხდება ლოდინი! — გაიცინა გივიმ.

— რატომ დილამდე? — ჰკითხა ეკამ, თუმცა ყველაფერი მშვენივრად გაიგო.

— მაშ, დაგირეკავთ... მე ახლა შვებულებაში ვარ და თავისუფალი დრო ბევრი მაქვს, თქვენ კი, ალბათ ძალიან მოუცლელი ხართ.

— ხვალ ექვსი საათის შემდეგ შინ ვიქნები. მე ერთი რამ მაოცებს.

— რა, რა გაოცებთ?

— მაინც, მაშინვე რატომ მიეცით სიგარეტები? იმათ ეგონათ, რომ შეშინდით და დაგვიპირეს გაძარცვა.

— არა, გაძარცვა მათ ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდათ გადაწყვეტილი, როცა ჩვენსკენ მოდიოდნენ.

— და უკან იხედებოდნენ! თქვენც შეამჩნიეთ ეს, არა?

როცა ქალიშვილი დაჟინებით ცდილობს მამაკაცთან საერთო შეხედულებები იქონიოს, ეხება ეს ხელოვნებას, თუ ბანდიტების საქციელის შეფასებას, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი გატაცებულია.

დინჯსა და ყოველთვის შესანიშნავად თავდაჭერილ ეკას ახლა ეს სრულიად არ ახსოვდა.

— განა არ შეამჩნიეთ, რანაირად იხედებოდნენ აქეთ-იქით? — გაიმეორა მან.

— რა ანაზდეულად შევცვალეთ სალაპარაკო თემა... ყველაზე მაღალი მატერიებიდან, ყველაზე დაბალზე გადავედით, — უგუნებოდ უთხრა გივიმ, რომელსაც აშკარად აღარ სურდა მომხდარ ამბავზე ლაპარაკი.

— არა, მაინც რატომ გაუწოდეთ ისე თავაზიანად სიგარეტები?

— როგორ გითხრათ... — გივი დაფიქრდა როგორ ეპასუხა, — ამის გაგება მხოლოდ მწეველ ადამიანს შეუძლია, რომელიც ხანდახან, ღამის ორ საათზე გამოდის ქუჩაში, რომ პირველ შემხვედრს სიგარეტი სთხოვოს.

— ჰო... მაგრამ აკი თქვით, რომ მიხვედრილი ვიყავი იმ ბოროტმოქმედთა განზრახვასო?

— იქნებ ვცდები. საქმე ისაა, რომ აშკარა მკვლელებისათვისაც კი არასოდეს არ მითქვამს უარი სიგარეტზე.

— სად შეხვედრიხართ მკვლელებს?

— ციხეში.

— თქვენ ციხეში იჯექით?

— ჰო... ჰო, ვიჯექი და არც ვნანობ იმას, რაც ჩავიდინე!

ქუჩის გადაღმა გაჩერებას უახლოვდებოდა უკანასკნელი ავტობუსი.

— ნახვამდის!.. — რაღაც ზედმეტად თავდაჭერილად დაუკრა თავი გივიმ და გაიქცა.

„ციხეში მჯდარა, ღმერთო ჩემო!.. — ვერ იშორებდა თავიდან ლიფტით ასვლისას ეკა, — ნეტავი ისეთი რა ჩაიდინა? იქნებ ქალის გულისათვის... იგი

ისეთი ლამაზია, რომ ყველა ეს არასერიოზული... თავის თავს რომ ყველაფრის ნებას აძლევენ, ეს წყეული ქალები!.. ის კი ისეთი მართალია, პირდაპირი“...

სინათლე მარტო სამზარეულოში ენთო. მარო იჯდა საქსოვით ხელში და როცა ეკა შევიდა, თავი ისე დაიჭირა, თითქოს არ ეძინა.

— აი, მაწონი, ეკუნი. დღეს ისეთი კარგი გამომივიდა, როგორც ჩვენთან, სოფელში ადედებენ ხოლმე.

სამზარეულოს თეთრ მაგიდაზე ყველაფერი გაწყობილი იყო ეკას მოლოდინში.

— არ მინდა.

— თავს ცუდად გრძნობ? — მიშტერებით შეხედა თავის თვალის ჩინს მარომ.

— არა, რაღაც არ მინდა.

— ჰო, გურამმა დარეკა. ხვალ ორი დღით ქუთაისში მივდივართო.

— მიდის და წავიდეს.

— და ბოდიში მოიხადა, რომ ვერ მოვედი გამოსამშვიდობებლადო.

— ეჰ... — ეკა შემობრუნდა და სამზარეულოდან გავიდა.

მთელი ღამე ეკამ რაღაც ბურანში გაატარა, ხშირად ეღვიძებოდა, ერთი და იგივე ფიქრი აწამებდა — „ის ციხეში იჯდა... რატომ?.. რა შეიძლება ჩაედინა ისეთი, რომ... არა, იგი პირდაპირი და პატიოსანი ადამიანია, ნამდვილი ვაჟკაცი!.. ნუთუ შეყვარებული ვარ... არა, არა! რა ძლიერი და გამბედავია... ჩემს დასაცავად სიკვდილსაც კი არ მოერიდა!.. მერე რომ მოეკლათ? მაშინ, მაშინ მე...“

მისი ნაზი, უბიწო სხეული ჯიუტად თხოულობდა ბუნების მიერ მინიჭებულ უფლებას — ჰყვარებოდა მამაკაცი და ყოფილიყო მისი ტრფობის საგანი.

გახურებული სახით ბალიშში ჩაკარგული ეკა მტკივნეულად მგრძნობიარე მკერდით ეკვროდა მკვრივ ლეიბს, და უხმობდა მას... და ისიც მოდიოდა, ვაჟკაცური და ნაზი... თვითონ კი, ისეთი პატარა და სუსტი იყო მის მკლავებში...

მერე, როცა უცაბედად გაწვდილ ხელს მხოლოდ გახამებული ზეწრის სიგრილე ხვდებოდა, გამოფხიზლებული სამდურავს უთვლიდა... თავის მტანჯველს.

უკვე ზურგზე მწოლიარე და თავქვეშ ხელებამოდებული ეკა შეჰყურებდა ქუჩის ფარნების ათინათს ჭერზე, ესმოდა მიმავალი მანქანების ხმაური და თავისუფლებას მონატრებული მხეცების ხან საცოდავი და ხან მრისხანე ღრიალი ზოოპარკიდან.

ეკა ნებისყოფას ძაბავდა, ცდილობდა აეძულებინა თავი სხვა რამეზე ეფიქრა. ადრე, როცა იგი ფიქრობდა გურამზე, თავის ნახევრად ოფიციალურ საქმროზე, ყველაფერი მშვიდად ეჩვენებოდა, იგი თავს წარმოიდგენდა ხოლმე გურამთან, ხან საზოგადოებრივ ადგილებში, სადაც ისინი ელეგანტობითა და კულტურით ყურადღებას იპყრობდნენ, ხან ოჯახურ ვითარებაში, ლამაზი და კარგად აღზრდილი შვილებით, რომლებიც ასე ძალიან უნდა ჰყვარებოდა...

მერე, ისევ და ისევ გამოჩნდებოდა ხოლმე ის მხარბეჭიანი, ნაცრისფერთვალება მამაკაცი — ლომი, მუშტის ერთი დარტყმით რომ ანადგურებდა შეიარაღებულ ბანდიტებს... ის ეალერსებოდა მას, ეკა ვეღარ უძალიანდებოდა... და უსაზღვროდ ბედნიერი იყო.

ჭერზე კი ისევ ციმციმებდნენ ქუჩის ფარნის ათინათები... და კვლავ ნაღვლობდნენ დაკარგულ თავისუფლებას მხეცები ზოოპარკში...

დილის საუზმეზე ეკამ დაიგვიანა. მამას დერეფანში შეხვდა, როცა ის უკვე მიდიოდა.

მამამ ნიკაპში ხელი ჩაავლო, აუწია სევდიანად ჩაღუნული თავი და ცხვირის წვერზე აკოცა. მერე კი, ბუჩქა წარბები მოჭმუხნა და მზრუნველობით შეხედა მის უძილობისაგან ჩაშავებულ თვალებს. მამას უნდოდა ეკითხა როგორა ხარო, მაგრამ, ალბათ, გადაწყვიტა

ქალურ საქმეებში არ ჩარეულიყო, და წავიდა.

„ნეტავი დედაჩემმა არაფერი შემნიშნოს“, — გაუელვა ეკას, როცა სასადილო ოთახში შევიდა და მისი მომლოდინე დედა მაგიდასთან მჯდარი დაინახა.

მაგრამ, ერთთავად ოცნებით მოცული დედა, ერთი შეხედვითვე მიხვდა რაღაც სერიოზულ ამბავს, თუმცა არაფერს შეჰკითხვია, რადგან იცოდა თავისი ქალიშვილის დამოუკიდებელი ხასიათი.

ეკა, სულ ერთია, მაინც არაფერს ეტყოდა, ან ხუმრობაში ჩაუტარებდა, ანდა, საკმაოდ მკვახედ ეტყოდა, რომ ეს მისი პირადი საქმეა.

იქნებ გასაკვირიც იყოს, მაგრამ ეკა მამასთან უფრო მეგობრობდა, თანაც, შეიძლება ნაწყენიც იყო, რომ დედა მის მოხსენებაზე არ მივიდა.

ქალბატონი ელენე ამას მიუხვდა და მობოდიშება დაუწყო.

— რიხტერის უკანასკნელი კონცერტი იყო, რამდენი ხანია არ მომისმენია.

— არა, დედა, კიდევ კარგი, რომ არ მოხვედი, თორემ ძალიან ვიღელვებდა.

ეკას აღიზიანებდა მუდამ მდევნელი, ჩუმი თანაგრძნობით და კითხვით სავსე დედის მზერა, თუმცა იგი ძალიან უყვარდა.

თავის ოთახში შესულმა ეკამ რამდენჯერმე სცადა დაემთავრებინა საგაზეთო წერილი არც ისე დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ მხატვარ ქალზე, მაგრამ მერე მიხვდა, რომ არავითარი მუშაობა არ შეეძლო.

გივიმ საღამოს შვიდის ნახევარზე დარეკა.

— შენ გირეკავენ. ვიღაც მამაკაცის ხმაა, — უთხრა შემოსულმა დედამ.

ეკა განგებ აუჩქარებლივ გავიდა სამზარეულოში, დედა კი უკვე სავარძელში იჯდა და გაორკეცებული ინტერესით განაგრძობდა რომანის კითხვას.

„მერე რა, გაიგონოს“, — გაიფიქრა ეკამ და ყურმილი აიღო.

— ალო!.. დიახ... გამარჯობათ. გმადლობთ, კარგად... ყველაფერმა გამიარა! არა! აბა.. აბა, როგორ აგიხსნათ, რატომ?.. რა ვქნა, ძალიან ცოტა მაქვს თავისუფალი დრო!.. არაფრით არ შემიძლია!

მერე, საკმაოდ დიდხანს ქალბატონ ელენეს არაფერი გაუგონია, რადგან ეკა მხოლოდ ყურს უგდებდა.

— დიახ, გისმენთ... არა! არა... და საერთოდ არაა საჭირო ჩვენი შეხვედრები!.. დიახ, დიახ, ღრმად დარწმუნებული ვარ!

მალულად მოთვალთვალე ქალბატონმა ელენემ შეამჩნია, როგორ შეეცვალა სახე ეკას, როცა მან ყურმილი დადო და თავის ოთახისკენ წავიდა.

„სახის ასეთივე გამომეტყველება ჰქონდა ხოლმე ბავშვობისას, როცა ბიჭებს ეჩხუბებოდა“,—გაიფიქრა ქალბატონმა ელენემ და მწარედ ამოიოხრა.

* * *

ტელეფონით ლაპარაკის შემდეგ, გივა, რომელიც არ ელოდა ეკას ასეთ შეცვლას, ჯერ დაიბნა, მერე გაბრაზდა ქალებისათვის ესოდენ დამახასიათებელ ამ მერყეობაზე და ბოლოს შეეცადა დარწმუნებულიყო იმაში, რომ ეს განცდა გამოწვეული იყო მხოლოდ მამაკაცური თავმოყვარეობის შელახვის გამო.

გივი მხოლოდ ცდილობდა დაერწმუნებინა თავისი თავი... რადგან თანდაყოლილი პატიოსნება, რომელიც სხვების მოტყუების უფლებას არ აძლევდა, აიძულებდა არც თავისი თავი მოეტყუებინა.

„რასაკვირველია, — ფიქრობდა კრიტიკულად განწყობილი გივი, — „შელახული მამაკაცური თავმოყვარეობა“ ძალიან დამაჯერებლად ჟღერს, და თანაც სიმპათიებს იწვევს, კაცობრიობის მთავარი ნახევრის — მამაკაცების მიმართ... ამ შემთხვევაში, ჩემს მიმართ... მაგრამ ყველაფერი ეს სულელური თავის მოტყუებაა!..

ხომ უნდა მეყოს ვაჟკაცობა გამოვტყდე, რომ შეყვარებული ვარ?!“

მართლაცდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში გივის თვალწინ ედგა ლამაზი, ელეგანტურ კოსტუმში გამოწყობილი ქალიშვილის სახე, ხან რომ მოხსენებას კითხულობდა, ხან მის გვერდით გატაცებით საუბრობდა ხელოვნებაზე და ხან საოცარი გულადობით ურტყამდა პორტფელს შეიარაღებულ ბანდიტს.

შვებულების დამთავრებას ოცზე მეტი დღე აკლდა და გივიმ გადაწყვიტა, დროს მხიარულად გავატარებ, მერე კი ვნახავო.

მხიარული დროსტარება, რატომღაც, მაინცდამაინც ვერ გამოუვიდა. მამაკაცები ძალზე მოსაწყენები ეჩვენენ თავიანთი ერთფეროვანი სადღეგრძელოებითა და მოძველებული ანეგდოტებით, ქალები კი მომაბეზრებელი არშიყობით და პრანჭიაობით. ზოგიერთი მათგანი უჩიოდა საშინელ მოწყენილობას და სთავაზობდა გასულიყვნენ სადამოთი ქალაქის... და მოსაბეზრებელი პირობითობის იქით, ზოგნი კი ეუბნებოდნენ, ქმარი მივლინებაშია წასულიო...

მაგრამ გივი კატეგორიულად, თუმცა, როგორც მას ეგონა, დიდი ტაქტით უარობდა. ეს რაღაც ერთი საათით, ან ერთი ღამით სიყვარულის მაგვარი, ახლა სძულდა მას.

მაშინ გივიმ გადაწყვიტა მოეკიდა ხელი საქმისათვის, რომელიც სახლიდან დიდი ხნით წასვლის გამო დაუგროვდა. საჭირო იყო ალჟირში ჩატარებული ნამუშევრების კლასიფიკაცია და იქიდან გამომდინარე გამოცდილების განზოგადება.

და, რაც მთავარია, უნდა შეექმნა ისეთი აპარატი, რომელიც გულის მსგავსად იმუშავებდა, ევარჯიშა ნაკერის დადებაზე, რომ მხოლოდ მერე გადასულიყო ცხოველებზე.

გივი რამდენიმე დღე სახლიდან არ გამოსულა, ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა, ისიც კი, რომ პასუხი უნდა გაეცა წერილზე, რომელიც დოდომ გაგრის სანატორიუმიდან გამოუგზავნა. დოდო გივის ერთ-ერთი ახლო მეგობარი იყო.

სამუშაო მართლაც მალამოდ დაედო აქამდე უჩვეულო განცდებს, თუმცა მის მიერ ჩატარებული ოპერაციების ანგარიშის გვერდით, ან იმ აპარატის ნახაზების გვერდით, რომელიც ვერაფრის დიდებით ვერ გამოსდიოდა, ვატმანის ქაღალდზე რამდენჯერმე ესახებოდა ბიჭურივარცხნილობის მქონე ქალიშვილის სილუეტი.

ბოლოს, როგორც იქნა, მოსკოვიდან ლევანი ჩამოიყვანეს. გივიმ ეს გვიან ღამით შეიტყო ბიცოლას მიერ მაგიდაზე დატოვებული ბარათით: „გივი! მე ვიძინებ. ხუთ საათზე დარეკა ლევანის დედამ, ამ დილით ჩამოსულან. ყველგან ვრეკე და ვერსად გიპოვე. ნინო“.

ამ უკანასკნელ ხანს ეს იყო ერთადერთი ღამე, როცა გივი არ ებრძოდა თავის გრძნობებს.

* * *

ქიმიის პროფესორ გიორგი კაპანაძის ოჯახში დილის საუზმე ჩვეულებრივად მხიარულ მასლაათში მიდიოდა ხოლმე, მაგრამ დღეს ყველა დაძაბული იყო, და მხოლოდ მოკლე და მშრალ ფრაზებს ჯერდებოდნენ.

ამ ოჯახში ყველას ძალიან უყვარდა ლევანი, და მისმა თბილისში ჩამოყვანამ განაახლა, რვა თვის წინ ტრაგიკული შემთხვევით გამოწვეული სევდა.

— ძალიან თავმოყვარეები არიან, — თქვა ძია გიორგიმ, — მე ვუთხარი, ფული მაინც უქმად დევს, დამიბრუნეთ, როცა შესძლებთ-მეთქი... მაგრამ არაფრის დიდებით არ დამთანხმდნენ.

— კარგი, გენაცვალე, შენ ხომ დაეხმარე იმ კლინიკაში მოხვედრილიყო! — უთხრა ქმარს ქალბატონმა ნინომ.

— ეჰ, ამით რომ შველებოდა რამე...

შემდეგ, კარგა ხანს ისმოდა მხოლოდ ჰიქების და თეფშების რაკუნი.

არც ძიას და არც ბიცოლას ხმა აღარ ამოუღია ლევანის გადარჩენის ირგვლივ, გივისთვის რომ თავი არ მოებეზრებინათ. მათ ყველაფერი გივიზე ადრე იცოდნენ.

— გივი, შვილო, — მიაპყრო მას თავისი მსხვილი, ლამაზი თვალები ნინო ბიცოლამ, — ეცადე, თავს მოერიო.

— რაღა თქმა უნდა.

— პატივსა ვცემ ისეთ დედებს, როგორიც ლევანის დედაა, — თქვა გიორგიმ, — საწყალი ქალი, ჭურჭლის მრეცხავად მოეწყო კლინიკის სამზარეულოში, მხოლოდ იმიტომ, რომ შვილის გვერდით ყოფილიყო!..

— საცოდავი მამა კი მთლად მოტყდა. ველარც იცნობ. — თქვა ნინო ბიცოლამ.

— ისევ დეპოში მუშაობს? — ჰკითხა გივიმ ბიცოლას.

— აბა, მაშ სად იმუშავებს?.. ორმოცი წელიწადია, იქ არის.

— არა, მინდოდა მეკითხა, პენსიაზე ხომ არ გავიდა-მეთქი.

— ღმერთო ჩემო, რა დროს პენსიაა ახლა?!

და კვლავ ჩამოვარდა ხანგრძლივი, შემაწუხებელი სიჩუმე.

— ჰო!.. — თქვა გივიმ, — მე ლევანს საჩუქრად მაროკენის ბუდიანი ნესესერი ჩამოვუტანე... მაგრამ ახლა აბა, რად უნდა?..

— ჰო, რასაკვირველია... — დაუდასტურა ძიამ.

— შენ ხომ არ იცოდი. — დაამშვიდა იგი ბიცოლამ.

— მართლა!.. ჩემი ტრანზისტორი! — გივი წამოხტა და სწრაფად გაემართა თავისი ოთახისკენ ტრანზისტორის მოსატანად.

მარტოდ დარჩენილმა ძიამ და ბიცოლამ ერთმანეთს გადახედეს და ორივეს სახეზე აუთამაშდა კეთილი და, ამავე დროს, სიამაყით სავსე ღიმილი.

— კარგი მყავს!.. — თქვა ცოლმა.

— რაო, მარტო შენა გყავს? — შეესიტყვა ქმარი.

ტრანზისტორი „გრუნდინგი“, რომელიც გივიმ უცხოეთიდან ჩამოიტანა, ძალიან ძვირი ღირდა.

— აი!.. — დადგა გივიმ მაგიდაზე ტრანზისტორი, — ლევანს ყველაფერი ეცოდინება, რაც კი ამქვეყნად ხდება.

— ძალიან რთულია, შენ უნდა აუხსნა როგორ იხმაროს, — თქვა ბიცოლამ.

— ლევანს?.. ის ხომ ამეების მოყვარულია!

— ყოჩაღ, კარგი საჩუქარია! — თქვა ძიამ, და რომ დაეფარა გულის აჩუყება, წამოდგა.

ძია ჩვეულებისამებრ უნივერსიტეტში ფეხით წავიდა, ბიცოლა კი გივიმ მანქანით წაიყვანა უცხო ენათა ინსტიტუტში.

— გაბედულად იყავი, გივი, გული გაიმაგრე, გენაცვალე!.. სასწაულებიც ხდება ზოგჯერ... — საჭეზე დადებულ გივის ხელს მიეფერა ბიცოლა, და მანქანიდან გადმოვიდა.

„ნუთუ მიხვდა, რომ მაშინებს ლევანთან შეხვედრა“, — გაიფიქრა გივიმ და დაძრა მანქანა.

ლევანი მშობლებთან ცხოვრობდა ლენრაიონში, ძველად „ნაძალადევს“ რომ ეძახდნენ, რადგან მეფის დროს ხალხს, სამუშაოს გარდა, საცხოვრებელი ადგილიც სჭირდებოდა და იძულებული ხდებოდნენ მთავრობის ნებართვის გარეშე, „ძალადობით“ აეშენებინათ ხუხულები ქალაქგარე უშენ ადგილებში.

ახლა ეს თბილისის ერთ-ერთი ულამაზესი რაიონია, თავისი ფართო ქუჩებითა და მრავალსართულიანი სახლებით.

როგორც გივის მოეჩვენა, ლიფტმა მეტისმეტად სწრაფად აიყვანა იგი მეხუთე სართულზე. კარგა ხანს იდგა იგი კარის წინ, ვიდრე გაბედავდა დარეკვას.

კარი გაიღო ნელა, შიგ მყოფთ, თითქოს ეშინოდათ მომსვლელების. ვიწრო ღრიჭოში გივიმ ჯერ ტუჩებთან მიტანილი ხელი დაინახა, მერე, კი ლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანის დედა, რომელმაც ანიშნა, ჩუმად შესულიყო სამზარეულოში.

სამზარეულოს კარის მჭიდროდ დახურვის შემდეგ, დედამ მობოდიშება დაიწყო.

— ყველა... ყველა, ვინც კი მოდის, მე ჯერ აქ შემომყავს, რომ ავუხსნა...

— გამარჯობათ თამარ დეიდა!.. — უთხრა გივიმ.

— გაგიმარჯოს, გივი, გენაცვალე!.. როგორ დავაჟკაცებულხარ, მზე მოგკიდებია... — და მან აკოცა გივის, ტირილით აკანკალებული ტუჩებით.

მერე ქალბატონი თამარი რატომღაც დაიბინდა, თითქოს ბურუსში გაეხვია. გივიმ თვალები მოხუჭა, და თვალებზე მომდგარი ცრემლები რომ ჩამოეგდო, თავი გაიქნია.

— მაპატიე, შვილო, დაჯექი. ეგ რაღაცა გიჭირავს, დადგი მაგიდაზე.

გივიმ მაგიდაზე დადო მუყაოს ყუთი, მაგრამ არ დაჯდა. ისინი პირისპირ იდგნენ და დედა იმედით შესცქეროდა გივის, თითქოს ის ახლა სასწაულს მოახდენდა.

— არა... ეს შეუძლებელია! უნდა გამოკეთდეს!.. შენ ხომ იცი?!

— აბა რა!.. — დარწმუნებით თქვა გივიმ. — ოღონდ საჭიროა დრო.

— ჰო, დრო... მე დიდხანს უნდა ვიცოცხლო ლევანისათვის!..

ქალბატონმა თამარმა ისე მძლავრად მოკუმა საფეთქლებთან მიტანილი მუშტები, რომ ხელის მტევნები გაუთეთრდა.

— ახლა სძინავს?

— დიდხანს ვიცოცხლო... იმისთვის!.. რაო, რა მითხარი?

— სძინავს-მეთქი?

— არა, არა სძინავს... მარიკა უზის... მოსკოვშიც თან ახლდა, იქ გაატარა მთელი თავისი შვებულება.

— რომელი მარიკა?

— ჰო, შენ იმას არ იცნობ. შენს შემდეგ... ამ წყეულ შემთხვევამდე საცოლესავით იყო.

— ჰოდა, ძალიან კარგი! — ესღა მოახერხა პასუხად გივიმ.

— რა ვიცი... ანერვიულებს ხოლმე! — ბოროტად თქვა ლევანის დედამ, მერე კი, თითქოს მობოდიშებით დაუმატა, — მაგრამ როცა აქ არ არის, მაშინ ლევანი კიდევ უფრო მეტად ნერვიულობს...

— ჰყვარებიათ ერთმანეთი... — დაადასტურა გივიმ.

— ჰო, უყვართ... — ლევანის დედამ ბავშვივით სახეზე ხელები მიიფარა და ატირდა.

— კარგი, თამარ დეიდა...

— კარგი... — გაიმეორა მან და ცრემლები მოიწმინდა, — ახლა შევალთ იმასთან.

— ჰო... ჰო...

— ოღონდ... აქედანვე მინდა გითხრა... ძალიან ნერვიულია, ისეთ რამეებს ლაპარაკობს... არ გეწყინოს, შვილო, იმისგან.

— რასა ბრძანებთ, თამარ დეიდა?!

— და, რაც მთავარია, არ აგრძნობინო, რომ გებრალება.

— არც გავიფიქრებ! — რატომღაც უხეშად თქვა გივიმ.

— წავიდეთ... ლევან, გივი მოვიდა შენთან! — მოჩვენებითი მხიარულებით თქვა შვილის ოთახში შესვლისას დედამ.

გივი შეჰყვა მას, უბრალოდ, თითქოს აქ არაფერიაო... და უცებ იგრძნო, რომ მისი ეს უბრალოება უფრო წააგავდა მოურიდებლობას, და ისეთივე ყალბი იყო, როგორც დედის მხიარულება.

ქათქათა თეთრი ბალიშიდან კი მას ირონიით უმზერდა ორი დიდი შავი თვალი...

— გამარჯობა, ვაჟკაც!.. — გივიმ ლევანს აკოცა, და მაშინვე ჩამოჯდა დედის შემოთავაზებულ სკამზე.

— არაფერია, არაფერი... პირველად გაგიჭირდება, მერე კი გონს მოხვალ. — ჩაცინებით უთხრა ლევანმა.

— რატომ გამიჭირდება... მე... მე არც მინდა.

— მე შენ გუშინ გელოდი, — მიეხმარა ლევანი.

— წუხელ შუაღამისას დავბრუნდი სახლში, ბიცოლამ არ იცოდა, სად ვიყავი, — უკვე მშვიდად აუხსნა გივიმ.

— ჰო, გასაგებია, ლამაზი ქალები... მართლა, გაიცანი, შენი კოლეგა.

გივიმ შემოსვლისთანავე შენიშნა, ფანჯარასთან მჯდარი, თითქოს ოქროს შარავანდედით მოსილი არსება, მაგრამ მაშინ არა ჰქონდა საშუალება შეეხედა. ახლა კი დაინახა, რომ ეს იყო მინიატურული, ოქროსფერთმიანი, ვეება ცისფერთვალება ქალიშვილი.

— გივი.

— მარიკა.

ქალმა მაგრად, ვაჟკაცურად ჩამოართვა ხელი და გივი მძიმედ დაეშვა სკამზე.

— აი, სწორედ ეს გახლავთ ჩვენი განთქმული გივი!.. — ლევანმა მიმართა მარიკას ცირკის კონფერანსიესავით, გაზვიადებულად ბოხი ხმით, — ხედავ, რა ლამაზი ყმაწვილია!.. ადამიანთა არასაჭირო ორგანოების ამპუტაციის ჩემპიონი, საზოგადოების სული, და ქალთა გულების მომნადირებელი.

„რაში სჭირდება ეს ყველაფერი", გაიკვირვა გივიმ.

— ვხედავ. — მშვიდად უპასუხა მარიკამ.

— აი, ამ ცისფერთვალება და მტკიცე ხასიათის მქონე არსებამ კი... — ლევანმა ხმას დაუწია და უკვე აშკარა ირონიით ლაპარაკობდა, — შორეულსა და დაუბრუნებელ წარსულში სისულელე ჩაიდინა და შემიყვარა...

— ჩვენ ორივემ ჩავიდინეთ ეს სისულელე!.. — მტკიცედ შეაწყვეტინა მარიკამ.

— დავუშვათ, მაგრამ ახლა ეს უაზრობაა და ამას არაფრით არ უნდა ამის შეგნება.

— ლევან, ამდენი ხნის უნახავები... მაგაზე, მოდი, სხვა დროს ვილაპარაკოთ, — ჩაერია გივი.

— სხვა დრო აღარ იქნება.

— დაე, ილაპარაკოს. — უხალისოდ აიჩეჩა მხრები მარიკამ.

— ჰა, ჰა, ჰა!.. ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის!.. მაგრამ მაინც უნდა მომისმინოთ. ყველაზე... — ლევანი ეძებდა საჭირო სიტყვას, — სულელური ის არის, რომ ამას გულწრფელად სჯერა, და არ უნდა გაიგოს, რომ მე არავითარი მსხვერპლი არა მჭირდება... და არც არავის სჭირდება, დასწყევლოს ღმერთმა!.. — ლევანს სუნთქვა შეეკრა და ბალიშის ქვეშ ცხვირსახოცს ძებნა დაუწყო.

გივიმ შენიშნა, როგორ დაწვრილებოდა მას კისერი, როგორ გადაჰკრავდა სიყვითლე მის ოდესღაც თეთრ კანს. მხოლოდ ხშირი, ხუჭუჭა შავი თმა კვლავინდებურად გიშერივით ულაპლაპებდა.

— გეყოფათ, მორჩით... ეგ ლაპარაკი, მარტო ორნი რომ იქნებით, მაშინ განაგრძეთ. — მკაცრად თქვა გივიმ.

— როგორც გინდათ. უფრო, მშვიდი საუბარი დავიწყოთ... — ჩაცინებით დათანხმდა ლევანი, — ოღონდ, იცოდე, რომ შენს გართობას არ ვაპირებ... არავითარი სურვილი არა მაქვს, მოვისმინო შენი აფრიკული შთაბეჭდილებები, მხეცებისა, თუ შენს მიერ ნაოპერაციები ადამიანების ამბები არ მაინტერესებს.

ლევანს ათასჯერ მეტი გესლით რომ ეთქვა, გივის მაინც არ ეწყინებოდა. ის მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, საიდან დაეწყო. ღმერთო ჩემო, რა სულელური იყო ეს საყოველთაოდ მიღებული სტანდარტები — „აბა, მოყევი, როგორა ხარ", „რა ახალი ამბებია იქ" და სხვა ამისთანები.

— რატომ არ შეიძლება მშვიდად ვილაპარაკოთ?! — თითქოს უნებურად წამოსცდა მას.

ლევანის დედა შეტრიალდა და შეუმჩნევლად გავიდა, მარიკა კი სადღაც გვერდით იყურებოდა.

— იმიტომ, რომ სხვადასხვა პირობებში ვართ.

— შენც ამბობ, რა...

— ნუ მაწყვეტინებ! მე უსიამოვნო რამეებს გეტყვით, დაგცინებთ და ბევრ რამეს გაკადრებთ... თქვენ კი ყველაფერს მომითმენთ იმიტომ, რომ დამბლადაცემულ ცოცხალ ლეშს არ ეკამათებიან.

— სისულელეა!.. — ძალიან მშვიდად, მაგრამ მტკიცედ თქვა მარიკამ, — ყოველთვის გეკამათებოდი და ახლაც შეგეკამათები!.. შეგვაბრალე რა თავი მაგ შენი „ცოცხალი ლეშით“! შენ მკვდარი იყავი მაშინ, როცა ხელებიც გქონდა წართმეული. ახლა ხომ აგიმოძრავდა!.. ასევე აგიმოძრავდება ფეხებიც. მე ექიმი ვარ და მესმის!..

— მაგ შენს გულის ამაჩუყებელ გამოსვლაში დაგავიწყდა ერთი მთავარი ფრაზა — „ოღონდ საჭიროა დრო!..“ — და ლევანი ახარხარდა გივისთვის რაღაც უცხო, ისტერიკული სიცილით.

— დიახ, დრო!.. და გამოკეთების სურვილი!.. — მშვიდად მოუჭრა მარიკამ.

„ამასთან და, ძალიან საჭირო, როგორც მარიკა ელაპარაკება“, — გაიფიქრა გივიმ.

— მე მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს... — ყრუდ, ოცნებით დაიწყო ლევანმა, — რომ მხოლოდ ერთი დღით დამიბრუნდეს ადრინდელი ჯანმრთელობა.

— მოითმინე, ლევან, გენაცვალე... და ყველაფერი იქნება! — გივიმ ხელი მოკიდა მის გამხდარ, ცხელ ხელს, მაგრამ ლევანმა გამოგლიჯა.

— მე ვიპოვი იმ არამზადას, რომელმაც პროსპექტზე საკანალიზაციო კოდი ღია დატოვა... და ლორივით ყელს გამოვჭრი... და მარტო იმას კი არა, მთელ მის ოჯახს!

მარიკა წამოდგა, ჭიქაში ჩაუწვეთა დასამშვიდებელი, მაგრამ ლევანმა არ დალია.

— ანდა, შოფერი ახალბედა და გამოუცდელი ყოფილიყო... იმ უბედურს, ორი ობოლი დარჩა.

— კარგი, მაგაზე ნუღარ ვილაპარაკებთ! — შეაწყვეტინა გივიმ ლევანს.

— აბა, მაშ რაზე ვილაპარაკო, რაზე?.. ალპინიზმზე თუ ფეხბურთზე?

— მართლა!.. მე რაღაცა მაქვს შენთვის. სამზარეულოშია, ახლავე მოგიტან.

სამზარეულოში დეიდა თამარი თურქულ ყავას ამზადებდა. სინზე უკვე კონიაკი და ფინჯნები ელაგა.

— ყოველთვის ასე ნერვიულობს... ღმერთო ჩემო, ეს რა დღეში ჩამიგდეს!.. შენ კი, გივი, კვერს ნუ უკრავ, შვილო, თორემ მთლად...

— არა, თამარ დეიდა.

— ნურც ძალიან შეეკამათები.

— კეთილი.

გივი ლევანთან დაბრუნდა და პირდაპირ მის ლოგინზე დაიწყო მუყაოს ყუთის გახსნა, რომელშიც ტრანზისტორი რადიო იდო.

ლევანი ინტერესით უყურებდა, და როცა გივიმ ამოიღო პრიალა, ნიკელისღილაკებიანი ტრანზისტორი, ჰკითხა:

— დიდი ხნით მათხოვებ?

— შენ გეკუთვნის. ეს ჩემი საჩუქარია.

— შენთვის გექნებოდა ნაყიდი... და ახლა გინდა მე მაჩუქო?

— არა მაქვს მე ამის უფლება, შენს საუკეთესო მეგობარს?!

გივის გაუკვირდა, რომ ლევანმა ერთხელაც არ თქვა უარი.

— გმადლობთ. სიკვდილის შემდეგ შენ გიანდერძებ...

გივიმ თითქოს ვერ გაიგონა და დინჯად შეუდგა ახსნას, თუ როგორ უნდა გამოუცვალო ბატარეები ტრანზისტორს.

ლევანს ბავშვივით უხაროდა და ამით ძალზე კმაყოფილმა გივიმ, მგონი შეცდომა დაუშვა, როცა თქვა:

— ამ ტრანზისტორით შენ, ახლა მთელ მსოფლიოს მოუსმენ!..

ლევანი მოიღუშა, ერთი პირობა რაღაცაზე ჩაფიქრდა და მერე ჰკითხა:

— გახსოვს, გაბრიელ დ'ანუნციოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოთქმა, რომელზედაც ჩვენ იმდენს ვიცინოდით?

— არა... რომელი?

— „მთელი მსოფლიო — ეს მე ვარ... და მე, ეს მთელი მსოფლიოა!“

— ამბობენ, სიბერისას ცოტა ჭკუაზე კარგად არ იყო, ოთახში მარმარილოს კუბო დაიდგა და შიგ იძინებდაო. — თქვა მარიკამ.

— რა ჩემი საქმეა, სად იძინებდა?.. მთავარია, რომ გენიალური ნათქვამია.

— მაგ სიტყვებში, ჩემის აზრით, თავის თავზე დიდი წარმოდგენა უფროა, ვიდრე გენიალობა. — გივის უხაროდა, რომ ლევანი გამოეთიშა ბნელ ფიქრებს, ეს კი, მთავარი იყო.

— ნუთუ არ გესმით?.. „მთელი მსოფლიო — ეს მე ვარ“ მეტყველებს იმაზე, რომ სამყაროს აღქმა — თავისი ტექნიკით, ხელოვნებით, ბუნების სილამაზითა და... სისულელეებითაც კი, თვით ადამიანშია. მაშასადამე, რადგან ადამიანი თავისი თავის პატრონია, სამყაროს პატრონიც არის... და მასზეა დამოკიდებული, ამ სამყაროს არსებობა, უნდა თუ არა.

ახლა გივი მიხვდა, საითკენაც უხვევდა ლევანი და თავს იწყევლიდა მოუფიქრებლად ნათქვამისთვის.

ამ დროს მარიკა რატომღაც მუსიკით დაინტერესდა და დაჟინებით მოსთხოვა ლევანს, რომ ისევ ის სადღეური დაეკრა.

„ეტყობა, მარიკაც მიხვდა და ცდილობს ყურადღება სხვა რამეზე გადაუტანოს“, — გაიფიქრა გივიმ.

მათ დალიეს ყავა, ლევანი ცოტა გაჭირვეულდა, როცა მეორედ კონიაკი არ დაუსხეს, მერე კი, მთლიანად ტრანზისტორმა გაიტაცა, რამაც გივი ძალიან გაახარა.

მარიკა კვლავ მოწყენილი იჯდა, და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა გახარებულ გივის, რომელიც ღიმილით უყურებდა ტრანზისტორით გართულ ლევანს.

„ეს ქალი კი არა, რაღაცა სფინქსია“, — გაიფიქრა გივიმ და ოთახის თვალიერება დაიწყო.

კვლავინდებურად, ყველაზე შესამჩნევ ადგილას ეკიდა ლევანის მიერ შესრულებული გივის სურათი, მის ქვეშ კი — ჯამბაზურად ჩაცმული დათოს და ვეება კბილებდაკრეჭილი დოდოს კარიკატურები.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტრუს ბროვკა

## ჩვენს ჭერქვეშ გადის...

მომრავლებულან ანტენები, როგორც ტყეები,
სახურავებზე აღმართულნი მიჯრით დამდგარან.
ცისფერ ეკრანზე ციმციმებენ სინათლეები
და დედამიწის მაჯისცემის ისმის დგანდგარი.

მთელი თავისი სიხარულით, ტკივილით, დარდით,
როგორც სამყარო, უსაზღვრო და დაუსაბამო,
მძაფრი მეოცე საუკუნე ჩვენს ჭერქვეშ გადის
ყოველ შუადღეს, ყოველ დილას, ყოველ საღამოს.

* * *

წლები მიდის, სიჭაბუკე დავიწყებას ეძლევა,
წვიმით ლბება ტყეში მარტოდ მდგარი ქოხი, ფიჭვები,
ჰეი, სად ხართ, მეგობრებო, უთქვენობა მეძნელა,
თქვენ გეძახით, თუნდ ერთი დღით შევიკრიბოთ, ბიჭებო

ჩავისუნთქოთ დილის სიო, ვკრიფოთ სხივთა მტევნები,
ნამდაყრილი ბალახების სუნთქვით დავთვრეთ ყველანი,
თუ წარსულის მოგონებით თვალს მოსწყდება ცრემლები,
შეუმჩნევლად შევიმშრალოთ, ვერ შეგვნიშნოს ვერავინ.

ფიჭვიანში, ნაძვიანში სადმე ცეცხლი დავანთოთ,
სიჭაბუკის ლამაზ წლებში შეუმჩნევლად დავბრუნდეთ,
დავსხდეთ, ჩვენი გულის დარდი კვლავ ერთმანეთს გავანდოთ,
თხმელის ფოთლის პაპიროსი გავაბოლოთ, გავბრუვდეთ.

ნაღვერდალში დაბრაწული კარტოფილის გემოთი
მოხიბლულებს დაგვყურებდეს გოლიათი ფიჭვები...
ჰეი, სად ხართ, მეგობრებო! რა შუქსავსე დღე მოდის,
მოდით, თუნდაც სულ ერთი დღით შევიკრიბოთ, ბიჭებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

დიახ, გვიყვარდა ერთმანეთი. ეს ასე იყო...
მაგრამ დრო დადგა, დაიშრიტა ცეცხლი ციური.
ტყუილუბრალოდ როდი უთქვამთ, რომ ქვეყანაზე
არაფერია უცვლელი და მარადიული.

და თუ ახეა, მაშ დავცილდეთ. ერთიმეორის
გულს ნუ დავკოდავთ და ტკივილით ნუღა დავნისლავთ, —
ქვეყნის ნაწილნიც ხომ განშორდნენ და იმათ შორის
უკიდეგანო ჩადგა სივრცე ოკეანისა.

* * *

გადაიქროლეს დღეებმა გრგვინვით.
ვერ დააბრუნებ. მოდის ზამთარი.
ვით უწინ, იდგამს ცა ცისკრის გვირგვინს,
ჰყვავის ბუნება შუქით გამთბარი.

ჩვენ კი აღარ ვართ, რაიც ვიყავით,
აღარც გულსა აქვს ის ნაღვერდალი,
მაინც ნატვრისგან თავს ვერ ვიკავებ, —
შენთან თუნდ ერთხელ დღეს ვიყო ნეტავი.

ბრძენთ, თეთრთმიანებს გვიკრთება ძილი,
ნუგეშს სულ მცირე რამღა გვიღვივებს —
ალერსის სიტყვა ჩაგვესმის დილით
და ძილის წინაც — სიტყვა იგივე.

* * *

როცა ამ ქვეყნად აღარ ვიქნები,
აყვავდებიან ბაღნი ისევე,
მაისის ნამით შეიფიფქება
ვარდი... და ვინმე მეც გამიხსენებს.

როცა ცა ელვით აივსებს უბეს,
რომ გაზაფხულის დადგომა იგრძნოს,
უცებ პირველი ქუხილი ღრუბელს
შესძრავს... და ვიღაც ჩემს ხმასაც იცნობს.

როცა ითქმება სიტყვა მართალი,
წარსულ ომს, ომში ნაჭედ სტრიქონებს
გაიხსენებენ, ზეშემართავენ
თასებს... და ვინმე მეც მომიგონებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს დასძახებენ ფრონტულ სიმღერას,
დარეკს ფოლადი მეგობართ ხმაში
და მის ექოზე ცა შეირხევა, —
ჩემი ძახილიც იქუხებს მაშინ.

როს სადმე, ტყეში, მდინარის თავზე,
სადაც ფარფატებს დუმილის ფრთები,
დაიბადება ქარიშხლის მსგავსი
ლექსი... მეც ვინმეს მოვაგონდები.

როს ცივ ღამეში შეყვარებულ წყვილს,
ლირიკის სითბო შეაერთოლებს,
ფრთაანცი ქარი შეარხევს წიწვებს, —
და ჩემი ლექსი გაიშრიალებს.

როს დილა მოვა სხვა საზრუნავით,
შრომის დუღილით, სხივთა შოლტებით,
როგორც ეს შუქი, აღმა მბრუნავი,
მე იმ დღეებშიც განვმეორდები.

* * *

მშობელ ველზე დამაწვინე,
როს შორ გზებზე დავიღლები,
დამახურე ფრთა არწივის,
დამიფინე მტრედის ფრთები.

არწივის და მტრედის ფრთანი
ბავშვობაში თავს დამქროდა,
ვიყავ მუდამ უშიშარი,
მაგრამ მტრედის გული მქონდა.

არ მომაკლო სუნთქვა ლაღი
ჩემი მიწის — ედემისა,
არწივების ხმა ამაყი
და ღუღუნი მტრედებისა.

ბელორუსულიდან თარგმნა
თეიმურაზ ჯანგულაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**იანის რიცოსი**

# ბორცვი

ვინც კი ჰყავდა, ყველა დამარხა:
თვით გაუთხარა სამარე და
თავისი ხელით მიაბარა ყველანი მიწას...
ქვას ქვა დაადო, მიაყარა გოროხს გოროხი.
წამოიმართა დიდი ბორცვი.
ბორცვზე დასახლდა;
ქოხი დადგა, აღმოსავლეთით უქნა პირი;
მერე გაკვალა ბილიკები.
ხეები დარგო წესის დაცვით,
გულმოდგინედ, აზრიანად შრომობდა დიდხანს.
თვალები მუდამ უცინოდ
ხოლო ხელები,
ხელები თითქმის არ უთრთოდა.
გამოჩნდა ბორცვი.
საღამოობით, ყოველ კვირა,
ამოდიან ხოლმე დედები, ჩვილები მოჰყავთ,
სუფთა ჰაერს დახარბებული.
გამოხუნებულ ხალათიანი
ახლობელი კვარტალების მკვიდრი მუშები
ეფიცხებიან მზეს, სიამით თვალმილულულნი.
საღამოობით აქ წყვილები დასეირნობენ,
ვარსკვლავთა წიგნის კითხვას სწავლობენ,
ხის ჩრდილში ბიჭი აწრიპინებს პატარა გარმონს და
ლიმონათის გამყიდველი საქონელს იქებს.

---

* იანის რიცოსი თანამედროვე ბერძენი პოეტია. მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა 30-იან წლებში, საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი ორგანოს ფურცლებზე. რიცოსის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია ჰუმანიზმის კეთილშობილური იდეებით. მისი აქ წარმოდგენილი ლექსები აღებულია წიგნიდან „შენიშვნები დროის მინდვრებზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ხმამაღლა სთავაზობს მოსულთ.
და ყველამ იცის — რომ აქედან,
რომ ამ ბორცვის მწვერვალიდან ახლოა ზეცა.
უფრო ახლოა.
მაგრამ როგორ გაჩნდა ბორცვი, არვინ უწყის.
არვინ უწყის რამდენი გული განისვენებს იმის წიაღში.

## უსიტყვო განშორება

ქალმა ხელი წამოავლო წამოსასხამს,
არ უტირია.
თითქო ზაფხულის ღამის ციდან
მთვარე წაიღო.
კაცს არ სჯეროდა, მთელი ღამე ელოდა კაცი.
ელოდა ერთ დღეს, მეორე დღეს,
მესამე დღესაც...
აი, მეორე კვირის თავზე
ამოვიდა ახალი მთვარე.
იცოდა კაცმა, ქალი აღარ დაბრუნდებოდა.
მხოლოდ სარკეს, თითქოს სარკმელს
უმთვარო ცაზე ღიად დარჩენილს
კარგად ახსოვდა ყველაფერი,
ახსოვდა, რადგან
ქალმა ხელი წამოავლო თეთრ წამოსასხამს.

## დაგვიანება

მოულოდნელად გაქრა ზაფხული
და ჩვენ ისევ დავიგვიანეთ.
მთათა წვეროებს თავს დაადგა ცივი ღრუბლები,
ვით ნიღბები უძველესი ტრაგედიისა.
რა გვეშველება?

ფეხსაცმელი, თუმცა დაძველდა,
მაინც გვიჭერს, გვევიწროება,
შუქი, სინათლე და ღრუბელიც გვევიწროება.
ხეს აყვავებულს, პურს სურნელოვანს,
ანკარა წყაროს და ხვალინდელი დღის გადასახედს
ვუახლოვდებით დაბნეულნი, გულამომჯდარნი
და ისეთი გრძნობა გვაქვს, თითქოს
სამარადისოდ დაგვაგვიანდა.

ნუთუ ასეთი გრძელია გზა ჩვენი სავალი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზაფხული ქალაქად

სასოწარკვეთას ცოტა გიკლია, იმდენი მზეა.
მზეს შენ არ ჰყოფნი.
სურს ორნი იყვეთ,
ყურში უწყვეტი გუგუნი გიდგას:
ტრამვაი უხვევს...
ამ გაგანია შუადღისას ქვისმთლელები
მარმარილოს ანაწევრებენ...
გალავანი, გალავნის მიღმა — საფლავის ქვები,
მარმარილოს ყვავილები, მარმარილოს თეთრი ბაფთები,
მარმარილოს ბანკირი და ბავშვის თავი მარმარილოსი,
ანგელოსის ფრთათა ჩრდილქვეშ შეფარებული.
არ შეუძლია ატიკის მზეს გულგრილად ყოფნა
და უხილავ პროექციებს სთავაზობს იმათ.
და რა არის გასაკვირი, თუკი გუშინ, საღამო ხანს,
სამუშაოდან შინ მიმავალს,
როცა პური და პამიდორი იყიდე ვახშმად,
ხეივანში
მარმარილოს ყმაწვილი შეგხვდა,
დასეირნობდა, რომელიღაც ფიქრს უღიმოდა...
შენ ჩამოჯექი მერხზე, წყლის პირად
და ნამცეც-ნამცეც დაუფშხვენი ოქროს თევზს პური,
და მთელი ღამე თვალს რული არ მოგკარებია.
ძილგამკრთალს არც კი გაგხსენებია,
რომ შენ თვითონ მშიერი დარჩი.

## სადიდებელი

ის იდგა გზაზე,
შორით იდგა, ვით ხე განძრცვილი,
მტვერწაყრილი,
ვით ხე მზისაგან გადამწვარი
და მზეს უმღერდა,
მზეს ჩაუქრობელს.

## შიში ცხოვრებისა

გაქვავებული დღე.
გაქვავებული დისკო მზისა,
სიჩუმე ლოდის.
სადღაც, მთებში დაწყდნენ ცხენები,
დაეცნენ ხენი, — ამომხრჩვალნი ცემენტისაგან.
შენღა გადარჩი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც არის მიწყდება ბგერა —
ძლივს გასაგონი ხმა ფლოქვთა ცემის,
მიილევა სუნთქვა ხშირი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, —
საცაა შთანთქავს შუადღის ალხი
მარმარილოს სვეტებად მდგარი.
შიშობ — ვაითუ აღარ მოკვდე,
გეშინია — მდინარე წყლების,
დატბორვენ რომელნიც ყოველს...
შიში, სუნთქვა, წყლები — ცხოვრება...

## მ თ ვ ა რ ე

მთვარე, მთვარე, მთვარე,
გაზაფხულის ღამის სარკმელი.
ყვითელი, მრგვალი და პატარა სამზერის მიღმა
მიმალულან ღამის ნიღბები,
აჩრდილები დაფრიალებენ
ყოვლისმხილველნი,
თუმც უჩინარნი ჩვენი თვალისთვის,
ისინია რომ წარმართავენ შენს ბედისწერას.

იდუმალია აქ ყოველივე, შეურყეველი...
მყუდრო, მაგრამ შეუცნობადი
და ამიტომაც აგრე უტყვი, ფერგადასული,
როგორც რაიმე შეცნობილი, ამოხსნილი თავით ბოლომდე,
რომელიც მეტად აღარავის აინტერესებს...

## ა ნ ა ლ ო გ ი ე ბ ი

გაწყალებულან აუზში ვარსკვლავები, მინისლულან,
ძველი სამოსახლოს შუა ეზოში —
ვით სარკე, დაცარიელებულ, დაკეტილ ოთახში
გარინდებულა აუზი.
გარს მტრედები შემოჰხვევია,
მთვარის გარშემო ყვავილის ქოთნები აწყვია...
ჩვენი ჭრილობის არშიაა ჩვენი სიმღერები.

ახალბერძნულიდან თარგმნა იზა ორჯონიკიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ წულეისკირი

# დავიცვათ სოფლის სილამაზე

საქართველოს ედემს და სამოთხეს ადარებდნენ. უცხოელები დღესაც მოხიბლულნი რჩებიან ჩვენი კუთხის სილამაზით. რა გვაქვს ლამაზი, რა ხიბლავს ადამიანს, როცა ჩვენს მიწა-წყალზე ფეხს დაადგამს?

ცხადია, ცათამბჯენებით ჩვენ ვერავის გავაკვირვებთ, მაგრამ თავმოსაწონებელი ბევრი რამ გაგვაჩნია; ვიდრე უცხოელი ჩვენს წარსულს, აწმყოს; სულიერსა და მატერიალურ კულტურას გაიცნობდეს, პირველი, რასაც თვალს მოჰკრავს — ბუნებაა: მთები, მდინარეები, ტყეები და ქართული სოფლები. თუ ახალი დიდი ქალაქები ძირითადად ტიპიური პროექტებით შენდება, სოფლები ძველთაგანვე სტიქიურად, უპროექტოდ და უგეგმოდ, ხალხის ფანტაზიით შენდებოდა. ხალხის გენიას სწორედ სოფლებში შეამჩნევს ადამიანი. ზოგი სოფელი მთის ფერდობზეა შეფენილი, ზოგი მდინარის პირას, ზოგიც ვაკეზე. ზოგ სოფელს მთიდან გადმონაქუხი ნაკადული ჩამოუდის, ნაკადული ლამაზ ხეობას ქმნის, ეს ხეობა კი სოფელს განუმეორებელ ელფერს აძლევს.

სხვადასხვა ოსტატის მდიდარი ფანტაზიით ნაგებ კოხტა ოდებსა და სამზადებს როცა თავზე ადგას მწვანით შემოსილი მთა, ან სოფლის შუაგულში ანკარა წყარო მოედინება, წყაროს პირას ბებერი მუხა დგას, როცა ყველაფერს ამას გვირგვინს ადგამს მთაზე აღმართული ძველისძველი ციხის ნანგრევი, ბუნებრივია, იქმნება დიდი სილამაზე, ბუნებისა და ხალხის მიერ ძველი საუკუნეებიდან ჩვენს დრომდე მოტანილი. ეს სილამაზე მოხიბლავს ნებისმიერ ცივილიზებულ ადამიანს.

დღევანდელი ჩვენი სოფელი თანდათან კარგავს თავის ამ კოლორიტულ, თავისებურ სახეს და რკინიგზის სადგურებივით ყველა ერთმანეთს ემსგავსება.

სადღაა სახალხო ოსტატების მიერ გულმოდგინედ აშენებული, მოხატულ დედაბოძიანი გვირგვინოვანი ქართული დარბაზები, აივნიანჩუქურთმიანი კოხტა ოდები. მათ ადგილი ორსამსართულიანმა უგემოვნოდ აშენებულმა ოთხკუთხედმა, რვა და ცხრაოთახიანმა ბრიკეტის ნაგებობამ დაიკავა. დაიკარგა სილამაზე, შეიბორკა ფანტაზია, მდიდრული ცხოვრების სურვილმა წალეკა შემოქმედება.

ადრე ყველა სოფელს ჰყავდა თავისი „ხის მოხელე“, „ქვის მოხელე“, „ბუხრის მოხელე“... სიტყვა „ოსტატი“ პატივისცემითა და ყურადღებით იყო გარემოსილი. გლეხკაცებისაგან, მიწის უბრალო მუშებისაგან ოსტატი ბუნებრივი, თანდაყოლილი ნიჭიერებით გამოირჩეოდა. ნამდვილი შემოქმედივით დღე და ღამე თავის ხელობაზე ფიქრობდა, საქმის სიყვარულით იწვოდა. ოსტატებს შორის იყვნენ უკეთესები, ეგრეთწოდებული ოქროსხელიანი ხისა და ქვის ხუროონი. ოქროსხელიანს ეძახდნენ იმ ოსტატს, ვინც ლამაზ სახლს აგებდა. საცხოვრებელს აივანსა და მკერდს მოუჩუქურთმებდა, დედაბოძს მოუხატავდა, კარფანჯრებს ისე გამოუხარატებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ. ახალმოსახლე სწორედ ასეთ ოსტატს, დღევანდელ ენაზე რომ ვთქვათ, არქიტექტორს დაეძებდა. ოღონდ იმ სახალხო არქიტექტორს წიგნი საერთოდ თვალით არ ენახა, შენების ინსტინქტი კი დედის მუცლიდან გამოჰყოლოდა, განგებას გაეჩინა ხუროთმოძღვრად. ამ სახალხო ხუროთმოძღვრის მიერ

აშენებულ სადგომში დაიდებდა გლეხკაცი ბინას, დამხმარე სათავსოებს: მარანს, ბეღელს, ბოსელს, სალორესა თუ საქათმეს თვითონ მოაცოდვილებდა. ქის მთხრელს ქას ამოათხრევინებდა, მეჭიშკრეს ჭიშკარს შეუკვეთავდა, წავიდოდა სოფლის ბაზარში, ადგილობრივი მეჭურჭლეებისაგან შეიძენდა გობს, კეცს, კოთხოს, ხალამს, ქოთანს. მჭედლებისაგან: დანებს, ცულს, წალდს, ნამგალს, ცელს... ასე და ამგვარად, პრიმიტიულად, მაგრამ ლამაზად გამართავდა ოჯახს და მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგებოდა. ყოველი ნივთი გულდაგულ, დიდის ოსტატობით იყო გამოხარატებულ-გამოკვერილი, მათ ხომ ოქროსხელიანი ოსტატები ამზადებდნენ!

დღეს სოფელში აღარ არიან მეთუნენი, მწახნაგენი, დაბალნი.., ადამიანს ტიკის ყიდვა რომ უნდოდეს, ვერსად იშოვის, სოფლის მაღაზიაში იყიდის ნავთის პლასტმასის ბიდონს, ჩაასხამს შიგ ღვინოს და მიაქვს ქალაქში, ოოლას გადის. რეზინის სათბურში და ჟანგბადის ბალიშში ჩასხმული ღვინოც გვინახავს და ვედროში ჩაწველილი რძეც.

ცხადია, დღევანდელი კოლმეურნე გაცილებით უფრო შეძლებულად ცხოვრობს, ვიდრე მეთორმეტე საუკუნის საქართველოში მცხოვრები გლეხკაცი, მაგრამ მეთორმეტე საუკუნეში მცხოვრები ქართველი კაცი სტუმარს წყალღვინოს არ გამოუტანდა, არც ძღვნად წაუღებდა ვინმეს პლასტმასის ნავთის ბიდონში ჩასხმულ შაქრიან ღვინოს. ქართველ კაცს ღვინისთვის ყოველთვის ჰქონდა ცალკე ჭურჭელი — ქვევრი, ტიკი, კასრი, რუმბი. რძისთვის — ნიგა, ტაგანი, ქოთანი, მაწვნისთვის — ქილა, ქასლაშია, ჩაყვა და ა. შ.

თანამედროვე ჩვენი კოლმეურნე მეთორმეტე საუკუნის ადამიანივით ვერ იცხოვრებს. და არც იცხოვრებს. ტექნიკამ და პროგრესმა ცხოვრება ზღაპრულად შეცვალა. იცვლება გლეხკაცის ყოფაც, ცხოვრების წესი, შრომის იარაღები, ბინა, ნივთები, სამოსი. ეს ცხოვრების მოთხოვნაა, ეს წინსვლაა, პროგრესია, მაგრამ როცა ქართველი კაცი კოინდრიან ეზოს მტკაველის სისქის ბეტონს დაასხამს. მწვანე მდელოს ბეტონს ამჯობინებს, არ უყვარს მცენარე, პირუტყვი, გულგრილად შესცქერის ბუნებას, არ ზრუნავს ლამაზ ცხოვრებაზე, კარგ ცხოვრებას იმას ეძახის, თუ რამდენიმე მანქანას დააყენებს თავის მობეტონებულ ეზოში და როგორც გარაჯს, ჭიშკარს უზარმაზარ ბოქლომს დაადებს ღამღამობით, როცა კარგავს სილამაზის გრძნობას, — ასეთი კაცი სასიკეთოს არაფერს მოუტანს საზოგადოებას. სოფელს სწორედ ისართმევს შნოსა და ლაზათს, ხელს უწყობს ტრადიციული ლამაზი ქართული სახლ-კარის გაქრობას, ამკვიდრებს სიმახინჯეს, უგემოვნებას და მეშჩანობას.

თანამედროვე სოფელს და მის მკვიდრთ არ აკლიათ საჭმელ-სასმელი, ბინა, ავეჯი, ელექტრონი, ტელევიზორი, მაცივარი და ახალი ცხოვრების სხვა სიკეთე, აკლიათ მხოლოდ სილამაზე. დაუოკებელი გამდიდრების სურვილს ეწირება ლამაზად ცხოვრების უნარი. სოფლის ესთეტიკაზე, სოფლის ყოფის სილამაზეზე ბევრ სოფელში არ ზრუნავენ. ხალხის შემოქმედების, ფანტაზიისა და ნიჭიერების დაღი არ აზის თანამედროვე სასოფლო ნაგებობებს, ყოფის საგნებსა და ნივთებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკომპრომისო, შეურიგებელმა ბრძოლამ წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ყველა უბანზე, ყველა სფეროში, უმწიკვლო სახალხო მოღვაწეობამ უმოკლეს ხანში ბევრი რამ შეცვალა რესპუბლიკაში. იცვლება ცხოვრება, გამაჯანსაღებელი სიო სოფელსაც მიწვდა. ყურადღება მიექცა შატილს, სვანეთსაც დაეტყო მზრუნველი ხელი. ქართული სოფლის დიდი აღორძინება უკვე დაიწყო. პირველი ნაბიჯები ამის იმედს იძლევა. მაგრამ ბევრი რამ კვლავ გასაკეთებელია.

დაუდევრად ვექცევით სოფლის ბუნებას.

სოფლის სილამაზე მისი ბუნებაა; მცენარეული საფარი, მთა, მდინარე, მგალობელი ფრინველები, სოფლის ახლო-მახლო მობინადრე წვრილი ნადირი: კურდღელი, ტურა, მაჩვი...

დღევანდელი ჩვენი ბარის სოფლები მცენარეული საფარისაგან კარგა ხანია გაძარცულია, სოფლის ტყეებს ჯვარი სწერია, ნადირ-ფრინველისთვის ბუჩქიც კი აღარსადაა, სად შეაფაროს თავი ტყიურმა? სად გაითხაროს სორო, სად დაიდოს ბუდე! მგალობელი ფრინველები ბარის სოფლებს აღარ ეკარებიან. აღგნენ და გადაიხვეწნენ. სოფლები ბეღურების ამარა დარჩენილან. ადრე კი ასე არ იყო.

დილით გლეხკაცს ტოროლას წკრიალა ხმა აღვიძებდა, საღამოთი ბულბულის გალობა ატკბობდა.

მგალობელი ფრინველებით სავსე იყო ეზოები.

არ გეგონოთ, დავით აღმაშენებლისდროინდელ საქართველოზე მოგითხრობდეთ; ოციოცდაათი წლის წინათაც სოფელში მოისმენდით შაშვის გალობას, ბულბულის ჯადოსნურ კვნესას, მოლაღურის „ბიჭო გოგიას“, გუგულის „კაფე-კაფეს“, ეზოში შემოგიფრინდებოდათ ოფოფი. აკაციის კენწეროებს ჩხიკვი ჯაფარა შეარხევდა, ხოლო ოდა-სახლის ფანჯარასთან გულწითელას სტვენა ბედნიერების მაუწყებელი გეგონა.

მგალობელი ფრინველი სოფლის სამკაულია. ხის კენწეროებზე შემომჯდარი მოჭიკჭიკე ჩიტი სახილველად ხომ მშვენიერია, მის გალო-

ბას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაცა აქვს.

მგალობელი ჩიტი ქართველი კაცის კარ-მიდამოს განუყრელი თანამგზავრი გახლდათ. კოლხ თუ იბერიელ ყრმას აკვანშივე, იავნანასავით ჩაესმოდა მაფშალიას გალობა. გამოიტანდა ქართველი ქალი აკვანს სუფთა ჰაერზე, კაკლის ან თუთის ჩეროში დადგამდა, ნელა ურწევდა, თან იავნანას უმღეროდა, ეზოში შემოფრინდებოდა მაფშალია და დედას შეენაცვლებოდა, გალობით დაატკბობდა პატარას.

ბულბული, ტოროლა, შაშვი, ჩიტბატონა თუ სკვინჩა იყვნენ იმ ყრმის პირველი მუსიკის მასწავლებლები. განუმეორებელი ქართული პეიზაჟები მოზარდს ლუვრისა და დრეზდენის მაგივრობას უწევდა, ამირანის ეპოსი კი, მოწინავე ხალხების დიდ წიგნთა მსგავსად, თავისუფლების სიყვარულსა და ხალხის სამსახურს შთააგონებდა. ყრმა იზრდებოდა და ყალიბდებოდა ჯანსაღ, ჰარმონიულ, სრულყოფილ, სულიერად დახვეწილ ადამიანად.

ბუნების აღმზრდელობით-ესთეტიკური მნიშვნელობა განუზომელია. წყარო გზის პირას მარტო წყურვილს კი არ გვიკლავს, გვამშვიდებს კიდეც, სიხარულს გვგვრის, იმედს გვაძლევს, ე. ი. ადამიანის სულზე კეთილისმყოფელად მოქმედებს, როგორც კარგი ლექსი, სიმღერა, ნახატი.

ამ ოციოდე წლის წინათ თითქმის ყველა სოფელს ჰქონდა თავისი ჭალა, პატარა ტყე, ჯაგნარი, ყანებს შორის ზოლებად იყო დატოვებული მაყვლისა და ეკლის ბუჩქები. ეს ეკალ-ბარდები სოფელს დიდ სამსახურს უწევდა, სწორედ აქ იბუდებდნენ მგალობელი ჩიტები, წვრილი ნადირი. ეს იყო სოფლის ერთგვარი ცოცხალი ლაბორატორია, მისი „ველური სილამაზე“.

მოსავლის გადიდების მიზნით ეკალ-ბარდები და ჯაგნარი გაიკაფა, ტყე გაიჩეხა, ყამირი მიწები დამუშავდა, სოფელს საყანე ფართობი მიემატა, უფრო მეტიც, თუ ჭალაში მდინარე დაკლაკნილად მოედინებოდა და ტრაქტორის მუშაობას ხელს უშლიდა, არხი გაითხარა, მდინარის კალაპოტი გასწორდა და სახნავ-სათესი მიწა, როგორც ამბობენ ხოლმე, „გამასივდა“, ანუ სახნავ-სათესი მიწები ერთმანეთს გადაება, რათა ტექნიკას (ტრაქტორს, კომბაინს) შეუფერხებლად ემუშავა.

სოფლის თავკაცთა ამგვარ მოღვაწეობას მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილური მიზანი უდევს საფუძვლად — მოიწიონ უფრო მეტი მოსავალი, დააკმაყოფილონ ადამიანთა გაზრდილი მოთხოვნილება, მაგრამ ადამიანის მოთხოვნილებას საზღვარი არა აქვს, სოფელს კი აქვს საზღვარ-სამანი. კეთილი განზრახვა შეიძლება უკეთურად შეგვიტრიალდეს; სოფელში ხისა და ბუჩქის, საერთოდ მწვანე საფარის ხარჯზე სათესი ფართობების გაზრდამ — შესაძლოა ის შედეგი არ მოგვცეს, რასაც მოველით. ბუნებას თავისი შინაგანი კანონი აქვს. ბუნებრივი წონასწორობის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სწორედ სოფლის მეურნეობისათვის საზიანო მოვლენები—ეროზია, გვალვები, მავნებელი მწერებისა და მღრღნელების მომრავლება, წყალდიდობები, ქარები და ა. შ. აკადემიკოს ნიკო კეცხოველს ამის თაობაზე არა ერთგზის გაუფრთხილებია სოფლის მეურნეობის მუშაკები.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: მთელი სოფელი მხოლოდ ჩაის პლანტაციაა, ან ვენახია, სოფლის ცენტრში დგას ერთმანეთზე მიდგმული ბრიკეტის ორსართულიანი სახლები. ეს არის და ეს. ასეთ საქართველოს არავინ დაუძახებს ედემსა და სამოთხეს.

სოფელში ხეც საჭიროა, ბუჩქიც, წყაროც გზის პირას... მთაზე რომ ეკლესია შემოუდგამს წინაპარს, იმასაც სჭირდება მოვლა-პატრონობა. სოფელში ხე და ბუჩქს უნებლიედ სპობენ. სიტყვა „რეზერვში“ სწორედ ხეებისა და ბუჩქების ამოძირკვაც იმალება, გზის გაყვანა კი ათასობით ძვირფას მცენარეს იმსხვერპლებს ხოლმე. ყველაფერი ეს უარყოფითად მოქმედებს სოფლის ფლორასა და ფაუნაზე, წყაროებზე, მდინარეებზე, ჰებზეც და თვით ადამიანებზეც.

ბარის სოფლებში, ჩაისა და ვენახის რაიონებში მგალობელი ფრინველი სანატრელი გაგვიხდა სწორედ იმიტომ, რომ შაშვი ბუდეს ჩაის ბუჩქებში ვერ გაიკეთებს, არც ვაზი გამოადგება საბუდრად. მაღალი სუროიანი აკაცია, თხმელა და რცხილა კი აღარსად ჩანს.

როცა ადამიანს კავშირი არა აქვს ბუნებასთან, არ იცნობს მას. ცოცხალი არსებისადმი სიბრალულის გრძნობა არ გააჩნია, ყაჩაღივით შედის ბუნების წიაღში და ყველაფერს სპობს, ანადგურებს. ეს „მოსპობა“ სიამოვნებას ჰგვრის. ამ ცოტა ხნის წინათ, ხობის მონასტრის ეზოში საოცარ სურათს წავაწყდი: მონასტერი სოფლიდან შორს არის, მის ეზოში ათასგვარი მცენარე ხარობს, ერთ მხარეს მონასტერს აკაციის ნორჩი ტყე ზედ მიდგომია. მონასტრის ეზო სავსეა მგალობელი ფრინველებით, სოფლებიდან გადმოხვეწილებს აქ დაუდევთ ბინა, აქ არის მათი მყუდრო სავანე. ეზოში ფეხი შევდგი თუ არა, მწვანე კორომიდან შლიგინით გამოვარდნენ თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭები; ერთ მათგანს, უფრო ზორბა ტანისა რომ იყო, ქამარზე მონადირესავით ორი ცალი ბულბული ჩამოეკიდა. ვიფიქრე, ალბათ სადმე მკვდარი იპოვეს-მეთქი.

— რა არის, ბიჭო, ეს, სად იპოვეთ? — ვკითხე გაოცებულმა.

— ვიპოვეთ კი არა, მოვკალით! — მითხრა ამაყად და გაქცევა დააპირა.

ჩემი კი არ შეშინებია, აღგზნებული იყო, არ შეეძლო ერთ ადგილას დგომა. როგორც ნადირობის ინსტინქტით შეპყრობილი მხეცი მსხვერპლს მოიტაცებს და მიარბენინებს, სიამოვნებისაგან თრთის და კანკალებს, ბიჭიც ასე ხტოდა და თრთოდა ჩემს წინ. მკლავში წავავლე ხელი და გავაჩერე.

— როგორ თუ მოკალი, რატომ მოკალი? რისთვის მოკალი?

— ისე, მოვკალი! — თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

— რითი მოკალი? თოფი სადა გაქვს?..

— ამით მოვკალი! — ბიჭმა ხელის შურდული მიჩვენა. ამან კიდევ უფრო გამაოცა.

— ადამიანს ბულბულის თვალით დანახვა უჭირს, შენ ხელის შურდულით როგორ მოკალი?

— ხერხი ვიცი, გალობის დროს ვეპარები, როცა გალობს, თვალებს ხუჭავს.

თავზარი დამეცა. ყველაფერს მოველოდი, ამას კი არა.

— ასეთი ულვთო როგორა ხარ, ბიჭო! — აღშფოთება ვერ დავმალე.

— მაგის მოკვლა აკრძალული არ არის... თოფით ხომ არ მომიკლავს!

რა დაუნდობლობა გამოკრთოდა ბავშვის ცერის ხიმხხო შავი თვალებიდან, თითქოს ადამიანის ჯიშისა არ იყო, მტაცებლის სული ედგა, მტაცებლის ვნებით თრთოდა და ცახცახებდა.

როცა მშობლები, უფროსები, ბუნებას, როგორც მოხმარების საგანს უყურებენ, მათ თვალში ბუნება მხოლოდდამხოლოდ შეშაა, თივაა, ხორცია, შედეგიც სავალალოა: შვილი, ცოცხალი არსების გამძვინვარებული მტერი ეზრდებათ.

ბუნება იგივე სამშობლოა. ბუნების დაცვა სამშობლოს დაცვაა. ვისაც ბუნება არ უყვარს, იმას ქვეყანაც არ ენაღვლება. პირუტყვივით მხოლოდ თავის შვილებსა და თავის ბუნაგს უვლის. ჰგონია, რომ შვილების უმაღლესში შეყვანის მეტი ქვეყნად არაფერი ევალება.

თავლაფდასხმული, შერცხვენილი ვიდექი მონასტრის ეზოში. არსად, არც ერთ ქვეყანაში იმდენი ცრემლი არ დაღვრილა ცოცხალი არსების სიკვდილის გამო, რამდენიც ჩვენს მიწაზე დაიღვარა, ბულბულის მკვლელი ბიჭი კი არხეინად იდგა ამ მიწაზე და ფეხქვეშ მიწა არ ეწვოდა.

მომეჩვენა, რომ მონასტრის ეზოში შემოვიდა დაღვრემილი ვაჟა-ფშაველა და პირქუში ჩამოჯდა საფლავის ქვაზე. მონასტრის კედელზე კი მგოსნის აჩრდილის შერცხვა ცოტნე დადიანს.

მომეჩვენა, რომ ქვეყანა დაიქცა. ბიჭი კი იცინოდა და მკვდარ ბულბულებს ათამაშებდა. მას არც ვაჟა-ფშაველა მოლანდებია, არც ცოტნე დადიანი, არც იცოდა ვინ იყვნენ ისინი, არც იმ მონასტრის მნიშვნელობა იცოდა, რომლის გვერდით თვითონ ცხოვრობდა.

აი, სადამდე შეიძლება მოგვიყვანოს ბუნების, კულტურის ძეგლების, საერთოდ, წარსულის არაფრად ჩაგდებამ.

სოფლის ბოლოს მთაზე შემომდგარი კულტურის ძეგლი არა მარტო სოფლის მშვენებაა, ბუნების დარად მასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. სურამის ციხის ლეგენდებზე თაობები აღზრდილა. რაოდენ კეთილისმყოფელი გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანზე სვეტიცხოველს, ან თუნდაც ხობის მონასტერს.

კულტურის ძეგლი უფრო დიდი აღმზრდელია, ვიდრე ზოგიერთი მშობელი. ამიტომაცაა ასეთი ყურადღებით გარემოსილი პარტიისა და მთავრობის მიერ. გვაქვს ძეგლთა დაცვის საზოგადოება, ამ საზოგადოების მრავალი წარმომადგენელი მუშაობს რაიონებში. ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ალმასკომების კულტურის განყოფილებებს ევალებათ ძეგლებს უპატრონონ, თითქმის ყოველ ძეგლს თავისი მცველი ჰყავს და მაინც ძეგლები დაუცველია, მოუვლელია. ზოგან მონასტრის კედლებზე ამოსულია ხეები. ზოგან ძეგლს სახურავი ახდილი აქვს და აწვიმს. ზოგან კი ძვირფასი ფრესკებია გაფუჭებული.

სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ ხეირიანად არ იცნობენ ძეგლებს, არ ესმით მათი მნიშვნელობა, სოფლის თავკაცებს თავიანთ მოვალეობად არ მიაჩნიათ ძეგლების მოვლა, — ყველაფერს ძეგლთა დაცვის საზოგადოებას აბრალებენ. ბუნების დაცვაც სხვისი საქმე ჰგონიათ, რადგან თბილისში ბუნების დაცვის კომიტეტიც ხომ არსებობს!

ჩვენი აზრით კი სოფელმა თვითონ უნდა მოუაროს თავის საუნჯეს; სოფლის კარ-მიდამოებს, მის ბუნებას. კულტურის ნაშთებსაც თვითონ უნდა უპატრონოს. თბილისიდან ჩამოსულ კაცს შეიძლება დააგვიანდეს და მერე გვიან იქნება თითზე კბენანი, ქართული სოფელი საკუთარ სახეს დაკარგავს.

უდაბნოს მსგავს სოფელში, სადაც არც ხეა, არც ბუჩქი, არც ჩიტი, ჩემმა მტერმა იცხოვრა.

თუ სიყვარულით მოვკიდებთ ხელს საქმეს, უხვი მოსავლის მოყვანა და სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებაც შეიძლება, ახალი სოფლის მშენებლობაც, ძველის დაცვაც, ბუნების შენარჩუნებაც და კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი სანადირაძე

# ცხრა ძიძის ხელში

ვახუშტი თავის გეოგრაფიაში ასე ახასიათებს საქართველოს ტბებსა და მდინარეებს: „წყალთა შინა თევზნი არიან: ორაგული, ზუთხი, ანდაკია, გოჯა, ჭანარი, ლოქო, კაპოეტი, კარჩხანა, მწერი, კალმახი, ფიჩხული და წვრილნი თევზნი მრავალნი და სხვანიცა". იმავე ავტორის გადმოცემით, ამ თევზებს იჭერდნენ ბადით, კონით, ფაცერით, ნემსკავით, საფიჩხულით, ოჩხით. ხოლო მეფე ვახტანგ მეექვსეს ერთი დღის მანძილზე ერთ ტბაში ცხრაასი ორაგული დაუჭერია.

იყო დრო, როცა თბილისში დაახლოებით სამი ათასი ურემი თევზეული შემოდიოდა, ხოლო ნამეტი პროდუქცია დამარილებული სახით არა მარტო საქართველოს პროვინციებში, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთაც გაჰქონდათ.

ბევრი რამ ახსოვს თბილისს. ახსოვს მეთევზეთა ურიცხვი სავაჭროები და შემოტანილ თევზეულზე დაწესებული გადასახადი — ქარვანბაშობა. ახსოვს, როგორ შეაწუხა მისი მცხოვრებნი ქალაქის შუაგულში მოთავსებულმა თევზის რიგმა (სუნი დგებოდა) და პეტერბურგიდან გამოწერილმა ინჟინრებმა ქალაქის ფარგლებს გარეთ როგორ მოაწყვეს მეთევზეთა სავაჭრო რიგი და ახალი ფარდულ-სავაჭროები. თევზი ბლომად იყო. ტბა-ფარავანში ბადის ერთ უბრალო მოსმაზე ჩვეულებრივ 1500 და 2500 ცალი კალმახი მოდიოდა .ხოლო პალიასტომის ტბაში ყოველდღე 100-დან 500 ფუთამდე ლოქოს იჭერდნენ...

დაილია, შემცირდა ეს განძი და სიმდიდრე ჩვენს ტბებსა და მდინარეებში. ამიტომაც ხდება, რომ მომხმარებელს ენატრება ის დღე, როცა თევზეულის (ვთქვათ) საფირმო მაღაზია „მტკვარში" შეიძენს კალმახს, ზუთხს, და თუ ამათი შემოტანა საგანგებოდ მოწყობილ ოჩხებიდან (თევზის ცოცხლად შესანახი სათავსი) დაგვიანდა, — კობრს მაინც.

ადამიანი ოცნებითაა. ხოლო რამდენად რეალურია ეს ოცნება, ამის გასაგებად ჯერ საქართველოს შავი ზღვის თევზის მარაგის დაცვის, აღწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს უფროსი ალექსანდრე ძრიელიშვილი მოვინახულოთ.

არ ვიცი, ადრე მიუციათ მისთვის თუ არა ასეთი კითხვა, მაგრამ პატივცემული ალექსანდრე თითქოს მომზადებული დამხვდა:

— დაადგება თუ არა ოდესმე საშველი ახალი თევზის შემოტანას?

— რა თქმა უნდა! ოღონდ ამისთვის მძლავრი თევზსაშენებლებია საჭირო, — მიპასუხა მან.

— კერძოდ?

— როგორ გითხრათ, ჩვენ უკვე კარგახანია გამიზნული გვაქვს მწყობრში ჩავაყენოთ სამი თევზსაშენი ქარხანა.

— რას ნიშნავს „გამიზნული გვაქვს?"

— იმას, რომ ყოველივე ეს ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზეა.

და იგი მიხსნის: მერვე წელია გადაწყვეტილია ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით აგებულიყო ორაგულის საინკუბაციო ქარხანა კოდორზე, მაგრამ...

— არ დაუფინანსებიათ?

— როგორ არა. იგი ელექტროსადგურების ხარჯთაღრიცხვითაა გათვალისწინებული. გამოყოფილია მიწის ნაკვეთი. შედგენილია ტექნიკური პროექტი, მაგრამ საქმე ჯერ არ დაძრულა ადგილიდან.

მე ვინიშნავ: კოდორის ორაგულის თევზსაშენი ქარხანა, ყოველწლიურად სამას ათას

მოზარდს რომ მისცემს რესპუბლიკის მეთევზეობის მეურნეობას, ჯერჯერობით ხელუხლებელია. არის გაუთავებელი მიმოწერა. ამ საქმეში ჩახედულ კომპეტენტურ ორგანიზაციათა შორის დადგმული კარუსელი შეუსვენებლივ ბრუნავს. არის გაუთავებელი მიმოწერა, არიადნეს ძაფი გვჭირდება სწორედ, რათა მშვიდობიანად გააღწიო მიზეზთა ლაბირინთში. მიზეზი კი სრულიად „უბრალო" ყოფილა თურმე. არავინ უწყის, ვინ უნდა იყოს დამკვეთი და ვინ შემსრულებელი!

უნებურად იბადება კითხვა — სად ჰიდროლოგია და სად თევზსაშენი მეურნეობა. ამ ურთიერთგანსხვავებულ ორგანიზაციათა შეკავშირება შემთხვევითი როდია. საქმე ის გახლავთ, რომ ელსადგურების მშენებლობას, ეგზომ აუცილებელი და ძვირფასი ენერგიის წყაროს, თავისი ჩრდილოვანი მხარეც ჰქონია — საგრძნობლად ზიანდება მდინარე. დიდია ზარალი. მაგრამ ამ ზარალის კომპენსაციას ამათუიმ ელექტროსადგურის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თევზსაშენი ქარხნით ახდენენ. თითქოს ყველაფერი ნათელია — თუ მდინარისაგან ენერგიის მიღება გინდა, მის ბუნებრივ სიმდიდრეზე (თევზის სამყაროზეც) იზრუნე. ასეთია, მაგალითად, ზუთხის თევზსაშენი რიონზე, ვარციხჰესის მშენებლობის აუცილებლობამ რომ გამოიწვია. პროექტი შეუთანხმდა „მთავართევზმშენს და დასამტკიცებლად გადაეცა „თბილჰიდროპროექტს". ეს ქარხანა ზუთხის სამ მილიონ ლიფსიტას მიაწვდის ჩვენს სათევზე მეურნეობას. სპეციალისტთა აზრით, ეს ძალზე უმნიშვნელო ციფრია ჩვენი რესპუბლიკისათვის. მაგრამ გაკვირვებას „თბილჰიდროპროექტის" მესვეურთა მოქმედება იწვევს. ვარციხჰესის კომპლექსის შედგენისას მათ თითქმის გაანახევრეს საქართველოს მინისტრთა საბჭოს განკარგულებით დაშვებული ხარჯები, რის გამოც შეფერხდა თევზსაშენი ქარხნის პროექტის დამტკიცება. ამ ქარხნის თაობაზე აგერ მესამე წელიწადია ლაპარაკობენ. არის მიმოწერა და დავა. შედეგი კი არა ჩანს, და, ცხადია, წამოწყებას არც დამკვეთი ჰყავს და არც მენარდე.

დაახლოებით ასევე გამოიყურება საკალმახე ქარხანა მდინარე არაგვზე. ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის — ჟინვალჰესის მშენებლობამ საგრძნობი, მე ვიტყოდი, ხილული გავლენა მოახდინა თევზეულის მარაგზე. ქარხანა კი ყოველწლიურად კალმახის ნახევარი მილიონი ლიფსიტით გაამდიდრებდა მის სანახებს. თევზის მრეწველობის მეცნიერთა და „ჰიდროთევზპროექტის" წარმომადგენლებთან ერთად მომავალი ქარხნის მშენებლობისათვის შერჩეული ნაკვეთი შეუთანხმდა ადგილობრივ პარტიულ (დუშეთზეა ლაპარაკი) და სახელმწიფო ორგანოებს, სატყეო მეურნეობას, საქართველოს სახელმწიფომშენს, წყლის რესურსების სახელმწიფო კომიტეტს; თევზის მეურნეობისა და მრეწველობის პრობლემების შემსწავლელმა ფრიად კომპეტენტურმა საბჭომ მოიწონა ამ თევზსაშენი ქარხნის მშენებლობა აღნიშნულ ნაკვეთზე, მაგრამ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა ამ იშვიათ პერსპექტივას კანონით გათვალისწინებული ვეტო დაადო. ჩაიფუშა ამდენ ორგანიზაციათა ნაშრომ-ნაღვაწი. მიზეზი? ნაკვეთი (რაღაც სამ ჰექტარზეა ლაპარაკი!) თბილისისა და რუსთავის გამწვანების გეგმაში ყოფილა თურმე.

გახსოვთ, ალბათ, ჩვენ ცოტათი ზემოთ ვახსენეთ თევზის მარაგის დაცვის, აღწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველო. თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ეს ფრიად სერიოზული ორგანიზაცია დიდ სამსახურს უწევს თევზის მეურნეობას. მისი საკმაოდ დიდი შტატი, თვით სამმართველო და საქართველოს ყველა კუთხეში გაფანტული ინსპექტორები, ე. წ. „თევზდაცვა" ფხიზლად ადევნებს თვალყურს თევზჭერის რეჟიმს. დარღვევები აქ ხშირია: სახელმწიფო ორგანოებისა და ფართო საზოგადოების ხელშეწყობით მარტო 1974 წელს გამოვლინდა თევზის მარაგის უკანონო ხელყოფის 5.700 ფაქტი. აქედან, ორმოცდასამი კაცი წარსდგა სასამართლოს წინაშე, და, იმედი გვაქვს, საკადრისი სასჯელიც ეზღოთ. სახელმწიფოს სასარგებლოდ დანიშნულმა ჯარიმებმა ორმოცდათექვსმეტი ათასი მანეთი შეადგინა. ამათგან 18.500 მანეთი მარტო იმ ორგანიზაციებზე მოდის, საწარმოო ნარჩენებით რომ გააჭუჭყიანეს და დაანაგვიანეს თევზსამეურნეო წყალსატევები. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში სახელმწიფო თევზჭერისა და საკოლმეურნეო თევზჭერის მუშაკებს წესების დარღვევისათვის ჩამოერთვა 1.660 ცენტნერი თევზი...

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ საქართველოს გეოლოგიური ექსპედიცია ზღვასა და შიდა წყალსაცავებში ატარებდა სეისმოლოგიურ დაზვერვით გამოკვლევებს. გეოფიზიკოსებს გეგმაში ჰქონდათ აფეთქებადი სამუშაოებიც. ეს პროგრამა შეთანხმებული და ნებადართული იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ... მეცნიერულ სამუშაოთა პოზიციებიდან. გამოტოვებული იყო უბრალო „წვრილმანი" — რა მოჰყვებოდა 50 წერტილში მომხდარ აფეთქებებს (თითო ადგილზე 150 კილოგრამი ფეთქებადი ნივთიერება უნდა მიეტანათ). სამუშაოები ორი მიმართულებით მიმდინარეობდა — შავ ზღვაზე მდინარე ნატანების შესართავიდან — რიონამდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — მდინარე ალაზანზე (ოღონდ ამ უკანასკნელზე ასაფეთქებელი დოზა უფრო გაზრდილი გახლდათ). თევზის მარაგის დაცვის

სამმართველო რომ არა, ვინ უწყის, რა ზარალს მიაყენებდა ეს „დაბომბვა“ თევზის მრეწველობას. მათ ნამდვილი „ხელჩართული ბრძოლა“ დასჭირდათ, რათა დაინტერესებულ ორგანიზაციებს თავიანთ მეცნიერული დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს სხვა ფორმა გამოენახათ.

თევზდაცვის მუშაკთა ამ რთულ სამუშაოს ჩვენ კიდევ მივუბრუნდებოდით. მანამდე კი მე ჩვენთვის საინტერესო კითხვა მინდა მივცე ამ ორგანიზაციის მმართველს, პატივცემულ ალექსანდრე ძრიელიშვილს:

— ბატონო ალექსანდრე, გვითხარით მაინც, რატომ არ არის ჩვენში ახალი თევზი?

— შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ, მე მგონია, იმიტომ, რომ ბევრს ვლაპარაკობთ მასზე.

— ვითომ წაყრუება უშველის?

— საქმე უშველის.

— როგორ გესახებათ ეს „საქმე“?

— ამ ბოლო ხანს სპეციალისტებმა, პრაქტიკოსებმა და მეცნიერებმა თანამედროვე სატბორე მეთევზეობასთან დაკავშირებული პრობლემების გარშემო მრავალი საყურადღებო აზრი გამოთქვეს. მიზანი ერთია — როგორ მივაღწიოთ ძვირფასი სასაქონლო თევზის მაღალპროდუქტიულობას. ასეთი პრინციპული მიდგომა დღევანდელი მოთხოვნილებებიდან იღებს სათავეს და მათი გათვალისწინებით ძირფესვიანად უნდა გალახალისდეს სატბორე მეურნეობა. ამისათვის ფონდები საძებარი არა გვაქვს. იგი აქაა, ჩვენს გვერდით, ყოველ ნაბიჯზე, უმდიდრესი იქტიოფაუნითა და შესანიშნავი კლიმატური პირობებით. ასე რომ, თევზის მოშენებისა და თევზჭერისათვის ყველა საჭირო პირობა არსებობს.

— მერე ეს არის „საქმე?“

— არა, ეს საქმის შესავალია. რადგან ზემოხსენებული იდეალური პირობების მიუხედავად, ჩვენს სავაჭრო ქსელში მაინც ვერასოდეს იყიდი ცოცხალ თევზს. ანდა, საიდან უნდა იყიდო, როცა გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის შიდა წყალსაცავებში გამოზარდეს და დაიჭირეს 5.630 ცენტნერი სასაქონლო თევზი, როცა გეგმით 15.950 ცენტნერის ამოღება იყო გათვალისწინებული?! ეს უკვე დამაფიქრებელი ფაქტია. ადვილი შესაძლებელია, იგივე განმეორდეს წელსაც, თუ დამატებით ჯერ გამოუყენებელ რეზერვებს არ ავამოქმედებთ. ერთი სიტყვით, თუ დაჭერილი თევზი მთლიანად არ ჩაბარდა სახელმწიფოს, იგივე სურათი გვექნება. დაჭერილი თევზის დატაცება, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებულია ჩვენში. მაგალითად, გასული წლის დეკემბერში კუმისის მეთევზეობის მეურნეობიდან მოიპარეს სქელშუბლას 120 მწარმოებელი. მართალია, თითოეულის წონა 7 კილოგრამზე მეტი გახლდათ, მაგრამ სასაქონლო ღირებულების გარდა, მე ვიტყოდი, ჩვენმა სატბორე მეურნეობამ მეტად დიდი ზარალი განიცადა. აგერ, მაგალითად, ბეშთაშენის მეთევზეობის მეურნეობა ავიღოთ. გასულ წელს ამ ტბის დათევზიანების შემდეგ უნდა მიეღოთ 356 ცენტნერი თევზი, ფაქტიურად კი ორჯერ ნაკლები მიიღეს. ნორმით მათ უნდა დაეხარჯათ 727 ცენტნერი კომბინირებული საკვები, ხინამდვილეში კი 13.600 ცენტნერი კომბინირებული საკვები „დახარჯეს“. ასეთი მაგალითები უკვე თავისთავად მიგანიშნებენ, თუ საიდან უნდა დაიწყოს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, — ნამდვილი საქმე.

— თქვენი აზრით, ეს გაზრდის ჩაბარებული თევზის რაოდენობას?

— ორმაგად. მაგრამ ეს კიდევ საკმარისი როდია. თევზის წარმოების გასაზრდელად ჩვენი შიდა წყალსატევების რაციონალური გამოყენებაა საჭირო. მეთევზეობის მეურნეობის მეცნიერებს თუ მოვიშველიებთ, ტბებისა და წყალსაცავების თითოეულ ჰექტარზე 25-85 კილოგრამი სასაქონლო თევზის მიღება შეიძლება, რაც ყოველწლიურად დამატებით სამი ათას ცენტნერ თევზს მოგვცემს. ხოლო თუ ამას თანამედროვე პროგრესულ, მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდებს შევუფარდებთ, ამ ციფრის გაზრდა ათმაგად შეიძლება.

— რამდენადაც ვიცით, თქვენი ორგანიზაცია თევზჭერის რეგულირებისა და თევზის მარაგის დაცვის გარდა, აღწარმოებასაც ახდენს...

— დიახ, აღწარმოება ჩვენი უმთავრესი ფუნქციაა.

— რას აკეთებთ ამ მიმართულებით?

— როგორ გითხრათ, — ხაღლაც, ჩემს მიღმა გაიხედა პატივცემულმა ალექსანდრემ, — ადრე, აღწარმოებისათვის ჩვენ გვქონდა ოთხი ქარხანა (ტაბაწყური, სალამო, თბილისი, ფარავანი), მაგრამ საპანაძეს გადავეცით (ე. ი. „საქთევზმრეწვს“. პ. საპანაძე ამ გაერთიანების ადრინდელი ხელმძღვანელი გახლდათ. საპანაძემ განაცხადა: მაგათ რა ჰქონდათ, რომ ჩვენ წაგვეღოო. ერთი სიტყვით, აქ ცოტა გაურკვეველი დავრჩით).

— და შეხწყვიტეთ აღწარმოება? — ვიკითხე.

— რას ამბობთ, ჩვენ ამჟამად მეტად მარტივ პირობებში მივაღწიეთ შავი ზღვის ორაგულის აღწარმოებას მდინარე ბზიფზე. ორაგულის თითქმის 190 ათასი ლარვით გავამდიდრეთ ჩვენი სათევზე მეურნეობა, წელს კი ამ გამოცდილებას შავ ზღვაში ჩამავალ სხვა მდინარეებზეც გამოვიყენებთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში ამ უძვირფასესი თევზის სარეწაო ჯგრო მომძლავრებული და საკმაოდ შევსებული იქნება. ხოლო თუ მანამდე დაპირებულმა თევზსაშენმა ქარხნებმა მო-

გვისწრო, მაშინ ინკუბაციის საკითხი თავისთავად მოიხსნება.

* * *

თევზდაცვისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოდან „საქთევზმრეწვის“ გაერთიანებისაკენ გავეშურე. იქ გაკვირვებით ამათვალიერ-ჩამათვალიერეს, მაგრამ მაშინვე გულღიად, თავის კაცად მიმიღეს.

— ო, ეს ძალზე რთული საკითხია. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მოთხოვნა რომ დავაკმაყოფილოთ, ოკეანიდან შემოზიდულ თევზს, სულ ცოტა, ხუთი ათასი ტონა ახალი თევზი უნდა დავუმატოთ.

დახე, რა მარტივი და ნათელი ყოფილა ყველაფერი!? — გავიფიქრე ჩემთვის და გულუბრყვილოდ ვკითხე:

— მერე რატომ არ გვაძლევთ ამ ხუთი ათას ტონა თევზს?

„საქთევზმრეწვის“ მესვეურებმა მრავალმნიშვნელოვანი დუმილით მიპასუხეს.

„საქთევზმრეწვის“ გაერთიანებაში გავიცანი ერთი მეტად საინტერესო ახალგაზრდა კაცი — ომარ ნაცვლიშვილი, სატბორე-სათევზე მეურნეობის განყოფილების უფროსი. მან საოცრად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. იგი გულდაწყვეტით ლაპარაკობდა დღევანდელ სათევზე მეურნეობაზე და თვალებგაბრწყინებული უყურებდა მომავალს.

— თქვენ იცით, რომ პატარა დანია კალმახით უზრუნველყოფს ინგლისსა და საფრანგეთს? — ვცდილობდი გამეღიზიანებინა იგი.

— ვიცი, — ეშმაკური ღიმილი უბრწყინავდა სახეზე, — სამხრეთ აზიის წყლებში ერთ ჰექტარზე 200-250 ტონა თევზი ამოჰყავთ.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ასეთი ციფრი წარმოუდგენელია ჩემთვის, მაგრამ. როცა ამას საჭირო მეცნიერული ლიტერატურით გისაბუთებენ, რა გზა გაქვს, უნდა დაიჯერო. ჩვენს წყალსაცავებსა და სატბორე მეურნეობებში ჰექტარზე ტონანახევარი თევზი ძლივს ამოჰყავთ. ესეც კიდევ კარგ მიღწევად ითვლება ხოლმე. თუ რესპუბლიკის ტბორებიდან მიღებულ თევზის „მოსავალს“ ამ ტბორების საერთო ფართობზე გავყოფთ, სასაცილო ციფრი შეგვრჩება. ასეთია მკაცრი სინამდვილე. სწორედ ეს სინამდვილე აღონებს „საქთევზმრეწვის“ ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილ იქტიოლოგს.

მან ერთ მეტად საინტერესო ექსპერიმენტს დამასწრო. ეს იყო ჯანდარაზე, შებინდების ჟამს, როცა მეთევზეები დაბრუნდნენ ტბიდან და ნავებში მოუსვენრად ფართხალებდნენ ვეება ქანარები.

— რომ გვცოდნოდა თქვენ დაგვხვდებოდით, ნაღდად არ დავიჭერდით თევზს, — უკმაყოფილოდ წაიბუზღუნა უხუცესმა მეთევზემ კირილე სტოლნიკოვმა, როცა ჩემთვის უცნობი სიტყვა „ჰიპოფიზი“ გაიგონა.

— რა გაეწყობა, უნდა ავიღოთ ჰიპოფიზი!

— თქვა ომარ ნაცვლიშვილმა და იქვე მდგომ მუქ ხალათებში გამოწყობილ ახალგაზრდებს ანიშნა, მუშაობას შეუდექითო.

მოეწყო საოპერაციო მაგიდა. გაჩნდა ნაცნობი ქირურგიული ხელსაწყოები. ორი ადამიანი ძლივს აკავებდა მოფართხალე თევზს. ერთი კი თავის ქალის „ტრეპანაციას“ ახდენდა. იღებდნენ რაღაც პაწია, თეთრ ბურთულას და ფრთხილად სდებდნენ აცეტონით სავსე ქილაში.

ომარ ნაცვლიშვილმა ამიხსნა:

— ჰიპოფიზი მხოლოდ ცოცხალი თევზისა ვარგაო.

შინ რომ მივედი, უცხო სიტყვათა ლექსიკონში ჩავიხედე. იქ ეწერა: „ჰიპოფიზი — შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი, მოთავსებულია თავის ტვინის ფუძესთან; გავლენას ახდენს ორგანიზმის ზრდასა და განვითარებაზე“.

აი, სწორედ ამ ჰიპოფიზით ცდილობენ „საქთევზმრეწვში“ მომავალი სათევზე მეურნეობის გამაგრებას. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს შიდა წყლებში იშვიათ შედეგს მიაღწია „თეთრმა ამურმა“. ამური კი არ მრავლდება. უცნაურია, მაგრამ ფაქტია — იგი მდინარე ამურზე, ისიც ერთ გარკვეულ მონაკვეთში ქვირითობს. მათი ლიფსიტები სწორედ იქიდანაა ჩამოყვანილი. ჰიპოფიზი კი მხსნელად მოევლინა ქართველ იქტიოლოგებს. ჰიპოფიზის ინექცია თევზის ორგანიზმში აღვივებს ქვირითობისათვის საჭირო რეაქციას და შედეგიც არ ახანებს.

— ე. ი. მეცნიერება ეხმარება? — ვეკითხები ომარს.

— მეცნიერება და საქმის სიყვარული, — აზუსტებს იგი. — ამ ორი კომპონენტის ერთობლიობა შესანიშნავ შედეგს იძლევა. თორემ მე მახსოვს ერთი სატბორე მეურნეობის ხელმძღვანელი. საბედნიეროდ, იგი უკვე აღარ მუშაობს ჩვენს სისტემაში. მაგრამ მის მიერ ჯერ კიდევ ხუთი თუ ექვსი წლის წინათ დაშვებული შეცდომა ჯერჯერობით მაინც გამოუსწორებელია. რატომ? ახლავე მოგახსენებთ. მოხდა ისე, რომ ამ ხელმძღვანელის დაუდევრობით (ფიქრობდა, ლიფსიტებს სხვა მეურნეობიდან შემოვიყვანო) მწარმოებელი თევზები განადგურდა. ხოლო თუ მწარმოებლები არა გვყავს, კაპიკია მეურნეობის ფასი. თევზმა მწარმოებლურ ასაკს რომ მიაღწიოს, ამისათვის შვიდი წელია საჭირო. აი, რა ხანგრძლივი დროა საჭირო ჩაგდებული ციკლის აღსადგენად. ეს კი ერთ-ერთი დიდი და სერიოზული დანაშაულია.

„საქთევზმრეწვში“ დღეს დიდ იმედს ამყა-

რებენ კონდოლის სატბორე მეთევზეობის სანერგე მეურნეობაზე.

— ო, იქ მეტად ენერგიული კაცი უდგას მეურნეობას სათავეში, — გეტყვიან უმალ, როცა კონდოლზე ჩამოაგდებ სიტყვას.

გავემგზავრე კონდოლს. გავიცანი მერაბ შეყლაძე. სპეციალობით აგრონომი, მაგრამ მეთევზეობისათვის თავგადადებული ადამიანი.

ვიჭექით ვეება კაკლის ქვეშ, მეთევზეთა სახლის აივანზე და ჩამავალი მზის შუქით დაფერილ მთათა მწვერვალებს გავყურებდით. მერაბი დაღლილი ჩანდა. ტბორში ლიფსიტების გადასმის დრო იყო და ეს უაღრესად საფრთხილო საქმე დიდ დაძაბულობას ითხოვდა. ეს ლიფსიტები შემოდგომაზე ზრდის საშუალო წონას — 700-800 გრამს მიაღწევენ და „სასაქონლო" დაერქმევათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მშრომელთა სუფრაზე ახალი თევზი გაჩნდება.

— ადრე მთლიანად სასაქონლო თევზი გვყავდა მხოლოდ, — მითხრა მერაბმა, — მაგრამ აი, ჩვენს გაერთიანებაში ახალი ხელმძღვანელი მოვიდა და, მადლობა ღმერთს! მე მგონია, სწორად დააყენა სატბორე მეურნეობათა განვითარების საკითხი. არა, არ იფიქროთ, თითქოს გუნდრუკს ვუკმევდე ვინმეს, რას ამბობთ! მე თვითონ უკმაყოფილო ვარ, რომ „სასაქონლო" თევზიდან სანერგე მეურნეობაზე გადაგვიყვანეს. ასე ვთქვათ, ლიფსიტებზე. მაგრამ ეს საშვილიშვილო საქმეა. თუ ჩასასხმელი მასალა (ასე ეძახიან მეთევზეები ლიფსიტებს) არ გაგაჩნია, აბა როგორ უნდა მივიღოთ ხვალ სასაქონლო თევზი?

კონდოლის სატბორე მეთევზეობის სანერგე (არა მგონია სწორი იყოს — სანერგე) მართლაც შესანიშნავად მოწყობილი მეურნეობაა. მე ვესაუბრე მუშებს. მიუხედავად დაბალი ხელფასისა, არც ერთს არ დასცდენია საყვედური უფროსის მიმართ.

მეურნეობის გარშემო მერაბს მათთვის პატარ-პატარა დამხმარე ნაკვეთები გამოუყვია. გამოუყენებელმა, მანამდე უშენმა მიწამ ახალი სიცოცხლე შეიძინა მშრომელი კაცის ხელში. არ ვიცი, როგორ მოსწონთ ეს ნაბიჯი ადგილობრივ ორგანოებს, მაგრამ ჩვენი აზრით, მარტო კავკასიონის ქედის ლამაზი პეიზაჟით ვერ დაამაგრებ მშობლიურ კერას თვეობით მოწყვეტილ ადამიანს.

აქ აკლიათ მინერალური სასუქები. უჩივიან კომბინირებული საკვების უხარისხობას, იშვიათად იღებენ ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებს...

— უკანასკნელ ხანს ჩვენ ბევრს ვილაპარაკებთ მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთობაზე. ქვირითობის, ე. წ. ტოფის დრო ყველაზე საინტერესოა იქტიოლოგ-მეცნიერთათვის. მით უმეტეს, რომ კონდოლისათვის ეს ახალი დარგია. სამწუხაროდ, ჩვენთან არავინ ამოსულა.

— მაგრამ მათი შრომები, გამოკვლევები, რეკომენდაციები? — ვიკითხე მე.

— როგორ არა. ესენი მრავლად გაგვაჩნია. ყველაფერი კარგია, შორიდან დანახული. მე კი ასე ვიტყოდი: თუ რეკომენდაციას კონკრეტული მისამართი არა აქვს, მაპატიონ პატივცემულმა მეცნიერებმა, მე არაფერში გამომადგება. რატომო, მკითხავთ, ალბათ. ამასაც მოგახსენებთ. ჩვენს სატბორე მეურნეობას სხვა ნიადაგი აქვს, სხვა გრუნტი, წყლის სხვა შემადგენლობა, წყლის სხვანაირი, ვთქვათ, საგარეჯოს სატბორესაგან განსხვავებული ტემპერატურა. ჩვენთან კარგად იკიდებს ფეხს ფარგა, კობრი, ქაშაპი, სქელშუბლა... ამიტომ მე ყოველთვის განზე ვდებ თეორეტიკოს-იქტიოლოგის რეცეპტს და საკუთარი პრაქტიკით გამაგრებულ გზას მივმართავ. მინდა გვერდით გვყავდეს ისეთი მეცნიერი, რომელიც კარგად იცნობს ჩვენი მეურნეობის თითოეულ წვრილმანს, პრაქტიკულად, ადგილზე გაგვიწევს დახმარებას. ამისათვის სულაც არაა საჭირო ზამთარ-ზაფხულ იმყოფებოდე ტბორებზე. ჩვენ ქვირითობის პერიოდსაც ვიკმარებდით. სხვანაირად ვერ წარმომიდგენია მეცნიერისა და პრაქტიკის ურთიერთობა.

როგორც ვთქვი, მერაბი აგრონომ-ქიმიკოსია. მაგრამ მან თევზის მოშენების ისეთი იშვიათი უნარი გამოამჟღავნა, „საქთევზმრეწვში" დღეს წარმოუდგენლად მიაჩნიათ უმისობა. ეს ჩუმი, ფუტკარივით მორუდუნე ადამიანი დღედაღამ ახალი გზების, ახალი საშუალებების ძებნაშია.

— ხშირად არის ხოლმე, თითქოს თევზს სწორად ვკვებავთ, ყოველგვარი ტექნოლოგიური და ბიოლოგიური პროცესი დაცულია, მაგრამ უცებ თევზი მუცელამობრუნებული გეჩვენება ზედაპირზე. რა მოხდა? ორგანული ნივთიერებების ხრწნა, განსაკუთრებით ზაფხულში, რაიც წყლის ჟანგბადით გაღარიბებას იწვევს. ამიტომ მუდამ ფხიზლად ყოფნაა საჭირო. თუ წყალსაცავებში ჟანგბადის ნაკლებობას აღმოფხვრა გვინდა, თევზჭერის შემდეგ ტბორიდან წყლის გაშვება და არხების გაწმენდა აუცილებელია. ამას გათერძვას ვეძახით. გათერძვის შემდეგ გაჩენილი ფოსფორი, და სხვა მკვებავი ნივთიერება ტბორის წყლით გავსების შემდეგ ბაქტერიებისა და სასარგებლო მცენარეების გაჩენას უწყობს ხელს...

მაგრამ იყენებენ კი ამ გათერძვას ჩვენს ტბორებში?

სამწუხაროდ, არა.

კონდოლში კი, როგორც ხედავთ, გათერძვა სათევზე მეურნეობის ინტენსიური ზრდის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

აქ კიდევ ერთ საინტერესო ფაქტსაც შევეხწარი.

არსებობს ყურძნის ყოვლად გამოუყენებელი ნარჩენი — წიპწა. მერაბ შეყლაძემ ეს ნარჩენი შემოზიდა ღვინის ქარხნიდან და თევზის საკვებად გამოიყენა. მართალია, ეს მოქმედება საკუთარ რისკსა და დაკვირვებაზე იყო დაფუძნებული, მაგრამ კარგი შედეგი გამოიღო და კომბინირებული საკვების საგრძნობი ეკონომია მოჰყვა. შემცირდა კვების ერთეულის კოეფიციენტი.

თევზის მეურნეობის საკავშირო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილებას ამის თაობაზე არაერთხელ მიმართა „საქთევზმრეწვის" პასუხისმგებელმა მუშაკმა, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა შალვა ლობჟანიძემ, მიეცათ დასკვნა წიპწას გამოყენების თაობაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, თევზის კვებაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმით არიან დაკავებული კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები.

ჭერჭერობით კი, მათი მეოხებით ისევ ჩამორჩენილია მნიშვნელოვანი დარგი — სატბორე მეთევზეობის მეურნეობა. იქნებ სტატისტიკა მოვიშველიოთ?

ამ სამიოდე წლის წინ თევზსაშენ ტბორებში თევზის პროდუქტიულობამ თერთმეტი ცენტნერი შეადგინა საშუალოდ. — მითხრა მერაბმა.

— ეს ხომ ძალზე დაბალი მაჩვენებელია!

— მეც მაგდა ვარ, — უცებ გამოცოცხლდა მერაბი, — კონდოლში კი ცხრამეტი ცენტნერი მივიღეთ.

ეს კი, როგორც მერე გავიგე, ყველაზე მაღალი შედეგი იყო მთელს რესპუბლიკაში. მას შემდეგ უფრო თუ დაიკლო თევზის საშუალო პროდუქტიულობამ, თორემ მის ზრდაზე მხოლოდ პერსპექტიული გეგმები გვამცნობენ. პერსპექტიული გეგმით კი, თუ თევზის საშუალო „მოსავალმა" ორ ტონას გადააჭარბა, ჩვენი რესპუბლიკის სატბორე მეურნეობის საერთო ფართობზე გადაანგარიშებებით გადაწყვეტილი იქნება ახალი თევზის პრობლემა. ამას წყალსაცავები და ბუნებრივი ტბები თუ დაემატება, მკითხველს ნუ გაეცინება, შეიძლება თევზის გასასაღებელი ბაზრის ძებნაც კი დაგვჭირდეს.

ვივარაუდოთ, რომ ეს ყველაფერი ახლო მომავლის საქმეა და რეალურად შევხედოთ დღევანდელ ვითარებას. როგორ გამოიყურება რესპუბლიკის სატბორე მეურნეობა? ჯერ კიდევ საკმარისი არ არის ე. წ. „ჩასასმელი მასალა". **1978** წელს ტბორებში გაშვებულ ლიფსიტათა რაოდენობამ, განსაზღვრული **1.714** ათასის ნაცვლად, **1.378** ათასი ძლივს შეადგინა. ხოლო კიდევ უფრო აქეთ, ამ ტბორების უზრუნველყოფის პროცენტმა სამოცდაცამეტს მიაღწია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2.386 ათასი წლევანდელი ლიფსიტის ნაცვლად ტბორებში მხოლოდ 1.706 ათასი ჩაისვა. სწორედ ამ ხარვეზების გამოსწორებას ითვალისწინებს კონდოლის სატბორე თევზსაშენი სანერგე მეურნეობის შექმნა აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო დასავლეთში ნოქალაქევის სატბორე მეურნეობის რეკონსტრუქციამ ხუთი მილიონი „ამწლეულისებით" (გამოჩეკვიდან რამდენიმე თვისა) უნდა უზრუნველყოს დღევანდელი დღე.

მაგრამ ახლა შევხედოთ, როგორ გამოიყურება ის ტბორები, რომელთათვის „ამწლეულისებია" გამიზნული? გეჯეთ-ორის შემდეგ თავისი ტერიტორიით ყველაზე მძლავრი საგარეჯოს სატბორე მეურნეობა გახლავთ. იგი ასორმოც ჰექტარზეა გაშენებული. მაგრამ **1970** წლის შემდეგ, რაც ამ მეურნეობის ექსპლოატაცია დაიწყო, იგი მთლიანად არასოდეს დაფარულა წყლით. მიზეზი ბევრია. ჯერ ერთი, ქვიშრობიანი ადგილი არ იძლევა ამის საშუალებას — წყალს სწრაფად ისრუტავს. მეორეც — იორი, ეს ერთადერთი მკვებავი არტერია საკმარისად ვერ უზრუნველყოფს მეურნეობას. იგი ხომ ძირითადად სარწყავად გამოიყენება, და მელიორაციისა და სოფლის მეურნეობის მესვეურებს, ბუნებრივია, ჯერ თავიანთი ობიექტები აინტერესებთ. ასე სამადლოდ, მონარჩენი წყლის იმედზე დაფუძნებული მეურნეობა რატომღაც თავის დროზე დაშვებული შეცდომის ნაყოფს უფრო მოგვაგონებს. იგი გაშენდა ნაჩქარევად, ერთი ხელის დაკვრით და „საქთევზმრეწვის" დღევანდელ ხელმძღვანელობას ამ სატბორეს გადასარჩენად ხელახალი ხარჯთაღრიცხვისა და პროექტის შედგენა უხდება.

ასევე ხვიჩჩიანი საძირკველი უდევს კახაბრის, ნოქალაქევისა და ქოლობნის სატბორე მეურნეობებს. არ ვიცი, ვის მოუვიდა თავში ახეთი ექსპერიმენტების ჩატარება. ერთი კი ცხადია, ამ ექსპერიმენტების წყალობით, რომელთაც უზარმაზარი თანხა უდევს საფუძვლად, მივხვდით, რომ ქვიშრობი კარგად ატარებს წყალს და თევზისათვის არავითარ საკვებს არ იძლევა. დანამდვილებით ვერ გეტყვით, დაიცვა ვინმემ თუ არა ამ თემაზე დისერტაცია, მაგრამ გულისკუნჭულში ეს ოხერი ეჭვი არ მასვენებს — რა იცი, ა?!

სატბორე მეურნეობათა მუშაკების უდიდესი საზრუნავი თევზის კომბინირებული საკვებია. ასე, მაგალითად, საკალმახე მეურნეობისათვის დეფიციტს საქონლის ელენთა წარმოადგენს. ელენთის ძებნაში „საქთევზმრეწვის" მუშაკებს მთელი საბჭოთა კავშირი აქვთ შემოვლილი. ჭირს მისი შოვნა. არადა, ხულ რაღაც რამდენიმე წლის წინათ რესპუბლიკის ხორცკომბინატებს განაწილებული ჰქონდათ

ელენთის დამზადების გეგმა და საკალმახე მეურნეობისათვის ეს პრობლემა თავისთავად მოხსნილი იყო. ახლა კი ხორცკომბინატს თევზის მრეწველობისაკენ გახედვაც არ უნდა. ეს კი გარკვეულ სიძნელეებსა და ზედმეტ ხარჯებს იწვევს.

მაშ, ვინ აწვდის საკვებს ჩვენს სათევზე მეურნეობებს? ჯერჯერობით მხოლოდ დამზადების სამინისტრო. რაციონი ლიფსიტებისათვის, ხანასუქოსათვის და მწარმოებლებისათვის, ყოველთვის ერთია. მე შევხვდი სატბორე მეურნეობათა ბრიგადირებს, ისინი ამბობენ: ერთნაირი საკვები უარყოფით გავლენას ახდენს თევზის პროდუქტიულობაზე. ის, რაც დიდ თევზს არგებს, ლიფსიტებისათვის უვარგისიაო.

ამაზე მარტო მუშები არ სწუხან. საკითხი ზემდგომ ინსტანციებშიც დაისვა ბევრჯერ. გაჩნდა ე. წ. გრანულირებული კომბინირებული საკვები, რომლის ათვისებაც რესპუბლიკის დამზადების სამინისტრომ მოსკოვიდან მიღებული რეცეპტით დაიწყო. მაგრამ ამ ძვირფასებული საკვების შემადგენლობა ანალიზის შემდეგ განახევრებული აღმოჩნდა. პროტეინის დოზა კი მინიმუმამდეა დაყვანილი.

მაგრამ მარტო ეს რომ უშლიდეს საკვების პრობლემის გადაწყვეტას, კიდევ დახუჭავდა კაცი თვალს. აქ არის ერთი, მეტად მტკივნეული ფაქტორი: თევზისათვის გამიზნულ კომბინირებულ საკვებს მოსახლეობაში აუარებელი მომხმარებელი გამოუჩნდა. როგორც ჩანს, სატბორე მეურნეობებში შეუფუძული შემთხვევითი პირები ხელს ითბობენ ამით. შესაძლოა, სწორედ ამან აფიქრებინა სატბორე მეურნეობის განყოფილების თანამშრომლებს თევზისათვის გამიზნულ საკვებში ტუნგოს ფქვილის დამატება. მხოლოდ ამ გზით გადაარჩენდნენ თევზისათვის გამოყოფილ საკვებს. ამ წინადადებამ ჯერჯერობით ვერ ჰპოვა მხარდამჭერი — ხომ შეიძლება ეს კომბინირებული საკვები ვინმემ მოიპაროს და საქონელს აჭამოს? მაშინ? მაშინ ჩვენ ვიტყოდით, „ქურდმა" კეთილინებოს და დახედოს საკვების ეტიკეტს, რომელსაც მომწამლავი ნივთიერების გამომსახველი საყოველთაოდ ცნობილი ემბლემა ექნება... თუ ამასაც არ დაუჯერებს, მერე საკუთარ თავს დააბრალოს ყველაფერი.

სასაქონლო თევზის გამოყვანისას ჯერ კიდევ საკმარისად არ ინერგება ბიოტექნიკა. ძალზე ძვირია მექანიზებული კვების დანადგარები. არ გვყავს ამ საქმის მცოდნე სპეციალისტები. სატბორე მეურნეობებში კვალიფიცირებული, თეორიული ცოდნით დაყურსული იქტოლოგების შიმშილია...

როგორ წარიმართება კადრების მომზადება მომავალში?

რა ელის საქართველოს სატბორე მეურნეობას?

გენერალურმა დირექტორმა ლევან უკლებამ მითხრა:

— გახსოვთ ალბათ, ილია ჭავჭავაძეს „ხიზნების საქმის თაობაზედ" აქვს ასეთი ფრაზა: ყოველივე ცვლილება, ეკონომიურია ის, თუ საზოგადოებრივი, მაშინ არის მარგებელი და მკვიდრი, როცა ყოველმხრივ გახინჯული და შუქმოფენილიაო. აქ, უპირველეს ყოვლისა, კაცმა გონება უნდა მიაპყროს ადგილობრივ ვითარებასაც. ყოველივე ათასწილ ასაწონი და შესაფასებელია. ჩვენი დასკვნების შედეგი, ალბათ, ერთ-ორ წელიწადში იჩენს თავს. თქვენ გაინტერესებთ, რას გავაკეთებთ? ტბა-ფარავანთან თექვსმეტ ჰექტარზე იქმნება თევზის გამოსაზრდელი ტბორები, სადაც რიპუსისა და კალმახის რაოდენობა 2,8 მილიონს „ამწლეულს" აალწევს. ტაბაწყურის გამოსაზრდელ ტბორთა ფართობი ოცდათექვსმეტი ჰექტარი იქნება და მის სანახებში კალმახისა და ფარგის ერთი მილიონი ლიფსიტა მოლონიერდება. აშენდება ხრამის წყალსაცავის მეთევზეობის სანერგე. თქვენ შენიშნეთ, ალბათ, რომ ამ ობიექტებს მომავალს ვუფარდებ. სამწუხაროდ, დღესდღეობით ისინი მხოლოდ ქაღალდზე გვაქვს. ტაბაწყურსა და ფარავანზე გამოსაზრდელ მოედანთა მშენებლობანი ჯერ კიდევ ადრე უნდა დაწყებულიყო, მიწის ნაკვეთი კი მხოლოდ გასულ წელს გამოგვიყვეს, რის საფუძველზეც „ჰიდროთევზპროექტის" საქართველოს განყოფილებამ დაიწყო ამ ე. წ. „დამხმარე მეურნეობათა" დაპროექტება. მაგრამ უკვე 1974 წელს დაიწყო მუშაობა ნოქალაქევის, ქვედა მაღლაკის, კონდოლისა და წალკის სხვადასხვა თევზის ქვირითის საინკუბაციო საამქროებმა. აღდგენილია თევზსაშენი ქარხანა ფარავანზე. იგი სიგისა და ორაგულის ჯიშის 14 მილიონ „ამწლეულს" მოგვცემს.

— კიდევ რა გითხრათ? — მიყურებს ლევან უკლება. — რა იქნება საინტერესო ჩვენი მკითხველისათვის? იქნებ იორის თევზის მეურნეობის რეკონსტრუქცია? ან გეჯეთ-ორის ახალი, 142 ჰექტარზე გადაჭიმული სატბორე მეურნეობის ექსპლოატაციაში შესვლა?

მე გამალებით ვიწერ. უკლება კი განაგრძობს:

— ყოფილხართ შაორზე? ეს უნიკალური, უიშვიათესი წყალია კალმახისა და ფარგის გასაშენებლად. ოდესღაც იგი შეუსწავლელად, არამეცნიერულად „დაათევზიანეს" (არის ასეთი ტერმინი ჩვენთან) კობრით. კობრი კი თბილი, ლბილი წყლის მოყვარულია. მერამდენე წელიწადია ვუყურებთ ამ თევზს და მის გაზრდას არ დაადგა საშველი. ახლა, როცა შაორი ჩვენს გაერთიანებას დაექვემდებარა, იგი დიდი სარეწაო მშენებლობის წყალსაცავად

გვინდა ვაქციოთ. მარტო გასული წლის პირველ კვარტალში მის ტალღებში სევანის კალმახის 155 ათასი ლიფსიტა გავუშვით. წლის ის ციფრი მეტს ააღწევს... ხოლო, როცა ტუბულის ტერიტორიაზე უკვე მინიშნულ ათ ჰექტარზე ფარგის აღწარმოებისათვის მილიონზე მეტი ლიფსიტის გამოსაზრდელ მეურნეობას შევქმნით, კიდევ უფრო გაკეთილშობილდება შაორი.

* * *

ამ რამდენიმე ხნის წინათ ზუგდიდში გახლდით. რაიონული მილიციის უფროსმა ზეიმ ტაბიძემ მაჩვენა ენგურის შესართავთან შექმნილი დამბები. ისინი, თავის დროზე, ბუნებრივი ხასუქის (ენგურის შლამის) დასაგროვებლად დაეპროექტებინათ რომელიღაც მეცნიერის ხადისერტაციო ნამუშევრის საფუძველზე. არ გაამართლა ამგვარმა ექსპერიმენტმა. დამბები კი დარჩა. ათი დამბა დაახლოებით ორმოცდაათ ჰექტარზე მაინც იქნება. სატბორე მეთევზეობისათვის ამაზე იდეალურ პირობებს ვერც ინატრებს კაცი. პატრონი კი ჯერჯერობით არ ჩანს.

როცა ამ წერილის დაწერას ვაპირებდი, ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში გავიცანი წლებით დამძიმებული, ერთიანად გაჭაღარავებული კაცი — პარმენ ხუხია. გულისტკივილს მიეყვანა ამ ხნის კაცი რედაქციაში. იგი წლების მანძილზე ხათავეში ედგა ცხაკაიას რაიონის ნოხირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას. ეს კოლმეურნეობა პ. ხუხიამ ვალაგადაცილებული დავალიანებით ჩაიბარა. დავალიანება დიდი იყო — 1.400 ათასი მანეთი. გამოსავალს რომ ეძებდა, პარმენ ხუხიას სატბორე მეურნეობა გაახსენდა. ბევრმა ალმაცერად შეხედა ამ წამოწყებას. „ხუხია სამ ჰექტარზე ტყემლის პლანტაციას აწყობს, სამ ჰექტარზე კი მარილს თესავს, რადგან ღორჯოს მეურნეობისათვის სჭირდებაო“, — იცინოდნენ საქმეში ჩაუხედავი ადამიანები.

პარმენი კი თავისას ადგა. ნატეხურალის ფართობი სხვა დანიშნულებისათვის არ გამოდგებოდა და ჯაპანის თევზსაშენიდან ჩამოყვანილმა ათი ათასი სარკისებური ქანარის ლიფსიტამ სულ რაღაც ექვს-შვიდ თვეში ნოსირელები მანამდე გაუგონარი ფაქტის წინაშე დააყენა. თითოეული თევზი, მეტი თუ არა, რვაას გრამზე ნაკლები არ ყოფილა. ნოხირელმა კოლმეურნეებმა (წარმოუდგენელი რამ კი იყო) ცოცხალი თევზის სარეალიზაციოდ ცხაკაიას, ზუგდიდს, სამტრედიასა და ქუთაისს მიმართეს. კოლმეურნეობის ეკონომიკა სწრაფად გამოკეთდა და მეორე წელს უკვე ამოგებული თანხებით სატბორე მეურნეობის გაფართოებაზე დაიწყეს ფიქრი.

პატივცემული პარმენი, მძიმე ავადმყოფობის გამო, ნაადრევად ჩამოშორდა წამოწყებულ საქმეს და გულდამძიმებული წავიდა პენსიაზე. მისმა წამოწყებამ მაშინვე იპოვა მიმდევრები. ჯერ მუხურჩას კოლმეურნეობაში მიჰყვეს ხელი სატბორე მეთევზეობას, მერე ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში და გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში...

— ახლა? — ვკითხე პატივცემულ პარმენს.

— რა ახლა? — ვერ გაიგო მან.

— ახლა როგორაა სატბორე მეურნეობა?

— საერთოდ აღარაა. — მძიმედ ჩაჰქინდრა თავი პარმენმა.

ეს თითქოს პატარა ფაქტია, მაგრამ რაოდენ საყურადღებო.

დღეს საქართველოში 1.500-მდე კოლმეურნეობაა. ხოლო საბჭოთა მეურნეობებსა და სხვადასხვა საუწყებო მეურნეობებს ხომ თვლა არა აქვს. აბა, წარმოიდგინეთ, რა შედეგს მოგვცემდა, ყოველ მათგანს პაწია, სულ მცირე — ერთი ჰექტარი სატბორე ჰქონოდა, სასაქონლო თევზით დაყურსული.

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ჩვენში მაინცდამაინც სერიოზულად არ ეკიდებიან ამ მეტად აუცილებელ და მომგებიან დარგს?

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ, ცოტათი განებივრებულნი ვართ „ობიექტური მიზეზებით“? დიახ. სწორედ რომ განებივრებულნი — ყოველ გარღვევას, ან „ჩავარდნას“ თავისებური გამართლება უნდა მოვუძებნოთ. ყველა, ვისაც მე თევზზე ჩამოვუგდებდი სიტყვას, ცდილობდა დამაჯერებელი, უტყუარი საბუთით მოემაგრებინა ამ მეტად იშვიათი პროდუქტის გაუჩინარება. რა დასამალია, არის მთელი როგი რაიონები, სადაც წლების მანძილზე, საერთოდ არ გამოჩენილა ახალი თევზი.

საინტერესოა, რით გავიმართლებთ მათ წინაშე თავს? ეყოფა ამ საქმეს ე. წ. „უტყუარი არგუმენტები?“

ახლა ჩვენ დიდი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით ვუყურებთ რესპუბლიკის სამრეწველო და სამეურნეო მიღწევებს; მაშ, რატომაა, რომ „დიდი თევზისათვის“ მოძრაობა არ იღებს ფართო ხასიათს? განა არა გვაქვს ამის პირობები? გვაქვს და მერე როგორი!

* * *

თუ საგარეჯოს თევზსაშენი მცდარი დაგეგმარების შედეგი გახლავთ, კუმისის ტბა ამის საპირისპირო მაგალითად გამოდგება. თავის დროზე, როცა ამ ტბის გათევზიანების საკითხი წამოიჭრა, საკმაოდ სახელოვანმა მეცნიერებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — მაგნიუმის მარილით გაჯერებული წყლის გამტკნარება

წარმოუდგენლად მიიჩნიეს. დღეს კი კუმისი მთელი საქართველოს წყალსაცავებში მოპოვებული თევზის ერთ მესამედს იძლევა საშუალოდ.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

მაგრამ რაკი კუმისზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, აქ ისიც უნდა დავძინოთ, რომ თევზით მდიდარი ტბა ყუაზეა დასული არასწორი ექსპლოატაციის გამო. ახლა იგი დაკეტილია მეთევზეთათვის და კარგა ხნის შემდეგ თუ ჩადგება მწყობრში.

იბადება კითხვა, როგორ მოხდა, რომ ამდენი „მზრუნველისა" და „გულშემატკივრის" ხელში კუმისი კინაღამ თავიდან აღსაწარმოებელი შეიქნა?

არასახარბიელო მდგომარეობაშია „საქთევზმრეწვის" ბრიგადა ტბა ჯანდარაზე. ეს ტბა არასოდეს დაუთევზიანებიათ, იგი ბუნებრივი აღწარმოებითაც გადის თოლად.

ხოლო თუ ადამიანიც წაეხმარა ცოტას, სარეწაო ეფექტი, ცხადია, გაცილებით დიდი იქნება. იგი, როგორც აღვნიშნე, დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოს რამდენიმე ტბასთან ერთად, „საქთევზმრეწვის" კომპეტენციაში გადავიდა. მაგრამ, სამწუხაროდ, „საქთევზმრეწვის" უფლებები ჯანდარაზე, სხვა უწყებებთან (მონადირეთა კავშირი და სხვა) შედარებით, მეტად შევიწროებული და შეკვეცილია. უფრო მეტიც, ტბის სრულუფლებიან „ბატონ-პატრონებს" არ გააჩნიათ ბადისა და სხვა სათევზაო საჭურველის შესანახი რაიმე სათავსი, არა აქვთ საკუთარი ნავსაყუდელი და, საერთოდ, ტბასთან მისასვლელი გზა. მე კი ჯანდარელმა მეთევზეებმა ზედ ტბასთან მიჩვენეს ე. წ. „მოსასვენებელი სასახლე", თავის დროზე ვიღაცის საამებლად რომ დაუდგამთ ლამაზ სანახებში. წლების მანძილზე ერთ-ორჯერ თუ გახსნილა „სასახლის" კარი. გამოკეტილია იგი ახლაც. მეთევზეებს კი ერთი პაწია ფიცრულის დადგმაც არ შეუძლიათ. სხვა ხელისშემშლელ მიზეზთა შორის ისინი თავიანთი შეზღუდვის უმთავრეს მიზეზად ჯანდარის ტბის გარშემო არსებულ საბჭოთა მეურნეობის მესვეურთა გულცივობას მიიჩნევენ. ასეა თუ ისე, დროა ჯანდარელმა მეთევზეებმა (მხედველობაში მაქვს „საქთევზმრეწვი") აქაურობის სრულ ბატონ-პატრონად თუ არა, რაღაც დამოუკიდებელ ორგანიზაციად მაინც იგრძნონ თავი სხვანაირად მათი საქმიანობა ვერ მოგვცემს სახარბიელო შედეგს. „საქთევზმრეწვის" ახალ ხელმძღვანელობას კი მიაჩნია, რომ სათანადო ღონისძიებების შემდეგ თბილისის მახლობლად მდებარე ეს იშვიათი ბუნებრივი მონაცემების ტბა სარეწაო მეთევზეობის ნამდვილ მარგალიტად გადაიქცევა.

საგანგაშო მდგომარეობაა პალიასტომზეც. კოლხეთის უდიდესი ტბა, ოდითგანვე თევზის უმდიდრესი მარაგით რომ ხიბლავდა ყველას, მოულოდნელად „გაძარცვული" აღმოჩნდა. გაქრა ლოქო, კობრი და, რაც მთავარია, კეფალი. კეფალი იშვიათად თუ იბრუნებს პირს პალიასტომისაკენ. მიზეზი?

პალიასტომის ტბის მარილიანობა ოდნავ თუ ჩამოუვარდება შავი ზღვის მარილიანობას.

მაინც, რამ გამოიწვია ამ უნიკალური ტბის გამლაშიანება? თქვენ წარმოიდგინეთ, ისევ ადამიანის (ირონია აქ არაფერ შუაშია) ზედმეტმა მზრუნველობამ. მე არ მოვყვები რა სამუშაოები ჩატარდა მის სანახებში, როგორ შეუცვალეს გეზი პალიასტომის მკვებავ ფიჩორსა და კაპარჭინას, როგორ გაიყვანეს ტბისა და ზღვის დამაკავშირებელი უმოკლესი არხი. ეს ყველაფერი წარსულია. დღეს პალიასტომის დონე რამდენიმე სანტიმეტრით დაბალია ზღვის დონეზე და დიდი ღელვების დროს, ადამიანის უნებური ხელშეწყობით, ზღვის წყალი (სწორედ უმოკლესი არხით!) თავისუფლად ჩადის პალიასტომში. ისე რომ, ახლა იქ შეგიძლიათ დაიჭიროთ სტავრიდა, გორბილი და ზღვის სხვა ბინადარი. ასე შეიცვალა პალიასტომის იქტიოფაუნა. მაგრამ უკვე დასახულია კონკრეტული ღონისძიებები ტბის „განსაკურნავად". იგი უნდა გამტკნარდეს. მაგრამ როგორ? მე მიჩვენეს მეტად გაბედული პროექტი, რომელიც უკვე ფრთებს ისხამს „კოლხიდმშენისა" და „საქთევზმრეწვის" ხელშეწყობით. მთავარია, მშენებლებმა კეთილსინდისიერად მოიხადონ თავისი ვალი. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ პირველი რიგის სამუშაოები ნაჩქარევად, ხელის ერთი დაკვრით მოათავეს და წუნი ახლა ამ საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვისაც შესამჩნევია. გაჰყავთ არხი რიონიდან ფიჩორამდე, ფიჩორიდან პალიასტომამდე. მაგრამ, ამასთანავე, ფიჩორში მოქცეული რიონის წყალი პალიასტომს ნახევარწრედ შემოუვლის და დედაბერასთან შეუერთდება კაპარჭინას. აქამდე გაუქმებული, თითქმის დაჭაობებული კაპარჭინა აღადგენს თავის ფუნქციას. სამუშაოთა დამთავრების შემდეგ პალიასტომის სრულ გამტკნარებას სამი თვეც არ დასჭირდება.

პალიასტომი თითქმის არასოდეს დაუთევზიანებიათ. იგი ბუნებრივი აღწარმოებით წელიწადში 300, ზოგჯერ 400 ტონა სასაქონლო თევზს იძლეოდა. იყო დრო, როცა აქვსენტი ქვანიას ბრიგადას პალიასტომში ოთხმოცი ტონა კეფალი დაუჭერია.

„საქთევზმრეწვში" მე შევხვდი ლეგენდარულ მეთევზეს პლატონ საპანაძეს. იგი გულისტკივილით მიყვებოდა პალიასტომზე, მიყვებოდა იმ გეგმებზე, „საქთევზმრეწვს" რომ აქვს დასახული ამ ტბის გასაკეთილშობილებლად. კერძოდ? გამტკნარების შემდეგ აქ უნდა ჩაუშვან სასაქონლო ღირებულების სხვადასხვა

ჭიშის თევზის 6-7 მილიონი ლიფსიტა. პრიმიტიული გამოანგარიშებით (სხვადასხვა დანაკარგების გათვალისწინებით) ეს ლიფსიტები ყოველწლიურად 800 ტონა სასაქონლო თევზს მოგვცემს. ხოლო რაც შეეხება პალიასტომის სახელგანთქმულ კეფალს, ასე უხვად რომ მოიპოვებოდა ადრე, ახლა იშვიათად თუ შედის მლაშე წყალში (მლაშე მას ზღვაც ჰყოფნის!). პალიასტომის „დაბრუნების" შემდეგ, რაღა თქმა უნდა, კეფალი ისევ მიეტანება მისთვის ეგზომ სანატრელ სანახებს. აი, რა სამრეწველო, მე ვიტყოდი, სახელმწიფოებრივი შედეგი მოჰყვება პალიასტომის საბოლოო „განკურნებას". მაგრამ, ამასთან, მას ექნება ე. წ. ჰიგიენური ქვეტექსტიც. ქალაქის გარშემო ისევ იდენს გასუფთავებული კაპარჭინა, მეორეც — გასუფთავდება პლიაჟი ტურბაზის რაიონში.

ახლა პალიასტომში „საქთევზმრეწვის" მეთევზეები ოც ტონა თევზს ძლივს იჭერენ, ე. ი. თხუთმეტჯერ, ოცჯერ ნაკლებს, ვიდრე ადრინდელ წლებში. მაგრამ ნუთუ მარტო გამლაშიანებას უნდა დავაბრალოთ თევზის მარაგის დაცემა? პალიასტომზე „საქთევზმრეწვს" ათკაციანი ბრიგადა ჰყავს; მათ კი, თევზის ჭერისათვის ნებადართულ დღეებში, ოფიციალურად ექვსასი, დიახ ექვსასი ნავისგან შემდგარი მეთევზე-მოყვარულთა არმია უმშვენებს მხარს. თითოეულ მოყვარულს უფლება აქვს ყოველ გასვლაზე დაიჭიროს ხუთი კილოგრამი თევზი. პრიმიტიული გამოანგარიშებით, ე. ი. ყოველი ახეთი გასვლის შემდეგ ექვსასი ნავის ანგარიშზე, სულ ცოტა სამი ტონა თევზი მაინც მოდის. აი, რა „უნარიანად" და „საქმის ცოდნით" წარმართავს მათ საქმიანობას თევზის მარაგის დაცვის, აღწარმოების და თევზჭერის რეგულირების სამმართველო!

ჩვენ კი გვიკვირს, რამ გააქრო პალიასტომში თევზი!

ახლა გადავხედოთ, რამდენი კომპეტენტური ორგანიზაცია ზედამხედველობს იმ თევზს, რომელიც სანთლით საძებარია ჩვენს სავაჭრო ქსელში: თევზის მეურნეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ჰიდროლოგიისა და იქტიოლოგიის განყოფილება; ამიერკავკასიის თევზპროექტი; თევზმშენი; საქთევზმრეწვის გაერთიანება თავისი ორი კომბინატით: ა) აღმოსავლეთ საქართველოს სატბორე თევზის მეურნეობის კომბინატი, ბ) დასავლეთ საქართველოს სატბორე თევზის მეურნეობის კომბინატი; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის კომიტეტი; საქართველოს შავი ზღვის თევზის მარაგის დაცვის, აღწარმოების და თევზჭერის რეგულირების სამმართველო თავისი ორასორმოცკაციანი ძირითადი შტატით და 1500 საზოგადოებრივი ინსპექტორით; თევზისა და ხორცის სამმართველო... ერთი სიტყვით, თევზის პრობლემით იმდენი ადამიანია დაკავებული და დასაქმებული, გრცხვენია კიდეც, მისი გაუჩინარების მიზეზის ძებნა.

მართლაც, კარგად არის ნათქვამი — ცხრა ძიძის ხელში ბავშვი მაინც მოუვლელი იყოო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკოფი რატიანი

# ვ. ი. ლენინი რუსეთის პირველი რევოლუციის თავისებურებათა შესახებ

ფეოდალური წყობილების რღვევისა და ბურჟუაზიული ურთიერთობის აღმოცენება-დამკვიდრების პროცესი მხოფლიოს ყველა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იწვევდა დიდ რევოლუციურ ძვრებს, მაგრამ ეს პროცესი ყველგან ერთნაირად როდი მიმდინარეობდა; ყოველ ქვეყანას თავისი საკუთარი დამახასიათებელი თავისებურებანი გააჩნდა, რაც გამოწვეული იყო ამ ქვეყანაში შექმნილი კონკრეტული ვითარებით, კლასობრივ ძალთა თანაფარდობით, მშრომელთა ექსპლოატაციის ხარისხით და მრავალი სხვა ამგვარი ფაქტორით. ამ თავისებურებათა გამო სხვადასხვა ქვეყანაში ბურჟუაზიული რევოლუციები სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, საფრანგეთში) ბურჟუაზიული რევოლუცია გამოირჩეოდა თანმიმდევრობით და იგი ბოლომდე იქნა მიყვანილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბურჟუაზიულმა რევოლუციამ შეასრულა მის წინაშე მდგომი ისტორიული ამოცანა — ძველი, დრომოჭმული ფეოდალური წყობილების მხხვრევისა და ახალი, ბურჟუაზიული წყობილების სრული გამარჯვების ამოცანა. სხვა ქვეყნებში (მაგალითად, გერმანიაში 1848-1849 წლებში) ბურჟუაზიული რევოლუცია არ ყოფილა თანმიმდევრული, გამოირჩეოდა ნახევრულობით და თავადაზნაურობასთან კომპრომისით, ამიტომ მან ბოლომდე ვერ შეასრულა თავისი ამოცანა და ხელუხლებლად დატოვა ძველი, ფეოდალურ-იუნკრული წესწყობილების მრავალი ნაშთი.

რუსეთი შედარებით გვიან დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას და ეკონომიურად საგრძნობლად ჩამორჩა ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებს. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის 50-60-იანი წლებისათვის რუსეთშიც მომწიფდა ფეოდალური ფორმაციის ბურჟუაზიულით შეცვლის საკითხი და შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია (1859-1861 წწ.), რომელიც მოწოდებული იყო რევოლუციის გზით დაენგრია რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმური მონარქიული სახელმწიფოს საძულველი წესწყობილება და გზა გაეკაფა ახალი წყობილებისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ამოცანა გადაუწყვეტელი დარჩა, რადგან ხსენებული რევოლუციური სიტუაცია რევოლუციად ვერ გადაიქცა, ხოლო იმდროინდელი რევოლუციონერები, რომლებიც, ძირითადად, გლეხობის იდეოლოგები იყვნენ, ერთეულებად დარჩნენ; ამ რევოლუციონერთა თავდადებულმა ბრძოლამ მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ მთავრობა იძულებული გახდა გაეტარებინა ბურჟუაზიული რეფორმები და გაეუქმებია ბატონყმობა. 60-იანი წლების რეფორმები რევოლუციური სიტუაციის, რუს რევოლუციონერთა თავგანწირული ბრძოლის შედეგი იყო და რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უთუოდ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, რადგანაც გზას უხსნიდა ახალ კაპიტალისტურ ურ-

თიერთობას. მაგრამ ხსენებული რეფორმები არა თუ არ იწვევდნენ რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ძირფესვიან გარდაქმნას, არამედ ხელუხლებლად სტოვებდნენ მიწაზე ფეოდალის საკუთრებას — ძველი წყობილების ამ საფუძველს. რაც შეეხება გლეხობას, რეფორმამ მისი ეკონომიური მდგომარეობა არა თუ არ გააუმჯობესა, არამედ, წინანდელთან შედარებით, კიდევ უფრო გააუარესა. გლეხებს წაართვეს იმ მიწის მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლითაც ის ბატონყმობის დროს სარგებლობდა (ე. წ. „ჩამონაჭრები“) და გადასცეს იგი მემამულეებს.

ამრიგად, 60-იანი წლების რეფორმებმა ვერ გადაჭრა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ძირფესვიანი გარდაქმნის ამოცანა; ამ რეფორმებმა მხოლოდ კაპიტალიზმის უფრო სწრაფ განვითარებას გაუხსნა გზა და სოციალურ წინააღმდეგობათა კვანძის გახსნა დროებით გადადო. სამაგიეროდ, რეფორმამ კიდევ უფრო გააუარესა მშრომელი გლეხობის მდგომარეობა, გაამწვავა კლასთა ბრძოლა და მოამზადა ახალი, გაცილებით უფრო მძლავრი რევოლუციური აფეთქების ნიადაგი.

მაგრამ რატომ მოხდა, რომ 1859-1861 წლების რევოლუციური სიტუაცია რევოლუციად ვერ გადაიზარდა? რა ფაქტორებმა შეუწყვეს ხელი ცარიზმსა და მემამულეებს, რეფორმები თავიანთი ინტერესების შესაბამისად გაეტარებიათ? რა გზით უნდა წასულიყო შემდგომში რუსეთი? მოსალოდნელი იყო თუ არა ახალი რევოლუციური აფეთქება და რა ხასიათისა იქნებოდა მომავალი რევოლუცია? რა როლი უნდა ეთამაშა რევოლუციაში ბურჟუაზიას, გლეხობას, მუშათა კლასს? — აი, ასეთი და მრავალი სხვა ამის მსგავსი დიდმნიშვნელოვანი თეორიული საკითხი წამოიჭრა რუსეთის იმდროინდელი რევოლუციონერების წინაშე. ამ საკითხების სწორ გადაწყვეტილებაზე პირდაპირ იყო დამოკიდებული რევოლუციის წარმატება. ამით აიხსნება, რომ ხსენებული საკითხების გადასაწყვეტად მრავალი მოაზროვნე მუშაობდა; თითქმის ყველა საზოგადოებრივი მიმართულების წარმომადგენელი ცდილობდა მოეცა ცხოვრების მიერ დღის წესრიგში დასმული დიდმნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტა. მაგრამ მათი სწორი, ნამდვილად მეცნიერული გადაწყვეტა მარტო მუშათა კლასის დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა შესძლო.

პლეხანოვი, მარტოვი და მენშევიზმის სხვა ლიდერები, რომლებსაც თავი მარქსიზმის ორთოდოქსალურ დამცველებად მოჰქონდათ, ვერ ხედავდნენ რუსეთის კონკრეტულ-ისტორიული ვითარების თავისებურებებს, რის გამოც რუსეთის რევოლუციას დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციების საზომით უდგებოდნენ; მათ ევროპის რევოლუციების მაგალითი მექანიკურად, შაბლონურად გადაჰქონდათ რუსეთში, და დარწმუნებული იყვნენ: რაკი რუსეთში მომავალი რევოლუცია ბურჟუაზიულია, ხოლო დასავლეთში (ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში) ბურჟუაზიული რევოლუციების ხელმძღვანელი და ბელადი (ჰეგემონი) თვითონ ბურჟუაზია იყო, ცხადია, რუსეთის რევოლუციის ბელადიც ბურჟუაზია უნდა იყოს, ხოლო მუშები და გლეხები ბურჟუაზიას კუდში უნდა მისდევდნენ და წინ უბიძგებდნენო.

ლენინმა გადაჭრით გაილაშქრა ევროპის ბურჟუაზიული რევოლუციების გამოცდილების რუსეთში მექანიკურად გადმოტანის წინააღმდეგ და თავისი შეხედულებები რუსეთის რევოლუციის ხასიათზე, მის მამოძრავებელ ძალებზე, რუსეთის ისტორიის უაღრესად ზუსტ მეცნიერულ ანალიზს დააფუძნა. მან მრავალი ნაშრომი მიუძღვნა როგორც 60-იანი წლების, ისე მომდევნო ეპოქის რუსეთის ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესწავლას, რუსეთის პირველი რევოლუციის წანამძღვრების დადგენას. ამ ნაშრომთაგან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ლენინის კაპიტალურ გამოკვლევებს — „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ (1894 წ.), „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ (1896-1899 წწ.), „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ (1905 წ.), „სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905-1907 წლების პირველ რევოლუციაში“ (1907 წ.) და სხვ. ვინც ყურადღებით შეისწავლის ამ ნაშრომებს, ის თვალნათლივ დაინახავს, რა კოლოსალური ენერგია შეალია ლენინმა ხსენებული ეპოქის ყოველმხრივსა და დაწვრილებით შესწავლას, რომლის შედეგადაც მუშათა კლასმა და მისმა პარტიამ მიიღეს მტკიცე, მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებული ახალი, ლენინური იდეები.

ცენტრალური იდეა, რომელიც ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1894 წელს წამოაყენა და რომელიც რუსეთის სამივე რევოლუციაში ბოლშევიკური პარტიის სტრატეგიას და ტაქტიკას საფუძვლად დაედო, ესაა რევოლუციაში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის იდეა. ეს შესანიშნავი და უაღრესად გაბედული იდეა, ისევე როგორც სხვა ლენინური იდეები, მარქსისტული მოძღვრების მტკიცე საფუძველს ეყრდნობა, მაგრამ ამასთანავე ერთად ამ მოძღვრების შემდგომ განვითარებას და გაღრმავებას წარმოადგენს. თუ გავიხსენებთ II ინტერნაციონალის ბელადების მიერ გლეხობის როლის აშკარა უგულვებელყოფას, თუ გავიხსენებთ, აგრეთვე, პლეხანოვისა და მისი თანამოაზრეების შეცდომებს გლეხობის საკითხში, გასაგები გახდება, რა დიდი და განსაკუთრებუ-

ლი მნიშვნელობა ჰქონდა ლენინის მიერ მუშათა და გლეხთა კავშირის იდეის წამოყენებას. ამ ბრწყინვალე იდეამ, რომელიც რუსეთის ისტორიის მეცნიერული, ე. ი. მარქსისტული ანალიზის ნაყოფია, სავსებით შესცვალა ძველი წარმოდგენები ბურჟუაზიული რევოლუციის ხასიათსა და მამოძრავებელ ძალებზე და სრულიად ახლებურად დააყენა და გადასჭრა რევოლუციის ყველაზე უმნიშვნელოვანესი საკითხები.

მაინც რა იყო რუსეთის პირველი რევოლუციის ის უმთავრესი თავისებურება, რომელმაც მუშათა და გლეხთა კავშირის, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის შექმნის აუცილებლობა განაპირობა? მოვუსმინოთ ლენინს:

„ჩვენი რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ეს იყო გლეხური ბურჟუაზიული რევოლუცია მთელ მსოფლიოში კაპიტალიზმის ძალიან მაღალი და რუსეთში შედარებით მაღალი განვითარების ეპოქაში. ეს იყო ბურჟუაზიული რევოლუცია, რადგან მისი უშუალო ამოცანა იყო მეფის თვითმპყრობელობის, მეფის მონარქიის დამხობა და მემამულური მიწათმფლობელობის დანგრევა, და არა ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა... და ეს იყო გლეხური ბურჟუაზიული რევოლუცია, რადგან ობიექტურმა პირობებმა პირველ რიგში წამოაყენეს გლეხობის ცხოვრების ძირითადი პირობების შეცვლის საკითხი, ძველი, შუასაუკუნოებრივი მიწათმფლობელობის მსხვრევის, კაპიტალიზმისათვის „მიწის გაწმენდის" საკითხი, ობიექტურმა პირობებმა ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი ისტორიული მოქმედების ასპარეზზე გამოიყვანეს გლეხთა მასები" (ლენინი, თხზ. ტ. 16, გვ. 402).

შემდეგ:

„ყოველი გლეხური რევოლუცია, მიმართული შუასაუკუნეობრიობის წინააღმდეგ მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის კაპიტალისტური ხასიათის დროს, არის ბურჟუაზიული რევოლუცია. მაგრამ ყოველი ბურჟუაზიული რევოლუცია გლეხური რევოლუცია როდია... ზოგადი მარქსისტული ცნება: „ბურჟუაზიული რევოლუცია" შეიცავს ცნობილ დებულებებს, რომლებიც აუცილებლად შეეფარდებიან გლეხთა ყოველნაირ რევოლუციას განვითარებადი კაპიტალიზმის ქვეყანაში, მაგრამ ეს ზოგადი ცნება ჯერ კიდევ სრულიად არაფერს ლაპარაკობს იმაზე, უნდა გახდეს (ობიექტური აუცილებლობის მხრივ) ამა თუ იმ ქვეყნის ბურჟუაზიული რევოლუცია გლეხთა რევოლუციად, რათა სრული გამარჯვება მოიპოვოს, თუ არ უნდა გახდეს.

პლეხანოვის და მის მიმდევარ მენშევიკთა მთელი ტაქტიკური ხაზის უსწორობის ძირითადი წყარო რუსეთის რევოლუციის პირველ პერიოდში (ე. ი. 1905-1907 წლებში) ის არის, რომ მათ სრულიად ვერ გაიგეს ეს თანაფარდობა საერთოდ ბურჟუაზიულ რევოლუციასა და გლეხურ ბურჟუაზიულ რევოლუციას შორის... მარქსისტების ერთი ნაწილი, სახელდობრ მარჯვენა ფრთა, ყოველთვის კმაყოფილდება ბურჟუაზიული რევოლუციის ზოგადი, აბსტრაქტული, შაბლონური გაგებით და ვერ შესძლო გაეგო ამ ბურჟუაზიული რევოლუციის, სწორედ როგორც გლეხური რევოლუციის, განსაკუთრებული ხასიათი". (იქვე, ტ. 13, გვ. 438-440).

ამ ამონაწერებიდან სავსებით ცხადად ჩანს, თუ რა მიაჩნდა ლენინს რუსეთის პირველი რევოლუციის ძირითად თავისებურებად, რომელიც ამ რევოლუციას განსაკუთრებულ, ევროპის ბურჟუაზიული რევოლუციებისაგან განსხვავებულ ხასიათს, გლეხურ ხასიათს აძლევდა. მაგრამ რას ნიშნავს, კონკრეტულად, რუსეთის რევოლუციის ეს განსაკუთრებული, გლეხური ხასიათი? ეს იმას ნიშნავს, ლენინის სიტყვით, რომ „აგრარული საკითხი რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის საფუძველია და განსაზღვრავს ამ რევოლუციის ნაციონალურ თავისებურებას" (იქვე, გვ. 529), ხოლო „ამ საკითხის დედაარსს შეადგენს გლეხობის ბრძოლა მემამულური მიწათმფლობელობისა და ბატონყმობის ნაშთების მოსპობისათვის რუსეთის სამიწათმოქმედო წყობილებაში და, მაშასადამე, ყველა მის სოციალურ და პოლიტიკურ დაწესებულებაში" (იქვე).

მაგრამ შეეძლო თუ არა რუსეთის ბურჟუაზიას სათავეში ჩადგომოდა გლეხობის ამ ბრძოლას ძველი წყობილებისა და მისი დამცველი მეფის მთავრობის წინააღმდეგ? ამ კითხვას ლენინმა უარყოფითი პასუხი გასცა. წერილში: „რა სურთ და რისი ეშინიათ ჩვენს ლიბერალურ ბურჟუებს" (1905 წ.), ლენინი ამბობს:

„ევროპის ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, რომელიც თავის დროზე, რევოლუციური იყო და ათეული წლების შემდეგ დგებოდა რეაქციის მხარეზე, ჩვენს შინგაზრდილ ბრძენთ სურთ ერთბაშად გადაახტნენ რევოლუციას და რეაქციული ბურჟუაზიის ზომიერ და წესიერ ბატონობაზე გადავიდნენ. ბურჟუაზიას, თავისი კლასობრივი მდგომარეობით, არა სურს და არც შეუძლია სურდეს რევოლუცია (ხაზი ჩემია — პ. რ.). მას სურს მხოლოდ მორიგება მონარქიასთან რევოლუციური ხალხის წინააღმდეგ, მას სურს მხოლოდ მიეპაროს ხელისუფლებას ამ ხალხის ზურგს უკან" (იქვე, ტ. 9, გვ. 294).

ბურჟუაზიის ეს დახასიათება შეეხება არა მარტო რეაქციულ ბურჟუაზიას, არამედ ლიბერალურ ბურჟუაზიასაც. ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ

რევოლუციაში“, რომელიც დაწერილია 1905 წლის ივნის-ივლისში, ლენინი ამბობს:

„ბურჟუაზია ახლა საერთოდ და მთლიანად რევოლუციის მხარეზე დგას, გულმოდგინებას იჩენს სიტყვების წარმოთქმით თავისუფლების შესახებ, სულ უფრო ხშირად ლაპარაკობს ხალხისა და რევოლუციის სახელითაც კი. მაგრამ ჩვენ ყველამ, მარქსისტებმა, თეორიით ვიცით და ყოველდღე და ყოველ საათს ჩვენი ლიბერალების, ერთობელების და ოსვობოჟდენიელების მაგალითით ვხედავთ, რომ ბურჟუაზია რევოლუციის მხარეზე დგას არათანმიმდევრულად, ანგარებით, ლაჩრულად. ბურჟუაზია, მასობრივად აღებული, აუცილებლად გადაიხრება კონტრრევოლუციისაკენ, თვითმპყრობელობისაკენ და გაილაშქრებს რევოლუციის წინააღმდეგ, ხალხის წინააღმდეგ, როგორც კი მისი ვიწრო ანგარებიანი ინტერესები დაკმაყოფილებული იქნება, როგორც კი იგი თანმიმდევარ დემოკრატიზმს „ჩამოშორდება“ (იგი უკვე ახლაც შორდება მას!)“. (იქვე, გვ. 107).

ერთი თვის შემდეგ (1905 წლის აგვისტოში) დაწერილ წერილში „პროლეტარიატი იბრძვის, ბურჟუაზია ხელისუფლებისაკენ მიიპარება“, ლენინი იგივე აზრს კიდევ უფრო მკვეთრად გამოთქვამს:

„ლიბერალური ბურჟუაზია ხალხთან მიდის. ეს მართალია, იგი იძულებულია ხალხთან წავიდეს, რადგან უამისოდ ის უძლურია თვითმპყრობელობას ებრძოლოს. მაგრამ მას ეშინია რევოლუციური ხალხისა და მასთან მიდის არა როგორც მისი ინტერესების წარმომადგენელი, არა როგორც ახალი მგზნებარე მებრძოლი ამხანაგი, არამედ როგორც ჩარჩი, დალალი, რომელიც გარბი-გამორბის ერთი მებრძოლი მხარიდან მეორისაკენ. დღეს — მეფესთანაა და „ხალხის“ სახელით გამოსთხოვს მას მონარქიულ კონსტიტუციას და, ამავე დროს, ლაჩრულად ზურგს აქცევს ხალხის „არეულობას“, „ჯანყს“, „რევოლუციას“. (იქვე, გვ. 208).

რეაქციული და ლიბერალური ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ეს უარყოფითი დახასიათება, ცხადია, შეეხება ამ კლასის იდეოლოგებსაც, რომლებიც ლიბერალების სახელით არიან ცნობილი. ლენინი მუდამ მკვეთრად აკრიტიკებდა და დაუნდობლად ამათრახებდა ლიბერალებს — რუსეთის ბურჟუაზიის ამ ლაქიებს. აი, როგორ მსჯელობდა იგი ლიბერალების შესახებ:

„ბურჟუაზიის ყოველი იდეოლოგი — სულიან-ხორციანად ჩარჩია; ის ფიქრობს არა რეაქციისა და „ურიადნიკის“ ძალების მოსპობაზე, არამედ იმაზე, რომ მოისყიდოს, მოთაფლოს, მოალბოს ეს ურიადნიკი რაც შეიძლება უფრო მალე მორიგების საშუალებით“. (იქვე, გვ. 294).

ანუ

„ლიბერალები, ისევე როგორც მებატონეები, იდგნენ მემამულეთა საკუთრებისა და ბატონობის აღიარების ნიადაგზე, ისინი აღშფოთებით ჰგმობდნენ ყოველგვარ რევოლუციურ აზრს ამ საკუთრების მ ო ს პ ო ბ ი ს შესახებ, ამ ბატონობის სრული დამხობის შესახებ. (იქვე, ტ. 17, გვ. 128).

ან კიდევ:

„ლიბერალებს უნდოდათ რუსეთი „გაეთავისუფლებინათ“ ზევიდან“, არ დაერღვიათ არც მეფის მონარქია, არც მემამულეთა მიწათმფლობელობა და ბატონობა, და მხოლოდ ურჩევდნენ მათ „დაეთმოთ“ დროის მოთხოვნებისათვის. ლიბერალები იყვნენ და დარჩნენ ბურჟუაზიის იდეოლოგებად, ბურჟუაზიისა, რომელსაც არ შეუძლია შეურიგდეს ბატონობას, მაგრამ ეშინია რევოლუციისა, ეშინია მასების მოძრაობისა, რასაც შეუძლია მონარქიის დამხობა და მემამულეთა ბატონობის მოსპობა. ამიტომ ლიბერალები სჯერდებიან „რეფორმისათვის ბრძოლას“, „უფლებებისათვის ბრძოლას“, ე. ი. მებატონეებსა და ბურჟუაზიას შორის ძალაუფლების გაყოფას... 60-იანი წლების ლიბერალებს ჩერნიშევსკიმ „მ ო ლ ა ყ ბ ე ნ ი, მ კ ვ ე ხ ა რ ე ბ ი და ს უ ლ ე ლ ე ბ ი“ უწოდა, ვინაიდან ის ნათლად ხედავდა მათს შიშს რევოლუციის წინაშე, მათს უხასიათობას და ყურმოჭრილ მონობას ძლიერთა წინაშე“ (იქვე, გვ. 129-130).

როგორც ვხედავთ, ლენინს რუსეთის ბურჟუაზია, მათ შორის ლიბერალური ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები, სრულებითაც არ მიაჩნდა დემოკრატიის, ხალხის, რევოლუციის მომხრეებად; ლენინის აზრით, რუსეთის ბურჟუაზია იმდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეფის მთავრობასა და მემამულეებთან და იმდენად ეშინოდა მას მშრომელი ხალხის რევოლუციური მოძრაობისა, რომ არ შეეძლო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში რევოლუციური როლი შეესრულებია; ბურჟუაზია არ იყო ხსენებული რევოლუციის მამოძრავებელი ძალა, ხოლო ბურჟუაზიის მხრივ ამ რევოლუციის ხელმძღვანელობაზე (ჰეგემონობაზე) ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

იმ გზას, რომლითაც ბურჟუაზიას სურდა რუსეთის „განთავისუფლება“, ე. ი. თავადაზნაურულ-ბატონყმური რუსეთის შეცვლა ბურჟუაზიული რუსეთით, ლენინმა კაპიტალიზმის განვითარების „პრუსიული გზა“ უწოდა. მაგრამ, როგორც ლენინი აღნიშნავდა, ობიექტურად არსებობდა რუსეთის გარდაქმნის სხვა გზაც, — ეს იყო კაპიტალიზმის განვითარების ე. წ. „ამერიკული გზა“, რომლის დროსაც ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების მსხვრევა რევოლუციური გზით ხდებოდა. თუ პირველ გზას რუსეთის ლიბერალური ბურჟუები ადგ-

ნენ, მეორე გზისათვის რუსეთის რევოლუციური გლეხობა იბრძოდა.

აი, როგორ მსჯელობს ამ საკითხზე ვ. ი. ლენინი:

„ბატონყმური ნაშთების აღმოფხვრა შეიძლება მემამულურ მეურნეობათა გარდაქმნის გზითაც და მემამულური ლატიფუნდიების მოსპობის გზითაც, ე. ი. რეფორმის გზითაც და რევოლუციის გზითაც. ბურჟუაზიული განვითარება შეიძლება მომდინარეობდეს მსხვილ მემამულურ მეურნეობათა მეთაურობით, რომლებიც თანდათანობით სულ უფრო და უფრო ბურჟუაზიული ხდებიან, ექსპლოატაციის ბატონყმურ წესებს თანდათან ბურჟუაზიულით ცვლიან, — ის შეიძლება აგრეთვე მომდინარეობდეს წვრილ გლეხურ მეურნეობათა მეთაურობით, რომლებიც საზოგადოებრივი ორგანიზმიდან რევოლუციური გზით ამოაგდებენ ბატონყმური ლატიფუნდიების „ხორცმეტს“ და შემდეგ თავისუფლად ვითარდებიან ლატიფუნდიებად კაპიტალისტური ფერმერობის გზით.

ობიექტურად შესაძლებელი ბურჟუაზიული განვითარების ამ ორ გზას ჩვენ ვუწოდებდით პრუსიული და ამერიკული ტიპის გზებს... რუსეთის ეკონომიურ ისტორიაში სრული სიცხადით მჟღავნდება ევოლუციის ორივე ეს ტიპი“. (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 13, გვ. 291-292).

შემდეგ:

„გლეხთა და მემამულეთა ინტერესების ბრძოლა, რომლებიც წითელ ზოლად გადის რუსეთის რეფორმისშემდგომ მთელ ისტორიაში და ჩვენი რევოლუციის უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ საფუძველს შეადგენს, არის ბრძოლა ბურჟუაზიული აგრარული ევოლუციის ამა თუ იმ ტიპისათვის“. (იქვე, გვ. 295).

ამ ამონაწერებიდან დღესავით ნათელია, რომ რუსეთის დემოკრატიულ რევოლუციაში, ლენინის მიხედვით, ბურჟუაზიისა და გლეხობის როლი სულ სხვადასხვაგვარია. ლენინი არაერთხელ და ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ბურჟუაზია მიისწრაფვის ლიბერალურ-მონარქისტული პარტიის ფრთებქვეშ თავის შეფარებისაკენ, ხოლო გლეხობა, როგორც მასა — რევოლუციური და რესპუბლიკური პარტიის მხრივ ხელმძღვანელობისაკენ. ამიტომაცაა, რომ ბურჟუაზიას არ ძალუძს დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, გლეხობას კი უნარი შესწევს ბოლომდე მიიყვანოს რევოლუცია, და ჩვენც მთელი ძალღონით უნდა დავეხმაროთ მას ამაში“. (იქვე, ტ. 9, გვ. 109).

ნათქვამიდან თავისთავად გამომდინარეობს ის აზრი, რომ რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციისაგან განსხვავებით, — *ნამდვილ ბურჟუაზიულ დემოკრატიზმს წარმოადგენდა* არა ბურჟუაზიის იდეოლოგია (ლიბერალიზმი), არამედ გლეხობის იდეოლოგია, რომლის წარმომადგენლები ჯერ 60-იანელები და ხალხოსნები, ხოლო შემდეგ ე. წ. ტრუდოვიკები იყვნენ. ერთი შეხედვით, თითქოს პარადოქსად გვეჩვენება, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციაში დემოკრატიზმს განასახიერებს არა ბურჟუაზია, არამედ გლეხობა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით! თუ გავითვალისწინებთ რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის თავისებურებას, კერძოდ მის გლეხურ ხასიათს, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ სწორედ გლეხობა წარმოადგენს ამ რევოლუციაში ნამდვილ ბურჟუაზიულ დემოკრატიზმს, თუმცა ესეც უნდა ითქვას: რამდენადაც ბურჟუაზიის იდეოლოგებიც ხალხის სახელით გამოდიოდნენ, ფორმალურად ისინიც მიუდგებიან „ბურჟუაზიული დემოკრატიის“ მეცნიერულ ცნებას, მაგრამ ლენინი ყოველთვის ხაზგასმით და დაჟინებით მოითხოვდა, რომ არსებითად გაგვესხვავებინა ერთმანეთისაგან ბურჟუაზიული დემოკრატიის ეს ორინაირსახეობა. ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ ლენინი ამბობს:

„ბურჟუაზიული დემოკრატიაც არის და ბურჟუაზიული დემოკრატიაც. ერთობის მოღვაწე — მონარქისტიც, რომელიც ზედა პალატის მომხრეა და საყოველთაო საარჩევნო უფლებას „მოითხოვს“, ხოლო ფარულად, ჩუმჩუმად ურიგდება ცარიზმს შეკვეცილი კონსტიტუციის შესახებ, ბურჟუაზიული დემოკრატი გახლავთ. და ბურჟუაზიული დემოკრატია ის გლეხიც, რომელიც იარაღით ხელში ილაშქრებს მემამულეებისა და მოხელეთა წინააღმდეგ და „გულუბრყვილოდ-რესპუბლიკურად“ მოითხოვს „მეფის გაგდებას“... ჩვენი ახალისკრელები... კმაყოფილდებიან რევოლუციის ბურჟუაზიულ ხასიათზე მსჯელობით იქ და მაშინ, სადაც საჭიროა უნარი, რომ ერთმანეთისაგან გაარჩიონ რესპუბლიკურ-რევოლუციური და მონარქისტულ-ლიბერალური ბურჟუაზიული დემოკრატია“. (იქვე, გვ. 48-49).

სხვა ადგილას, სახელდობრ სტატიაში „პროლეტარიატის ბრძოლის მიზანი ჩვენს რევოლუციაში“ (1909 წ.) ლენინი ამბობს: „ბურჟუაზიული დემოკრატიის“ მეცნიერული ცნება გლეხობასაც მიუდგება და ლიბერალებსაც, მაგრამ პროლეტარიატის დამოკიდებულება „ბურჟუაზიული დემოკრატიის“ ამ ორი ნაირსახეობისადმი აუცილებლად უნდა იყოს არსებითად სხვადასხვაგვარი“. (იქვე, ტ. 15, გვ. 457).

სტატიაში „ნაროდნიკობის შესახებ“ (1913 წ.) ლენინი კვლავ ხაზგასმით მიუთითებს ლიბერალებსა და გლეხურ დემოკრატიას შორის არსებულ ღრმა განსხვავებაზე და ამბობს: „რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია თავისი ეკონომიური მდგომარეობით იძულებულია ესწრაფვოდეს არა პურიშკევიჩისა და კომპანიის

პრივილეგიების *მოსპობას*, არამედ მათ *განაწილებას* მებატონეებსა და კაპიტალისტებს შორის. პირიქით, ბურჟუაზიული დემოკრატია რუსეთში — გლეხობა — იძულებულია ესწრაფვოდეს ყველა ამ პრივილეგიის *მოსპობას*". (იქვე, ტ. 18, გვ. 638).

დაბოლოს, უნდა გავიხსენოთ აგრეთვე ლენინის სტატია „ლიბერალიზმის გამოყოფა დემოკრატიისაგან" (1913 წ.), რომელიც საგანგებოდ იხილავს ჩვენთვის საინტერესო საკითხს და უდიდესი სიცხადით გვიჩვენებს ლიბერალიზმსა და დემოკრატიას შორის არსებულ პრინციპულ განსხვავებას. ეს სტატია შემდეგი შესანიშნავი სიტყვებით იწყება:

„რუსეთში დემოკრატიისაგან ლიბერალიზმის გამოყოფის საკითხი მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია" (იქვე, ტ. 19, გვ. 353).

სტატიაში ამ საკითხს ლენინი, უმთავრესად, რუსეთის საგარეო პოლიტიკის საჭირბოროტო ამბების თვალსაზრისით აშუქებს, ერთხელ კიდევ დიდი დამაჯერებლობით არკვევს იმ კლასობრივი ძალების შინაგან ბუნებას, რომლებიც ლიბერალიზმსა და დემოკრატიას მხარს უჭერენ და შემდეგ დასკვნამდე მიდის:

„რუსეთის დემოკრატია ერთ სერიოზულ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს ისე, თუ ვერ შეიგნო ის ღრმა კლასობრივი ფესვები, რომლებიც ლიბერალიზმს *ჰყოფს დემოკრატიისაგან*, — და ამრიგად თუ ვერ ისწავლა „სახალხო თავისუფლების" საქმისათვის ლიბერალიზმის ღალატისა და მერყეობის ნეიტრალიზება. უამისოდ ზედმეტია ფუჭი ლაპარაკი განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებათა შესახებ". (იქვე, გვ. 356).

ახეთია, ზოგად ხაზებში, ლენინის მოძღვრება რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის უმთავრეს თავისებურებებზე, ამ რევოლუციაში ბურჟუაზიის როლზე და აგრეთვე იმ არსებით განსხვავებაზე, რომელიც რუსეთში ლიბერალიზმს და დემოკრატიზმს შორის არსებობდა.

ვ. ი. ლენინის მოძღვრება რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თავისებურებებზე, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, საფუძვლად დაედვა ხსენებულ რევოლუციაში არა მარტო რუსეთის ბურჟუაზიის, არამედ აგრეთვე რუსეთის მუშათა კლასისა და გლეხობის როლის სრულიად ახლებურ, ლენინურ გაგებას.

ემყარებოდა რა, ერთი მხრივ, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის გენიალურ ნაშრომებს, ხოლო მეორე მხრივ, იმპერიალიზმის ეპოქის თავისებურებათა მარქსისტულ ანალიზს, ითვალისწინებდა რა რუსეთის საზოგადოებრივ-კლასობრივ ძალთა მდგომარეობასა და თანაფარდობას, მათ ინტერესებსა და მისწრაფებებს, — ვ. ი. ლენინი სთვლიდა: თუმცა რუსეთის რევოლუცია თავისი ხასიათით ბურჟუაზიულია, მაგრამ მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა და ხელმძღვანელი (ჰეგემონი) უნდა გახდეს რუსეთის პროლეტარიატი, რომელიც უაღრესად მჭიდრო კავშირს ამყარებს რუსეთის გლეხობასთანო.

ჯერ კიდევ 1894 წელს დაწერილ გენიალურ ნაშრომში — „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ იომბენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ", ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსეთის მუშათა კლასი ერთადერთი კლასია, რომელიც თავისი საზოგადოებრივი და ეკონომიური მდგომარეობით მოწოდებულია რევოლუციაში ყველა მშრომელის წარმომადგენელი და ხელმძღვანელი გახდესო. აი, ლენინის სიტყვები:

„მშრომელის ექსპლოატაცია რუსეთში *ყველგან თავისი არსებით კაპიტალისტურია*... მუშას უკვე აღარ შეუძლია არ დაინახოს, რომ მას სჩაგრავს *კაპიტალი*, რომ ბრძოლის წარმოება მას უხდება ბურჟუაზიის კლასის წინააღმდეგ... სწორედ ამ *კლასის* წინააღმდეგ, რომელიც არა მარტო ფაბრიკებსა და ქარხნებში, არამედ ყველგან და საყოველთაოდ სჩაგრავს და სძარცვავს მშრომელს. აი, ამიტომ ფაბრიკა-ქარხნის მუშა სხვა არა არის რა, თუ არა მოწინავე წარმომადგენელი მთელი ექსპლოატირებული მოსახლეობისა... ფაბრიკა-ქარხნის მუშის ასეთი მდგომარეობა კაპიტალისტურ ურთიერთობათა საერთო სისტემაში მას ერთადერთ მებრძოლად ხდის მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში, იმიტომ, რომ კაპიტალიზმის განვითარების მხოლოდ უმაღლესი საფეხური, მსხვილი ინდუსტრია, ჰქმნის მატერიალურ პირობებსა და სოციალურ ძალებს, რომლებსაც ეს ბრძოლა საჭიროებს" (იქვე, ტ. 1, გვ. 354-355).

რუსეთის მუშათა კლასის როლის ასეთი მეცნიერული დასაბუთების შემდეგ, ვ. ი. ლენინი იქვე იძლეოდა პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის, სოციალ-დემოკრატიის მოქმედების პროგრამას, სახავდა მშრომელი ხალხის განთავისუფლების თვალწარმტაც სურათს:

„სოციალ-დემოკრატები მუშათა კლასისაკენ მიმართავენ მთელ თავიანთ ყურადღებასა და მთელ თავიანთ მოღვაწეობას. როდესაც ამ კლასის მოწინავე წარმომადგენლები შეითვისებენ მეცნიერული სოციალიზმის იდეებს, რუსი მუშის ისტორიული როლის იდეას, როდესაც ეს იდეები ფართოდ გავრცელდება და მუშებს შორის შეიქმნებიან მტკიცე ორგანიზაციები, რომლებიც მუშების დღევანდელ დაქსაქსულ ეკონომიურ ომს გარდაჰქმნიან შეგნებულ კლასობრივ ბრძოლად, — მაშინ რუსი *მუშა* აღსდგება და სათავეში ჩაუდგება ყველა დემოკრატიულ ელემენტს, დაამხობს აბსო-

ლუტიზმს და წაიყვანს რუსეთის პროლეტარიატს (ყველა ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად) აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით ძლევამოსილი კომუნისტური რევოლუციისაკენ“ (იქვე, გვ. 355-356).

ვ. ი. ლენინის ეს გენიალური წინასწარმეტყველება ისტორიამ უდიდესი სიზუსტით დაადასტურა. თავის შემდგომ ნაწერებში პროლეტარიატის დიდი ბელადი არა ერთხელ უბრუნდება რევოლუციაში რუსეთის მუშათა კლასის როლის საკითხს და ყოველმხრივ და ამომწურავად აშუქებს მას როგორც რუსეთის ხამი რევოლუციის, ისე ევროპის მუშათა მოძრაობის მდიდარი გამოცდილების საფუძველზე. სტატიაში „რევოლუციის გაკვეთილები“ ლენინი, ანალიზს უკეთებს და აზოგადოებს რა 1905-1907 წლების რევოლუციის გამოცდილებას, ამბობს:

„ფაბრიკა-ქარხნების მუშები, სამრეწველო პროლეტარიატი, უაღრესად მედგარ ბრძოლას ეწეოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. პროლეტარიატმა რევოლუცია დაიწყო ცხრა იანვრითა და მასობრივი გაფიცვებით. პროლეტარიატმა ბრძოლა ბოლომდე მიიყვანა, როცა 1905 წლის დეკემბერში აღსდგა შეიარაღებული აჯანყებისათვის, აღსდგა გლეხთა დასაცავად, რომელთაც ხვრეტდნენ, სცემდნენ, და აწამებდნენ... ბრძოლის ხიძლიერით რუსეთის მუშათა კლასი რუსი ხალხის ყველა დანარჩენ კლასზე წინ იდგა. თვით მუშათა ცხოვრების პირობები ხდის მათ ბრძოლისუნარიანს და უბიძგებს საბრძოლველად“. (იქვე, ტ. 16, გვ. 375-376).

რუსეთის პროლეტარიატის ისტორიული როლის უაღრესად საინტერესო და ზუსტ დახასიათებას შეიცავს აგრეთვე ლენინის ხელით დაწერილი „პირვანდელი მონახაზი თეზისებისა აგრარულ საკითხზე“, რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე ყრილობისათვის იყო განკუთვნილი. ამ დოკუმენტის პირველსავე პარაგრაფში განზოგადებულია მჩაგვრელთა წინააღმდეგ რუსეთის მუშათა კლასის ხანგრძლივი ბრძოლის გამოცდილება, რომელსაც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. მასში ნათქვამია:

„სოფლის მშრომელი მასების ხსნა კაპიტალისა და მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის უღლისაგან, ნგრევისა და იმპერიალისტური ომებისაგან, რაც კვლავ და კვლავ გარდუვალია კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნების დროს, შეუძლია მხოლოდ ქალაქის და მრეწველობის პროლეტარიატს, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს... ნამდვილად რევოლუციურ, ნამდვილად სოციალისტურად მოქმედ კლასს პროლეტარიატი წარმოადგენს, მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი გამოდის და მოქმედებს, როგორც ყველა მშრომელისა და ექსპლოატირებულის ავანგარდი, როგორც მათი ბელადი ექსპლოატატორთა დამხობისათვის ბრძოლაში“ (იქვე, ტ. 31, გვ. 173-174).

მრავალი შესანიშნავი ნაშრომი უძღვნა ლენინმა რუსეთის გლეხობის ისტორიული როლის გარკვევას. მან დეტალურად და ყოველმხრივ შეისწავლა გლეხთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა და მოგვცა მისი, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის, ამომწურავი დახასიათება. ჯერ კიდევ ნაშრომში „რანი არიან ხალხის მეგობრები“ ვ. ი. ლენინი გადაჭრით აყენებდა გლეხობისადმი მხარდაჭერის საკითხს, როგორც სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ უმთავრეს საბრძოლო ამოცანას.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ვ. ი. ლენინი არა ერთხელ მხურვალედ მოუწოდებდა მუშათა კლასს და მის ავანგარდს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მთელი ძალით დახმარებოდნენ გლეხობას მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლაში. „პროლეტარიატის შესაძლო მოკავშირეთაგან, — ამბობდა იგი, — გლეხობა ჩვენ მიგვაჩნია მთავარ მოკავშირედ თავისუფლებისათვის ბრძოლის დამთავრების საქმეში. მთელი სულითა და გულით ჩვენ ბოლომდე ვუჭერთ მხარს გლეხთა ბრძოლას მემამულური, ნახევრად-ბატონყმური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ და რუსეთის აზიური პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ“. (იქვე, ტ. 11, გვ. 26).

ვრცელ ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905-1907 წლების პირველ რევოლუციაში“, რომელშიც ყოველმხრივ და ამომწურავად არის შესწავლილი აგრარული პრობლემის ყველა ასპექტი, ვ. ი. ლენინი შემდეგ, უაღრესად საყურადღებო დასკვნამდე მივიდა:

„აგრარული საკითხი რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის საფუძველია და განსაზღვრავს ამ რევოლუციის ნაციონალურ თავისებურებას.

ამ საკითხის დედაარსს შეადგენს გლეხობის ბრძოლა მემამულური მიწათმფლობელობისა და ბატონყმობის ნაშთების მოსპობისათვის რუსეთის სამიწათმოქმედო წყობილებაში და, მაშასადამე, ყველა მის სოციალურ და პოლიტიკურ დაწესებულებაში...

ძველი წესწყობილების ნამდვილად დამხობის რევოლუციური გზა აუცილებლად მოითხოვს, როგორც თავისი ეკონომიურ საფუძვლის, მიწათმფლობელობის ყველა ძველი ფორმის მოსპობას რუსეთის ყველა ძველ პოლიტიკურ დაწესებულებებთან ერთად. რუსეთის რევოლუციის პირველი პერიოდის გამოცდილებამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ იგი ძლევამოსილი შეიძლება იყოს მხოლოდ როგორც გლეხური აგრარული რევოლუცია და

რომ ამ უკანასკნელს არ შეუძლია მთლიანად შეასრულოს თავისი ისტორიული მისია, თუ მიწის ნაციონალიზაცია არ მოხდა". (იქვე, ტ. 13, გვ. 529, 534-535).

აქედან დღესავით ნათელია, თუ რა დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციაში გლეხთა მასების მონაწილეობას და მათს მჭიდრო კავშირს პროლეტარიატთან. ითვალისწინებდა რა რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში, ერთი მხრივ, გლეხთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობის უდიდეს მნიშვნელობას, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთის ბურჟუაზიის შემთანხმებლურ-გამცემლურ ბუნებას, ვ. ი. ლენინი გადაჭრით მოითხოვდა მუშათა და გლეხთა უმჭიდროესად შეკავშირებას როგორც მეფისა და მემამულეების, ისე კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს პროლეტარიატის დიდი ბელადი ვერ ამჩნევდა გლეხობის წვრილბურჟუაზიულ ბუნებას და ვერ ხედავდა იმ პრინციპულ განსხვავებას, რომელიც მუშათა კლასის იდეოლოგიასა და გლეხურ იდეოლოგიას შორის არსებობდა. პირიქით, ვ. ი. ლენინი მუდამ ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ევროპულ "მშრომელი" გლეხი ნამდვილი წ ვ რ ი ლ ი მ ე პ ა ტ რ ო ნ ე ანუ წვრილი ბურჟუაა, რომელიც თითქმის მუდამ ან თვითონ ქირავდება სხვისთვის სამუშაოდ, ანდა თვითონ ქირაობს მუშებს. "მშრომელი" გლეხი, როგორც წვრილი მეპატრონე, პოლიტიკაშიც ქანაობს მეპატრონეებსა და მუშებს შორის, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის... მხოლოდ დაქირავებული მუშების დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც თანმიმდევრულ კლასობრივ ბრძოლას აწარმოებს, შეუძლია გაათავისუფლოს გლეხობა ბურჟუაზიის გავლენისაგან". (იქვე, ტ. 19, გვ. 234, 236).

სხვა ადგილს ლენინი, ანალიზს უკეთებს რა გლეხთა დიფერენციაციის მონაცემებს, შენიშნავს: "როდესაც მარქსისტები ამბობდნენ, რომ წვრილი მწარმოებელი მიწათმოქმედებაში (სულ ერთია, სანადელო მიწაზე ეწევა იგი მეურნეობას თუ რომელიმე სხვა მიწაზე) სასაქონლო მეურნეობის განვითარებისას გარდუვალად წარმოადგენს წვრილ ბურჟუაზიას — ეს დებულება გაკვირვებას იწვევდა", მაგრამ რუსეთის გლეხთა სამეურნეო განვითარების კონკრეტული მონაცემები უცილობლად ადასტურებენ მარქსიზმის თეორიულ დასკვნებს, და განაგრძობს: "რუსეთის რეფორმის შემდგომდროინდელ გლეხურ მეურნეობაზე მარქსისტულ შეხედულებათა საფუძველს წარმოადგენს ამ მეურნეობის ტიპის აღიარება წვრილბურჟუაზიულ ტიპად" (იქვე, ტ. 15, გვ. 140-141)

ამავე დროს, ვ. ი. ლენინი გლეხობასა და გლეხურ დემოკრატიას არსებითად განასხვავებდა არა მარტო მონარქისტული, არამედ აგრეთვე ლიბერალური ბურჟუაზიისაგანაც. ის ამბობდა: "გარდა ლიბერალური ბურჟუაზიისა არის კიდევ სხვა ბურჟუაზია, — მაგალითად, მთელი გლეხობა, მასობრივად აღებული, სხვა არა არის რა, თუ არა დემოკრატიული ბურჟუაზია". (იქვე, ტ. 17, გვ. 102).

წერილში "ნაროდნიკობა და დაქირავებული მუშების კლასი" ლენინი ამბობს: "რუსეთში დიადმა წლებმა, 1905-1907 წლებმა, საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ დაქირავებული მუშების კლასი ერთადერთი გამოდიოდა და შეკავშირდა, როგორც სოციალისტური ძალა. გლეხობა გამოდიოდა და ირაზმებოდა, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ძალა". (იქვე, ტ. 20, გვ. 117).

ნაშრომში "საგლეხო რეფორმა" და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია" (1911 წ.) ვ. ი. ლენინი ისტორიული განვითარების ასპექტში იხილავს ბურჟუაზიული რუსეთის ხამი კლასის მსოფლმხედველობას — ლიბერალიზმს, დემოკრატიზმსა და სოციალიზმს, დეტალურად არკვევს მათ ურთიერთდამოკიდებულებას და აყალიბებს უაღრესად ნათელ დებულებებს, რომლებიც რაიმე ორაზროვნებისათვის არავითარ ადგილს არ ტოვებენ. დავაკვირდეთ მის მსჯელობას: "1860-იანი წლების ლიბერალები და ჩერნიშევსკი წარმომადგენლები არიან ორი ისტორიული ტენდენციისა, ორი ისტორიული ძალისა, რომელიც მას შემდეგ დღევანდლამდე განსაზღვრავენ ახალი რუსეთისათვის ბრძოლის შედეგს... ეს ორი ისტორიული ტენდენცია ვითარდებოდა ნახევარი საუკუნის განმავლობაში 19 თებერვლის შემდეგ, ეს ტენდენციები უფრო და უფრო ნათლად, გარკვეულად და აშკარად შორდებოდნენ ერთმანეთს. იზრდებოდა ძალა ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიისა, რომელიც "კულტურული" მუშაობით დაკმაყოფილებას ქადაგებდა და რევოლუციურ იატაკქვეშ მუშაობას გაურბოდა. იზრდებოდა ძალა დემოკრატიისა და სოციალიზმისა, რომლებიც თავდაპირველად ერთად იყვნენ არეული ნაროდოვოლცებისა და რევოლუციური ნაროდნიკების უტოპიურ იდეოლოგიასა და ინტელიგენტურ ბრძოლაში, ხოლო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყეს ერთმანეთისაგან დაშორება იმისდამიხედვით, რამდენადაც ტერორისტთა და ერთეულ პროპაგანდისტთა რევოლუციური ბრძოლიდან თვით რევოლუციურ კლასთა ბრძოლაზე გადასვლა ხდებოდა...

დემოკრატიული და სოციალისტური ტენდენციები ლიბერალურს გამოეყვნენ და ერთმანეთს გაემიჯნენ. პროლეტარიატი შეკავშირდა და, თავისი მუშათა ს.-დ. პარტიის ირგვლივ დარაზმული, გლეხობისაგან ცალკე გამოდიო-

და. გლეხობა რევოლუციაში გაცილებით უფრო ხუსტად იყო შეკავშირებული, მისი გამოსვლები ბევრად უფრო დაქსაქსული და ხუსტი იყო, მისი შეგნებულობა გაცილებით უფრო დაბალ საფეხურზე იდგა, ამიტომ მონარქისტული ილუზიები (აგრეთვე მათთან განუყრელად დაკავშირებული კონსტიტუციური ილუზიები) ხშირად ადუნებდა მის ენერგიას, ლიბერალების, ზოგჯერ კი შავრაზმელების დამოკიდებულებაში აგდებდა მას, ჰბადებდა ამაო ოცნებას „ღვთის მიწაზე“, ნაცვლად შეტევისა თავადაზნაურ-მიწათმფლობელთა წინააღმდეგ ამ კლასის სრული მოსპობის მიზნით. მაგრამ მაინც, საერთოდ და მთლიანად, გლეხობა, როგორც მასა, სწორედ მემამულეებს ებრძოდა, რევოლუციურად გამოდიოდა, და ყველა სათათბიროში — მესამეშიც კი, სადაც მებატონეთა სასარგებლო დამახინჯებული წარმომადგენლობა იყო — მან შექმნა შრომის ჯგუფები, რომლებიც, მიუხედავად ხშირი მერყეობისა, ნამდვილ დემოკრატიას წარმოადგენდნენ“. (იქვე, ტ. 17, გვ. 128-182).

დაბოლოს, გავეცანით ლენინის კიდევ ერთ საინტერესო მსჯელობას, რომელშიც კონცენტრირებულად არის გადმოცემული პროლეტარიატის დიდი ბელადის შეხედულებანი რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში მუშათა კლასისა და გლეხობის როლზე, მათ ურთიერთობასა და ბრძოლაზე, აგრეთვე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის გზებსა და საშუალებებზე. მხედველობაში გვაქვს ვ. ი. ლენინის ნაშრომი „წვრილ-ბურჟუაზიული და პროლეტარული სოციალიზმი“, რომელიც მიმართული იყო გლეხობის როლის ნაროდნიკული გაგების წინააღმდეგ. მკაცრად აკრიტიკებდა რა ნაროდნიკულ-ესერულ შეხედულებას, რომლის მიხედვით რუსეთის გლეხთა მოძრაობა ნამდვილ და ჭეშმარიტ სოციალისტურ მოძრაობადაა მიჩნეული, ვ. ი. ლენინი ამბობდა:

„როგორ უნდა ეპყრობოდეს შეგნებული მუშა, სოციალისტი, თანამედროვე გლეხთა მოძრაობას? მან მხარი უნდა დაუჭიროს ამ მოძრაობას, ფრიად ენერგიულად დაეხმაროს გლეხებს, ბოლომდე დაეხმაროს მათ, რათა მთლიანად დაამხონ მოხელეების ძალაუფლებაცა და მემამულეების ძალაუფლებაც. მაგრამ, ამავე დროს, მან გლეხებს უნდა განუმარტოს, რომ არ კმარა მოხელეებისა და მემამულეების ძალაუფლების დამხობა. ამ ძალაუფლების დამხობისას უნდა ვემზადებოდეთ აგრეთვე კაპიტალის ძალაუფლების, ბურჟუაზიის ძალაუფლების მოსპობისათვის, ხოლო საამისოდ საჭიროა დაუყოვნებლივ ვიქადაგოთ სავსებით სოციალისტური, ე. ი. მარქსისტული მოძღვრება და გავაერთიანოთ, შევამჭიდროვოთ, დავრაზმოთ სოფლის პროლეტარები გლეხური ბურჟუაზიისა და მთელი რუსეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. — შეუძლია თუ არა შეგნებულ მუშას დაივიწყოს დემოკრატიული ბრძოლა სოციალისტურის გულისათვის? არა, შეგნებული მუშა თავის თავს სოციალ-დემოკრატს უწოდებს სწორედ იმიტომ, რომ მან შეიგნო ორივე ბრძოლის ურთიერთობა. მან იცის, რომ არ არის სხვა გზა სოციალიზმისაკენ, გარდა დემოკრატიზმისა, გარდა პოლიტიკური თავისუფლებისა. ამიტომ იგი მიისწრაფვის დემოკრატიზმის სრული და თანმიმდევრული განხორციელებისაკენ, რათა საბოლოო მიზანს, სოციალიზმს მიაღწიოს“.

ამრიგად, ლენინური მოძღვრების არსი რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში მუშათა კლასისა და გლეხობის როლზე, ნამდვილ დემოკრატიზმს და ნამდვილ სოციალიზმზე, — დღესავით ნათელია: წინააღმდეგ მენშევიკებისა, რომლებიც გლეხობის როლს სავსებით ვერ აფასებდნენ და რევოლუციის ხელმძღვანელად (ჰეგემონად) რუსეთის ბურჟუაზიას აღიარებდნენ, ხოლო მუშათა კლასს ხსენებული ბურჟუაზიის კუდში მოჩანჩალის როლს აკისრებდნენ, წინააღმდეგ ნაროდნიკებისა და ესერებისა, რომლებიც გლეხობის როლს გადაჭარბებით აფასებდნენ და მას სოციალისტურ ძალად მიიჩნევდნენ, ხოლო მუშათა კლასის როლს სავსებით ვერ აფასებდნენ, — ვ. ი. ლენინმა შექმნა მთლიანი მეცნიერული და რევოლუციური კონცეფცია, რომელიც ემყარება რა, ერთი მხრივ, მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა გრანიტისებურ ფუნდამენტს, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთის ისტორიის ნამდვილად მეცნიერულ, მარქსისტულ ანალიზს, წარმოადგენს ძველი სამყაროს წინააღმდეგ მშრომელი ხალხის ბრძოლისა და გამარჯვების პროგრამას, — მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების პროგრამას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯიბუტი

# მწერალი და დრო

## მიხეილ ჯავახიშვილის ლიტერატურული შეხედულებები

რა თქმა უნდა, მწერლის შემოქმედებითი პოზიციის განსაზღვრისას მთავარია მისი მხატვრული ნაწარმოებები, მაგრამ ლიტერატურულ-პუბლიცისტ.ურ წერილებსაც აქ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ.

მ. ჯავახიშვილმა თავისი ესთეტიკური მრწამსი, მწერლობის მიზანი და დანიშნულება მკაფიოდ განმარტა და განსაზღვრა წერილში „ლიტერატურული განცხადება". აქ ვკითხულობთ: „ლიტერატურა არც თვითგართობაა, არც სხვისი გასართობი. იგი არც პარნასია განდეგილებისათვის, არც გახსნილი სანავარდოა უსაქმურებისათვის. იგი თავდაპირველად სოციალური საქმიანობაა, ხოლო მწერალი — პირუთვნელი და ბეჯითი მოსამსახურეა ერისა". ამ სავსებით სწორი თვალსაზრისით მიემართებოდა მთელი მისი ფრიად რთული და საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება.

მ. ჯავახიშვილი თავიდანვე დაუპირისპირდა ფორმალისტურ მიმდინარეობებს, მან თავის სტატიებში მთელი სიღრმით ამხილა სიმბოლიზმისა და დადაიზმის ანტიხალხური ხასიათი. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა 1936 წელს გამოქვეყნებული წერილი „ხალხურობა და სისადავე". ავტორის აზრით, და ეს აზრი სავსებით სწორია, „ფორმალიზმი ღვიძლი შვილია იმ თეორიისა, რომელიც ამბობს: ხელოვნება ხელოვნებისათვის; ის, ამავე დროს, მახლობელი ნათესავია და მემკვიდრე დეკადანსის და ფუტურიზმისა. იგი მჩატე, ცალიერი, ამორფულია. ეს მიმართულება მომაკვდავი კაპიტალიზმის ლეშზე აღმოცენდა და სწორედ მაშინ, როცა მას კაპიტალიზმის მთლიანი მსოფლმხედველობის ნაცვლად სასოწარკვეთილება, უიმედობა და ნიჰილიზმი შერჩა".

მ. ჯავახიშვილი მკაცრად ეკამათება იმ პოეტებს, ვინც აზრი სიტყვას დაუმორჩილა, უარყო ხელოვნების საზოგადოებრივი ფუნქცია და ფორმა ფეტიშად აქცია. „მხოლოდ ფორმა ან მარტო შინაარსი ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებს ვერ შექმნიან. ჭეშმარიტი ხელოვნება მოითხოვს ორივეს შეზავებას და შედუღებას. თუ პირველს მეორე აკლია, უსისხლო და უხერხემლო ხორცი გამოვა. თუ მეორეს პირველიც თან არ ახლავს, შეუმოსელი ჩონჩხი დარჩება". ამ მოსაზრებას მ. ჯავახიშვილი სხვა წერილებშიც ავითარებს. ხოლო მისი მხატვრული შემოქმედება ფორმისა და შინაარსის ერთიანობის აუცილებლობის საუკეთესო დადასტურებაა, მისი ესოდენ დიდი წარმატების მთავარი პირობაა.

მ. ჯავახიშვილი ულმობლად აკრიტიკებდა აგრეთვე ნატურალიზმს. მისი აზრით „ფორმალიზმი და უხეში ნატურალიზმი ერთი მედალის ორი მხარეა". მართალია, მათი დასაბამი სხვადასხვანაირია, მაგრამ საბოლოოდ ორივე მოვლენა „მაინც ერთად იყრის თავს და თითქმის თანაბრად მავნებელია". ეს თვალსაზრისი მის წერილებში სათანადოდ არის არგუმენტირებული.

მაინც ვინ არის ნატურალისტი? ის, ვინც „მშრალად აღნუსხავს ფაქტებს, ნაცვლად რეალობის გარდაქმნისა და მასალის სათანადო შერჩევისა, ის პროტოკოლს ადგენს და თავის ნაწერში ყველაფერს ყრის, რაც უნახავს და გაუგონია. ის მტერია გმირის, იდეალის. ის ცინიკოსია, გულგრილი და გულცივი, როგორც

უსულო საგანი. ამავე დროს, ის არც ხელოვანია, მას არც თვალი უჭრის, არც სიტყვა და არც გრძნობა“. ერთი სიტყვით, ნატურალისტისათვის დამახასიათებელია სინამდვილის ზერელე გამოხატვა, პასიური ჭვრეტა, იგი წვრილმანებში იქექება და შემთხვევითი დეტალით კმაყოფილდება. ნამდვილი რეალისტი მწერალი კი ღრმად იჭრება საზოგადოებრივი მოვლენების არსში და იძლევა იმის სოციალურ, მორალურ და ესთეტიკურ შეფასებას; სწორედ ასეთი მწერალია თვითონ მიხეილ ჯავახიშვილი, რომელსაც ესოდენ ახასიათებს ამბისა და მოვლენის მასშტაბური განზოგადება და ჩვენება. აღსანიშნავია, რომ არცერთ ფორმალისტს და დეკადენტს ცოცხალი ტიპი არ შეუქმნია. მ. ჯავახიშვილმა კი დადებითი და უარყოფითი ტიპების მდიდარი კოლექცია დაგვიტოვა.

მ. გორკი წერდა: „ხელოვნება მიზნად ისახავს გააზვიადოს კარგი, რათა კიდევ უფრო უკეთესი გახადოს იგი. გააზვიადოს ცუდი, ადამიანისადმი მტრული, მისი დამამახინჯებელი რამ, რათა აღძრას ზიზღი ამ ცუდისადმი, შთააგონოს ადამიანს — მოსპოს ცხოვრების სამარცხვინო სისაძაგლე, რაც კი უხამს, ხარბ მეშჩანობას შეუქმნია“. მ. ჯავახიშვილმა ავისა და კარგის გაზვიადების ეს პრინციპი თავისი შემოქმედების ქვაკუთხედად აღიარა. ამას მოწმობს მისი მრავალი ფალრესად საინტერესო რომანი და მოთხრობა; მათი პერსონაჟები, თუნდაც არსენა, კვაჭი, გამოხატავენ მოპირისპირე სოციალური წრეებისათვის დამახასიათებელ ნიშანთვისებებს. პირველი მათგანი — უბრალო ადამიანების ზოგადი სახეა; მეორე კი — შარლატანის პორტრეტია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მ. ჯავახიშვილმა ერთმა პირველთაგანმა სწორედ გაიგო საბჭოთა ისტორიული რომანის თავისებურება და განსაზღვრა მისი ადგილი ქართულ ლიტერატურაში. აქ, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს „არსენა მარაბდელი“, რომელშიც მღელვარედ და ფართოდ არის ასახული ეპოქა, ისტორიული გმირები, ბრძოლები, იმდროინდელი ყოფა. ამ ნაწარმოებში მთელი სისავსით გამოჩნდა მშრომელი მოსახლეობის ფართო ფენები, რომლებსაც საერთო მიზანი ამოძრავებდათ და აერთებდათ. ადამიანები აქ ერთსულოვნად იბრძვიან უსამართლობის წინააღმდეგ, მწერალი აღფრთოვანებულია მათი ვაჟკაცობით, პატიოსნებით, თავდადებით, რწმენისადმი ერთგულებით და მკვეთრად გამოხატავს თავის ღრმა სიმპათიას მშრომელი ხალხის მიმართ. საერთოდ კი, მ. ჯავახიშვილი ცხოვრების საერთო პროცესიდან მთავარს გამოყოფდა და უზადოდ ხატავდა ადამიანის სულის სამყაროს. ყველა მის გმირს, დადებითს თუ უარყოფითს, საკუთარი, თავისებური ხასიათი აქვს, არც ერთი მეორეს და მესამეს არ ჰგავს.

მ. ჯავახიშვილი ადრე „დისტანციის თეორიის“ მომხრე იყო. შემდეგ იგი ღრმად დარწმუნდა, რომ თანამედროვე მწერალმა უნდა წეროს სწორედ მოწინავე თვალსაზრისით ცხოვრების აქტუალურ თემებზე. „ჩვენ, — წერდა იგი, — უნდა შევისწავლოთ და გამოვხატოთ დღევანდელობა სოციალიზმის მშენებელი კლასის თვალსაზრისით“. შეიძლება ყველაფერი ავსახოთ — სიყვარული, ოჯახი, მშენებლობა, წარსულიც, აწმყოც, მომავალიც, მაგრამ მთავარია არა საგანი, არამედ პოზიცია. აქვე დიდი რეალისტი ამბობდა, რომ მისაღებია მხოლოდ იდეური, მოწინავე ხელოვნება. აქ თავისთავად იგულისხმება მხატვრული შესრულების მაღალი ხარისხი.

ვინ უნდა იყოს თანამედროვე ლიტერატურის მთავარი გმირი? საზოგადოებრივი ადამიანი, შრომა და მშრომელი კაცი. „ახალ გმირს, — წერს იგი, — თვითონ დღევანდელობა გვთავაზობს. იგი ათასობით მოიპოვება კოლმეურნეობაში, ქარხანაში, მაღაროში, ჰაერში, წყალზედაც და წყალქვეშაც“. მათი სახეები, — განაგრძობს, მ. ჯავახიშვილი, — მთელი სისრულით უნდა დავხატოთ, ცოცხლად გამოვაჩინოთ მათი ურთულესი გრძნობა, აზროვნება, ყოფა-ცხოვრება. ამ მიზნის მისაღწევად მწერლის აზრით, საჭიროა რეალიზმის დიდ მდინარეს რევოლუციონური რომანტიზმის ნაკადიც შევუერთოთ, რადგან რომანტიკა ამაღლებს გმირს, ოპტიმიზმით მსჭვალავს, ფრთებს ასხამს მას, აფართოებს ნაწარმოების ემოციურ ჩარჩოს.

ფოლკლორის მხატვრული და შემეცნებითი მნიშვნელობა უზომოდ დიდია. მწერლები ხშირად მიმართავენ ხალხური შემოქმედების საგანძურს და ხათანადოდ სარგებლობენ მისი სიმდიდრით. საერთოდ, წერილობითი ლიტერატურის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხური შემოქმედების საუნჯესთან. და როგორც მ. ჯავახიშვილი ამბობს, ჯანმრთელი რეალისტის თვალში გარკვეული ღირებულება აქვს ზღაპარს, მითს ალეგორიას, და სიმბოლოსაც, თუ „სიმბოლო ნათლად და მკაფიოდ არის აშენებული ამ ქვეყნის ნიადაგზე და ამავე ქვეყანას არ წყდება. მაგრამ ჩვენ მაინც თანადროულობა გვირჩევნია — ამ ცნების ფართო მნიშვნელობით“. აქვე იმასაც მოგახსენებთ, — განაგრძობს იგი, — მწერალმა ისეთი მასალა უნდა შეარჩიოს, რომელიც გაამხნევებს ხალხს და გაუღვივებს იმედს ენერგიას, ზნეობას.

რა თქმა უნდა, „შემოქმედმა მარტო მხატვრულ ორნამენტზე არ უნდა დაახარჯოს თავისი ნიჭი, ზომიერად ნახმარი ორნამენტი მხოლოდ შესამკობი მასალაა მხატვრული ხინთეზის და მთლიანი დინამიური სახის, რომელიც დედალერძივით უნდა იყოს შედგმული

და განვითარებული მხატვრულ ნაწარმოებში.

რეალური ქვეყნის შემოქმედებითი დაპყრობა — აი, ხელოვნების იდეალი".

მ. ჯავახიშვილს რეალიზმი მხატვრული ლიტერატურის დედახედ მიაჩნდა. „იგი მიწაზე დგას და მიწიდანვე ამოდის. ორივენი ერთმანეთს ჰკვებავენ, ზრდიან და ამაგრებენ". აქედან თავისთავად გამოდის ნათელი და ძირითადი დებულება — „ხელოვნება ჩვენთვის, ხალხისათვის".

მ. ჯავახიშვილი მწერლისაგან, უპირველეს ყოვლისა, გულწრფელობას და მხატვრულ სიმართლეს მოითხოვდა. ყოველ ნაწარმოებს იგი ამ თვალსაზრისით აფასებდა.

„მწერლობაში უდიდესი ცვლილება მოხდა, — წერს მ. ჯავახიშვილი და იქვე სვამს კითხვას: რა მისცა ოქტომბერმა ქართულ კულტურას?

უდიდესი სიკეთე.

ოქტომბერმა გადააქცია ქართული ენა სახელმწიფო ენად. მანვე აღადგინა ან ხელახლა ჰშობა ჩვენი მეცნიერება, ხელოვნება და მანვე გაუცხოველა ქართულ მწერლობას განვითარების უნარი.. განსაკუთრებული მადლიერი ოქტომბრისა პირადად მე უნდა ვიყო. მწერლობა 1903 წელს დავიწყე, 1908 წელს შევწყვიტე და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დავუბრუნდი მას და იგი ერთადერთ ხელობად გავიხადე. უკანასკნელ 12 წელიწადში ოცჯერ მეტი დავწერე, ვიდრე პირველ 5 წელიწადში".

მაგრამ მთავარი რაოდენობა როდია. ნაწარმოებები, რომლებიც მწერალმა ჩვენს დროში შექმნა, უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ: მ. ჯავახიშვილმა გაალრმავა ქართული რომანის ტრადიცია და საგრძნობლად აამაღლა მისი დონე. მ. ჯავახიშვილი ამბის, თხრობის, სიუჟეტის განვითარების, მოქმედების გაშლის შეუდარებელი ოსტატი იყო. მთავარი ისაა, რომ მას ნინებულად ესმოდა ახალი ცხოვრების მოთხოვნილება.

„ოქტომბერმა, — წერდა იგი, — ლიტერატურას ახალი ვალდებულება დააკისრა. რაში მდგომარეობს ეს ახალი ვალდებულება? საბჭოთა მწერლის ნაწარმოებში მკაფიოდ უნდა ჩანდეს ის არსებითი, თვისებრივი განსხვავება, რომელიც არსებობს ახალსა და ძველ ფორმაციებს შორის, მან მხატვრულ სახეებში უნდა დაგვანახოს ახალი მორალური ტიპები, მკვეთრად ასახოს საბჭოთა თაობის მიერ შექმნილი ახალი სილამაზის ჯანსაღი სული. საბჭოთა ლიტერატურამ, — წერდა ჯავახიშვილი, — უკვე შექმნა, ახლაც ქმნის და მომავალშიც შექმნის ასეთ ნაწარმოებებს".

დიდი მწერლის წინათგრძნობა გამართლდა, მისმა მომდევნო თაობებმა საგრძნობლად აამაღლეს ლიტერატურის დონე, დაიწერა ახალი კარგი რომანები და მოთხრობები. ქართული პროზის სწრაფ განვითარებას დიდად შეუწყო ხელი მ. ჯავახიშვილის გამოცდილებამ, მდიდარმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ. მაინც რა უნდა ისწავლოს ახალგაზრდა მწერალმა მ. ჯავახიშვილისაგან? უპირველეს ყოვლისა, ენა, მანერა წერისა. მ. ჯავახიშვილს სინამდვილესთან უშუალო მისვლა ახასიათებდა. იგი ტიპის აღწერის და გამოძერწვის უბადლო ოსტატი იყო, და ბოლოს: მ. ჯავახიშვილმა რამდენიმე წერილი უძღვნა ენისა და ეროვნული ლიტერატურის საკითხებს. მისი აზრით, ნაციონალური ლიტერატურა არ ამოიწურება მარტო ნაციონალური ენით. ენის გარდა იგი მოიცავს მთელ კულტურულ მემკვიდრეობას, ისტორიულ და საყოფაცხოვრებო პირობებს, ეროვნულ კოლორიტს და მასალას, რომლითაც განსხვავდება ერთი ერის ლიტერატურა მეორე ერის ლიტერატურისაგან. ასე ესმოდა მწერალს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის ცნება.

რა თქმა უნდა, ეს წერილი მიზნად არ ისახავს ჯავახიშვილის ლიტერატურული წერილების სრულ მიმოხილვას. იგი ფართო ჰორიზონტის მწერალი იყო და ერთი თვალის მოვლებით შეუძლებელია ყველაფერი ითქვას მის შესანიშნავ გამოკვლევებზე („ახალი სალიტერატურო ქართულისათვის", „მასალები ლექსიკონისათვის", წერილები იბსენზე, მოპასანზე, ჰუგოზე და სხვ.). ჩვენი მიზანი იყო მკითხველის ყურადღება გაგვემახვილებინა იმ მთავარსა და არსებით მოთხოვნებზე, რომლებსაც სიტყვის ეს დიდი ოსტატი დღევანდელი მწერლობის წინაშე აყენებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიანა ჟღენტი

# ლექსიკოლოგიური შენიშვნები

## ბესიკის თხზულებათა ლექსიკა

XVIII საუკუნის შესანიშნავი ლირიკოსის ბესიკის სახელი არაჩვეულებრივად პოპულარული იყო ძველ საქართველოში. ცნობილია, რომ რუსთაველის შემდეგ ამდენი მიმბაძველი არავის ჰყოლია. მისი შემოქმედება თავიდანვე იწვევდა ლიტერატურის მკვლევართა ღრმა ინტერესს. საყურადღებოა იგი ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც. ამ მხრივ საინტერესო სურათს გვიჩვენებს მისი ლექსიკის სფერო.

ბესიკის თხზულებები მეტად მდიდარ და მრავალფეროვან სიტყვიერ მასალას იძლევიან. არსებობს აკად. ვარლამ თოფურიას მიერ შედგენილი ბესიკის თხზულებათა ლექსიკონი, რომელიც ერთვის პოეტის ლექსების ორ უკანასკნელ გამოცემას (1932, 1962 წწ). ბოლო გამოცემის ლექსიკონი გაცილებით უფრო სრულყოფილია და ახალი მასალებით გამდიდრებული. როგორც პროფ. ს. ცაიშვილი წერს: „...აღნიშნული ლექსიკონი ფრიად საგულისხმოა არა მარტო ბესიკის პოეტური ენის გასაგებად, არამედ იგი დაგვეხმარება მე-17-18 ს-ის ბევრი საცილობელი სიტყვისა თუ ტერმინის გამორკვევაში".[1]

ბესიკი ღრმად განსწავლული პოეტია. მის თხზულებებში ვხვდებით ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსთა სახელებს: პლატონი, არისტოტელე, პროკლე, ნაკლებად ცნობილი ნეოპლატონიკოსის ანატოლის სახელს; პოეტი კარგად არის გაცნობილი ბერძნულ, ქართულ თუ სხვა მწერლობის ორიგინალურსა და თარგმნილ ძეგლებს, ასახელებს პერსონაჟებს ამ ძეგლებიდან (აქილევსი, ჰექტორი, პრიამი, ვისი, ხოსროვშირი, ავთანდილი).

ბესიკი, როგორც მდივანი და მწიგნობართუხუცესი, აგრეთვე დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი, შესანიშნავადაა დაუფლებული სამოქალაქო და საეკლესიო საბუთების (სიგელ-გუჯრების) შედგენის ტექნიკას, დიპლომატიური ურთიერთობისათვის საჭირო ტერმინებს. მის პროზაულ ნაწერებში იხმარება საქართველოს მეფისა და რუსეთის იმპერატორის კარზე მიღებული მეფისა და მაღალი თანამდებობის მოხელეთა, ასევე სასულიერო წოდების პირთა ტიტულების ქართული შესატყვისები: „მისი სიმაღლე", „მაღალშობილება", „ბრწყინვალება", „უავღუსტესი" და ა. შ.

საინტერესოა, რომ ბესიკის თხზულებათა ბოლო გამოცემის ლექსიკონში ზოგი სიტყვა ახლებურადაა განმარტებული. მაგალითად, 1932 წ. გამოცემაში იყო: დაებლლაჯა — დაელრიჯა, დაუნაოჭდა; 1962 წ. გამოცემაში: დაებლლაჯა — დაეკაწრა; 1932 წ. გამოცემაში: ვგებდი — ველოდი, ვუზლავდი, მაგიერს ვუხდიდი; 1962 წ. გამოცემაში: ვგებდი — ვაგვარებდი, ვახერხებდი; 1932 წ. გამოცემაში: ვსვრიდი — ვესროდი; 1962 წ. გამოც.: ვსვრიდი — ვსპობდი; 1932 წ. გამოც.: მყოობანი — მომავალნი; 1962: მყოობანი — მრ. მყოობა, მყოფობა.

პოეტმა და მკვლევარმა გ. ლეონიძემ გაარკვია, რომ ლექსში „მაენი მაშენი" მოხსენებული „ხაჲედი" (შავ ხაჲედმოსილნი, ქუფრად მბზინავნი 2, გვ. 55) ნიშნავს არა ხავერდს, როგორც აქამდე ფიქრობდნენ, არამედ ყვავილს. გ. ლეონიძე იმოწმებს თეიმურაზ ბატონიშვილის განმარტებას: „ხაჲედი ერთგვარი ყვავილია, გრძელი და წვრილ ფურცლებიანი, შავი და სურნელი".[2] ბესიკის თხზულებათა 1962 წლის გამოცემაში გათვალისწინებულია ეს შენიშვნა და ამ სიტყვის წინა (1932 წ.) გამოცემაში შეტანილი არასწორი განმარტება შეცვლილია სწორი განმარტებით: 1932 წ. გამოცემაში იყო: ხაჲედი — ხავერდი; 1962 წ. გამოცემაში არის: ხაჲედმოსილი — ხაჲედით მოსილი (ხაჲედი მცენარე, გამოაქვს სურნელოვანი ყვავილი).

ბევრი სიტყვა პირველადაა შემოსული ახალ ლექსიკონში. წინა გამოცემის ლექსიკონთან შე-

დარებით ახალ ლექსიკონში დამატებულია სიტყვები: **ალმაზეო, განმხილველობს, დამჯარი, დუშტი, თავმოპლოკვით, თეჭლისი, კეთილმამდოვე, კეთილნაქსული, კიალი, კლდესალუა, კოდარა, მეტვირთი, მეტოლი, მოუერქვნელი, ნაზენ, ნანვა, ნაძველე, ნაძნელე, ნიკარტი, ობოლმდარებით, უბადო, უგლიმაობს, უკუნშურდულნენ, უპოვარი, ფუცვა, ქანანი, ქოვლობს, ჩაბანდული, ჩარა, ჩიჩვირი, ცეცხლნაკიდარი, ცენება, ცხენმაშვრალი, ძალმექონი, ძუბეხაობს, ჭამადი, ჭკუაცეტანი, ხმაყარიბად, ატადის კალოშ** და სხვ.

ვფიქრობთ, სავსებით სამართლიანია პროფ. სარგის ცაიშვილის მიერ გამოთქმული შენიშვნა „რძალდედამთილიანში" დადასტურებული სიტყვის აჰზირგანის განმარტების თაობაზე. ბესიკის თხზულებათა ორ უკანასკნელ გამოცემაში ეს სიტყვა ახსნილია, როგორც **დიდვაჭარი**, რაც კონტექსტს არ შეეფერება. კონტექსტს უფრო მიესადაგება შემდეგი ახსნა — ცუდი ყოფაქცევის დედაკაცი.[4] ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ პოემის ნაწყვეტს, რომელშიც ეს სიტყვაა **ნახმარი**:

მისგან ნაბნედი ბებერი ეგრე გაუშვა
კიდული,
თვით გარდიხვეწა სწრაფითა, საქმე ქმნი
დია ფლიდული,
ჭიიმღერს ბებრის სიკვდილსა ვით
**ბეზირგანი ხრიდული**,
მი და მო თვალთა აშეთებს კეტის
**ხელმონაკიდული** (63, გვ. 159).

როგორც კონტექსტიდან ჩანს, ამ სიტყვით დახასიათებულია რძლის საქციელი. ვფიქრობთ, რომ ბესიკის თხზულებათა მომავალ გამოცემაში ეს შენიშვნა გათვალისწინებული იქნება.

წინა გამოცემის ლექსიკონში გაუგებარი აღმოჩნდა ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა, მაგალითად: **კიალსა** (განვლის ნათლის კიალსა 9, გვ. 109), **მიიკმაკნა** (მყის მიმართა, მიიკმაკნა 22, გვ. 128), **მონასთვლეო** (არ დროით მინასთვლეო 20, გვ. 138) და სხვ.

1962 წლის გამოცემის ლექსიკონში ზემოხსენებული სიტყვებიდან ორი ახსნილია: **კიალი** — ნათება, ბრწყინვა; **მინასთვლეო** — მომიწიეო, მომიკრიფეო.

დღესაც ბევრი სიტყვა ბესიკის ლექსიკიდან სრულიად უცნობია და მნიშვნელობით გაუგებარი, ამიტომ მათი განმარტება ახალ ლექსიკონშიც ვერ მოხერხდა. ახალ გამოცემაში, განსხვავებით წინა გამოცემისაგან, ყველა განუმარტავი სიტყვა აღნუსხულია და შეტანილი ლექსიკონში. წარმოვადგენთ ამ სიტყვების სიას: **აირა, არკურად, ბნელმინარული, გამატრუკლად, გარდანახტი, გაწეყოვლადვის, გომი, კაპაი, მოყმუყე, პალასინობდის, საბეკ, უუვი, შეაკვალენ, წარმოდღეება, ხელშემოსილი, ჯაორ-ჭილდი, ჯორჯიჯლუნა.**

ხელოვნურად ნაწარმოების სიტყვის **ბნელმინარულის** ახსნა სცადა პროფ. ს. ცაიშვილმა. მისი აზრით, ამ სიტყვის მნიშვნელობა უნდა იყოს **ბნელმიძინებული**, ე. ი. სინონიმური ხერხითაა აზრი გადმოცემული: მზეო მწედ ექმენ ბნელსა და მიძინებულსო:[5] ცანი უდღევენ, დღენი უმზევენ, მზენი უმწევენ **ბნელმინარულსა** (7, გვ. 77).

ბესიკის ლექსიკაში უხვად გვხვდება არქაიზმები. მაგალითად: **ამბორყოფს, არდაგი, ბრანგვი, ბრჭალი, განტვინვა, გეაჯდა, გენუკვი, გივის, გოდოლი, დავშთი, დათხევა, დრკუ, ეგევითარი, ერგასისი, ვესავთ, ვეფუცე, თანამდები, იწრო, კეკელა, კვერთხი, მელი, მეტყები, მთოვარე, მტილი, მუნ, მწუხრი, ნალველი, ნიშატი, სახიერი, სახლეული, სახმილი, ტუება, უპოვარი, ურვა, ფერხი, ქედი** (კისერი), **ქენვა, ღრიანკალი, ცოცხალი** (ჯანმრთელი), **ცხოვარი, ძალმექონი, წარტყვენვა, წიხნი ჭამადი, ხმელი** (ხმელეთი), **ხუვილი** (თავთავი), **ჯერ არს** (საჭიროა), **ჭრულავს** და ა. შ.

იოანე ბატონიშვილის სიტყვით, ბესიკს ზეპირად სცოდნია საბას ლექსიკონი, ამიტომ, ბუნებრივია, რომ მის თხზულებებში შესამჩნევია საბას ლექსიკონის გავლენაც.

ბესიკი ხშირად იყენებს საბას ლექსიკონში დადასტურებულ სიტყვებს: **ალბასტრო, აშკი, ბაბაჭუა, ბავლი, ემპლასტრო, ერმაული, ვეგი, ზავთი, ზილფი, იალკიალი, ისხარი, კისკასი, კიჭიმელი, კოხი, ლაპი, ლაში, ლიზლვით, ნიკარტი, სათი, სატები, ტოლომა, ტოტი** (თითი), **უსული, ყაწიმი, შაბარდუხი, შიმალი, ძლარბი, ჭანგი, ჭმახი, ხრასტი, ხრდალი** და სხვ.

ბესიკის თხზულებებში გვხვდება რუსული და აღმოსავლური ენებიდან აღებული სიტყვებიც.

როგორც ცნობილია, ბესიკი არა მარტო პოეტი, არამედ შესანიშნავი დიპლომატიც იყო. იმერეთის სამეფო კარს გადაწყვეტილი ჰქონდა, ისევე როგორც ქართლ-კახეთი (1783 წლის ტრაქტატი ქართლ-კახეთსა და რუსეთს შორის), შესულიყო რუსეთის მფარველობის ქვეშ. ამ მიზნით 1787 წლის მაისში რუსეთში გაიგზავნა დიპლომატიური მისია, რომელსაც მეთაურობდა მაშინ იმერეთში გადახვეწილი ბესარიონ გაბაშვილი.[6]

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ დიპლომატიური საქმიანობის დროს შედგენილ ისტორიულ საბუთებში და წერილებში ბესიკი ხმარობს რუსულ სიტყვებს:

ა) **კნიაზი, სეკრეტარი, ტაინი სეკრეტარი, ინოსტრანნია კალეგია, შტაფლეკარი** (შტაბის მკურნალი), **ლიიიის, როსიისა, პორუთჩიკობა, პოსლანიკსა**. ამ ცნებების ქართული შესატყვისები მაშინ ჯერ დადგენილი არ იყო.

სწორი ფორმების გვერდით დასტურდება რუსული გვარის დამახინჯების შემთხვევებიც:

პოტემკინი (პოტიომკინის ნაცვლად), რუმენცოვი (რუმიანცევის ნაცვლად).

ბ) ქალთა და მამაკაცთა მამის სახელების რუსული დაბოლოებით გაფორმება: ალექსევნა, პეტრე ალექსანდროვიჩი, პავლე სერგეევიჩი.

გ) იშვიათად შეინიშნება რუსულისათვის დამახასიათებელი სახელთა მდედრობითი სქესის ფორმით ხმარებაც: „...დიდო იმპერატრიცა ეკატერინა"... (15-16, გვ. 189); „უმღვთივდიდებულესო მონარხინავ".

საშუალო ქართული სალიტერატურო ენის შესახებ მიუთითებენ, რომ „ამ პერიოდის ენას უხდებოდა ინტენსიური ურთიერთობა სხვადასხვა ოჯახის ენებთან (თურქული, ინდოირანული, არაბული, ბერძნული), რაც თავის კვალს აჩნევს ქართული ლექსიკის განვითარებას".[7] სიტყვათა სესხების პროცესმა განსაკუთრებული სიძლიერით იჩინა თავი საშუალო ქართული სალიტერატურო ენის უკანასკნელ პერიოდში (XVII-XVIII სს.).

ბესიკიც ვერ ასცდა ამ პროცესს, მით უმეტეს, რომ მან ბავშვობიდანვე შეისწავლა აღმოსავლური ენები — სპარსული და თურქულ-აზერბაიჯანული,[8] მის თხზულებებში ვხვდებით აღმოსავლური ენების შემდეგ სიტყვებს: **ბაშ-ალა** (თურქ. ბაშ — თავი, მთავარი; ალა — უფროსი); **დანგი** (სპარს. დანგ — წვრილი სპილენძის ფული); **დელიბაშ** (თურქ. მსუბუქი არტილერიის უფროსი); **დელმა** (თურქ. პოზუმენტის არშიის დაკერება ტანისამოსზე); **ზარიფი** (არაბ. ზარიფ, ძვ. კოხტა, მოხდენილი); **მაშალა** (არაბ. მაშაალლაჰ, რაც ღმერთს ნებავს); **სარდარი** (სპარს. სარდარ); **უტირაცუებს** (სომხ. ტირაცუ — დიაკონი); **ფირი** (სპარს. ფირ. მოხუცი); **ყარამფილი** (თურქ. მიხაკი); **ყურუში** (თურქ. კურუშ, ფულის ერთეული).

ცალკე უნდა გამოვყოთ ბესიკის ენაში სპარსული გზით შემოსული არაბული სიტყვები, რომელთა შემოსვლაც ქართულში XVII საუკუნიდან იწყება: აშიკი, აჯა, ეშყი, მუფარახი, მუტრიბი, მუქაფა, ალლუმი, ჯალაბი. სპარსულის ფორმით არის ნახმარი სიტყვა **მაჯნუნი** (მიჯნური, შეყვარებული).

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო გამოცემის ლექსიკონი გაცილებით უფრო სრულყოფილია წინა გამოცემასთან შედარებით, მასში ვერ ვხვდებით ბესიკის თხზულებებში არსებულ შემდეგ სიტყვებს, რომლებიც, ვფიქრობთ, ახსნას საჭიროებენ: დამაბრალები, ჰკუამთერალები, მოდგამი, ქცევამზიანი, ფერნამკრთალები, გულმომდინარე, მოვინატრი, მოცინარობს, მძახველი, ძილშეკონვით, სასურო, მაისურო, შეაშენენ, მჩინარი, ალცენებულო, სისხლმჩინარე, გამაცოცნა, მქუხავად, გონებამზულობს, სიტყვამცემლობით, მიჰკრიბენ, გეწვიმ-ნამცვარ-წანწკარნეს, მწევნელი, კალამმიმხებელი, ცხენთამამნი, მოფრინვამკმარე, რქამარტოსა, დავინებდი, ხორცქმნილი, უტყვებდეს, წარნაპარ-ნაცბიერი, მიმრავალწელე, გულდამდნარებით, იხერყოფასა, გვირგვინოსან ჰყო.

ბესიკის ნაწერებში მრავლად მოიპოვება ხელოვნურად ნაწარმოები სიტყვები, ხელოვნურობის გამო მათი დიდი წილი ვერ დამკვიდრდა ლექსიკონში. ესენია: ზმარალდულობს, განმტვინეელობს, გონებამზულობს, მჭეხობს, გამომზიდარი და მრავალი სხვ.

ბესიკმა არაჩვეულებრივად გაამდიდრა პოეტური სემანტიკაც. დღეს ბესიკის სახელითაა ცნობილი ისეთი პოეტური გამოთქმები, როგორიცაა: „სევდის პალი", „სევდის შხამი", „ცრემლთა ისხარნი", „ტანი ტატანი", „შავნი შაშვნი", „ცრემლთა მდინარე" და სხვ.

### შენიშვნები

1 სარგის ცაიშვილი, ბესიკ გაბაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემა, მნათობი, 1962, № 12, გვ. 184.

2 გ. ლეონიძის მონოგრაფია ბესიკზე, ლიტერატურის მატიანე, 1942 წ. წიგნი 3-4, გვ. 411 (სქოლიო).

3 ამის შესახებ იხ. ს. იორდანიშვილის „ბესიკის 2 ლექსის განმარტებისათვის", „მნათობი", 1942 წ. № 9, და კ. კეკელიძის „კიდევ ატადეს შესახებ", „ლიტერატურული საქართველო", 1942, 2.XII.

4 ს. ცაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 184.

5 ს. ცაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 184.

6 ა. იოსელიანი, ბესიკი და რუსეთ-ოსმალეთის ომი, „ლიტერატურა და ხელოვნება", 11.X-51 წ.

7 ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს. 1, თბილისი. 1964 წ., გვ. VIII, შდრ. გვ. 379-380.

8 მისი წინამორბედი არჩილი ენერგიულად იბრძოდა ქართული ენის სიწმინდისათვის, მასში აღმოსავლურ ენათა სიტყვებისა და გამოთქმების შემოტანის წინააღმდეგ (იხ. ლ. კობიაშვილის ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", № 2, 1960 წ., გვ. 57).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ჯავახიშვილი

# ივ. ჯავახიშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან

წერილი № 19. ფ. № 2059. 1936 წ. 10.IX (დმანისი).

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

აქ, ბოლნისთან შედარებით მაინც, იმოდენა საქმე გვაქვს, ყოველდღე იმდენი ნივთები ამოდის, იმდენი რეცხვა, ხეხა, წერა და კვლევა გვიხდება, საველე მუშაობის გარდა, რომ არა თუ წერილებისათვის, ძილისთვისაც ძლივს ვიცლით. ამიტომაა, რომ აქამდის დაწვრილებით არა მოგწერეთ რა. ეს მესამე დღეა რვა-რვა საათს ვმუშაობთ ველზე, თორემ აქამდის ათსაათიანი მუშაობა გვქონდა, მაგრამ ვერ გავუძელით. ჩვენ ინვენტარს საშიშროება მოელოდა, ნივთები დავთარში ჩაუწერლად ეყარა (დროებითი პასპორტებით), აუცილებელ ადგილობრივ კვლევა-ძიებას ველარ ვაწარმოებდით. ისევ რვა საათის მუშაობა ვარჩიეთ. კვირაობით არა ვმუშაობთ, მაგრამ სამაგიეროდ ექსკურსიებზე დავდივართ. ამას წინათ კი ვერსად ვერ წავედით, რადგან თბილისიდან კომისიას მოველოდით. იყვნენ ფ. მახარაძე და დ. შევარდნაძე. არ ვიცი, მახარაძე, მგონი, კმაყოფილი დარჩა. თქვენც მოგელოდით და ძალიან შეგვაწუხა თქვენი ავადმყოფობის ამბავმა. როგორა ბრძანდებით? თუ ჰფიქრობთ გვეწვიოთ, ჩემი თხოვნაა, კვირა დღეს ნუ ამოირჩევთ, ვინაიდან მიდამოებში დასათვალიერებელი ბევრია და თავისუფალი მხოლოდ ეგ ერთი დღე გვაქვს.

რამდენიმე საცდელი გათხრის შემდეგ, დავიწყეთ ქალაქის სისტემატური გათხრა. ამჟამად ვთხრით მთავარ ქუჩის ნაწილს და მის გვერდით დიდ მოედანს ზემო ქუჩამდე. აქ რაღაც დიდი შენობა მდგარა, რთული გეგმისა, რომელიც მთლიანად უნდა გამოვასუფთავოთ. გარდა ამისა, უკვე გასუფთავებულია მთავარი ტაძარი, მისი კარიბჭე, მცირე ეკლესია მის გვერდით, აბანო და ერთი შენობა აბანოს ქვემოთ. თითქმის ყველა წარწერები წაკითხულია. ძალიან ბევრია არაბული წარწერა. წარსულ კვირას გოგია წერეთელი იყო აქ ერთი დღით — ბევრი ვერაფერი მოასწრო, მაგრამ ის მაინც გამოარკვია, რომ ზოგიერთი არაბული წარწერა მეტად საინტერესოა ქალაქის ისტორიისათვის. უთუოდ საჭირო იქნება მისი ამოსვლა რამდენიმე დღით. ბევრია აგრეთვე სომხური წარწერა (შედარებით მერმინდელი) და მის წასაკითხავად კარგია, რომ ლ. მელიქსეთბეგი ამოვიდოდეს.

ყოველ დღე რამდენსამე შავ ფულს ვპოულობთ. სხვათა შორის, არ ვიცი, ცნობილია თუ არა, რომ დმანისში საკუთარი ფული იჭრებოდა. ეს გოგიამ გამოარკვია. უმრავლესობა ფულებისა დმანისისაა (მე-XIII ს-ის), ან თამარსა და რუსუდანს ეკუთვნის. ფენების შესწავლა

---

დასასრული. იხ. „მნათობი", № 7.

ეხლაბან დავიწყე. ჯერჯერობით ორი ფენა ჩანს უძველესი, XII-XIII საუკუნისა (თამარის და რუსუდანის ხანა) და შემდეგ მე-XIII-ს შუა ხანების და მეორე ნახევრისა (ქვანახის ფულების მიხედვით, რომლებიც ერთ-ერთი ლავითის სახელითაა მოჭრილი). უფრო ძველი ხანა არ ჩანს, ან უკეთ, ისეთი მდარე ღირსებას ნივთებითაა წარმოდგენილი (უმთავრესად კერამიკა). რომ საქალაქოს შთაბეჭდილებას არ სტოვებს. მერმინდელი ხანაც ჯერ კიდევ როგორღაც წაშლილად გვევლინება. ყველა ეს დასკვნა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჰიპოთეზურ ხასიათს ატარებს.

საინტერესოა წვრილი საყოფაცხოვრებო ნივთები (სასანთლეები, საჭრაქეები, ჭურჭელი, სამკაული და სხვ.), რომელთა რიცხვი და სახეები დღითი-დღე მატულობს, ისე რომ საგამოფენოდ კარგი მასალა გროვდება. სულ ორი კვირა არაა, რაც სისტემატურად ვმუშაობთ და ჩვენი ინვენტარის ნომერმა 400-ს გადააჭარბა. რასაკვირველია, ყველაფერს დავთარში არ ვწერთ, მრავალი ნივთი (ვანსაკუთრებით ნატეხები) მხოლოდ დაშიფრულია და ისე რჩება.

მთავარ ქუჩას, როგორც მოგახსენეთ, მთლიანად ვთხრით (ე. ი. რამდენსაც ამ კამპანიაში მოვასწრობთ), მაგრამ თვით ეს ქუჩა, რომელიც გათხრამდე ასე აშკარად ევლინებოდა თვალს, მოულოდნელად საძიებელი გაგვიხდა. ზედაპირის ქვეშ კედლები და საძირკვლები აღმოჩნდა, რომლებიც ქუჩას გარდიგარდმო ჰკვეთავს, ისე რომ სურათი ჯერჯერობით შეშლილია. ქუჩა უთუოდ ვიწრო იქნებოდა და თან მიხვეულ-მოხვეული, მაგრამ მისი აღდგენა სრულ გაწმენდას მოითხოვს. იმედი მაქვს, რომ ამ თვის გასულს ეს მიზანი მიღწეული იქნება.

ვმუშაობთ ჩქარი ტემპით. 70-75 მუშა გვყავს ყოველდღე. ბევრი დრო და ძალა იხარჯება მიწის გატანაზე, რადგან ვაგონეტები ვერ მოვიტანეთ, თანაც მიწა საბოლოოდ კი არ იყრება ხევში, რადგან ეს დიდ დროს მოითხოვდა, არამედ დროებით იყრება მოშორებულ ადგილას. ათიხთავებისა და უფროსი მუშების დახმარებით, ვახერხებთ ამოდენა ხალხის გაძღოლას; ვინაიდან ეხლა სამუშაოები დაკონცენტრირებულია ყველა ერთ ადგილას, მეთვალყურეობა შედარებით ადვილია. ვერ ვივარაუდეთ და საკმაოდ არ წამოგვიღია: 1. ძმრის მჟავა 2-3 ბოთლი კიდევ გვჭირდება: იშოვება რეაქტივების სავაჭროებში, ან ველიამინოვის, ან პუშკინის ქუჩაზე; 2. სახვევი ქაღალდი: ბლომად ძველი გაზეთები და თეთრი ან ბაციფერის ქაღალდი; 3. კოლოფები მუყაოსი სხვადასხვა ზომისა; 4. ლუპა; ესენი შეიძლება არქიტექტორებმა წამოიღონ, რომლებიც ამ თვ. 15-ს აპირებენ წამოსვლას. ისევ თქვენ გაწუხებთ, ბ-ნო ივანე, რადგან არ ვიცი, რუსთაველის მუზეუმში სხვას ვის მივმართო.

როგორ არის საისტორიო განყოფილების საქმე საქ. მუზეუმში?55 ეგებ მართლა სჯობდეს რუსთაველის მუზეუმს დავუკმაყოფილებულიყავით, სწორედ ეს მუზეუმი შეიძლება ბოლოს საისტორიო მუზეუმად იქცეს და თანაც სრულიად დამოუკიდებელი დაწესებულება იქნება.

ჩვენი მისამართი ასეთია: პატ. დუმანისი (ბაშქიჩეთის რაიონი), ექსპედიციას.

კარგი იქნება, თუ არქიტექტორებს ფულსაც გამოატანთ. აქედან წამოსვლა მეტად ძნელია და ხშირად ძვირიც ჯდება.

თქვენი პატივისმცემელი ლ. მუსხელიშვილი.

წერილი № 20. ფ. № 2060. 1936 წ. 9.10 (დმანისი).

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

ამ დილას გამოგიგზავნეთ წერილი და ეს არის ეხლა ჩამომიტანა კოსტავამ თქვენი წერილი, უთუოდ მოგელით ამ მოკლე ხანში. გთხოვთ თან წამოიღოთ ორბელიანისა და ბართლომეის წანაკითხი. ეხლა კარიბჭის წარწერები ძალიან დაზიანებულია და ბევრი არაფრის გაგება შეიძლება. შენობა საინტერესოა არქიტექტურულადაც და თავისი დანიშნულებითაც: როგორც ჩანს, იქ სწარმოებდა საეპისკოპოზო სამართალი. გარედან იგი პატარა ეკლესიის შთაბეჭდილებას სტოვებს, შიგნიდან კი ისე ჩანს, თითქოს კედლები არც კი უნდა ჰქონოდა თავდაპირველად. ამასთან, იგი მიშენებულია დიდ ტაძარზე, რომლის ნაგებობა გაცილებით უფრო მდარეა. ეს კარიბჭე საინტერესო პრობლემას წარმოადგენს. სამწუხაროა, რომ მთავარი ტაძრის წარწერა, რომელიც პალეოგრაფიულად იმავე ხანისა ჩანს, ერთ-ერთ ორბელიანს გაუ-

ფუძეებია. ახალი ქართული წარწერები არაფერს იძლევა. — ყველა ან ფრაგმენტებია, ან არ იკითხება. სამაგიეროდ, ბევრია არაბული წარწერა.

აქ, სასაფლაოზე, ქალაქის ზღუდის გარეთ, ომის წინ, რამდენადაც აქ შეკრებილი ცნობებიდან ჩანს, ე. თაყაიშვილს უმუშავნია. 10-ოდე საფლავი გაუხსნია და კარგი მასალაც წაუღია (შ. ს., ქურქელიც). ეგებ ეს მასალა ჩვენი მუზეუმის ფონდში მოიძებნოს?[56]

მუშაობის ტემპი შევანელეთ, როგორც გწერდით, არა მეთვალყურეთა სიმცირის გამო, არამედ ინვენტარიზაციის სიძნელის გამო. ზედმეტი ერთი კაცი, რა თქმა უნდა, ცოტაოდნავ მომზადებული და დაინტერესებული, ამისათვის კარგი იქნებოდა. ორი საჭირო არაა. 70 კაცს კარგად ვუძლვებით, მაგრამ ნივთების ჩაწერას ძლივს ვასწრებთ. შესწავლაზე ლაპარაკი მეტია. რა თქმა უნდა, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ საჭირო იქნება მუშაობის გაგრძელება და თუ თანხებიც იქნა, ჩვენ ამის საწინააღმდეგო არა გვექნება რა.

სამკურნალო წყარო, რომლის შესახებ თქვენ ციალა გაბაშვილს დაავალეთ, აქ მართლაც არის მაშავრის ხეობაში, „შარლის წყაროს" ეძახიან, მაგრამ რას შველის, კარგად არ იციან. მეავე არაა. გადმოცემით იქიდან ყოფილა გამოყვანილი წყალი დმანისის აბანოში. ექსკურსიების შესახებ ჩემი და საერთოდ ჩვენი აზრი ასეთია, რომ სჯობია ჯერჯერობით თავი შეიკავონ. ექსკურსიებისათვის ამ სეზონში მაინც არ გვცალია.

თქვენი პატივისმცემელი

ლ. მუსხელიშვილი.

წერილი № 21. ფ. № 2061. დათარიღებული 1936 წლის 2 ოქტომბრით, ეხება გათხრების დაფინანსების საკითხებს.

წერილი № 22. ფ. № 2062. დმანისი, 1936 წლ. 10.9.

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

წუხელ ჩამოვიდა შ. ხიდაშელი[57] და გადმომცა თქვენი სურვილი გაგეგოთ, თუ როგორია ამჟამად ჩვენი გათხრების ვითარება. იმის შესახებ, რაც თქვენ უკვე ნახეთ, აღარას მოგწერთ. იმ დღეს, როდესაც თქვენ აქ ბრძანდებოდით, „მთავარი ქუჩის" ბოლოში" აღმოჩნდა ისეთივე ბელელი მიწის ქვეშ, როგორც სხვა ადგილას მთლიანად შენახული გაჩვენეთ. ამიტომ აქ გათხრა არ შეგვიწყვეტია. ამჟამად უკვე გათხრილია და ამოწმენდილიც ეს ახალი მთლიანად შენახული შენობა. მასაც ორი ბანი აქვს და უკაროა, მის გვერდით აღმოჩნდა ქვითკირით კარგად ამოშენებული დიდი ორმო, ალბათ, ისიც სულადის შესანახი.

თქვენი წასვლის მეორე დღესვე სამუშაოები გადატანილი იქნა სიონის და მარინეს ეკლესიის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით. სამწუხაროდ, აქაც ჯერჯერობით შედეგი პირველი ცდის მსგავსია: კედლების, ორმოების ქვევრების და თონეების ქაოსი, რომლის გაკვლევა ჯერხნობით შეუძლებელია. არსად არც კარი, არც სარკმელი. მხოლოდ ერთგან, სიონის №-ით, შედარებით კარგი ქვითკირიანი კედელი გაითხარა, რომელსაც ისრული კამარით გამოყვანილი კარი აქვს. ფორსირებული ტემპით სწრაფად მიმდინარეობს ამ შენობის გაწმენდა. ვნახოთ, რას მოგვცემს. საინტერესოა და საკვირველი ის, რომ სიონის საძირკველთან შედარებით, ამ შენობის კარის ზღურბლი 2.5 მეტრ მეტრის სიღრმეზე მოდის. ამავე დროს, შენობა დაშორებულია ტაძარს სულ 10-15 ნაბიჯით. არსად არც ქუჩა ჩანს, არც შუკა, არც ეზო, არც რაიმე ვეგმიანი შენობა. ეს არის და ეს. სხვა ახალი არა არის რა, გარდა წვრილი ნივთებისა, რომლებიც, მართალია, ყოველ დღე ამოდის.

თქვენი პატივისმცემელი ლ. მუსხელიშვილი.

წერილი № 23. ფ. № 2063 წარმოადგენს ღია ბარათს. იგი უმთავრესად, არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ტექნიკურ საკითხებს ეხება. ბარათი გამოგზავნილია სოფ. პატარა დმანისიდან.

წერილი № 24. ფ. № 2064. 1937. 8.31. ღია ბარათი. იქიდანვე.

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

გუშინ საჩქაროზე ერთი ბარათი მოგწერეთ. საღამოს მწე ჩამოვიდა. ეხლა არა გვაკლიარა. ჩვენი გათხრების ვითარება შემდეგია:

1. ქვემო აბანოს გათხრა გარეუბანში უკვე მთავრდება. იატაკის ქვეშ გასათბობი სისტემა აღმოჩნდა და იმას ვიკვლევთ. ჯერ მოსაძებნია წყალსადენის მილებიც. 2. ქალაქის კარი კარგა ძალზე გაითხარა და საინტერესო სურათს იძლევა: ორსავ მხარეს ქვაფენილი და კარგა მან-

ძილზე მქისედ მოკირწყლული ქუჩა. 3. მარნიანი შენობის შემოთხრაც სრულდება: აქაც არც კარი, არც სარკმელი აღარსად ჩანს; შენობის გეგმა ძალიან უთავბოლო გამოდის. 4. მეორე დღეა ვთხრით დიდ შენობას შუაქალაქში, შიგნით და გარეთ. წვრილი ნივთები ჯერ-ჯერობით ცოტაა და მსგავსი იმისა, რაც უკვე გვაქ[ვს]

**წერილი № 25. ფ. № 2065.** **დმანისი, 1937 წლ. 9.2.**

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

ჩვენს მუშაობას ძალიან აბრკოლებს კოლექტორების უყოლობა. აუცილებლად საჭიროა არა მარტო ვახტანგის[58] წამოსვლა, რომელიც ლაშქარაძეს[59] შეენაცვლება, არამედ შ. ხიდაშელის წამოსვლის დაჩქარებაც. გასათხრელი ობიექტები ერთმანეთს დაშორებულია... აქამდის ირინე ჯაფარიძესაც[60] ველზე ვამუშავებდი. ეხლა ეს შეუძლებელი შეიქმნა, ვინაიდან ნივთები დაგროვდა, ჩაწერა უნდა. ამგვარად მეც ერთ-ერთი ობიექტი მერგო და მომესპო შესაძლებლობა თვალყური ვადევნო გათხრებს სხვა ადგილებში. ეს ჰქმნის პირდაპირ აუტანელ მდგომარეობას, ვინაიდან კოლექტორებს გამოცდილება აკლიათ. მუშები ეხლა ბლომადა გვყავს, მაგრამ 50-55 კაცზე მეტს ვერ ვამუშავებთ. გასათხრელი კი ბევრია. ქალაქის კარის მთლიანად გათხრამ კარგი შედეგი მოგვცა: აღმოჩნდა, რომ ქვაფენილი, ნაგები მშრალად, მაგრამ ძალიან მკვიდრად სოლებივით ჩაწყობილი ნაგლეჯი ქვებისგან, იწყება ქალაქ გარეთ 5-ოდე მეტრის მანძილზე და იჭრება ქალაქში, რამდენადაც აქამდე გაითხარა, 11 მეტრის სიგრძეზე; ეს იმ ფილაქნებს გარეთ, რომლებიც თვითონ კარს უგია. ქვაფენილის გათხრას ქალაქისაკენ განვაგრძობთ. ქვემო აბანოში გასათბობი სისტემა მოწყობილი ყოფილა იატაკ ქვეშ, მაგრამ საკმაოდ პრიმიტიულად: ცენტრალური ღუმელიდან ცხელი ჰაერი გადიოდა იატაკ-ქვეშა ხვრელებში ორი მიმართულებით, კვამლი ბოლოებში მოთავსებულ საკვამლეებში ადიოდა. ხვრელები ასე იყო გამართული: პრტყელ ქვებზე დაყრილი იყო ლამი, რომელიც სითბოს ინახავს, აქა-იქ დადგმული იყო ე. წ. საგორავი ქვები, რომლებიც გადაფარებული იყო უსწორმასწორო ფილაქნებით: ამაზე მოსხმული იყო ქვითკირის იატაკი (ზედვე). კვლევა-ძიება ჯერ კიდევ სწარმოებს, ჯერ-ჯერობით კი სურათი ასეთია. აბანოში შემავალი წყლის მილები ჯერ ვერ ვიპოვეთ.

გვაქვს უკვე ზოგიერთი საინტერესო ნივთიც. მაგ., ლამაზი საჭრაქე მასივი სპილენძისა, გრავირებული ორნამენტით. ეს ნივთი აღმოჩნდა დიდ შენობასთან, შუაქალაქში. შიგ ამ შენობაში დღეს რამდენიმე ბიზანტიური ფული ამოვიღეთ მე-10-11 ს-ისა და მასთან კერამიკული ნატეხებიც.

ძალიან გთხოვთ, აღძრათ მუზეუმის სახელით შუამდგომლობა მეტეხის მუზეუმის დირექტორის წინაშე, რათა უჯამაგირო შვებულება ირაკლი ქასაშვილს[61] გაუგრძელონ ამ თვის დამლევამდე. ესეც რომ წასასვლელი გახდეს, აღარ ვიცი რა გვეშველება.

თქვენი პატივისმცემელი

ლ. მუსხელიშვილი.

კონვერტები არა გვაქვს, ბოდიში რომ წერილს არ ვბეჭდავ. ლ. მ.

**წერილი № 8. ფ. № 1471.** **1937.8.X.**

ბ-ნო ლევან!

წერილის დასაწერადაც არავინ მაცდის, ამიტომ მოკლედ მოგწერთ: 1. უნდა ყოველნაირად ეცადოთ, რომ მაქსიმალურად მეტი გაკეთდეს. ხიდაშელსაც რამდენიმე დღის შემდგომ გამოვგზავნით. 2. უნდა ანგარიშები გამოგზავნოთ, რომ შემდეგი ავანსი არ შეგვიფერხონ. ფორმალური დაბრკოლება და სხვა სიძნელე ისედაც უამრავია და უნდა ვეცადოთ, რომ საქმე ჩვენი მხრით არ გაგვიძნელდეს. გათხრილი ხაზის ქვაფენილის დაუზიანებლივ დაცვა თუ შესაძლებელია, დასტოვეთ, თუ არა და დროებით დაჰფარეთ. ვაზის მონაპოვარის მნიშვნელოვანი სურათების დანაბეჭდი, რაც გექნებათ, გამომიგზავნეთ და დაახლოვებითი სიდიდე, რაოდენობაც. მაცნობეთ ვიტრინების რაოდენობა — სიდიდის გამოსარკვევად.

თქვენი ივ. ჯავახიშვილი.

**წერილი № 26. ფ. № 2066.** **1937.9.9.**

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

გათხრების მიმდინარეობის შესახებ შემდეგს მოგახსენებთ:

1. ქალაქის კარის გათხრა ჯერ არაა დასრულებული, რადგან ლაშქარაძის წასვლის შემდეგ მისი მონაცვლე აღარავინ იყო. ამჟამად ვახტანგი აქაა, მაგრამ გზა ხჭირდება ინჟ. ნ. თევდო-

რაძეს, რომელიც აქ მუშაობს სიძველეთა დაცვის კომიტეტის დავალებით, სიონის და სხვა სიძველეთა რესტავრაცია-შემაგრებისათვის — სახელდობრ, მას ნაქალაქარში შესაზიდი აქვს საშენი მასალა, გათხრა კი შეზიდვას შეაბრკოლებდა. ამიტომ საჭიროა კიდევ 3-4 დღით მოცდა. ქვაფენილი გაწმენდილია კარიდან ქალაქისაკენ 20-ოდე მეტრის მანძილზე, რის შემდეგ იგი მარცხნივ უხვევს სიონისაკენ. სწორე მოგახსენოთ, ვერ გადამიწყვეტია — ღირს თუ არა მისი შემდგომი გათხრა? ქვაფენილი სახარბიელოს მაინც და მაინც ბევრს არაფერს წარმოადგენს, მის გათხრას კი დიდი დრო მიაქვს. ერთ-ერთი კოლექტორიც უნდა დაბანდდეს. გათხრილი ნაკვეთი სრულს წარმოდგენას იძლევა მისი ნაგებობის შესახებ. ამ ნაკვეთის შესახებ მე ახე ვფიქრობ: ალაგ-ალაგ იგი დაზიანებულია, მაგრამ საერთოდ მტკიცედაა ნაგები: შეიძლება მისი შეკეთება. ეს საქმე რომ მივანდოთ თევდორაძეს, რომელსაც დმანისისათვის საკმაოდ დიდი ბიუჯეტი აქვს (6000 მან.), მე მგონია, იგი უარს არ იტყვის, და მაშინ ქალაქის შესავალი ნაწილობრივ მაინც ძველი სახით გვექნება დაცული.

2. მარნიანი შენობის გამოკვლევა დასრულდა. შედეგი უფრო უარყოფითია, ვიდრე დადებითი: ვერ ვიპოვეთ ამ შენობის ვერც დასავლეთის და ვერც აღმოსავლეთის კედლები. გეგმა, ამგვარად, სრული არაა. თვით მარანს ახლა არა მომატებია რა. მთლიანად ეს შენობა უგეგმო ნაგებობის შთაბეჭდილებას ახდენს.

3. შუაქალაქში შედარებით კარგად დაცული ნანგრევის გათხრაც დასრულდა. აქაც შედეგი უარყოფითია. ერთადერთი, რაც უდავოდ გამოირკვა, ეს ისაა, რომ შენობა შედარებით ნაგვიანევ ხანას ეკუთვნის — იგი ძველ ნაშალ ნიადაგზე დგას. გარდა ერთი ობლად მიგდებული სვეტის ხარიხისა, შიგ არა აღმოჩენილა რა ისეთი, რაც გეგმად შეიძლებოდა ჩათვლილიყო. სრულიად გაურკვეველი დარჩა როგორც თვით შენობის, ისე მისი უცნაური თახჩისა და ბურჯის დანიშნულება. იგი ერთსართულიანი ყოფილა. უნდა კი ითქვას, რომ ეს არის ერთადერთი ცოტათ თუ ბევრად რიგიანი სახლი მთელს ნაქალაქარში.

4. ახლა ვთხრით ერთდროულად 3 შენობას უფრო შიგნით, ნაქალაქარში, კონცხის წვერისაკენ. ამათგან ერთი შენობის გათხრა თითქმის დასრულებულია უშედეგოდ! მეორე შენობაც ხეირიანს არაფერს გვიქადის, რამდენადაც ჩატარებული ზონდაჟის შემდეგ ჩანს: ნაშალი მიწის ფენა აქ ძალიან თხელი გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ ნანგრევი რაღაც მდიდრული ნაგებობის შთაბეჭდილებას ახდენს (დიდი დარბაზები, ფართო შესავალი, შიდაეზო და სხვ.), ნივთები სულ არა ამოდის რა. უფრო მეტ იმედს ვამყარებ მესამე შენობაზე, რომლის გეგმა საინტერესო ჩანს. მაგრამ საზოგადოდ წლევანდელი გათხრა იმდენად უფრო ღარიბია შედარებით შარშანდელთან საექსპონატო მონაპოვარით, რომ ძალიან ცუდ გუნებაზე გახლავართ. თქვენ მწერთ, რომ სურათები გამოგიგზავნოთ და ზომებიც გაცნობოთ. მაგრამ რისა, როცა ჯერ არაფერი, ან თითქმის არაფერი მოგვეპოვება?

5. ერთადერთი სასიამოვნო შედეგი მოგვცა აბანოების გამოკვლევამ. გარეუბნის ქვემო აბანო კარგად დათარიღდა ფულების საშუალებით მე-12-13 ს-ით. მისი ფოტოსურათები, ნახაზები და, თუ გაკეთდა, მაკეტიც კარგი საექსპონატო მასალა იქნება. ნაპოვნია წყალსადენის ორი ტრასა — ძველი და ახალი. ამჟამად ჯერ კიდევ ძიება სწარმოებს აბანოში შემავალი მილების საპოვნელად.ამ წყლის შემყვან მილებს ალბათ, ვიპოვით (ტრასა იკარგება — სრულებით წალეკილია ნიაღვრებისაგან— აბანოდან დაახლ. 50 მტ-ის მანძილზე), მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გამოვარკვიეთ წყლის გამყვანი მილების სისტემა. გამოირკვა, რომ აბანო იკვებებოდა წყაროს წყლით და რომ მისი წყალთშესაკრებელი შუააბანოს ახლოს ყოფილა. ეხლა ითხრება შუააბანო და ხვალ ვიწყებთ მუშაობას ზემოაბანოშიც. რომელიც ყველაზე უფრო დიდია. დამატებითი მუშაობა ჩავატარეთ ციხის აბანოშიც. რამაც ზოგიერთი საგულისხმო თეორიული შედეგი მოგვცა. მხატვრები კარგად მუშაობენ, ციხის აბანოს გეგმაც აიღეს ხელმეორედ. ლ. მაჭავარიანი უარს ამბობს სურათების აქ ბეჭდვაზე და მართლაც აქაურ პირობებში ეს შეუძლებელია — რამდენჯერმე სცადა უარყოფითი შედეგით.

მე ისე ვარ დატვირთული გათხრებით, რომ არამცთუ ვერ ვასწრებ შრომის წერას, რისაც დიდი იმედი მქონდა, არამედ აქამდის ვერ მომისწვრია მრავალი ადგილობრივ შესრულებული და აუცილებელი საქმის გაკეთება, როგორიცაა მაგ., სომხური წარწერების წაკითხვა და სხვ. ისე რომ, ძალიან მძიმე მდგომარეობაში გახლავართ და მერწმუნეთ, რომ სავსებით განვიცდი ჩემ ხვედრ პასუხისმგებლობას. შესაძლებელია, ს. ხიდაშელის ჩამოსვლამ ამ მხრივ შეღავათი მომცეს.

წლევანდელი გათხრები. შედარებით შარშანდელთან, უფრო წესიერია, მაგრამ, როგორც ხედავთ, შედეგი საწინააღმდეგო გამოდის. არ ვიცი ეს ჩვენი ბრალია თუ დმანისისა? მოუთმენლად ველი თქვენს და ბ-ნ გ. ჩუბინაშვილის ჩამოსვლას — ეგებ თქვენ რამე გვირჩიოთ.

ანგარიშებს გამოგიგზავნით, ოღონდ მაცნობეთ, თუ რა თანხა იმყოფება ჩემს განკარგუ-

ლებაში. ხხალტბის გათხრა62 ისე გაგრძელდა, რომ, ალბათ, კიდევ მოითხოვდა დაფატების ხარჯებს და მე ახლა აღარ ვიცი, ღმანისისათვის ზუსტად რამდენიღა დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრჩები თქვენი პატივისმცემელი

ლ. მუსხელიშვილი.

**წერილი № 27. შ. № 2067. 03. -ლი.** **1987 წ. 9.18.**

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

დღეს, მართალია, მოგელით ღმანისში, მაგრამ რახან ხამდვილად არ ვიცი, ამობრძანდებით თუ ვერა, ხოლო ჩვენი მძე დღეს მიემგზავრება ქალაქში, ყოველშემთხვევისათვის ამ წერილს ვატან.

უკანასკნელად რომ მოგწერეთ, მას უკან გათხრა სწარმოებდა შემდეგ ადგილებში: 1. გარე-უბანში ნაწილობრივ გაიწმინდა შუააბანო, რამაც ზოგიერთი საგულისხმო დასკვნის საშუალება მოგვცა აქაური აბანოების ისტორიისათვის, და ახლა ფორსირებული მუშაობა სწარმოებს ზემო აბანოში, რომელიც სხვაზე უფრო დიდია, ძველ „აქლემის გზაზე" მდებარეობს და ეგებ სასტუმროს ან ფუნდუკის როლსაც ასრულებდა. აქ ამოვიდა საინტერესოდ მოხატული ბეჭდის თვალი, მრავალი ფული (X-XIII სს), მათ შორის მგონი, ქართულ-ბიზანტიურიც — ვერცხლისა და სხვ.

2. ქალაქში გადავედით მე-7 და მე-8 სამოქალაქო შენობაზე და ვინაიდან ისინი სხვაზე უკეთ არიან დაცული და გეგმითაც სხვაზე მეტ ინტერესს წარმოადგენენ (თუმცა არც ერთი არაა მაინცა და მაინც შესანიშნავი), გავჩერდით მათს სრულს გაწმენდაზე — ეს ორი შენობა, როგორც ასეთი, სრულად იქნება წარმოდგენილი ჩვენს მასალებში. ინვენტარი უიმედოდ მწირია. მხოლოდ ერთი რიგიანი ნივთი ამოვიღეთ გუშინ მე-7 შენობაში — ფერადი მინის პატარა ლამბაქი. არის ქვევრები, ქოცოები, ქილები, ხელადები, მაგრამ დიდზე დიდი უმრავლესობა სრულიად სადაა. ქვევრების ზომებს არა გწერთ, რადგან მინდა ჯერ თვითონა ნახოთ — მე არა ვარ დარწმუნებული იმაზე, რომ ან მათი წამოღება ღირდეს, ან კიდევ დანამდვილებით შეიძლებოდეს მათი დათარიღება XII-XIII საუკუნეებით.

პატარა იმედი აღგვიძრა გუშინ: მე-7 შენობის ახლოს, 1,5-2 მეტრის სიღრმეზე საფლავები აღმოჩნდა, თითქოს აკლდამებია. ამჟამად ზემოდან მათი გაწმენდა სწარმოებს. დღეს, თუ მოესწრო, პირველ საფლავს გავთხრით. რადგან იმედი დამეკარგა ინვენტარის მოპოვებისა მეტად თუ ნაკლებად „გეგმიან" შენობებში, გადავწყვიტე პარალელურად გათხრების წარმოება იმ ადგილებში,სადაც შარშან ნივთების უმრავლესობა ამოდიოდა...

3. შიდა ციხეში დავასრულეთ აბანოს გაწმენდა. აქ თითქმის ყველაფერი გამორკვეულია: შენობის ისტორია, გათბობის და წყალსადენის სისტემა და სხვ.

თვით შიდა-ციხეშიც რამდენსამე ადგილას ვმუშაობთ აგერ ერთი კვირაა, სამწუხაროდ, სრულიად უშედეგოდ — აქ სრული სიცარიელეა, კერამიკაც კი არ ამოდის.

გეგმები ბლომად გვექნება (3 აბანოსი, გარეუბნის, ქვემო-აბანოს, წყალსადენის ტრასისა, შიდაციხისა, 2 თუ 3 სამოქალაქო შენობისა, ქალაქის კარისა და სხვ.). ფოტოსურათებიც ყველა მოესწრება — ლევანი ეხლა კარგად მუშაობს, დახელოვნდა. კატალოგსაც საკმაოდ სრულს ჩამოვიტანთ.

შეუსრულებელი მრჩება აქამდე წარწერების წაკითხვა. გამოკვლევისათვისაც აქ ერთი სტრიქონიც კი არ დამიწერია და არც წამიკითხავს.

აი ასეთია ჩვენი ვითარება.

რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა გ. ჩუბინაშვილი ამოსულიყო 2-3 დღით მაინც, მაგრამ რახან ეს ვერ ხერხდება, რა გაეწყობა.

პროკოფის ვატან მოთხოვნილებას 26000 მანეთისათვის. ამ თვის 30-ში მანდ ვიქნებით. საავანსო ანგარიში 12-ისათვის მზად იყო, მინდოდა თქვენთვის პირადად დამებარებინა აქვეფოსტას კი ვერ ვანდე.

თქვენი პატივისმცემელი ლ. მუსხელიშვილი.

**წერილი № 28. შ. № 2068.** **გეგუთი. 1987.XI.6.**

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

მოკლე ამონაწერი დღიურიდან უკეთ გაგაცნობთ საქმის ვითარებას, ვიდრე ვრცელი აღწერა.

XI.2. მიუხედავად იმისა, რომ რიონში გათენებისას ჩამოვედით, ხოფ. გეგუთში დავბინავდით მხოლოდ ნაშუადღევის 3 საათზე, რადგან ურემი დროზე არ მოვიდა. მთელი დღე წვიმს.

XI.3. წვიმს. გარეთ არ გაისვლება. გეგუთის საბჭო და კოლმეურნეობა შეპირებულია 20 მუშის გამოყვანას პირველსავე დღეს, თუმცა მუშები ძალიან უჭირთ, რადგან მიწის თხილს კრეფენ.

XI.4. წუხელ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მუშების გამოყვანაზე უარი გვითხრა. დღეს ქუთაისში ვიყავი, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარისაგან მოწერილობა წამოვიღე — კოლმეურნეობას ავალებს ყოველდღიურად 40 მუშით მოგვამარაგოს. საღამოს კოლექტივის თავმჯდომარე სახვალიოდ დაგვპირდა 10 მუშას — მერმე მეტი იქნებაო.

XI.5. პირველად გავედით სამუშაოზე. დაგვხვდა მხოლოდ 6 მუშა. დავიწყეთ გაკაფვა. დ. კაპანაძე[63] წავიდა 2 კლ-ს მანძილზე მყოფ „ქიმკომბინატში" მუშების სათხოვნელად, შეპირდნენ 10 მუშას. საღამოს ვნახე გეგუთის საბჭოს თავმჯ-რე, ისიც შემპირდა მუშათა რაოდენობის გადიდებას.

XI.6. არც კოლმეურნეობიდან და არც კომბინატიდან არც ერთი კაცი არ მოსულა. მთელი დღე ტყუილად ვისხედით ციხე-დარბაზის ნანგრევებში. ვ. ჯაფარიძე იყო კომბინატში, კვლავ შეჰპირდნენ მუშებს საზეგიოდ. ხელმეორედ წავედით იქ. ლ. მაჭავარიანი და მე — დაბეჯითებით დაგვარწმუნეს რომ, თუმცა უძნელდებოდათ, 10-15 მუშას უეჭველად მოგვცემენ, მაგრამ არა უადრეს ამ თვის 10-ისა, რადგან 8-ში და 9-ში უქმე დღეებია და მუშები არ გამოვლენო. ეგებ 9-ში რამე მოხერხდესო. დავურეკე გეგუთიდან ტელეფონით ქუთ. საბჭოს თავმჯდომარეს, ვერა გავაგებინერა — ხაზი ცუდად მუშაობს. ამასობაში დაბინდდა. ყველგან დიდი მანძილებია და მიმოსვლის საშუალება კი არავითარი. ქუთაისში წასვლა შეიძლება მხოლოდ რიონით, ამას მთელი დღე უნდა. ხვალ, ზეგ და მაზეგ უქმეა, ქუთაისში ვერავის ვნახავ. აქ, არ ვიცი, ეგებ კოლმეურნეებთან კიდევ რამე გამოვიდეს და 8-ში მაინც მოვახერხოთ მუშაობა. 12 მანეთად არავის სურს მუშაობა, სხვაგან (მაგ. იმავე ქიმკომბინატში) მეტს აკეთებენ. ამასთან, მიწის თხილის მოსავალი წელს ძალიან დიდია და კრეფა 1-2 კვირას კიდევ გასტანს. მითხრეს, მესხეთში და უკანეთში ხალხი თავისუფალიაო, ხვალ ვაპირებ იქ წასვლას მოსალაპარაკებლად. უკვე იძულებული შევიქენი ქიმკომბინატის მუშებს დღეში 15 მანეთს შევპირებოდი.

როგორც ხედავთ, პატივცემულო ბ-ნო ივანე, მდგომარეობა თითქმის ტრაგიკულია. მეხუთე დღეა აქა ვართ და ჯერ არა გაგვიკეთებია რა. ფოტო-გადაღებათა გარდა, რადგან ბუჩქნარისა და სუროს გამო ნანგრევთა გაზომვაც შეუძლებელია.

საჭიროა აუცილებლად, თუ არ გვინდა, რომ გეგუთის გათხრა სულ მთლად ჩაიფუშოს, განკარგულება ტფილისიდან (სახკომსაბჭოდან) ტელეგრაფით, რომ როგორმე მუშებით მოგვამარაგონ (მაგ. შეიძლება კოლექტივზე იმოქმედონ, რათა საერთო დადგენილებით ყველა გამოვიდეს რიგრიგობით გათხრებზე ისე, რომ თვითეულს თითო დღე ჩვენთან მუშაობისა შრომადღედ ჩაეთვალოს იმ პირობით, რომ ჩვენგან მიღებული ფული კოლექტივის საერთო სალაროში წავიდეს. სწორედ იმიტომ არ გამოდიან კოლმეურნეები, რომ შრომადღე ეკარგებათ, ხოლო თითო შრომადღეში თვითეული ეხლა, როცა, როგორც აქ ამბობენ, „მუწუხია", 30-40 მანეთს აკეთებს)...

ღრმა პატივისცემით

ლ. მუსხელიშვილი.

ჩემი წერილი ღმანისის შესახებ, გადარჩენილი ფოტოსურათებითურთ 2-ში უნდა გადმოეცა თქვენთვის ვ. ფუთურიძეს.[64] ალბათ გადმოგცათ

ლ. მ.

**წერილი № 29. შ. № 2069.** **გეგუთი. 1937.XI.13.**

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

თქვენ, ალბათ, მიკვირდებით, რომ აქამდე არა მოგწერეთ რა. ეს იმიტომ, რომ მოსაწერი თითქმის არაფერი იყო. მუშაობა, როგორიც იქნა, 9-ში დავიწყეთ და მხოლოდ ეხლა ირკვევა ზოგი რამ ამ შენობის ისტორიისათვის საინტერესო. გათხრა სწარმოებს დიდი დარბაზის სხვადა სხვა ადგილას და შენობის სამხრეთით და აღმოსავლეთით...

აბანო, თუმცა მერმინდელია, ძალიან საინტერესო შენობა ჩანს. ბუხრიან ოთახში, საცა დიუბუა[65] „სალარო" ეგულებოდა, მართლაც აღმოჩნდა თლილი ქვის კედლებიანი დიდი სარდაფი, რომელიც ეხლა იწმინდება. აქ უკვე ვიპოვეთ რამდენიმე ჩატეხი, რომელიც 12-18 საუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნეებისა უნდა იყოს. ნივთები საზოგადოდ ძალიან ცოტაა და ჯერჯერობით მდარე ღირსების...

აუცილებლად საჭიროა აღიძრას შუამდგომლობა კულტ. ძეგლთა დაცვის კომიტეტის წინაშე, რათა გამოყონ თანხა დარაჯისათვის. თუ აქვე ადგილობრივ არ ჩავასახლეთ ვინმე დარაჯი, ამ შენობას, განსაკუთრებით ჩვენი დაუმთავრებელი გათხრის შემდეგ, დიდი ხიფათი მოელის. უკვე ეხლავე აქაურებს გული მისდით ციხე-დარბაზის აგურებზე. უეჭველად ამ შენობას თხრასაც დაუწყებენ, რადგან იგი დაშორებულია სამოსახლო ადგილებს. იქ არავინ დადგება, თუ რიგიანი ჯამაგირი არ მიეცა. 100 მანეთი მაინც საჭიროა თვიურად. მერმის ხომ გათხრა უნდა შევასრულოთ.

თქვენი პატივისმცემელი

ლ. მუსხელიშვილი.

წერილი № 30. ფ. № 2070. ბუდარეხი. 1938.VIII.16.

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

დიდი ხანია უნდა მომეწერა თქვენთვის, მაგრამ სულ იმას ველოდებოდი, უკეთესი მასალა დაგროვდეს-მეთქი. ამასობაში თითქმის ერთმა თვემ განვლო. ზოგ რასმე უკვე შალიკო მოგიყვებოდათ.

ვმუშაობ იმ გეგმით, რომელიც მე წარვადგინე განყ-ში და რომელსაც თქვენ იცნობთ. გარშემოთხრილია მთავარი ტაძარი, გაწმენდილია შენობა მის უკან, რომელსაც პირობით „სატრაპეზოს" ვეძახით. მთავრდება სასახლის გაწმენდა...

სასახლე არა მგონია სამეფო იყოს (ვითომც რუსუდანისა) — განსაკუთრებით საეკლესიო სტილის სარკმლები საფიქრებელს ხდის, რომ ეს იყო სასულიერო პირის, შეიძლება აქაური არქიმანდრიტის სადგომი. მთავარი ტაძრის გარემოთხრამ აღმოაჩინა საძირკვლები და გეგმა იმ მერმინდელი კარიბჭისა, რომელიც ე. თაყაიშვილს დაუშლევინებია, რადგან მისი ერთი კედელი ტაძრის წარწერის ნაწევარს ჰფარავდა. მაინც და მაინც არც ახალი საინტერესო ჩუქურთმიანი ქვა, არც წარწერა არ გვიპოვია, თუმცა გვაქვს რამდენიმე დღემდე უცნობი ფრაგმენტი. საზოგადოდ, ნივთების მხრივ წრევანდელი გათხრა ნამეტანი მწირია: კრამიტისა და აგურის მეტი თითქმის არაფერი ჩანს, არის მხოლოდ ერთი რკინის ცული, სასახლეში ნაპოვნი, საინტერესო მოყვანილობისა და რამდენიმე საგულისხმო ფრაგმენტი ძველი მოჭიქული ჭურჭლისა; შესაძლებელია, მომავალში, როცა დიდი ცარიელი არეს გათხრას შევუდგებით, განათხარი ნივთების რაოდენობამაც იმატოს — იქ კულტურული ფენა გაცილებით უფრო სქელია (80 სანტიმეტრამდე), ვიდრე ეს დღემდე გაწმენდილ შენობებში იყო.

ეხლა, სწორე მოგახსენოთ, ერთგვარ გაჭირვებაში ვიმყოფებით: ნიადაგის რელიეფი აქ ძალიან უსწორმასწოროა, შენობების კარები სხვა და სხვა ადგილას სულ სხვა და სხვა დონეზე მოდის, ზღვე თითქმის არსად არ აღმოჩნდა, ქუჩაც ვერ ვიპოვეთ და როცა დიდი არის გათხრას შევუდგებით, გალავანსა და ტაძარს შორის არავითარი ნიშანდობლივი საზღვარი არ გვექნება, რომ მიწის ამოღება გარკვეულ დონეზე შევაჩეროთ. მაშასადამე, ნაშალი მთლიანად უნდა ავიღოთ და დავიდეთ კლდოვან გრუნტამდე. შეიძლებოდა, რათქმაუნდა, მხოლოდ ტრანშეების საშუალებით გაგვევლო ეს არე, მაგრამ ჩემის აზრით ეს არ იქნებოდა სწორი, იმდენად რამდენადაც ასეთი გათხრა, ბოლოს და ბოლოს, მაინც დაუმთავრებლად უნდა ჩათვლილიყო.

ეხლა, გრუნტის მთლიანად გაშიშვლება ნიშნავს ნასახლარის ასახულობის საშინლად დაუშნოებასა და დამახინჯებას, რადგან კლდე ხაბოიანია, ზოგან მაღალი, ზოგან დაბალი, იმ დროს, როდესაც აწინდელი ზედაპირი გასწორებულა ნაშალის მიწით, ხაბოები ამოვსებულა. ფერდობები მეტნაკლები თანაზომიერობითაა დაქანებული. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ გათხრის შემდეგ გვიხდება ისევ წაყრა მიწისა გათხრილს არეზე, თუ, რა თქმა უნდა, რაიმე ნაგებობა (ქუჩა, ფილორცი, შენობა) არ შეგვხვდა. გთხოვთ ამის შესახებ თქვენი აზრი მაცნობოთ.

გარდა ამისა, მინდა პატარა ცვლილება შევიტანო ჩემს მიერ წარდგენილს წრევანდელ სამთხრელო კამპანიის გეგმაში: სახელდობრ, მინდა შევუდგე პატარა ჩუქურთმიანი საერო შენობის გაწმენდას, რომლის ფოტოსურათები გ. ჩუბინაშვილსა აქვს გადაღებული და თქვენ გინახავთ. ეს შენობა სამოსახლოს ცენტრალურ ადგილასა დგას და მას აკრავს მთელი რიგი სხვა მეტად საინტერესო შენობებისა, რომელთაგან ერთი შეიძლება ნამდვილი სატრაპეზო ან, ეგებ, სამონასტრო სკოლა აღმოჩნდეს — ყოველ შემთხვევაში რაღაც საჯარო დანიშნულების ნაგებობაა.

რესტავრაცია ტაატით მიმდინარეობს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გაუფუჭებიათ. მეტე-

ხის მუზეუმმა გამოგზავნა შ. მაისურაძე,[67] რომელმაც მრავალი ჩუქურთმისა და ყველა წარწერის ესტამპაჟი გააკეთა და ამ დღეებში თბილისში წაიღებს. ექსკურსია მხოლოდ ერთი მოვახერხეთ აქამდე — პირლებულში სამშვილდის ახლოს; საინტერესო ძეგლია, [illegible] თამარის ნიშნიანი ქვა ვნახეთ, ანალოგიური იმისა, რომელიც წალკიდანაა ჩამოტანილი საქ. მუზეუმში, ოღონდ უწარწერო.

გწერთ თბილისში, მაგრამ იმედი მაქვს, რომ თქვენ ამჟამად უკვე ისვენებთ აგარაკზე, რაც თქვენთვის ეგზომ მიუცილებელია და საჭირო.

მოწიწებით მოვიკითხავ თქვენს მეუღლეს. აგრეთვე ნათელას, კახას და ლალის.

გისურვებთ დასვენებას და გამოჯანსაღებას, თქვენი პატივისმცემელი

ლ. მუსხელიშვილი.

**წერილი № 31. ფ. № 2071.** 29.VI.1939 (ლენინგრადი).

**ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!**

აქ, აკადემიის წიგნების საწყობში არის ისეთი ლიტერატურა, რომელიც ჩვენს მუზეუმს შეიძლება გამოადგეს. ზოგი რამ უკვე გადავარჩიე და გამოვაგზავნინე შ. რუსთაველის მუზეუმის მისამართით ფასდადებით. მაგრამ შესაძენი, თუ კი თანხა მოგვეპოვება, ბევრია, მაგ. შეიძლება შევიძინოთ არქეოლოგიური კომისიის ანგარიშების თითქმის სრული კომპლექტი, რაც **250-300** მან. ღირება, შემდეგ თვითონვე მირჩევენ, სანსკრიტის ლექსიკონი წაიღეთო. უკანასკნელი ცალი გვაქვსო, სახელდობრ 1855 წელს გამოცემული Otto Rohtlinck und Rud. Roth — Sanskrit-Wörtorbuch, ტ. I-VII, ღირს 200 მან. და Rohtlinck-ისავე მცირე ლექსიკონი, რომელიც ავსებს ვრცელს, აგრეთვე 7 ნაკვეთი, ღირს 35 მან.

არ ვიცი ასეთი გამოცემა ჩვენ გამოგვადგება თუ არა — ეგებ საქ. მუზეუმს მაინც გამოადგეს?

ამას გარდა, აკადემიის პრეზიდიუმში რომ ოფიციალურად მისწეროთო. განსაკუთრებით თუ აკადემიკოსის ხელრთვა იქნებაო, უეჭველად მოგცემენ ისეთ გამოცემებსაც. რომლებიც დაჯავშნულია და საყოველთაოდ აღარ იშოვებაო*...

კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ ერთ-ერთ თანამშრომელს დაავალებდეთ ავიაფოსტით ეცნობებინა ჩემთვის, თუ რისა და რამდენის შეძენა შეგვიძლიან, გვჭირდება თუ არა სანსკრიტული ლექსიკონი, და აგრეთვე მიმართავდეთ სათანადო შუამდგომლობით მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმს.

ვრჩები თქვენი პატივისმცემელი

ლ. მუსხელიშვილი.

**წერილი № 32. ფ. № 2072.** 1940 წლ. 4.VI. (თბილისი).

**ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!**

გუშინ, თქვენ რომ დამიძახეთ, მე სწორედ მოლაპარაკებას ვაწარმოებდი შ. ჩხეტიასთან[68] კრაჩკოვსკაიას[69] შრომის შესახებ, რის შედეგიც მინდოდა თქვენთვის მეცნობებინა. სამწუხაროდ, ვეღარ მოგისწარით, ჩხეტიამ ჯერ ვითომ თანხმობასა და დასტურის წერილი მისწერა კრაჩკოვსკაიას, მაგრამ საბოლოოდ აი რა გამოირკვა: მისის აზრით, წრეულს მაინც არაფერი გამოვა.,. დირექტორი, მართალია, იძახის, ყველაფერი გაკეთდებაო, მაგრამ ნამდვილად ისიც არაა გაკეთებული, რაც აქამდე ათასჯერ უნდა გაკეთებულიყო და რისთვისაც თითქოს არავითარი დაბრკოლება არ უნდა აღმოჩენილიყო. მაგ., დღემდე არაა გამოსყიდული სტამბიდან არც ერთი უკანასკნელი გამოცემა (ტომი X-B,[70] არაყიშვილის ნაშრომი[71] და სხვ.), რომლებიც კარგახანია მზადაა და მხოლოდ გამოსყიდვას ელიან. რატომ ხდება ეს, რატომ არა აქვს მუზეუმს საჭირო თანხები, არავინ არ იცის.

თავისა და ავტორის მოტყუება იქნება, თუ ახლა ჩვენ მივწერთ, რომ მის შრომას დავბეჭდავთ.

ასე ფიქრობს ჩხეტია და, მართალი მოგახსენოთ, მეც მაგ აზრისა ვარ.

ამიტომ, დასტურის გაგზავნის წერილი გუშინ შევაჩერეთ. კარგი იქნებოდა თქვენი აზრი გაგვეგო. დირექტორი[72] უარს ამბობს განათლ. კომისართან წასვლაზე — უიმისოდაც ყველაფერს გავაკეთებო, მაგრამ ეს ხომ ცარიელი თქმაა.

თქვენი პატივისმცემელი

ლ. მუსხელიშვილი.

---

* ამის გვერდით, ირიბად, ივ. ჯავახიშვილის მინაწერია წითელი ფანქრით: „ამას იქნეს საქართველოს მუზეუმი", ეს სანსკრ. ლექსიკონსაც ეხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ღია ბარათი №33. შ. № 2073.** **დაბა ცემი. 1940 წლ. 5.VII.**

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

სამწუხაროდ ისე წამოველი, რომ ვერც კი გამოგეთხოვეთ. მუზეუმში რომ ვიყავი უკანასკნელად, თქვენ გამისწარით, მერმე კი, გამომგზავრების წინა დღეებში, წოლა მომიხდა. სწორედ უდროოდ დამატყდა თავს ეს ავადმყოფობა.

მანდ ეხლა, ალბათ, ბევრი საქმე გამოჩნდა ისეთი, რომ მეც გამოგადგებოდით. გამოსამრთელებლად, ვფიქრობ, 4 თვე მეყოს. 1 აგვისტომდე ბიულეტენი მაქვს, მერმე, თუ აღარ გამიგრძელეს, შვებულებას ავიღებ (1 თვეს უჯამაგიროდ), ოქტომბრისათვის კი საგზურს შემპირდნენ ზღვაზე. ძალიან მაწუხებს ისტორიული განყოფილების მდგომარეობა. ლ. ხუნდაძეს73 ვთხოვე გადმოეცა თქვენთვის ჩემი თხოვნა, რომ განყ-ის ხელმძღვანელობა ისევ თქვენ გეკისრათ,74 ამჟამად ეს ერთადერთი გამოსავალია. გარდა ამისა, მე ისიც კარგად ვიცი და თქვენც იცით, რომ ამოღენა საქმის გაძღოლა, როგორსაც ეს ჩვენი განყ-ბა წარმოადგენს, მე არ ძალმიძს. მაგრამ, პირველყოვლისა, ბ-ნო ივანე, თქვენც ცოტახნით მაინც აუცილებლად უნდა დაისვენოთ, რადაც არ უნდა დაჯდეს, აგვისტო აგარაკზე უნდა გაატაროთ.

თქვენი პატივისმცემელი, ლ. მუსხელიშვილი.

**წერილი № 35. შ. № 2075.** **1940 წლ. VIII.2.**

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

ლედამ მითხრა, რომ თქვენ თურმე არსად წასვლას არ აპირებთ დასასვენებლად.75 ლ. ხუნდაძემ დაწვრილებით მომწერა მანდაური ამბები. ძალიან, ძალიან საწყენია, ბ-ნო ივანე, რომ ქალაქში დარჩენა გადაგიწყვეტიათ მთელი ზაფხულის განმავლობაში. როგორ შეიძლება, რომ თქვენ არ დაისვენოთ. და ან ვინ გეტყოდათ მაგაზე უარს. ბოდიშს ვიხდი ახეთი უცნაური საყვედურისათვის, მაგრამ მე მგონია, რომ ამ ერთ შემთხვევაში თქვენ ივიწყებთ, რომ თქვენი თავი მარტო თქვენ არ გეკუთვნით.

უსაზღვროთ გმადლობთ დიდი და სრულებით დაუმსახურებელი ყურადღებისათვის ჩემ მიმართ. ჩემი ავადმყოფობა უფრო რთული გამოდგა, ვიდრე ვფიქრებდი. პროცესი ფილტვებში ჯერ ისევ ისე წინ მიდის. ხველამ მიმატა, სიცხე 38°-მდე ავიდა. საერთოდაც დავსუსტდი, ესე რომ ლამის კითხვის თავიც აღარა მაქვს. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ვერ მომერევა.

თქვენი პატივისმცემელი ლ. მუსხელიშვილი.

გთხოვთ ჩემი მოწიწებითი მოკითხვა გადასცეთ თქვენს პატივცემულ მეუღლეს და აგრეთვე ქ-ნ ნათელას, რომლის ბავშვებსაც ხშირად ვიგონებთ. გისურვებთ ყოველსავე კარგს, განსაკუთრებით ჯანმრთელად ყოფნას და დასვენებას.

ლ. მ.

**წერილი № 36. შ. № 2076.** **1940.23.VIII.**

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

თქვენმა ავადმყოფობის ამბავმა ძალიან შემაწუხა. ეხლა ტფილისიდან მწერენ თქვენს კარგად ყოფნას. თქვენი გულის სისუსტე მიეწერება პირველყოვლისა არა ასაკს, არამედ თქვენს უზომო დაღლილობას. გავიგე ისიც, რომ აგარაკებზედაც არ გასვენებენ სამუზეუმო საქმეებით. რათქმა უნდა, თქვენ არ მოისურვებთ სექტემბერშიც მანდ დარჩენას, თორემ ერთი თვის დასვენება თქვენს დაღლილობას აბა რას უშველის.

მე კი ამ ჟამად უკეთ გახლავართ. სიცხემ თანდათან კლება დაიწყო და საერთოდაც მოვღონიერდი. ეგებ ამ ერთ თვეში შევძლო უკვე დაწესებულებაში დაბრუნება და მუშაობის დაწყება. სულ მუდამ იმ საქმეზე ვფიქრობ, რომლის შესახებაც თქვენთან ერთხელ უკვე მქონდა საუბარი რომელიც მინდა შეგახსენოთ: ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კრებულის გამოცემაზე.76 გამოვსცემ თუ არა კერამიკას,77 მერმე მთლიანად ამ საქმეზე მინდა გადავიდე, ხოლო მისი განხორციელება, თქვენი დახმარების გარეშე, თუ შეუძლებელი არა, ყოველშემთხვევაში ძალიან ძნელი იქნება.

თქვენი პატივისმცემელი

ლ. მუსხელიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წერილი № 9. ფ. № 1472.** **ტფილისი. 1940.31.7.**

ძვირფასო ბ-ნო ლევან!

ტფილისში თქვენი ნახვა და თანაგრძნობის გაზიარება ვერ მოვახერხე და წერილის გამოგზავნაც ამდენ ხანს შემომიგვიანდა ცალკე დატვირთულობისა და ცალკე ავადმყოფობის გამო. ბოლო დროს გულის სისუსტე დამეწყო: არიტმიული მუშაობა აქვს და უხეირო, დაღლილი ცხენივით ხშირად ბორძიკობს. ამის გამო საერთო სისუსტეს ვგრძნობ. ვერ წარმოიდგენთ, რამდენად შემაწუხა თქვენი ძმის[78] ასე უდროვოდ და მოულოდნელად დაკარგვამ. არ მჯეროდა, როდესაც ტელეფონით შემატყობინეს. მაგრამ რა გაეწყობა. თქვენ, ახალგაზრდობამ უნდა გაუფრთხილდეთ თქვენ თავს და ჯანმრთელობაზე იზრუნოთ. — აქ ისეთი საშინელი სიცხეა, რომ შესაძლებელია მანდაც კი საგრძნობი იყოს. მაინც კარგია, რომ ცემში იმყოფებით, რომლის სუფთა და განმკურნებელი ჰაერი მალე გაგაჯანსაღებთ. წავიკითხე თქვენი ორივე ნაშრომი მუზეუმისა და ინსტიტუტის კრებულებში მოთავსებული. ორივე ძალიან მომეწონა. „დახ. საქართველოს სოც. ეკონომიური კატეგორიები" მე მგონია სადისერტაციო ნაშრომადაც კი გამოდგებოდა. დღეს თქვენი თანამშრომლები მცხეთაში ვაემგზავრენე და ხვალითგან ჩვენი მუზეუმის ერთი თვით დაკეტვის შესახებ განათლ. კომისარს განცხადება წარუდგინე. ხვალ საღამოთი კიკეთში ვაპირებ ასვლას. იქ აგარაკი გვაქვს № 6.

დედათქვენს და თქვენ მეუღლეს ჩემ მაგიერ პატივისცემით სალამი მოახსენეთ. კარგად იყავით, და თუ არ გაგიძნელდებათ, თქვენი ამბავი მაცნობეთ. თქვენი ივ. ჯავახიშვილი.

**წერილი № 10. ფ. № 1473. ივ. ჯ-ლი.** **ტფილისი. 1940.9.9**

ძვირფასო ბ-ნო ლევან!

თქვენი მოკეთების ამბავმა ძალიან გამახარა. ისარგებლეთ შემთხვევით და კარგად გაჯანსაღდით. თქვენი გეგმა, რომ ქართულ წარწერათმცოდნეობა აირჩიოთ თქვენ სპეციალობად, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია: მეტად ვიწრო დარგია და პატარა სარბიელი თქვენთვის, რომ მისი სპეციალობად აღება ღირდეს. ქართული წარწერების სიმცირე მალე დაშრეტს წყაროს და ახალი საკვლევაძიებო მასალის უქონლობა მაინც გაიძულებთ ისევ სხვა დარგს მოჰკიდოთ ხელი. ჩვენში დამწერლობათამცოდნეობისათვის არის უხვი და საყურადღებო მასალა, სომხეთში—კი პირიქით ეპიგრაფიკული ძეგლების სიმრავლე და წარწერათმცოდნეობა შესაძლებელია მკვლევარმა თავის განსაკუთრებულ სპეციალობად აიღოს. ქართ. წარწერების კრებულის გამოცემა, რა თქმა უნდა, საჭიროა. მაგრამ ეს შესაძლებელია დროებით ამოცანად გაიხადოთ სპეციალობის შეცვლასთან დაუკავშირებლივ. მაინც მაცნობეთ, კონკრეტულად თქვენ როგორ ფიქრობთ თქვენი სურვილის განხორციელებას. როგორც იყო, საქ. მუზეუმს გაერდით მდებარე შენობა გადმოეცა[79] და შესაძლებელია იქ წალკისა და მცხეთა-სამთავროს გამოფენა მოგვეწყო მომავალი მარტისათვის. ეხლა ჩემს ჯანმრთელობაზეც: არავითარი გაუმჯობესება არც კუჭ-ნაწლავებსა და არც გულს არ დასტყობია. გულს, როგორც ჩანს, ველარაფერი გამოასწორებს და ვფიქრობ, რომ მითუმეტეს ნაწლავებს.

თუმცა დიდი სისუსტე მიშლის ხელს, მაგრამ მაინც მუშაობას შევუდექი ყველგან და უკვე რამდენიმე კვირაა, რაც საგულისხმო სამეცნიერო პრობლემებზე მუშაობაც განვაახლე.

კარგად იყავით და თქვენ საბოლოო გაჯანსაღებაზე იზრუნეთ. დედათქვენს დიდი პატივისცემით გულითად სალამს მოვახსენებ.

თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

**წერილი № 87. ც. № 2077.** **1940 წლ. 14.IX.**

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა, როგორც ჩანს, ძალიან სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. თუ ახლავე ასე ცუდათ ჰგრძნობთ თავს, ზამთარს როგორ უნდა გაუძლოთ. გულსაც კარგად ეშველება დასვენებითა და ერთგვარი რეჟიმით. ამის მაგალითი მამაჩემია, რომელმაც მძიმე გულის დაავადებას 8 წელიწადი გაუძლო, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობა არ შეუწყვეტია. თქვენ არ დაგისვენიათ რიგიანად უკვე რამდენიმე წელიწადია. ეგრე არ შეიძლება. და მე მგონია მუშაობის ინტენსივობასაც უნდა დაუკლოთ. თქვენ თუ ისევ-ისე დატვირთული ბრძანდებით, როგორც აქამდის, მე ჩემი წერილებით ვინ იცის, რამდენს გაწუხებთ. თქვენ მეკითხებით თუ როგორ მაქვს მე წარმოდგენილი მუშაობა ქართულ ეპიგრაფი-

კაში. პირველ ყოვლისა, მე ეს დარგი არც ისე ვიწრო მგონია და, ამასთანავე ერთად, ჩემი ღრმა რწმენით, მე სწორედ რომ როგორმე უნდა შევზღუდო სამოქმედო ასპარეზი, თუ მინდა რომ რაიმე ღირებული გავაკეთო. მე არც ცოდნა და არც ძალა შემწევს იმისათვის, რომ ფარ-თო ამოცანები დავისახო. მე მინდა, ჯერ ერთი, თავი მოვუყარო მთელ მასალას, შემდეგ ყველა წარწერები უნდა ხელახლა შემოწმდეს, რათა ეს საქმე საბოლოოდ იქნას გაკეთებული. თაყაიშვილის წანაკითხი საუკეთესოა. მაგრამ იმასაც ხშირად ნაჩქარეობა ეტყობა. მასალის თავის მოყრასა და შეჯერებას კაი დრო დასჭირდება, მითუმეტეს, რომ აქვე უნდა შემოვიდეს წვრილ ნივთებზე და თვით ქსოვილებზე მოთავსებული წარწერებიც. გარდა ამისა, უნდა დამზადდეს ყველა მნიშვნელოვანი წარწერის მულაჟი და ფოტოსურათი. შემდეგ ეს მასალა დალაგდება ქრონოლოგიურად და დამზადდება გამოსაცემად აღწერილობით, ბიბლიოგრაფიული საჩვენებლებით, ფოტოტაბულებითა და პალეოგრაფიული ცხრილებითურთ. წარწერათმცოდნეობის თვალსაზრისით მოპოებული შედეგი გამოცემას დაერთვის შესავლის სახით.

ამას, ჩემის აზრით, უნდა ნაწილობრივ წინ უსწრებდეს და უფრო კი ზედ მიჰყვეს თვითეული ძეგლის შესწავლა არა მარტო პალეოგრაფიულად, არამედ მთლიანი კომპლექსის სახით, მისი შინაარსის თვალსაზრისით, სხვა მასთან დაკავშირებულ ძეგლებთან ერთად. ეს კი არ არის ერთი და ორი წლის საქმე. მეორე მხრით, მე ვფიქრობდი, რომ მუზეუმში შეიძლებოდა გამოყოფილიყო ცალკე „ეპიგრაფიკული განყოფილება“, ან აგე კიდევაც „ეპიგრაფიკული და ქართული ჩუქურთმის განყ.“, რომელსაც შეეძლო ძალიან შინაარსიანი და საინტერესო გამოფენის მოწყობა.

არა მგონია, რომ ეს დარგი ჩემთვის ვიწრო გამოდგეს, მითუმეტეს, რომ გათხრებზე და ქართ. ხ‧შ. საუკუნეების სამოსახლოთა შესწავლაზე უარის თქმას არ ვაპირებ..,

ძალიან სასიამოვნო ამბავია, რომ მუზეუმს ახალი შენობა მისცეს და მე, ისევ ჩემსას ვუბრუნდები, ეგებ შესაძლებელი იყოს მაგ ახალ ბინაში მუზეუმში დაგროვილი ეპიგრაფიკული მასალის და ჩუქურთმიანი ქვების მოთავსებაც. თორემ ეს ძვირფასი ძეგლები ხომ სავალალო მდგომარეობაშია.80

ბ-ნო ივანე, თქვენი ჯანმრთელობა ყველასთვის ისე ძლიერაა საჭირო, რომ თქვენ უეჭველია, ძალას დაატანთ თქვენს თავს და ცოტას მაინც დაისვენებთ. სხვა თქვენ არაფერი არა გჭირდებათ.

ვრჩები თქვენი პატივისმცემელი ლ. მუსხელიშვილი.

**წერილი № 11. ფ. № 1474.** **ტფილისი. 1940.20.IX.**

ძვირფასო ბ-ნო ლევან!

თქვენი მომჯობინების ამბავმა ძალიან გამახარა. მაინც თქვენ არ უნდა აჩქარდეთ და სჯობია, რომ კიდევ უფრო მეტად გააუმჯობესოთ თქვენი ჯანმრთელობა, რომ სრულებით განიკურნოთ. ამიტომ ქობულეთში წასვლა თქვენთვის აუცილებლად საჭიროა. მუშაობის განახლებას მოასწრებთ და გამრთელებული უფრო ნაყოფიერად შესძლებთ სამეცნიერო კვლევაძიებას. ამ უკანასკნელის ამოცანებზე რომ მწერდით, მე მაინც მგონია, რომ ეპიგრაფიკა თქვენ შესაძლებელია მხოლოდ დროებით ამოცანად დაისახოთ. გამოცდილება დაგარწმუნებთ, რომ აქ მასალის სიმცირე მკვლევარს მცირე სარბიელს უტოვებს. თქვენი ნიჭის და მომზადების პატრონს მეტი მოეთხოვება და შეჰშვენის. იმუშავეთ ქართ. ეპიგრაფიკაზე, მაგრამ, რად გინდათ სამუდამო სპეციალობად გაიხადოთ? თქვენ უნდა საისტ. განყოფილებას ჩაუდგეთ სათავეში და მარტო ასეთი ვიწრო სპეციალობით თქვენი მუშაობის შემოფარგვლა მიზანშეწონილი ნაბიჯი არ იქმნებოდა. მომავალი წლის თებერვლისათვის წალკისა და მცხეთა-სამთავროს გამოფენის მოწყობა მოგვიხდება და, მე ვფიქრობ, ეს სათანადო ქვეგანყოფილებად უნდა ვაქციოთ და აქ მართლაც უუმდიდრესი სამეცნიერო მასალა გადაგვეშლება, რომელსაც არამცთუ ერთი, რამდენიმე მეცნიერიც ვერ მოერევა. აი, ამ ქვეგანყოფილებას ჩაგაბარებთ და შემდეგ მთელ საისტორიო განყოფილებასაც. მგონია, რომ ეგ უფრო საინტერესოც უნდა იყოს და უფრო მნიშვნელოვანიც. ეხლა ჩემს ჯანმრთელობაზე: ნაწლავების მდგომარეობა ცოტა გამიუმჯობესდა, გული-კი ისევე მოშლილი მაქვს. წამლაუწყუმ ჩერდება. მას ველარაფერი გამოასწორებს. მაინც ვმუშაობ და ვიმუშავებ სანამ შევძლებ. დასვენებისათვის ეხლა დრო აღარ არის ჩემს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს მხოლოდ საუკუნო დასვენება დარჩენია.

საინტერესო საკითხებზე ვმუშაობ და შეწყვეტა არ შეიძლება.

აბა, თქვენი კარგადმყოფობით გამახარეთ. დედათქვენს ჩემს მაგიერ გულითადი სალამი მოახსენეთ.

თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

შენიშვნები

55 საქართველოს მუზეუმში ისტორიის განყოფილების დაარსების ინიციატორი ივ. ჯავახიშვილი იყო.

56 ექვ. თაყაიშვილს დმანისში უმუშავნია რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით; განათხარი მასალა გაუგზავნიათ პეტერბურგში (ლენინგრადში), ამ საზოგადოების მუზეუმში, სადაც დღესაც უნდა იყოს დაცული. ამის შესახებ იხ. ლ. მუსხელიშვილის „დმანისი", გვ. 335, სქ. 2.

57 შალვა ხიდაშელი — მუზეუმის თანამშრომელი და დმანისის არქეოლოგიური გათხრების მონაწილე. ამჟამად, ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი.

58 ვახტანგ ჯაფარიძე — შოთა რუსთაველის მუზეუმის უმცრ. მეცნ. თანამშრომელი, ამჟამად მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიური ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, განყოფილების გამგე.

59 დავით ლომქარაძე — იმ დროს — სტუდენტი. გათხრების კოლექტორი.

60 ი. ჯაფარიძე — მუზეუმის უმცრ. მეცნ. თანამშრომელი, გათხრების რესტავრატორი.

61 ირაკლი ქასაშვილი — მუზეუმ „მეტეხის" ასპირანტი, გათხრებზე მომუშავე.

62 სხალტბაში გათხრას აწარმოებდნენ შალვა ხიდაშელი და ინჟ. ალექსანდრე ლოსაბერიძე, იხ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა" (კრებული). შ. ხიდაშელი, სხალტბა-შიომღვიმის 1202 წლ. წყალსადენი, გვ. 232 (არქ. გათხრ. ანგარიში) და ალ. ლოსაბერიძე — საქართველოს ძველი წყალსადენების და არხების ნაშთები. გვ. 193-231.

63 დ. კაპანაძე (1898-1971), გათხრების მოხალისე თანამშრომელი. ცნობილი ნუმიზმატი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

64 ვლადიმერ ფუტურიძე (1893-1966), აღმოსავლეთმცოდნე, თსუ-ს პროფესორი.

65 იხ. ფრ. დიუბუა დე-მონპერე, III ტომი, პარიზი, 1838 წ.

66 გეგმა და პერსპექტივა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის გამოფენისათვის შესრულებული იყო არქ. ვლ. წილოსანის მიერ. გეგუთში გათხრები განახლებული იყო 1961-1964 წ. თხრიდა არქ. ვახტანგ ცინცაძე. (რ. მეფისაშვილი და ვ. ცინცაძე: „ქუთაისი, გელათი, გეგუთი", 1966, „საბჭ. საქართ.").

67 ზაქარია (შაქრო) მაისურაძე (1912-1971) — კერამიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, ქართ. ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფ. მეცნიერი თანამშრომელი. იმ დროს ესტამპებზე მუშაობდა.

68 ჩხეტია შალვა, ისტორიკოსი, იმ დროს საქართველოს მუზეუმის გამომც. გამგე.

69 ვ. ა. კრაჩკოვსკაია, პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე, ეპიგრაფიკოსი (1885-1973).

70 იგულისხმება „საქართველოს მუზეუმის მოამბე".

71 დ. არაყიშვილის (1873-1953) — „ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა. თბ., 1940 წ., გრ. ჩხიკვაძის რედაქციით. საქართველოს სახ. მუზეუმის გამოცემა.

72 საქართველოს მუზეუმის დირექტორი ლ. ჭანტურაია.

73 ხუნდაძე ლევან (1890-1957), საქართველოს მუზეუმის სწავლული მდივანი.

74 ლ. მუსხელიშვილის წერილი № 34 (ფ. № 2074. 1940. ივლისის 31) წარმოადგენს განცხადებას მორიგი შვებულების მიღების თაობაზე. ამდენად მას არ ვაქვეყნებთ.

75 ამ გადაწყვეტილების შეცვლა ივ. ჯავახიშვილს მაინც მოუხდა ძლიერი გადაქანცვის გამო, იგი სამი კვირით ავიდა კიკეთში დასასვენებლად. იქ მან ძალიან ცუდად იგრძნო თავი, ეს მისი უკანასკნელი ზაფხული იყო. თუმცა ექიმები დაჟინებით ურჩევდნენ სამკურნალოდ შესაფერის სანატორიუმში წასვლას, მან კატეგორიულად უარყო მათი რჩევა და თბილისში დაბრუნების შემდეგ უფრო ინტენსიურად და აჩქარებით დაიწყო მუშაობა. ამ დროიდან მოყოლებული იგი ველარ გამოკეთდა.

76 ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე მუშაობა ლ. მუსხელიშვილს არ დასცალდა. მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის „საქართველოს სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი", 1953 წ., ილ. აბულაძის რედაქციით.

77 ლ. მუსხელიშვილს კერამიკის ალბომის გამოქვეყნებაც განუხორციელებელი დარჩა. იგი ვახ. ჯაფარიძემ გამოაქვეყნა („ქართული კერამიკა", 1956 წ. ალბომი, საქ. მეცნ. აკად. გამ.).

78 სოლომონ ვახტანგის ძე მუსხელიშვილი თვალის ექიმი, ივ. ჯავახიშვილის მკურნალი.

79 იგულისხმება ყოფილი ქალთა მე-4 გიმნაზიის შენობა კეცხოველის ქუჩაზე, სადაც მოთავსდა ქართული ხელოვნების სექტორი (დღევანდელი ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი).

80 საქართველოს მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები ერთდროს გამოფენილი იყო მუზეუმის ცალკე განკუთვნილ ოთახში (პირველ სართულზე), 1961 წლიდან ეს კოლექცია გადატანილ იქნა არმაზში, ნეკროპოლის ტერიტორიაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო ტაბიძე

# ტიციანი და მისი მეგობრები

ცნობილი ქართველი საბჭოთა პოეტის ტიციან ტაბიძის მეუღლეს, ნინო ტაბიძეს (1900-1965) დარჩა დაწერილი წიგნი „ტიციანი და მისი მეგობრები", რომელშიც მრავალი მოგონება და ამბავია გადმოცემული სწორედ იმ სახით, როგორც ეს თვითდამსწრესა და თვითმხილველს შეუძლია ნათლად და ცოცხლად აღწეროს.

ტიციან ტაბიძეს უშუალო და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მოძმე საბჭოთა ხალხების მწერლობის თვალსაჩინო ოსტატებთან, პირველ რიგში, რუს და სომეხ მწერლებთან. ნ. ტაბიძის მოგონებათა ფურცლებზე წარმოდგენილი არიან სერგეი ესენინი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, კონსტანტინე ფედინი, იური ტინიანოვი, ალექსეი ტოლსტოი, ანდრეი ბელი, ალექსანდრე ფადეევი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ლეონიდ ლეონოვი, პავლე ანტოკოლსკი, ბორის პასტერნაკი, ვიქტორ გოლცევი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, პეტრე პავლენკო, ოვანეს თუმანიანი, ეღიშე ჩარენცი და სხვები. წიგნის ავტორი მოგვითხრობს მათთან შეხვედრებზე, მთლიანად ეს მოგონებები ნათელს ჰფენენ ქართულ-რუსულ და ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობათა მრავალ საინტერესო ეპიზოდს; მოგონებების წიგნი გამსჭვალულია საბჭოთა ხალხების მეგობრობის იდეით, რასაც ზემოჩამოთვლილმა მწერლებმა დიდი ღვაწლი და ამაგი დასდეს.

ნინო ტაბიძის მოგონებების წიგნი უკვე მზადდება გამოსაცემად. „მნათობი" ამ წიგნიდან გამოაქვეყნებს რამდენიმე თავს.

## სერგეი ესენინი

სერგეი ესენინი პირველად ცხრაასოცდაოთხი წლის შემოდგომაზე ვნახე.

ნაზი, თბილისური შემოდგომა იყო, რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდი, თვალში მეცა ვეება აფიშა წარწერით — „სერგეი ესენინის საღამო". ამ პოეტზე ბევრი რამ გამეგონა ტიციანისაგან. ესენინის ლექსებსაც უკვე ვიცნობდი, ვიცნობდი მის დამატყვევებელ სტრიქონებს, სადაც უცნაურად იყვნენ გადახლართულნი რაღაც საოცარი ხიბლზეც და შფოთიანი თავაწყვეტაც, და როცა აფიშას შევცქეროდი, პოეტის პორტრეტზეც თითქოს ვგრძნობდი ამ ორი უკიდურესი საწყისის შეერთებას.

იმ საღამოს ესენინი სცენაზე ვნახე.

სერგეი ესენინმა მთელი ეპოქა შექმნა რუსული პოეზიის ისტორიაში, მაგრამ ეს ჩემი თემა არ არის. მე მინდა მოვყვე მასზე უბრალოდ, როგორც მეგობარზე და ადამიანზე.

ესენინს ხშირად ვხვდებოდი: ჩემი ქმარი ტიციან ტაბიძე და სერგეი ესენინი უახლოესი მეგობრები იყვნენ. ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს ტიციანის შემოქმედებას. მაგრამ მან ეგებ არ იცის სტუმრის როგორი დახვედრა იცოდა ტიციანმა — ის ხომ ისედაც გულღია კაცი იყო და მაშინ მთლად სიყვარულში დაღნებოდა ხოლმე. ასე დაუხვდა ის ესენინსაც და რუსი პოეტი პირდაპირ მოაჯადოვა. თბილისში ყოფნისას ის ხშირად ჩვენს ოჯახში იყო და ჩვენთან ყოფნა მეტად უხაროდა.

ერთი ამბავი მახსენდება: საღამო იყო, შინ ვბრუნდებოდი. ყოფილ ზემელზე, ახლანდელ რუსთაველის მოედანზე, იმ ადგილას, სადაც

ახლა ქვანახშირის სამმართველოს ვეება შენობა დგას, ერთი უბრალო სამიკიტნო იყო. გვერდით რომ გავუარე, აურზაური შემომესმა და იმ ხმაურში უეცრად ვიცანი სერგეის ხმა. როგორღაც გამოირჩეოდა იმ ჟრიამულში. მივხვდი რაშიც იყო საქმე და უმალ ჩავირბინე კიბეებზე. თმაგაწეწილი, ოფლით შუბლდაცვარული სერგეი ვიღაცას ხმამაღლა ეჩხუბებოდა, იწევდა მასზე და არაფერი არ ესმოდა. ირგვლივ იდგა ერთი ღრიანცელი, ყველანი მთვრალები იყვნენ და კაცმა აღარ იცოდა, ვინ ვის ეჩხუბებოდა.

უცებ ჩავტაცე სერგეის მკლავში ხელი და ვუთხარი — „სერიოჟა, ახლავე წამომყევი".

მოიხედა, ჯერ საშინლად გაოცდა, რომ ასეთ უცნაურ ადგილას დამინახა, სადაც არცერთი ქალი არ იყო ჩემს გარდა, და მერე მე დავინახე როგორ იქცა ჩხუბისთავი თვინიერ ბავშვად. როგორღაც მოდუნდა, მოეშვა. წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, წამომყვა.

მივიყვანე შინ, გავუშალე ლოგინი, ჩავაწვინე. უმალ ჩაეძინა. სახლში მალე ტიციანიც დაბრუნდა; როცა სერგეი დაინახა, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. თურმე თვითონ დაეძებდა მას და აი, თავის სახლში დაუხვდა.

სერგეი ესენინი ცოცხალი აღარ იყო, როცა ანდრეი ბელიმ გამოაქვეყნა წიგნი „ქარი კავკასიიდან". ამ წიგნში ის, სხვათა შორის, წერს: „ჭკვიანი ტიციან ტაბიძის ცოლი, მან საუბარი დამიწყო საწყალ ესენინზე, რომელიც ერთხანს თბილისს ესტუმრა და ტიციანს დაუმეგობრდა; ათასი უცნაურობების მიუხედავად, ეს ქალი მიხვდა, რომ ესენინი ბავშვი იყო... და ტაბიძის ცოლი მას ისე არ მოიხსენიებდა ხოლმე, რომ ოქროსთმიანი არ ეწოდებინა".

ანდრეი ბელის მე მართლაც ვესაუბრებოდი ესენინზე. მაგრამ ის კი მართალი არ არის, თითქოს ოქროსთმიანი ჰაბუკი მისთვის მე დამერქმიოს. ეს მეტსახელი მას ჩემმა პატარა გოგონამ, სამი წლის ნიტამ შეარქვა და ამის შემდეგ მას ჩვენს სახლში სხვაგვარად აღარავინ იხსენიებდა. ზემოთ რომ სადამო ავწერე, მეორე დილით ესენინი სასადილო ოთახში გამოვიდა თუ არა, ბავშვმა დაინახა მისი ქოჩორი, მწიფე ჰვავის თავთავების ფერი რომ ჰქონდა, თითქოს ოქროს მტვერი აყრიაო, შემოჰკრა ხელი ხელს და დაიძახა: „—ოქროს ფული, ვის გინდათ ოქროს ფული!". სერგეიმ იკითხა — რას ამბობსო, და როცა გადავუთარგმნე, ძალიან გახარებული დარჩა. ამის მერე, ბავშვს რომ ეთამაშებოდა, გამუდმებით ამეორებინებდა ამ სიტყვებს და თვითონაც გაიძახოდა: „ოკროს პული, ოკროს პული!". ასე დაერქვა ესენინს ეს მეტსახელი.

ესენინი დაუმეგობრდა არა მარტო ჩემს პატარა გოგონას, არამედ დედაჩემსაც. იმავე საღამოს მე შევამჩნიე, რომ სტუმარი რაღაცას ეჩურჩულებოდა დედას. თურმე ეუბნებოდა: „დედა, რა გემრიელი კერძების დამზადება გცოდნია, მაგრამ რა საწყენია, რომ რუსული წითელი ბორშჩისა და წიწიბურას ქაშის გაკეთება არ იციო". დედაჩემს გაეცინა, მაგაზე ადვილი რა არის, ხვალ სადილად ორივეს მოგართმევო! ტიციანმა ყველაფერი ეს გაიგონა და ხელზე დაიხვია, გამოაცხადა — ხვალ ქართველ პოეტებს ვპატიჟებო. სერგეიმ დაიძინა იმ ფიქრით, რომ მეორე დღეს თავის საყვარელ კერძებს შეექცეოდა.

და აი, გათენდა დილა. სერგეი აღარ გამოდიოდა ოთახიდან. შევფიქრიანდი, შევიხედე მასთან და რას ვხედავ. — წევს და მართლაც ბავშვივით ზლუქუნებს. მუჭით იწმენდს ცრემლებს. რა მოხდა, რა დაგემართა-მეთქი, ვკითხე. ცუდი სიზმარი ვნახეო. მოვეფერე, არ მოვეშვი, ვიდრე არ ვაამბობინე. ჩემი და შურა დამესიზმრაო, ძლიერ უჭირდა და ტიროდა, ამბობდა, რა ვქნა, ფული სად ვიშოვოო.

მე ძლიერ გამიკვირდა ესენინის ეს მართლაც ბავშვური უმწეობა. „ზარია ვოსტოკას" რედაქციაში მას ხელიდან სტაცებდნენ ლექსებს. ნუთუ ასე ძნელი იყო ეთხოვა მათთვის ფული და დისთვის გაეგზავნა. არც დამიმალავს ეს ფიქრი და სერგეის მაშინვე ვუთხარი: მაგ ტირილს ისა სჯობია ახლავე ადგე და ვირაპთან წახვიდე, მოგცემს ფულს და დას გაუგზავნე-მეთქი.

ამის თქმა იყო და სერგეი წამოხტა, „ზარია ვოსტოკას" რედაქციაში გაიქცა.

აი, მოახლოვდა სადილობის დრო. ეტყობა ტიციანმა თავისი სიტყვა არ გატეხა, მოდიან სადილზე სტუმრები — გიორგი ლეონიძე, სანდრო შანშიაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა აფხაიძე, ნიკოლოზ მიწიშვილი, სერგო კლდიაშვილი, ლელი ჯაფარიძე. დანარჩენები აღარ მახსოვს.

სუფრას აკლდნენ მარტო პაოლო იაშვილი და სერგეი ესენინი.

მე საუზმის მაგიდასთან ვიდექი, როცა ვოლაცამ კარი შემოაღო. სერგეი შემოვარდა, გაბრწყინებული ჰქონდა თვალები, უბზინავდა ოქროსფერი თმა, შემოვიდა და თავზე დამაყარა ქრიზანტემების თეთრი და ყვითელი ყვავილები. თან მახარა — ვირაპმა ფული მომცა და ჩემს დას გავუგზავნე, მე ბედნიერი ვარო.

კარი ახლა პაოლომ შემოაღო, გამხიარულებულ ესენინს გადახედა და სახეზე ეშმაკური ღიმილი აღებეჭდა. მივხვდი, პაოლო, როგორც მუდამ სჩვეოდა, ახლაც რაღაც ოინის მოწყობას აპირებდა. მართლაც, იგი მიუბრუნდა ესენინს და უთხრა:

— იცი, სერგეი, რა უნდა გახარო? თბილისში აისედორა დუნკანი ჩამოვიდა, წეღან შემხვდა ქუჩაზე, მე ვუთხარი, რომ აქა ხარ და მისამართიც მივეცი. ის მალე აქ მოვა.

ძნელია იმის აღწერა, თუ რა დაემართა ესე-

ნინს ამ სიტყვების გაგონებაზე: გაფითრდა, ხმა ვეღარ ამოიღო, ერთ წუთს გაოგნებული იდგა. მერე შევარდა თავის ოთახში, ფაცა-ფუცით სტენიდა ნივთებს ჩემოდანში, მერე ესეც მიატოვა, დასტაცა ხელი ჩემოდანს და გაიქცა. ისე თავგზადაკარგული მირბოდა, თითქოს მიწისძვრის ამბავი შეატყობინესო. პაოლო და ტიციანი გაჰყვნენ, ძლივს დაეწივნენ ქუჩაზე. პაოლო ფიცულობდა — ვიხუმრეო, მაგრამ ესენინს დიდხანს არ სჯეროდა, ეგონა, აისედორა აგერ-აგერ შემოაღებს კარებსო და მთელი სხეულით თრთოდა, და მე მივხვდი, რომ ის მაშინ მზად იყო თუნდაც ქვეყნის კიდეზე გადახვეწილიყო, ოღონდ ამ ქალს არ შეხვედროდა.

მივხვდი-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ სერგეის უკვე კარგად ვიცნობდი. როცა დილით მასთან ხაუზმე შემქონდა, გამყვებოდა ხოლმე თავის მოგონებებს, მიამბობდა რიაზანის ველებზე, თავის სოფელზე, დედაზე, დებზე, რომელიღაც მღიდარ ბიძაზე, რომელსაც თურმე თავისი ტივები ჰქონდა.

და აი, მეორე დღეს, იმ საღამოს შემდეგ, როცა პაოლომ კინაღამ გააქცია ის თბილისიდან, კვლავ შევედი სერგეის ოთახში, ის უკვე დაწყნარებული იყო და ვკითხე — სერიოჟა, რა დაგემართა, რათ მირბოდი-მეთქი.

ესენინი ყველაფერს მომიყვა. ღელავდა, ხშირად სიტყვა უწყდებოდა და მე ვხვდებოდი, რომ მართლაც სიკვდილის დღესავით მოაძულა მას თავი ამ ქალმა; მათი სიყვარულიც რაღაც არაბუნებრივი იყო — აისედორა ჩვიდმეტი წლით უფროსი იყო სერგეიზე. ამას გარდა, სერგეიმ მითხრა, რომ ის ქალი არავითარ სითხეს არ სვამდა, გარდა კონიაკისა, მინდოდა ევროპაში მიმეტოვებინა ის, მაგრამ ვერ მოვახერხე, ნრდილივით დამდევს თან და სადაც ის გამოჩნდება ხოლმე, მე უმალ გავრბივარ იქიდანო. მართლაც, ესენინის წასვლის უმალ თბილისს აისედორა დუნკანი ესტუმრა — ეტყობოდა მის კვალს გამოჰყოლოდა, ჩვენ შევხვდით მას. როგორც ხელოვანი, ის შეუდარებელი ოსტატი იყო და ბევრი რამ შესძინა XX საუკუნის საბალეტო ხელოვნებას, — შევხვდით და სადილზეც მივიპატიჟეთ კაფე „პარიზში", რომელიც მდებარეობდა ყოფ. სასახლის ქუჩაზე, უმალ ესენინზე შეგვეკითხა და როცა გაიგო, თბილისიდან წასულაო, თვითონაც დაჰკრა ფეხი და ისევ იმის კვალს გაჰყვა.

იმ წლებში აისედორა დუნკანის სახელი ძალზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ეს იყო ამერიკელი მოცეკვავე ქალი, რომელმაც პირველმა დაუპირისპირა ბალეტის კლასიკურ სკოლას თავისუფალი პლასტიკური ცეკვა. თავის შემოქმედებითს ძიებებში ეყრდნობოდა ძველბერძნული პლასტიკური ხელოვნების ნიმუშებს, საბალეტო კოსტიუმი მან შეცვალა ძველბერძნული ტუნიკით, ამასთან, ცეკვავდა ფეხშიშველა. ის მოგზაურობდა მთელ ევროპაში და აარსებდა საბალეტო სკოლებს. 1921-1924 წლებში ის ცხოვრობდა საბჭოთა კავშირში, ამ ხანებში გაეცნო და ცოლად წაჰყვა სერგეი ესენინს. მაგრამ ისინი ერთი-მეორისათვის არ იყვნენ დაბადებულნი.

უფრო გვიან, როცა მე წავიკითხე მაქსიმ გორკის მშვენიერი ნარკვევი, ჩემთვის ყველაფერი უფრო ნათელი გახდა. გორკის აღწერილი აქვს, როგორ შეხვდა იგი ესენინსა და დუნკანს ბერლინში, ალექსეი ტოლსტოის ბინაზე. გორკი წერს დუნკანზე: „ეს სახელგანთქმული ქალი, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა ევროპის ათასობით ესთეტი თუ პლასტიკის უფაქიზესი მცოდნე, ამ ყრმის, განსაცვიფრებელი რიაზანელი პოეტის გვერდით ჩანდა, როგორც სრულყოფილი განსახიერება ყოველივე იმისა, რაც ამ პოეტს არ სჭირდებოდა... მათ ერთმანეთის ენა არ ესმოდათ და ესენინი დუნკანს ელაპარაკებოდა ჟესტებით... როცა აისედორამ ცეკვა დაიწყო, სერგეი მაგიდასთან იჯდა, სვამდა ღვინოს და ცალი თვალი მასზე ეჭირა, თან შუბლს იჭმუხნიდა. შეიძლება სწორედ ამ წუთებში იბადებოდნენ მის ფიქრში სიბრალულით აღსავსე სტრიქონები:

Излюбили тебя, измызгали...

შემდეგ დუნკანი, დაქანცული, დაეშვა მუხლებზე და შესცქეროდა პოეტს მიბნედილი სახით და მთვრალის ღიმილით... როცა სტუმრები აიშალნენ და გასასვლელში პალტოების ჩაცმა დაიწყეს, დუნკანი ერთი-მეორეზე ჰკოცნიდა იქ მყოფ მამაკაცებს.

— ძალიან კარგებია რაშენზ*... — გულაჩუყებული ამბობდა ის, — ისეთებია, უჰ!

ესენინმა ძალზე უხეშად გაითამაშა ეჭვიანობის სცენა, ხელის გული დაარტყა ზურგზე და უყვირა:

— ნუ ჰკოცნი უცხო მამაკაცებს!

და მე გავიფიქრე, მან ეს მარტო იმიტომ გააკეთა, რომ ირგვლივ მყოფთათვის უცხოები ეწოდებინა" (მაქსიმ გორკი — ნარკვევი „სერგეი ესენინი").

მე უკვე ვთქვი, რომ ესენინი ჩვენს სახლში შინაურულად გრძნობდა თავს. ერთხელ, როცა ის უკვე სასტუმროში ცხოვრობდა, ღამის თორმეტ საათზე მოვიდა ჩვენთან. შემთხვევით პაოლო იაშვილიც ჩვენთან იყო. უჩვეულოდ აღგზნებულმა სერგეიმ უბიდან ახალი ლექსი ამოიღო და მეგობრებს წაუკითხა. ეს იყო მისი ცნობილი „საქართველოს პოეტებს". აღტაცებულნი, მღელვარებისაგან ხმაჩაწყვეტილნი უსმენდნენ პაოლო და ტიციანი ესენინის სიყვარულის ჯადოთი სავსე სტრიქონებს, რუსი პოეტი ასე მიმართავდა ქართველ თანამოძმეებს:

---

* რუსები.

Я — северный вам друг.
И брат!
Поэты—все единой крови.
И сам я тоже азиат
в поступках, в помыслах
и слове.

შემდეგ ესენინის ლექსში მოთხრობილი იყო როგორ დაამობილა ხალხები ახალმა ეპოქამ, როგორ „გაშალა თავისუფლებამ ფრთები“, როგორ მიანიჭა მან ხალხებს უფლება იმღერონ თავიანთ ენებზე:

И каждый в племени своем
Своим мотивом и наречьем,
Мы всяк
По-своему поем,
Поддавшись чувством
Человечьим.

როგორც მეორე ლექსში, რომელსაც „კავკასიაში“ ეწოდება, ესენინი განაგრძობდა პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის შესანიშნავ ტრადიციას, უმღეროდა რუსი და ქართველი პოეტების განუყრელ სულიერ ძმობას.

ეს იყო უჩვეულოდ პოეტური საღამო. ტიციანმა ვაჟა-ფშაველას ლექსების წიგნი გადმოიღო. უკითხავდა ესენინს და იქვე, სიტყვა-სიტყვით უთარგმნიდა. ესენინის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა — იმ წუთებში ის ჰგავდა ადამიანს, რომელმაც უეცრად რაღაც ახალი, მანამდე მისთვის უცნობ სამყაროს შეხედა და მისმა სილამაზემ თვალი მოსჭრა. მანამდე მას ვაჟას სახელიც კი არ გაეგონა, ახლა კი ისმენდა მის სტრიქონებს, დუღდა, ბობოქრობდა, ადგილზე ველარ ჩერდებოდა.., ხიბლავდა ის უსაზღვრო სიკეთე, ვაჟას სტრიქონებიდან რომ იფრქვევა და რომ ეფერება ყველაფერს — ბალახს, ხეებს, ყანას, შვლის ნუკრს, ცხოველსა და მცენარეს; როგორც მახსოვს, ესენინზე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ვაჟას ერთმა პატარა ლექსმა:

იას უთხარით ტურფასა,
მოვა შეგჭამს ჭიაო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი რომ აგიღიაო!
შენ თუ გგონია სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიაო;
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,
მოსვლაში არა ყრიაო.
ნუ ნახავს მზესა, ინანებს,
განა სულ მუდამ მზეაო.
მიწავ, შენ გებარებოდეს,
ეს ჩემი ტურფა იაო,
შენ უპატრონე, ემშობლე,
როგორიც შენი ზნეაო!

ტიციანმა ეს სახელდახელოდ რომ გადაუთარგმნა, ესენინი უცებ წამოხტა და თითქოს ვაჟას გაეხმაურაო, წაიკითხა თავისი ლექსი, სადაც წინასწარმაუწყებლობდა თავის სიკვდილს და გამოხატავდა სინანულს იმის გამო, რომ ესოდენ ლამაზია ეს ქვეყანა და მე კი მალე მისი დატოვება მომიხდებაო. ამ ლექსს ეწოდება Мы теперь уходим понемногу.

მკითხველმა კარგად იცის, რომ ბევრი რამ ესენინის პოეზიაში თითქოს ეხმაურება ვაჟას ნაზ სიყვარულს შვლის ნუკრისადმი, ჩიტებისადმი; ესენინმა იგრძნო ეს და მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მან იქვე დასდო სიტყვა, რომ გადათარგმნიდა ვაჟას ლექსებს, მაგრამ აღარ დასცალდა.

როცა თბილისში გამოვიდა ესენინის ლექსების წიგნი „რუს სოვეტსკაია“, მან ერთი ეგზემპლარი მე მაჩუქა — გაიჭრა თითი და ტიტულზე თავისი სისხლით წააწერა: „გიყვარდე მე და გიყვარდეს ცისფერი ყანწები“... სამწუხაროდ, ეს წიგნი ვიღაცამ მომპარა. მეორე ეგზემპლარზე ტიციანს მან წაუწერა: „კარგ ტიციანს დიდი სიყვარულისა და მეგობრობის ნიშნად. სერგეი ესენინი“.

სერგეის ეცვა მშვენივრად შეკერილი რუხი კოსტუმი, ხელში მუდამ ჯოხი ეჭირა, რომელსაც თავი მომრგვალებული ჰქონდა. ასე დადიოდა ის ქუჩაზე და როგორც ბავშვი, ამაყობდა თავისი კოხტა ტანსაცმლით. მაგრამ დაინახავდა თუ არა ნაცნობს, გაუნათდებოდა სახე ჩვეული მომხიბვლელი ღიმილით და მაშინ მისი ოქროს ხუჭუჭი თმები ასე გგონია სხივებს აფრქვევდნენ.

თბილისიდან სერგეი ბაქოს გაემგზავრა. მან ტიციანს ბაქოდან დაურეკა, რომ მალე ჩამოვალ და ოთახი მომიმზადეთო. მაგრამ ის მოსკოვში წავიდა და სულ მალე იქიდან ტიციანს შემდეგი წერილი გამოუგზავნა:

„ძვირფასო მეგობარო, ტიციან! აი, მე უკვე მოსკოვში ვარ. ძალიან მიხარია, რომ ჩემს მეგობრებს ვხედავ და ვიხსენებ, ვუამბობ მათ თბილისის ამბებს. ჩვენი თავგადასავალი აქ უკვე იციან, ისიც კი იციან როგორ ჩააგდო პაოლომ კეპი ხაშის ქვაბში.

საქართველომ მე მომხიბლა. როგორც კი შევხვამ ჩემთვის დაგროვილ ჰაერს მოსკოვსა და პიტერში — მაშინვე გამოვბრუნდები უკან, თქვენსკენ, რომ გნახოთ და გადაგეხვიოთ. ამ გაზაფხულზე თბილისში ალბათ მოსკოველთა მთელი ყრილობა იქნება, წამოსვლას აპირებენ კაჩალოვი, პილნიაკი, ტოლსტოის ქალი და ვს. ივანოვი. ბაბელი უფრო ადრე ჩამოვა. მიიღეთ, როგორც ძმა. ძალიან კარგი ბიჭია და ღირს მასთან სტუმართმოყვარეობის გამოჩენა. პაოლოს ჰკითხე რომელი თოფი ვიყიდო ტახტზე სანადიროდ. მოიწეროს თოფის ნომერი. მომიკითხე ყველა ჩემი კარგი მეგობარი — პაოლო, ლეონიძე და გაფრინდაშვილი. ჩემს მაგივრად ხელზე ეამბორე შენს მეუღლეს და ქალი-

შვილს, და თუ ძნელი არ იქნეს, მომწერე ორიოდე სიტყვა.

ბრიუსოვის ქუჩა, სახლი № 2, „პრავდის“ კორპუსი ა, ოთახი 27. ს. ესენინს. 20.III. 25 წ.

თბილისში ჩამოსასვლელად ემზადებოდა, თოფის ყიდვაზე და ხაინგილოს ულრანებში ტახებზე სანადიროდ წასვლაზე ოცნებობდა... ტიციანმა უპასუხა — ჩამოდი, ყველანი მოუთმენლად გელითო.

მაგრამ ჩვენ ის ველარ ვნახეთ.

დეკემბერი იყო, ტიციანს „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში გაევლო და იქ ეცნობებინათ ესენინის ტრაგიკული სიკვდილის შესახებ. ტიციანი სახლში თავზარდაცემული დაბრუნდა, იხსენებდა ესენინის ყოველ სიტყვას, წუხდა. მკითხველმა უკვე იცის, როგორ გამოიტირა მან უდროოდ დაღუპული მეგობარი.

სამწუხაროა ყველა ესენი,
და უფრო მწარე კიდევ ის არი,
ლამაზო ბიჭო, სერგეი ესენინ,
ცოცხალს არ გესმის ეს საფიცარი.

ჩვენ ყველამ მწარედ განვიცადეთ ესენინის დაკარგვა.

მოსკოვში ჩასვლისას მე მის საფლავზე დავაწყე თეთრი და ყვითელი ქრიზანტემები იმ დღის მოსაგონებლად, როცა ის მე მაყრიდა ამ ყვავილებს.

* * *

თუ მოხდებოდა ისე, რომ სალამოთი ჩვენთან არავინ შემოივლიდა, ტიციანი სამუშაოს ჩაუჯდებოდა ხოლმე, და მერე — მთელ ღამეს თეთრად ათენებდა. როგორც კი დაბრუნდებოდა შინ, შევხედავდი თუ არა, მაშინვე მივხვდებოდი, რომ ის რაღაც საფიქრალს შეეპყრო, როგორღაც ისე იცქირებოდა, თითქოს აქ არ არისო.

ასეთ დროს, ტიციანი ისე დადიოდა ოთახში, თითქოს ირწევაო, ირგვლივ ვერავის და ვერაფერს ვერ ამჩნევდა, ვერ ხედავდა პატარა ნიტას, რომელიც ასევე ზურგზე ხელებდაწყობილი, უკან დასდევდა მას და მასავით ირწეოდა; ამას რომ ვხედავდი, ვიცოდი, რომ ტიციანი მთელ ღამეს იმუშავებდა და არასოდეს არ შევმცდარვარ.

ტიციანი მიმოდიოდა ჩვენს დიდ სასადილო ოთახში, თან ღიღინებდა ან უსტვენდა. არ უყვარდა, როცა ჩამეძინებოდა ხოლმე მისი მუშაობის დროს, მე ხომ ჩვეულებრივ იმავე ოთახში ვიჯექი, ან ვკითხულობდი, ან პწკარედებს ვაკეთებდი.

დილით ადრე ის წყვეტდა მუშაობას და მთხოვდა გავსულიყავ ქალაქში მასთან ერთად. ჯერ ბაზარში მივდიოდით, რათა კიდევ ერთხელ გვენახა თბილისის განსაცვიფრებელი ნატურმორტი: მთლად მწვანეში ჩაფლული ბაზარი, მწვანილის გროვებში წითლად მოლაღანე პამიდორი, წითელი თვისბოლოკი, იისფერი ბადრიჯანი, მოყვითალო-მომწვანო ბულგარული წიწაკა... გორა-გორა იდგა ყველაფერი, და მთელ ამ ფერად-ფერად ნორჩ ბოსტნეულს მალ-მალე აპკურებდნენ წყალს და წვეთები მასზე ბრილიანტებივით ბრწყინავდნენ... გუგუნებდა, ხმაურობდა, ვაჭრობდა და ხანდახან თავისებურად ერთობოდა, ანგლობდა მთელი ეს ვეება ბაზარი... ჩვენ შევდიოდით იქვე, სადღაც კუთხეში მიყუჟულ დუქანში, ვსხდებოდით პატარა კასრებზე, მერე შემოგვიერთდებოდნენ ჩვენსავით აქ შემოხეტებული პოეტები, მსახიობები; განსაცვიფრებლად გემრიელ კერძებს ამზადებდნენ აქ, მაგრამ ხაშისთანა მაინც არაფერი იყო... ყველაზე ხშირად აქ შეხვდებოდით გიორგი ლეონიძეს, მან იცოდა ყველა დუქანი, სადაც კარგად აკეთებდნენ ხაშს და ამიტომ ჩვენც მუდამ მის კვალზე დავდიოდით...

ხაში,
ხილი
და თონიდან ამოყრილი პური...
თაბახი და საზანდარი,
მზე შინა და მზე გარეთ —
ეგებება მზეს თბილისი
თავის ექვსი კარით...

მიეგებეთ, ვინც ლამწვარა
როგორც საათნავა,
განა გილდის სიყვარული,
ადგება და წავა!

სწორედ იმ ხანებში დაწერა გოგლამ ეს გულამდე ჩამწვდომი სტრიქონები.

ტიციანს საერთოდ ძალიან ცოტა ეძინა, მაგრამ ხდებოდა ხოლმე, რომ ორ დღე-ღამეს ისე გადააბამდა, ვერასგზით ვერ გააღვიძებდით. დილიდანვე გავიდოდა ქალაქში — ათასი საქმე და საზრუნავი ჰქონდა: ხან ვაჟა-ფშაველას ქვრივს ეხმარებოდა, მის ნაცვლად დადიოდა გამომცემლობებში ვაჟას წიგნის დაბეჭდვის თაობაზე, ხან მისთვის პენსიის დანიშვნის საქმეზე უსდებოდა სიარული, ხან ნაცნობები ავადმყოფს ჩამოიყვანდნენ იმერეთიდან და ტიციანს უნდა დაეწვინა ის საავადმყოფოში; ხან სოფლიდან სასწავლებლად ჩამოსულ ახალგაზრდას უჭირდა და ტიციანს უნდა მოეძებნა მისთვის კუთხე და თავშესაფარი; ხან ნიკო სულხანიშვილის ცოლის საქმეებზე დადიოდა; ნიკო უნიჭიერესი კომპოზიტორი იყო, ადრე გარდაიცვალა და მის ოჯახს ძალიან უჭირდა, ტიციანი ეხმარებოდა, რითაც კი შეეძლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ რამეს ვერ იტანდა: როცა ვინმე ნაცნობი მოვიდოდა ჩვენთან, მოიტანდა ვერცხლეულს, ან რამე ნივთს და გვეხვეწებოდა — იყიდეთ, არ მინდა სხვის ხელში ჩავარდესო. ტიციანი ბრაზობდა და მეუბნებოდა:

— დაეხმარე, თუ შეგიძლია. მიეცი ფული... ნივთები კი არ დაიტოვო... არავითარ შემთხვევაში არ დაიტოვო...

მეც ასე ვიქცეოდი.

ერთხელ, ზაფხულში, აგარაკიდან დავბრუნდი. ტიციანს ძალიან გაეხარდა ჩემი ჩამოსვლა, მაგრამ მოწყენით მითხრა — ფული არა მაქვსო. დილით ადრე წავიდა სახლიდან, დაბრუნდა ძალიან დაღლილი, არ მიკითხავს მიიღო თუ არა ჰონორარი. ჩვენ ვისადილეთ და ის დასასვენებლად წავიდა, მე აივანზე გამოვედი ეზოს მხრიდან.

ვხედავ, შემოვიდა ეზოში ვიღაც შუახანს გადაცილებული რუსი ქალი და პოეტი ტიციან ტაბიძე იკითხა. მე ვუთხარი — მან ახლახანს ჩაიძინა და ვერ გავაღვიძებ, ერთი საათის მერე გამოიარეთ-მეთქი. უცნობმა ქალმა დატოვა წერილი და თქვა — აუცილებლად გამოვივლიო. მე გავხსენი კონვერტი. არასოდეს ჩვენ ერთიმეორის წერილებს არ ვხსნიდით, მაგრამ იმჯერად რა დამემართა, არ ვიცი. უცნობი ქალი წერდა — ყველამ, ვისაც დახმარებისათვის მივმართე, თქვენსკენ მომასწავლა — კეთილი და გულშემატკივარი ადამიანიაო. საქმე შემდეგში იყო: ქალი ქვრივი იყო, მის ორივე ქალიშვილს უმაღლესში გამოცდები ჩაებარებიათ, მაგრამ თურმე ფული იმისთვისაც კი არ ჰყოფნიათ, რომ დოკუმენტის გაფორმებისათვის ფოტოსურათები გადაეღოთ.

როდესაც ქალი ხელახლა მოვიდა, მე, ვიცოდი რა, რომ ტიციანს ფული არა ჰქონდა, ვუთხარი — შინ არ არის, სასწრაფოდ გამოიძახეს-მეთქი. ის ძალზე შეწუხებული გაბრუნდა. მე კი, შევედი ოთახში და... ავღრიალდი. უცებ გავიფიქრე, რომ ღმერთმა უწყის თუ რა მოგველის ჩვენ, წარმოვიდგინე, რომ დედაჩემი ასე მიადგა კარზე ვიღაცას და უარით გამოისტუმრეს. ოთახში ტიციანი შემოვიდა, და როცა გაიგო რაში იყო საქმე, — მითხრა — დღეს ჰონორარი მივიღეო. ამასთან, მთხოვა წავსულიყავ სამისამართო ბიუროში, მომეძებნა ის ქალი და ხვალვე მასთან მომეყვანა. გვარი ვიცოდი, სინელნიკოვა იყო.

ქალი ძალიან შორს ცხოვრობდა, ყოფილ სომხურ სემინარიას იქით... წავედი და მოვიყვანე.

მრავალი წლის შემდეგ, მოსკოვში, ქართული პოეზიის საღამოზე, ვახტანგოვის თეატრის მსახიობმა მარია დავიდოვნა სინელნიკოვამ რაღაც განსაკუთრებული გრძნობითა და ოსტატობით წაიკითხა ტიციანის ლექსები, მერე წამოვიდა ჩემსკენ, დაიხარა და ჩამჩურჩულა — ხომ ხედავ, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავსო!

ძალიან ხშირად ფული არ გვქონდა, ხანდახან მერძევესაც კი ვერ ვისტუმრებდით. მაგრამ გამოჩნდებოდა თუ არა ფული, მას თან მოჰყვებოდნენ სტუმრები, ყოველ საღამოს ოც კაცზე იშლებოდა სუფრა და გრძელდებოდა ასე, ვიდრე ისევ უკაპეიკოდ დავრჩებოდით. ვერ იყო და ვერაფრით ვერ ვაიძულე ტიციანი ნიტასათვის ინსტრუმენტი ეყიდნა. ეს მეშჩანობააო, — მეუბნებოდა, და როიალისათვის შეგროვილ ფულს ურიგებდა ჩემს ნათესავებს, კახეთიდან რომ ჩამოდიოდნენ. მაშინ მათ ძალიან უჭირდათ; ხელი გაუწოდო ვინმეს, ეს უფრო მიზანშეწონილიაო, ამბობდა ტიციანი.

მუდამ კარგად ეცვა, ძალზე ფაქიზი იყო, ლამაზი ხელები ჰქონდა და გულმოდგინედ უვლიდა. დაუვლაგებელ, მიშანშლულ-მოშანშლულ ოთახში არასოდეს სუფრასთან არ დაჯდებოდა. მოვიდოდა, ჩაჯდებოდა სავარძელში და უცდიდა როდის მიიპატიჟებდნენ მაგიდასთან. არ მახსოვს მას როდისმე შინ ჩხუბი აეტეხოს, ან გაბრაზებულიყოს. ჩვენს გოგონას მე მკაცრად ვექცეოდი, ხშირად დავსჯიდი ხოლმე, მაგრამ ყველაფერი ეს, მთელი ჩემი სიმკაცრე როგორ შეედრებოდა იმას, როცა ტიციანი ერთხელ რაღაცაზე გაუბრაზდა ბავშვს და ასეთი სასჯელი დაუწესა: აუკრძალა შეებნია ზონარი მის ბატინკებზე... ტიციანი ამას თვითონ ვერ ახერხებდა, მსუქანი კაცი იყო და დაბლა დახრა უჭირდა .გოგო მთელ დღეს დადარდიანებული დადიოდა და უცდიდა იმ წუთებს, როცა მამა დაბრუნდებოდა და შეუნდობდა „დანაშაულს".

ლამაზ ქალს რომ დაინახავდა, უცებ ეძლეოდა უზომო აღტაცებას. 1925 წლის ზაფხულში ბორჯომში ვისვენებდით, მოულოდნელად ტიციანის წერილი მივიღე — თბილისში ვიღაც მომხიბვლელი ქალი გამოჩნდა და ძალიან მინდა შენც შეხედოო. იმავე დღეს დეპეშაც გამომიგზავნა — სასწრაფოდ ჩამოდიო. მერე ტელეფონითაც მელაპარაკა და იგივე გაიმეორა ჩამოვედი თბილისში, საღამო იყო, ტიციანი შინ არ დამხვდა... ვუცდი, ვღელავ... ღამის თორმეტ საათზე აივნიდან დავინახე — მოდის!

მეორე დღეს იმ ქალის სანახავად წამიყვანა პავილიონში, სადაც მინერალურ წყლებსა ჰყიდიდნენ. ის ქალი ძალიან მომეწონა, იშვიათი სილამაზის იყო: რაღაც კეთილშობილური იერი ჰქონდა, ეშხითა და სიტურფით აღსავსე, ტანწერწეტი და შნოიანი იყო, როგორც ქურციკი. მე ვუთხარი ტიციანს — აღტაცებული ვარ შენი გემოვნებით, მაგრამ ვერ გამიგია აქ ახლა მე რა საჭირო ვარ-მეთქი; მან მაჩუქა მშვენიერი მომძივული ჩანთა და ფრანგული

ტანსაცმელი, რომელიც მაშინ დიდ მოდაში იყო. მე გამოვართვი საჩუქრები და ისევ ბორჯომში წავედი.

როცა აგარაკიდან საბოლოოდ დავბრუნდი, ტიციანმა მიჩვენა ლექსები, მიძღვნილი იმ ქალიშვილის — თამუნია წერეთლისადმი. პაოლო იაშვილმა და ვალერიან გაფრინდაშვილმა აუკრძალეს მას ამ ლექსების დაბეჭდვა, ეგონათ, რომ მე მეწყინებოდა. მაგრამ მე ვუთხარი მათ — დაე, დაბეჭდოს, ძალიან კარგი ლექსებია და ცოდვაა მათი გამოუქვეყნებლობა-მეთქი.

ასეც მოხდა. ტიციანმა ეს ლექსები დაბეჭდა. მათ დიდი წარმატება ხვდათ.

ტიციანი არც ისე ახლოს იცნობდა თამუნია წერეთელს, მაგრამ მთელ ამ ამბავს ღრმად და სერიოზულად განიცდიდა. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ მე თვითონ ვყიდულობდი ყვავილებს, რომლებიც ტიციანს ამ ქალიშვილისათვის უნდა მიერთმია.

## იური ტინიანოვი

1933 წელს თბილისში იური ტინიანოვი ჩამოვიდა. ჩვენს ბინაზე დარეკა და ტიციანი იკითხა:

— ტიციანი შინ არ არის, ვინ კითხულობს?

როცა ტინიანოვმა მითხრა, ვინც იყო, ძალიან ვთხოვე, ჩვენთან მოსულიყო, ტიციანი სადაცაა უკვე დაბრუნდება-მეთქი. იური ნიკოლოზის-ძე მართლაც მოვიდა ჩვენთან. მე და ტინიანოვი ერთმანეთს გავეცანით.

მის სახეს ხშირად თბილი და კეთილი ღიმილი აცისკროვნებდა, ყურადღებას იქცევდა მისი ძლიერ ღრმა და გულში ჩამწვდომი თაფლისფერი თვალები.

ტინიანოვი გაოგნებული დარჩა, როცა ჩვენი ნაცნობობის პირველ წუთებიდანვე, მე უეცრად ვუთხარი:

— იცით, თუ გსურთ, რომ ჩვენ დავმეგობრდეთ, მაშინ გულახდილად უნდა გაგანდოთ რა მომწონს თქვენს რომანში „ვაზირ-მუხტარის სიკვდილი“ და რა არა.

ჩანს, იური ნიკოლოზის-ძეს ძალიან იშვიათად უხდებოდა ამ გზით ადამიანების გაცნობა. მან მხრები აიჩეჩა, ჩაიღიმა და თქვა:

— გისმენთ.

— კი, მაგრამ, როგორ შევბედოთ თქვენ დაგეწერათ, — ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დავიწყე მე, — რომ გრიბოედოვი ახვერდოვასთან ყოფნისას მეტად ინტელიგენტურ და განათლებულ ხალხში ტრიალებდა, მისი დენშჩიკი გრიბოვი კი უფლისწულებთან ერთად იჯდა და ღვინოს შეექცეოდაო. სხვათა შორის, ქართველი უფლისწულები ძალიან განათლებულები იყვნენ, იცოდნენ მრავალი ენა: თურქული, სპარსული და სხვა. ბევრი მათგანი ცნობილი მწერალი და ისტორიკოსი იყო. მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ ისინი მდაბიო კაცს იუკადრისებდნენ, არამედ იმისი, რომ თავიანთი ინტელექტით და განათლებით ახვერდოვას წრეს არა თუ ჩამოუვარდებოდნენ, არამედ უფრო მაღლაც იდგნენ. და კიდევ ერთი: ერთგან თქვენ აღნიშნავთ, რომ გრიბოედოვმა ნინოს დედას შეხედა და გაიფიქრა, მოხუცებულობის ჟამს ნინოც აუცილებლად ასეთი იქნებაო; ცნობილია კი, რომ ნინო ალექსანდრეს ასული სიცოცხლის ბოლომდე ძალიან ლამაზი იყო.

ტინიანოვი ძალზე ყურადღებით მისმენდა და როცა ლაპარაკი დავამთავრე, ღიმილით მომმართა:

— მე ტიციანმა უკვე მომწერა ეს შენიშვნები, მე მათ სავსებით ვიზიარებ!

აი, ამ საუბრიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა.

მე დამამახსოვრდა ქართველ მწერლებთან ერთად ტინიანოვის მოგზაურობა წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მოსანახულებლად. დავათვალიერეთ მუზეუმი და პარკი, შემდეგ თელავში გავემგზავრეთ. ქალაქში დიდი ბაზრობა იყო გამართული. შემდეგ ყველამ სახინკლეში შევუხვიეთ. რატომღაც ჩანგლები მოიტანეს. იური ნიკოლოზის-ძემ ხინკალს ჩანგალი ჩაარჭო, წვენი დაიქცა, ყველამ გაიცინა და ტინიანოვს სიცილ-სიცილით ხინკლის ჭამა ასწავლეს: ხინკლის ორივე ხელით დაჭერა და წვენის ამოსვრეპა. ნატო ვაჩნაძე ფაქიზად უჩვენებდა, თუ როგორ კეთდება ეს.

როგორღაც სადილი გაგვიგრძელდა. მგზავრობით დაქანცული ტინიანოვი ნელ-ნელა წამოდგა და ხრამს მიადგა, სადაც ძველ ნანგრევებადქცეულ ეკლესიასთან გრძელი სკამი იდგა, სკამზე წამოწვა და ჩათვლიმა. ამასობაში სადილი გრძელდებოდა და ყველას, ვისაც მაგიდასთან ჯდომა მობეზრდებოდა, დგებოდა, სარებლობდა რა ასეთი უწყინარი საბაბით:

— წავალ, ტინიანოვს მოვძებნი!

უკვე გვიანი შემოდგომა, ნოემბრის დასაწყისი იყო, მაგრამ მზიანი, ნათელი დღეები იდგა. გვეჩვენებოდა, თითქოს თექის ხალიჩებზე მივქროდით: ფეხქვეშ ყოველნაირი შეფერილობის ფოთლები გვეგებოდა, სისხამი წითელიც კი.

ტინიანოვთან ერთად შუამთაც მოვიარეთ, ვნახეთ იქაური დაბურული ტყეები. ამის მერე ტიციანის მშობლიურ სოფელში გავემგზავრეთ.

ერთხელ იური ნიკოლოზის ძე, გიორგი ლეონიძესა და ტიციანთან ერთად, მამა დავითის მთაზე ავიდა, გრიბოედოვის საფლავი მოინახულა. დიდხანს იდგა ჩუმად საფლავის გისოსებთან და თვალებზე თურმე ცრემლები მოადგა, მარწმუნებდა ტიციანი.

მწერლები ჩვენთან თითქმის ყოველდღე იკრიბებოდნენ. ტიციანი ბევრს ჰყვებოდა შამილის შესახებ, იგი შამილზე რომანის დაწერას აპირებდა, კითხულობდა მის მიერვე შეგროვილ მასალას. ტინიანოვი კი პუშკინის ცხოვრებაზე მიკვლეულ მისეულ საინტერესო ცნობებს გვიზიარებდა, ლაპარაკობდა თავის ახალ ჩანაფიქრზე — რომანზე პუშკინის შესახებ. საღამოები მხიარულად და საინტერესოდ ილეოდა. მხოლოდ სერიოზული ლაპარაკით არ ვკმაყოფილდებოდით. ამ შეხვედრებს დიდ ხალისს მატებდა მწერალი სერგო კლდიაშვილი, რომელიც ძალზე სასაცილოდ ხან ჰამლეტის მამის აჩრდილს წარმოადგენდა, ხან იტალიელ მათხოვარს, ხანაც ცეკვავდა... მომაკვდავ გედს. ტინიანოვი შემდგომში ტიციანისადმი მოწერილ წერილში იგონებდა ამ ამბავს.

მალე ტინიანოვი ლენინგრადში დაბრუნდა. ტიციანმა შემდეგი წერილი მისწერა მას:

„10 დეკემბერი, 1933 წელი.

თბილისი.

ძვირფასო იური ნიკოლოზის-ძევ!

ნიკოლოზ ტიხონოვი და ოლგა ფორში მოგითხრობთ თბილისში გატარებულ ერთ თვეზე, მე და ბორის პასტერნაკს განსაკუთრებით გვწყდებოდა გული, რომ თქვენ ჩვენს გვერდით არ იმყოფებოდით.

ბედმა გაგვიღიმა, რომ თქვენ ადრე ჩამოჩვედით და მოხერხდა მშვიდად გვესაუბრნა და დავმეგობრებულიყავი, ჩვენ კი თქვენი შეყვარებაც მოვასწარით.

ჩემი მეგობრები მოუთმენლად ელიან, რომ სიტყვას არ გატეხთ და ზაფხულში ჩვენთან ჩამოხვალთ, ალბათ ზაფხულს პასტერნაკიც საქართველოში გაატარებს.

რუს მწერალთა დელეგაციის ჩამოსვლით ერთი კარგი საქმე მოგვარდა, ამას ალბათ მოგიყვებიან, მაგრამ თქვენი წინადადება „პოეტის ბიბლიოთეკაში“ ქართველი რომანტიკოსების დასტამბვის თაობაზე, აქ, ჩვენთან [illegible] მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება*. [illegible]დე პასუხს ვაყოვნებდი, მხოლოდ იმიტომ, რომ მსურდა ეს გამოცემა შეთანხმებული ყოფილიყო თარგმანების საერთო გეგმასთან, რომელიც ბრიგადის მიერაა შემუშავებული და ოფიციალურად გაფორმებული. ამ დღეებში „პოეტის ბიბლიოთეკაში“ ქართველი რომანტიკოსების გამოცემის საკითხს განათლების კომისარიატის კოლეგიაზე განიხილავენ და თქვენ სხდომის ოქმს მიიღებთ, რომელშიც თქვენთვის საინტერესო ორგანიზაციულ საკითხებზე ამომწურავი პასუხი იქნება გაცემული.

თქვენ ბევრი რამ გაკავშირებთ საქართველოსთან, მაგრამ ეს წამოწყება ჩვენ უფრო მეტად გვავალდებულებს გულითად მეგობარს მადლობა ვუთხრათ.

გთხოვთ არ დაგვივიწყოთ და გაგვახაროთ წერილით.

გკოცნით და გეხვევით.

თქვენი ტიციანი“.

მალე პასუხიც მივიღეთ:

„ლენინგრადი, 17.II.34.

ძვირფასო ტიციან!

მოხარული ვარ, რომ ნინო ალექსანდრეს ასულთან ერთად მალე გვესტუმრებით. მოუთმენლად მოგელით. თქვენ მიერ გამოგზავნილი ქაღალდი უკვე გამომცემლობას გადავეცი და „პოეტის ბიბლიოთეკაში“ ყველა სიხარულით გაეცნო მას და ქართველი რომანტიკოსების ღირსეულად გამოცემისათვის ყველაფერს ილონებენ. მხოლოდ ყველა დააფიქრა თქვენმა ცნობამ, რომ მასალის დიდი ნაწილი თქვენ მიერ გამომცემლობა „საბჭოთა ლიტერატურაში“ გამოსაცემ წიგნში შევა. საქმე იმაშია, რომ „პოეტის ბიბლიოთეკას“ და გამომცემლობასაც სურთ გამოსცენ სხვებისაგან განსხვავებული, თვითმყოფადი წიგნი. რამენაირად ორივე გამოცემის განსხვავებული ვარიანტები უნდა მოხერხდეს.

ულრმესი მადლობა, რომ ანთოლოგიის გამოცემის კომიტეტის წევრად ამირჩიეთ. თქვენ კარგად იცით, თუ როგორ მაინტერესებს და მიყვარს ქართული პოეზია.

ზაფხულში მეუღლესთან ერთად თითქოს მართლაც ვაპირებთ საქართველოში. დიდი სიამოვნებით ვიგონებ საღამოებს, როცა სერგო დავითის-ძე ჰამლეტის მამას წარმოადგენდა!

* იგულისხმება 1940 წელს „საბჭოთა მწერლის“ მიერ „პოეტის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემული წიგნი „ქართველი რომანტიკოსები. ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი. რუსი პოეტების თარგმანითა და ნ .ს. ტიხონოვისა და ი. ნ. ტინიანოვის რედაქციით.

გულითადი სალამი ნინო ალექსანდრეს ასულს. ჩემი მეუღლე და შვილი თქვენ დაუსწრებლად გიცნობენ და ძალზე მოხარული იქნებიან თქვენი გაცნობისა. პასტერნაკებს თავს მდაბლად ვუხრი — ხომ არ ჩამოვლენ თქვენთან ერთად?

**გეხვევით, ჩემო მეგობარო**

**თქვენი ი. ტ.**

**P. S. თვის ბოლოს, 27-ში ან 28-ში ოთხი დღით ქალაქიდან გასვლა მომიწევს, როგორმე უნდა მოხერხდეს, რომ ამან ჩვენს გეგმას ხელი არ შეუშალოს?"**

**რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ ტინიანოვს სხვა მწერლების პირველ ყრილობაზე შევხვდით. ტინიანოვი, ტიციანი, ბაბელი მაშინ მალე შეამხანაგდნენ და დროს ყოველთვის ერთად ატარებდნენ. იური ნიკოლოზის ძე თბილისს იხსენებდა, განსაკუთრებით ლოლა შენგელაიას, რომლითაც იგი მოხიბლული იყო და კიდევ ერთხელ თბილისში ჩამოსვლას აპირებდა.**

**ყრილობის შემდეგ ჩვენ მისგან კიდევ ერთი წერილი მივიღეთ.**

**„28.12.34. დეტსკოე სელო.**

**ძვირფასო ტიციან!**

**დაიჯერებთ — მხოლოდ ავადმყოფობას შეეძლო შეეშალა ჩემთვის ხელი, რომ თქვენ მშვენიერ წერილზე მაშინვე არ მეპასუხა. თქვენ მიერ გამოგზავნილი სადღეგრძელო ისეთი კარგი და ცოცხალია, რომ მას ჩემს ყველაზე დიდ შენაძენადაც კი ვთვლი უკანასკნელი წლების მანძილზე. დეტსკოე სელოში ვისვენებ, ყოველდღე ვსეირნობ, ვუსაქმურობ. ეს ადგილი ძალიან მომწონს. უფრო დიდ ხანსაც დავყოფდი აქ, მაგრამ უნდა დავბრუნდე.**

**ხაბა ორბელიანი მივიღე, როგორც კი გამოვჯანსაღდები, ჩავუჯდები. ჩემი მხურვალე, მეგობრული სალამი გადაეცით ნინო ალექსანდრეს ასულს, ელენე მიხეილის ასულს, სერგო დავითის ძეს და ნატოს. ყრილობაზე მის გამოსვლას (კულუარებში) ვერასოდეს დავივიწყებ.**

**გილოცავთ ასე უეცრად კარზე მომდგარ ახალ წელს და გეხვევით ჩემო ძვირფასო მეგობრებო.**

თქვენი ი. ტინიანოვი".

ტინიანოვთან ძალზე თბილი, მეგობრული შეხვედრები ლენინგრადში ჩვენი ყოფნის დროსაც გრძელდებოდა — იქნებოდა ეს ქართული პოეზიის საღამოები, თუ უბრალო თავყრილობა. ტინიანოვთან სტუმრობისას დრო ძალზე სწრაფად გადიოდა. იური ნიკოლოზის ძე ბევრ ლენინგრადელ მწერალს ბაძავდა, მათ შორის კორნეი ჩუკოვსკისაც...

ტინიანოვებთან ჩვენ მიხეილ ზოშჩენკოს შევხვდით და გავიცანით. თავიდანვე თვალში მომხვდა, თუ როგორ ყნოსავდა იგი თუთუნს. ამით ზოშჩენკო ძალზე მოხუცებულ ქალს მაგონებდა; როცა ჩემი გაკვირვება გამოვხატე, ზოშჩენკომ თქვა, რომ თუთუნის დაყნოსვა ნერვებს მიწყნარებსო, მითხრა, რომ იგი საშინელი ნევრასტენიკია, ვერავითარ ხმაურს ვერ იტანს და ბინას მხოლოდ იზოლირებულს ეძებს, სადაც ვერავითარი ხმაური გარედან ვერ შეაღწევს. და მან იქვე ერთი ამბავი გაიხსენა: მისთვის ბინა მიეცათ, მგონი მოიკაზე. ძალზე გახარებული იყო: ბინა ძალზე წყნარი, უხმაურო ჩანდა. რემონტის დროს ყველაფერი ელონა, რათა აბსოლუტური სიჩუმით უზრუნველეყო თავი. როცა ყველაფერი გაკეთდა, ფრიად კმაყოფილი ზოშჩენკო თურმე ფანჯარას მიუახლოვდა და ოი, საშინელებავ! რას ხედავს, თურმე მისი ფანჯრები პირდაპირ სამშობიარო განყოფილების ფანჯრებს გადაჰყურებდა. ზოშჩენკომ წარმოიდგინა (იქნებ არა მარტო წარმოიდგინა) ქალების კივილი, ახალშობილთა ტირილი და გააფთრებულმა ფანჯარა მიაჯახუნა. ბინამ მის თვალში უწინდელი სილამაზე დაკარგა და მასში ცხოვრება წამებად ექცა.

ტინიანოვებთან ჩვენ მწერალ ვ. კავერინს გავეცანით, რომელსაც იური ნიკოლოზის-ძის და ჰყავდა ცოლად.

ერთხელ, ჩვენი მოსკოვში ყოფნისას, როცა ტინიანოვიც იქ იყო, იგი ვიქტორ შკლოვსკისთან ერთად გვესტუმრა.

ტიციანმა შკლოვსკის უთხრა:

— ერთხელ გვიან ღამით თქვენს მოთხრობას „დედას" ვკითხულობდი, მან ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მაშინვე ნინო გავაღვიძე და თავიდან ბოლომდე ჩავუკითხე მოთხრობა.

მეც დამამახსოვრდა ეს მოთხრობა დედასა და ორ ქალიშვილზე. დედა ის-ის იყო მიიცვალა. ერთი ქალიშვილი ექიმთან წავიდა გარდაცვალების მოწმობის ასაღებად, მეორეს მიცვალებულთან მარტო დარჩენის შეეშინდა, კარი გაიხურა და მეზობელთან შევიდა. ამასობაში ექიმმა თვით გაიხსენა, რომ დებისთვის მოწმობა არ მიუცია და დაბრუნდა. რეკა, რეკა — იმდენ ხანს რეკა ზარი, რომ კარი... თვით მიცვალებულმა გაუღო!

ტინიანოვმა, მახსოვს, აღნიშნა, რომ ეს შემთხვევა თითქოს გამოგონილი არ იყო და მაშინ ვიქტორ შკლოვსკიმ თქვა, მოთხრობაში აღწერილი ამბავი მის საკუთარ დედას გადახდენოდა თავს. იგი იმდენად მიე ვია სხვებზე ზრუნვას, რომ უკვე კლინიკური სიკვდილის შემდეგ ზარის ხმამ მიაღწია მის ჯერ კიდევ მიუმქრალ აზროვნებამდე და ფეხზე წამოაყენა. ამ შემთხვევის შემდეგ ვიქტორ შკლოვსკის დე-

დამ, ექიმთა მეთვალყურეობით, კიდევ ხუთი წელი იცოცხლა.

ტიციანმა თქვა, მოთხრობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, იმიტომ რომ მეტად ცხოვრებისეულიაო.

— ნინოს, შავალითად, ასეთივე დედა ჰყავს. თუ ჩვენ რაიმე დაგვჭირდება, რაც არ უნდა დაემართოს, ადგება და მაინც ყველაფერს გაგვიკეთებს!

მეორეჯერ იური ნიკოლოზის-ძე ტინიანოვი საქართველოში მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად ჩამოვიდა. რამდენიმე ხანი ისინი თბილისში ცხოვრობდნენ, შემდეგ მე და ტიციანმა ბორჯომში წავიყვანეთ. ტინიანოვებს იქ ძალიან მოეწონათ და გადაწყვიტეს მთელი ზაფხული ბორჯომში გაეტარებინათ. ტინიანოვი იქ ძალიან ბევრ ქართულ ოჯახს დაუახლოვდა, მათ შორის მუსიკათმცოდნე ნიკო ჩიგოგიძეს და მის ცოლს, ნინო კოჩმინსკაიას, ცნობილ ვიოლონჩელისტს.

როგორც საორგანიზაციო კომიტეტის ბრიგადის წევრმა, ტინიანოვმა ბევრი რამ გააკეთა, რათა ქართული ლიტერატურა რუსი მკითხველებისათვის გაეცნო.

ტინიანოვმა რუსულად თარგმნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. მას ლოლოტა ვირსალაძე ეხმარებოდა, როცა ჩვენ ლენინგრადიდან მივემგზავრებოდით, ლოლოტამ სადგურში მოირბინა და ტიციანმა უკვე დაძრული მატარებლიდან გადმოსძახა ტინიანოვს:

— იური ნიკოლოზის-ძევ, გაიცანით, ეს ფოლკლორისტია, ლოლოტა ვირსალაძე, ლამაზია, ჰკვიანიც. იგი თქვენ დაგეხმარებათ.

და მართლაც, საბა ორბელიანზე მუშაობისას ლოლოტა ტინიანოვს ძლიერ დაეხმარა.

სწორედ ამაზე ლაპარაკობდა 1937 წლის 21 მარტს ლენინგრადში ერთ-ერთ საღამოზე ტიციანი:

— ჩვენ ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ, რომ იური ნიკოლოზის-ძე ტინიანოვმა, რომელიც თავისი რომანებით დაკავშირებული იყო საქართველოსთან, „ვეზირ მუხტარის სიკვდილში“, „კიუხლიაში“ ბრწყინვალედ იგრძნო საქართველოს კოლორიტი. მანვე თარგმნა სულხან-საბა ორბელიანი — მე-18 საუკუნის ქართული ლიტერატურის საუკეთესო ოსტატი, და არა მარტო საქართველოს, შეიძლება, მთელი აღმოსავლეთის საუკეთესო მწერალი, ლუდოვიკო მე-14-ის, „მეფე მზის“ კარზე ელჩად მივლინებული, მაშინ როცა „მზე“ უკვე ესვენებოდა. სულხან-საბა ორბელიანი მოსკოვში გარდაიცვალა და იქვე დამარხეს. ტინიანოვის მიერ თარგმნილ მის „სიბრძნე სიცრუისას“ მალე მთელი საბჭოთა კავშირი გაიცნობს. იური ნიკოლოზის-ძე ამ წიგნის რედაქტორიც თვითონვე იყო. თავის დროზე უფლისწულებსაც არ შეეძლოთ დიდი მწერლის საფლავზე ქვა დაედოთ და საფლავი დაიკარგა: ახლა სულხან-საბა ორბელიანს მთელი საბჭოთა კავშირი გაიცნობს. რაღა თქმა უნდა, იგი ამის ღირსია.

აქვე უნდა აღვნიშნო, ამხანაგებო, რომ აქ, ლენინგრადში, ქართველი რომანტიკოსების წიგნი გამოდის, საქართველოს ოთხი ბრწყინვალე პოეტის კრებული: ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის. ამ წიგნის რედაქტორები არიან იური ტინიანოვი და ნიკოლოზ ტიხონოვი, და მე დარწმუნებული ვარ, რომ წიგნი შესანიშნავი გამოვა.

იმავე საღამოს ტინიანოვმა ილაპარაკა ტიციანსა და მის პოეზიასთან დამოკიდებულებაზე:

— აი, როდის ვნანობ, სულითა და გულით ვნანობ, რომ პოეტი არა ვარ, რომ მე ლექსებს არ ვწერ. მაშინ მე დავწერდი მიძღვნას და ტიციან ტაბიძეს გავუგზავნიდი. აი, როდის ვნანობ, რომ მისეულ ხელოვნებას, შესანიშნავ ხელოვნებას ვერ ვფლობ.

როცა მე ტიციანს ვუსმენდი, მისი ლექსები მესმოდა (სამწუხაროდ, მისი ენა არ ვიცი), თითქოს მე ხელოვნების ჭეშმარიტ სათავეებთან ვიდექი, მე მისი მესმოდა.

მე ტიციანი თბილისში ვნახე და ვერასოდეს დავივიწყებ ამ შეხვედრას. მე მივხვდი, როგორ იბადება მისი ლექსი, მისი ბრწყინვალე პოეზია, რომელიც ჩვენ საქართველოსთან გვაახლოებს და საქართველოს — ჩვენთან.

მე გავუგე თბილისს — ეს არის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ქალაქთაგანი, იგი მთლიანად ისტორიითაა სავსე. თბილისზე აღა-მაჰმად-ხანის შავი ნაბდის ლანდი ჯერ კიდევ მოჩანს, ეს ხაჭურისი დასავლეთელ დამპყრობლებზე ნაკლებ როდი ოცნებობდა ქვეყნიერების დაპყრობაზე. თბილისის მთაზე კი გრიბოედოვის საფლავია, რომელიც თბილისს და საქართველოს ღვიძლივით უყვართ.

ისე კი უნდა ითქვას, რომ ტიციანი თავის ქალაქში ისე დადის, როგორც საკუთარ სახლში. იგი თავის ლექსწინარე გრძნობებში (მას კი ასეთი გრძნობები მუდამ ჭარბად აქვს) ისტორიულია. მისთვის ისტორია — ეს თაროზე მიგდებული წიგნი კი არაა, ისტორია მასშია და მასთანაა. ტიციანი ისტორიას გრძნობს, ამიტომაა იგი ასე გასაგები ჩვენთვის, რუსული ხელოვნებისათვის, რუსული პოეზიისათვის, რომელიც თვით ტიციანს უყვარს და ესმის კიდეც.

და როდესაც მე მასთან ვიყავი, ყველაფერი ისტორიულ სამოსელში ეხვეოდა. ტიციანთან

დღევანდელ დღესაც, საბჭოთა დღესაც ისტორიის სხივი ადგას. ამ საბჭოთა დღესაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის კვალი ამჩნევია. და ნუ ამტკიცებს ტიციანი, რომ მე წიგნების გამოცემა ჩავიფიქრე, რომლებიც მან ახსენა და რომელთა გამოცემაში მონაწილეობა ჩემთვის დიდი პატივია; რა თქმა უნდა, ეს წიგნები მან ჩაიფიქრა. ეს წიგნები — უცილობლად საუბრებისას იშვა, მისი საუბრებისას — ცოცხალი, ჭეშმარიტი პოეტის საუბრებისას. იგი ცხოვრებაშიც ისეთივე პოეტურია, როგორც მისი ლექსები, როგორც კითხვის შესანიშნავი მისეული მანერა, რასაც შეიძლება მხოლოდ ჭეშმარიტი პოეტი ფლობდეს.

და თუ დღეს სულხან-საბა ორბელიანი — საქართველოს ბრწყინვალე პროზაიკოსი, და შესანიშნავი ქართველი რომანტიკოსი პოეტები რუსულ ხელოვნებაში შემოდიან და საბჭოთა მკითხველების ბაგეებით მათი სახელები წარმოითქმება, როგორც საკუთარი პოეტების სახელები, ამაში ტიციანს ვეებერთელა დამსახურება მიუძღვის და მე მას, როგორც პოეტს, როგორც ბრწყინვალე ადამიანს, მეგობარს, ჩვენს მეგობარს, ისე მივესალმები.

ტინიანოვმა ტიციანი სწორად აღიქვა. ისტორია მისი შემოქმედების ჭეშმარიტი საფუძველი იყო, ისტორიიდან იგი თანამედროვეობამდე მოდიოდა და ამიტომ თანამედროვეობას იგი განსაკუთრებით მწვავედ და ღრმად გრძნობდა. მრავალი ძაფი აკავშირებდა მას თავის ქვეყანასთან, მის ხელოვნებასთან. მგონი არც დარჩენილა საკითხი, რომელსაც ტიციანი არ შეხებოდეს, რაიმე არ დაეწეროს, იყო ეს ძველი მწერლების შემოქმედება, რომლის გამოცემა საჭირო იყო, მუსიკა და კომპოზიტორები, მხატვრები, და მსახიობები, მშენებლები — და ყველაფერში, როგორც შეწირული, მთელ გულსა და სულს აქსოვდა და ვისაც არ უნდა მიემართა მისთვის, რუს, სომეხს, აზერბაიჯანელს თუ უცხოელს — იგი ყველასთან საერთო ენას გამონახავდა და ყველას შთაგონებით ელაპარაკებოდა საქართველოს ისტორიაზე, თანამედროვე საქართველოზე, რომელიც ამდენი საუკუნეების წამების შემდეგ ასერიგად აყვავდა. ტიციანის საუბრების შემდეგ მსმენელები საქართველოს, მისი ხალხის განუყრელ მეგობრებად იქცეოდნენ.

ტიციანს სხვა რესპუბლიკებიც აინტერესებდა: სომხეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, თხეთი. ტიციანი ყველგან მოგზაურობდა და უკან მოხიბლული ბრუნდებოდა იმით, რაც ირგვლივ ხდება. მას დანახვის უნარი შესწევდა, შეეძლო დანახულით აღფრთოვანება. ეს გზიდან გამოგზავნილ ღია ბარათზე წაწერილ პატარა წერილშიც იგრძნობა:

„ძვირფასო ნინო!

გუშინ სამარყანდში ჩამოვედი. შენ ვერც კი წარმოიდგენ რა ზღაპრული ქალაქია — მთლიანად მეჩეთებითაა მოფენილი. ამ ღია ბარათზე თამერლანის აკლდამაა, რომლის ნახვა ყრუანტელს მოგგვრის. დავდივარ ქალაქში და შენ ძმას, მიხეილს ვეძებ, მაგრამ მის კვალს ვერ მივაგენი — გკოცნი ძლიერ შენ და ნიტას. დედას და იოსებს ჩემი მოკითხვა გადაეცი.

შენი ტიციანი. აპრილი, 1934წ.“

ახლა არ იკითხავთ, ახალგაზრდობა როგორ უყვარდა! ახალგაზრდობის სიყვარული მისი ცხოვრების აზრს შეადგენდა. ტიციანი ახალგაზრდა პოეტების საღამოებზე დადიოდა, უყვებოდა მათ ხელმეორედ გადაკითხულ წიგნებზე, ლაპარაკობდა ლიტერატურის პრობლემებზე, არწმუნებდა მათ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების დუღილში მონაწილეობის გარეშე პოეზია ერთფეროვანი და კარჩაკეტილია. ახალგაზრდობაც ხშირად მოდიოდა ტიციანთან სახლში და მაშინ იგი თაროდან წიგნებს გადმოიღებდა, პროზაული ნაწარმოებებიდან მათთვის საინტერესო ადგილებს ჩაიკითხავდა, მას დილამდე შეეძლო ახალგაზრდა პოეტებთან მჯდარიყო, მათთან ესაუბრა...

☐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ☐

## წიგნების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წიგნი ქართულ ვაზსა და ვენახზე

ქართველი ხალხის კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობასა და თანამედროვე სახალხო მეურნეობაში მევენახეობა-მეღვინეობას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. მევენახეობა და მეღვინეობა ჩვენს რესპუბლიკაში უმნიშვნელოვანესი რენტაბელური დარგებია, რომელთა შემდგომი ზრდისა და ინტენსიფიკაციისთვის. მეცნიერული მეთოდების გამოყენებასთან ერთად, საჭიროა გავითვალისწინოთ საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ხალხის ემპირიული ცოდნა, რადგან ყოველი დარგის საფუძვლიანად დაუფლება მისი ისტორიის შესწავლას მოითხოვს. ცნობილია ,რომ წარსულის მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისება აწმყოსა და მომავლის სრულყოფილად გაგების საწინდარია, ხოლო ხალხის ცოდნა-გამოცდილება ჭეშმარიტების საგანძური. მით უმეტეს ეს ითქმის მეურნეობის უძველესსა და ტრადიციულ დარგებზე — მევენახეობასა და მეღვინეობაზე, რომელთაც დიდ სამეურნეო-კულტურულსა და ეროვნულ მნიშვნელობას თავის დროზე სათანადო შეფასება მისცა ილია ჭავჭავაძემ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სამეურნეო-ეკონომიური მონაცემების ღრმა ანალიზის საფუძველზე იგი აღნიშნავდა, რომ მევენახეობა-მეღვინეობა არის „ნაყოფი დიდის ხნის ჯაფისა და შრომისა, იგია თავნი, ნელ-ნელა მოგროვილი მამა-პაპის ოფლისა ღვრითა და თითქმის უტყვი ისტორიაა მთელის ოჯახის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებისა და ნაშრომ-ნაღვაწისა“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 7, 1956 წ. გვ. 257-258). შემთხვევითი როდია, რომ ღვინის ქართულად დაყენების წესებს ი. ჭავჭავაძემ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა და ცალკეულ წერილებშიც მრავალგზის შეეხო მევენახეობა-მეღვინეობის როლს ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ი. ჭავჭავაძე, მეცნიერების მიღწევების დანერგვასთან ერთად, მოითხოვდა შესწავლილი ყოფილიყო ადგილობრივი მეურნეობის სპეციფიკა, ხალხის მრავალსაუკუნოვანი შრომითი ჩვევები, საქმიანობა და ტრადიციები. მისი ღრმა რწმენით, „ვინც ცოტაოდნად მცოდნეა ჩვენის ვენახის პატრონობისა, ის გვიმოწმებს, რომ თითქმის არც ერთი ვენახის პატრონი გლეხი არ არის ჩვენში, რომ ამ საგანზე ჭკვად მისალები დარიგება და რჩევა არ მოგცეთ. ამ მხრივ ჩვენებური გლეხი ევროპიელ მეცნიერსაც კი აჯობებს, იმიტომ, რომ მიწათმოქმედებაში საერთოდ და ვენახობის საქმეში ცალკე გამოცდილება დიდი რამ არის, და ჩვენებური გლეხი ევროპელს მეცნიერზე გამოცდილებით მეტისმეტად წინ იქნება, იმიტომ რომ ადგილის კაცია“ (ტ. 7, გვ. 76).

მაშინ, როდესაც ი. ჭავჭავაძემ ასეთი კვალიფიკაცია მისცა ქართულ მევენახეობა-მეღვინეობას, საქართველოში სათანადო სამეცნიერო დაწესებულებების უქონლობისა და ეროვნული კადრების უყოლობის გამო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ასპექტში მეურნეობის ამ დარგის შესწავლის პირობები არ არსებობდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი მის შესახებ არსებული წყაროების თავმოყრა და გაანალიზება ითავა ქართულ საბჭოთა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფუძემდებელმა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. საქართველოს ეკონომიური ისტორიის კვლევას დიდმა მეცნიერმა კაპიტალური ორტომეული მიუძღვნა, რომლის მეორე ტომი ძირითადად მევენახეობის შესწავლას დაეთმო. ივ. ჯავახიშვილმა ამ ნაშრომით მეთოდოლოგიური საფუძველი მოუმზადა მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომ მონოგრაფიულ კვლევას.

ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის გამოქვეყნებიდან (1935 წ.) საკმაოდ დიდი დრო გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა ეთნოგრაფებმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნეს კონკრეტული საკითხების ან რომელიმე რეგიონის შესწავლას, მაგრამ საკითხის შესწავლის არსებული მდგომარეობა ჯერჯერობით ვერ პასუხობს პრობლემის ესოდენ დიდ სამეცნიერო და კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას. ამდენად, აღნიშნუ-

---

*** ლევან ფრუიძე**, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, წიგნი I, რაჭა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1974.

ლი საკითხის კვლევა საქართველოს ცალკეული რეგიონების მიხედვით, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე კუთხურ თავისებურებათა დადგენა და ყოველივე ამის შემდეგ მთელი საქართველოს მასშტაბით მისი მონოგრაფიული განზოგადება ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის საღღეისო ამოცანას შეადგენს, რომლის განხორციელებაც მიზნად დაუსახავს მრავალი საინტერესო ნაშრომის ავტორს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ლევან ფრუიძეს.

ავტორმა თავისი ნაშრომის პირველი ტომი მთლიანად რაჭას დაუთმო. წიგნში განხილულია საქართველოს ვაზის კულტურის საკვანძო საკითხები, სახელდობრ, მევენახეობის გავრცელების არე, ვენახის ფორმები და ვაზის ჯიშები, ვენახის გაშენება და მოვლა-დამუშავება, მარანი და მარნის ხელავეჯი, საღვინე ჭურჭელი, ღვინის დაყენება და მოხმარება, ვენახის საკუთრების ფორმები, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაცია და წეს-ჩვეულებები. ველზე მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად ავტორი ფართოდ იყენებს საარქივო მონაცემებს, თბილისის, ქუთაისისა და ონის მუზეუმების კოლექციებს, აგრეთვე, არქეოლოგიის, ლინგვისტიკისა და ფოლკლორის თანამედროვე მიღწევებს. მკვლევარს გულმოდგინედ აქვს ამოკრებილი მევენახეობა-მეღვინეობაზე არსებული ცნობები ქართული საისტორიო მწერლობიდან და ორიგინალური თუ ნათარგმნი წყაროებიდან. მას მხედველობიდან არ რჩება ანტიკურ ავტორთა თხზულებანი, რუს და დასავლეთ ევროპელ მოგზაურ-დამკვირვებელთა ჩანაწერები.

ივ. ჯავახიშვილის მეთოდსა და მონაცემებზე დაყრდნობით ლ. ფრუიძემ რაჭის ეთნოგრაფიული მასალების ძირითად წყაროდ გამოყენების საშუალებით შემოქმედებითად განავითარა პრობლემის კომპლექსური კვლევა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა წიგნში სათანადო სისრულით გაშუქებულიყო მევენახეობა-მეღვინეობის მდიდარი ტრადიციები და შესაბამისი მატერიალური კულტურის ელემენტები. მხოლოდ ასეთი კომპლექსური მიდგომით არის შესაძლებელი საქართველოს ვაზის კულტურის რეგიონალური შესწავლა, რაც, თავის მხრივ, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის სრულ სურათს მოგვცემს. რეგიონალური სპეციფიკის გამოვლენა ეთნოგრაფიის საპატიო ამოცანაა და მიზნად ისახავს მთლიანი კულტურის წარმოჩენას. სწორედ ასეთი გააზრებითაა დაწერილი სარეცენზიო წიგნი.

მდიდარი ეთნოგრაფიული მონაცემებისა და სპეციალური ლიტერატურის შეჯერების საფუძველზე გარკვეული და დაზუსტებულია რაჭაში ვენახის გავრცელების არე. მასალის ანალიზი ნათელყოფს, რომ მევენახეობის ვერტიკალური საზღვარი ძველად გაცილებით მაღლა მდებარეობდა, ვიდრე დღეს, რაც მთის რელიეფს შეგუებული ვაზის სადრეო ჯიშების გამოყვანით იყო შესაძლებელი.

ავტორი საკვლევ რეგიონში გამოყოფს სამ ზოლს. ვენახიანს, ნაწილობრივ ვენახიანს და უვენახოს. ვენახიანი ზოლი მაღალხარისხოვანი ღვინის მომცემი კერაა, სადაც ვაზის ცალკეულ ჯიშებს ვეგეტაციის ვადების გათვალისწინებით ჰქონდა ადგილი მიჩენილი. დაბლობში უხვმოსავლიანი — ე. წ. „ალეში“ ჯიშები იყო განლაგებული, „მზიგულ“ ფერდობებზე ხვანჭკარის მომცემი ალექსანდრეული და მუჯურეთული, ხოლო მაღლა, მთისძირა სანახებში — საადრეო სამჭრე ჯიშებს აშენებდნენ. ვერტიკალურ ზონალობაში ვაზის ჯიშთა ამ სისტემით განლაგება ადგილობრივი მევენახის მაღალსაწარმოო გამოცდილებაზე მეტყველებს.

ნაშრომში დადგენილია, რომ რაჭისათვის უმთავრესად დამახასიათებელი იყო დაბლარი ვენახი, ხოლო მევენახეობის დამხმარე სახე იყო ტალავერი, რომელსაც ეზოების შესამკობად და საჩრდილობლად იყენებდნენ.

ავტორი ვრცლად მიმოიხილავს რაჭაში გავრცელებულ ვაზის ჯიშებს და სათანადო წარმოდგენას გვიქმნის ვაზის თითოეული ჯიშის ისტორიასა და სამეურნეო მაჩვენებლებზე. ამასთან ერთად, ამომწურავად არის გადმოცემული მევენახეთა შთამომავლობითი ამპელოგრაფიული ცოდნა, რის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ამონაწერს. მევენახე ჰყვება: „ძირდალოცვილია ალექსანდრეული, თირი მიწა უყვარს. თუ ხელს შეუწყობ და გაახარებ, შენც გაგახარებს. ზრდაში ლამაზია, მონაცრისფერო რქასა და დაკბილულ ფოთლებს იყრის, ყვავილობაზე ისე გაბდღიალდება, თვალს ვერ მოაშორებ, კვირტი არ უცდება, გვალვას უძლებს. გაჯინებული წვიმებიც ბიმბილს ვერ უფუჭებს. ქრისტეშობამდე რო დატოვო დაუკრეფავი, არ ჩამოცვივდება. ყველაფრად ზომიერია — ტანითაც და მობმითაც. ალეშივით არ დეიხირხლება ტევნებით, მარა რასაც მეიბამს, კარქათ ამწიფებს“ (გვ. 20).

მეტად საგულისხმოა მევენახეთა მიერ ადგილობრივი ჯიშების დაყოფა ორ ჯგუფად: „წმინდა“ და „ალეში“. „წმინდაა“ ალექსანდრეული და მუჯურეთული — ხვანჭკარის მომცემი, მართლაც ყოველმხრივ სრულყოფილი ფორმები, ხოლო „ალეშია“ ყველა სხვა დანარჩენი, რომლებიც ქვემორაჭველ მევენახეთა რწმენით, ალექსანდრეულსა და მუჯურეთულს ვერ გაუტოლდებიან. და ეს წარმოდგენა მოცემულ მიკრორაიონში პრაქტიკულად გამართლებულია, რადგან ისტორიული „საყიფიანოს“ მტკიცედ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მხოლოდ

ალექსანდრეული და მუჯურეთული იძლევა ბუნებრივად ტკბილ, საუცხოო ღვინოს, რომელიც მსოფლიოში განუმეორებელი და ერთად-ერთია.

ავტორი ვაზის ჯიშებს აჯგუფებს მარცვლის ფერის, გამოყენების და ვენახის სახეთა მიხედვით, ე. ი. ცალკე გამოყოფს დაბლარის, მაღლარის და სატალავრე ჯიშებს, ცდილობს გაარკვიოს რომელი მათგანია ადგილობრივი და რომელი შემოტანილი, ხსნის ჯიშთა სიმრავლის მიზეზებს (სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულება: საღვინე, სამაჴრე, საყურძნე, რთული რელიეფისა და ჰავისა შეგუება და სხვ.) და აყენებს ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, რომ თითოეული ვაზის ჯიში კოლექციის სახით მაინც იქნას შემონახული ბუნებრივ გარემოში. აქვე საინტერესო მონაცემებია ველური ვაზის შესახებ, რაც, სამწუხაროდ, ჩვენში ნაკლებშესწავლილია.

ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი სავენახე ადგილის შერჩევის, მისი მომზადების, ნიადაგის დამუშავების, ვენახის გაშენებისა და მისი მოვლა-დამუშავების ხალხური წესები. აღნიშნულ სამუშაოთა ციკლის შესაბამისად ავტორი ასეთივე თანმიმდევრობით აღწერს მევენახის შრომატევადი საქმიანობის რთულ პროცესს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ვენახის გაშენება ძნელად ასათვისებელ მიწაზე, რასაც ავტორი საგანგებო თავს უთმობს. აქ მოცემულია რთული, დანაწევრებული რელიეფის სავენახედ გამოყენების ძველი ხალხური წესები (მოზვინვა, შეყორვა, დალატვნა, დაჯარჯვა, დალობურება, დაკვალვა და სხვ.), რომელთა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა დღესაც უეჭველია.

ავტორი იძლევა საკვლევი რეგიონისათვის დამახასიათებელ მევენახეობის იარაღ-ჭურჭლის ზუსტ აღწერას და კლასიფიკაციას, უხვად მოაქვს შესადარებელი მასალა საქართველოს მეზობელი კუთხეებიდან.

სარეცენზიო წიგნში საკითხის ღრმა ცოდნით არის გაშუქებული ფილოქსერისა და ვაზის სოკოვან დაავადებათა გავრცელების საკითხი, რასთან დაკავშირებითაც ავტორი სამართლიანად შენიშნავს: „სამწუხაროდ, დღემდე ღირსეულად არ არის შეფასებული ვენახის გაშენების ხალხური წესები. ზოგიერთი სპეციალისტი მათ, რატომღაც პრიმიტიულად თვლის, ძველი მევენახეობის ნაკლად მიაჩნიათ აგრეთვე მიწის პლანტაჟის („გადაბრუნების“) არცოდნა, მაგრამ ვაზის გაშენების ადგილობრივი წესები ამ სამუშაოს არ საჭიროებდა. ფილოქსერის გავრცელებამ მევენახეობაში ახალი ხანა დაიწყო. ვაზის გამრავლების ეროვნული საშუალებანი მოძველდა, მაგრამ ისინი პრიმიტიული და ჩამორჩენილი არ ყოფილა, პირიქით, თავის დროზე საკმაოდ განვითარებული და პროგრესული იყო“ (გვ. 68).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მეღვინეობის თავისთავადი და ორიგინალური სახე კარგად მჟღავნდება მეღვინეობისათვის შექმნილ საგანგებო ნაგებობაში, რომელსაც ქართულად „მარანი“ ეწოდება. ავტორი კრიტიკულად განიხილავს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს მარნის შესახებ და ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოჰყოფს მარნის სამ ძირითად ტიპს (მარანი საცხოვრებელი სახლის კომპლექსში, ღია და დახურული მარანი). ავტორის მტკიცებით, პირველადი მარანი საგულვებელია საცხოვრებელი სახლის კომპლექსში, ხოლო როცა მევენახეობა-მეღვინეობა დაწინაურდა, მაშინ აუცილებელი გახდა მარნის, როგორც სამეურნეო ნაგებობის დაფუძნება. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების საპირისპიროდ, მკვლევარი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ღია მარანი მარნის უძველესი და პრიმიტიული ფორმა კი არ არის, არამედ დაწინაურებული მეღვინეობის მონაპოვარია, როცა ღია ცის ქვეშ პირობებში შესაძლებელი გახდა ჭურის თავის ისე დახურვა და მოვლა, რომ ატმოსფერული ნალექებისაგან საიმედოდ ყოფილიყო დაცული. ლ. ფრუიძე ფიქრობს, რომ ღია მარანი ბუნებრივადტკბილი ღვინოების წარმოებისათვის უნდა იყოს გამიზნული, ხოლო დახურული — ბოლომდე დადუღებული, ე. წ. „მშრალი ღვინოსათვის“. რამდენად სწორია ეს მოსაზრება, ამას, ალბათ, შემდგომი კვლევა და საკითხის შემდგომი შესწავლა გადაწყვეტს, მაგრამ წამოყენებული ჰიპოთეზა უდავოდ ორიგინალურია.

ლ. ფრუიძემ საფუძვლიანად უარყო მეცნიერულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომ ღია მარანი დამახასიათებელია მხოლოდ დასავლეთ საქართველოსათვის, ხოლო დახურული — აღმოსავლეთისათვის. ახალი ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალის და არსებული ლიტერატურული მონაცემების გულდასმითი შესწავლის შედეგად ნათელი გახდა, რომ მარნის ტიპთა ასეთი გეოგრაფიული გამიჯვნა რეალურ სინამდვილეს არ შეეფერება. ავტორის ვარაუდით, მარნის ტიპთა გავრცელება და მონაცვლეობა არა მარტო თითოეული რეგიონის ეკოლოგიური პირობებით უნდა იყოს განსაზღვრული, არამედ ღვინის ხალხური ტექნოლოგიის მოთხოვნილებებითაც.

მკვლევარი საგანგებო თავში დეტალურად განიხილავს ღვინის დაყენების ხალხურ ტექნოლოგიას, აღწერს და იკვლევს ღვინის დაყენების წინაპირობებს (ჭურის რეცხვა, საწნახელის გამზადება, ყურძნის წურვის პროცესი, გამონადენ წვენთა შერჩევა, ტკბილეულის დადუღება, ღვინის დამწიფება-დაძველება და ა. შ.). ავტორი საგანგებოდ იკვლევს რაჭის

ღვინოების ისტორიას. პირველ ყოვლისა, ეს ეხება ბუნებრივად ტკბილ ღვინოს — სახელგანთქმულ „ხვანჭკარას". ადრე გამოთქმულ მოსაზრებათა საპირისპიროდ ავტორი ცხადყოფს, რომ ეს ღვინო თავად ყიფიანების მიერ კი არ არის შექმნილი, არამედ მისი დაყენების ტექნოლოგია ხანგრძლივი ემპირიული დაკვირვების შედეგად რაჭველმა მევენახეებმა შეიმუშავეს, ხოლო ხალხური ცოდნა თავადმა ყიფიანებმა კომერციული მიზნებისათვის გამოიყენეს.

ნაშრომში საგანგებო პარაგრაფი ეთმობა ღვინის ხალხური დეგუსტაციის წესებისა და ტერმინების განხილვას. განსაზღვრულია ღვინის როლი ქართველი ხალხის ყოფაში. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ მშრომელი მოსახლეობისათვის ღვინო მხოლოდ დროსტარების და ქეიფის საშუალება კი არ იყო, არამედ ერთ-ერთი ძირითადი საკვები. ღვინის გარდა ვაზის ნაყოფის სხვადასხვა პროდუქტები (ყურძენი, ისრიმი, ბადაგი, ჩურჩხელა, ტკბილი კვერი, ფელამუში და სხვ.) უდიდეს როლს ასრულებდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა კვების რაციონში.

ავტორი სათანადო სისრულით გვაცნობს ღვინის სალებმიმცემო ხასიათს, სავაჭრო ცენტრებს და მათ მნიშვნელობას საკვლევი რეგიონის ეკონომიკაში. ამასთან ერთად ეხება იმ ცვლილებებს რაჭველთა სოციალურ ყოფაში, რაც ვაჭრობის განვითარების შედეგად იქმნებოდა. ნაშრომში ასევე დიდი ადგილი აქვს დათმობილი მევენახეობა-მეღვინეობის ხვედრითი წონის ჩვენებას რაჭველთა საოჯახო ყოფაში, რაჭის მოსახლეობის მეზობლურ ურთიერთობას ჩრდილო კავკასიის ხალხებთან, მევენახეობა-მეღვინეობაში მოქმედი შრომის ორგანიზაციის ფორმებს და წეს-ჩვეულებებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი გადაჭარბებულ შეფასებას აძლევს ბარიდან ამოტანილი ტკბილის მთაში გამოყენების ტრადიციას და მას მთიელთა მევენახეობას უწოდებს (გვ. 254). მართალია, წიგნში იმის შესახებაც ითქვა, რომ საქართველოში ადგილი ჰქონდა მთიელთა მიერ ბარად ვენახების მოშენების შემთხვევებს, მაგრამ უფრო მეტად მთიელები ბარიდან ტკბილს ეზიდებოდნენ; ძნელია ამას მთიელთა მევენახეობა ვუწოდოთ.

დასასრულ ისიც უნდა ითქვას, რომ სარეცენზიო მონოგრაფია გაფორმების მხრივაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. პირველ რიგში აღსანიშნავია ენობრივად მისი გამართულობა. წიგნი აღჭურვილია ილუსტრაციებით და სრულფასოვანი სამეცნიერო აპარატურით. კვლევის ძირითადი შედეგები შეჯამებულია დასკვნაში, რაც გაფართოებული სახით მეორდება რუსულ ენაზე დართულ რეზიუმეშიც. სასურველია, რომ მევენახეობა-მეღვინეობით ცნობილი სხვა კუთხეებიც ასეთივე მონოგრაფიული სისრულით იქნეს შესწავლილი.

ვალერიან ითონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ